ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპული კვლევების ინსტიტუტი

ირაკლი მეგრელიშვილი

მოდერნიზაცია და ევროპის იდეა საქართველოში

თბილისი
2020

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციას. მადლობას ვუხდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორს ქბ ნინო ლაპიაშვილს, მის თანაშემწეს მარიამ ქველაძეს და ევროკომისიას, რომელმაც უზრუნველყო ჩემი და ჩემი ჯგუფელების სადოქტორო პროგრამაზე სწავლების სრული დაფინანსება.

ასევე, დიდი მადლობა თემის მთავარ ხელმძღვანელს პროფ. დოქტორს მარატ აკოპიანს და დამატებით ხელმძღვანელს პროფ. დოქტორს ტომას კრუსმანს. ასევე უღრმესი მადლობა ოპონენტებს პროფ. სალომე დუნდუას და პროფ. ზვიად აბაშიძეს.

განსაკუთრებული მადლობა თანადგომისთვის, დახმარებისთვის და დიდი მხარდაჭერისთვის გაეროს ეკონომიკის კვლევითი ინტსიტუტის / მაასტრიხტის უნივერსიტეტის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის კანდიდატს ვასილ (დაჩი) გუბაძეს, ხოლო ინგლისური ვერსიის კორექტირებისთვის გიორგი ჯიქიას.

ი. მეგრელიშვილი

ISBN 978-9941-490-30-9

სარჩევი

აბრევიატურები....7
შესავალი....9
თავი 1....32
ძირითადი ცნებები....32
ევროპის იდეის პირველი ტალღა: თავისუფლება, დემოკრატია, სეკულარიზაცია....46
ევროპის იდეის მეორე ტალღა: თანასწორობა, სოლიდარობა....56
ევროპის იდეის მესამე ტალღა: მშვიდობა, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, გარემოს დაცვა, ევროკავშირი....61
მოდერნიზაცია....75
თავი 2....81
ლიბერალიზმის აღმოცენება და მოდერნიზაციის იდეა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი....81
ქართველების თვალით დანახული ევროპა, ევროპის იდეა და მოდერნიზაცია....81
დემოკრატიის ელემენტები საქართველოში....85
ევროპის იდეა ქართულ მწერლობაში....89
მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის იდეოლოგები საქართველოში - განმანათლებლები....90
ევროპის იდეა ლიბერალური მოდერნიზაციის განხორციელების მიზნით....127
პირველი დემოკრატიული ინსტიტუტები....127
სეკულარიზმის პირველი ნაბიჯები საქართველოში....128
ფემინიზმის პირველი ნაბიჯები საქართველოში....132
მოდერნიზაციის პირველი ტალღა საქართველოში....136
თავი 3....156
სოციალ-დემოკრატიული ცვლილებების მომზადება....156
სოციალიზმი, როგორც ევროპის იდეა....162
სოციალ-დემოკრატიის, როგორც ევროპის იდეის თავისებურებები....168
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება....172
სოციალ-დემოკრატიული ცვლილებების იდეოლოგები....178
სოციალ-დემოკრატიული მოდერნიზაცია....206
სოციალ-დემოკრატიის დასასრული....228
თავი 4....234
ევროპის იდეის დაბრუნება თანამედროვე საქართველოში....234
ვარდების რევოლუცია და მოდერნიზაცია ევროპის იდეის სახელით....237

სახელმწიფო სისტემის მოდერნიზაცია 239
ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაცია.....247
პოლიტიკური და სამოქალაქო გარემოს მოდერნიზაცია 251
რევოლუციური მოდერნიზაციის კრიტიკული ანალიზი 268
მოდერნიზაცია და ევროპის იდეა ციფრებში.....274
დასკვნა.....287
გამოყენებული ლიტერატურა.....303

აბრევიატურები

რსდმპ - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
სსდპ - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
EADTU - დისტანციური სწავლების უნივერსიტეტების ევროპული ასოციაცია
ECC - ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა
ECHR - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ECSC - ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება
EIU - ეკონომისტთა სადაზვერვო განყოფილება
ENP - ევროპული სამეზობლო პოლიტიკა
EPI - გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი
GII - ინოვაციების გლობალური ინდექსი
GNI - მთლიანი ეროვნული შემოსავალი
GPI - მშვიდობის მსოფლიო ინდექსი
GRECO - კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი
IFC - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IRI - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
NDI - ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი
OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PCA - პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება
SPI - სოციალური პროგრესის იმპერატივი
WJP - მსოფლიო სამართლიანობის პროექტი

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა

არსებული საკვლევი თემა დღესდღეობით აქტუალური და რელევანტურია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. ამ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოებას, პოლიტიკურ ისტებლიშმენტს და უბრალო ხალხს ერთნაირად დიდი მისწრაფება გააჩნია მათი სამშობლო იხილონ მოდერნიზებული და თანამედროვე ევროპული ქვეყნების შესაბამისი სტანდარტებით. ჩემი ზოგადი დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მედიასა და სოციალურ ქსელებში რეფორმები და მოდერნიზაცია თითქმის ყოველდღიური საუბრის თემაა. პოლიტიკური და საზოგადოებრივი დებატები მკაფიოდ აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოდერნიზაციის სურვილი და არსებობდეს განვითარებული ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და სამოქალაქო სფეროები. როგორც ჩანს, საქართველოს საბოლოო გზაა გახდეს ევროპის კავშირის წევრი და ევროპის იდეა სწორედ რომ ყველა რეფორმისა და ცვლილების გამამართლებელი ცნებაა. შესაბამისად, დისკუსია ყოველი ახალი კანონისა და რეფორმის შედეგების შესახებ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება, სულ უფრო და უფრო განაპირობებს მის მოდერნიზაციას და ევროპულ ორგანიზაციებთან მისი სტრუქტურებისა თუ კანონების ჰარმონიზაციას. ევროკავშირის ასოცირების წევროპის მიღწევა ამ მოვლენას კიდევ უფრო ხელშესახებს ხდის, რის შედეგადაც ხდება არა მხოლოდ მატერიალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, არამედ ადამიანთა ცხოვრებაში მიმდინარეობს ღირებულებითი ცვლილებები. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა მაძლევს საფუძველს ვთქვა, რომ საქართველოში არ მომხდარა აკადემიური კუთხით გააზრება მოდერნიზაციის და ევროპის იდეის. იმ ქართველ პოლიტიკოსებს ან სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ საზოგადოებაზე და მოახდინონ მათი დემოკრატიული მოდერნიზაცია, ჯერ არ აქვთ საფუძველი მიზანი მიღწეულად მიიჩნიონ, რადგან საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე განიცდის მრავალ შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედებას, რომელიც აბუხრუჭებს, როგორც მოდერნიზაციის, ასევე დემოკრატიზაციის პროცესს. ევროპის იდეა ყველა აქტორისათვის მისაღები არ არის. ისინი ხშირად მანიპულირებენ კონცეფციების არასწორი ინტერპრეტაციით და მოდერნიზა-

ციას თუ ევროპის იდეას საქართველოსთვის, როგორც საფრთხეს ისე წარმოაჩენენ. ამიტომ მნიშვნელოვანია სამეცნიერო დონეზე მოხდეს გააზრება იმ ღირებულებების, რომელსაც მოიცავს ევროპის იდეა და ვნახოთ ის კონკრეტული შედეგები, რომელიც მოდერნიზაციას მოსდევს თან.

საქართველო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიხედვით, ევროპის ორმოცდაათი სახელმწიფოდან მხოლოდ 49-ე ადგილზეა და ყველა რეფორმის ავტორი ირწმუნება სწორედ ის გაუმჯობესებს ამ მაჩვენებელს. ამასთან, თანამედროვე საქართველოს გამოწვევები არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათისაა. ცვლილებებსა და მოდერნიზაციას პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაშიც ვხედავთ. სამოქალაქო პირები ცდილობენ და იბრძვიან შეცვალონ თავიანთი ცხოვრება, ისე, რომ დასავლეთ ევროპისგან საქართველოში გავრცელებული ადამიანის უფლებები და სხვა დემოკრატიული ფასეულობები გახდეს უფრო მეტად პრიორიტეტული, ვიდრე დრომოჭმული ფსევდო-ნაციონალისტური (ვიწრო-ეთნიკური) და ფსევდო-რელიგიური (ცრუმორწმუნეობრივი) წარმოდგენებია. კულტურული ცხოვრების მოდერნიზაცია, რომელიც ასევე ევროპის იდეის სახელით ხორციელდება, ხშირად ძალიან სენსიტიურია, რის გამოც ვხედავთ გარკვეული პირების შიშს ყოველგვარი ინოვაციურობისა და სიახლის მიმართ. შედეგად, ვხედავთ მოდერნიზაციის წინააღმდეგ მიმართულ შიშებს, რომელიც „ქართველობის იდენტობის" დაკარგვის მოტივით გამოდის და არასწორ ინტერპრეტაციებს აყალიბებს ევროპის იდეის შესახებ. საინტერესოა, რომ ევროპის იდეა და მოდერნიზაცია ხშირად აღქმულია, როგორც 21-ე საუკუნის მოვლენა, რომელიც ხისტი მეთოდებით იჭრება ქართულ საზოგადოებაში და თითქოს თავსმოხვეული სიახლეები საზოგადოებაში აჩენს კონფლიქტებს და წინააღმდეგობის სურვილს, რათა დაიცვას თავისი ისტორიული მემკვიდრეობა. ამის მიუხედავად, ჩვენ ვნახავთ საზოგადოებრივი აზრის კვლევებს, საიდანაც ნათლად გამოჩნდება, რომ ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა ქართველთა დიდი უმრავლესობის არჩევანია, რადგან მათ სურთ იხილონ თავიანთი ქვეყანა ისეთი თანამედროვე, რომელიც საკუთარ ეროვნულ იდენტობას სწორედ ევროპის იდეის მეშვეობით შეინარჩუნებს. ვფიქრობ, სწორედ იმის გააზრება უნდა მოხდეს, რომ მოდერნიზაციისკენ სწრაფვა და ევროპის იდეის იმპლემენტაციის სურვილი არის საქართველოს ისტორიის ბუნებრივი გაგრძელება და იმ წინაპრების მემკვიდრეობა, რომლებიც იყვნენ ინიციატორები და ორგანიზატორები ქართული საზოგადოების და საქართველოს მოდერნიზაციისა ევროპის იდეის საფუძვლებზე. ამიტომ უნდა მოხდეს ამ ორი ცნების იმ კუთხით გააზრება, რომ ისინი არა უცხო მოვლენაა

ქართული რეალობისთვის, არამედ მისი ნაწილი და თანაზიარია. შესაბამისად, საჭიროა ზუსტი აკადემიური ფორმულირება თუ რა არის ევროპის იდეა და რა არის მოდერნიზაცია, როგორც ზოგადად, ასევე საქართველოსთან მიმართებით.

აღწერილი ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, წარმოდგენილი თემა სავსებით აქტუალურია და პირდაპირ კავშირშია საქართველოში მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის იმპლემენტაციის შესწავლის საქმესთან. ამან კი მოგვცა შესაძლებლობა ჩამოგვეყალიბებინა წინამდებარე დისერტაციის მიზნები და მოცანები.

დისერტაციის მიზნები და ამოცანები

კვლევის მთავარი მიზანია განვსაზღვროთ რა არის საქართველოს მოდერნიზაცია და როგორ ხედავენ მას ქართველები, რა არის ევროპის იდეა საქართველოს პერსპექტივიდან და რამდენად მოიცავს იგი მოდერნიზაციის იდეას. როგორი იყო ეს დამოკიდებულება წარსულში და როგორია დღეს. შესაბამისად, ჩემი ნაშრომი მიეძღვნება საქართველოში განხორციელებული მოდერნიზაციული პროექტებისა და ევროპის იდეების სამეცნიერო თვალსაზრისით გააზრებას.

უფრო კონკრეტულად კი დისერტაციის ამოცანები პუნქტობრივად შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1. განვსაზღვრო ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის შინაარსი - ამ კონცეფციების განსაზღვრის გარეშე ვერ ვიმსჯელებთ იმ კონკრეტულ პირებზე ან კონკრეტულ პროექტებზე, რომელიც განხორციელდა საქართველოში. საჭიროა აღნიშნული ორი მთავარი კონცეფციის სრულად გააზრება, რათა ზუსტად აღვიქვათ მისი მნიშვნელობის რაობა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისთვის. ამას კი ვერ შევძლებთ, თუ ზუსტად არ გვექნება დეფინიცირებული მათი შინაარსი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი დავინახოთ ქართველების პერსპექტივით, თუ რას და რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი ევროპის იდეას. რა მნიშვნელობის იყო მათთვის მოდერნიზაცია და რატომ. ევროპის იდეა და მოდერნიზაცია ჩემი დისერტაციის მთავარი ხაზია, ამიტომ კვლევის უპირველის ამოცანაა სწორედ მისი ყველა ასპექტის შესწავლა, რაც თემის შემდგომი საკითხების დადგენაში დაგვეხმარება. ასევე შევძლებთ ამ და სხვა დასმული კითხვებისა და ამოცანების განსაზღვრას და კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემას.

2. შევისწავლოთ ევროპის იდეის აღმოცენება და პირველი მოდერნიზაციული პროცესები საქართველოში - ამ საკითხის განსაზღვრა ჩვენი კვლევის ისტორიული ნაწილის პირველ ამოცანას უნდა

შეადგენდეს, რადგან სწორედ ამ პერიოდში შესწავლილი მასალები მოგვცემს შესაძლებლობას დავინახოთ ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის პირველი ნაბიჯები საქართველოში. დავინახოთ რა სახით და ვის მიერ გაჩნდა და გავრცელდა ევროპის იდეა საქართველოში და რა სახის მოდერნიზაციას ჩაეყარა საფუძველი. მიგვაჩნია, რომ ამ ამოცანის დასმა და მასზე პირველ რიგში პასუხის გაცემა მოგვცემს შესაძლებლობას დავინახოთ ის შეუქცევადი პროცესი, რამაც მოახდინა ქართველი საზოგადოების ისეთი მოდერნიზაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირებას სწორედ ევროპის იდეის საფუძვლებზე. კვლევის ბოლოში დავინახავთ, რამდენად თანმიმდევრულად გაგრძელდა ქართული საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი და რამდენად შეიცვალა ის პირველ საწყისებთან მიმართებაში. ამიტომ ჩვენი ამოცანაა დავინახოთ ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის გზა საქართველოში დროსა და სივრცეში, როგორ ესმოდათ ის და როგორ ესმით დღეს.

3. დავადგინოთ ვინ იყვნენ საქართველოში ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის პირველი ავტორები და რა კონკრეტული პროექტები განახორციელეს მათ ამ მიზნის მისაღწევად - მასზე, ვინც ჩვენ მიგვაჩნია, რომ არის ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის პირველი ავტორი საქართველოში, ბევრია დაწერილი. შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა, რომ კიდევ რა უნდა დაიწეროს ან რა უნდა აღმოჩნდეს ახალი ამ ადამიანებზე, მაგრამ ჩემი ამოცანა ისაა, რომ ამ ადამიანების ღვაწლის გააზრება მოხდეს თავიდან და ახალი პერსპექტივით. ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის კონტექსტი მოგვცემს შესაძლებლობას გავიაზროთ იმ პროექტების მნიშვნელობა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი საზოგადოების შემაკავშირებელი ელემენტების გაჩენას. შესაბამისად, ამ ამოცანის განსაზღვრა და შესაბამისი მიზნის მიღწევა დაგვანახებს კონკრეტულ შედეგებს არა მარტო იმ დროში, როდესაც ის განხორციელდა და ვის მიერადაც განხორციელდა, არამედ მათ სამომავლო მნიშვნელობას.

4. შევისწავლოთ ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის სოციალ-დემოკრატიული ცვლილებები საქართველოში - მიმაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატების გარდა სხვა ბევრ პოლიტიკურ თუ საზოგადო აქტორს მიუძღვის წვლილი საქართველოს მოდერნიზაციაში და ევროპის იდეის დანერგვაში. მაგრამ ჩვენი ამოცანაა სწორედ სოციალ-დემოკრატების პერსპექტივიდან დავინახოთ დასმული საკითხი. ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და შექმნა თანამედროვე ტიპის სახელმწიფო დაფუძნებული ევროპის იდეასა და არა მხოლოდ იდეალებზე, არამედ სამართლებრივ საფუძვლებზე. ვინაიდან სწორედ ისინი იყვნენ სახელ-

მწიფოს მართვის სათავეებში, სწორედ ამიტომ არის კვლევის მიზანი დავინახოთ ის ცვლილებები და ის მოდერნიზაცია, რომელიც სწორედ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მოუტანა ქართველ ერს. ამასთან ჩვენ შევძლებთ დავინახოთ ის კონსტიტუციური, სამართლებრივი და კულტურული საფუძვლები, რაც გახდა თანამედროვე საქართველოს ფორმირების საფუძველი. ამ ამოცანის მიღწევა მოგვცემს შესაძლებლობას ასევე დავინახოთ ის გზა, რაც საქართველომ გაიარა ევროპის იდეის აღმოცენებიდან სოციალ-დემოკრატიულ ცვლილებამდე. დავინახავთ რამდენად წინააღმდეგობრივი ან თავსებადი იყვნენ ისინი ერთმანეთთან და რა შედეგი მოუტანეს მათ ქართულ სახელმწიფოს.

5. დავადგინოთ ვინ იყვნენ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოდერნიზაციის ავტორები და რა კონკრეტული პროექტები განახორციელეს მათ - ჩემი ამოცანაა სწორედ კონკრეტული პირების მსოფლმხედველობის და მოღვაწეობის შესწავლა. არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პროცესების შესწავლა და გაანალიზება, არამედ მათი ავტორების ხედვებისა და მოქმედების დანახვა და ანალიზი. პროცესები, რომელიც ქმნის და ცვლის ისტორიას კონკრეტული ადამიანების გარეშე არ ხორციელდება. ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ ამ ადამიანებს რა ამოძრავებდათ, რა არის მათი მოტივები და მიზნები. მათი ფილოსოფიური შეხედულებები და წარმოდგენები არის მნიშვნელოვანი, რადგან ისინი იყვნენ არა რიგითი ადამიანები, არამედ მათი გადაწყვეტილებები და ნაბიჯები გავლენას ახდენდნენ სხვა ადამიანების ბედზე და მომავალზე. ასევე გავლენას ახდენდნენ ქვეყნის მდგომარეობაზე და მომავალზე, რომელმაც მნიშვნელობა საუკუნის შემდეგაც არ დაკარგა. ამიტომ მიმაჩნია, რომ დასმული ამოცანა არის არა მხოლოდ შაბლონური ბიოგრაფიების შესწავლა, არამედ კვლევის ძირითადი საკითხების გააზრებაში დახმარება, რომელიც დამანეხებს ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის თანმიმდევრულ გზას.

6. შევისწავლოთ პოსტ-საბჭოთა საქართველოში ევროპის იდეის დაბრუნების პროცესი და მოვახდინოთ ანალიზი დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული მოდერნიზაციული პროცესებისა და მისი შედეგების - ჩემი კვლევის შემდეგი ამოცანა ფაქტიურად თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მეცნიერული ანალიზის მცდელობაა. მე ვეცდები, პოლიტიკური სიმპათიების გარეშე, ობიექტურად მოვახდინო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იმ მოდერნიზაციული პროექტების ანალიზი მოვახდინოთ, რომელიც 2003 წლის შემდეგ დაიწყო და რამაც ქვეყანა ევროკავშირის ასოცირებულ წევრობამდე მიიყვანა. ეს ამოცანა დავისახე მიზნად იმიტომ, რომ დავინახოთ და გავაანალიზოთ საქართველოს მდგომარეობის

უახლოესი ფაზა, რომელსაც საფუძველი საუკუნე ნახევრის წინ ჩაეყარა და ვნახოთ სადამდე მოვედით. შევაფასოთ ის მდგომარეობა თუ საიდან დავიწყეთ და ამჯერად რა მდგომარეობა გვაქვს ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის კუთხით. ამ კვლევის შემდეგ დავინახავთ ერთიან სურათს თუ როგორ დაიწყო ჩვენი კვლევისთვის საინტერესო პროცესები და როგორ გრძელდება ფაქტიურად დღევანდელ დღეს. მითუფრო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მრავალი მოულოდნელი პოლიტიკური და სოციალური პროცესი განვითარდა, ჩვენი კვლევისთვის კი საინტერესო ამოცანაა ყველაზე აქტიური მოდერნიზაციის პროცესის შესწავლა, რომელსაც თან ახლდა არაერთგვაროვანი შეფასებები. ხოლო წინა ისტორიული ეტაპებისგან განსხვავებით ჩვენ არ მოვახდენთ ამ მოვლენების ავტორების და ხელმძღვანელების შესწავლას, რადგან ისინი ჯერ კიდევ მოქმედ პოლიტიკურ აქტორებს წარმოადგენენ და მათზე საუბარი რისკის ქვეშ დააყენებს დისერტაციის სამეცნიერო სტანდარტებს.

7. დავადგინოთ საქართველოში ზემოხსენებულ ისტორიულ ეტაპებზე რა სახის კორელაცია არსებობდა მოდერნიზაციასა და ევროპის იდეას შორის და ვნახოთ რა შემთხვევაში იყვნენ ისინი თანხვედრაში და რა დროს არა - დისერტაციის ბოლო დასმული ამოცანაა მოვახდინოთ სამივე ისტორიული ფაზის ერთიანად გაანალიზება და შეფასება. უნდა მოვახდინოთ ერთიან სურათად აღვიქვათ დროის ეს მონაკვეთები და დავინახოთ ისინი ერთიანი სპექტრით. კვლევის მთლიანი პროცესის განმავლობაში უნდა დავინახოთ ის კორელაცია, რაც არსებობდა ევროპის იდეასა და მოდერნიზაციას შორის. ვნახოთ სად იყვნენ ისინი თანხვედრაში და სად აცდნენ ერთმანეთს. რამდენად იყვნენ ისინი კავშირში და რამდენად არა. ეს დაგვეხმარება დავინახოთ განსხვავება ევროპის იდეასა და მოდერნიზაციას შორის, როგორც ზოგადად, ასევე საქართველოსთან მიმართებაში. დავინახავთ რამდენად ახერხებდნენ ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები თანხვედრაში მოეხდინათ მოდერნისტული პროექტები ევროპის იდეასთან და პირიქით - ევროპის იდეის სახელით განეხორციელებინათ მოდერნისტული პროექტები, როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიკურ და სახემწიფოებრივ დონეზე. ამ ამოცანის შესრულება მოგვცემს მივიღოთ დისერტაციის შეკრული და დასრულებული სახე, რომლითაც მოგვცემს შესაძლებლობას გავაკეთო კვლევის შესაბამისი ანალიზი და დასკვნები.

დისერტაციის მთავარი კითხვა და ქვე-კითხვები

ჩემი დისერტაციის ამოცანების და მიზნების შესასრულებლად ჩამოვაყილიბე ერთი მთვარი კითხვა და რამდენიმე ქვე-კითხვა. ჩემი კვლევის ძირითადი კითხვა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: იყო თუ არა ევროპის იდეა საქართველოში, როგორც ისტორიულად, ასევე დღევანდელობაში, სხვადასხვა მოდერნიზაციული გეგმებისა თუ პროექტების დასაბუთების ფორმა?

კითხვის და ქვე-კითხვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი დაგვეხმარონ დასმული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. თუ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, რატომ არის ჩემ მიერ დასმული კითხვა მართებული და რატომ არ შეიძლებოდა მისი სხვაგვარად დასმა, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასეთი ფორმულირებით გავცემთ პასუხს ჩემ მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. კითხვის ფორმულირებაში უნდა ყოფილიყო ნახსენები ყველა ის აქტორი და ასპექტი, რომელიც მოიცავდა კვლევით მიზნებს და ამოცანებს. ეს არის სხვადასხვა ისტორიული პერიოდი ანუ კვლევის დრო, კვლევის ადგილი ანუ საქართველო, მოდერნიზაციული პროექტები და ევროპის იდეა, რომლითაც დავინახავდით მათ ურთიერთკორელაციას. კითხვის ასეთი ფორმულირება დამეხმარება კვლევის საგნად აღებული საქართველოს სამი ისტორიის გაანალიზებაში და დანახვაში თუ როგორ ხორციელდებოდა მოდერნისტული პროექტები და რამდენად უკავშირებდნენ მათ ევროპის იდეას. ასევე პირიქით, დავინახავთ ევროპის იდეის სახელით მოდერნისტული პროექტების განხორციელებას საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში. დავინახავთ პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიზნებს და მოქმედების მოტივაციებს.

ვინაიდან საგანი ფართოდმომცველია, ჩვენ სხვა შეკითხვებსაც გავცემთ პასუხს. შესაბამისად, მე ჩამოვაყილებ, როგორც კითხვებს, ასევე ავხსნი თუ რატომ მოვახდინე მათი ფორმულირება ამგვარად. ასე მაგალითად, შემდეგი კითხვა შეიძლება იყოს: რას ნიშნავს ევროპა? რას ნიშნავს ევროპეიზაცია? რა არის ევროპული იდენტობა? ეს კითხვები საჭიროა, რადგან მათზე გაცემული პასუხები დამეხმარება ლოგიკურად მივიდე იმ კითხვის პასუხთან, რომლითაც დავადგენთ თუ რას ნიშნავს ევროპის იდეა. ხოლო ამის შემდეგ საჭიროა დავსვათ კითხვა თუ რა არის მოდერნიზაცია? რომელზეც გაცემული პასუხი დაგვეხმარება დავადგინოთ მოდერნიზაციის რაობაში ზოგადად და დავინახოთ ის ქართულ რეალობაში.

შემდეგი ქვე-კითხვების ფორმულირებას მოვახდენთ შემდეგნაირად: ვინ (რომელი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე) საუბრობდა და წერდა ევროპის იდეის შესახებ საქართველოში? რას ნიშნავდა

მათთვის „ევროპა“? როგორ განსაზღვრავდნენ ისინი „ევროპას“? იყენებდნენ თუ არა ისინი ევროპის იდეას საქართველოში მათი მოდერნისტული პროექტების განსახორციელებლად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში? შეძლეს თუ არა მათ თავიანთი იდეების (პროექტების) განხორციელება და რა იყო მათი მოტივაცია? რას ნიშნავს დღესდღეობით ევროპის იდეა ქართველებისთვის? რა მოდერნისტული „პროექტები“ ხორციელდება დღევანდელ ეპოქაში და რომელი პოლიტიკური და/ან საზოგადოებრივი აქტორები ახორციელებენ მას? ეს კითხვები დაგვეხმარება საფუძვლიანად და ეტაპობრივად მივაღწიოთ ჩვენ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. ამ კითხვების მეშვეობით ჩვენ შევძლებთ სიღრმისეულად შევისწავლოთ საქართველოში განვითარებული პროცესები დროის იმ მონაკვეთში, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ. ვნახოთ განსხვავებები და მსგავსებები ამ დროის მონაკვეთებს შორის და შევისწავლოთ ყველა პოლიტიკური აქტორის შინაგანი მხარეები, რომელიც გავლენას ახდენდა საქართველოს ისტორიის განვითარებაზე, როგორც ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის თვალსაზრისით.

ერთ-ერთი ქვე-კითხვა, რომელიც დისერტაციის შესავალში შეგვიძლია ჩამოვაყალიბო, ჟღერს შემდეგნაირად: ქართული საზოგადოებისთვის დემოკრატიული ფასეულობები, რეფორმები, მოდერნიზაცია და ევროპა შეიძლება ერთმანეთთან ასოცირდება, მაგრამ არის კი ისინი ერთი და იგივე? ეს კითხვა დაგვეხმარება ჩემი კვლევის დასმული საკითხის ძირითადი ხაზის დადგენაში და მთავარი მიზნის მიღწევაში. ვნახავთ სწორედ იმ უერთიერთკავშირს, რაც საქართველოში ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იყო ევროპის იდეასა და მოდერნიზაციას შორის.

როგორც ვხედავთ, საკვლევი კითხვები ბევრია, რაც არ გამორიცხავს, რომ კითხვები კვლევის და მუშაობის პროცესში კიდევ გაჩნდეს, რასაც დისერტაციის წერის დროს თანდათან გავცემთ პასუხებს.

საკვლევი ჰიპოთეზა

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ და განვავითაროთ საკვლევი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოდერნიზაცია ასოცირებულია ევროპის იდეასთან. ყოველი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სამართლებრივი და სამოქალაქო რეფორმა გამართლებულია ევროპის იდეით, იმის მიუხედავად თუ როგორი შედეგი მოიტანეს მათ - სასარგებლო თუ საზიანო ხალხის ცხოვრებისათვის. ევროპის იდეა იმდენად ძლიერია, რომ იგი მოდერნიზაციის სინონიმად გადაიქცა და ნიშნავს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას.

იმისათვის, რომ მივიდეთ ჩვენი ჰიპოთეზის დამტკიცების გზაზე, უნდა განვიხილოთ ევროპული კონტექსტი და მას მივუსადაგოთ საქართველოში პარალელურად განვითარებული მოვლენები, რითაც დავინახავთ რამდენად თანხვედრაში იყო საქართველოში მოდერნისტული და ევროპული იდეის ტალღა ევროპულთან. მიმაჩნია, რომ ევროპის იდეის ფორმირებას დასავლეთ ევროპაში სამი ტალღა დაჭირდა:

1. პირველი პერიოდი მოიცავს მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისს, როდესაც განმანათლებლების მეშვეობით გავრცელდა იდეები თავისუფლების შესახებ. ეს გულისხმობდა პიროვნების თავისუფლებას, ერების თავისუფლებას, სეკულარიზაციას და დემოკრატიულ მმართველობას.

2. მეორე პერიოდი მოიცავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს, რა დროსაც კარლ მარქსის პიონერობით გავრცელდა სოციალ-დემოკრატიული იდეები. ეს გულისხმობდა იდეებს თანასწორობისა და სოლიდარობის შესახებ, რამაც უკანა პლანზე გადაწია პიროვნებისა და ერების თავისუფლების იდეა. ხოლო წინ წამოწია კლასობრივი თანასწორობისა და თავისუფლების იდეა.

3. მესამე პერიოდი, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ევროპის იდეა, დაიწყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. კერძოდ კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მისი მთავარი იდეა იყო თავიდან აეცილებინათ ომები, დამყარებულიყო მშვიდობა, წინა პლანზე წამოწეულიყო პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებები და ამ ღირებულებების დასაცავად შექმნილიყო ისეთი მყარი საერთაშორისო გაერთიანებები, როგორიც გახდა გაერო და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, შემდგომში კი ევროკავშირი.

ჩვენი თვალთახედვით, იმ სამი ტალღის კვალდაკვალ, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში და რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, საქართველოშიც ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის სამი ტალღა არსებობდა.

თავდაპირველად ევროპის იდეა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ოკუპაციის პირობებში აღმოცენდა. რასაკვირველია, მანამდე იყო ისტორიული პერიოდები, როდესაც საქართველოს სამეფოები ან პოლიტიკური ისტებლიშმენტი მჭიდრო კავშირში იყო ისეთ დასავლურ ცივილიზაციებთან, როგორიცაა ანტიკური საბერძნეთი ან რომის იმპერია. მაგრამ იმ პერიოდში „ევროპა“, როგორც იდეა არ არსებობდა. იგი შუა საუკუნეებში გაჩნდა, შემდეგ რენესანსისა და განმანათლებლობის პერიოდში განვითარდა და ხელი შეუწყო ევროპული ცივილიზაციისა და ევროპის იდეის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ დროიდან დაიწყეს ქართველებმა მცდელობები

დაემყარებინათ ამ ცივილიზაციასთან მჭიდრო იდეური და ინსტიტუციური კავშირები. ასე, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ახალი ღირებულებები, ახალი ხედვები და ახალი მოსაზრებები გავრცელებული იქნა იმ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეთა მიერ, რომელთაც ილია ჭავჭავაძე და სხვა განმანათლებლები ხელმძღვანელობდნენ. სწორედ ამ დროიდან დაიწყო სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მოდერნიზაცია. სამწუხაროდ, ეს იყო დრო, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, მაგრამ ამის მიუხედავად სწორედ მათ შეძლეს საფუძველი ჩაეყარათ ევროპული ტიპის ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

ევროპული ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და მოდერნიზაციის მეორე ტალღა სწრაფად გავრცელდა საქართველოში და სოციალისტურმა იდეებმა მალევე ჰპოვა ასახვა ქართულ რეალობაში. ამ იდეების ორგანიზებული იმპლემენტაცია კი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის ეპოქაში განხორციელდა. ეს დრო ძალიან მოკლე ხანს გაგრძელდა, მაგრამ ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით აღვსილი იყო ევროპული იდეებითა და გარკვეულ წილად მოახერხეს საქართველოს მოდერნიზება ევროპული ტენდენციების მიხედვით. ეს მოდერნიზაცია შეეხო ყველას დაწყებული ხელისუფლებიდან დამთავრებული უბრალო საზოგადოებრივი ცხოვრებით. სამწუხაროა, რომ კიდევ ერთმა რუსულმა ოკუპაციამ, რეპრესიებმა და ათასობით გონება გახსნილი ადამიანების დახვრეტამ საქართველო მთლიანად ჩამოაცილა დასავლური განვითარების გზას.

ჩვენი დისერტაციის ძირითადი ტექსტის ბოლო ნაწილი თანამედროვე ეპოქას და მოდერნიზაციის მესამე ტალღას ეძღვნება. მეორე ტალღისგან განსხვავებით ეს ფაზა საქართველოში ნახევარი საუკუნის დაგვიანებით დადგა, რადგან საქართველო 1921-1991 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული. მისგან გათავისუფლების შემდეგ კი ქვეყანა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ქაოსმა მოიცვა. ამიტომ ბევრი არაფერი შეგვიძლია ვთქვათ 1990-იანი წლებზე. ეს იყო ომების, სამხედრო გადატრიალების, ქაოსის, ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის და უიმედობის ხანა. შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული მოდერნიზაციის მცდელობა დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და შეეცადა შეეცვალა ცხოვრების ყველა სფერო. რეფორმები და ცვლილებები განხორციელდა არმიაში, პოლიციაში, სასამართლოში, ეკონომიკურ, საკანონმდებლო და კულტურულ ცხოვრებაშიც. ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია რეალისტური და ხელშესახები გახდა.

თუმცა, სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა კითხვა, მოდერნიზაცია ნიშნავს თუ არა ყოველთვის დემოკრატიას? ხელისუფლების ოპონენტები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოებრიობის იდეამ გადაწონა რიგითი ადამიანის უფლებები. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოდერნიზაცია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ევროპის იდეა, რაც პირიქით უნდა ყოფილიყო. ჩვენ ამ თავს დავასრულებთ ევროპული იდეის ციფრებში ასახვით და დავინახავთ როგორ ცვლის იგი საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და კულტურულ ცხოვრებას.

თეორიული ჩარჩო

დისერტაციის კვლევითი ობიექტის შესწავლა ხდება პოლიტიკური რაკურსით. სათაურიდან გამომდინარეც მისი ძირითადი თემაა მოდერნიზაცია და ევროპის იდეა. ამიტომ კვლევის თეორიულ ჩარჩოდ ავირჩიეთ სწორედ მოდერნიზაციის თეორია. ეს თეორია მრავალ სხვადასხვა აქტორს და მიმართულებას მოიცავს, მაგრამ მე აქცენტს გავაკეთებ იმ მიმართულებაზე, რომელიც სწავლობს და იკვლევს დემოკრატიისა და მოდერნიზაციის კორელაციას. ვფიქრობ, ზუსტად ესაა ჩვენი კვლევის ძირითადი ხაზიც, დავინახოთ რამდენად თავსებადი იყო საქართველოში ევროპის იდეის შემოსვლა მოდერნიზაციასთან და პირიქით. ამ თეორიის ინტერპრეტაცია მომცემს საშუალებას შევიქმნა წარმოდგენა ნიშნავდა თუ არა მოდერნიზაციის პროცესი ყოველთვის დემოკრატიზაციას და შეეძლო თუ არა ავტომატურად დემოკრატიზაციას მოდერნიზაციის მოტანა.

ზოგადად, კლასიკური მოდერნიზაციის თეორიის თანახმად, იგი ფოკუსირდება სოციალური მოდერნიზაციის კომპონენტურ ელემენტებზე, როგორიცაა ურბანიზაცია, გენდერი და შემოსავლების უთანასწორობა, შესაბამისი უნარების გამომუშავება და განათლება, პოლიტიკური კომუნიკაციისა და მედიის როლი, ბიუროკრატიული კორუფცია და ა.შ. უფრო ფართო დონეზე მოდერნიზაცია იყო ორიენტირებული პროცესებზე ერებში, მათ საზოგადოებებში, ეკონომიკებსა და პოლიტიკაში. სოციალური ფასეულობების ცვლილებების გააზრება, გამომდინარეობს იმ იდეისგან, რომ უფრო მეტად განვითარებულმა მოდერნიზებულმა საზოგადოებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვადასხვა სოციალურ ფაქტორებზე (გორჰა, 2017).

მაგრამ კონკრეტულად, ის რაც ჩვენ გვაინტერესებს, არის სეიმურ ლიფსეტის დემოკრატიზაციის თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ განვითარებაზე, როგორც სტაბილური დემოკრატიის განმაპირობებელ ფაქტორზე. 1959 წლის სტატიაში, "დემოკრატიის ზოგიერთი სოციალური მდგომარეობა: ეკონომიკური განვითა-

რება", ლიფსეტი ამტკიცებს, რომ რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა ეკონომიკურად, მით უფრო სავარაუდოა, რომ ქვეყანა გახდება დემოკრატიული და მისთვის იქნება დამახასიათებელი სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა (როუზი, 2016). ლიფსეტი თავის კვლევაში მიმოიხილავს ლათინური ამერიკის და ევროპის არაერთ ქვეყანას და იყენებს რამდენიმე სხვადასხვა ინდიკატორს. მაგალითად, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, განათლების დონე, ურბანიზაცია და ქვეყნის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც ჩართულია სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ის ამ ინდიკატორებს ცალ-ცალკე განიხილავს, ისინი მეტყველებენ სეიმურ ლიფსეტის თავდაპირველი ჰიპოთეზის გასამყარებლად, რომ დემოკრატია და საზოგადოებებში მიმდინარე განვითარებითი პროცესები ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს კი აჩვენებს, რომ თუ განვითარებულია სახელმწიფო ეკონომიკურად, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის აღმოცენების შანსი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს შეიძლება მოხდეს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში. ლიპსეტის კვლევამ აჩვენა, რომ მოდერნიზაციისათვის პირველი ნაბიჯი არის ურბანიზაცია, რასაც მოჰყვება მედიის განვითარება და განათლების დონის ზრდა. შემდეგი ნაბიჯი არის სწრაფი ინდუსტრიული განვითარება, რაც ხელს უწყობს საკომუნიკაციო ქსელების გაუმჯობესებას. თანამედროვე საკომუნიკაციო ქსელების განვითარება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, როგორიცაა კენჭისყრა და მოქალაქეების მონაწილეობა თავიანთი მთავრობების გადაწყვეტილებებში (ლიფსეტი, 2010). დემოკრატიზაციის შესახებ ლიპსეტის მოსაზრებაზე მეტწილად გავლენა იქონია ლერნერმა (1958), რომელიც ასაბუთებდა, რომ ურბანიზაცია, განათლება და მედია-კომუნიკაციები არის საკვანძო ფაქტორები ინდივიდუალური მოდერნიზაციისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისა (ვუჩერპფენიგ ჯ., დოიჩ ფ., 2009).

ვფიქრობ, მოცემული თეორიული ჩარჩო მოგვცემს საშუალებას უკეთ გავერკვეთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ საკვლევ საკითხში. ჩვენი კვლევის ობიექტიც ხომ სწორედ მოდერნიზაცია და ევროპის იდეაა, რომლებსაც პარალელურად ვიკვლევ საქართველოს სამ ისტორიულ ეტაპში. ამიტომ მივიჩნევ, რომ მოდერნიზაციის თეორია ჩემი კვლევის შესაბამისი თეორიული ჩარჩოა და კარგ სამსახურს გაგვიწევს შესაბამისი დასკვნების გამოსატანად

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს აღწერილობით და ანალიტიკურ კვლევას. ჩემი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოვიყენებ შემოწმებად და მეცნიერულ მეთოდებს. შესაბამისად, ნაშრომის ზოგადი მეთოდოლოგიური ჩარჩოა დესკრიპციული მეთოდი. წარმოდგენილი დისერტაციის ფორმატის მიხედვით, ვფიქრობ, რომ დესკრიპციული მეთოდი ყველაზე უკეთ დაგვეხმარება დასახული მიზნების მიღწევაში. კვლევისას აქცენტს ვაკეთებ რამდენიმე ძირითად ცვლადზე, რომლებიც ქმედითად ზემოქმედებენ, საქართველოში მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის იმპლემენტაციის პროცესზე. მოცემული ცვლადებიდან, ორი დამოუკიდებელია და ორიც დამოკიდებული. ეს ცვლადებია:

ა) დამოუკიდებელი ცვლადი: ისტორიული კონტექსტი;

ბ) დამოუკიდებელი ცვლადი: არსებული საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება;

გ) დამოკიდებული ცვლადი: საზოგადო მოღვაწეებისა და პოლიტიკოსების გავლენა მოდერნიზაციის და ევროპის იდეის იმპლემენტაციის პროცესში.

დ) დამოკიდებული ცვლადი: საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებზე.

შესაძლებელია მხოლოდ ეს მოცემული ცვლადები არ მოგვცემს ყოვლისმომცველი პასუხების გაცემის საშუალებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი დისერტაციის ფორმატის შესაბამისად, აღნიშნულ ცვლადებზე ყურადღების გამახვილება უკეთ დამეხმარება ძირითადი დასკვნების გამოტანაში.

კვლევის დიზაინი

ნაშრომის ძირითადი ნაწილი იყოფა შემდეგ ოთხ თავად:

1. ძირითადი ცნებები;
2. ლიბერალიზმის აღმოცენება და მოდერნიზაციის იდეა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში;
3. სოციალ-დემოკრატიული მოდერნიზაციის პროექტი მე-20 საუკუნის დასაწყისში;
4. ევროპის იდეის დაბრუნება პოსტ-საბჭოთა და თანამედროვე საქართველოში.

სანამ მოვახდენთ ზოგადად ევროპის იდეის ცნების გააზრებას, უნდა განვსაზღვროთ ევროპის ფართო „მნიშვნელობა“, რა არის მისი წარსული და დღევანდელი განმარტება? რას ნიშნავს ევროპეიზაცია?

რას ნიშნავს ევროპული იდენტობა? ხოლო ამის შემდეგ მივიდეთ იმ დასკვნამდე, თუ რას ნიშნავს ევროპის იდეის ცნება. უფრო კონკრეტულად, რომ განვმარტოთ კვლევის ძირითად ნაწილში ჩვენ მოვახდენთ კონცეფციების განმარტებას. ჩამოვაყალიბებთ თუ რა არის ევროპის იდეა და რა არის მოდერნიზაცია. ევროპის იდეის გაანალიზების მიზნით ვიმსჯელებთ იმ თითოეული ღირებულების შესახებ, რომელიც ამ ცნებების ნაწილად მიგვაჩნია. ჩვენ შევეცდებით, ავხსნათ მათი შინაარსი, გავიგოთ თუ რა ისტორიული ფესვები გააჩნია მათ, როგორ განმარტავენ მათ სხვადასხვა ავტორები, როგორ სჩანს ისინი იმ ევროკავშირის თვალით, რომელიც ევროპის იდეის განსხეულებულ ინსტიტუტად მიგვაჩნია. თითოეული მათგანის მიმოხილვით, გახდება ნათელი თუ რას გულისხმობს ევროპის იდეა და რისი კვლევა უნდა მოვახდინოთ საქართველოს შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრავთ ევროპის იდეის შინაარსს და გავიაზრებთ ამ ტერმინის ძირითად არსს, გაჩნდება კიდევ ერთი შეკითხვა. თუ ვიცით, რა არის და სად არის ევროპა, ვხედავთ და ვგრძნობთ ევროპეიზაციის პროცესს, შეგვიძლია მოვახდინოთ ადამიანების იდენტიფიცირება, როგორც ევროპელების? საინტერესოა, თუ რა არის ევროპული იდენტობა, ევროპული თვითაღქმა, ვინ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მასთან და რატომ? არსებობს თუ არა საერთოდ ევროპელი ხალხის ცნება? როგორ გამოირჩევიან ისინი სხვებისგან? აქვთ რაიმე სხვა კულტურული ან სამოქალაქო განსხვავებები? როგორი სახის იდენტობას ვხვდებით ევროპაში? აქ კი საინტერესო იქნება შევისწავლოთ ევროპის კავშირის პოლიტიკაც ამ საკითხებთან მიმართებაში და დავადგინოთ სად არის საქართველოსთვის ადგილი ამ სივრცეში, არის თუ არა იგი ამ პოლიტიკის ნაწილი და ახდენენ თუ არა ქართველები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ევროპელებად? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი კვლევის საგანი ევროპის იდეა, ყველა თავისი კომპონენტით განსხეულებულია სწორედ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორიცაა ევროპის კავშირი. თუ ქართველი ხალხი მიისწრაფვის გახდეს ევროპის, ევროპეიზაციის პროცესის თუ ევროპის იდეის ნაწილი, მაშინ მან უნდა მიაღწიოს ამ ორგანიზაციის წევრობას და დააკმაყოფილოს ყველა ის პრინციპი, ღირებულება და კრიტერიუმი, რომელიც მოთხოვნილია ევროკავშირის მიერ.

ევროპის იდეის ცნების ფორმულირების შემდეგ, საჭირო იქნება დეტალური გააზრება მოდერნიზაციის იდეის. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ იმ ავტორთა იდეები და შეხედულებები, რომლებიც სწავლობდნენ მოდერნიზაციის კონცეფციას და მის ფენომენს. ამის შემდეგ, ვნახავთ, რამდენად შეესაბამება მოდერნიზაციის ცნება ევრო-

პის იდეას. ასევე, ვნახავთ, ევროპის იდეა მოიცავს თუ არა მოდერნიზაციის კონცეფციას და არსებობს თუ არა მოდერნიზაცია ევროპის იდეის გარეშე? ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ჩვენს შემდგომ კვლევას საქართველოს შესახებ, რის შემდეგადაც შევისწავლით ამ ქვეყანაში მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის სახელით განხორციელებულ პროექტებს. ვნახავთ, რამდენად თანაზიარნი არიან ისინი საქართველოში. არიან თუ არა ასოცირებულნი ერთმანეთთან და შეეძლოთ თუ არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა. ხოლო მას შემდეგ რაც საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის ცნებებს, შევისწავლით, როგორ ხედავენ ქართველები ამ ორ კონცეფციას. ვინ ანუ რომელი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები საუბრობდნენ და წერდნენ ევროპის იდეებზე საქართველოს წარსულში და თანამედროვე ეპოქაში? გამოიყენეს თუ არა ევროპის იდეა საქართველოში საკუთარი მოდერნიზაციის პროექტების გასამართლებლად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში? შეძლეს თუ არა მათ თავიანთი იდეებისა თუ პროექტების განხორციელება და რა იყო მათი მოტივაცია?

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სადისერტაციო კვლევა დაფუძნებული იქნება ერთი ქვეყნის მაგალითზე, სადაც მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის ურთიერთდამოკიდებულება განხილული იქნება სამი სხვადასხვა პერიოდის მიხედვით:

1. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ლიბერალიზმისა და მოდერნიზაციის იდეის აღმოცენება და ლიბერალური მოდერნიზაციის პროექტისთვის ევროპის იდეის გამოყენება; კვლევის ფარგლებში ჩვენ მოვახდენთ ყველა ქართულენოვანი ლიტერატურის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება და ეხება ევროპას, ევროპულ იდეას, დემოკრატიას, ლიბერალიზმსა და მოდერნიზაციას საქართველოში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავეცნობით აბსოლუტურად ყველა ლიტერატურას, რომელიც კი ამ თემაზე იქნა დაწერილი და გამოცემული.

2. მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციალ-დემოკრატიული მოდერნიზაციის პროექტი, მისი პრაქტიკაში განხორციელება თანამედროვე ევროპული სტილის სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში; კვლევის ფარგლებში ჩვენ მოვიძიებთ თითქმის ყველა არსებულ ლიტერატურას, კვლევასა და ნაშრომს, რაც კი აღნიშნულ საკითხს ეხება. დავამუშავებთ და ვეცდებით გავცეთ პასუხი ჩვენ მთავარ კითხვას. ვინ იყვნენ ის ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ევროპულ იდეასა და მოდერნიზაციას გაუძღვა წინ, ვინ არიან მათი მთავარი იდეოლოგები და რა კონკრეტული პროექტები განახორციელეს საქართველოში ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის დანერგვის მიზნით.

3. თანამედროვე, პოსტ-საბჭოთა პერიოდის რეფორმები, მოდერნიზაცია და ამ მიზნით ევროპის იდეის გაგება. კვლევის ამ ნაწილში მოვახდენთ თანამედროვე ეპოქის კვლევასა და ანალიზს. უფრო კონკრეტულად კი, შევისწავლით მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის მესამე ტალღის ეტაპს, დროს 2003 წლიდან ანუ ვარდების რევოლუციიდან 2014 წლამდე, როდესაც საქართველო გახდა ევროპის კავშირის ასოცირებული წევრი. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ წარმოვადგენთ ევროპის იდეის კომპონენტების და მოდერნიზაციის იდეას ასახულს ციფრებში. კვლევის ამ ნაწილში ვნახავთ თუ რა შედეგები გამოიღო ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის სამმა ტალღამ, რომელსაც მრავალი ადამიანის ფასდაუდებელი შრომა, ბრძოლა, ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი შეეწირა. განხორციელდა კი მოდერნიზაცია და ევროპის იდეა იმ კუთხით, რისკენაც მიისწრაფოდნენ ამ ფასეულობების შემომტანები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში? და თუ განხორციელდა რა მასშტაბით, რა შედეგები გვაქვს საუკუნე ნახევრის შემდეგ?

აღნიშნული ისტორიული პერიოდების შესწავლის შედეგად ვნახავთ, ევროპის იდეის სახელით რა პროგრესული ცვლილებები განხორციელდა დროის ამ სამივე მონაკვეთში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამართლებრივ სფეროებში.

კვლევითი შეზღუდვები

როგორც კვლევის დიზაინიდან ჩანს, ჩვენი დისერტაცია ვერ მოიცავს მე-19 საუნინის მეორე ნახევრიდან ყველა ეპოქას და შესაბამისად ყველა აქტორს, ვისაც კი მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება ჰქონდეს, როგორც ევროპის იდეის დანერგვაში, ასევე მოდერნიზაციაში. ვფიქრობ, რომ საკითხი საკმაოდ ფართოდმომცველია, ამიტომ მე მომინია არჩევანის გაკეთება შემეზღუდა კვლევის ჩარჩოები და საქართველოში ფორმირებული ევროპის იდეა და მოდერნიზაცია შემესწავლა მხოლოდ იმ რაკურსით, რომელიც უფრო რელევანტურად მივიჩნიე. ეს რა თქმა უნდა არ აკნინებს სხვა კვლევით ობიექტებს, რომელიც ამ კვლევაში არ არის, პირიქით, ისინი ცალკე შესწავლასა და მუშაობას საჭიროებს, რომელსაც ეს ერთი დისერტაცია ვერ ეყოფოდა. შესაბამისად, კვლევის მიღმა დარჩნენ ის პიროვნებები, რომლებსაც წვლილი მიუძღვის ევროპის იდეის დამკვიდრებაში, მაგრამ არ იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პროექტის ნაწილი. ასეთებია მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც წვლილი მიუძღვით თანამედროვე ქართველი ერის ფორმირებაში.

ასევე, სრულიად კვლევის მიღმაა დარჩენილი საქართველოს საბჭოთა ისტორია, რა დროსაც მოხდა ინდუსტრიალიზაცია და

ინფრასტრუქტურის ისეთი მოდერნიზაცია, რომელიც დღესაც ქმნის თანამედროვე საქართველოს ძირითად ინფრასტრუქტურულ სახეს. ეს პერიოდი, თავისი სხვადასხვა ისტორიული მონაკვეთებით უდაოდ საინტერესო და ღირებულია კვლევითი თვალსაზრისით.

და ბოლოს, მე ასევე მოკლედ მიმოვიხილავ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულს, პირველ და მეორე პრეზიდენტებს, რომლებსაც ასევე წვლილი მიუძღვით თანამედროვე საქართველოს ფორმირებაში და სრულიად ახალი კვლევითი ნაშრომის საგანია. ამ პერიოდში მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, პლურალისტული პოლიტიკური გარემოს შექმნა, განაცხადის გაკეთება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ და საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ევროპის იდეის მომწიფებას საზოგადოებაში და მის ზეწოლას პოლიტიკოსებზე სახელმწიფოს დაეწყო სწრაფი დემოკრატიული და მოდერნისტული რეფორმები.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ შეზღუდული ვარ კვლევის რაოდენობაში და არჩევანი უნდა გამეკეთებინა იმ რაკურსით კვლევაზე, რომელიც ჩემთვის რელევანტურად მიმაჩნდა. სწორედ ამიტომ გავაკეთე აქცენტი თერგდალეულებზე, სოციალ-დემოკრატებზე და ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელებულ პროექტებზე. ჩვენ სწორედ ამ სამ ეპოქაზე გავაკეთებთ აქცენტს და ვნახავთ რა სახით იყო წარმოდგენილი ევროპის იდეა და მოდერნიზაციის პროცესები.

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენებთ ყველა შესაბამის წიგნს, პუბლიკაციას, გამოსვლებს, განცხადებებს, სტატიებს, ინტერვიუებს და სტატისტიკურ მონაცემებს. კვლევის ანალიზის მიზნით ჩვენ ასევე გამოვიყენებთ ინტერნეტში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. დავამუშავებთ მოდერნიზაციასთან, ევროპის იდეასთან, ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ეფუძნება შესაბამის წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას.

გამოყენებული ლიტერატურა შეიძლება დაჯგუფდეს ჩვენი ნაშრომის ძირითადი ნაწილის მიხედვით. პირველ ეტაპზე მიმოვიხილავთ ლიტერატურას, რომელიც მოიცავს ევროპის იდეასა და მოდერნიზაციას. შემდეგ შევისწავლით მე-19 საუკუნეში მცხოვრები ავტორებისა და იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების შრომებს. ამის შემდეგ მიმოვიხილავთ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებლების და მათი მოღვაწეობის მკვლევარების ნაშრომებს. დაბოლოს, გავაანალიზებთ იმ ავტორთა ლიტერატურას, რომლებიც მუშაობენ თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.

ძირითადი ცნებების შესწავლის მიზნით, თავდაპირველად გავეცნობი იმ ავტორთა კვლევებს, რომლებიც მუშაობდნენ მოდერნიზაციის ფენომენზე. ამის შემდეგ, ვნახავ რამდენად თანხვედრაშია მოდერნიზაცია და ევროპის იდეა ერთმანეთთან. ამ კონცეფციებზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა და სამართალმცოდნემ უკვე განსაზღვრა თითოეული მათგანი, თუმცა კი არ არსებობს ისეთი ერთი დეფინიცია, რომელზეც ყველა თანხმდება. თუმცა, რამდენიმე ძირითადი ავტორის შეხედულებების მიმოხილვით ვეცდებით გამოვყოთ ჩვენი ცნებების ძირითადი არსი. ვნახავ რა ფაზებში გაიარა ევროპის იდეამ და რამდენად კორელაციაშია იგი ქართულ რეალობას დროისა და იდეების თვალსაზრისით. დავინახავ, ჩამოყალიბდა თუ არა ევროპის იდეა დასავლეთ ევროპასა და საქართველოში თითქმის იმავე პერიოდში. თუ არა, მაშინ რამდენად გვიან გავრცელდა ევროპის იდეა საქართველოში.

სანამ ზოგადად ევროპის იდეის გააზრებას მოვახდენთ, პირველ რიგში უნდა განვმარტოთ მის შემადგენელი კომპონენტები. ესენია: "ევროპა", "ევროპეიზაცია" და "ევროპული იდენტობა". მეცნიერი ბოერი წერს ევროპის პოლიტიკურ შინაარსზე და ამბობს, რომ ფრანგული განმანათლებლობის შემდეგ ამ კონტინენტმა მიიღო უკვე პოლიტიკური მნიშვნელობაც. განმანათლებელი ფილოსოფოსები ავრცელებდნენ თავიანთ ხედვას თუ როგორი უნდა ყოფილიყო ევროპისა და მისი ხალხის უკეთესი მომავალი. შესაბამისად, გავრცელდა იდეალები თავისუფლების, თანასწორობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ (ბოერი, 2000). რაც შეეხება ევროპეიზაციას, იგი კარგად არის ახსნილი მეცნიერების დენალტისა და რამფორდის წიგნში, სადაც ამბობენ, რომ ევროპეიზაცია გულისხმობს ძირითადი სოციალური გარდაქმნების კულტურულ და ეპოქალურ მნიშვნელობას. სწორედ ამიტომაა, რომ ევროპულმა ინტეგრაციამ მოიტანა ფართომასშტაბიანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები. ევროპეიზაციის პირობებში, გაჩნდა ახალი პროცესები, რომლებიც ნაციონალური საზოგადოებების საზღვრებს მიღმა ხორციელდება და ევროპული სოციალური სივრცე სულ უფრო აქტუალური გახადა (დენალტი და რამფორდი, 2005). პროფ. მორტი განმარტავს, რომ ევროპეიზაცია ინსტიტუციონალიზაციის პროცესია, რომელშიც ახალი წესები და აზროვნების ახალი გზები ვითარდება. თუმცა, ეს დამოკიდებულია ევროკავშირზე და ძნელი წარმოსადგენია ისეთი ევროპული პოლიტიკური პროცესები და საკითხები, რომლებიც არ უკავშირდებოდეს ევროკავშირს. დღესდღეობით, ევროკავშირისა და ეროვნული საკითხები ურთიერთდაკავშირებულია. ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს რეგულირების მექანიზმები ადგილობრივი ცვლი-

ლებებისთვის. სწორედ ეროვნულ და ევროპულ დონეზე არსებული მრავალი აქტორი ქმნის იმ ტრანსნაციონალურ პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია თამაშის ახალი წესები (მორტი, 2003). უფრო მეტიც, პროფ. ლუკარელის თქმით, ევროპული იდენტობა საერთაშორისო ფენომენია, ხოლო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა პირდაპირ ხელს უწყობს ევროპელებს სარკეში დაინახონ არა მარტო საკუთარ თავი, არამედ „სხვებიც". ეს კი მნიშვნელოვანია თვითიდენტიფიკაციისა და აღმქმისათვის (ლუკარელი, 2008).

ამ კონცეფციების ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა ისეთი ავტორების გაცნობა, რომლებიც ევროპის იდეას იკვლევენ. ყველაზე საინტერესოა მკვლევარები უილსონი და დუსენი თავიანთი წიგნით „ევროპის იდეის ისტორია". მათი აზრით, ევროპის იდეის მთავარი ბირთვი არის ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები (უილსონი კ. ჯ., დუსენი ვ. დ., 1995). იგივე აზრს იზიარებენ ლუკარელი და მანერსი თავიანთ წიგნში „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ღირებულებები და პრინციპები". სწორედ აქ არის **ჩამოთვლილი ზუსტად ის ღირებულებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპის იდეისთვის. ესენია: მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სეკულარიზმი და გარემოსდაცვა.** ეს პრინციპები ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (ლუკარელი და მანერსი, 2006). ხოლო მე ევროპის იდეის ზუსტ ფორმულირებას, სწორედ ამ ღირებულებების განხილვის შემდეგ ჩამოვაყილებებ.

როგორც აღვნიშნე, ევროპის იდეის ფორმულირების შემდეგ, აუცილებელია ზუსტად განვსაზღვროთ მოდერნიზაციის ცნება. ამ საკითხზეც მრავალი ლიტერატურა არსებობს, საიდანაც გამოირჩევა მაქს ვებერის შეხედულებები. ის თვლიდა, რომ მოდერნიზაცია განისაზღვრება როგორც „ფუნქციური დიფერენციაციისა და სეკულარული სფეროების ემანსიპაციის პროცესი. პირველ რიგში კი გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების, ეკონომიკისა და მეცნიერების რელიგიური გავლენისაგან გათავისუფლებას და მისთვის ახალი გარემოს შექმნას" (მაველი, 2012).

მას შემდეგ, რაც შევისწავლი ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის კონცეფციებს, ჯერი დადგება იმ ქართველი მოღვაწეების, რომლებმაც საქართველოში სხვადასხვა ფორმით შემოიტანეს და დანერგეს ევროპული ფასეულობები. ამ ხალხს „თერგდალეულებს" ეძახდნენ. მე განვიხილავ, როგორც მათ ნაშრომებს, ასევე იმ მეცნიერთა კვლევებს, რომლებიც მათ მოღვაწეობას სწავლობდნენ. ამ მხრივ, ერთი საყურადღებო საკითხია. მრავალი ნაშრომი გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის დროს, რაც ნიშნავს, რომ მათ ცენზურის ქვეშ გაიარეს. ზოგი

წიგნი გამოიცა 1990-იან წლებში, როდესაც ნაციონალისტური იდეები ჭარბობდა, როგორც საზოგადოებაში, ისე აკადემიურ სფეროში. ამიტომაც ვხვდები მწერლობას, რომელსაც აკლია სამეცნიერო ლექსიკა და გამოირჩება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწეების პათეტიკური დიდებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულების შესახებ უამრავია კვლევაა ჩატარებული. შესაბამისად, ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ იმ ლიტერატურის სიცარიელის ამოვსება, რომელსაც ჩემი კვლევა ისახავს მიზნად, რთულია. თუმცა, წინამდებარე დისერტაცია გააერთიანებს იმ ნაშრომების ელემენტებს, რომელიც უკავშირდება ევროპის იდეასა და ევროპეიზაციას. ჩემი ინფორმაციით კი მსგავსი მიდგომა სხვა ბევრ მკვლევარს ჯერ არ ჰქონია. თერგდალეულების ძირითადი ფიგურები, რომლებსაც მე მიმოვიხილავ, არიან ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, დიმიტრი ყიფიანი და იაკობ გოგებაშვილი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპის იდეის არსი ასე დეტალურად არც ერთ ქართველ მკლევარს არ აუხსნია. მეტიც, ქართველი ავტორებისთვის ევროპა, ევროპული იდეა, ის ღირებულებები, რომელიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, როგორც ევროპული იდეის შემადგენელი ნაწილი, მათ შორის დემოკრატია, ლიბერალიზმი და მოდერნიზაცია, ერთმანეთთან ასოცირდება და ხშირ შემთხვევაში სინონიმებიც კია. ისტორიის მკვლევარი გაფრინდაშვილი წერს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის ზღვარი გავლებული საერთოდ არ იყო. იმ პერიოდში ლიბერალებს ეძახდნენ თავისუფლების მოყვარე ადამიანებს, მათ შორის თავად-აზნაურობას, რომელსაც ამ სისტემის გაუქმება და გლეხებისათვის თავისუფლების მინიჭება სურდათ. როგორც წესი იმ დროის ლიბერალები იმაზე მეტს ითხოვდნენ, ვიდრე ეს შესაძლებლად წარმოედგინათ (გაფრინდაშვილი მ., 1998). საინტერესოა ასევე ის, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებში ევროპული ცივილიზაცია დასავლურ ცივილიზაციად ასოცირდება. პროფ. მაია ხეცურიანი თავის წიგნში „ევროპის ცივილიზაციის ისტორია“ აღნიშნავს, რომ ევროპულ ცივილიზაციასთან ერთად უნდა განიხილებოდეს აშშ, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოები. ისინი არ შეიძლება ცალკე ცივილიზაციად იქნას განხილული და ერთიან, დასავლურ სამყაროს ქმნის (ხეცურიანი, 2004). დისერტაცია კიდევ უფრო საინტერესოა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ თერგდალეულებს არ შეუქმნიათ რაიმე თეორიული ტრაქტატები, მაგრამ ყველა მათი ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილიდან ჩანს ევროპული იდეისადმი ერთგულება და მისი საქართველოს სპეციფიკისადმი მისადაგება. აკაკი ჯორჯაძე წერდა, რომ „მათ შემოიტანეს ევროპაში არსებული სოცი-

ალურ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები... ამ პერიოდიდან იწყება ქართული აზროვნების გაევროპელება. და თუ მაინც საჭიროა ამ ეპოქის დეფინიცია, მისთვის დამახასიათებელი თვისებაა - ლიბერალ-დემოკრატიზმი" (ჯორჯაძე, 1989).

რაც შეეხება ამ პერიოდში განხორციელებულ მოდერნისტულ პროექტებს, ზოგიერთი ქართველი მკვლევარი ზუსტად აღწერს რა სახის ცვლილებები მოჰყვა მათ. მოდერნიზაცია არ ეხებოდა მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს. ეს საზოგადოების ტრანსფორმაციას და განვითარებასაც გულისხმობდა. ამ შემთხვევაში კი მოდერნიზაციის განვითარებამ პატარა სახელმწიფოების კულტურებში ადგილობრივი ტრადიციების დათრგუნვის ხასიათი მიიღო, რაც ადგილობრივი კულტურების თავისთავადობის დაკარგვის ტოლფასი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოდერნიზაცია ევროპული იდეის მატარებელი ხდებოდა და მოდერნიზაცია დასავლური ცივილიზაციის ტიპის განვითარებას, ევროპეიზაციას გულისხმობდა (წერეთელი, კაკიტელაშვილი, 2006).

დისერტაციის მომდევნო ნაწილი ეძღვნება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამ პერიოდის შესახებ დაწერილი ლიტერატურა ასევე შესაძლოა მიკერძოებული იყოს. რადგან თუ თერგდალეულებს საბჭოთა პროპაგანდისტები იყენებდნენ თავიანთი მიზნებისთვის და ხატავდნენ მათ, როგორც მხოლოდ ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლებად, სოციალ-დემოკრატებს, უფრო რადიკალური მეთოდებით ებრძოდნენ. დიდი რაოდენობით მასალები, რომლებიც არ შეესაბამებოდა საბჭოთა დღის წესრიგს, აკრძალული იყო. დიდი დრო არაა გასული, რაც მეცნიერებმა მათ შესახებ კვლევა და აღმოჩენების გაკეთება დაიწყეს. ამ მხრივ, ჩემი მიზანია ობიექტურად წარმოვადგინოთ სოციალ-დემოკრატების წვლილი თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. ამ თვალსაზრისით მე შევისწავლი ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს ნაწერებს. ასევე, მიმოვიხილავ იმ მკვლევარების ნამუშევრებს, რომლებიც სწავლობდნენ აღნიშნულ პერიოდს. ამასთან, ძალიან ფრთხილი ვიქნები ჩემ შეფასებებში, რადგან მოვლენებს, რომლებსაც მე ვსწავლობ, პოლიტიკური შინაარსი აქვს და ავტორები, როგორც წესი, მათ აფასებენ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებისამებრ. ჩემი მიზანია, მხოლოდ ფაქტები ამოვიღო ქართველი მკვლევარების ნამუშევრებისგან და გავაკეთო საკუთარი ანალიზი. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების მკაცრი გამიჯვნა რელიგიური ინსტიტუტებისგან და სეკულარიზაცია დ. გეგენავას უარყოფით მოვლენად აქვს შეფასებული (გეგენავა, 2013). მაშინ როდესაც იგივე მოვლენა შეიძლება შეფასდეს, როგორც სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდის უდიდესი მკვლევარი არის ვ. გურული, რომელმაც მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით. ამასთან, სეკულარიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები მასსაც უარყოფითად აქვს აღქმული და შეფასებული. მისი თქმით, სეკულარიზაციის პოლიტიკა აყვანილი იყო ხელისუფლების პირველი პირების დონეზე. ისინი არ მონაწილეობდნენ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში. უფრო მეტიც, ნოე ჟორდანიამ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მის ლოცვებში მოხსენიების წინააღმდეგიც კი წავიდა და მასთან სადარბაზოდ მისულ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს მხოლოდ კაბინეტიდან გასულს დაანია თანხმობა (გურული, 2008).

ამას გარდა, საინტერესოა იმ მკვლევარების ნაშრომები, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას ეხება. ქალთა ემანსიპაციის მკვლევალი ლ. გაფრინდაშვილი წერს, რომ ქართველი ქალების პოლიტიკურად გააქტიურება სწორედ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იკიდებს ფეხს. მისი დასკვნით არსებობდა ქართული ფემინიზმის ფენომენი, რომელიც შემოსული იდეების უბრალო გადმოტანა კი არ იყო, არამედ ორგანულ საჭიროებებთან მორგება (გაფრინდაშვილი ლ, 2008).

სოციალ-დემოკრატების შესწავლა წარმოუდგენელია ისეთი ავტო-ბიოგრაფიების გაცნობის გარეშე, როგორიც დაწერა ნოე ჟორდანიამ, შალვა მაღლაკელიძემ და კარლ კაუცკიმ, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა (კაუცკი, 1921). სტეფან ფ. ჯონსის წიგნიც უაღრესად საინტერესოა. მისი თქმით, ქართველი მენშევიკები განსხვავდებოდნენ რუსეთის ბოლშევიკური და თუნდაც მენშევიკური წრეებისგან, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ წვრილ არისტოკრატიას, რომლებიც სოფლად დაიბადნენ და გლეხებთან ერთად იზრდებოდნენ. საქართველოში მათ შორის განსხვავება ისეთი დიდი არ იყო როგორც რუსეთში. ასევე სწავლობდნენ ადგილობრივ სემინარიებში და არა სეგრეგაციულ გიმნაზიებში. შესაბამისად, სოციალური თანასწორობა აისახა კიდეც პარტიულ საქმიანობაში. ამას გარდა საქართველოში მუშათა კლასი მრავალეთნიკური ხასიათის იყო, რის გამოც ქართველ სოციალ-დემოკრატებს მოუწიათ ფართო იდეოლოგიური სახურავის შექმნა მრავალფეროვანი ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თერგდალეულების მუდმივ კრიტიკაში იყვნენ, ისინი მათი პრაქტიკული საქმეების მემკვიდრეებიც აღმოჩნდნენ და ბუნებრივად ჩაერთნენ კულტურულ, სამოქალაქო, საქველმოქმედო საქმიანობებში (ჯონსი, 2007).

დისერტაციის ბოლო ნაწილი მოიცავს 2003 წლიდან 2016 წლამდე პერიოდს, როდესაც საქართველო გახდა ევროკავშირის ასოცირებული წევრი. კვლევის ეს პერიოდი ასევე საჭიროებს სიფრთხი-

ლეს, რადგან თუ წინა თავებში გამოყენებული მასალები განიცდიდნენ საბჭოთა კავშირის ცენზურას, საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მონაკვეთი კვლავ განიხილება თანამედროვე პერიოდად. ამ პერიოდში მოღვაწე საზოგადო და პოლიტიკური აქტორები კვლავ საზოგადოებრივ ასპარეზზე არიან. მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები კვლავ განხილვის საგანია, ამიტომ ობიექტურობის შენარჩუნება რთულია. ვეცდები სადისერტაციო ნაშრომში შევაგროვო მხოლოდ ფაქტები და გადავხედო ორმხრივ შეფასებებს, რათა ავაკეთოთ მაქსიმალურად ობიექტური ანალიზი. მაგალითად, კორუფციის შემცირების, ადმინისტრაციის გაუმჯობესებისა და ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციის შედეგად მიღწეული პროგრესი ადეკვატურად აისახა 2006 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშში და ბიზნესის მიმზიდველობის (Doing Business) მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ნომერ პირველი რეფორმატორ ქვეყნად გამოცხადდა და რეიტინგში ერთ წელიწადში 75 ადგილით გადაინაცვლა - 112-დან 37-ე ადგილზე (საქართველოს მთავრობა, 2006). ამავე დროს, მე გამოვიყენებ ისეთი კრიტიკული შეხედულების ავტორებს, როგორიც თ. ხიდაშელია (2011), რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში არსებობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უკიდურესად დაბალი ხარისხი. ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და დროებით მოთავსების იზოლატორებში დაფიქსირდა არაადამიანური და ღირსების დამამცირეველი მოპყრობის გახშირებული ფაქტები (ხიდაშელი, 2011).

როგორც ვხედავთ, ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი დამეხმარება ჩემი კვლევა მივმართო ყველაზე აქტუალური საკითხებისაკენ. ვიმედოვნებთ, მოძიებული ბიბლიოგრაფია და ზოგადი კვლევა მოგვცემს შესაძლებლობას ჩვენი თეზისი საინტერესო გახდეს, როგორც ქართველი, ასევე სხვა ევროპელი მოქალაქეებისთვის და არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებისთვის, არამედ პოლიტიკური და ისტორიული საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის და სხვა მკითხველებისთვის.

თავი 1.
ძირითადი ცნებები

საქართველოში განხორციელებული მოდერნიზაციის პროექტებისა და ევროპის იდეის გასააზრებლად, თავდაპირველად აუცილებელია განვსაზღვროთ თუ რას მოიცავს თავად მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის ცნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ უნდა გვესმოდეს თავად ევროპის იდეის შინაარსი, უნდა განვსაზღვროთ ევროპის ფართო „მნიშვნელობა", რა არის მისი წარსული და დღევანდელი განმარტება? რას ნიშნავს ევროპეიზაცია? რას ნიშნავს ევროპული იდენტობა? ამ კონცეფციებზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა და იურისტმა უკვე განსაზღვრა თითოეული მათგანი, თუმცა კი არ არსებობს ისეთი ერთი დეფინიცია, რომელზეც ყველა თანხმდება. შესაბამისად, ჩვენ მიმოვიხილავთ რამდენიმე ძირითადი ავტორის შეხედულებებს და ვეცდებით გამოვყოთ ჩვენი ცნებების ძირითადი არსი. ევროპის იდეის გაანალიზების მიზნით, შემდეგ თავებში ვიმსჯელებთ იმ თითოეული ღირებულების შესახებ, რომელიც ამ ცნებების ნაწილად მიგვაჩნია. ჩვენ შევეცდებით, ავხსნათ მათი შინაარსი, გავიგოთ თუ რა ისტორიული ფესვები გააჩნია მათ, როგორ განმარტავენ მათ სხვადასხვა ავტორები, როგორ სჩანს ისინი იმ ევროკავშირის თვალით, რომელიც ევროპის იდეის განსხეულებულ ინსტიტუტად მიგვაჩნია.

„ევროპა"

საინტერესოა, რომ „ევროპის" თანამედროვე განმარტება სრულიად განსხვავდება საუკუნეების წინანდელი განმარტებისგან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არ არსებობს მარტივი და პირდაპირი პასუხი, იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ევროპა. მისი შინაარსი მუდმივად იცვლებოდა და სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა განმარტება ჰქონდა (ვილსონი და დუსენი, 2000). ჩვენ შევეცდებით მოვახდინოთ მისი როგორც წარსული, ასევე თანამედროვე ახსნა. ევროპის იდეის ის განმარტება, რაზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, მოიცავს ღირებულებების ერთობლიობას და აღმოცენდა მხოლოდ მე-18 საუკუნეში, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში. მანამდე მას გარკვეული გეოგრაფიული მნიშვნელობით იყენებდნენ და ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე, განსხვავებული ინტერპრეტაცია გააჩნდა. მაგალითად, ანტიკური საბერძნეთის პერიოდში ევროპა ასოცირდებოდა თავისუფლებისა და დემოკრატიის აკვანთან, შუა საუკუნეებში - ქრისტიანობასთან, მე-16 საუკუნიდან - ძალთა ბალანსთან და მე-18 საუკუნიდან - უმაღლეს ცი-

ვილიზაციასთან. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ იგი განვითარებისა და ცვლილებების სახედ იქცა, თუმცა ამავე დროს, ცდილობდა დაეცვა წარსული ტრადიციული ღირებულებები და შეენარჩუნებინა არსებული სახე (ბოერი, 2000).

რომ დავუბრუნდეთ ანტიკურ საბერძნეთს, ვნახავთ, რომ სიტყვა „ევროპა" პირველად მათ ლეგენდებში ჩნდება. „ევროპა" ქალის სახელი იყო, რომელიც ახალგაზრდობაში ბერძენთა ღმერთს - ზევს მოეწონა. მან ხარის ფორმა მიიღო, ამ გზით მიუახლოვდა და მოიტაცა. სწორედ მისი საშუალებით იქცა „ევროპა" კუნძული კრეტის დედოფლად, სადაც ზევსისგან შვილები ეყოლა. ძველი ბერძნების რწმენით, „ევროპა" იყო მითიური მინოსის დედა და ყველა ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხის წინაპარი. ამას გარდა, მეცნიერების აზრით, ძველ ფინიკიურ ენაზე „ევროპა" განიმარტებოდა „მიწად, სადაც მზე ჩადიოდა", განსხვავებით სიტყვა „აზიისგან", რომელიც ნიშნავდა „მიწას, საიდანაც მზე ამოდიოდა" (დევისი, 1996). მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო „დასავლეთი", რომლითაც ძველი ბერძნები და ფინიკიელები საკუთარ თავს გამოჰყოფდნენ აზიისგან და აფრიკისაგან (დორფალენი, 2008).

ევროპის გეოგრაფიული საზღვრებიც ყოველთვის ბუნდოვანი და ცვალებადი იყო. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ის კონტინენტია. ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ ის ნახევარკონტინენტია და მხოლოდ ევრაზიის პატარა ნაწილად შეიძლება განვიხილოთ (დელანტი და რამფორდი, 2005). მაგალითად, როგორიც არის ინდოეთი ან არაბეთის ნახევარკუნძული (პაგდენი, 2002). კარტოგრაფიის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი გახდა ევროპის გეოგრაფიული საზღვრები, რადგან ამით დადგენილიყო იმპერიების, სახელმწიფოების და სავაჭრო გზების საზღვრები. ეს რუკები სხვადასხვანაირია და იგი არა მხოლოდ გეოგრაფიულ საზღვრებს, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ განსხვავებებსაც აღწერდნენ (დენალტი და რამფორდი, 2005). მაგალითად, იყო პერიოდი, როდესაც სკანდინავიის ნახევარკუნძული ევროპის ნაწილად არ მიიჩნეოდა. ხოლო ევროპელებად, როგორც ღირებულებითი მსგავსების მქონე ხალხად, მხოლოდ დასავლეთ ევროპელები მიიჩნეოდნენ. ასე იყო თანამედროვე პერიოდამდეც, მისი საზღვრები ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიცვალა. როგორც ვიცით, ევროპას დასავლეთიდან ატლანტის ოკეანე ესაზღვრება, ჩრდილოეთით - ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, აღმოსავლეთით - ურალის ქედი და სამხრეთით - ხმელთაშუა ზღვა კავკასიის ჩათვლით. სწორედ ეს ტერიტორია ითვლებოდა 1990-იან წლებამდე აზიად, ხოლო, როგორც აღვნიშნეთ, ვინაიდან ევროპას მხოლოდ ცალსახა გეოგრაფიული განმარტება არასოდეს ჰქონია და იგი დამოკიდებული იყო პოლიტიკოსების ინტერპრეტაციაზე, ამჯე-

რათაც ასე მოხდა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ევროპის რიგებში მოექცა (ნეშენალ გეოგრაფიკი, 2016). ხოლო საქართველო ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა (europa.eu, 2016).

წერილობითი წყაროების მიხედვით, ევროპის მიწების პირველი აღმოჩენები რომის იმპერიის პერიოდში დაიწყო. სწორედ ისინი არ მიიჩნევდნენ სკანდინავიას ევროპის ნაწილად და „ჩრდილოეთს" უწოდებდნენ, ხოლო იქ მცხოვრებლებს „ჩრდილოელებს". იმის მიუხედავად, რომ რომი თითქმის მთლიანად მოიცავდა ევროპის მიწებს და სწორედ ის წარმოადგენდა ევროპაში უმაღლესი ცივილიზაციის გამავრცელებელს, მისი ექსპანსია მაინც არასოდეს ითვლებოდა, როგორც *ევროპული* გაფართოება. იმ პერიოდში არ არსებობდა ცნება ევროპული იდენტობა (ბოერი, 2000). დღევანდელი ევროპის ცნების წინამორბედია „საქრისტიანო" იგივე „ქრისტიანული სამყარო", რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ევროპის სინონიმადაც იყენებდნენ. მაგალითად, ვოლტერი ასე აღწერს ევროპას: ეს არის დიდი რესპუბლიკა, რომელიც დაყოფილია მრავალ სახელმწიფოდ, რომელთაგან ზოგი მონარქიაა, ზოგი შერეული მმართველობა. მაგრამ ყველა ერთმანეთთან კავშირშია. ყველა მათგანს ერთი რელიგიის საფუძველი აქვს, იმის მიუხედავად, რომ დღეს სხვადასხვა კონფესიებად არიან დაყოფილნი. ყველა მათგანს აქვს სახელმწიფოებრიობის და პოლიტიკის ერთნაირი პრინციპები და წესები, რომელიც განსხვავდება მსოფლიოს ყველა სხვა დანარჩენი ადგილისაგან (დევისი, 1996). მართლაც, „საქრისტიანო" იყო ევროპის მოსახლეობის დღევანდელი გაერთიანების წინამორბედი. მიუხედავად საეკლესიო განსხვავებებისა, იქნებოდა ეს კათოლიკური, მართლმადიდებლური თუ პროტესტანტული ეკლესიები, ქრისტიანებს, რომლებსაც ჯვარი აერთიანებდათ, ბევრი საერთო ინტერესიც გააჩნდათ. რა თქმა უნდა, გაერთიანება ყოველთვის რთული იყო, მაგრამ მათ ჰქონდათ მსგავსი სიმბოლოები, ჟესტები, სულიერი და ამქვეყნიური მოტივები. სწორედ ამიტომ ხდებოდა საქრისტიანოსა და ევროპის ცნებების გაიგივება, რომელსაც აქტიურად უწყობდნენ ხელს რომის პაპები და ევროპას ქრისტიანების საცხოვრებელ ადგილსამყოფელად მიიჩნევდნენ. ჯვაროსნების ლაშქრობის დროს კი, შუა საუკუნეებში, როდესაც პაპმა პიუს II-მ მოუწოდა ქრისტიანულ სამყაროს ისლამისაგან თავის დასაცავად, გამოიყენა სიტყვები „ქრისტიანული რესპუბლიკა" (Respublica Christiana), „ჩვენი ქრისტიანული ევროპა" და ამ ორ ცნებას სინონიმებად იყენებდა. სწორედ მან შეცვალა ლათინური სიტყვა „ეუროპუს" „ეუროპად", რომელიც სწრაფად გავრცელდა და დამკვიდრდა სხვადასხვა ხალხების ენებში (ბოერი, 2000).

ევროპის ქრისტიანული გაგება ასახული იყო პოეზიაშიც. ერთ-ერთი პოეტი ტ. ს. ელიოტი ავრცობს ტრადიციულ ხედვას ევროპული

ცივილიზაციის შესახებ, რომელსაც ქრისტიანული საძირკველი აქვს და ამბობს, რომ ძირითადი თვისება, რომელმაც შექმნა ხალხებს შორის საერთო კულტურული მახასიათებლები, არის სწორედ ქრისტიანული. მისი აზრით, ქრისტიანულმა საერთო ტრადიციებმა შექმნა ევროპა ისეთად, როგორითაც იგი დღეს არის. სწორედ ქრისტიანობაა, რამაც განავითარა ევროპული კულტურა, მხატვრობა და კანონებიც კი. შეიძლება რომელიმე ევროპელი არ იყოს მორწმუნე, მაგრამ მისი საუბარი, ქცევა თუ შემოქმედება ეფუძნება ქრისტიანულ მემკვიდრეობას და მის შინაარს. მხოლოდ ქრისტიანულ კულტურას შეიძლება ეშვა ვოლტერიც და ნიცშეც (დავისი, 1996). ევროპის ეს ტრადიციული კონცეფცია ხსნის ჰუმანისტური იდეების აღმოცენებას, რომელშიც სწორედ ქრისტიანული ფილოსოფიის შედეგი დევს. სწორედ ამ ჰუმანისტურმა იდეებმა წარმოშვა ისეთი ცნებები, როგორიცაა ევროპის სოლიდარობა. სწორედ ჰუმანისტური იდეები და მათი სწავლება მიიჩნევა ადამიანთა უმაღლეს მიღწევად, რომელიც ქრისტიანობასთან ერთად გახდა სხვადასხვა სახელმწიფოების ელიტების დამაკავშირებელი მთავარი ფაქტორი (ბოერი, 2000).

ამასთან „ქრისტიანული რესპუბლიკის" კონცეფციასთან ერთად მე-17 მე-18 საუკუნეში გავრცელდა ცნება „წერილების რესპუბლიკა" (Respublica Litteraria). ეს ნიშნავდა, რომ ინტელექტუალებს, სწავლულებს, ლიტერატურის მოღვაწეებს და ფილოსოფოსებს შორის განვითარდა საერთაშორისო საზოგადოება სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. თუმცა ისინი ამავე დროს პატივს სცემდნენ სხვადასხვა ენებსა და კულტურებს (დალტონი, 2003). ამ პერიოდიდან სიტყვა „ევროპამ" თანდათან დაკარგა თავისი წინა მნიშვნელობა და მე-18 საუკუნის ბოლოს უკვე აღარ გამოიყენებოდა „ქრისტიანობის" სინონიმად. განმანათლებლობის ტალღამ ევროპელებში საკუთარი თავის უპირატესობის აღქმა განავითარა, რომელიც, თავის მხრივ, უკვე დაკავშირებული იყო ევროპის, როგორც ცივილიზაციის ცნებასთან. იმ დროის მოაზროვნეები ევროპას აღწერდნენ არა მხოლო ისეთს, როგორიც იყო თავისი სისუსტეებითა და გამოწვევებით, არამედ პროპაგანდას უწევდნენ ისეთს, როგორიც წარმოედგინათ მომავლის ევროპა, სადაც ხალხი უკეთესად იცხოვრებდა. საფრანგეთის რევოლუციის იდეალებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელი ევროპის მასშტაბით. თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა ისმოდა მთელს კონტინენტზე, რამაც ძველი ევროპა შეარყია (ბოერი, 2000). ჩვენი კვლევის მიზანია, სწორედ ეს იდეალები მოვიძიოთ საქართველოს ისტორიაში, რომელიც ხელს უწყობდა ჰუმანისტური იდეების, როგორც ევროპული მიღწევების დამკვიდრებას.

დენალტი და რამფორდი თავიანთ წიგნში „ევროპის თავიდან გააზრება" წერენ, რომ ევროპის ყველაზე გავლენიანი განსაზღვრება

არის მისი, როგორც იდეის განმარტება. ეს არის დაფუძნებული კულტურულ იდეაზე, რომელიც განსხეულებულია პოლიტიკურ ფორმაში. ისინი აცხადებენ, რომ ევროპის სხვადასხვა პოლიტიკური შინაარსი დამოკიდებული იყო, თუ ვისი პერსპექტივიდან ჩანდა იგი. საბოლოოდ კი იდეოლოგიების ჭიდილის ფონზე ჩამოყალიბდა მისი საბოლოო ცნება (დენალტი და რამფორდი, 2005). მეორეს მხრივ, გერმანელი პროფესორი დორფალენი აცხადებს, რომ ევროპის საბოლოო პოლიტიკური სახე ჩამოყალიბდა რომის საღვთო იმპერიის დაცემისა და სეკულარული იდეების აღმოცენების შემდეგ. ეს იყო დრო, როდესაც იმპერიამ და ეკლესიამ შეწყვიტა იმ საყოველთაო ორგანიზაციის სახით არსებობა, სადაც სულიერი და პოლიტიკური ერთობის შექმნას ცდილობდნენ. ამიტომ გაჩნდა ახალი ფორმატი, სადაც ეს სამყარო შეძლებდა საკუთარი თავის ორგანიზებას და რასაც ჩვენ ევროპის პოლიტიკურ იდეას ვუწოდებთ (დორფალენი, 2008).

„ევროპის“ სხვადასხვა კონცეფციების მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს ამ ცნების ორი ძირითადი შინაარსი. ესაა გეოგრაფიული და ემოციური კონოტაციები. პირველი განსაზღვრავს ევროპას, როგორც გეოგრაფიულ ერთეულს, კონტინენტს ან ნახევარკონტინენტს მაინც, სადაც ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი მრავალფეროვნება, კულტურული განსხვავებები და ორმოცდაათი სახელმწიფოა. მათ ერთმანეთისაგან ბევრი განსხვავება აქვთ, თუმცა ბევრიც საერთო. მეორე შემთხვევაში კი ჩვენ გვაქვს ევროპის ემოციური განსაზღვრება. ამაში იგულისხმება ევროპის პოლიტიკური შინაარსი, როგორც მუდმივად განვითარებადი და ცვალებადი ცივილიზაციის. ეს არის ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული კულტურის შთამომავალი და ეფუძნება განმანათლებლობის ისეთ იდეალებს, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა დამყარებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და თავისუფალ სავაჭრო გარემოზე.

ევროპის იდეა

ევროპის იდეა ჩვენი კვლევის მთავარ ღერძს წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა მისი განმარტება და შინაარსის დეტალური ჩაშლა. არსებობს ევროპის იდეის რამდენიმე ცნება. მაგალითად, პროფ. ა. დორპალენი ამბობს, რომ პოლიტიკურად ევროპის იდეა სუპრაეროვნულ სისტემას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ევროპის ქვეყნები სუსტად არიან წარმოდგენილნი (დორპალენი, 2008). ხოლო ს. ლუკარელი და ი. მანერსის თავიანთ წიგნში სახელწოდებით „ფასეულობები და პრინციპები ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სფეროში“ სათითაოდ გამოყოფს იმ პრინციპებსა და ღირებულებებს,

რომელზეც დგას ევროპის იდეა. აქ ჩამოთვლილია ზუსტად ის ღირებულებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპის იდეისთვის. ესენია: **მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სეკულარიზმი და გარემოსდაცვა.** ეს პრინციპები ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (ლუკარელი და მანერსი, 2006). როგორც ევროპარლამენტმა 2002 წელს გამოაცხადა, „ევროკავშირი არა მხოლოდ ეკონომიკური სფეროა, არამედ საერთო ღირებულებების არეალი, სადაც აღიარებულია ადამიანის ღირსების პატივისცემის ფუნდამენტური ფასეულობები (უელსში, 2006).

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ეს ფასეულობები ერთდროულად არ ჩამოყალიბებულა როგორც ევროპის იდეა. მათ გაირეს დიდი გზა, რომელიც ჩვენ სამ პერიოდად შეგვიძლია დავყოთ. პირველი პერიოდი მოიცავს მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისს, როდესაც განმანათლებლების მეშვეობით გავრცელდა იდეები თავისუფლების შესახებ. ეს გულისხმობდა პიროვნების თავისუფლებას, ერების თავისუფლებას, სეკულარიზაციას და დემოკრატიულ მმართველობას. ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ ფილოსოფოსმა და იდეალისტმა ი. კანტმა ევროპის ინტეგრაციის შესახებ იწინასწარმეტყველა და ფიქრობდა ევროპის ფედერაციის შესახებ. ეს სწორედ ის კოსმოპოლიტური მომავალის შეხედულებაა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს თანამედროვე ევროპაში. რასაც ის ამბობდა, არის რომ პირველ რიგში, ევროპის ქვეყნებს უნდა მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა, გამხდარიყვნენ სუვერენულები, როგორც „რესპუბლიკაა“. აქ მოქალაქეების თანასწორობა გარანტირებული იქნებოდა კონსტიტუციით, ხოლო ხელისუფლება დეცენტრალიზებული საკანონმდებლო და აღმასრულებელ ნაწილებად. მეორე, ადგილობრივი ტრადიციების განსხვავებები უნდა ყოფილიყო პატივცემული, ხოლო საყოველთაო სტუმართმოყვარეობის კოსმოპოლიტური უფლება - აღიარებული. მესამე, ვაჭრობა და კანონის უზენაესობა უნდა გავრცელებულიყო მსოფლიოში, როგორც ევროპული ფედერაციის სტილი და ისტორიული პროცესის შედეგები და მსოფლიო განვითარების ეტაპი. მეორე, განსხვავებული ადგილობრივი ტრადიციები უნდა ყოფილიყო პატივცემული, ხოლო საყოველთაო სტუმართმოყვარეობის კოსმოპოლიტური უფლება - აღიარებული. მესამე, თავისუფალი ვაჭრობა და კანონის უზენაესობა უნდა გავრცელებულიყო მსოფლიოში, როგორც ევროპული ფედერაციის სტილი, ისტორიული პროცესების შედეგები და მსოფლიო განვითარების ახალი ეტაპი (ტული, 2002).

მეორე პერიოდი მოიცავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს, რა დროსაც კარლ მარქსის პიონერობით

გავრცელდა სოციალ-დემოკრატიული იდეები. ეს გულისხმობდა იდეებს თანასწორობისა და სოლიდარობის შესახებ, რამაც უკანა პლანზე გადაინია პიროვნებისა და ერების თავისუფლების იდეა. ხოლო წინა პლანზე წამოწია კლასობრივი თანასწორობისა და თავისუფლების იდეა. 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულების 1-3 მუხლში ნათქვამია, რომ „კავშირი დაფუძნებულია იმ ღირებულებებზე, რომელიც პატივს სცემს ადამიანის ღირსებას, თავისუფლებას, დემოკრატიას, თანასწორობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას, მათ შორის უმცირესობათა უფლებებს. ეს ღირებულებები საერთოა წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელშიც პლურალიზმი, არა-დისკრიმინაცია, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპი უზენაესია" (lisbon-treaty.org, 2013).

მესამე პერიოდი დაიწყო 1945 წლის შემდეგ, როდესაც დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი და ევროპის პოლიტიკურმა ელიტამ გაანალიზა, რომ მსგავსი ომი აღარ უნდა განმეორებულიყო. უნდა დამყარებულიყო მშვიდობა, წინა პლანზე წამოწეულიყო პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებები და ამ ღირებულებების დასაცავად შექმნილიყო ისეთი მყარი საერთაშორისო გაერთიანებები, როგორიც გახდა გაერო და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, შემდგომში კი ევროკავშირი. 1951 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი ევროპის საბჭოს ასამბლეაზე გამოვიდა სიტყვით, რომელმაც საფუძველი დაუდო ევროკავშირის ფორმირებას. მისი თქმით, წარსულში მტრულად განწყობილი საფრანგეთი და გერმანია საერთო ეკონომიკური ინტერესების ირგვლივ უნდა გერთიანებულიყვნენ, რითაც თავიდან აირიდებდნენ ევროპაში სამომავლო შეიარაღებულ დაპირისპირებას. მათ გააერთიანეს ქვანახშირის, სამთო და მეტალურგიული მრეწველობები და შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ასევე იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი - სულ 6 ქვეყანა (eur-lex.europa.eu, 2017).

დღეს უკვე ნათლად ვხედავთ, რომ კანტის იდეებიდან დაწყებული, შუმანის იდეებით დამთავრებული სულაც არ არის უტოპიური. პირიქით, იგი განხორციელებულია ევროპის კავშირსა და მის სამეზობლოში, სადაც სახელმწიფოები იზიარებენ საერთო ფასეულობებს. ევროკავშირი ევროპული ქვეყნების ყველაზე დიდი ორგანიზაციაა და როდესაც ევროპაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომლის ეკონომიკა მსოფლიოში ყველაზე დიდია. ასე რომ, ეს ორგანიზაცია განასახიერებს იმ ევროპის იდეას, რომელიც ჩვენი კვლევის მთავარ თემას წარმოადგენს. ასე რომ მიმოვიხილოთ თი-

თოეული მათგანი, რათა გახდეს ნათელი, რას გულისხმობს ევროპის იდეა და რისი კვლევა უნდა მოვახდინოთ საქართველოს შემთხვევაში.

ევროპეიზაცია

ჩვენი მეორე მიზანია განვსაზღვროთ თუ რა არის ევროპა მოქმედებაში, პროცესში. ამას ეწოდება ევროპეიზაცია. როგორც დელანტი და რამფორდი წერენ, ეს არის ევროპის პოლიტიკა და მისი გავლენა. მათი აზრით, სოციალური და კულტურული საკითხებია სწორედ განმსაზღვრელი ევროპეიზაციის კვლევაში. მათი თეორიის მიხედვით, ევროპეიზაციას ადგილი აქვს ღია და მუდმივად განვითარებად საზოგადოებაში და არა ჩაკეტილ, უმოძრაო ფენებში. მისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება და მოდერნიზაციის პროცესი (დელანტი და რამფორდი, 2005).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ევროპეიზაციის" ხშირ გამოყენებას სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებში მაინც ერიდებიან, რადგან მას განსხვავებული განმარტებები გააჩნია. ერთი გაგებით, ეს არის სტრუქტურული ცვლილებების პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა აქტორები და ინსტიტუტები, იდეები და ინტერესები. ბევრი ისტორიკოსი ამ ტერმინს იყენებს ევროპის ძალაუფლებისა და ისეთი სოციალური ნორმების „ექსპორტის" აღსაწერად, როგორიცაა იმპერიული კონტროლი, ინსტიტუციური ორგანიზაცია და პრაქტიკა, სოციალური და კულტურული წარმოდგენები, ღირებულებები და ქცევის წესები. მეორე გაგებით, ევროპეიზაცია არის კულტურული ნორმების, იდეების, თვითაღქმის, პოლიტიკური პროცესების და ქცევის წესების ცვლილებები არა ევროპის მიღმა, არამედ თავად ევროპის ფარგლებში მყოფ ერებში (ფიტერსტოუნი და რადაელი, 2003). სწორედ ეს პროცესია ნახალისებული ევროპის კავშირის გაფართოებისა და ინტეგრაციის პოლიტიკის მიერ. ჩვენი კვლევის შემდეგი კვლევის საგანი იქნება დავადგინოთ მოექცა თუ არა ევროპეიზაციის ამ პროცესში საქართველო და რა გზით იყო ამ პროცესის ნაწილი.

ამას გარდა, ევროპეიზაცია ზოგადად გულისხმობს იმ პროცესს, რომელიც წარმოიქმნება ეროვნულ საზოგადოებაზე ევროკავშირის გავლენის შედეგად და იგი გლობალიზაციის კოსმოპოლიტური გამოძახილია. თავის მხრივ, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სოციალურ და სისტემურ ინტეგრაციას, მაგრამ დიფერენცირების გზით ვითარდება. ევროპული საზოგადოებები სულ უფრო და უფრო მეტად დაკავშირებულნი ხდებიან ერთმანეთთან, ისე, რომ არ ხდება ერთიანი ევროპული საზოგადოების ფორმირება და განვითარება. სოციალური სისტემების ერთმანეთში ასეთი შიდა

მობილობა ხდება გლობალიზაციის ფართო კონტექსტში, რადგან ეს არ არის მხოლოდ შიდა ევროპული მოვლენა. არამედ წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა კულტურების და საზოგადოებების შერწყმას თავად ევროპულ საზოგადოებებში, რასაც გლობალიზაციის მიგრაციული პროცესი განაპირობებს (დენალტი და რამფორდი, 2005).

ფიტერსტოუნი წერს, რომ ევროპეიზაციას გააჩნია მოქმედების სამი მექანიმი. პირველი, როდესაც ევროპის კავშირი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, შესაბამისობაში მოიყვანონ ადგილობრივი ინსტიტუტები ევროპულ სტრუქტურებთან. ეს პოლიტიკა მიმართულია ევროპის უფრო ღრმა ინტეგრაციისკენ. მეორე მექანიზმი არის პირველის მსგავსი, ოღონდ ის ეხება წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ და ადგილობრივ რესურსებს. ასეთ დროს წარმომავლობის გამო არსებულ უპირატესობას აზრი ეკარგება, რადგან ევროპის ყველა მოქალაქე ერთიანი ეკონომიკური ბაზრის წევრია. მესამე მექანიზმია, როდესაც ევროპული პოლიტიკა ახდენს წევრი სახელმწიფოების წარმოდგენებისა და მოლოდინების ცვლილებას (ფიტერსტოუნი და რადაელი, 2003).

უფრო ღრმა და სრულყოფილ ახსნას გვთავაზობს რადაელი, რომლის მიხედვითაც ევროპეიზაცია მოიცავს პროცესებს ფორმალური და არაფორმალური წესების, პროცედურების, პოლიტიკის პარადიგმების, სტილის, „საქმის კეთების გზების", საერთო წარმოდგენებისა და ნორმების წარმოქმნის, გავრცელებისა და ინსტიტუციონალიზაციის შესახებ. იგი განსაზღვრულია და თავმოყრილია ევროპის კავშირის პოლიტიკაში და შემდეგ განხორციელებულია ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ პოლიტიკაში. ამ განმარტების თანახმად, ევროპეიზაცია არის „ევროპის დონეზე მმართველობის სტრუქტურების მკაფიო სახით წარმოქმნა და განვითარება, რაც პოლიტიკურ პრობლემებს ჭრის პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტორების ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმალიზებისა და მათ შორის კავშირების გამყარების გზით. ეს კი ხელს უწყობს გავლენიანი ევროპული წესების დამკვიდრებას. ევროპეიზაცია აიხსნება კულტურული ცვლილებების, ახალი თვითაღქმის ფორმირების, პოლიტიკის ცვლილების, ადმინისტრაციული ინოვაციებისა, და თუნდაც მოდერნიზაციის პროცესებით (ფიტერსტოუნი და რადაელი, 2003). პროფ. მორტი განმარტავს, რომ ევროპეიზაცია ინსტიტუციონალიზაციის პროცესია, რომელშიც ახალი წესები და აზროვნების ახალი გზები ვითარდება. თუმცა, ეს დამოკიდებულია ევროკავშირზე და ძნელი წარმოსადგენია ისეთი ევროპული პოლიტიკური პროცესები და საკითხები, რომლებიც არ უკავშირდებოდეს ევროკავშირს. დღესდღეობით, ევროკავშირისა

და ეროვნული საკითხები ურთიერთდაკავშირებულია. ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს რეგულირების მექანიზმები ადგილობრივი ცვლილებებისთვის. სწორედ ეროვნულ და ევროპულ დონეზე არსებული მრავალი აქტორი ქმნის იმ ტრანსნაციონალურ პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია თამაშის ახალი წესები (მორტი, 2003).

„დია საზოგადოება ევროპის პოლიტიკური ინსტიტუტის და ევროკავშირის საკითხების" დირექტორი ჰ. გრეიბი თავის კვლევაში აცხადებს, რომ რადგან ამ სახის ევროპეიზაცია ხორციელდება აღმოსავლეთის მიმართულებით, შეგვიძლია დავინახოთ და შევისწავლოთ თუ რა სახის გავლენას ახდენს ევროკავშირი აპლიკანტ ქვეყნებზე, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე (გრეიბი, 2003). როგორც ვიცით, საქართველო 2014 წლიდან ევროკავშირის ასოცირებული წევრია და საინტერესოა განიცდის თუ არა ამ სახის ევროპეიზაციის პროცესს.

პროფ. დ. უინკოტი მიიჩნევს, რომ ევროპეიზაცია, როგორც „ევროპული მოდელი" მოიცავს ევროპული ინტეგრაციისა და ევროპეიზაციის პროცესებსაც. ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ყალიბდება ერთიანი „ევროპული საზოგადოება", რომლის ფორმირების ისტორია ევროკავშირის მხოლოდ ერთ-ერთი ფრაგმენტია (უინკოტი, 2003). სოციალური წესრიგი, რომელიც გარკვეულწილად „კარგი საზოგადოების" ცნებაა, ყოველთვის მხარს უჭერდა ნორმატიულ კონცეფციას. ევროპეიზაცია განმარტავს საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის კულტურულ და ეპოქალურ მნიშვნელობას, რომელიც თავს იჩენს თანამედროვეობის ბუნებაში. ამიტომაც არის, რომ ევროპის ინტეგრაციამ მოიტანა დიდი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები. ევროპეიზაციის კონტექსტში არსებობს ახალი პროცესები და დინამიკა, რომელიც ჩნდება ეროვნული საზოგადოებების ფარგლებს მიღმა და ევროპული სოციალური სივრცე სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება. ევროპული საზოგადოებრივი სფერო მოიცავს და ითავისებს სოციალურ და კულტურულ სამყაროებს, ავითარებს ევროპელობის გაგებას, ტრანსნაციონალურ კომპლექსებს და ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკას. ევროპეიზაცია აღქმულია, როგორც განსხვავებული ვარიანტი ნაციების ჩამოყალიბებისა, რაც, წარმოდგენილია სუპრა-ნაციის ფორმირების სახით. შესაბამისად, ევროპული საზოგადოება არის ევროპული ან თუნდაც ევროინტეგრაციის პროდუქტი, ხოლო საზოგადოება არის ის არეალი, რომელიც ევროკავშირის პროექტს მიღმაა. დღესდღეობით, სახელმწიფოები ვეღარ აკონტროლებენ და ზღუდავენ საზოგადოებებს, რადგან არსებობს უამრავი გლობალური ფაქტორი, რომელიც საზოგადოებებს ნაკლებად კრავს ეროვნულ ჩარჩოებში. ესენია ტე-

ლეკომუნიკაციები, სოციალური ქსელები, ფულადი კაპიტალის თავისუფალი მიმოცვლა, მოსახლეობის მიგრაცია, ეთნიკური და რელიგიური ტრანსნაციონალური სოლიდარობა. უფრო მეტიც, გლობალური საზოგადოების იდეამ შეიძინა ახალი იმპულსი მსოფლიოში, სადაც კოსმოპოლიტური თვითაღქმა უფრო გამძაფრებულია, ვიდრე გაიდიალიზებული მსოფლიო მოქალაქეობა. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოების იდეის პოპულარობის ზრდის შედეგად, საზოგადოებას აქვს ტრანსნაციონალური ან გლობალური ხედვები, ხოლო სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა განიცდის მასიურ ტრანსფორმაციას. და თუ ევროპეიზაცია სოციალური ტრანსფორმაციის ნაწილია, ამ ტრანსფორმაციის დინამიკა უფრო გლობალურია, ვიდრე ევროპული. ასე რომ, ევროპეიზაცია მიმდინარეობს თავად მსოფლიო საზოგადოებაში და არ არის ამოვარდნილი გლობალიზაციის პროცესებიდან. ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ „ევროპეიზაციის" კონცეფცია გაგებული უნდა იყოს უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე ჩვეულებრივი ტერმინი - „ევროპული ინტეგრაცია". მიუხედავად ამისა, ეს ტერმინი ასახავს პროცესს, რომელზეც დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოებს და ევროკავშირს, რომელიც ამ სახელმწიფოებში ახორციელებს საკუთარ პოლიტიკას. უფრო კონკრეტულად კი, ეს არის ევროპული ინტეგრაციის შედეგად გამოწვეული სახელმწიფოების საშინაო ცვლილებები (დელანტი და რამფორდი, 2005).

ევროპეიზაციის კიდევ ერთი შინაარსი, რომელიც მიგვითითებს საზოგადოებრივ ტრანსფორმაციაზე, გულისხმობს ხალხებისა და ტერიტორიების ისეთ რეორგანიზაციას, რომელიც მიგვიყვანს ახალ სოციალურ და პოლიტიკურ წესრიგამდე. ეს შეიძლება შეეხებოდეს მრავალმხრივ ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ინსტიტუტების ფარგლებს მოაგვაროს საკითხები საკუთარი ქსელითა და რესურსებით, მოახდინოს ევროპის კავშირის მოდელის ექსპორტი და შეაღწიოს ნაციონალურ სისტემებში. ევროპეიზაცია არის მთელი რიგი პროცესებისა, რომლებიც მოიცავენ, მაგრამ სცდებიან ეროვნულ საზღვრებს ევროკავშირის ინტეგრაციის დინამიკაში. ეს განსაზღვრება გვაძლევს საფუძველს ევროპული ტრანსფორმაცია დავინახოთ ინსტიტუციონალური ჩარჩოების მიღმა და შევისწავლოთ მისი კულტურისა და საზოგადოების დინამიკა (დელანტი და რამფორდი, 2005).

როგორც ვხედავთ, არსებობს რამდენიმე და ზოგჯერ საკმაოდ ბუნდოვანი აღქმა ევროპეიზაციის შესახებ. თუმცა, ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა მისი შინაარსი და გაგვეაზრებინა ამ ტერმინის ძირითადი არსი. და აქ ჩნდება კიდევ ერთი შეკითხვა. თუ ვიცით, რა არის

და სად არის ევროპა, ვხედავთ და ვგრძნობთ ევროპეიზაციის პროცესს, შეგვიძლია მოვახდინოთ ადამიანების იდენტიფიცირება, როგორც ევროპელების? რა თქმა უნდა, დიახ, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა არის ევროპული იდენტობა, ევროპული თვითაღქმა, ვინ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მასთან და რატომ?

ევროპული იდენტობა

შემდეგი ცნება, რომელიც ჩვენ უნდა განვმარტოთ, არის „ევროპული იდენტობა", იგივე „ევროპული თვითაღქმა". შესაბამისად, ისმის კითხვა, როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ ეს ტერმინი? არსებობს თუ არა საერთოდ ევროპელი ხალხის ცნება? როგორ გამოირჩევიან ისინი სხვებისგან? აქვთ რაიმე სხვა კულტურული ან სამოქალაქო განსხვავებები? როგორი სახის იდენტობას ვხვდებით ევროპაში?

მკვლევარი ლ. პასერინი ამბობს, რომ 1950-იან წლებამდე ეს ტერმინი ნაკლებად იყო გამოყენებული. 1960-იანი წლების შემდეგ კი ახალი სოციალური, კულტურული, ეთნიკური და რეგიონული მოძრაობების შედეგად დაიწყო „ევროპული იდენტობის" გამოყენებაც (პასერინი, 2002). ზოგადად, სიტყვა „იდენტობას" ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფოსი პროფ. ქ. კორსგარდი განსაზღვრავს, როგორც „აღქმა იმისა, რითაც აფასებენ საკუთარ თავს". ხოლო იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტი ტრანსნაციონალური იდენტობა, ჭეშმარიტი ევროპული „კულტურა", საჭიროა არსებული ევროპული კულტურების თვისებების შერწყმა (პაგდენი, 2002).

თუ დავუბრუნდებით დელანტსა და რამფორდს, დავინახავთ, რომ ამ ცნების გააზრებაც სადავო საკითხია. არსებობს ეროვნული იდენტობა, რომელიც უფრო ხანდაზმული და რეალურია, ვიდრე ეს კოლექტიური ცნება. მათი თქმით, ევროპულ იდენტობას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.

პირველი ისაა, როდესაც ადამიანები თავიანთ თავს აღწერენ, როგორც ევროპელებს და საკუთარ თავს აიგივებენ ევროპულ კულტურასა და პოლიტიკასთან. თუმცა, ეს აღქმა შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდუალურ საკითხად და საერთო არაფერი ჰქონდეს კოლექტიურ იდენტობასთან.

მეორე მოსაზრება უკავშირდება ევროკავშირსა და მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებას, სადაც წერია, რომ ისინი „გააძლიერებენ ევროპული იდენტობისა და დამოუკიდებლობის მიღწევას, რათა ხელი შეუწყონ ევროპისა და მსოფლიოს განვითარებას". ეს დამოკიდებულება რეალიზებული იქნა ევროკავშირის კულტურულ პოლიტიკაში, ევროპულ ვალუტაში, პასპორტში და სამეცნიერო თუ საგანმა-

ნათლებლო პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავს სწორედ ევროპული ცნობიერების ამაღლებას. თუმცა ფაქტია, ამ სახის იდენტობა არ არის ისეთი მძაფრი, როგორციცაა ეროვნული.

მესამე მნიშვნელობა ევროპული იდენტობის განსხვავდება ევროკავშირის პოლიტიკისაგან და მასში იგულისხმება მრავალი რამ. მაგალითად, ეროვნული, რეგიონული, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ევროპას მისი ფართო, განზოგადებული კულტურული კონცეფციის გაგებას. ამ შემთხვევაში ჯგუფები, მთელი საზოგადოებები, მოძრაობები და ცალკე აღებული მოქალაქეები თავიანთ თავს აღიქვამენ, როგორც ევროპელები და გააჩნიათ სწორედ ევროპული იდენტურობა.

ავტორების აზრით, „ევროპული იდენტურობა არის თვითგამორკვევის პროცესი და შედგება მრავალფეროვანი ელემენტებისგან, რომლებიც მუდმივ ცვალებადობას და განვითარებას განიცდიან... ეს არის კოსმოპოლიტური იდენტობა, რომელიც განსხეულებულია საზოგადოების ან ცივილიზაციის იდენტობის კულტურულ მოდელებში... და არის პოსტ-ეროვნული თვითშეგნების ფორმა, რომელიც გამოხატავს საკუთარ თავს ეროვნული იდენტობის ფარგლებში“ (დენალტი და რამფორდი, 2005).

პროფ. ფ. ჩერუტი აცხადებს, რომ ევროპული იდენტობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიდგამს ფესვების, თუ მას ვაღიარებთ, როგორც მხოლოდ პოლიტიკურ იდენტობად და არ შევა კონკურენციაში ეროვნულ იდენტობებთან, რათა ხელი არ შეუშალოს ევროკავშირის პოლიტიკის ლეგიტიმურობას. მისი თქმით, საერთო ევროპული თვითშეგნების პროცესი უფრო მეტადაა დამოკიდებული პოლიტიკურ მოვლენებზე, ვიდრე კულტურულზე. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური იდენტობა დაკავშირებულია ევროკავშირთან და საერთო ევროპულ თვითშეგნებასთან, რომელიც ყალიბდება არა ეთნოსების, კულტურისა თუ ნაციონალიზმის მეშვეობით, არამედ გარკვეული საერთო ღირებულებებისა და მიზნების მიერ, რომლებიც განაცალკევებენ ადამიანებს „ჩვენ“-ად და „სხვებ“-ად (ჩერუტი, 2008). სწორედ ამ ფასეულობებს განვსაზღვრავთ ქვემოთ და ვნახავთ თუ რაზე დგას საერთო ევროპული იდენტობა.

მანამდე კი, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი ცნება ხალხის შესახებ, როგორიცაა „ევროპელი ხალხი“. ეს არ არის ისეთი რამ, როგორიცაა ეთნოსი, ერი ან ევრო-ნაციონალიზმი. შეიძლება ისიც ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობს „ევროპელი ხალხი“. თუმცა მრავალი საერთო საკითხი, საზოგადოებებისა და ინსტიტუტების ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც ქმნიან ახალ კოსმოპოლიტურ ხედვებს, აყალიბებს ახალ დამოკიდებულებებს.

ხოლო სანამ მოხდება „ევროპელი ხალხის“ კონკრეტული დეფინიცია, ჩვენ შეგვიძლია ამ ტერმინში მოვიაზროთ უბრალოდ ყველა ერი და ხალხი, ვინც კი ცხოვრობს ამ ნახევარკონტინენტზე (დელანტი და რამფორდი, 2005).

კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება „ევროპული იდენტობის“ შესახებ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ფროფ. ს. ლუკარელის წიგნიდან, სადაც ის აცხადებს, რომ ეს ფენომენი ყალიბდება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შედეგად. სწორედ ის აღიქვამს ევროპელებს, როგორც ერთიან პოლიტიკურ ჯგუფს და შესაბამისად განაპირობებს იმ პროცესს, რომელიც თანდათანობით ქმნის სტერეოტიპულ დამოკიდებულებას „ევროკავშირის საერთაშორისო იდენტობის“ შესახებ. ამ სახით ყალიბდება ურთიერთობები საერთო პოლიტიკურ იდენტობას, საგარეო პოლიტიკას და გარეშე იმიჯებს შორის. უფრო მეტიც, საგარეო პოლიტიკა პირდაპირ ხელს უწყობს ისეთი ჯგუფის საერთო იდენტობას, რომელიც აღიარებს საერთო ღირებულებებს. ზუსტად საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს ისეთ სარკეს, სადაც არეკლილია ამ ჯგუფის ფასეულობები და ხელს უწყობს ევროპელებს ამ სარკეში დაინახონ არა მარტო საკუთარ თავი, არამედ „სხვებიც“. ეს რომ ასეა ადასტურებს კოპენჰაგენის 1973 წლის ევროპის თანამეგობრობის (EC) „დეკლარაცია ევროპული იდენტობის შესახებ“, სადაც ნათქვამია, რომ ევროპის იდენტობა უნდა ეფუძნებოდეს საერთო მემკვიდრეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს გააჩნიათ იდენტური დამოკიდებულება ცხოვრების შესახებ, ინდივიდებზე, საზოგადოებებზე; წარმომადგენლობით დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობაზე, სოციალური სამართლიანობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე; საერთო ბაზარზე, ინსტიტუტებსა და ურთიერთობებზე (ლუკარელი, 2008).

როგორც ვხედავთ, საჭიროა გავაგრძელოთ ევროპის კავშირის უფრო ღრმა კვლევა და გავიაზროთ ევროკავშირის ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ევროპულ იდენტობას. ამასთან დავადგინოთ სად არის საქართველოსთვის ადგილი ამ კონკრეტულ საკითხში, არის თუ არა იგი ამ პროცესის ნაწილი და ახდენენ თუ არა ქართველები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ევროპელებად?

ევროპის იდეის პირველი ტალღა: თავისუფლება, დემოკრატია, სეკულარიზაცია

თავისუფლება

„თავისუფლების" ცნება იყო ფრანგი განმანათლებლების ძირითადი ფასეულობა. ისინი ამ დასკვნამდე მივიდნენ იმ გარემოებიდან, რომ ოდესღაც იყო დრო, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობდა არც სახელმწიფო, არც ეკლესია და არც ფეოდალური სისტემა. ეს იყო ადამიანთა ბუნებრივი გარემო. ამიტომ მიაჩნდათ, რომ ისინი უნდა დაახლოებოდნენ იმ მდგომარეობას, როდესაც დაბადებით არავინ იყო სხვაზე აღმატებული და არავინ იბადებოდა მორჩილად. ყველა მმართველობითი სისტემა ადამიანის მიერ არის შექმნილი, ამიტომ არავის უნდა ჰქონდა უფლება მართავდეს სხვას ძალდატანებით. თავისუფლების უფლება ისეთივე უზენაესი ღირებულებაა, როგორიც სიცოცხლის უფლება. თუ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, მაშინ ის აუცილებლად უნდა იყოს თავისუფალი (ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2010).

ევროპის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მისი მრავალფეროვნება. აქ არსებობს სახელმწიფოებისა და კულტურების სიჭრელე, რომლის ერთიანობაც ქმნის ევროპული ცივილიზაციის სახეს. მაგრამ ბევრი საკითხი მათთვის საერთოა. მაგალითად, ძველი საბერძნეთის კულტურა და ფილოსოფია, რომის სახელმწიფოებრიობა, ქრისტიანული რელიგია, განმანათლებლობა, მოდერნიზაცია, რომანტიზმი, ნაციონალიზმი და ლიბერალიზმი (დევისი, 1996). თუმცა, „თავისუფლების" ცნებას სხვა განმარტება ჰქონდა ანტიკურ და შუა საუკუნეებში. იგი ყველა ადამიანს არ გულისხმობდა და თავისუფალ ადამიანთა რიგებში არ მოიაზრებოდნენ მონები, ქალები, განსხვავებულად მოაზროვნეები და მორწმუნეები. რა თქმა უნდა, დღეს თავისუფლება უფრო ღრმა ცნებაა და სწორედ ერთერთი უმთავრესი ღირებულებაა ევროპის იდეის.

თავისუფლება გულისხმობს აკეთო ის, რაც კანონით არ არის აკრძალული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველამ უნდა აკეთოს ის, რაც უნდათ. არ არსებობს თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე. პასუხისმგებლობიანი თავისუფლება ნიშნავს ხალხმა აირჩიოს საკუთარი პოლიტიკური ლიდერები და მონაწილეობა მიიღოს კანონების შექმნაში, რომელიც ზღუდავს ადამიანთა მავნე ქმედებებისკენ მიდრეკილებას. მოქალაქეებმა სახელმწიფოსთან უნდა დადონ ხელშეკრულება საკუთარი ნებით, რათა განსაზღვრონ რა უფლებები ექნებათ შეზღუდული (ლაბუჩიძე, რუსო, 2003).

ფრანგული განმანათლებლობის ეპოქაში გაჩნდა ცნება სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ. ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების შესახებ. **პოლიტიკური თავისუფლების** კონცეფციაში იგულისხმებოდა ადამიანების უფლება აირჩიონ ის თავიანთი მმართველები, რომლებსაც შემდგომში დაემორჩილებიან. პოლიტიკური თავისუფლება გულისხმობს ადამიანის აზრის გამოხატვის უფლებას ქვეყანაში ნებისმიერი მოვლენის შესახებ. ეს უფლება ნაწყალობევი ან საჩუქრად გადაცემული კი არ უნდა იყოს მონარქების ან სხვა სახის მმართველების მიერ, არამედ გარანტირებული და დაცული უნდა იყოს კანონის ძალით (ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2010).

სამოქალაქო თავისუფლება გულისხმობს, რომ არავინ არ უნდა გააკეთოს ის, რაც კანონით არ არის განსაზღვრული და გამოხატავს მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა ინტერესებს. ამაში იგულისხმება ადამიანთა დამონება, იძულებითი შრომა, მატერიალური და მორალური ექსპლოატაცია. ამ სახის თავისუფლება ასევე გულისხმობს რიგითი მოქალაქის დაცვას და უსაფრთხოებას სხვა მოქალაქეების მხრიდანაც. ხოლო **სინდისისა** და მორალური თავისუფლება არის ის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა, რომელიც ადამიანს სწორედ საკუთარი თავის ბატონად აქცევს. სინდისის თავისუფლება არის უფლება, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად თავად გადაწყვიტოს ადამიანმა, რა არის „კარგი" და რა „ცუდი" (ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2010).

პროფ. ჯ. ბ. როულს ამბობს, რომ თავისუფლება წარმოადგენს ინსტიტუტების მიერ განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების კომპლექსს. არსებობს თავისუფლების სხვადასხვა სახე რომლის მთავარი წინაპირობაა სხვები არ ჩაერიონ მასში (როულსი, 1999). მაგალითად, ევროკავშირი გამოყოფს 19 სახის თავისუფლებას და აცხადებს, რომ „ყველას აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება" (EUR-Lex, 2000). თუ დავუბრუნდებით, ანტიკურ საბერძნეთს, დავინახავთ, რომ მათთვის ევროპა იყო თავისუფლებაზე დამყარებული პოლიტიკური სისტემა და არა გეოგრაფიულ ერთეული (დელანტი და რამფორდი, 2005). ინდივიდუალური არჩევანის უფლება და კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების პირობა არის ის სისტემა, რომელსაც ძველი ბერძნები „კარგ ცხოვრებას" უწოდებდნენ. მათ გარდა, ანტიკური საბერძნეთიდან საფრანგეთის რევოლუციამდე არსებობდა უამრავი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, რომელსაც თავისუფლების კონცეფცია წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ევროპის ყველა საზოგადოების განმსაზღვრელი ფაქტორი. თავისუფლების ეს რწმენა ყველაზე მეტადაა გამოხატული „რესპუბლიკისა" და „დემოკ-

რატიული“ ტრადიციების მქონე საზოგადოებებში. მათი ფესვები კი ანტიკური საბერძნეთიდან მოდის. ცნება „სახელმწიფომ“, რომელსაც ძველი ბერძნები *პოლისს* უწოდებდნენ, ხოლო რომაელები *სივიტას*, წარმოშვა ის მომავალი პოლიტიკური გაერთიანება, რასაც ჩვენ დღეს „ევროპას“ ვუწოდებთ. სწორედ ამიტომაა, რომ „მოქალაქეობის“ (citizenship) ცნება გადაიქცა თანამედროვე სახელმწიფოს მთავარ მახასიათებლად (პაგდენი, 2002).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირებულება, რასაც ჰქვია *თავისუფლება*, წარმოადგენს ევროპის იდეის ერთ-ერთი ფუნდამენტურ ღერძს, არ ნიშნავს, რომ სხვა ღირებულებები შეზღუდულია *ამ თავისუფლების* ხარჯზე და გასაქანი ექნება ისეთ *თავნებობას*, როგორიცაა ანტი-სოციალური საქციელი, სიძულვილი, დანაშაული, წამქეზებელი და გამომწვევი სიტყვები და პორნოგრაფია (ლუკარელი და მანერსი, 2006). ჯერ კიდევ საბჭოთა ოკუპაციის დროს საქართველოს პოლიტიკური ემიგრანტი აცხადებდა, რომ სახელმწიფომ უნდა აღიაროს ინდივიდის თავისუფლება, რისი ასახვაც, განსაზღვრა და განმარტებაც უნდა მოხდეს კანონმდებლობაში. ინდივიდის თავისუფლება უნდა იყოს გარანტირებული კონსტიტუციით. ადამიანის თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს შეზღუდული, სადაც იწყება სხვისი პირის ან საზოგადოების თავისუფლება. ეს ღირებულება იმდენად ძლიერია, რომ კაცობრიობა მის გარეშე ვერ შეძლებს განვითარებასა და კეთილდღეობას (პატარიძე, 1938).

პროფ. კ. ე. ჯორგენსენი აცხადებს, რომ სწორედ აზროვნების მდიდარი ტრადიციისგან, ფილოსოფიური და პოლიტიკური იდეების ფართო სპექტრიდან აღმოცენდა **ლიბერალიზმი. ამ ტერმინის ყველაზე მოკლე განმარტება უბრალოდ „თავისუფლებაა“. ეს არის ცნება, რომელიც გულისხმობს ადამიანისა და ერების თავისუფლებას. ქვეყნები, სადაც ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმებია წარმოადგენენ თავისუფალ სამყაროს. მისი ალტერნატივა კი მხოლოდ ავტორიტარიზმი, უთანასწორობა და უსამართლობაა, რაც მუდმივ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს იწვევს.** ჯორგენსენის თქმით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები ჩამოყალიბდა ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანების მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი თანამედროვე სამყარო აგებულია ლიბერალურ პრინციპებსა და ღირებულებებზე. ამ ღირებულებების მიხედვით ჯორგენსენს მიაჩნია, რომ ადამიანის ბუნება ძირითადად სიკეთისკენაა მიმართული და არა ძალადობისკენ და ბოროტებისკენ. ამიტომ ადამიანებს გაუჩნდათ შესაფერისი გარემო, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი თავის განვითარებას. შესაბამისად, პოლიტიკის მთავარი მიზანიც უნდა იყოს ადამიანთა განვითარებისთვის სწორი პირობების

შექმნა (ჯორგენსენი, 2006). ქართველი მკვლევარი ლ. მჭედლიშვილის განცხადებით, თანამედროვე ლიბერალიზმი ეფუძნება ისეთი ბრიტანელი, ფრანგი და ამერიკელი მოაზროვნეების შეხედულებებს, როგორიცაა ჯ. ლოკი, შ. ლ. მონტესკიე, ჟ. ჟ. რუსო, ჰ. პეინი, ჰ. ჯეფერსონი და სხვები. ეს ყველაფერი მათი პოლიტიკური ცხოვრების ნაყოფია, რომლის ძირითადი იდეაა პიროვნების თავისუფლება, სადაც მისი პირადი ცხოვრება დაცული უნდა იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფო ჩარევისაგან (მჭედლიშვილი, 2011). როგორც თეორეტიკოსი ჰობჰაუსი ამბობს, ადამიანი შეიძლება თავისუფალი იყოს თავისი ცხოვრებით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ ხდება სხვების ჩარევა. მიიჩნევა, რომ ყველა ნორმალურ ზრდასრულ ადამიანს შეუძლია გადაწყვიტოს, თუ როგორ იცხოვროს, ისე რომ ამისთვის არ დასჭირდეს ვინმეს, მით უმეტეს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა. არადა, სახელმწიფო მიდრეკილია, რაც შეიძლება მეტად ჩაერიოს პიროვნების თავისუფლებაში. მაგრამ რაც უფრო შეზღუდულია სახელმწიფო, მით უფრო თავისუფალია ადამიანი. ამიტომ ის მხარს უნდა უჭერდეს გამოხატვის თავისუფლებას, პიროვნების და საკუთრების დაცვას, ხელშეკრულების უტყუარ თავისუფლებას, საჯარო შეკრებებისა და გაერთიანების უფლებებს (ჰობჰაუსი, 1994).

ასე რომ, რადგან ლიბერალიზმი, იგივე თავისუფლება წარმოადგენს ევროპული ქვეყნების ამჟამინდელ სისტემას, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მისი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საზოგადოებრივი შედეგები, რომელიც გამომდინარეობს ინდივიდუალური არჩევანის თავისუფლებიდან. თუმცა, ერთი ადამიანის არჩევანი, რომელიც არ იზიარებს თავისუფლებისა და სხვათა უფლებების თანასწორობას, არ არის გამართლებული (ჰობჰაუსი, 1994). ზემოთხსნებული ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპის შესახებ პროფ. ჯ. ჰ. მორო წერს, რომ ლიბერალიზმს გააჩნია კიდევ სხვა რამდენიმე ელემენტი. მაგალითად, სამოქალაქო თავისუფლება, რომელიც გულისხმობს სამართლებრივ უფლებებს კერძო საკუთრების შესახებ. ეს სახელმწიფოსთვის აუცილებელი პირობაა. კერძო საკუთრება არის მორალურად პროგრესული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი თვისება. ახალი ლიბერალებისთვის ქონება არა მარტო ეკონომიკური ფასეულობაა, არამედ, პირველ რიგში, მორალური საკითხის ნაწილია. აქედან გამომდინარე, ქონებრივი უფლებები მორალურად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობა და მატერიალური კეთილდღეობა ნიშნავს საზოგადოების ყველა წევრისათვის სიცეთის მოტანას (მოროუ, 2001).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ინდივიდუალიზმისა და პროგრესის აუცილებლობის რწმენამ წარმოშვა იდეა ისეთ სახელმწიფო სისტემაზე, რომლის მთავარი ფუნქცია იქნებოდა საკუთარ მო-

ქალაქეებზე ზრუნვა და ნარმოუდგენელი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. ევროპულმა სახელმწიფოებმა ეს უტოპიური იდეა აქციეს ყოველდღიური პოლიტიკის ნაწილად არა მარტო პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებში, არამედ ეკონომიკურშიც. ლიბერალიზმის მიერ ეკონომიკისადმი ახლებულმა დამოკიდებულებამ ძველი კაპიტალისტური ცხოვრება ახალ რელსებზე დააყენა, რაც გულისხმობდა **თავისუფალი ბაზრის** პრინციპს. მას პროფ. მ. პრაზადი ასე განმარტავდა: თავისუფალი ბაზარი, იგივე საგადასახადო სისტემის ნეოლიბერალური მიდგომა არის ეკონომიკა, რომელსაც მინიმუმამდე დაყავს სახელმწიფოს ჩარევა კერძო სექტორში (პრაზადი, 2006). თავისუფალი ბაზარი არა მარტო ეკონომიკური საკითხია, არემედ თავისუფლების ცნების მნიშვნელოვანი ასპექტი. ეს არის სისტემა, სადაც ხელისუფლების როლი მკაცრად შეზღუდულია. ხოლო მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისად ბაზარზე აქტორები (მყიდველები და გამყიდველები) თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთი პროდუქციისა და მოხმარების სახეობებს, ხარისხსა და მომსახურების ფასებს, (მაისისი, 1949). თავისუფალი ბაზარი უზრუნველყოფს ტრანზაქციის ხარჯების მინიმიზაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სარგებლის მაქსიმალური მოზიდვა (კოუზი, 1937). აქედან გამომდინარე, როგორც „თავისუფალი ბაზრის" ყველაზე დიდი დამცველი, მ. ფრიდმანი ამბობდა: „თავისუფალი ბაზრის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ისაა, რომ არანაირი მიმოცვლა არ მოხდება, მანამ სანამ ორივე მხარე არ მიიღებს მაქსიმალურ მოგებას და იქნება კმაყოფილი (ფრიდმანი, 2000). უფრო მეტიც, იგი ამტკიცებდა, რომ თავისუფალი ბაზრის პრინციპი, აქამდე აღმოჩენილი ყველა სხვა ეკონომიკურ მოდელზე უკეთესია, რადგან სწორედ ის უზრუნველყოფს ყველაზე უკეთ ხალხის დიდი მასების ნებაყოფლობით თანამშრომლობას (ფრიდმანი, 1962). ასევე თავისუფალი ბაზრის მოდელი კერძო საკუთრების დაცვის მაღალი გარანტიაა, რადგან ამ სისტემაში არ არსებობს ისეთი სუპერ ძალა, რომელიც შეიძლება ჩაერიოს ეკონომიკურ აქტორებს შორის ურთიერთობებში და მოახდინოს კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვა. დაგეგმილ ეკონომიკებში ასეთი ძალა ყოველთვის ხელისუფლებაა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომისტი და კაპიტალიზმის თეორიის მამა, ა. სმიტი, ამ საკითხებზე საუბრისას ერთ დროს ამბობდა, რომ „ვაჭრობა და ნარმოება იშვიათად იძლევა დიდ ეკონომიკურ შედეგებს იმ სახელმწიფოში, რომელსაც არ გააჩნია სამართლიანობის უზრუნველყოფა... და რომელშიც ადამიანებს არ აქვთ განცდა საკუთრების უფლების დაცვისა" (სმიტი, 1776). ხოლო თავისუფალი ბაზარი არის სწორედ ის საუკეთესო მოდელი, რომელიც ხალხს აძლევს საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტიის განცდას. მაგრამ,

ალბათ, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის სასწაულების ყველაზე მეტად გამოხატული და დახვეწილი ციტატაა კემპის ფრაზა, სადაც ის ამბობს, რომ „თავისუფალ ბაზარში არ არსებობს თავისუფალი ადამიანის წარმოების მოგების ლიმიტი, როდესაც ის თავისუფალია მისდიოს საკუთარ ოცნებებს“ (კემპი, 2011).

დემოკრატია

დემოკრატია არის კონკრეტული ფორმა და პოლიტიკური ცხოვრების ფილოსოფია, რომელიც ევროპაში გავრცელდა მონარქისტული რეჟიმების საპირწონე იდეად. მას საკმაოდ მარტივი და ამავე დროს ფართო განმარტება აქვს. მარტივი განმარტებით ის ნიშნავს „ხალის მმართველობას“. რაც შეეხება ფართო განმარტებას, მაგალითად, ევროკავშირის ინტერპრეტაციით იგი წარმოადგენს კონსენსუსური დემოკრატიის პრინციპს. ეს ნიშნავს პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემებს, კოალიციურ მთავრობებს და პარტიებს შორის ძალაუფლების გაზიარებას (ლუკარელი და მანერსი, 2006). პროფ. ლ. მჭედლიშვილი აცხადებს, რომ თანამედროვე ევროპამ და მსოფლიომ დემოკრატია მემკვიდრეობით მიიღო ანტიკური საბერძნეთიდან და რომიდან. მისი განვითარება და თანამედროვე საზოგადოებებთან შესაბამისობაში ახალ ფორმებში სრულყოფა მოხდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მართალია, მისი ფესვები ევროპულია, მაგრამ პოტენციალი საყოველთაო. ეს არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც კანონის წინაშე ყველა თანასწორია, სახელმწიფოს მართვაში ყველა ადამიანი ჩართულია პირადად ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით. შედეგად, ძალაუფლების წყარო მხოლოდ ხალხია (მჭედლიშვილი, 2011).

დემოკრატია პოლიტიკურ ძალაუფლებას ხალხს ანიჭებს და არა რომელიმე ინდივიდს ან პირთა ჯგუფს. დემოკრატიის პირობებში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია. თანამდებობის პირები არჩეულნი არიან ხალხის მიერ და არა მემკვიდრეობით ან გამოჩენილი ოჯახების თუ ამომრჩეველთა მცირე ჯგუფის მიერ (დვორკინი, 2002). თუმცა, დემოკრატიულ ქვეყნებში დემოკრატიის ორ სისტემას ვხვდებით. ერთი პირდაპირი დემოკრატიაა, ხოლო მეორე არაპირდაპირი. პირველი ნიშნავს, როდესაც ხალხი პირდაპირ ირჩევს თანამდებობის პირებს, მაგალითად, პრეზიდენტს, გუბერნატორს ან პარლამენტის წევრს. ხოლო მეორეა, როდესაც ადამიანები ირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებსაც აქვთ დელეგირებული უფლება აირჩიონ საჯარო მოხელე, მაგალითად, პარლამენტის სპიკერი, პრემიერ მინისტრი და სხვ. (დემეტრაშვილი, 2005).

დემოკრატიის ზუსტი და ფართოდ გავრცელებული განმარტება ჩამოყალიბებული აქვს ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტს ჯერ კიდევ 1938 წელს პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში. ფაშიზმისა და კომუნიზმის რეპრესიული მმართველობის პიკის დროს ე. პატარიძე ანაცხადებდა, რომ დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, რომელიც გაერთიანებული და თავისუფალია, მართავს საკუთარ თავს და ყველა უფლების წყაროს თავად წარმოადგენს. აქ ხალხი შედგება ინდივიდუალური ადამიანებისგან, რომლებიც არიან უზენაესნი, თავისუფალნი და თვითმმართველნი (პატარიძე, 1938). ავტორი მიიჩნევს, რომ დემოკრატიულ სისტემაში არსებობს ორი ძირითადი ღერძი პრინციპი, ესაა: თავისუფლება და თანასწორობა, რომელზეც ჩვენ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ.

თუმცა, აღსანიშნავია რომ თანასწორობის უფლება წარსული საუკუნეების დემოკრატიებისთვის სხვანაირად აღიქმებოდა. ცნობილია, რომ დემოკრატიული მმართველობები არსებობდა ანტიკურ საბერძნეთში, რომში, ვიკინგების დასახლებებში, მრავალი ქვეყნის სოფლების სახალხო კრებებზე, ზოგიერთ ქალაქ-სახელმწიფოში (მაგ. ვენეცია), მაგრამ არც ერთ მათგანში, მათ შორის მეოცე საუკუნის ამერიკულ თუ ევროპულ დემოკრატიულ სისტემებშიც კი ყველა სოციალურ ჯგუფს არ ეძლეოდა დემოკრატიულ პროცესებში ჩართვის უფლება. ასეთები იყვნენ ქალები, მონები, ღარიბები და გარკვეულ ასაკს მიუღწეველი პიროვნებები. პროფ. თილის აზრით განისაზღვრება დემოკრატიის ოთხი სახეობა: კონსტიტუციური, თვითმყოფადი, პროცედურული და პროცესზე ორიენტირებული.

კონსტიტუციური დემოკრატია გულისხმობს სახელმწიფოს მოწყობას, რომლის მიხედვით არსებობს კონსტიტუციური მონარქიები, საპრეზიდენტო ან საპარლამენტო სისტემები და ა.შ.

თვითმყოფადი დემოკრატია ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების პირობებზე და პოლიტიკაზე, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობას, პიროვნულ თავისუფლებას, უსაფრთხოებას, თანასწორობას, საჯაროობას და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

პროცედურული დემოკრატია გულისხმობს არის თუ არა მოქალაქეების დიდი რაოდენობა ჩართული კონკურენტულ არჩევნებში და იწვევს თუ არა ეს მნიშვნელოვან სამთავრობო ცვლილებებს.

პროცესზე ორიენტირებული დემოკრატია კი განსაზღვრავს ზოგიერთ მინიმალურ პროცესებს, რომლის დაცვაც უზრუნველყოს დემოკრატიის მაღალ ხარისხს (თილი, 2007).

როგორც თეორეტიკოსი რ. ა. დალი აცხადებს, შეიძლება დემოკრატია იდეალური სისტემაა, მაგრამ ინსტიტუციური ღონისძიებები ყველგან განსხვავებულია და მიიჩნევიან, როგორც იდეალური ტიპის არასრულყოფილ მიბაძვად (დალი, 1971). ქვემოთ ჩვენ განვიხი-

ლავთ დემოკრატიის კრიტერიუმებს და გავარკვევთ, აკმაყოფილებს თუ არა საქართველო დემოკრატიის მოთხოვნებს, რადგან „ევროკავშირი გასცდა დემოკრატიის მხოლოდ ფილოსოფიურ განსაზღვრებას და ევროკავშირის წევრობისათვის კონკრეტული დემოკრატიული მოთხოვნების კრიტერიუმები დაადგინა“ (კუბიჩეკი, 2003).

სეკულარიზმი

სეკულარიზმი არის სახელმწიფოსგან ეკლესიის გამიჯვნა და ეკლესიური დოგმებისაგან თავისუფალი საზოგადოება (ბერიაშვილი, 2009). რწმენის თავისუფლება, ეს ის პრინციპი გახდა, რამაც ათასწლოვანი დამოკიდებულება შეცვალა რელიგიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ განმანათლებლებში ცოტა თუ იყო ათეისტი, ისინი კათოლიკური ეკლესიის მკაცრ კრიტიკოსებად გამოდიოდნენ. მათთვის მიუღებელი იყო ეკლესიის ის დამოკიდებულება და ყოფაცხოვრება, რაც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიისთვის. განმანათლებლები რწმენის საკითხს ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავდნენ, ხოლო ეკლესიას სახელმწიფოს მოწყობის რანგში. ბევრ მათგანს ობიექტურ ჭეშმარიტებად მიაჩნდა ღმერთის არსებობა, ოღონდ ისინი თვლიდნენ, რომ ღმერთი მეფობდა და არ მართავდა. ზოგი მათგანის აზრით, ღმერთი ბუნებასთან თანაზიარობაში იგულისხმებოდა. მათი აზრით, ღმერთი და სამყარო ერთი მთლიანობა იყო. ხოლო ზოგი მიიჩნევდა, რომ ღმერთი მხოლოდ სამყაროს შემოქმედია, რომელიც აღარ ერევა მის ფუნქციონირებაში და ადამიანს თავისუფალი ნებისა და თავისუფალი არჩევანის უფლება უბოძა. შესაბამისად, თავისუფლება სწორედ ღმერთის მიერ ნაბოძები ნიჭია, რომლის ხელყოფა არავის შეუძლია. ყოველივე აქედან გამომდინარე, განმანათლებლობა მკაცრად უპირისპირდებოდა დოგმატურ მოძღვრებას, რომელიც განხილვას და საკითხის ეჭვის ქვეშ დაყენებას კატეგორიულად გამორიცხავდა. მათთვის წარმოუდგენელი იყო ღმერთის სახელით ადამიანების დასჯა, წამება და სიცოცხლის მოსპობა. ახალი იდეა, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფას და სეკულარიზაციას, ეკლესიას იძულებულს გახდიდა უარი ეთქვა რწმენის ძალადობით გავრცელებაზე და ყურადღებას გაამახვილებდა ადამიანთა დარწმუნებაზე. მხოლოდ ამ გზით იქნებოდა თავიდან აცილებული რელიგიული მოტივებით, არა თუ სამოქალაქო დაპირისპირებები, არამედ ქვეყნებს შორის რელიგიური ომები, რომელსაც ასიათასობით ადამიანი ემსხვერპლა (ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2010).

ამავე დროს, მიაჩნდათ რომ ეკლესიის ასეთმა დოგმატურმა ჩარევამ, ადამიანის ყოფით ცხოვრებაში, დაღი დაასვა საზოგადოებრივ და მეცნიერულ განვითარებას. კათოლიკურმა ეკლესიამ, რელიგიურმა ფანატიზმა, ინკვიზიციამ და ცრუმორწმუნეობამ საერთოდ შეანელა ევროპის გონებრივი განვითარება ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში. თუმცა, რელიგია იმდენად ღრმად იყო ადამიანთა ცხოვრებაში გამჯდარი, არც განმანათლებლებს წარმოედგინათ მის გარეშე ადამიანთა ცხოვრება. ვოლტერი პირდაპირ აცხადებდა, რომ არ არსებობდეს ღმერთი, მას ადამიანი მაინც გამოიგონებდა. ამიტომაც იყო რომ რელიგია იქცა საზოგადოების პოლიტიკურ იარაღად, ხოლო რელიგიური და სამოქალაქო შეუწყნარებლობა ერთი და იგივე ფენომენად. განმანათლებლებს სწამდათ, რომ მათი მოღვაწეობა და განათლება ხელს შეუწყობდა კაცობრიობის გათავისუფლებას უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობისაგან. დაიწყებოდა გონების მეუფების ეპოქა, რადგან თუნდაც რელიგიაში განათლებული ადამიანი ნათლად დაინახავდა, რომ ყველა რელიგიის ძირითადი მორალის პრინციპები სამართლიანია და სიკეთის კეთებისკენ მოუწოდებს მათ მიმდევრებს, არათუ სხვისი თავისუფლებისა და სიცოცხლის ხელყოფისაკენ (ლაბუჩიძე, ვოლტერი, 2003).

პროფ. ნ. პაპუაშვილი აცხადებს, რომ თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მიღწევაა ნების, არჩევანის, სინდისისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს ყველაფერი თავად ქრისტიანულ ფენომენად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა თავად ქრისტესგან მოდის, როდესაც ის აცხადებს: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა“ (მათე 22,21). რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და ეკლესია არსებითად განსხვავებული ერთეულია და სახელმწიფო ფუნქციონირება ნორმალურია, როდესაც ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ (პაპუაშვილი, 2011).

პროფ. ს. ლაბორდე აცხადებს, რომ არსებობს თეოკრატიული ქვეყნები, რომლებიც იმართებიან მხოლოდ რელიგიური წესებით ან რელიგიისა და სახელმწიფო კანონები შერწყმულია ერთმანეთში. ასეთ ქვეყნებში სეკულარიზმი განისაზღვრება, როგორც ცოდვა, მათი მტერი და ამიტომ სეკულარიზმის მომხრეები ანათემაზე არიან გადაცემული. მაშინ როდესაც სეკულარული სახელმწიფოები რელიგიურ მორწმუნეებს არ უკრძალავენ თავიანთი შეხედულებების და ღირებულებების დაცვას კერძო და საზოგადოებრივ სფეროში. ასე რომ, სეკულარიზმი არ არის რელიგიის საპირწონო და არ ეწინააღმდეგება მას. სეკულარიზმის სასიკეთოდ შეიძლება ითქვას, რომ რელიგია აბსოლუტურად თავსებადია ლიბერალურ სახელმწიფოში და არ ნიშნავს, რომ რელიგია ირაციონალისტური ან მხოლოდ კონსერვატორული

ფენომენია. მას აქვს ლეგიტიმური ადგილი საერო სახელმწიფოში და შეუძლია მიჰყვეს თანამედროვე გამოწვევებს (ლაბორდე, 2013).

ევროკავშირის გაფართოების და მასში ახალი წევრების მიღების შემდეგ, ევროკავშირი კიდევ უფრო მდიდარი გახდა თავისი რელიგიური მრავალფეროვნების კუთხით. ამიტომაც ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში აისახა, რომ ევროკავშირი უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციისგან დაცვის გარანტიას, პატივს სცემს რელიგიურ მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს დიალოგს ეკლესიებთან, რელიგიურ საზოგადოებებთან და არა-რელიგიურ ორგანიზაციებთან. ევროკავშირი აღიარებს რელიგიის მნიშვნელობას და ადგენს მის მიდგომებს ევროპული რელიგიური მემკვიდრეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, იგი იღებს პასუხისმგებლობას პატივი სცეს ყველა ეკლესიას და დაცული იყოს მათი სტატუსი წევრი სახელმწიფოების კანონების შესაბამისად (რობერსი, 2011). ასე რომ, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა გარანტირებულია სეკულარულ ქვეყნებში, თუმცა ეკლესიის მხრიდან საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევა წარსულის საკითხია. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ კვლევის შემდგომ ნაწილში ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ საინტერესო მასალები საქართველოსთან დაკავშირებით და გავარკვიოთ, აქვს თუ არა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას რაიმე როლი პოლიტიკური ცხოვრებაში და ახდენს თუ არა გავლენას ქვეყნის განვითარებაზე, მაშინ როდესაც ეს სახელმწიფო ევროპული ინტეგრაციის გზაზეა, როგორც სეკულარი სახელმწიფო.

ევროპის იდეის მეორე ტალღა: თანასწორობა, სოლიდარობა

თანასწორობა

ცნებები თანასწორობა, სოლიდარობა და მათ შორის თავისუფლება მე-19 საუკუნეში გავრცელებულმა სოციალისტურმა იდეოლოგიამ შეირწყა. ეს იდეოლოგია კარლ მარქსის შეხედულებებს ეყრდნობოდა, საბაზრო ეკონომიკის მიუღებლობას და კაპიტალიზმის ალტერნატივის შემოთავაზებას გულისხმობდა. მკაცრი ინდუსტრიული ნესების პირობებში, სოციალიზმი მუშათა კლასის გათავისუფლებას, შრომითი პირობების გაუმჯობესებას, მათ პოლიტიკურ და სამოქალაქო თანასწორობას ქადაგებდა. თუმცა ევროპაში რუსმა სოციალისტებმა განხეთქილება შეიტანეს და სოციალიზმის ორი გზა განვითარდა. ერთი იყო „სოციალ-დემოკრატია“, რომელიც საპარლამენტო ბრძოლის გზას ირჩევდა, ხოლო მეორე „ბოლშევიზმი“, რომელმაც რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გზა აირჩია (ჰეუვუდი, 2005).

სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - თანასწორობა არის პოლიტიკური იდეალებიდან ყველაზე მოწყვლადი ცნება. პროფ. დვორკინის აზრით, თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ, იმ პოლიტიკოსებსაც კი, ვისაც თავი ლიბერალად ჰყავდა გამოცხადებული, ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოება, მაინც უტოპიად წარმოედგინა. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ დედამიწაზე ერთ კონკრეტულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ყველა უფლება და ყველაფერზე ხელმისაწვდომობა და მეორე ადამიანს არა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის სხვა გარემოში დაიბადა. სამწუხაროდ, მართლაც ასეთია რეალობა, რაც თანამედროვე სამყაროს გამოწვევაცაა. თუმცა, ისიც დიდი პროგრესია, რომ სიტყვის თავისუფლება ხელს უწყობს პოლიტიკური გარემოს უფრო და უფრო მეტ თანასწორობას (Dworkin, 2002).

ფრანგი განმანათლებლების ქართველი მკვლევარი წერს, რომ „თანასწორობა“ ეს ის ცნებაა, რომლის გარეშეც განმანათლებლებისთვის „თავისუფლებაც“ კი წარმოუდგენელია. ბუნებრივ მდგომარეობაში, ყველა ადამიანი თავისუფალი, კეთილი და თანასწორია. ყველა ადამიანი იბადება თანასწორი და მათ თანაბარი უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეთ, როგორც ერთმანეთის, ასევე სახელმწიფოს მიმართ. კანონით ყველას თანასწორობა არ ნიშნავს ინდივიდის დაკნინებას და სრულ ერთფეროვნებას. კერძო საკუთრება, თავისთავად, ზოგ მათგანს აყენებს უპირატეს მდგონარეობაში, მაგრამ

მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში და არავითარ შემთხვევაში საზოგადო კანონისა და სახელმწიფოს წინაშე. კერძო საკუთრება წარმოშობს მდიდრებსა და ღარიბებს, რაც იწვევს ერთი მეორეზე დამოკიდებულებას და ბატონობას. მაგრამ ვინაიდან კერძო საკუთრება უკვე ადამიანის მთავარი უფლების განუყოფელი ნაწილია, შეუძლებელია და დანაშაულიც კი მისი გაუქმება ან ჩამორთმევა. ამიტომ განმანათლებლები ეძებდნენ იმ გზებს, რითაც შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების და მისი საკუთრების უფლების დაცვა და უთანასწორობის მიერ გამოწვეული ზიანის შემცირება. ასეთ გამოსავალს ჟ. ჟ. რუსო საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში ხედავდა, რა დროსაც გაზრდიდა საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და მოვალეობებს. თანასწორობის გაგება არ შეიძლება ისე, თითქოს, ყველა ინდივიდს ძალაუფლებისა და სიმდიდრის ხარისხი სრულიად ერთი და იგივე აქვს. აუცილებელია მხოლოდ ის, რომ ცალკეული პირის ძალმოსილება არანაირ ძალადობაში არ გადაიზარდოს და მან მხოლოდ თავისი მდგომარეობისა და კანონის საფუძველზე იმოქმედოს. ის უთანასწორობა, რაც გამოწვეულია ბუნების ძალით, მისი შეცვლა რთულია და აუცილებელი არაა. ხოლო პოლიტიკური და სამოქალაქო უთანასწორობა დაუშვებელია. ძალითა და გონებით არათანასწორი ადამიანები, კანონისა და სამართლის ძალით, თანასწორნი ხდებიან (ლაბუჩიძე, რუსო, 2003).

სამწუხარო ფაქტია, რომ თუ ადამიანები თანასწორობას კანონის წინაშე და პოლიტიკურ უფლებებს ითხოვნდნენ მეთვრამეტე საუკუნეში, მათ ეს მხოლოდ შემდეგ საუკუნეში მიიღეს. ხოლო მეოცე საუკუნეში გაიზარდა პოლიტიკური მოძრაობები განათლების, ჯანდაცვის, საცხოვრებლების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის (მილიბენდი, 2005). 1990-იან წლებში თანასწორობის მოთხოვნა გასცდა ეროვნულ საკითხებს და მოიცვა თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის. დაიწყო ბრძოლა უმცირესობების დასაცავად და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სქესის, რასობრივი, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, გენეტიკური თავისებურებების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა რაიმე განსხვავებული შეხედულებების გამო. ასევე იმ ადამიანთა დასაცავად, რომლებიც განსხვავდებიან ეროვნული, ქონებრივი, დაბადების ადგილის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის გამო (ლუკარელი და მანერსი, 2006). მიიჩნევა, რომ ყველა ზრდასრული ადამიანი უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მქონე საზოგადოების თანასწორ წევრად. ეჭვგარეშეა, რომ ადამიანები შეცდომებს უშვებენ და ყველას სჭირდება რჩევა, მაგრამ არავის აქვს უფლება ვინმეზე აიღოს პასუხისმგებლობა ნებართვის გარეშე, გახდეს მშობელივით ავტორიტეტი და მოიპოვოს რელიგიური, ფი-

ლოსოფიური ან პოლიტიკური მეურვეობა, იმ მოტივით, რომ დაიცვას ზოგიერთი ტრადიციული „ჭეშმარიტი გზა“ ან ახალი სახის „ჭეშმარიტება“. ეს ყველაფერი თითოეული ადამიანის ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა (ჰობჰაუსი, 1994).

მსგავსი სახის სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განსხვავებული ადამიანების სტიგმატიზაცია იყო საუკუნეების განმავლობაში დისკრიმინაციისა და დასჯის მიზეზი, რასაც ასობით ადამიანის თავისუფლება და სიცოცხლე შეეწირა. თითოეულ დისკრიმინაციულ გარემოს აქვს საკუთარი ისტორია თანასწორობის მიღწევის გზაზე. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი მოძრაობები, ჰყავდა მსხვერპლი, გმირები და მიმდევრები. ჩვენ არ ვფიქრობთ, კვლევის ფარგლებში უნდა გამოვყოთ რომელიმე უმცირესობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი იბრძოდა მათი თავისუფლებისთვის, ზოგიერთი კი დუმილს ამჯობინებდა. ასეთი მოძრაობები იყო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდა. იყო გენდერული, ეთნიკური ან ეროვნული მოძრაობები მათი დამოუკიდებლობის ან ავტონომიისათვის. თუმცა, ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია, გავიგოთ ევროპის იდეის ფარგლებში, თანასწორობის მოთხოვნით რა მოძრაობებს და მოვლენებს ჰქონდა ადგილი საქართველოში. ეს არის ჩვენი შემდგომი შესწავლის საგანი, რომელსაც ქვემოთ დავუბრუნდებით. აქედან გამომდინარე, უნდა გვესმოდეს, რომ არ ვსაუბრობთ ყველა სახის თანასწორობის შესახებ. ამავე დროს ჩვენ არ ვახდენთ მოქალაქეების განზოგადებას და ვაღიარებთ ყველა ადამიანის ინდივიდუალობას. როგორც ერთ-ერთმა ქართველმა მეცნიერმა თავის წიგნში აღნიშნა, რომ ადამიანის თანასწორობა ნიშნავს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობების ქონას. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს თანაბარი ხელმისაწვდომობას სახელმწიფო სერვისებზე და ეს არ შეიძლება გახდეს ბარიერი კონკურენციის პირობებში, რომელიც ასევე ადამიანის ფუნდამენტური მახასიათებელია (პატარიძე, 1938).

სოლიდარობა

სოციალ-დემოკრატიის მიერ დანერგილი კიდევ ერთი უმთავრესი პრინციპი არის სოლიდარობა, რაც ნიშნავს ადამიანთა შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობას, თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემას, განსხვავებების მიუხედავად თანაარსებობას, ტოლერანტობას, საერთო ინტერესების დაცვას, რათა ქვეყანაში შენარჩუ-

ნებული იქნას მშვიდობა, განვითარება და კეთილდღეობა. ამ ღირებულების გარეშე წარმოუდგენელია დაიცვა, როგორც თავისუფლება, ასევე თანასწორობა. ადამიანების რელიგიური, რასისტული და ეროვნული განსხვავებულობის მიუხედავად, განმანათლებლები თვლიდნენ, რომ თანამშრომლობა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ყველასთვის მისაღებია. სხვების აღიარება, პატივისცემა, გახსნილობა, კარჩაკეტილობაზე უარის თქმა და შიშის დაძლევა განსხვავებული ადამიანის მიმართ არის საწინდარი მშვიდობისა და განვითარებისა (ლაბუჩიძე, ვოლტერი, 2003).

წიგნში „კომუნები, სოციოლოგია და საზოგადოება“ ვკითხულობთ, რომ სოლიდარობა არის გარემოება, რომელშიც განსხვავება საკუთარ ინტერესებსა და სოციალურ ინტერესებს შორის აღარ არსებობს. ამრიგად, პირი წარმოდგენილია ჯგუფის ნაწილად, რა დროსაც იგი მთლიანად ჩართულია ურთიერთთანამშრომლობით ურთიერთობებში იმ მიზნით, რომ მოხდეს სოციალური წესრიგის შენარჩუნება მათივე საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ასეთ დროს პირი ორიენტირებულია არა მხოლოდ იმაზე თუ რა სურს, არამედ თუ რა გააკეთოს. ასეთ საზოგადოებაში პიროვნული ინდივიდუალურობა ძლიერდება და არა პირიქით. აქედან გამომდინარე, ძლიერი კომუნა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მუდმივად იქმნება იმ ინდივიდუალებისგან, რომლებიც, ამავე დროს, გრძნობენ თავს თანაშრომლობით საზოგადოების წევრად და ეწევიან საერთო ინტერესების მქონე საქმიანობას. ამგვარად, მათი ღირებულება ისაა, რომ ისინი დგანან ბუნებრივ სოლიდარობაზე, რომლის საფუძველია უპირობო ინდივიდუალიზმის მორალური თავისუფლება (აბრამსი და მაკქალოჩი, 2010).

სოციოლოგი უ. ბეკი ამბობს, რომ სოციალური ეკონომიკის, სოციალური პარტნიორობისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობას დიდი ისტორია აქვს განმანათლებლობის ეპოქიდან, რადგან თავისუფალ ეკონომიკურ წესებს შეუძლია გააღრმავოს უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ძლიერებსა და სუსტებს შორის, მაღალჩინოსნებსა და რიგით მოქალაქეებს შორის. ასეთ დროს სოლიდარობა არის ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა. დღესდღეობით, ევროპის სამოქალაქო საზოგადოება და კოსმოპოლიტური ევროპა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაეფუძნება სოლიდარობას. ამ შემთხვევაში სოლიდარობა მიმართულია არა მხოლოდ ცალკეული ერების ნიშნით, არამედ ყველა ევროპელისათვის. ეს არის განსაკუთრებული თანამეგობრობა განსაკუთრებული სოლიდარობით, რომელსაც მიაჩნია თანასწორობა, როგორც უმთავრესი ღირებულება. ეს საზოგადოება თანასწორობას განიხი-

ლავს, როგორც კულტურული პროდუქტიულობის წყაროს. ევროპულ რეალობაში სოლიდარობას შეუძლია შექმნას კომპლექსური ურთიერთობები ტრანსნაციონალური უთანასწორობის გამო გამოწვეულ კონფლიქტებს შორის (ბეკი, 2005). სოლიდარობა არის ის მექანიზმი, რისი საშუალებითაც მუშაობს ევროპული საზოგადოება და ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან. ევროკავშირის სოლიდარობის ფონდის შექმნის შედეგად, რომელიც მიმართულია მთავარი სახელმწიფოებრივი კატასტროფების აღმოსაფხვრელად, ხელი შეეწყო მრავალ სოლიდარულ ინიციატივას (ვურცელი და ჰეივარდი, 2012).

სოლიდარობა არის ევროკავშირის ის ღირებულება, რომლის საშუალებითაც ის არეგულირებს ბალანსს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ საბაზრო ეკონომიკას შორის. იგი მიზნად ისახავს დასაქმებას და სოციალურ პროგრესს, ებრძვის „სოციალურ გამონაკლისებს". ასევე ხელს უწყობს „სოციალურ სამართლიანობას და მის დაცვას", თაობათაშორის სოლიდარობას, და წევრ სახელმწიფოებს შორის სოციალურ სოლიდარობას. საბოლოო ჯამში, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სოლიდარობა, როგორც ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემა, თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობა, სიღარიბის აღმოფხვრა (ლუკარელი და მანერსი, 2006).

ევროპის იდეის მესამე ტალღა: მშვიდობა, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, გარემოს დაცვა, ევროკავშირი

მშვიდობა

XX საუკუნის განმავლობაში 300 მილიონ ადამიანზე მეტი - ჯარისკაცი, ქალი თუ ბავშვი იქნა დახვრეტილი, ნაწამები, ნაცემი, დაჭრილი, დამწვარი, გაყინული, დამტვრეული, შიმშილისგან თუ სამუშაოს შესრულებისას გარდაცვლილი, ცოცხლად დამწვარი, გაგუდული, ჩამომხრჩვალი, დაბომბილი ან მოკლული პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური შეხედულების გამო. ეს ის საშინელი რეალობაა, რომელიც კაცობრიობამ გამოიარა მხოლოდ ერთ საუკუნეში. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო და უფრო მეტი ადამიანი პრინციპულ წინააღმდეგობას უწევდა ადამიანის ამ ველურ გამოვლინებებს. ადამიანის უფლებების დაცვამ და პატივისცემამ, სხვა ნებისმიერ ისტორიულ ეტაპთან შედარებით მშვიდობა მოიტანა (პერი, 2006). სწორედ ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპის პოლიტიკური ლიდერების უმთავრეს ამოცანად იქცა მშვიდობის შენარჩუნება. მსოფლიოში მდგრადი მშვიდობის მოპოვება კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მიღწევაა. რთულია გავიხსენოთ ევროპაში ისეთი დროის მონაკვეთი, როდესაც ქვეყნები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და მათ მეზობლებთან ან იმპერიის წინააღმდეგ ომები არ ჰქონდათ. ზოგიერთი მოაზროვნე, მაგალითად ინგლისელი თ. ჰობსი და იტალიელი ნ. მაკიაველი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოებს შორის ომები გარდაუვალი იყო. მათი აზრით, ქვეყნები უსაფრთხოების მიზნით იქმნება და პრობლემური საკითხების მოგვარების თუ უბრალო კონკურენციის გამო ომი ბუნებრივი პირობაა (არონი, 2003). თუმცა, ფრანგი განმანათლებლები ასე არ ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ომი ბუნებრივი მოვლენა არ იყო ადამიანისთვის. ისინი ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იყო ომებისა და სამხედრო შეტაკებების თავიდან აცილება, იმ შემთხვევაში თუ ადამიანების აღზრდა მოხდებოდა სიკეთის პრინციპებზე. უბრალო და შრომისმოყვარე ხალხის ნება არასოდეს ყოფილა ომი. იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურების გამო ხდებოდა, რასაც ძირითადად საკუთარი პირადი ინტერესებისთვის იყენებდნენ. ეს ინტერესები კი ხალხისთვის ყოველთვის დაფარული იყო და მათი პატრიოტული სულისკვეთებით შეფუთვა ხდებოდა. სახელმწიფო ლიდერები, რომლებიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იყენებენ ზეწოლას, ექსპლოატაციას, უსამართლობას და დესპოტიზმს,

შეუძლებელია პატივისცემა დაიმსახურონ სხვა ერებისგან. ასე რომ, დესპოტები და ავტოკრატები მიიჩნევიან ომების წყაროებად. ამიტომ მშვიდობისა და თანამშრომლობის დამყარებისათვის აუცილებელია ხელისუფლება მშვიდობიანი მოსახლეობის ხელში გადასულიყო. ეს ნიშნავს რესპუბლიკული სისტემისა და დემოკრატიის დამკვიდრებას, სადაც ხელისუფლება საკუთარი ხალხის მიერაა კონტროლირებადი და საერთაშორისო ურთიერთობები არის ღია, გამჭვირვალე, რათა თავიდან იქნას აცილებული სახელმწიფოებს შორის საიდუმლო შეთანხმებები და კონფრონტაცია. ომი კი მხოლოდ ორ შემთხვევაში არის გამართლებული. როდესაც ეს არის თავდაცვის მიზნით ან ეხმარები მეგობარ სახელმწიფო აგრესორის წინააღმდეგ. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ომის ინიციატორი სასტიკად უნდა დაისაჯოს, რადგან ის საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ სხვა ადამიანების თავისუფლებასა და სიცოცხლეს, არამედ პირველ რიგში საკუთარი ხალხის (ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2010).

ასობით და ათასობით ადამიანი იხოცებოდა საკუთარი ქვეყნის სამხედრო კამპანიებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ომი იყო მათი თავისუფლებისთვის ბრძოლა თუ მათ მიერ სხვების ანექსია. ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა მეოცე საუკუნეში პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ პერიოდში ევროპის დიდი ნაწილი განადგურდა და მილიონობით ადამიანი დაიღუპა მხოლოდ მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და წარმომავლობის გამო. ხოლო მას შემდეგ, რაც ევროპის პოლიტიკურმა ელიტებმა გაანალიზეს და გააცნობიერეს წარსულის უგუნური დამოკიდებულება პოლიტიკისა და ცხოვრების მიმართ, ისინი შეთანხმდნენ, მიეღოთ ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც უნდა დაფუძნებოდა თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების პრინციპებს (პასკალმა, 2002). პროფ. ლუკარელის თქმით, ევროკავშირის მიდგომა კონფლიქტების პრევენციისთვის აქცენტს აკეთებს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მოგვარებაზე, რაც ომს „წარმოუდგენელს და შეუძლებელსაც" კი ხდის. კონფლიქტების პრევენციის მიზნით ევროკავშირი აქცენტს აკეთებს სახელმწიფოების განვითარების ხელშეწყობაზე, ვაჭრობისა და შიდარეგიონულ თანამშრომლობაზე, პოლიტიკურ დიალოგზე და ევროკავშირის გაფართოებაზე (ლუკარელი და მანერსი, 2006).

კონფლიქტოლოგი ი. გალტუნგი მშვიდობის დამყარების რამდენიმე გზას გვთავაზობს. პოლიტიკური თვალსაზრისით იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მთავრობის დაახლოება ხალხთან, ისეთი სახის დეცენტრალიზებული სახელმწიფო სისტემების აგება, რომელიც დამყარებული იქნება ადამიანების ინიციატივებზე და რეფერენდუმებზე. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა აძლიერებს

სახელმწიფო სისტემას ქმნის ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე მთავრობებს. როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირების წრე ისე ფართოვდება, რომ მოიცავს მთელ მოსახლეობას, გადაწყვეტილებები სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ხალხის ნებაზე. შესაბამისად, რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო მშვიდობიანია იგი. მშვიდობის დამყარების პროცესი ახალ ამოცანებს უსახავს სამხედრო სისტემასაც. ადამიანების მკვლელობისა და ქვეყნების განადგურების ნაცვალად, მათ მიზნად იქცევა თავდაცვა აგრესიისა და ძალადობისაგან. ამიტომ მას ღრმად სჯერა, რომ ომი, როგორც მექანიზმი, გაუქმდება ისევე, როგორც გაუქმდა მონობა და კოლონიალიზმი. ეს არის ის, რაც მოიტანს ეკონომიკის განვითარებას, სიღარიბის დამარცხებას და რისთვისაც უკვე ათწლეულების მანძილზე იღწვის ევროპის კავშირი (გალტუნგი, 1996). ფილოსოფოსი მ. სქრილერი წერდა, რომ ევროპის ხალხის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის იდეა აღარასოდეს წაიშლება, რადგან იგი ეფუძნება სხვადასხვა აქტორებს, მათ შორის, უზენაესი ტრიბუნალის ეკონომიკურ ინტერესებსა და უმაღლესი სასამართლოს ლეგიტიმურობას, რომელიც ჭრის ყველა კონფლიქტს და მკაცრი წესების დაცვით ინარჩუნებს მშვიდობას შესაბამისი სამართლებრივი სისტემით (არონი, 2003).

როგორც ვხედავთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყნებმა, რომლებმაც მიიღეს მშვიდობის შენარჩუნების პრინციპი, როგორც ღირებულება, არ შემთხვევიათ თუნდაც პატარა სამხედრო კონფლიქტი. ეს კი წარმოუდგენელი იყო კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, მაგრამ ფაქტია დღესდღეობით იგი სინამდვილეა. სწორედ აქედან გამომდინარე, ევროკავშირმა თავისი საგარეო პოლიტიკაში დაისახა მთავარ მიზნად კონფლიქტების მოგვარება და მისი თავიდან აცილება (ტოკი, 2007). უფრო მეტიც, მისი ძირითადი მიზანია სტაბილურობის შენარჩუნება კონფლიქტის შემდგომ ეტაპზე, რათა გაჩნდეს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა (დიუკი და კორტიერი, 2010). შესაბამისად, კონტინენტზე მშვიდობა ფართოვდება ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის პარალელურად. ეს არის ევროკავშირის ყველაზე წარმატებული პოლიტიკა და იგი არა მარტო სტაბილურობას და ლეგიტიმური სახელმწიფოების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ იღებს მათ, როგორც სრულუფლებიან წევრებს ახალ ევროპულ ოჯახში (ბლოკმანსი, 2010).

ადამიანის უფლებები

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად ითვლება. მასში ასახულია იმ ადამიანთა იმედები და ოცნებები, რომლებსაც კვლავ ეშინიათ მსოფლიო ომებისა და კონფრონტაციების (რობინსონი, 2006). ადამიანის უფლებების ცნება არ არის დაკავშირებული ღვთის რწმენასთან ან ბუნებრივ კანონებთან. ის ცდილობს გაცდეს კონკრეტული ინსტიტუტებისა და ტრადიციების, სამართლებრივი სისტემის, მთავრობების, ეროვნულ ან თუნდაც რეგიონულ საკითხებს. იგი აცხადებს პრეტენზიას იყოს მორალური და გასცეს პასუხი თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი, ან რას ნიშნავს მორალურად მოქცევა (ანტონი და შელტონი, 2011).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1948 წლის დეკემბერში აშშ-ის ყოფილი პირველი ლედის ქალბატონ ელეანორ რუზველტის მიერ იქნა წარდგენილი. ტექსტი მიღებულ იქნა შესწორებების გარეშე. მასზე განსხვავებული აზრი არ გამოუხატავს არც ერთ სახელმწიფოს, მაგრამ საბჭოთა კავშირმა, მისმა პარტნიორებმა, საუდის არაბეთისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან. იმის მიუხედავად, რომ დოკუმენტი ინიცირებული იყო დასავლეთის ქვეყნებისაგან, წინააღმდეგი არავინ წასულა, ამიტომ იგი გაერომ მიიღო, როგორც ყველა ერისა და ქვეყნის საერთო დეკლარაცია (შარვეტი და კაჩინსკა-ნეი, 2008). მას ეწოდა „ყველა ადამიანის საერთაშორისო მაგნა კარტა", სადაც წარმოდგენილი იყო მსოფლიო ახალი წესრიგის ძირითადი პრინციპები. მასში აღიარებული უფლებები გახდა ევროპული და ამერიკული სახელმწიფოების საფუძველი. ამ ყველაფრის მიუხედავად, ადამიანის უფლებების დაცვა ჯერ კიდევ წარმოადგენს დიდ გამოწვევას მთელი მსოფლიოს მასშტაბით (რობინსონი, 2006). დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან, რომლებიც შინაარსის მიხედვით ექვს ჯგუფად შეგვიძლია დავანაწილოთ. ესენი არიან:

1. თავისუფლებისა და თანასწორობის უფლება პოლიტიკური, რელიგიური, კლასობრივი, სქესობრივი, რასობრივი თუ სხვა ნებისმიერი შეხედულების მიუხედავად;
2. ერთა თვითგამორკვევის უფლება;
3. სამართლიანობისა და სასამართლო სისტემის უფლება;
4. პირადი ხელშეუხებლობის უფლება;
5. გადაადგილების უფლება;
6. განათლების უფლება; (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948)

ჩვენ თუ გადავხედავთ განმანათლებლობის ეპოქას დავინახავთ, რომ პიროვნების თავისუფლებისა და სეკულარიზაციის უფლებები ბუნებრივია. მოაზროვნეებმა ადამიანის შესახებ გაავრცელეს იდეა, რომლის მიხედვითაც იგი ინდივიდუალისტი, ცვალებადი და მესაკუთრე არსებაა (პაგდენი, 2002). მისი ეს უფლებები ითვლება, როგორც ბუნებრივი უფლებები, ადამიანის თანდაყოლილი უფლებები. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები სარგებლობენ ასეთი უფლებებით როგორც მათი ბუნებისა და ღირსების ძალით. ადამიანის უფლებათა 1948 წლის გაერო-ს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია, რომელმაც ადამიანის უფლებათა თანამედროვე მოძრაობისთვის გაკულტებული ხასიათი მიიღო, პირველი მუხლში აცხადებს, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებითა და უფლებებით. ისინი დაჯილდოებულნი არიან გონებითა და სინდისით, ხოლო ერთმანეთის მიმართ უნდა იმოქმედონ ძმობის სულისკვეთებით". ამ თვალსაზრისით, არის თუ არა ეს უფლებები აღიარებული ამა თუ იმ პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში, ადამიანები მაინც ფლობენ ამ უფლებებს. ის პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა, რომელიც არ სცემს პატივს ამ უფლებებს, არღვევს ეთიკის ფუნდამენტურ მოთხოვნებს. ეს უფლებები განსხეულებულია, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში (ჰობჰაუსი, 1994).

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მშვიდობიან ეპოქაში ვცხოვრობთ, თუმცა მაინც ვხედავთ ტერორსა და ომებს, უმცირესობების ფუნდამენტური უფლებების მასობრივ დარღვევებს. სოციალურად დაუცველი, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დარღვევებს, როგორიც შეიძლება იყვნენ ბავშვები, ქალები, რელიგიური თუ ეთნიკური, სექსუალური უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (ბრემსი, 2013). სწორედ ამიტომ, უმცირესობათა დაცვა ევროპაში ძალიან აქტუალური თემა გახდა და ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუმცა უნივერსალური დეკლარაცია არ გამოყოფს უმცირესობათა საკითხს ცალკე, რადგან ადამიანის უფლებებში ყველა ადამიანი იგულისხმება, აბსოლუტურად ყველა (შარაჯა, 2010).

ევროკავშირი ადამიანის უფლებების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი და მფარველია. მას გააჩნია მრავალი პროექტი, რომლის მეშვეობითაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის დონეზე. მან უზრუნველყო განვითარებადი ქვეყნებისთვის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა ექცია რეგიონალური სტრატეგიების ნაწილად და მას სამართლებრივი საფუძველიც კი ჩაუყარა საკუთარ საგარეო პოლიტიკაში.

არც ერთი სხვა სახელმწიფო თუ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია არ უკავშირებს მესამე ქვეყნებთან ურთიერთობას „ადამიანის უფლებათა დეკლარაციას“ (ლუკარელი და მანერსი, 2006). აქედან გამომდინარე, ვხედავთ, რომ ადამიანის უფლებები იქცა ევროკავშირის პოლიტიკური იდენტობის ნაწილად. ევროკავშირი ადამიანის უფლებებს აყენებს უფრო მაღლა, ვიდრე რომელიმე მთავრობის სხვადასხვა ინტერესებს (ბალფორი, 2008). აქედან გამომდინარე, ახალი ევროკავშირის წევრობის მსურველი აპლიკანტი სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპები. შესაბამისად, ევროკავშირის გაფართოების პროცესმა დიდი დადებითი გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვაზე მთიალანად ევროპაში (ლამპე, 2005).

კანონის უზენაესობა

ევროპის იდეაში არ არის ავტოკრატების, დიქტატორებისა და აბსოლუტური მონარქების ადგილი. ეს არის მდგომარეობა, სადაც კანონია უზენაესი. იგი თავისუფლების, დემოკრატიისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ევროკავშირში კანონის უზენაესობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს თვითნებობა და იგი ხელს უწყობს ინდივიდების განვითარებასა და ჩართულობას მათი უფლებების დაცვისთვის, როგორც მის ფარგლებს შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც (ლუკარელი და მანერსი, 2006). კანონის უზენაესობა მოიცავს ისეთ კონცეფციებს, როგორიცაა სამართლიანობა, პროგნოზირებადობა და კანონმდებლობის ხარისხი. კანონის უზენაესობის რეალიზებისთვის საჭიროა გამართული ინსტიტუტების ერთობლიობა. მაგალითად, სასამართლოები, კარგად მომზადებული იურისტები და პოლიცია, რომლებიც პატივის სცემენ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. როდესაც კანონის უზენაესობა დაცულია, ადამიანთა ცხოვრება მოწესრიგებული და სტაბილურია. არავის ეშინია უკანონოდ დევნის ან ჩაგვრის. კანონის უზენაესობას სამი ძირითადი მიზანი და ღირებულება გააჩნია, ესენია: ხალხის დაცვა ანარქიისგან; ხალხში ნდობის მოპოვება, რათა მათ იცოდნენ თავიანთი ქმედებების სამართლებრივი შედეგები; და მათი დაცვა საჯარო მოხელეების მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში (სტრომსეტი, ვიპმანი და ბრუქსი, 2007).

როდესაც კანონის უზენაესობაზე ვსაუბრობთ, ყველა სამართლებრივი სისტემა არ უნდა ვიგულისხმოთ. მაგალითად, თუ ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი სასჯელი არის გათვალისწინებული ჭრილმანი დანაშაულისთვისაც კი, ხოლო თავის მოკვეთა არის კა-

ნონიერი სამხედრო გადატრიალების დროს, ან საჯაროდ ქვებით ჩაქოლვა შეუფერებელი მეუღლეობისათვის, ეს ის არ არის, რასაც ჩვენ კანონის უზენაესობაში ვგულისხმობთ. კანონის უზენაესობა ისეთი სამართლებრივი სისტემაა, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების ძირითად პრინციპებს. იგი წარმოადგენს ლიბერალური, განმანათლებლობის ტრადიციების ისტორიას და საუკუნეების განმავლობაში განვითარდა. ამ გაგების გარეშე სასამართლოები მხოლოდ შენობები არიან, მოსამართლეები მხოლოდ ბიუროკრატები, ხოლო კონსტიტუციები მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯები (სტრომსეტი, ვიპმანი და ბრუქსი, 2007).

ფილოსოფოსი ჯ. ბ. როლსი აცხადებს, რომ კანონის უზენაესობა არის ფორმალური სამართლიანობის, რეგულარული და მიუკერძოებელი ადმინისტრაციის სამართლებრივი სისტემა. ამ შემთხვევაში ადამიანები დაცულნი არიან კანონების არასწორი ინტერპრეტაციით, დისკრიმინაციისა და პოლიტიკური დევნისგან. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული თავისუფლების ცნებასთან. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ იგი სამართლებრივი სისტემის ჭრილში, რომელიც კავშირშია სამართლიანობასთან. სამართლებრივი სისტემა არის საჯარო წესების იძულებითი წესრიგი, რომელიც მიმართულია ადამიანთა ქცევის რეგულირებისა და სოციალური თანამშრომლობისთვის. როდესაც ეს წესები სამართლიანია, ისინი ქმნიან ლეგიტიმურ მოლოდინებს. ისინი წარმოადგენენ იმ საფუძვლებს, რომელთაც ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს დაეყრდნონ. კანონმდებლებს, მოსამართლეებს და სხვა საჯარო მოხელეებს უნდა სჯეროდეთ, რომ კანონის მორჩილება ღირს. იმ სისტემაში, სადაც კანონის უზენაესობაა მოსამართლეები დამოუკიდებელნი და ხელშეუვალნი უნდა იყვნენ. სასამართლო პროცესები უნდა იყოს სამართლიანი და ღია, მაგრამ არა საზოგადოების ცრუ შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ. მართლმსაჯულების პრინციპებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართლებრივი წესრიგი განხორციელდეს მიუკერძოებლად და მუდმივად (როულსი, 1999).

საბოლოოდ, კანონის უზენაესობა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ცნებად, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს ღირებულებას, სადაც ძალადობის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია. ადამიანები ირჩევენ დავის გადაწყვეტის პროცედურულ სამართლიან და ნეიტრალურ წესებს, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებათა ისეთ ფუნდამენტურ ნორმებს, როგორიცაა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და გენდერული დისკრიმინაციის აკრძალვა, წამების, მონობის, თვითნებური დაკავებების და მკვლელობების გამორიცხვა. დღევანდელი გლობალური ურთიერთდაკავშირებული სამყაროს კონტექსტში ეს მოითხოვს თანამედროვე და ეფექტურ სამართლებრივ

ინსტიტუციებსა და კანონმდებლობას. ის ასევე საჭიროებს ამ ღირებულებებს საფუძვლად ედოს ფართოდ გავრცელებულ კულტურული და პოლიტიკური ვალდებულებები (სტრომსეტი, ვიპმანი და ბრუქსი, 2007).

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა, იგივე ენვაირონმენტალიზმი არის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება, რომელიც ევროკავშირის ზრუნვის საკითხია. პროფ. და გარემოსდამცავი ს. ბეიცერის განცხადებით, კლიმატის ცვლილება გლობალური გარემოსდაცვითი კრიტიკული პრობლემაა, რომელიც ავლენს ჩვენს შეზღუდულ ცოდნას გარემოსდაცვითი სისტემების შესახებ, ხოლო ეკონომიკური განვითარებასთან პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული გამოწვევები. ენვაირონმენტალიზმი ხელს უწყობს ევროკავშირს მოახდინოს ამ საკითხზე კონცენტრაცია, სადაც არსებობს ზოგადი კონსენსუსი იმის შესახებ, რომ გარემოსდაცვითი საკითხები არ შეიძლება დარჩეს ბაზრის აქტორების ნებაზე და რომ გარემოს დაცვა წარმოადგენს ხელისუფლების ფუნქციას ან საზოგადოების აქტიურობის სფეროს. არსებობს ნევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსი, რომ ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა და ეს გახადოს ევროინტეგრაციის ნაწილი. ამიტომაცაა, რომ კლიმატის ცვლილების პოლიტიკა არის რომის ხელშეკრულებაში ასახული, როგორც ღირებულებებისა და პრინციპების ნაწილი. ევროკავშირმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი პრინციპების მკაფიოდ განსაზღვრული და გამოხატული კომპლექტი და ეკონომიკურ მოსაზრებებს უცვლის შეხედულებებს და უფრო სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებზე კონცენტრირებულს ხდის. აქედან გამომდინარე, ევროკავშირი კლიმატის ცვლილების პოლიტიკას უფრო ფართო სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და მორალურ პირობებში აყენებს (ბეიცერი, 2006).

აღსანიშნავია, რომ არაორგანული და ორგანული ნივთიერებები სწრაფად იხრწნება ბუნებაში და ანოყიერებს ნიადაგს, მაგრამ როდესაც აკუმულაციის ტემპი გადააჭარბებს მის დაშლას, დაბინძურების დონე საგანგაშო ხდება. ასე რომ, დღესდღეობით გარემოსდაცვითი პრობლემები გლობალურ გამოწვევად იქცა და შეუძლებელია მათი გადაჭრა საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე. პრობლემაა დაბინძურებული ჰაერი, ნიადაგი, მდინარეები, ზღვა, ტყეების დაფარვა, გადაშენებული მცენარეები და ცხოველთა სახეობები, გაუდაბნოების საზღვრების გაფართოება, ოზონის შრის დაშლა, პოლარული და კონტინენტური მყინვარების ინტენსიური დნობა და ა.შ (მესხია, 2012). ეს ყველაფერი არა მხოლოდ დედამიწაზე მოქმედებს უარყო-

ფითად, არამედ ცუდად აისახება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი პრობლემები გლობალურია და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ეკოლოგიისათვის, ევროკავშირი უნიკალურ ერთეულს წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე და ამ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ისე დებს დამოუკიდებლად ხელშეკრულებებს (ონილი, 2009). ამდენად გარემოსდაცვითი პოლიტიკა ევროკავშირის პოლიტიკის აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად გაფართოებადი სფეროა, რაც ხელს უწყობს ევროკავშირს ევროპა აქციოს უფრო სუფთა, მშვიდ და ჯანსაღ საცხოვრებელ ადგილად. დღესდღეობით ევროკავშირის ამ კუთხით გამონვევებს წარმოადგენს ქიმიური ნივთიერებების, რადიაციული და სხვადასხვა ნარჩენებთან გამკლავება, ჰაერისა და წყლის ხარისხის შენარჩუნება, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების თავიდან აცილება და ორგანული სოფლის მეურნეობის წახალისება, ხმაურის, ნალექების და კლიმატის ცვლილების შემცირება, რათა მოხდეს ბუნების დაცვა, ბუნებრივი რესურსების და ოზონის დაცვა (მაკქორმიქი, 2001).

ევროპაში გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი პრინციპების და ღირებულების გასატარებლად, არსებობს ვარაუდი, რომ ევროკავშირი რამდენიმე საერთაშორისო გარემოსდაცვით ინსტრუმენტს იყენებს. მაგალითად, Polluter Pays პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც აბინძურებს გარემოს, პასუხისმგებელია აანაზღაუროს იგი; Preservation Principle, რასაც მინიმუმამდე დაყავს ადამიანის ჩარევა ბუნებაში; მდგრადი განვითარების პრინციპი, რომელიც აბალანსებს გარემოსდაცვით და განვითარების პოლიტიკას და ქმნის მომავალი თაობების შესაძლებლობებისთვის საჭიროებებს; (High Level of Protection) დაცვის მაღალი დონე, რომლითაც ხდება სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების აკუმულირება, პოტენციური სარგებლისა და ხარჯების დათვლა და ა.შ. (ლაუკა, 2004).

ევროკავშირს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი საერთაშორისო გარემოსდაცვით პროცესში იმოქმედოს, როგორც ძლიერმა აქტორმა და დაიცვას არა მარტო საკუთარი წევრი სახელმწიფოების ინტერესები, არამედ ისეთი პარტნიორი ქვეყნებიც, როგორიცაა საქართველო. ხოლო სანამ სახელმწიფო გახდება ამ გაერთიანების წევრი, ვიცით რომ მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები, მათ შორის სწორედ გარემოსდაცვითი სტანდარტები. ეს ნიშნავს ამ საკითხზე ეროვნულ კანონმდებლობა, ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკა ეფექტიანად უნდა ახორციელებდეს გარემოსდაცვით საკითხებს. ამას გარდა ევროკავშირი თავად უზრუნველყოფს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას კანდიდატი ქვეყნებისათვის

მიაღწიონ გარემოსდაცვით ისეთ სტანდარტებს, რომელიც გათვალისწინებულია. ეს კი თავად ევროკავშირის საერთაშორისო წონასაც ზრდის (დურანი და მორგერა, 2012).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარემოსდაცვა არ უნდა იყოს მხოლოდ მწვანეთა პარტიების ინტერესების სფერო. ეს საკითხი უნდა აღელვებდეს ყველა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ გაერთიანებას და თუნდაც რიგით მოქალაქეებს, რადგან ეს სამყარო არის ყველა ჩვენგანის სახლი. აღნიშნულ თემას დავასრულებთ ამერიკელი თეორეტიკოსი ლ. მარგულისის სიტყვებით, რომელიც აცხადებს, რომ ჩვენ - ადამიანებს სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა დედამიწისა არ გაგვაჩნია. უნდა გვახსოვდეს, რომ დედამიწას არსებობისთვის ადამიანი საერთოდ არ სჭირდება, რადგან მას ჩვენ გარეშეც შეუძლია ბრუნვა. ეს სწორედ ადამიანია, რომელსაც დედამიწის გარეშე არსებობა არ შეუძლია (მარგულისი, 1998) .

ევროპის კავშირი

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი კვლევის საგანი ევროპის იდეა, ყველა თავისი ზემოთ აღწერილი კომპონენტით განსხეულებულია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორიცაა ევროპის კავშირი. თუ ქართველი ხალხი მიისწრაფვის რომ გახდეს ევროპის, ევროპეიზაციის პროცესის თუ ევროპის იდეის ნაწილი, მაშინ მან უნდა მიაღწიოს ამ ორგანიზაციის წევრობას და დააკმაყოფილოს ყველა ის პრინციპი, ღირებულება და კრიტერიუმი, რომელიც მოთხოვნილია ევროკავშირის მიერ. ასე რომ, განვიხილოთ, თუ როგორ შეიქმნა ეს ორგანიზაცია და როგორ აისახება ეს ღირებულებები მის სტრუქტურებში.

ორგანიზაციის შექმნა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო და 1957 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (ECC) დაფუძნება გამოცხადდა. ხოლო პირველი ევროპარლამენტის არჩევნები, რომელიც შეიკრიბა საყოველთაო არჩევნების გზით მოხდა 1979 წელს. მისი დაგვირგვინება იყო მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულება, რომლითაც გამოცხადდა ევროპის კავშირის შექმნა. ამ ყველაფერს თან ახლდა იმის გააზრება თუ რას ნიშნავს იყო ევროპული კულტურის ნაწილი და რას ნიშნავს იყო ევროპელი (პასერინი, 2002).

პროფ. ა. პაგდენი ევროკავშირის ინტეგრაციის ხუთ ძირითად ეტაპს გამოყოფს.

პირველი ეტაპი 1945-1955 წლებში იყო, როდესაც „გაერთიანების“ პროცესს ჩაეყარა საფუძველი და შეიქმნა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა“ (ECSC) საფრანგეთის, გერმა-

ნიის, იტალიისა და ბენელუქსის ქვეყნების მიერ და იმ იმედით, რომ მოხდებოდა კიდევ უფრო ფართო ევროპული ინტეგრაცია.

მეორე ფაზა იყო 1955-1968 წწ. ეს საკმაოდ რთული პერიოდი აღმოჩნდა, რადგან საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლს მკაცრი პოლიტიკა ჰქონდა არჩეული დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, რამაც შეაფერხა ამ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესი. ამ პერიოდში დაარსდა „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა" (EEC), როგორც სავაჭრო ბლოკი, რათა შექმნილიყო ერთიანი საბაჟო კავშირი და მოხსნილიყო შიდა ბაზარზე არსებული ბარიერები ერთიანი ბაზრის შესაქმნელად.

ევროკავშირის ფორმირების მესამე ეტაპზე 1965-1986 წწ. გაღრმავდა მთავრობათაშორისი თანამშრომლობა და კიდევ რამდენიმე ქვეყანა შეუერთდა EEC-ს. ახალი წევრები იყვნენ გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, დანია, საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია. ხოლო როგორც ვთქვით, 1979 წელს ჩატარდა ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები.

მეოთხე ფაზა 1987-1992 წლებს მოიცავს და იგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროპული ინტეგრაციისათვის. 1987 წელს მიღებულ იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელმაც შეიმუშავა ფართო ინსტიტუციური ცვლილებები და გამოაცხადა 1992 წლისთვის ევროპის თანამეგობრობისა და ერთიანი ბაზრის შექმნა.

ამდენად, ბოლო ეტაპი იყო 1992-1997 წწ. მაასტრიხტის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირისა და ამსტერდამის ხელშეკრულების შექმნას. ამ ეტაპზე შემოღებული იქნა ევროპის ერთიანი სავალუტო სისტემა, ხოლო ახალ წევრებად მიღებულ იქნენ შვედეთი, ფინეთი და ავსტრია. მოგვიანებით ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ ევროკავშირი დაფუძნებულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე და ახალი აპლიკანტი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს ღირებულებები (პაგდენი, 2002).

ევროკავშირის შექმნის პროცესი შეიძლება დასრულებულიყო 1990-იან წლებში, მაგრამ გაფართოების პროცესი კვლავ გაგრძელდა. 2000-2010 წლებში მოხდა ყველაზე დიდი გაფართოება, როდესაც გაერთიანებას 13 წევრი ქვეყანა შეუერთდა. ესენი იყვნენ: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, ბულგარეთი, რუმინეთი, კვიპროსი, მალტა და ხორვატია. დღესდღეობით, ევროკავშირს კიდევ ექვსი კანდიდატი სახელმწიფო ჰყავს - ისლანდია, ჩრდ. მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო, ალბანეთი და თურქეთი. ხოლო სამი ასოცირებული წევრია - საქართველო, უკრაინა და მოლდოვა (europa.eu/about-eu, 2015). წევრების ეს სია შეიძლება

შემცირდეს ერთი ქვეყნით, რადგან გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული რეფერენდუმით, მან უნდა დატოვოს გაერთანება. შესაძლოა მათგან გამოყოფილი შოტლანდია ან ჩრდილოეთ ირლანდია შეუერთდეს ევროკავშირს (ვილერი და ჰანთი, 2016). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ შევეცდებით ამ საკითხის პროგნოზირებას, რადგან ჩვენი კვლევის თემა განსხვავებულია.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორაა განსხეულებული ევროპული იდეა ევროკავშირის ფარგლებში და დავინახავთ, რომ იგი სამ სვეტზე დგას ანუ წარმოადგენს პრინციპების სამ ჯგუფს. ესენია ევროპული თანამეგობრობა; საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; და სამართლისა და საშინაო საქმეები.

პირველი მოიცავს რომის ხელშეკრულებასა და ერთიან ევროპულ აქტს; ერთინ ბაზარს; ინსტიტუტების დემოკრატიზაციას; ევროპულ მოქალაქეობას; ეკონომიკურ და სავალუტო კავშირს, მათ შორის ერთიან ვალუტას, ევროპის ცენტრალურ ბანკს, ერთიან მონეტარულ პოლიტიკას და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას.

მეორე მოიცავს სისტემურ თანამშრომლობას, საერთო პოზიციებს და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ერთობლივ ქმედებებს.

ხოლო მესამე მოიცავს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას სამართლიანობის დარგში და საშინაო საქმეებში. მაგალითად, თავშესაფრის პოლიტიკა, წევრი ქვეყნების საგარეო საზღვრების გადაკვეთის წესები, საიმიგრაციო პოლიტიკა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიციისა და სასამართლო სისტემებთან თანამშრომლობა (არჩერი, 2008).

ერთიანი ვალუტა და შენგენის ზონა ის ორი ძირითადი რამ არის, რაც ევროპის მოქალაქეებისთვის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ერთიანი სავალუტო სისტემა ევროზონაში მოქმედებს და იგი ნიშნავს ევროკავშირის 19 წევრი სახელმწიფოს თანხმობას გამოიყენონ ევრო, როგორც ერთიანი ვალუტა. 2018 წელს 6 ქვეყანა აპირებს ამ ზონაში გაწევრიანებას. ხოლო შენგენის ზონაში ევროკავშირის 22 წევრი ქვეყანაა (გაერთიანებული სამეფოს, ირლანდიის, ბულგარეთის, ხორვატიის, კვიპროსისა და რუმინეთის გარდა) და ოთხი ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფო. ესენია: ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი. ამ ზონის წევრ სახელმწიფოებს შორის საზღვრები ფაქტობრივად გაუქმებულია. თუმცა, შენგენის ზონის შიგნით მოხვედრა ადვილი ნამდვილად არ არის და სპეციალური პირობების დაკმაყოფილებას მოითხოვს. უფრო მეტიც, ევროკავშირი შენგენის ტერიტორიის მეზობელ ქვეყნებს მკაცრად ავალდებულებს დაიცვან საკუთარი საზღვრები, ისე,

რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა ვერ შეძლონ მისი უნებართვოდ გადაკვეთა (EUR-Lex, 2009).

ევროკავშირი დიდი ბიუროკრატიული სტრუქტურაა და მისი მთავარი ორგანოებია:

ევროპარლამენტი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს 754 არჩეული წევრისაგან. იგი იღებს კანონებს ევროკავშირის საბჭოსთან თანამშრომლობის შედეგად, ზედამხედველობს და აკონტროლებს ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებს, ამტკიცებს კომისიის წევრებს და ევროკავშირის ბიუჯეტს.

ევროკავშირის საბჭო ადგილია, სადაც სფეროების მიხედვით იკრიბებიან. იგი წარმოადგენს თითოეული წევრი სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლებებისგან შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლების კრებას. მაგალითად, როდესაც ხდება გარემოსდაცვით საკითხებზე მსჯელობა ან ფინანსურ საკითხებზე, წევრი სახელმწიფოებიდან იკრიბებიან მხოლოდ ამ საკითხზე მომუშავე თანამდებობის პირები.

ევროსაბჭო ევროპარლამენტთან ერთად იღებს კანონებს და საკანონმდებლო ფუნქციას. ის ასევე კოორდინაციას უწევს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას; ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; იძლევა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს.

ევროკომისია ევროკავშირის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან. იგი უფლებამოსილია მიიღოს კანონები და გააგზავნოს ევროპარლამენტში ან საბჭოში, ახორციელებს ევროკავშირის კანონებს ევროპული სასამართლოსთან ერთად; წარმოადგენს ევროკავშირს საერთაშორისო ურთიერთობებში და მოლაპარაკებებში.

ევროკავშირს აქვს საკუთარი სასამართლო სისტემა, აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი. ასევე არსებობს სხვა ფინანსური, სოციალური და უსაფრთხოების კომიტეტები, რომლებიც მოქმედებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (ლეონარდი, 2000).

ევროკავშირის ამ სტრუქტურების გარდა, ევროპაში ასევე არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი სხვა უწყებებიც, რომლებსაც ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვთ ევროპელთა ცხოვრებისაში მაგრამ არ წარმოადგენენ ევროკავშირის ერთეულებს. ეს არის ევროპის საბჭო და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო (ECHR), რომელსაც საქართველო და საქართველოს მოქალაქეები ძალიან ხშირად და წარმატებითაც იყენებენ. მაგალითად, ევროსაბჭოში 47 ქვეყანაა, მათ შორის ევროკავშირის ისეთი არაწევრი ქვეყნებიც, როგორიცაა საქართველო და რუსეთი. საბჭო წარმოადგენს თითოეული ქვეყნის

დელეგატებს და იღებს რეკომენდაციებს და ანგარიშებს ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ. ეს რეზოლუციები არ არის სავალდებულო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციის გზაზე. სწორედ ამიტომ საქართველო ყოველთვის ცდილობს დაიცვას ისინი, რუსეთისგან განსხვავებით. ამას გარდა, საბჭო წარმოადგენს დიდ პლატფორმას ისეთი სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც სურს ყველას გააგებინოს თავისი მისწრაფებები და გამოწვევები (დოღონაძე, 2000). 1999 წელს, როდესაც საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ზურაბ ჟვანიამ ისტორიულ სიტყვები სწორედ აქ წარმოთქვა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი" (Georgian Journal, 2013).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ქვაკუთხედს 850 მილიონზე მეტი ადამიანისთვის. ეს სასამართლო ცდილობს 150,000-ზე მეტი საქმის განხილვას (ფოლესდალი, პეტერსი და ულფსტეინი, 2013). საქართველო, როგორც ახალგაზრდა ქვეყანა და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ხანმოკლე ისტორიის მქონე ქვეყანა, 1991 წლიდან განიცდის გამოწვევებს ადამიანის უფლებების საკითხში. ასე რომ, საქართველოს ბევრმა მოქალაქემ ეს სასამართლო გამოიყენა თავის დასაცავად საჯარო მოხელეების წინააღმდეგ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2011). 1991-2015 წლებში საქართველოს წინააღმდეგ დაახლოებით 70 საქმე შევიდა (echr, 2016). როგორც ვხედავთ, ეს ევროპული ორგანოები საქართველოსთვის მნიშვნელოვან და პრაქტიკულ დანიშნულებას წარმოადგენენ. საქართველომ, როგორც ევროკავშირის ასოცირებულმა წევრმა, გამოაცხადა რომ მზადაა შეასრულოს ევროკავშირის ყველა მოთხოვნა. ეს არის ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი, სადაც დავინახავთ, როგორ ატარებს საქართველო რეფორმებს ევროპის იდეის განსახორციელებლად.

რომ მოვახდინოთ ევროპის იდეის ფორმულირება, უნდა ვთქვათ, რომ ის არის პოლიტიკური იდეა ევროპაში, რომელიც მოიცავს ღირებულებების ერთობლიობას. ამ ღირებულებებს გააჩნია ისტორიული ფესვები, რომლის საწყისია ანტიკური სამყარო, აქვს ქრისტიანული კულტურის გავლენა, ეფუძნება ფრანგი განმანათლებლების იდეებს და დღესდღეობით განსხეულებულია ევროპის კავშირში და მის პარტნიორ ევროპულ სახელმწიფოებში. ეს ფასეულობებია მშვიდობის მშენებლობა და მისი შენარჩუნება; თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა; ხალხის მმართველობა და კანონის უზენაესობა; სეკულარიზმი, ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვა. და ყველა ეს ღირებულება ტრიალებს იმ

ძირითადი ღერძის გარშემო, რომელსაც ადამიანი და მისი უფლებები ეწოდება. ევროპის იდეას გააჩნია საკუთარი იდენტობა და იგი ევროპის მასშტაბით ევროპეიზაციის კონტექსით ვრცელდება.

მოდერნიზაცია

ჩვენ განვმარტეთ თუ რა არის ევროპის იდეა და ახლა დროა ფოკუსირება მოვახდინოთ მოდერნიზაციის ცნებაზე. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ იმ ავტორთა იდეები და შეხედულებები, რომლებიც სწავლობდნენ მოდერნიზაციის კონცეფციას და მის ფენომენს. ამის შემდეგ, ვნახავთ, რამდენად შეესაბამება მოდერნიზაციის ცნება ევროპის იდეას. ასევე, ვნახავთ, ევროპის იდეა მოიცავს თუ არა მოდერნიზაციის კონცეფციას და არსებობს თუ არა მოდერნიზაცია ევროპის იდეის გარეშე? ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ჩვენს შემდგომ კვლევას საქართველოს შესახებ, რის შემდეგადაც შევისწავლით ამ ქვეყანაში მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის სახელით განხორციელებულ პროექტებს. ვნახავთ, რამდენად თანაზიარნი არიან ისინი საქართველოში. არიან თუ არა ასოცირებულნი ერთმანეთთან და შეეძლოთ თუ არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა.

მოდერნიზაციის თეორია 1950-იან წლებში სოციალურ მეცნიერებებში გამოჩნდა, მაგრამ არ არსებობს ამ თეორიის ერთი ჭეშმარიტი ტექსტი, რომელიც მას გამოხატავს. ამავე დროს არც რომელიმე ავტორს მოუპოვებია უპირატესობა ამ საკითხზე მსჯელობის დროს. თუმცა, ჩვენ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ჩვენეული ფორმულირება აკადემიური ნრეებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ იგი მცირეოდენ სარგებელს მოუტანს მათ. მოდერნიზაციის თეორიის მკვლევარის ვ. ნობლის აზრით, ეს თეორია შეეცადა საზოგადოებების განვითარების კონცეპტუალიზაციას, ძირითადად, კულტურას, ეკონომიკურ პროგრესსა და დემოკრატიას შორის ურთიერთობებს. მისი თქმით, მოდერნიზაცია გლობალური და შეუქცევადი პროცესია, რომელიც დაიწყო ევროპაში მე-18 საუკუნის შუა საუკუნეებში სამრეწველო რევოლუციის დროს და ახლა საზოგადოებას მთელ მსოფლიოს ყველა საზოგადოების ინტერესის სფეროა. იგი დაფუძნებულია სეკულარულ, ინდივიდუალურ და სამეცნიერო ღირებულებებზე (ნობლი, 2003).

ზოგიერთ წყაროში მოდერნიზაციის ცნებას ვხვდებით, როგორც თანამედროვეობის თეორიას. პროფ. კ. ვ. ფინდლი მოდერნიზაციას განსაზღვრავს, როგორც „ეპოქას მიმართულს მომავლისაკენ", დახასიათებული იმ მოლოდინით, რომ მომავალი სამყარო უკეთესი იქნება ვიდრე დღევანდელი. ეს მოლოდინი მომდინარეობს პროგრესის იდეისაგან მისი თანამედროვე მნიშვნელობით: ეს არის არა მხოლოდ სი-

ვრცითი მოძრაობის წინ გადადგმული ნაბიჯი, არამედ ხარისხობრივი გაუმჯობესება მეცნიერული მიღწევებით. იგი დაიწყო სამრეწველო რევოლუციით, სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების თავმოყრით. მისი თქმით, ცვლილებების აჩქარებამ და გავრცელებამ დაიწყო დროისა და სივრცის შემცირება. მასთან ერთად გზა გაეხსნა ახალ პოლიტიკური რევოლუციებს, წარმოების ახალი ტექნოლოგიებს, ახალ განადგურების იარაღებს, კომუნიკაციის ახალ საშუალებებს, ახალ სოციალურ ურთიერთობებს, ცნობიერების ამაღლებას, კულტურულ და შემოქმედებით ახალ ფორმებს (ფინდლი, 2010).

ფინდლის მიხედვით, მოდერნიზაცია ქმნის ტრანსფორმაციას პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციათა ყველა დონეზე. ამ პროცესში ცვლილებები ეხება მოქალაქეებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად. ეს ტრანსფორმაცია ხდება არა მხოლოდ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, არამედ ნების, სურვილისა და რწმენის შედეგადაც. პოლიტიკურ ცვლილებებს ყველგან ერთი და იგივე იდეები არ მოაქვს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მოდერნიზაციის დასავლური გზა არ არის ერთადერთი გზა და სხვა კულტურულ ცხოვრებაში არსებობს ალტერნატიული „მოდერნიზმი“. თუმცა, ემპირიულად, ისტორიკოსები თანხმდებიან, რომ თავდაპირველად ევროპაში დაიწყო მოდერნიზაცია, საიდანაც გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში, შემდეგ კი მთელს მსოფლიოში. საბოლოო ჯამში, სხვა „მოდერნიზაციები“ ამ გლობალური ფენომენის ნაწილია. ასე რომ, ბევრმა მოდერნიზაცია დაიწყო დასავლური ქრისტიანული კალენდარითა და ევროპული ფეხბურთის წესებით. თუმცა, დღესდღეობით სულ უფრო და უფრო განსხვავებული ინოვაციები და თანამედროვე პროექტები ჩნდება მსოფლიოში და ძნელია ისინი მსოფლიოს რომელიმე რეგიონს მიაკუთვნო. ამდენად, მოდერნიზაციის ყველა პროექტი ევროპული წარმომავლობისაა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბისაა. ზოგიერთი მეცნიერი და თეორეტიკოსი განასხვავებს „მოდერნიზაციას“ „ევროპეიზაციისაგან“, მაგრამ ზოგიერთი ინტელექტუალი, პოლიტიკოსი და მოაზროვნე მათ ერთმანეთთან აიგივებს. მაგალითად, როდესაც თურქეთსა და აზერბაიჯანს, ევროპასთან ასოცირება სურდათ, მათი პოლიტიკოსები და მეცნიერები ამ ორ კონცეფციას აიგივებდნენ (ფინდლი, 2010).

გარდა ამისა, მას შემდეგ რაც გამოჩნდა თანამედროვეობისა და მოდერნიზაციის კონცეფცია, ისინი კრიტიკის ობიექტნი გახდნენ, როგორც ევროცენტრული გამოვლინება. პროფ. ნ. პ. მუზელისი ამბობს, რომ ეს ცნება გულისხმობდა დასავლური ღირებულებებს, ტექნოლოგიებს და კაპიტალს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით სწორედ კაპიტალიზმი ითვლებოდა მოდერნიზაციის მთავარ კომპონენტად

და ამიტომ სოციალისტური ქვეყნები არამოდერნისტულებად მიიჩნეოდა. საფრანგეთის რევოლუციისა და ინგლისის ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ მოდერნიზაცია განიხილებოდა დასავლური საზოგადოების მიღწევად. ამ პროცესებმა გამოიწვია პერიფერიის სოციალური მობილიზაციები და გაერთიანებები რათა ფეხი აეწყოთ ამ „ცენტრისთვის", სადაც შეიქმნა განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პლათფორმები და ჩამოყალიბდა ერი-სახელმწიფოები. ამგვარი ტიპის სახელმწიფოები უნიკალური აღმოჩნდა ყველა სხვა წინა-ინდუსტრიულ ქვეყანებთან შედარებით და რომელმაც მიაღწია უპრეცედენტო ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს. ამ ეპოქის სამეცნიერო რევოლუციამ განსხვავებული დამოკიდებულება განავითარა არა მარტო ეკონომიკურ, არამედ ადმინისტრაციულ, სამხედრო და კულტურულ სფეროებშიც. დაირღვა ტრადიციული იერარქია და დაიწყო სოციალური სეგმენტაცია, რომელიც მოდერნიზაციის მამოძრავებელი ძალად იქცა. თუმცა, ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქაში შეიძლება ჩანდეს, რომ ერი-სახელმწიფოების როლი მცირდება და მოდერნიზაციის პროცესი გზას უხსნის გლობალიზაციას. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გლობალიზაციის ეპოქაში მოდერნიზაციის სამოქმედო პრინციპები ისევე მუშაობს, როგორც ერი-სახელმწიფოებში. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია გვაახლოებს მობილიზაციისა და თანამშრომლობის იმ ლოგიკასთან, რომელიც ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და გვთავაზობს მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩართვას ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში (მუზელისი, 2008).

მუზელისის კვლევის თანახმად, სოციოლოგი ტ. პარსონსი მიიჩნევს, რომ მოდერნიზაცია შეიძლება მოხდეს იმ ქვეყნებშიც, სადაც ევროპის იდეა გამორიცხულიც კია. ასეთ შემთხვევაში მას აქვს ფორმალური ხასიათი, ხოლო ღირებულებები გამიჯნულია და ადაპტირებული განახლებებისგან. ამ სახელმწიფოების მმართველები მიიჩნევენ, რომ მათი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება უნდა განსხვავდებოდეს ევროპის იდეისაგან. შესაბამისად უნდა შეინარჩუნონ გასული საუკუნეების ტრადიციული ინსტიტუტები და ამ გზით მართონ სახელმწიფო. ამ ქვეყნების მოდერნიზაცია ხორციელდება ინდუსტრიალიზაციის, ტექნოლოგიური მიღწევებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, მაგრამ არა სოციალური და კულტური თვალსაზრისით. ასეთი ქვეყნების მაგალითებია ნაცისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი და იაპონია. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ სინგაპური, ჩინეთი, არაბეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოები და ა.შ. ასე რომ, მართალია მოდერნიზაცია პირველად

დასავლეთ ევროპაში გამოჩნდა, მაგრამ ეს არც უნიკალური და არც აუცილებელი შემთხვევა არ არის. ფაქტია, რომ მოდერნიზაცია ევროპის იდეა ერთი და იგივე შინაარსის ცნება არაა (მუზელისი, 2008) .

ქართველი ავტორების აზრით, მოდერნიზაცია ვიწრო გაგებით ნიშნავს ტრადიციული, სოფლის, აგრარული საზოგადოების ტრანსფორმაციას სეკულარულ, ინდუსტრიულ და ურბანულ საზოგადოებად. ამავე დროს, ფართო გაგებით, ეს ნიშნავს კაცობრიობის შემდგომ ევოლუციას, ახალი ტიპის აზროვნებას და ტექნოლოგიების განვითარების მუდმივ პროცესს. ეს არის უწყვეტი და დაუსრულებელი პროცესი, რომელიც წარმოიშვა დასავლეთის ქვეყნებში და გავრცელდა მთელს მსოფლიოში. მათი თქმით, მოდერნიზებას აქვს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები.

ეკონომიკური ფაქტორები მოიცავს ახალი ტექნოლოგიების და კაპიტალის გამოყენების ზრდას, ბუნებრივი რესურსების ფართო ათვისებას, შრომით და სასაქონლო ბაზრის განვითარებას.

სოციალური ფაქტორები ნიშნავს გასული საუკუნეების ტრადიციული რელიგიური დოგმატური შეხედულებების შესუსტებას და საბაზრო ან პროფესიულ კრიტერიუმებზე დამყარებული რაციონალური კავშირების სფეროს გაფართოებას.

პოლიტიკური ფაქტორი აღწერს დინასტიური რეჟიმების ლეგიტიმაციის შესუსტებას ან გაუქმებას და ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას დემოკრატიული ინსტიტუტებით.

და ბოლოს, **კულტურული ფაქტორები** განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცოდნის, პლურალიზმის, იდეოლოგიური მრავალფეროვნების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებას და ინდივიდუალიზმის ხელშეწყობას (წერეთელი და კაკიტელაშვილი, 2006).

ევროპული და ამერიკული ლიბერალური მოსაზრებები პოლიტიკურ მოდერნიზიას განმარტავს, როგორც ინდივიდუალურ თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობის და კანონის უზენაესობის მიღებას. ხოლო სოციალური ტრანსფორმაცია გულისხმობს სეკულარიზაციის გააზრებას, სადაც მატერიალიზმი ისეთივე ფასეულია, როგორც რელიგიური რწმენა (ფინდლი, 2010). მაქს ვებერის მიხედვით, პროფ. ლ. მაველი მიიჩნევს, რომ მოდერნიზაცია განისაზღვრება როგორც „ფუნქციური დიფერენციაციისა და სეკულარული სფეროების ემანსიპაციის პროცესი. პირველ რიგში სახელმწიფო ინსტიტუტების, ეკონომიკისა და მეცნიერების გათავისუფლებას რელიგიური გავლენისაგან და მისთვის ახალი გარემოს შექმნას". ეს კი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს რელიგიის მარგინალიზაციას და მისი სარწმუნოებრივი როლის დაკნინებას. პირიქით, ეს არის შესაძლებლობა რელიგიური ორგანიზაციები მთლიანად დაკავდნენ ადამიანის იმ

სულიერ ღირებულებებზე ზრუნვით, რომელიც მოიცავს მისი სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების დაცვას არაჰუმანური ძალებისაგან. მოდერნიზაციას სჭირდება შემოქმედებითი დიალოგი განსხვავებულ ფაქტორებთან. მაგალითად, ისეთ რელიგიებთან, რომლებიც საკუთარი იდენტობას საფრთხის წინაშე ხედავენ. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ თავად რელიგიას შეუძლია მოდერნიზაციის გადარჩენა და დაცვა (მაველი, 2012).

აღსანიშნავია, პროფ. დელანტი და რამფორდი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი და მოდერნიზაცია ერთმანეთთან თანხვედრაშია. დღევანდელ დღემდე ევროპა განისაზღვრებოდა გეოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორებით, რომლებიც წარმოადგენდნენ უნიკალური ცივილიზაციის საფუძველს, საიდანაც წარმოიშვა მოდერნიზაციის დასავლური მოდელი. ევროპული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალური სახელმწიფოები და ევროკავშირი წარმოადგენენ ევროპული მოდერნიზაციისა და ევროპული ცივილიზაციის პოლიტიკურ გამოვლინებას. ევროპაში მოდერნიზაციის მრავალსახეობა არის ცივილიზაციის მრავალფეროვნების გამოხატულება, რომელიც ევროპული ისტორიის მახასიათებელია. ევროპის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება მნიშვნელოვანია ევროპის ახალი განმარტების კუთხით, რადგან ის გზას უხსნის ევროპული მოდერნიზაციის ახალ პერსპექტივებს (დელანტი და რამფორდი, 2005).

მოდერნიზაციის საბოლოო ფორმულირების მიზნით, განვმარტავთ, რომ ის არის მუდმივად განახლებადი პროცესი, რომელიც გარდაქმნის საზოგადოებას მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების შედეგად და ახდენს ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურის მუდმივ განახლებას. მოდერნიზაცია წარმოიშვა დასავლეთ ევროპისაგან და დღეს გლობალიზაციის ნაწილია. შესაბამისად, არსებობს ორი ტიპის მოდერნიზაცია. პირველი არის დასავლური სამყაროს მოდერნიზაცია, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ტრანსფორმაციას. იგი დაფუძნებულია მასობრივ განათლებასა და ევროპის იდეის ღირებულებებზე. ხოლო მეორე ტიპის მოდერნიზაცია გამორიცხავს ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების ტრანსფორმაციას და მხოლოდ ტექნიკურ-სამეცნიერო მიღწევებით შემოიფარგლება. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპის იდეა აუცილებლად მოიცავს მოდერნიზაციას, ხოლო მოდერნიზაცია ყოველთვის არ მოიცავს ევროპის იდეას.

მას შემდეგ რაც საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის ცნებები, ახლა უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ

ხედავენ ქართველები ამ ორ კონცეფციას. ვინ ანუ რომელი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები საუბრობდნენ და წერდნენ ევროპის იდეებზე საქართველოს წარსულში და თანამედროვე ეპოქაში? გამოიყენეს თუ არა ევროპის იდეა საქართველოში საკუთარი მოდერნიზაციის პროექტების გასამართლებლად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში? შეძლეს თუ არა მათ თავიანთი იდეებისა თუ პროექტების განხორციელება და რა იყო მათი მოტივაცია?

თავი 2.
ლიბერალიზმის აღმოცენება და მოდერნიზაციის იდეა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი

ქართველების თვალით დანახული ევროპა, ევროპის იდეა და მოდერნიზაცია

კვლევის ფარგლებში ჩვენ მოვახდინეთ ყველა ქართულენოვანი ლიტერუტურის გაცნობა და შესწავლა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება და ეხება ევროპას, ევროპულ იდეას, დემოკრატიას, ლიბერალიზმს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავეცანით ყველა ლიტერატურას, რომელიც კი ამ თემაზე იქნა დაწერილი და გამოცემული. დადგინდა, რომ ქართულ ავტორებში არსად არაა განმარტებული თუ რა არის ევროპული იდეა. ამ მოვლენის დეფინიცია სწორედ ჩვენს მიერ მოხდა პირველად, რაც კვლევას ღირებულებას მატებს. მეტიც, დადგინდა, რომ ქართველი ავტორებისთვის ევროპა, ევროპული იდეა, ის ღირებულებები, რომელიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, როგორც ევროპული იდეის შემანდგენელი ნაწილი, მათ შორის დემოკრატია, ლიბერალიზმი და მოდერნიზაცია, ერთმანეთთან ასოცირდება და ხშირ შემთხვევაში სინონიმებიც კია. დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეების კვალდაკვალ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენციის მიერ მოხდა ამ ფასეულობების საქართველოში დანერგვა. ეს მოხდა არა მხოლოდ პუბლიკაციებითა და ლიტერატურული შემოქმედებით, არემედ კონკრეტული პროექტებითაც. ისტორიის მკვლევარი გაფრინდაშვილი წერს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის ზღვარი გავლებული საერთოდ არ იყო. იმ პერიოდში ლიბერალებს ეძახდნენ თავისუფლების მოყვარე ადამიანებს, მათ შორის თავად-აზნაურობას, რომელსაც ამ სისტემის გაუქმება და გლეხებისათვის თავისუფლების მინიჭება სურდათ. როგორც წესი იმ დროის ლიბერალები იმაზე მეტს ითხოვდნენ, ვიდრე ეს შესაძლებლად წარმოედგინათ (გაფრინდაშვილი მ., 1998). შესაბამისად, დადგინდა, რომ როდესაც ქართველი ავტორები საუბრობენ დემოკრატიაზე ან მის შემადგენელ ელემენტებზე ან ლიბერალიზმზე და მის ფუნდამენტურ პრინციპებზე, ისინი ზღვარს არ ავლებენ ევროპული იდეისაგან, რომელიც მათი წარმოდგენით ასევე მოდერნიზაციის მომცველი ფენომენიცაა. აქედან, გამომდინარე, როდესაც ჩვენ ქვემოთ საუბარი გვექნება რომელიმე ავტორის მიერ ნახსენებ დემოკრატიაზე, ლიბერალიზმზე ან მოდერნიზაციაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ქა-

რთველი ავტორები მათ როგორც ევროპული იდეის ნაწილს ისე განიხილავენ. ასე რომ სადაც გვექნება დემოკრატია, იქ იქნება ევროპული იდეა. სადაც შევხვდებით ლიბერალიზმს, იქ იქნება ევროპული იდეა. სადაც ვახსენებთ მოდერნიზაციას, იქ იქნება ევროპული იდეა ფეხმოკიდებული საქართველოში.

საინტერესოა ასევე ის, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებში „ევროპული ცივილიზაცია" დასავლურ ცივილიზაციად ასოცირდება. პროფ. მაია ხეცურიანი თავის წიგნში „ევროპის ცივილიზაციის ისტორია" აღნიშნავს, რომ ევროპულ ცივილიზაციასთან ერთად უნდა განიხილებოდეს აშშ, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოები. ისინი არ შეიძლება ცალკე ცივილიზაციად იქნას განხილული და ერთიან, დასავლურ სამყაროს ქმნის. მისი თქმით, ევროპულმა ცივილიზაციამ იუდაზმისგან აითვისა რელიგიური იმპულსები, ბერძნებისგან - ფილოსოფია და გონების ძალა, ქრისტიანობისგან ადამიანისა და პოლიტიკური თავისუფლების საფუძველი, რომაელებისგან კი სახელმწიფო სამართალი და სახელმწიფოს ორგანიზების მაღალი ხარისხი. სხვა ცივილიზაციებისგან განსხვავებით, იგი მიდრეკილია მუდმივი განვითარებისა და განახლებისაკენ. თუ სხვაგან უფროს თაობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და კონსერვატორულად ცდილობს არსებული სისტემის დაცვას, ევროპა გამუდმებით იყო „მამათა და შვილთა" ბრძოლის არეალი, სადაც ყოველ თაობას, საკუთარი ამბიციები და ხედვები გააჩნდა. ეს კი მუდმივ დაძაბულობას და განვითარებას ქმნიდა (ხეცურიანი, 2004).

მართალია ევროპული იდეა არ მოიცავს ანტიკურ ხანას და შუა საუნეებს, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მჭიდროდ დაინერგა ე.წ. დასავლური არჩევანი. იგი საკუთარი განვითარების მაგალითს დასავლურ სახელმწიფოებში ხედავდა (გამყრელიძე გ., 2013). საკითხი მით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, რაც საქართველო ქრისტიანული სამყაროს წევრი გახდა და საკუთარ იდენტობას ქრისტიან ევროპულ სახელმწიფოებთან ცდილობდა. არადა, საქართველო საუკუნეების განმავლობაში ესაზღვრებოდა ისეთ ისლამურ იმპერიებს, როგორიც იყო სპარსეთი, არაბთა სახალიფო, თურქეთი და მათ ნაკვალევზე აღმოცენებული სხვადასხვა დინასტიური იმპერიები. ქართულ სკოლებში მოსწავლეებსაც კი ასწავლიან რომ ეგრისის სამეფოში, რომელიც დასვლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა, მე-6 საუკუნეში მოხდა სახალხო განხილვა თუ რა სამომავლო პოლიტიკური არჩევანი უნდა გაეკეთებინათ ეგრისელებს. აეღოთ გეზი აღმოსავლეთით ირანისკენ თუ დასავლეთით ბიზანტიისკენ. საკითხის განხილვა განაპირობა ეგრისის მეფის გუბაზ II-ის ბიზანტიელების მიერ მუხანათურმა მკვლელობამ. განხილვაზე ორივე იდეის მომხე-

ების მიერ წარმოთქმული ორატორული სიტყვები აღწერა ბერძენმა ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა, სადაც ჩანს, რომ ორივე მხარე არგუმენტირებულად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ქართველები განაწყენებულნი იყვნენ ბერძენ ლიდერებზე, მათ მაინც მათთან ურთიერთობაზე გააკეთეს არჩევანი და ზურგი აქციეს აღმოსავლეთს (კვიტაიშვილი ნ., მალაზონია დ., მალაზონია თ., 2008). ამასთან აღსანიშნავია, რომ ეგრისის ზღვისპირა ზოლზე არსებობდა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები, რომლებიც მოსახლებასთან მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ურთიერთობებს განაპირობებდნენ. ესენი იყვნენ ფაზისი (დღევანდელი ფოთი), დიოსკურია (დღევანდელი სოხუმი), პიტიუნტი (დღევანდელი ბიჭვინთა) და სხვა (გამყრელიძე გ., 2012). ამ პერიოდიდან მოყოლებული აღმოსავლეთიდან წამოსული საფრთხე ყოველთვის აგრესიად ფასდებოდა და მათთან ბრძოლას, ყოველთვის განმათავისუფლებელი ბრძოლა ერქვა. განსხვავებით დასავლეთით მყოფ რომის იმპერიას თუ მის აღმოსავლეთ მემკვიდრე ბიზანტიის იმპერიისგან. ქართველი მეფეები, ყოველთვის სიამაყით ატარებდნენ მათი მეგობრის თუ ვასალის სტატუს. დასავლური არჩევანი კიდევ ერთხელ განამტკიცა წარმოშობით სპარსელმა, საქართველოში სამეფო კარზე გაზრდილმა მეფე მირიანმა, რომელმაც საკუთარი მშობლების სამშობლოს სარწმუნოებაზე უარი განაცხადა და მე-4 საუკუნეში ქრისტიანობა იბერიაში, აღმოსავლეთ საქართველოში, სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა (ლორთქიფანიძე მ., 1983). ამ პერიოდიდან ქართული სახელმწიფოები ქრისტიანული სამყაროს წევრად თვლიდნენ თავს და ევროპაში განვითარებულ ყველა პროცესსა თუ მოვლენაში მეტნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას. ქართველ მეფეებში არსებული პრობიზანტიური პოლიტიკური განწყობა აისახებოდა პოლიტიკურ-სამხედრო მოკავშირეობაში, რელიგიურ-კულტურულ თანაზიარებაში. ისინი ხშირად მოგზაურობდნენ წმინდა მიწაზე იერუსალიმში, გაიღებდნენ შეწირულობებს, ერთნაირად სცემდნენ თაყვანს სიწმინდეებს და მოვალედ თვლიდნენ თავს ებრძოლათ ქრისტიანული სიწმინდეების დასაცავად. თბილისის დამაარსებელმა ვახტანგ მეფემ მე-5 საუკუნეში ანდერძად ბერძნებისადმი სიყვარულიც კი დაუტოვა ქართველ ხალხს. თავადაც ამ არჩევანს ემსხვერპლა ირანელების მხრიდან (გამყრელიძე გ., 2012). დასავლეთთან კავშირი გაწყდა მხოლოდ მე-15 საუკუნეში, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი და ოსმალთა იმპერიის ქვეშ მოექცა არა მხოლოდ მთლიანი ბიზანტია, არამედ სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპა, შავი ზღვა და კავკასია. შედეგად, საქართველო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო აღმოჩნდა კავკასიაში, რომელიც ისლამური მმართველობით იყო გარშე-

მორტყული. იმ დროს, რეგიონში მეორე ქრისტიანული სახელმწიფო - სომხეთი, სამწუხაროდ, უკვე ოთხი საუკუნის განმავლობაში აღარ არსებობდა (შუბითიძე, 2013).

რუსეთის კავკასიაში გამოჩენის შემდეგ გაჩნდა შანსი რუსეთის მეშვეობით საქართველოს დასავლურ სამყაროსთან ტრადიციული კავშირის აღდგენისა. მე-8 საუკუნის ბოლოს დაიდო რუსეთთან შეთანხმებაც, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო მის მეგობრად ცხადდებოდა. თუმცა, ქართველი მეფის გარდაცვალებისთანავე, რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოში ლეგიტიმურად განლაგებული ჯარებით ისარგებლა და გააუქმა, როგორც სამეფო კარი, ასევე ეკლესიის ავტოკეფალია, რაც სახელმწიფოებრიობის სრულ გაუქმებას და ოკუპაციას ნიშნავდა[1] (მარაგოტო, 2008). მას შემდეგ საქართველო ევროპას მხოლოდ რუსეთის მეშვეობით უკავშირდებოდა, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო, არამედ, როგორც რუსეთის განაპირა ავტონომია. იყო თუ არა რეალური რუსეთის მეშვეობით დასავლურ სამყაროსთან დაკავშირება? რა როლი შეეძლო ეთამაშა რუსეთს საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში? რამდენად რეალური იყო თვით რუსეთის ევროპეიზაცია? ეს ის კითხვებია, რომელიც აინტერესებდა როგორც იმ დროის ქართულ პოლიტიკურ ელიტას, ასევე გვაინტერესებს ჩვენც (გურული, 2008).

ფაქტია, რომ პეტრე I-სა და ეკატერინე II-ის მცდელობის მიუხედავად მე-18 საუკუნეში რუსეთი ევროპული სამყაროს ნაწილად ვერ იქცა. ამ მხრივ პროგრესი განიცადა რუსეთმა მხოლო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ ეს საქართველოს არ შეხებია. ევროპული განათლება, მეცნიერება და კულტურა, მ.შ. მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ქანდაკება, არქიტექტურა საქართველოსთვის მიუწვდომელი დარჩა. მისი ევროპეიზაციის ხარისხი საკუთრივ რუსეთისაზე გაცილებით დაბალი იყო. ამ მხრივ აშკარა პროგრესი მოხდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ეს რუსეთის დამსახურება როდია. ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ დასავლური არჩევანის იდეა ქართველებში არ მომკვდარა. ამ ხნის განმავლობაში ქართველები აქტიურად ცდილობდნენ დასავლეთ ევროპასთან კავშირის დამყარებას და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც ქართველი პოლიტიკოსები იგივე გზას დაადგნენ. სოციალისტური მოძრაობების გამოჩენას კი რუსეთი უფრო მეტად კარჩაკეტილობით შეხვდა, რითაც შეაჩერა რუსეთის სრული ევროპეიზაცია, რაც გულისხმობდა

1. საქართველო 1801 წლიდან თანდათან მოექცა რუსეთის იმპერიის ოკუპაციის ქვეშ და დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლამდე ვეღარ შეძლო.

დასავლურ სახელმწიფოებთან სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ იდენტურობას. შედეგად მოხდა მხოლოდ განათლების, მეცნიერების და კულტურის ევროპეიზაცია, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ წარსულ საუკუნეებში ჩარჩა (გურული, 2008). ქართველები მაინც არ კარგავდნენ დასავლეთის დახმარების იმედს და ნდობას. მათთვის ევროპა ერის გათავისუფლების ერთადერთ გზად ისახეოდა. ევროპა ქართველებისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა ჰუმანიზმის, თავისუფლებისა და განვითარების თვალსაზრისით. ევროპელი განმანათლებლების იდეები და განმათავისუფლებელი მოძრაობები რომანტიკული მუხტის შემომტანი იყო საქართველოში (გამყრელიძე გ., 2013). რუსეთის განაპირა კოლონიურ პირობებში კი საქართველოს ისღა დარჩენოდა საკუთარი შესაძლელობებით ეტვირთა ევროპული იდეის დანერგვა და მოდერნიზაციული პროექტების განხორციელება. ეს, რა თქმა უნდა, რთული იყო, მაგრამ რაც მოხდა ამ საუკუნეში იყო ის, რომ ქართველებმა შეძლეს ევროპული იდეის ქართულ ტრადიციებთან შერწყმით ლიბერალიზმის პრინციპების დანერგვა და ერის ფსიქოლოგიური მომზადება თავისუფლებისა და ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის. იმ დროის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართული სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, ერის კონსოლიდაცია დამოუკიდებლობის მისაღწევად და ევროპული სტანდარტების განათლების მიცემა მომავალი თაობებისთვის.

დემოკრატიის ელემენტები საქართველოში

საქართველოში თანამედროვე დემოკრატიული სისტემა და ღირებულები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იციდებს ფეხს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის ელემენტები საქართველოში მანამდეც გხვდებოდა. იმის გასაანალიზებლად, რომ ევროპული იდეა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში დემორატია საქართველოსთვის უცხო არ იყო, საჭიროა მცირეოდენი მიმოხილვა საქართველოს ჩვეულებითი სამართლის, რაც მოგვცემს საშუალებას სრული სახით გავაანალიზოთ ქართველების დამოკიდებულება ევროპული იდეის მიმართ. მეცნიერი გიორგი დავითაშვილი, რომელიც სწორედ დემოკრატიის ელემენტებს იკვლევდა საქართველოში, აცხადებს, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში დემოკრატიული ფასეულობები საკმაოდ ღრმად იყო ფესვგადგმული, რამაც განაპირობა ქართული საზოგადოების ადვილი ადაპტირება ევროპულ განმანათლებლობის იდეებთან, ევროპის იდეასა და დემოკრატიულ ღირებულებებთან. მკვლევარი წერს შუა საუკუნეების, ფეოდალურ საქართველოში არსებულ სა-

ხალხო თვითმმართველობაზე, სასამართლო სისტემაზე, სამედიატორო სამართალზე და მათ პროცედურულ საკითხებზე, რომელიც საკმაოდ ახლოს იდგა თანამედროვე დემოკრატიასა და დემოკრატიულ ინსტიტუტებთან (დავითაშვილი, 2011).

თავად ჩვეულებითი სამართალი ერთგვარ დაუწერელ კანონებს გულისხმობს, რომლის წყაროც ხალხია და არა ხელისუფლება. თუმცა, საქართველოში შუა საუკუნეებში მათი ასახვა სახელმწიფო კანონმდებლობაშიც მოხდა და იმდენად ძლიერი იყო, რომ კომუნიზმის დამყარებამდე შემორჩა, განსაკუთრებით კი მთაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ დემოკრატიის აკვანად სწორედ საბერძნეთი ითვლება, სადაც ადგილი ჰქონდა **სახალხო ყრილობებს.** აქ რა თქმა უნდა არსებობდა ასაკობრივი და გენდერული შეზღუდვა, მაგრამ სწორედ ასეთი იყო დემოკრატიის საწყისი ეტაპი. მსგავსი ინსტიტუტის არსებობა დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა რეგიონისთვის და მათ სახალხო თვითმმართველობის ანუ სოფლის და თემის ყრილობების სახე ჰქონდათ. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მთლიანი ხეობის ყრილობებიც ეწყობოდა. ეს ყრილობები სრული ავტონომიით სარგებლობდნენ და მოიცავდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ფუნქციებს. ყრილობის მოწვევა შეეძლო ან უხუცესს/უხუცესთა საბჭოს ან თავად მოსახლეობას ანუ სოფელს, თემს, ხეობას (დავითაშვილი, 2011).

აღსანიშნავია, რომ სახალხო ყრილობაში მონაწილეობის მიღება ყველა სრულწლოვან მამაკაცს შეეძლო. ეს ასაკი 20 წლით იყო განსაზღვრული. კიდევ უფრო საინტერესო ის იყო, რომ ყრილობაში მონაწილეობა შეეძლო მიეღოთ ქალებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში სრულწლოვანი მამაკაცი არ იმყოფებოდა ან თავად ქალს იცნობდა სოფელი, როგორც უფრო ავტორიტეტს და საზრიანს, ვიდრე მის ქმარს (დავითაშვილი, 2011).

სახალხო ყრილობებს საკმაოდ დიდი უფლება-მოსილება გააჩნდათ. იგი გულისხმობდა საკანონმდებლო, საგარეო, სამხედრო, ადმინისტრაციულ, სამეურნეო და სასამართლო ფუნქციებს. მაგალითად, შემორჩენილია შუა საუკუნეების ძეგლები, საიდანაც ირკვევა, რომ ყრილობებზე ადგენდნენ ისეთ **სისხლის სამართლის** წესებს, როგორიცაა ეკლესიის გაძარცვა, ადამიანის შეპყრობა, გატაცება, ზიანის ანაზღაურება და სხვა. მოძიებული ლიტერატურიდან ჩანს, რომ მსგავს საკითხებზე დადგენილი წესები შესაძლებელია შეცვლილიყო, დახვეწილიყო, გაუმჯობესებულიყო ან გაუქმებულიყო თუ ამას ყრილობის უმრავლესობა გადაწყვეტდა. რაც შეეხება **საგარეო და სამხედრო** საკითხებს ეს უფრო თემის ან ხეობის პრეროგატივა იყო, ვიდრე ერთი სოფლის. ასეთ ყრილობებზე წყდებოდა საგარეო ურთიერთო-

ბების მოწესრიგება, ომის და ზავის პირობები, ლაშქრის შეყრა, მტერთან სამოქმედო გეგმის შემუშავება და სხვა. აღნიშნული საკითხები ეხებოდა, როგორც მეზობელ სახელმწიფოებს ან ტომებს, ასევე თავად შიდა, სხვა ქართველურ ტომებთან ურთიერთობებსაც. სოფლის ყრილობებზე კი უფრო მეტად ადგილობრივი **სამეურნეო-ადმინისტრაციული** საკითხები წყდებოდა. აქ განიხილებოდა უცხოელი ვაჭრების გადაადგილების მარშუტი, დევნილის მიღება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვაგან გამგზავრების უფლების მინიჭება, რათა დაავადების შემოტანა აერიდებინათ თავიდან. ასევე, დგინდებოდა გადასახადები, მისი აკრეფის წესები და ვადები. განისაზღვრებოდა გზების, ხიდების, ეკლესიების მშენებლობა-შეკეთების საკითხები, მამულის გადანაწილება, შრომის ანაზღაურება, წილისყრა მწყემსობაზე, საყოფაცხოვრებო საკითხებზე, მიწების, საძოვრების და ტყის სარგებლობის პირობები. ირჩევდნენ სახალხო თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, აღმასრულებელ ორგანოთა და თანამდებობის სხვა პირებს. და ბოლოს, სახალხო ყრილობას ჰქონდა **სასამართლო ფუნქციაც,** რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს განიხილავდა. მაგალითად, საზოგადოების ღალატი, მათი თავისუფლების ხელყოფა, საერთო საქმისადმი თავის არიდება, საერთო ქონების ხელყოფა თუნდაც ეს ყოფილიყო საძოვრების უნებართვოდ გამოყენება ან ტყის გაჩეხვა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სხვა. აღნიშნული სახალხო ყრილობები აქტიურად იყვნენ საკუთარი გადმოსახედიდან ზნეობის დამცველნი. მაგალითად, იკრძალებოდა უკანონო სქესობრივი კავშირი, სიძვა, გაუპატიურება, ბუშის გაჩენა, უკანონო ქორწინება, რაც ნათესავებს ან ნათელ-მირონს შორის შეუღლებას გულისხმობს. ასევე აკრძალული იყო ფეხმძიმე ქალის მუშაობა და მისი სახლიდან სოფელში გამოყვანა მშობიარობამდე ერთი თვით ადრე. სასამართლოებზე აზრის გამოთქმა ყველას შეეძლო, საჭიროების შემთხვევაში საკითხი სიღრმისეულად განიხილებოდა, უსმენდნენ დამნაშავესაც და დაზარალებულსაც, იკითხებოდა მოწმეც. განაჩენი კი საბოლოო იყო და საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობდა. სასჯელი შეიძლება ყოფილიყო ჯარიმა, გაძევება ან სიკვდილით დასჯაც კი (დავითაშვილი, 2011).

გარდა სახალხო ყრილობებზე არსებული სასამართლო სისტემისა, არსებობდა **სახელმწიფო სასამართლოც**. აქ დემოკრატიული ელემენტი იკითხება იმ კუთხით, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობა უმაღლეს ხარისხში იყო აყვანილი. იგი გარკვეულ წილად უზენაეს სასამართლოს წარმოადგენდა იმ პირთათვის, ვინც თვლიდა რომ უსამართლობის მსხვერპლი გახდა. მას თავად მეფის პირველი ვეზირი ხელმძღვანელობდა და იხილავდა ობოლთა, ქვრივთა და

სხვა ყველაზე უფრო მიუსაფარი და გაჭირვებული ფენის საჩივრებს. აღნიშნულ სასამართლო პროცესებს მეფეებიც ესწრებოდნენ, ზოგი ყოველკვირა განსაზღვრულ დღეებში, ზოგი კი საკითხების სიმრავლიდან და სირთულიდან გამომდინარე. სოციალური სტატუსის მიუხედავად, სასამართლოს ასეთი ხელმისაწვდომობა უდაოდ დემოკრატიის ელემენტების ძლიერ გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ (დავითაშვილი, 2011).

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული **სამედიატორო სასამართლოც.** ეს არ იყო მუდმივმოქმედი ინსტიტუტი. მისი ფორმირება, ძირითადად სამოქალაქო დავებზე, კონკრეტულ შემთხვევებში ხდებოდა და მოდავე მხარეები თავად წყვეტდნენ ვინ უნდა ყოფილიყო მომრიგებელი მოსამართლე. ეს ფაქტიურად თანამედროვე არბიტრაჟის ანალოგი იყო, სადაც მოსამართლე მაქსიმალურად ცდილობდა საკითხი მორიგებით დაესრულებინა და მუდმივი დავა აეცილებინა თავიდან. აღსანიშნავია, რომ მთაში სამედიატორო სასამართლოს სისხლის სამართლის განსახილველადაც მიმართავდნენ. ამ ტიპის სასამართლო გამოირჩეოდა ადვილად ხელმისაწვდომობით, სიიაფით და ეფექტურად მობილობისათვის, რომელიც სახლის პირობებშიც შეიძლებოდა გამართულიყო. მისი დემოკრატიულობის მაჩვენებელია ასევე ის, რომ იგი მხარეებს აბსოლუტურ თანასწორ პირობებში აყენებდა მათი სოციალური სტატუსის მიუხედავად. ეს კი მათ შეჯიბრობითობის პრინციპში და მტკიცებულებების მოპოვების სრულ თავისუფლებაშიც გამოიხატებოდა. აღნიშნული სასამართლოს ნდობის მანდატს აძლიერებდა ისიც, რომ მოსამართლეთა კოლეგია (არსებობის შემთხვევაში) საკითხს წყვეტდა კონსენსუსით და არა ხმათა უმრავლესობით, ამიტომ საკითხის განხილვა იმდენ ხანს გრძელდებოდა, რასაც კონსენსუსამდე მისვლა და ორივე მხარის მეტნაკლებად მორიგება მოითხოვდა (დავითაშვილი, 2011).

შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ჩვეულებითი სამართალი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემა დემოკრატიული ელემენტების მაღალ გამოვლინებას წარმოადგენდა. მათი ორგანიზება და პროცესუალური საკითხები დემოკრატიულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული. შესაბამისად, ქართული საზოგადოებრივი პოლიტიკური, სამოქალაქო და სამართლის სისტემისთვის თანამედროვე დემოკრატია და ევროპული იდეა ადვილად თავსებადი და მისაღები აღმოჩნდა.

ევროპის იდეა ქართულ მწერლობაში

თანამედროვე ევროპული იდეა კი საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაინერგა. სანამ კონკრეტულად იმ პირებს შევისწავლით, რომლებიც ამ იდეის მატარებელნი იყვნენ, საჭიროა ზოგადად მიმოვიხილოთ იმ დროის მწერლობა, რომელიც ფუნდამენტურ გავლენას ახდენდა მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, პროფ. მაია ჯალიაშვილი წერს, რომ ამ პერიოდის ქართული მწერლობა ნასაზრდოები იყო იმ ბიბლიური იდეალებით, რომელიც პიროვნებას, როგორც განუმეორებელ, ინდივიდუალურ, ფუნდამენტურ ფასეულობის წარმოჩენას ემსახურებოდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა სწორედ პიროვნულად თავისუფალი პერსონაჟებით გამოირჩევა. აქ ხშირად პიროვნული და ეროვნული თავისუფლება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთმანეთს განსაზღვრავს (ჯალიაშვილი, 2015).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რატიანის შეხედულებებს იზიარებს იათაშვილიც იმ საკითხში, რომ საქართველოში ევროპული იდეების ფესვები კიდევ უფრო შორს მიდის. თუ არ ვისაუბრებთ V-XVIII საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებზე, რომელიც პიროვნული თავისუფლების, გენდერული თანასწორობისა და რწმენის თავისუფლებას ეხება, საერო ლიტერატურაში XII საუკუნის მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად გაჯერებულია იმ ჰუმანისტური იდეებით, რომელიც ევროპის რენესანსის ეპოქამდე და მის პერიოდში იყო დამახასიათებელი (იათაშვილი, 2011). აქ წარმოდგენილია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა, სამართლიანობა, ბედნიერების უფლება და საზოგადოებრივი ჰარმონია (რატიანი, 2011). ხოლო XVII-XVIII საუკუნეების ისეთი მწერლები და სახელმწიფო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, ფაქტიურად გამოვლინება იყო იმ დროის ევროპული განმანათლებლობის ტალღისა, რომელიც გძნობდა ახალი ეპოქის დადგომას. მათი ნაწარმოებები ლიბერალიზმის თამამი გამოვლინება იყო. კიდევ ერთი მწერალი, რომელიც ებრძვის გაუნათლებლობას და მეცნიერული ცოდნით გაჯერებული გვთავაზობს დემოკრატიული სამყაროს ყველა ფორმას არის იოანე ბატონიშვილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი მეფის შვილი იყო და რუსეთის იმპერიის მიერ მისი ქვეყნის 1801 წლის ანექსირების შემდეგ რუსეთში გადაასახლეს (იათაშვილი, 2011).

ფილოლოგიის პროფ. ირმა რატიანი მიიჩნევს, რომ კულტურის ძლიერების საფუძველი მხოლოდ მისი თვითმყოფადობა და სიძველე არაა. აუცილებელია მისი თანხვედრა ისეთ უმაღლეს ღირებულებებ-

თან, რომელიც განსაზღვრავს ერისა და მისი კულტურის ეთიკურ-ზნეობრივ მოდელს. ასეთი ღირებულებები კი დემოკრატიული ფასეულობებია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და პროგრესს განაპირობებს. ამ იდეალების დანერგვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა კი სწორედ მწერლობა და მხატვრულ-ლიტერატორული ფორმაა (რატიანი, 2011).

ქართველი მკვლევარი შოთა იათაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში არსებობდნენ ორი სახის მწერლები. ერთნი, რომლებიც საკუთარ ნაწარმოებებში აშკარად ავლენენ ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების სურვილს, მაგრამ არ იციან ეს ცხოვრებაში, როგორ უნდა მოხდეს; და მეორენი, რომლებსაც კარგათ აქვთ თავიანთი ფუნქცია გააზრებული და ერთგვარ განმანათლებლებად, ევროპული იდეების დამნერგველებად გვევლინებიან. ისინი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს გასაბჭოებამდე ცდილობდნენ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების ცხოვრებაში გატარებას და მისი მეშვეობით ქვეყნისთვის სრულიად ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას (იათაშვილი, 2011). იგივეს აცხადებს რატიანიც, რომლის მიხედვითაც, ქართული ფოლკლორი მიზნად არ ისახავს ლიბერალიზმის და დემოკრატიული ღირებულებების პროპაგანდას, მაგრამ იგი აშკარად ირეკლავს მათ. აქ გვხვდება სურვილი სოციალური და გენდერული თანასწორობისა, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კანონის წინაშე თანასწორობის, არჩევანის თავისუფლებისა და სხვ. (რატიანი, 2011).

ხოლო, როგორც აღვნიშნეთ, ვინაიდან უშუალოდ ევროპული იდეების, ლიბერალური და სამოქალაქო ღირებულებების გააზრებული დანერგვა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, ამ პერიოდიდან დაერქვა დემოკრატიულ ღირებულებებს ის სახელები, რაც დღესდღეობითაა ჩვენთვის ცნობილი - ლიბერალიზმი, ტოლერანტობა, თანასწორობა, ქალთა ემანსიპაცია, სიტყვის თავისუფლება და სხვა. დემოკრატიული ფასეულობების სწორედ მიტანა საზოგადოების ფართო მასებთან, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, პიროვნების აზროვნების, სიტყვისა და არჩევანის თავისუფლება, სიცოცხლის, განათლების, ბედნიერების უფლება, კანონის უზენაესობა სწორედ ამ დროის მწერალთა, პუბლიცისტთა და საზოგადო მოღვაწეთა მისია გახდა. ისინი მკაცრად უპირისპირდებოდნენ სოციალურ, გენდერულ, რელიგიურ და ეთნიკურ უთანასწორობას, პიროვნების ან საზოგადოების უფლებების დარღვევას. ეს ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ იმ დროის დომინანტურ იმპერიალისტურ კონსერვატორულ იდეოლოგიას და ხალხში პროგრესული იდეების დანერგვით, აზროვნების მასშტაბურობით, ჰუმანიზმით და პრინციპებით აშკარად

უსწრებდნენ საკუთარ თანამედროვეობას (რატიანი, 2011). ეს ადამიანები არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლოძე და სხვა. ისინი წარმოადგენენ ქართველ განმანათლებლებს, რომლებიც მიხეილ გაფრინდაშვილის სიტყვებით მსოფლიო განმანათლებლური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენენ. ეს კი წარმოადგენდა იდეურ ბრძოლას თავისუფლებისთვის, თანასწორობისთვის და არსებული სისტემის წინააღმდეგ, დაფუძნებული ჰუმანისტური იდეების პრინციპებზე, რომელმაც გზა გაუხსნა ლიბერალური და სოციალისტური მოძრაობების ჩამოყალიბებას (გაფრინდაშვილი მ., 1989).

განმანათლებლების ამ ჯგუფს თერგდალეულებს უწოდებენ, რაც აღნიშნავდა იმ ადამიანებს, ვინც თერგს გაღმა მიიღო განათლება ანუ საქართველოს საზღვარს გარეთ, რუსეთში ან ევროპაში. ჩვენი კვლევის პირველი ნაწილის ობიექტსაც სწორედ ისინი წარმოადგენენ, რომლებსაც დეტალურად ქვემოთ მიმოვიხილავთ. მათ გაიაზრეს, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამუდმებული აჯანყებებით, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სასურველ მიზანს ვერ მიაღწევდა. მუდმივი ფიზიკური წინააღმდეგობით ერის სასიცოცხლო ენერგია შესუსტებული იყო და ამიტომ მათ მშვიდობიანი ბრძოლის გზა აირჩიეს კოლონიურ რეჟიმთან საპირისპიროდ. თერგდალეულები ეკონომიკური თავისუფლების ბაზრის პრინციპს ემხრობოდნენ, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრებას შეიძლება ეფუძნებოდეს. მას კი მხოლოდ მატერიალურ ღირებულებად არ განიხილავდნენ, არამედ ისეთ ფასეულობებთან ერთად მოიზარებდნენ, როგორიცაა აზროვნება, რწმენა, მათი გამოხატვის საშუალებები და სხვ. (ჯანელიძე, 2015)

ეს ქართველი ახალგაზრდები თანაუგრძნობდნენ რუსეთში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას, რომელსაც ცარიზმი უნდა დაემხო, მოესპო ბატონ-ყმობა და სოციალური თავისუფლება მოეტანა. მაგრამ მათ არ აკმაყოფილებდათ რუსული რევოლუციური დემოკრატია, რომელიც უგულებელყოფდა ეროვნული თვითგამორკვევის საკითხს. ამიტომ, რუსეთში შემოსული ევროპული იდეა ქართველებმა ეროვნულ ნიადაგს დააფუძნეს. თუმცა, მათ უარი თქვეს შეთქმულებებსა და შეიარაღებულ აჯანყებებზე, ტაქტიკა შეცვალეს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი ბრძოლის კურსი აირჩიეს. მათი ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა ეფუძნებოდა დემოკრატიზმის და კერძო საკუთრების პრინციპების დაცვას, რომელთა ლოზუნდგად იქცა ილიას სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ (ჯანელიძე, 2015). ასე, რომ ქართული მწერლობა იქცა ერთ-ერთი უმთავრეს იარაღად ევროპული იდეის გავრცელებისა და დანერგვისათვის.

მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის იდეოლოგები საქართველოში - განმანათლებლები

ილია ჭავჭავაძე

ფრანგი მეცნიერი რემი ბრეიგი საუბრობს, რომ ევროპის კულტურული იდენტობა იმით განსხვავდება სხვა კულტურებისგან, რომ იგი ყოველთვის ინარჩუნებდა ღიაობის პრინციპს, რაც საშუალებას აძლევდა მას განვითარებულიყო და სიახლეები მიეღო. ეს იყო ადგილი, სადაც გამუდმებით ხდებოდა თაობებს შორის კონფლიქტი და ახალი თაობა მუდამ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა (ბრეიგი, 1992). მსგავს შემთხვევასთან გვქონდა ადგილი საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც, როდესაც ილია ჭავჭავაძის (1937-1907) უფროსი თაობა არსებულ სინამდვილეს იყო შეჩვეული და მორგებული, ამიტომ ახალგაზრდების ლიბერალური იდეები, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ახალი თაობის ლიდერი სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც უფროს თაობას ბრძოლა პრესის ფურცლებიდან გამოუცხადა. მის ირგვლივ შემოიკრიბნენ სხვა ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც თერგდალეულებს უწოდებდნენ, ანუ საზღვარგარეთ განათლება მიღებულებს. ილია, როგორც ახალი მოძრაობის ლიდერი უფროსი თაობის მიერ იქნა ათვალწუნებული. მათ მისი აბუჩად აგდებაც სცადეს. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი, რომელიც იმ დროს გენარალი იყო და რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგა ილიაზე წერდა „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“, რითაც ხაზს უსვამდა, როგორც ლიბერალიზმის იდეების სიმდაბლეს, ასევე ილიას ყმანვილურ გამოუცდელობას მასთან შედარებით. ფაქტია, რომ ლიბერალურ ღირებულებების საქართველოში შემოტანას და დამკვიდრებას მართლაც დიდი ძალისხმევა დაჭირდა, რათა მოეხდინათ ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის ევროპეიზაცია. თერგდალეულები ილიას მეთაურობით გზას უხსნიდნენ ევროპულ იდეებს და ცდილობდნენ შეემზადებინათ მათთვის ქართველი ერი, ეხსნათ თვითიზოლაციისგან და პროგრესის ასპარეზზე გაეყვანათ (ჯანელიძე, 2015). ეს არ იყო იოლი საქმე. ილია აცხადებდა, რომ „ლიბერალიზმი, პატრიოტიზმი, სალანძღავ სიტყვად არ გაგვიდია“ - რაც ილიას და მისი თაობის ცხოვრების ლაიტმოტივად გადაიქცა (რატიანი, 2011). მას ეკუთვნის ათობით ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი, თარგმანი, სტატია და სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ტომებად არის აკინძული. თითოეული მათგანი ეხებოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ

და კულტურულ საკითხებს. ჩვენ კი მხოლოდ მისი ნამუშევრების იმ ნაწილს მიმოვიხილავთ, რომელიც მკაფიოდ გამოყოფს მის იდეებსა და შეხედულებებს. ამასთან უნდა ითქვას, რომ ილიას ეკავა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი თანამდებობები, მათ შორის იყო საგლეხო-რეფორმის მომრიგებელი შუამავალი, დუშეთის მაზრის მოსამართლე, არჩეულ იქნა თბილისის სათავადაზნაური საადგილ-მამულო ბანკის დირექტორად, ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ, სიცოცხლის ბოლომდე კი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე." იყო ჟურნალი „საქართველოს მოამბეს" და „ივერიას" რედაქტორი, საიდანაც ახდენდა საკუთარი იდეების გავრცელებას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ილიას სახელს უკავშირდება თბილისის თეატრის დაარსებაც, რომელიც ერთგვარი ტრიბუნა გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა (მჭედლიშვილი, 2012).

ილიას **პოლიტიკური** მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის განმანათლებლების გავლენით. იგი იყო საფრანგეთის რევოლუციის მხარდამჭერი, ადევნებდა რა თვალს იმ ქვეყნად არსებულ რევოლუციურ ანტი-იმპერიალისტურ მოძრაობას, მათი იდეალების მხარდაჭერას საკუთარი ლექსებით გამოხატავდა. მას სურდა ფრანგული რევოლიციის საყოველთაო იდეალები „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა" საკუთარ სამშობლოშიც ენახა. ამასთან, ილია ქავქავაძე იტალიის გამაერთიანებელ და განმათავისუფლებელ ჯუზეპე გარიბალდისაც გულმხურვალედ უჭერდა მხარს და ერთი პერიოდი მის ლაშქარში ჩაწერასაც გეგმავდა (იათაშვილი, 2011). ილია არჩეულ იქნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად, სადაც იგი მოითხოვდა რუსეთის იმპერიის ფედერალიზაციას და კომპაქტურად დასახლებული ერებისათვის კულტურული და ადმინისტრაციული ავტონომიის მინიჭებას, რომელსაც საკუთარი პარლამენტი ექნებოდა. ამ პროექტის განხორციელება მანამ იყო შეუძლებელი, სანამ რუსეთის იმპერია სოციალისტურმა მოძრაობამ არ დაანგრია და ოკუპირებულ ერებს მიეცა შესაძლებლობა მცირე ხნით, მაგრამ მაინც გამოეცხადებინათ **დამოუკიდებლობა**. აღსანიშნავია, რომ ილიას სოციალ-დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ილია თავად იყო უთანასწორობის წინააღმდეგი, იგი უპირველეს ამოცანად საქართველოს დამოუკიდებლობას მიიჩნევდა. თვლიდა, რომ კლასობრივი დაყოფა ერის ერთიანობას დაქსაქსავდა და დამოუკიდებლობის აღდგენას გააჭიანურებდა (გოგიაშვილი, 2005). მისი სიტყვებით „რომელიმე ერთი წოდებამ ცალკე, რომ ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოღობოს, ამით რა ხეირი და სიკეთე ნახოს საბოლოოდ? ერთი რომელიმე წოდების წინ წაწევა

არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა“ (ქავჭავაძე, პუბლიკაციები 2011). შესაბამისად, მისი ფრაზა „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“ გახდა ეროვნული მოძრაობის ლაიტმოტივი. ხოლო მოგვიანებით თავად ხალხის მიერ „უგვირგვინო მეფედ“ იქნა შერაცხული, ხოლო ეკლესიის მიერ წმინდანად, როგორც „ილია მართალი“. ყოველივე ეს თავად ილიასთვის ერთგვარი მოულოდნელობა იქნებოდა, რადგან იგი აშკარად წინააღმდეგი იყო აბსოლუტური მონარქიის, დასაშვებად მიაჩნდა კონსტიტუციური მონარქია, ისიც კანონის უზენაესობის და ძლიერი პარლამენტის პირობებში. მისი ტექსტების ანალიზიდან კი ჩანს, რომ ყველაზე მეტად რესპუბლიკურ დემოკრატიას ემხრობოდა (კუტალია, 2004).

სახელმწიფო მოწყობის შესახებ ილიას საფუძვლიანი და ღრმა კველა აქვს ჩატარებული. მან ისტორიული შედარებითი ანალიზით მოახდინა კვლევა პირველყოფილი საზოგადოების, ფეოდალური სახელმწიფოს, კერძო საკუთრების, ბურჟუაზიის, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. მოახდინა საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება ერზე და მის დამახასიათებელ ნიშნებზე. იგი წერდა რომ „ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სილისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა.შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი“ (ქავჭავაძე, პუბლიკაციები, 1987).

აღსანიშნავია, რომ ილიამ ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი და სამართლებრივი გზა აირჩია. მშვიდობის შესახებ მისი იდეა ამ სიტყვებით შეგვიძლია გავიგოთ: „ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სოციცხლისა, ადამიანის ღვაწლისა და მონაგარისა... მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია“ (ქავჭავაძე, პუბლიკაციები, 1987). ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკაც სრულად პასუხობს ევროპული იდეის კონცეფციას მშვიდობის შესახებ (ჯანელიძე, 2015). ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი რამეს უფრთხოდა, განსაკუთრებით მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ილია იყო ერთადერთი პასუხის გამცემი ყოველ იმ შემთხვევაზე, როდესაც იმპერიალისტური პოლიტიკა საქართველოს და მისი თავისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრებოდა. ეს იქნებოდა ქართული ენის შევიწროება თუ ქართული ეროვნების უპატივცემულობა (ჯორჯაძე, 1989). ილია თვლიდა, რომ ქართველი ერის გადარჩენის მიზეზი იყო ის, რომ ვიცოდით იმ დროის შესაფერისი გადარჩენის ხერხი. „ ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით... ახლა კი ვაჟკაცობა უნდა შრომისა... ქვეყანა იმისაა, ვინც

ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს... სწორედ ამიტომ დროა ხმლები გადავდოთ გვერდით და კალმით ვიბძოლოთ" (ქავჭავაძე, პუბლიკაციები, 1987).

ილიას მტკიცე პოზიცია ჰქონდა **სამოქალაქო** საზოგადოების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავად-აზნაურთა წარმომადგენელი იყო, მან ყველაზე აგრესიულად გაილაშქრა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მან სამოქალაქო **თანასწორობას** რამდენიმე რომანი და სტატია მიუძღვნა, რითაც საკუთარი წრის წინააღმდეგ წავიდა და რაც იმ დროის საქართველოში იოლი საქმე არ იყო. მისი რომანები „კაცია ადამიანი?!", „ოთარაანთ ქვრივი" და „გლახის ნაამბობი" ქართველებისთვის სამაგიდო წიგნებად იქცა. აქ აღწერილია გლეხი ადამიანების მძიმე ყოფა და სოციალური უსამართლობა. იმ სამოქალაქო გაუცხოებას, რაც საქართველოში სოციალურ ფენებს შორის იყო, ილია „ხიდჩატეხილობას" ეძახდა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აფერხებდა. რა თქმა უნდა ჩვენი კვლევის მიზანი არაა ლიტერტურის განხილვა, მაგრამ საილუსტრაციო მაგალითად მოვიყვანთ მისი რომანის ერთ-ერთი თავადი გმირის სიტყვებს, რომელიც ილიას მორალს და სოციალური თანასწორობის კონცეფციას ასახავს: „ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი (გლეხები) იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ (თავადები) აქეთ. შორი-შორს ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია... რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დინ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლია ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან... ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ... იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე..." (ქავჭავაძე, მოთხრობები, 1985). მართლაც, ილია მძიმე სოციალურ მდგომარეობის გამოსავალს სწორედ განათლებაში ხედავდა. ამ კუთხით მან და მისმა თანამოაზრეებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ის ჯუხდა, რომ არისტოკრატიის კლასმა კარგად ვერ გაიაზრა რომ ერის „დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერაბა, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ თუ სხვაც კარგად იქნებიან, მაშინ მარტო იგიც კარგად იქნება" (ქავჭავაძე, პუბლიკაციები, 1987). მანამდე კი ისევ ილიას შეხედულებებს დავუბრნდეთ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ლიბერალიზმის იდეოლოგი, მისთვის **ადამიანის თავისუფლება** უპირველისი უფლება იყო. ადამიანის ღირსების შესახებ ილია წერდა, რომ „კაცებურის ღისრების გრძნობა... ღრმად

პატივცემული" უნდა ყოფილიყო (ქავქავაძე, პუბლიკაციები, 1986). „ძნელი საცხოვრებელია იმისთანა ქვეყანა, საცა ადამიანის ნამუსს და მის გრძნობას კაცურის ღირსებისას პატივი და მფარველობა არ აქვს" (ქავქავაძე, პუბლიკაციები, 1987). „ჩვენ იმ გრძნობაზე ვლაპარაკობთ, რომელსც ადამიანის საკუთარის ღირსების გრძნობა ჰქვია და ურომლისოდაც არც კაცი კაცად იხსენება და არც საზოგადოება საზოგადოებად... უწმინდესი მოვალეობა საზოგადოებისა, მთავრობისა არის ადამიანი ადამიანობდეს, ადამიანის „მე"-ს დღემუდამ მფარველობდეს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არავის გააქელვინოს. მის სულიერ და ნივთიერ კუთვნილებაზე მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით სრულ და ბედნიერ ჰყოს" (ქავქავაძე, პუბლიკაციები, 1987). მას თავისუფლება კლასიკური ლიბერალიზმის გაგებით ესმოდა ანუ თავისუფლებას თან უნდა ერთვოდეს პასუხისმგებლობაც. იგი ამის შესახებ წერდა „ადამიანი ერთის მხრივ უფალია, მეორე მხრივ - მოვალე და მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი" (ჯანელიძე, 2015).

1897 წლის თბილისის თვითმმართველობის არჩევნების წინა დღეს ილია ქავქავაძემ ამომრჩევლებისადმი მოწოდება გააკეთა. ამ წინასაარჩევნო მიმართვაში ნახსენები იყო, რომ „თქვენ (თბილისელებს) გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლებს, ღარიბს არ ახდევინოს" (Civicus, 2016). ილიას **ეკონომიკური ხედვები** ადამ სმიტის თავისუფალი ბაზრის პრინციპს ემყარებოდა. იგი ეკონომიკური განვითარების სწორ მოდელს სწორედ კაპიტალიზმში ხედავდა, სადაც ღირსეულად იქნებოდა დაცული როგორც მშრომელი ადამიანების უფლებები, ასევე მესაკუთრის ინტერესებიც. ილია კერძო საკუთრებაზე წერდა, რომ იგი „ქვაკუთხედად უდევს მთელს ცხოვრებას დანინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება... ხელშეუხებლობა პირადი საკუთრებისა მერმისის ქვაკუთხედად არის აღიარებული და ყოველს, რაც ჰხღუდავს და ხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს" (ჯანელიძე, 2015). ილიამ ადამიანის პიროვნული თავისუფლება დაუკავშირა კერძო საკუთრებას, რომელიც უნივერსალურ ღირებულებად მიაჩნდა და რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ნებისმიერი ქვეყნის სამოქალაქო უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატება მოდერნიზაციის სფეროში.

მისი თქმით, ადამიანების ბედნიერების ერთ-ერთი განსმაზღვრელია სწორედ იმის გარჩევა, რომ მან იცის „ჩემი აქ მთავრდებაო და სხვისი იქ იწყებაო... ესმის რაც სხვისია, ჩემი მოვალეობაა, ხოლო რაც ჩემია - ჩემი უფლებაა... კერძო საკუთრებაა ის საფუძველი, რაზედაც ადამიანთა ურთიერთობები უნდა აშენდეს“ (გოგიაშვილი, 2005). ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მკვლევარი წერს, რომ ილიას მიხედვით, ეკონომიკური მოდელი უნდა იყოს საერთაშორისო არენაზე გამოცდილებას დაფუძნებული და ექსპერიმენტები საჭირო არაა. ილიას ეკონომიკური და საბანკო-საფინანსო კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარება უნდა ყოფილიყო ხალხის კეთილდღეობაზე ასახული. იგი თვლიდა რომ ეკონომიკის შემაფერხებელია მკაცრი ცენტრალიზაცია, ამიტომ უნდა მომხდარიყო დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება, რომლებმაც უკეთ იცნობდნენ საკუთარ რეგიონულ პოტენციალს. ხოლო ბაქო-თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ილიამ განავითარა „კავკასიის საერთო ბაზრის“ პრინციპი, რაც დღესაც არ კარგავს თავის ძალასა და აქტუალობას. ხოლო საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას, რაც საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად მიაჩნდა (კვარაცხელია მ., 2012).

ილია საფუძვლიანად იკვლევდა ასევე **სამართლის** ნარმოშობას და მის ისტორიულ ეტაპებს. მისი კვლევის ობიექტი იყო ადამიანის უფლებები და მათი დარღვევის გამოსწორება. იგი მოითხოვდა კანონის მისადაგებას კონკრეტულ ფაქტებზე და საქმეების არსებითად განხილვას. ერთ-ერთი საკითხი იყო სამართლებრივი მიდგომები ადამიანების მიმართ. იგი გამოდიოდა არაადეკვატური სასჯელის წინააღმდეგ და მოითხოვდა სასამართლოს უფლებების გაზრდას, სადაც ყველა ეჭვმიტანილს ექნებოდა თანაბარი შესაძებლობა დაეცვა საკუთარი თავი. მისი მიზანი იყო მომხდარიყო დანაშაულის გამომწვევევი მიზეზების ანალიზი და არა მხოლოდ ხისტი დასჯა. უნდა მომხდარიყო დანაშაულისა და სასჯელის თანაბარზომიერება, ხოლო სიცვდილის დასჯა საერთოდ უნდა გაუქმებულიყო (აბაშიძე, 1987). მისი სიტყვებით, „ყოველი დანაშაული კაცის წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილი უნდა იქმნას ისე, რომ ვერ შესძლოს ბოროტის ქმნა. თუ მოურჯულებელია და მოსარჯულებელია ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას... საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვართაცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება (აბზიანიძე, 2015). ილისა სამართლებრივი ფილოსოფია ამ პრინციპების მიხედვით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: 1.

პიროვნების და მისი კანონიერი ინტერესების ხელშეუხებლობა; 2. კანონის წინაშე ყველა მოქლაქის თანასწორობა სოციალური, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად; 3. საქმის წარმოება მშობლიურ ენაზე და მოსამართლეების ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტება; 4. ნაფიცმსაჯულთა სისტემის დანერგვა; 5. სასამართლო პროცესების საჯაროობა; 6. სასამართლო და საგამოძიებო საქმიანობაზე მონიტორინგის დაწესება სხვა უწყებების მიერ (დოდაბრიშვილი, 2015). ილიას სიტყვებით: „მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც ერთი დღეს არ შეუძლიან იცხოვროს ქვეყანამ და ერმა... სამართლის ქმნა ერთი იმისთანა აუცილებელი, ყოვლად ძლიერი მოქმედებაა, რომელზედაც დამყარებულია მთელი სასოება და იმედი მშვიდობის მფოფისა, ადამიანის ღირსების, სახელის, ოჯახის და ქონების სარჩელისა და მფარველობისა“ (ჭავჭავაძე, პუბლიკაციები, 1987).

ომარ გოგიაშვილი, რომელიც ილიას თანამედროვე ქართველების მთავარ იდეოლოგად მოიხსენიებს, წერს, რომ ილიამ შემოიტანა და დაამკვიდრა იმ პერიოდის მეცნიერებაში გამოყენებული კვლევის ყველა მეთოდი. იგი იკვლევდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ისტორიულ, სოციოლოგიურ, სამართლებრივ და **კულტურულ** პრობლემებს, ახდენდა მათ ანალიზს და აყალიბებდა ისეთ კონცეფციებს, რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის მოდერნიზაციისა და თავისუფლებისკენ (გოგიაშვილი, 2005). იმისათვის, რომ ერს სწორი მომავლის ორიენტირი აეღო, ილიას აუცილებლად მიაჩნდა წარსულის შესწავლა. ამასთან, ილიამ პირველმა დაიწყო ისტორიის ეკონომიკური ასპექტების შესწავლა (გოგიაშვილი, ბათიაშვილი, 2002). იგი ფიქრობდა, რომ ისტორია გვეხმარება გავიგოთ საიდან მოვდივართ, სად ვდგავართ და საით უნდა წავიდეთ. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი ისტორიკოსიც იყო, მას არ ჰქონდა მიჯაჭვულობა წარსულისადმი. პირიქით, იგი ცხოვრების არს მუდმივ მოძრაობაში და გავითარებაში ხედავდა. „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება... რაც გუშინ კაცს გონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია... ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი“ (მიმიტაშვილი, 2016). როგორც ვხედავთ ილია ავითარებს იმ აზრს, რომ საერთო საკაცობრიო პროგრესი უწყვეტი პროცესია, ხოლო ცალკეული ფორმაციები და წყობილებები მხოლოდ მისი გამოვლინებებია მოცემულ ისტორიულ ეპოქაში (კვარაცხელია, 2001). ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს **პროგრესისა და მოდერნიზაციისადმი**. მისთვის პროგრესი მხოლოდ ტექნო-

ლოგიური მიღწევები არ არის. მისთვის პროგრესი ადამიანთა უფლებების დაცვაა უპირველ ყოვლის. იგი წერდა: „რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებული არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ, შევიწროებული (ჯანელიძე, 2015). სწორედ ამიტომ პროფ. გიგი თევზაძე მიიჩნევს, რომ ეროვნული იდენტობის თანამედროვე იდეა სწორედ ილიას მიერ გავრცელდა და დაინერგა. მისგან შეიქმნა სამოქალაქო სივრცე და სხვა უამრავი თანამდევი მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც ილიამ თავის ცხოვრების მანძილზე განახორციელა, გახდა საფუძველი ვთქვათ, რომ დღეს ჩვენ მოდერნულები ვართ (თევზაძე, 2015). ილიას დამსახურებაა, რომ სახელმწიფო წარმოებაში დაინერგა სასაუბრო ქართული ენა, რომელმაც მის მიერვე განიცადა რეფორმა და უარყოფილი იქნა ე.წ. არისტოკრატიული ენა, რომელზეც მხოლოდ სასულიერო პირებს და სახელმწიფო მოხელეებს შეეძლოთ საუბარი. იგი საკმაოდ იყო დაშორებული თანამედროვე სამეტყველო ენას, რაც ბარიერს ქმნიდა მოქალაქეებისთვის. პროფ. ლევან გიგინეიშვილის თქმით, ილიას წყალობით აღმოუფხვრა კუთხური და სოციალური დაქუცმაცებულობა, გავრცელდა განათლება და შეიქმნა ახალი იდენტობა ერი-სახელმწიფო (გიგინეიშვილი, 2015).

ერთ-ერთი უმნიშველოვანესი ფაქტორი საზოგადოების მოდერნიზაციისა, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, არის სეკულარიზაცია და რელიგიური დოგმებისგან განთავისუფლება. ილია არასოდეს ყოფილა ეკლესიის წინააღმდეგი, პირიქით, იგი ქრისტიანობის დამცველი იყო, მაგრამ არ იყო მომხრე სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციების ერთმანეთში არევისა. იგი წერდა, რომ „ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს“ (არტინფო, 2015). მისი უკანასკნელი პოემაც „განდეგილი“ სწორედ ამ საკითხს ეხება, სადაც იგი მოუწოდებს ადამიანებს ლოცვასა და ასკეტურ ცხოვრებაში ყოფნას ქვეყნისთვის კონკრეტულად ხელშესახები საქმე აკეთონ (ჭავჭავაძე, პუბლიკაციები, 1987). ილია დიდი პატივით ეპყრობოდა მაჰმადიანურ, იუდაისტურ, გრიგორიანულ, კათოლიკურ და სხვა აღმსარებლობის მიმდევრებს. იგი წერდა, რომ „ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა... სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისთვის დევნილნი და დაჩაგრულნი - აქ ჩვენში პოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანეს და სინდისის თავისუფლებას“ (ბუბულაშვილი, 2003).

რა თქმა უნდა ილია ჭავჭავაძე თავისი იდეებით და საქმიანობით მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიისთვის, მაგრამ მას განსაკუთ-

რებით დაუპირისპირდნენ კლასობრივი ბრძოლის მომხრეები, რომელთა ინტერესებში ლიბერალური იდეები, ერი-სახელმწიფო და თავისუფლება მიუღებელი იყო. 1907 წელს მოკლეს ადამიანი, ვისი ძალისხმევის გარეშეც საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა და ვერ შედგებოდა დემოკრატიულ სამყაროს ნაწილი. მკვლელობა განხორციელდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (შემდგომში ბოლშევიკები, რომელთა სათავეშიც იყვნენ ვ.ვ. ლენინი და ი. სტალინი) ცენტრალური კომიტეტის დაკვეთით. მკვლელობის ორგანიზება კი დაევალათ სერგო ორჯონიკიძეს და ფილიპე მახარაძეს, რომლებიც 1921 წელს ასევე გახდნენ საქართველოს საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპაციის ხელმძღვანელები (გურული, 2015).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის ათეულობით ნამუშევრის, სტატიის და სამოქალაქო აქტივობის შესწავლის შემდეგ, შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი, რომ ეს იყო ადამიანი, რომლის აზროვნება და მოქმედება თავისუფლად ჯდებოდა არა მარტო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის, არამედ 21-ე საუკუნის ევროპული იდეის სტანდარტებში. ამავე დროს იგი იყო თავისი დროის მოდერნიზაციის ლოკომოტივი საზოგადოებრივი ცხოვრების კუთხით. რა თქმა უნდა, რთულია მისი ნაშრომების და მოღვაწეობის სრულად წარმოჩენა ჩვენ ნაშრომში, მაგრამ ფაქტია შესაძლებელია გაგვეკეთებინა მისი ლიბერალური მსოფლმხედველობის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული შეხედულებების ანალიზი, რამაც განსაკუთრებული როლი ითამაშა, არა მარტო იმ დროის ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, არამედ თანამედროვე ეპოქის არსებული სახით არსებობაში.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიბერალური ფრთის სხვა წარმომადგენლები, ილიას მსგავსად, არ და ვერ მოიცავდნენ იგივე მასშტაბით საზოგადოებისთვის საჭირო ყველა სფეროს. ამიტომ იმ დროის ევროპული იდეის და მოდერნიზაციის სხვა წარმომადგენლებს მიმოვიხილავთ მხოლოდ მათი ძლიერი მხარეებით და იმ კუთხით, რითაც მოახდინეს გავლენა საზოგადოებაში ლიბერალური იდეებისა და პროექტების დანერგვა.

ვაჟა-ფშაველა

ლუკა რაზიკაშვილს, ვაჟა-ფშაველას (1961-1915) ფსევდონიმით ცნობილს და ილია ჭავჭავაძეს გააჩნდათ ღრმა იდეური ერთიანობა. ამის შესახებ წერს პროფ. ლომაშვილი (ლომაშვილი, 2007). ვაჟას საზღვარგარეთ, პეტერბურგში, თანხის უქონლობის გამო სრულად არ ჰქონდა განათლება მიღებული. ცხოვრობდა, როგორც მთის მკვიდრი

და მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ბუნებას და მთაში ცხოვრებას ეხება. თუმცა, ის რის გამოც იგი გახდა ჩვენი კვლევის ობიექტი, არის სწორედ მისი ლიბერალური შეხედულებები. კერძოდ, მის შემოქედებით და პუბლიცისტურ ნაშრომებში მკაფიოდაა განსაზღვრული ევროპული იდეის მთავარი ღერძი, რასაც ჰქვია ადამიანი და მისი თავისუფლება. ამაში იგულისხმება, ადამიანის ინდივიდუალიზმი და მისი თავისუფლება. ამიტომ იგი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიბერალური ფრთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელად ითვლება. ქვემოთ განვიხილავთ სწორედ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს და განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ მის მოსაზრებებზე თავისუფლების შესახებ.

დასაწყისში უნდა ითქვას, რომ მის პიროვნებაზე და მსოფლმხედველობაზე განსხვავებული წარმოდგენები არსებობდა თავად მის ცხოვრებაში, საბჭოთა კავშირის ოკუპაციის პირობებში და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა მასზე 24 წლით უფროსმა, უკვე შემდგარმა საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა და გზა გაუხსნა, როგორც მომავალი თაობის საუკეთესო წარმომადგენელს. ილიას თქმით, შოთა რუსთაველის შემდეგ ვაჟასნაირი პოეტი საქართველოს არ ჰყოლია. აქ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ წერის სტილი იგულისხმებოდა, არამედ ის იდეალები და მისწრაფებები, რაც ღირებულებას სძენდა თითოელ პოემას, ლექს თუ მოთხრობას (ლომაშვილი, 2007). თუმცა, თავდაპირველად იგივე აზრს არ იზიარებდა ილიას იდეური თანამებრძოლი, თერგდალეულთა ერთ ერთი ლიდერი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი. ვაჟასეული წერის სტილი, რომელიც ხასიათდება რეგიონული აქცენტით და ნაშრომს ერთგვარ არქაულ სახეს აძლევს, აკაკისთვის მიუღებელი იყო. მან წერის სტილი დაუწუნა ვაჟას და ტექსტებს განზრახ დამახინჯებული უწოდა (ევგენიძე, მინაშვილი, ჭუმბურიძე, 2002).

საბჭოთა პერიოდში, ვაჟა-ფშაველაზე იმ დროის მკვლევარები ცენზურის პირობებში წერდნენ, რომ იგი იყო ბუნების ქომაგი, ბუნების მცოდნე და ათეისტი (ქუთელია, 1947). იმ დროის მკვლევართა აზრით ვაჟას ყველა მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები ათეისტურ-მატერიალისტურადაა მიჩნეული (ლომაშვილი, 1986). მაგალითად, პროფ. ქუთელიას თქმით, ვაჟას მიერ აღწერილ ბუნებაში ღმერთის ადგილი საერთოდ არ არის, არც მასში და არც მის გარეთ. ვაჟას შეხედულებები ყოველგვარ რელიგიურ ხასიათსაა მოკლებული. იგი სრულიად უარყოფს ღმერთს და ბუნებას ობიექტურ მატერიალურ ჭეშმარიტებად აღიქვამს, რომელიც თავისი საკუთარი კანონებით ვითარდება (ქუთელია, 1947). წერილებში „ფშაველები“, „ხალაჯობა

და რიგები", „თიანურ ფელეტონში", „სოფელი ხახმატი", „ფიქრები" და მოთხრობებში „მთაბეჭდილებანი", „პაპას მსოფლიო ფიქრები", „მთიელის უბედურება", „გოჩი" ვაჟა-ფშაველა რელიგიური წარმოდგენების, გრძნობისა და წეს-ჩვეულებების მიზეზებს ცალკეული პიროვნებების ცნობიერებაში ან ზეცაში კი არ ეძებს, არამედ ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაშო ხედავს და მათ უარყოფით სოციალურ ხასიათს აღნიშნავს (ესიტაშვილი, 1985). საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში კი ვხვდებით ვაჟა-ფშაველაზე განსხვავებულ დამოკიდებულებას. ათეისტი და მატერიალისტი ვაჟა-ფშაველა უკვე მიჩნეულია ქრისტიანობის დამცველად და ღრმა რელიგიურ ადამიანად. პროფ. ცერცვაძის აზრით, ადამიანის ვაჟასეული გაგების პრინციპები ახალი აღთქმასთანაა თანხვედრაში. ამიტომ მას ქრისტიანული მსოფლმხედველობის პიროვნებად მიიჩნევს და ზემოთ ჩამოთვლილ მოთხრობებს ისე განიხილავს, როგორც ქრისტიანული მოტივებით გაჯერებულს (ცერცვაძე, 2005).

აღვნიშნავთა, რომ ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი არ არის მისი რელიგიური შეხედულებების და ბუნების მიმართ დამოკიდებულების დადგენა, თუმცა ფაქტია, რომ იგი სტატიების გამოქვეყნებას გაზ. „დროებაში" იწყებს სწორედ ცრურწმენებისა და ზოგიერთი ადათწესების წინააღმდეგ, რომლის დაძლევის ერთადერთ საშუალებად განათლება მიაჩნია. იგი გამოდის მქადაგებლების და მკითხავების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანთა სულის ხსნისა და ღმერთის წყალობის მოსაპოვებლად ხალხს ფულს სძალავდა (ლომაშვილი, 2008). ფაქტი ისაა, რომ ვაჟას ნაშრომების კვლევისას, გვიჩნდება აზრი, რომ ის, ისევე როგორც ილია, აზროვნებდა თანამედროვე - XXI საუკუნის ლიბერალური სტანდარტებით. შესაბამისად, რადგან ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ ევროპული იდეა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვაჟას ის იდეები, რომელიც სწორედ ევროპული იდეის, კერძოდ კი ლიბერალიზმის ხაზის გამსმელია, მაგალითებად სწორედ იმ მონაკვეთებს მოვიტანთ, სადაც ვაჟასთვის ლაიტმოტივი იყო **ადამიანი** და მისი **ინდივიდუალობა**. მისი საუკეთესო ნაწარმოებები, სწორედ ადამიანის, როგორც ყველაზე დიდი ღირებულებისადმი არის მიძღვნილი. მაგალითად, ვაჟას მკვლევარი პროფ. ლალი ცერცვაძე წერს, რომ როდესაც ვაჟა სვამს კითხვას, „რამ შემქმნა ადამიანად... რატომ არ მოვედ წვიმადა" სწორედ ადამიანია, სხვა ბუნების ქმნილებისგან განსხვავევით, ვისაც შეუძლია არჩევანი გააკეთოს კეთილსა და ბოროტს შორის. ეს არჩევანი არ აქვს ბუნებას, იგი თავისი კანონზომიერებით მოქმედებს. ადამიანი, მართალია ბუნების ქმნილებაა, მაგრამ იგი თავისუფალია და თავის ცხოვრებას თვითონ ანიჭებს აზრს. სწორედ მისი თავისუფალი ნებაა ადამიანად ყოფნის

აუცილებელი პირობა და სწორედ მას აქვს უფლება გააკეთოს არჩევანი (ცერცვაძე, 2005).

ადამიანის ინდივიდუალიზმი ხაზგასმულია ვაჟა-ფშაველას ეპიკურ პოემებში „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“. ორივე შემთხვევაში მთავარი გმირი, რომელიც საზოგადოების აქტიური წევრია, მიდის არსებული რელიგიურ-საზოგადოებრივი ტრადიციების, დოგმებისა და სტერეოტიპებისა წინააღმდეგ. და ეს მხოლოდ იმ მოტივით, რომ დაიცვას მტრის ადამიანური პატივი და ღირსება. ამ აქტს კი საზოგადოების სხვა წევრები წინააღმდეგობით ხვდებიან და გმირი გარიყული რჩება მათგან. მაგალითად, ალუდა ქეთელაური შემწყნარებლობას იჩენს განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმომადგენლის მიმართ, რადგან მასში ხედავს პიროვნულ ღირსებას, რომელსაც რჯულზე და ეროვნებაზე მაღლა აყენებს (ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური, 2010). ანალოგიური მოტივია „სტუმარ-მასპინძელშიც“ იმ განსხვავებით, რომ მთავარი გმირი ეთნიკურად ქართველი არაა, არც ქრისტიანია, მაგრამ ის და მისი მეუღლე მოსისხლე ქართველი მტრის ადამიანური ღირსების დაცვას ცდილობენ, რის გამოც საკუთარი თემიდან დევნის ობიექტები ხდებიან (ვაჟა-ფშაველა, სტუმარ-მასპინძელი, 2014).

საინტერესოა ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტატია „რა არის თავისუფლება?“ იგი სწორედ საფრანგეთის რევოლუციის სამ უმთავრეს პრინციპს ეხმაურება. ძმობა, ერთობა, თავისუფლება, რომელიც იმ პერიოდში გახდა საქართველოსთვის ყველაზე ახლო და მისაღები. ეს იყო პროტესტი იმპერიალიზმის, მონარქიისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთთან ერთად ადგილი ჰქონდა საქართველოში 1904-1905 წლებში. ვაჟა-ფშაველა ამ სამი ლოზუნგიდან „თავისუფლებას“ გამოყოფს. მიაჩნია, რომ თუ არ იარსებებს თავისუფლება, შეუძლებელია ცალკე მდგომად იარსებოს ძმობამ და ერთობამ. მას მიაჩნია, რომ ისინი მხოლოდ თავისუფლების განმტოებებია და მხოლოდ თავისუფლების პირობებში იარსებებენ. „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“. ფაქტია, რომ ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ საუკუნის წინ აყენებდა იმ პირობას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოში უნდა არსებობდეს თითოეული ადამიანისათვის პირობები იყოს თავისუფალი. მაგრამ ეს თავისუფლება არ შეიძლება იქნას გაგებული პასუხისმგებლობის გარეშე. ერთი ადამიანის თავისუფლება არ

შეიძლება გაგებულ იქნას ისე, რომ სხვას შეუზრუდოს თავისუფლება. „თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას... თუ ეს პირობა არ იქნება დაცული, მაშინ ეს მოქმედება იქნება ავაზაკური (დამნაშავე), ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის" (ვაჟა-ფშაველა, რა არის თავისუფლება? 1964).

ვაჟა-ფშაველა ამავე სტატიაში საუბრობს **ერის თავისუფლებაზე**. იგი მას განმარტავს, როგორც ბედნიერებას, რომელიც ხალხს დამპყრობლებმა წაართვეს. „მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა, მინდა ჩემი საკუთარი ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან... იქ ვინაა თავისუფალი, საცა ჩემ დედა ენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?!... უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა... იტყვის კი ოდესმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლეო" ე.ი. თავისუფლება?!... მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისთვის და გამარჯვებაც უსათუოა". მას მიაჩნია, რომ ის ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, თავად ვერ გახდება თავისუფალი. შეუძლებელია იმპერიამ, რომელიც სხვა ერების კოლონიზატორია, საკუთარ მოსახლეობას მისცეს თავისუფლება. „მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებას მტარვალნი ათასნაირ ჯაჭვ-ბორკილს სდებენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კეტებს და სახრჩობელის ბოძებს დგამენ... თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ვნებს, ვინც თავისუფლებას პარავს, ართმევს ხალხს და სურს იმით მარტო თავად ისარგებლოს". ამიტომ შეუძლებელია იმ ერმა, რომელიც სხვას ართმევს თავისუფლებას, თავად შეიქმნას და თავად იყოს თავისუფალი. ისიც იძულებულია მტარვალის ხელით იცხოვროს, რათა არ გაეშვას სხვა ერების თავისუფლება და სხვისი დაპყრობის სურვილით, თავად ხდება დაპყობილი და დამონებული. „დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან" (ვაჟა-ფშაველა, რა არის თავისუფლება? 1964).

ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ ერთადერთი რამაც შეიძლება სიცოცხლე მოუსწრაფოს ერს არის სწორედ თავისუფლების დაკარგვა. იგი ეწინააღმდეგება ერის დაბერების თეორიას, რომლის მიხედვითაც ერი, როგორც ადამიანი იბადება, ახაგაზრდავდება, ხანში შედის და კვდება. იგი უმვებს ერის დაბერებას ან მოკვდინებას, მაგრამ არა ადამიანის ბუნების მსგავსად. მისი აზრით, ადამიანის ბოლო მაინც სიბერე და სიკვდილია, ხოლო ერი, რომელიც მუდამ ახალი თაობებით ივსება შეიძლება არ დაბერდეს. მისი სიბერე და შემდგომი სი-

კვდილი გამოწვეული იქნება მხოლოდ თავისუფლების წართმევით და მონობაში ყოფნით. „ისეთი პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა. ეს შეიძლება ერის სიჭაბუკის დროსაც მოხდეს... მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე (ვაჟა-ფშაველა, ფიქრები, 1964).

როგორც არვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველას **თავისუფლება** და **ბედნიერება** სინონიმებად მიაჩნდა. იგი თვლიდა, რომ ყველა ადამიანს, ისევე როგორც ყველა ერს აქვს ბედნიერების ანუ თავისუფლების უფლება. იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი კლასობრივი თუ წოდებრივი უპირატესობების და განსხვავებას მხოლოს სამართლიანობასა და ადამიანის შესაძლებლობებში უშვებდა. იგი ბავშვის მაგალითზე აღწერს თავისუფალი ადამიანის ბუნებას. როდესაც ბავშვი თავისუფლად დარბის და ერთობა, მას მშობლები უშლიან, ფრთებს უკვეცავენ, ხოლო როდესაც იზრდება სახლს გარეთაც უამრავი შემზღუდველი გამოუჩდება და უკრძალავს თავისუფალ ფიქრს და მოქმედებას (ვაჟა-ფშაველა, რას ჰქვია თავისუფლება? 1964). ისევ წინა სტატიას თუ დავუბრუნდებით, ვაჟას მიაჩნია, რომ „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანა მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობები, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი...“ სადაც წოდებრივი განსხვავებები იქნება, იქ თავისუფლება ვერ იქნება. სადაც წოდებისა და გვარიშვილობის განურჩევლად, არ ეძლევა ადამიანს პატიოსანი შრომით მოიპოვოს შემოსავალი, იქ არ იქნება თავისუფლება. თუმცა მისი თქმით, მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია ერის თავისუფლების შენარჩუნებისა. საჭიროა მას თან ახლდეს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა (ვაჟა-ფშაველა, რა არის თავისუფლება? 1964).

საინტერესოა, რომ ვაჟა-ფშაველა, რომელიც ერის თავისუფლებას ქადაგებდა, ზოგიერთ თანამედროვეს ნაციონალისტად მიაჩნდა. თუმცა რატომღაც არ ახსენებდნენ ვაჟას დამოკიდებულებას ინდივიდუალურ თავისუფლებაზე. ამიტომ ვაჟა ამ საკითხსაც ზუსტად განმარტავდა, რითაც ჩანს, რომ იგი სწორედ ლიბერალური ფრთის წარმომადგენელი იყო. იგი, ისევე როგორც ილია, ერების თანასწორუფლებიანობას ემხრობოდა და არა მხოლოდ ნაციონალიზმს. ამიტომ მისი მსოფლმეხდველობა ჩამოაყალიბა პუბლიცისტურ სტატიაში **„კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი“**. იგი წერდა, „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახუ-

რება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...“ (ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი, 1990). სტატიიდან ნათლად ირკვევა მისი შეხედულება იმის თაობაზე, რომ თუ ადამიანს არ უყვარს თავისი დედა, თავისი სამშობლო და თავისი თანამოძმეები, ის ვერ შეიყვარებს სხვას. ვისაც თავისი უყვარს მას სხვის პატივისცემის და შეყვარების უნარიც აქვს. მიაჩნია, რომ ყველა შემოქმედი თუ მეცნიერი თავდაპირველად კონკრეტულად ერთ ქვეყანაში ქმნის და მოღვაწეობს, მაგრამ შემდეგ მისით მთელი კაცობრიობა სარგებლობს. ვაჟას სიტყვებით, ედისონი, შექსპირი, გოეთე, სერვანტესი კონკრეტულად ერთი თავისუფალი ქვეყნის შვილები არიან, მაგრამ მათი ნაზრევით მთელი მსოფლიო ტკბება და მთელი სამყაროს შვილებად არიან ქცეულნი. ამიტომ მკითხველს მოუწოდებს, „ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“ (ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი, 1990). ყოველივე აქედან გამომდინარე ვაჟა წერდა, რომ „ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ (ილიას მიმდევართა) ნაციონალიზმი არასოდეს გადაიზრდება შოვინიზმად და ფანატიზმად“ (ლომაშვილი, 2007).

ვაჟა-ფშაველა დარწმუნებული იყო, რომ „ყოველ ერს ჯერ თავისი თავი ენიაზება, თავისთვის უნდა კეთილი, თავისი საქმეების მოწესრიგება... მხოლოდ ერთ ნაწილს ქართველებისას არ წამს, რომ ეს ასეა... რომლებიც ქადაგებენ სხვა გავაბედნიეროთ და ამით ჩვენც ძლიერნი შევიქმნებითო... გაძლიერებული რუსეთისგან ისინი მოელიან წყალობას... ნუთუ, ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დამონებულ მცირე ერებისა შეუმცირდება გაძლიერებულ რუსეთს?“ (ვაჟა-ფშაველა, 1964). მაგრამ კიდევ უფრო რომ განვავრცოთ მისი შეხედულებები ერთა თანასწორობაზე, ვნახავთ, რომ მას არა მხოლოდ ზოგადად წარმოედგინა ერთა მეგობრობა, არამედ კონკრეტულ პროექტებსაც ხედავდა. ფაქტიურად იგი იზიარებდა კა-

ნტის წინასწარმეტყველებას მომავალი მსოფლიო წესრიგის შესახებ. იგი წერდა, რომ მსოფლიოს ერებმა უნდა განვლონ თავისუფლებისა და განვითარების გზა და „უკეთუ ეს დიდმა გეოლოგიურმა ან პოლიტიკურმა ცვლილებამ არ შეაფერხა მიგვიყვანს საერთო, მსოფლიო ფედერაციამდე" (ვაჟა-ფშაველა, 1964). ყოველივე ეს გულისხმობს ერ-სახელმწიფოთა ისეთ თანამეგობრობას, სადაც ადამიანები მსგავსი ღირებულებებით იცხოვრებენ, პატივს სცემენ პიროვნებისა და ერის თავისუფლებას და ხელისუფლებას თავად მართავენ, როგორც ეს უნდა იყოს რესპუბლიკურ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში. იმ დროის საქართველო კი ორივეს მოკლებული იყო, რომლის მიზეზადაც ვაჟა-ფშაველას წართმეული თავისუფლება და გაუნათლებლობა მიაჩნდა. იგი წერდა, რომ დემოკრატიის სიმწირე და ხალხის სახელმწიფოს მართვაში ჩაურთველობა საზოგადოების ფართო ფენების გაუნათლებლობის ბრალია. მისი აზრით, სამწუხაროდ, საზოგადოების მხოლოდ მცირე ჯგუფების ხელში იყო განათლება და სხვა რესურები, რითაც მართავდნენ დანარჩენ ადამიანებს. ამიტომ ვაჟას თქმით, სანამ არ მოხდებოდა საზოგადოების მასობრივი განათლება, მანამ არ მოხერდებოდა საზოგადოების სრული ჩართულობა სახელმსიფო საქმეებში (ვაჟა-ფშაველა, 1979).

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ასე იბრძოდა თავისუფლებისთვის, მას ამის მოპოვება მხოლოდ მშვიდობიანი გზით წარმოედგინა. ამიტომ საინტერესოა ვაჟას პაციფისტური დამოკიდებულებაც. ცნობილია, რომ იგი მთაში გაზრდილი კაცი იყო და ხშირად შემთხვევია ყოფითი კონფლიქტები, მაგრამ ფაქტია, იგი ძალადობის წინააღმდეგ ქადაგებდა. მაგალითად, ჯერ კიდევ გორში სწავლისას, იგი რევოლუციურ მოძრაობას „ხალხოსნებს" დაუკავშირდა, მაგრამ მალევე დაანება თავი. მრავალი მკვლევარის აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტერორზე და ძალადობაზე უარის თქმა იყო, თუმცა, როგორც თვითონ განმარტავდა პარტიის მხრიდან ეროვნულოლობის უარყოფა გახდა ამის მთავარი მიზეზი (ლომაშვილი, 1986). ისიც საინტერესოა, რომ სიკვდილიტ დასჯის შესახებ იგი ილიას იდეის მომხრე დარჩა ბოლომდე, იმ დღის შემდეგაც, როდესაც ილია მოკლეს. ვაჟა-ფშაველა წერდა, რომ სწორედ ილია იყო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი, ამიტომ იგი თავად გახდებოდა საკუთარი მკვლელების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი. შესაბამისად, ვაჟა ილიას მკვლელების იდეურ მომხრეებზე ფიზიკური შურისძიების წინააღმდეგ გამოვიდა. იგი მოუწოდებდა საკუთარ მომხრეებს არ დამსგავსებოდნენ ილიას მკვლელების იდეურ მომხრეებს და საქართველო კიდევ ერთხელ არ ექციათ დაპირისპირების არეალად (ვაჟა-ფშაველა, 1964).

მას შემდეგ, რაც განვიხილითე თუ რა სახით იყო წარმოდგენილი ევროპული იდეა ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობაში, საინტერე-

სოა გავეცნოთ მის წარმოდგენას მოდერნიზაციაზეც. ილიას მსგავსად, ვაჟა-ფშაველაც საზოგადოების მოდერნიზაციისთვის გამოსავალს განათლების აუცილებლობაზე ხედავდა. იგი ერთი პერიოდი მასწავლებელიც იყო. მისი აზრით ყოველი მეცნიერება, ეს იქნება ისტორია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ქიმია, ასტრონომია და სხვა ემსახურება საზოგადოების პროგრესს და უკეთესი ცხოვრების შექმნას. თითოელი მათგანი წარსული შეცდომების ანალიზით მიიწევს წინ და ვითარდება. მას მიაჩნდა, რომ ყოველ პროგრესულ იდეას ნიადაგი სჭირდება და საზოგადების ინფორმირებული მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების გაუნათლებელი ნაწილი არ დაუშვებს პროგრესს და მოდერნიზაციას. მისი სიტყვებით, თუ გარკვეულ „საზოგადოების წევრს სურს წინ წასვლა, წინ წაწევა საზოგადოებისა, იძლევა ამისათვის დარიგებას, საშუალებას, მაგრამ მეორე, ბრიყვი, შეუგნებელი ნაწილი ეχაχგურება კალთაზე და არ უშვებს... სიბრიყვეს არ ესმის, რომ ის, რაც გუშინ იყო კარგი, შეიძლება დღეს აღარ გამოდგეს; არ ესმის, რომ ცხოვრების გაახლებისთვის უმთავრესად საჭიროა ძირფესვიანად ამოვარდეს ის, რაც დაძველებულია, დამპალა, რათა ახალმა ნერგმა და თესლმა იხაროს თავისუფლად... მეცნიერებას კარგად ესმის, რა შვილიცა ბრძანდება სიბრიყვე და იმიტომ ცდილობს კიდეც, რო თოთოეული წევრი საზოგადოებისა, თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც, განათლდეს, რომ მოკვდეს გაქარწყლდეს სიბრიყვე და მისი თანმხლები სიχიუტე, რომელიც უშლის, წინ ეღობება ცხოვრების წინსვლას, გაუმχობესებას" (ვაჟა-ფშაველა, 1979). ამას ამბობდა მე-19 საუკუნის მთაში მცოვრები ვაჟა და ასე ხედავდა მოდერნიზაციის და განვითარების გზას (ლომაშვილი, 1986). ვაჟას კაცობრიობის გონებრივი პროგრესის ინსტრუმენტად ისევ განათლება და ცოდნის გავრცელება მიაჩნდა. მისი აზრით, „დღეს კაცი თავის აზრს, ცოდნას ფიქრებს სწერს, თუნდა მოკვდეს, მისი აზრი არ დაიკარგება... ბეჭდვის წყალობით კაცის სიტყვა ერთის ქვეყნის კუთხიდან მეორე კუთხეში მოექცევა" (ვაჟა-ფშაველა, 1964). ღირებულება რომელიც პროგრესისთვის აუცილებელია არის თავისუფლება, მხოლოდ მონობაში მყოფ ადამიანს ცალკე აღებულს და მონობაში მყოფ ერს შეუძლია უარი თქვას პროგრესზე და განვითარებაზე (ვაჟა-ფშაველა, 1979).

აკაკი წერეთელი

შემდეგი, ვისაც განვიხილავთ, როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის იდეოლოგად არის კიდევ ერთი ლიბერალური ფრთის წარმომადგენელი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი (1840-1915). ქვემოთ მიმოვიხილავთ მის სამოღვაწეო ასპარეზს, მსოფლმხედველობას, ლიბერალურ შეხედულებებს და დამოკიდებულებას ქალთა უფლებებზე.

უნდა ითქვას, რომ აკაკი იმ დროის ყველაზე აღიარებულ და პოპულარულ პოეტად ითვლებოდა. თუ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გააზრება დროთა განმავლობაში მოხდა, აკაკის საყოველთაო პოპულარობა სიცოცხლეშივე მოხდა. მისი ლექსები და პოემები გამოირჩევა აზროვნების სისხარტით, მუსიკალური რითმით, მოთხრობები წერის მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებით, ხოლო პუბლიცისტიკა შემეცნებითი და ესთეტიკური ფორმით. სწორედ ეს პუბლიცისტიკა უწყობდა ხელს ქართული პროგრესულ-დემოკრატიული აზრის ჩამოყალიბებას თავისი პოლემიკური სიღრმით, პრობლემურობით, აქტუალობითა და ქმედითობით. განსაკუთრებით პოპულარი იყო მისი სატირულ-ალეგორიული სტილი (მონიავა, 2000). მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან მოხუცი აკაკის სახელი საზღვრებს გასცდა და მას, როგორც ყველაზე პოპულარულ პოეტს ისე იცნობდნენ. მას ქართველ პუშკინს ან ქართველ შევჩენკოს უწოდებდნენ. მის ტექსტს „სულიკო“ სხვადასხვა ქვეყნებში მღეროდნენ. ასევე მისივე სიტყვებით იწყება თანამედროვე საქართველოს ჰიმნი - „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“ (აბზიანიძე, 2015).

აკაკი წერეთელი იბრძოდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეკონომიკის განვითარებისთვის, სამართლიანობისთვის, იყო კლასთა ბრძოლის წინააღმდეგი და ილიას მსგავსად, მიაჩნდა, რომ პირველ ეტაპზე თავისუფლება უნდა მოეპოვებინა სახელმწიფოს. ევროპული იდეები, ზოგადსაკაცობრიო შეხედულებები, ანტიკოლონიალიზმი, ანტიიმპერიალიზმი და თავისუფლების გზა, აკაკის აზრით, სწორედ განათლებაზე და სკოლებზე გადიოდა. იგი წინააღმდეგ გამოდიოდა რუსული განათლების სისტემის და სურდა ისეთი სკოლების შექმნა, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული თავისუფლების იდეებით განსმჭვალავდა მოსწავლეებს, არამედ ადამიანის შინაგანი თავისუფლების და თვითმყოფადობის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. იმ პერიოდის სკოლებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, აკრძალული იყო ქართულ ენაზე სწავლა, რაც განსაკუთრებულ სირთულეებს და წინააღმდეგობებს ქმნიდა მოსახლეობაში. ამიტომ აკაკი სხვა თერგდალეულების მსგავსად აქტიურად იყო

ჩართული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში, რომელსაც მთელი თავისი ქონება დაუტოვა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს (მაგ: სამასწავლებლო სემინარია, სათავადაზნაურო სკოლა პანსიონი) აკაკის მოწადინებით ხსნიდნენ სხვადასხვა ქალაქებში და არა მხოლოდ საგუბერნიო ცენტრებში. ეს ხელს უწყობდა განათლების სისტემის დეცენტრალიზაციას და მოსახლეობის ფართო ფენების განათლების მიღებაში ჩართვას (ვარდიაშვილი, 1993).

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიაში დაიწყო **ადგილობრივი ენების** შევიწროება, რაც გულისხმობდა მათ სასწავლებლებში აკრძალვას, ადმინისტრაციული საქმიანობის მთლიანად რუსულ ენაზე გადასვლას და ადგილობრივი ენების მხოლოდ საოჯახო ფუნქციით დატოვებას. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, წერდა ილია ჭავჭავაძე. ყოველივე ამას წინ აღუდგნენ თერგდალეულები, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო აკაკი წერეთელი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებებში და პუბლიცისტურ წერილებში იცავდა ქართულ ენას. იგი მოითხოვდა დაწყებითი განათლება მაინც მიეღოთ ქართველებს ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ საფეხურზე გიმნაზიაში და უნივერსიტეტში რუსულ ენაზე (ვარდიაშვილი, 1993). მისი აზრით, მთავარი იყო საწყისი, რადგან თუ ბავშვი პირველ ცნებებს, წაროდგენებს მშობლიურ ენაზე შეითვისებს, „საჭიროა მოსწავლემ თვალი გაახილოს და გულისყური გაიხსნას, იმ ხელსაწყოს წყალობით, რომელიც უფრო ეადვილება, ე.ი. იწყოს სწავლა იმ ენაზე, რომელზედაც იმას პირველად ხმა ამოუღია და შეუთვისებია“ (წერეთელი, პუბლიკაციები, 1960).

აკაკი წერეთლის ერთ-ერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი იმდენად იყო აღიარებული, როგორც პოეტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი, რომ საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას იჩენდა მისდამი, როგორც მოაზროვნისადმი, პოლიტიკოსისა და ფილოსოფოსისადმი. მისი პოემებიდან გამოირჩევა „ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“ და სხვ. ხოლო პროზადან „ბაში აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“. აღსანიშნავია, რომ იგი ქართულ თეატრსაც ხელმძღვანელობდა, სადაც იდგმებოდა სპექტაკლები მისი პიესების მიხედვით, მაგალითად „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“, „მედეა“ და სხვ. მის ნამუშევრებს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საკაცობრიო მნიშვნელობაც აქვს. მისი დემოკრატიზმი განუყოფელია ჰუმანიზმისაგან, პატრიოტიზმი ინტერნაციონალიზმისაგან და საქართველოს და ქართველი ხალხის თავისუფლება აკაკი წერეთლისათვის მთელი კაცობრიობის განთავისუფლების ნაწილს წარმოადგენდა. პატრიოტული, დემოკრატიული, ჰუმანისტური იდეებით იგი მოუწოდებდა მოსახლე-

ობას ნოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ და თავისუფალი საზოგადოების აშენებისაკენ (გაფრინდაშვილი, 1988).

რა თქმა უნდა ისიც, როგორც სხვა თერგდალეულები **ეროვნულ-განმათავისუფლებელი** იდეის მატარებელი იყო და ამ მიზნის მოპოვებას იგი მშვიდობიანი პროცესებით ხედავდა. მიაჩნდა, რომ მხოლოდ თავისუფლების იდეაზე დამყარებული მოძრაობა ვერას გახდებოდა თუ ეკონომიკური თავისუფლებაც არ ექნებოდათ. იგი წერდა, „ჩვენ რომ ისტორიას მივმართავთ ხოლმე გადასულ გმირების გამოსაჩხრეკად, ამას განა მიტომ ჩავდივართ, რომ ის ძველი დრო გვენატრებოდეს, გვინდოდეს მისი დაბრუნება. ამით მამულისათვის ქვაკუთხედად ვაძლევთ დღევანდელ მაჩანჩალებს, რომ ამათაც იმ ძველებისგან ისწავლონ, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელ დროსა და ცხოვრების მოთხოვნილებას აძლევდნენ იმ ძველ დროს... (წერეთელი, პუბლიკაციები, 1961). ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, წელში გამაგრდეს, გონებრივად და ქონებდრივად მოღონიერდეს და თვითონ გახდეს თავის ბატონ-პატრონი“ (ჯანელიძე, 2015). აკაკის ბრძოლის მშვიდობიანი ფორმის იდეის გამომხატველია ერთ-ერთი ლექსი, სადაც იგი წერს სამშობლოსათვის გულანთებულ შვილზე, რომელიც დედას მიმართავს „მომეც ფარ-ხმალი, რომ ავისრულო ვალიო!“ დედა კი პასუხობს „აღრეა შვილო ჯერ კიდევ, წიგნია შენი ხმალიო!“ (ჯანელიძე, 2015). ამასთან, აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დაპყრობილი ერების კულტურულ მეგობრობას და ინტერნაციონალურ პროექტებს. იგი მეგობრობდა უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და ერების ურთიერთპატივისცემას და საერთო მტრის წინააღმდეგ მხარდაჭერას ქადაგებდა (მეტრეველი, 1980).

აკაკი წერეთლის კიდევ ერთი მკვლევარი პროფ. მეტრეველი მიიჩნევს, რომ აკაკისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა და **სოციალური თავისუფლების** იდეა ერთმანეთისგან განუკვეთელი იყო. მისი პოლიტიკურ-სოციალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია მისმა აღზრდამ გლეხების გარემოცვაში, ასევე სწავლამ გიმნაზიაში, სადაც რუსული ცენზურისა და მკაცრად შეზღუდული წესების პირობებში იზრდებოდა. საბოლოოდ კი პეტერბურგში სწავლამ მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რა დროსაც იგი გაეცნო დასავლეთ ევროპის პროგრესულ მოღვაწეთა ნააზრევს და დემოკრატიულ იდეებს (მეტრეველი, 1980).

აკაკი აღიარებდა საქართველოში კლასთა დაყოფას, მაგრამ მათ ჰარმონიულ თანამშრომლობას ქადაგებდა და არა მათ დაყოფას და რომელიმე კლასის გაბატონებას. მისი აზრით საქართველოში შესაძლებელი იყო ნოდებრივი დაპირისპირების გადასვლა კლასთა

შორის ჰარმონიულ ურთიერთობებში, რადგან ამას ისტორიული საფძვლებიც ჰქონდა. მისი განმარტებით, საქართველოში ორი ძირითადი კლასი იყო ყოველთვის. ერთნი, რომლებიც ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოებაზე იყვნენ პასუხისმგებლები ანუ თავადები და მეორენი, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველყოფდნენ ანუ გლეხები. მათ შორის მჭიდრო ნათესაური და ნათელმირონული ურთოერთობები არსებობდა. შეუძლებელი იყო გლეხი დაეჩაგრა ვინმე უცხოს, თუნდაც სხვა თავადს, რადგან მათ უსაფრთხოებაზე კონკრეტული სათავადო გვარი იყო პასუხისმგებელი. ამასთან თავადობა და მათთვის მიწების ფლობა არ იყო მუდმივი. იგი შეიძლებოდა ჩამორთმეოდა იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის ღალატში დაედებოდა ბრალი და გადაეცემოდა სხვას, ვინც ამას თავისი მოღვაწეობით იმსახურებდა. ხშირი იყო გლეხების დაწინაურება და თავადის ტიტულის მოპოვებაც. შესაბამისად, პიროვნულ ღირსებაზე დამოკიდებული წარმატება ქართული ტრადიციის ნაწილი იყო და აბსოლუტურად თავსდებოდა დემოკრატიულ პრინციპებში, იმ ლიბერალურ სტანდარტებში, რომლისთვისაც ადამიანის წარმატება მის შრომაზე და ღირსებებზეა დამოკიდებული. აკაკის თქმით, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთმა შეიერთა, თავადობამ თავისი ისტორიული ფუნქცია დაკარგა და ზედმეტ ბარგად დააწვა ქვეყანას. აქედან გამომდინარე, თავად თავადი აკაკი წერეთელი მოწინავე იყო გლეხების უფლებების ბრძოლაში და მათ გათავისუფლებაში გარკვეული წვლილიც მიუძღვის (მეტრეველი, 1980).

აკაკი წერეთლის შემოქმედებიდან აღსანიშნავი და გამოსაყოფია მისი დამოკიდებულება **ქალთა უფლებებისა** და ქალთა ადგილისადმი საზოგადოებაში. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის საქმეში. მისი აზრით, საზოგადოებაში, სადაც ქალები უფლებრივად და ფაქტიურად სათანადო სიმაღლეზე დგანან, იქ აუცილებლად წარმატება და პროგრესია (მეტრეველი, 1980). მისი თქმით, არ შეიძლება საზოგადოების წარმატებაზე ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც ქალები დაჩაგრულნი არიან: „მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ გამოფრენილა. არ მწამს საზოგადოების გამოღვიძება მაშინ, როდესაც ქალებს სძინავთ“ (წერეთელი, ტ.11, 2010). ქართველი ქალების ემანსიპაციის საკითხებზე აკაკიმ გამოაქვეყნა შემდეგი ლექსები: „ნინო“, „კნეინა ლათაია“, „ალლავერდი“, „ალბომში“, „გადარჯულებული“, „თანამედროვე ქალი“ (მეტრეველი, 1980). ამ ლექსებით აკაკი ხედავდა ქალს ოჯახის ბურჯად და სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საღი, აზრიან ფიგურად. „თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი

უდგა და, თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება და ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, რადგამ ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, ე.ი. მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი. ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს" (წერეთელი, ტ.14, 2010). ქალის როლის ასამაღლებლად და უფლებრივი მდგომარეობის ასამაღლებლად, აკაკის ისტორიული მაგალითებიც მოჰყავს და აცხადებს, რომ ქართველი ქალები არა მარტო შვილების აღზდით იყვნენ დაკავებულნი, არამედ აქტიურად იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ საქმიანობაშიც. ასევე, განსაკუთრებული როლი ჰქონდათ სახელმწიფო მართვის სადავეებთან მყოფ ქალებს. მაგალითად, წმ. ნინო, რომელმაც საქართველოში ქრისტიანობა შემოიტანა დედოფალი ნანას დახმარებით და ქრისტიანობა მათი წყალობით სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. აღსანიშნავია თამარ მეფე, რომელიც საქართველოს ზეობის ხანაში მეფობდა, ასევე ქეთევან დედოფალი, რომელმაც საქართველოს თავისუფლებას თავი შესწირა და დამპყრობლებისგან სასტიკად იქნა ნაწამები (მეტრეველი, 1980).

საინტერესოა აკაკის შეხედულებები მოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანთან" მიმართებაში. იგი წერდა, რომ აფორიზმი, სადაც წერია „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია", სწორედ ქალისა და კაცის თანაბარუფლებიანობას ქადაგებს. მას მიაჩნდა, რომ ქართველ ქალებს რუსთაველამდეც დიდ პატივს სცემდნენ, რაც აისახა კიდეც პოემაში. იგი წერდა, რომ „ქალთა უფლებები არასოდეს ყოფილა შეზღუდული საქართველოში და ქართველი ქალები განსხვავდებოდნენ სხვა ერების ქალებისაგან... მაგალითად, მერვე საუკუნიდან არაბებს შემოჰქონდათ საქართველოში სწავლა მეცნიერება, რაც მაჰმადიან ქალებს ყურანის ძალით აკრძალული ჰქონდათ. ქართველი ქალები კი როგორც ქრისტიანები, ხელშეუხებლად ეწაფებოდნენ იმ სწავლა-მეცნიერებას. ყოველივე ამან განავითარა, აამაღლა ქართველი ქალი და აიყვანა მამაკაცის სისწორემდე (წერეთელი, ტ.14, 2010). შესაბამისად, ფეოდალურ საქართველოში კაცის და ქალის თანასწორობის იდეა ქვეყნის სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა და ტოლი ფუნქციების დაკისრებამ მათი თანასწორობის იდეა წარმოშვა. გარდა ისტორიული პასაჟებისა, აკაკი ცდილობს ქალისა და კაცის თანასწორობის იდეა ეტიმოლოგიითაც გაამყაროს. მაგალთად, VIII საუკუნემდე ანუ არაბების შემოსვლამდე საქართველოში ქალს „დედა-კაცი" ერქვა, ხოლო კაცს, „მამა-კაცი", რაც მათ თანასწორობაზე მეტყველებს. მისი თქმით სიტყვა „ქალი" მხოლოდ VIII საუკუნიდან არაბული ენიდან შემოვიდა. ასევე საინტერესოა სიტყვა „ცოლი", რაც მოდის სიტყვიდან „ცალი" ანუ ერთი მთლიანობის ერთი ნახევარი. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვაზე „მე-

უღლე", რაც ერთი უღლის თანაბრად გამწევს აღნიშნავს, ე.ი. ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის გამომხატველი იყო. სწორედ ამიტომ, აკაკი წერეთელი წინააღმდეგი იყო ოჯახში მამაკაცის გაბატონების და მით უფრო ქმრის მიერ ცოლის ფიზიკური დასჯის. მის პოემაში „ნათელა" იგი ხაზგასმით წერს, რომ ქალი კაცის მონა არ არის და საქართველოში ისტორიულად ცოლი და ქმარი თანასწორუფლებიანები იყვნენ. ასავე საინტერესოა, რომ აკაკი ქორწინების საფუძვლად მხოლოდ სიყვარული უნდა ედოს და არა ანგარება, იძულება ან მშობლების მითითება. მისი თქმით, საქართველოში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლამდე არ შეიძლებოდა ქორწინება მექორწინეთა თანხმობის გარეშე. ასევე იგი აკრიტიკებს ქორწინების შეზღუდვას სხვადასხვა წოდების საფუძვლით, რაც იმ დროის საქართველოში გავრცელებულ რეალობას წარმოადგენდა (მეტრეველი, 1980).

როგორც ვხედავთ, აკაკის მოსაზრებები ქალისა და კაცის თანასწორობაზე მეცნიერულ მიდგომას არაა მოკლებული, საკმაოდ პროგრესულია და დიდი პოლიტიკური იდეის დატვირთვის მქონეა. მით უფრო, რომ გასათვალისწინებელია რა ეპოქაზეა საუბარი და ფაქტია, რომ ამ ადამიანის შეხედულებები სრულად თანხვედრაშია იმ ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის პრინციპებთან, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ალექსანდრე ყაზბეგი

ჩვენი კვლევის შემდეგი ობიექტი არის მწერალი, პროზაიკოსი, დრამატურგი და პუბლიცისტი ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1898), რომელიც ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთლის გვერდით წარმოადგენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიბერალურ ფრთას. ვაჟას მსგავსად ისიც მთაში დაბადებული და გაზრდილი იყო, რასაც ასე ახასიათებს: „მე ვარ აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველითგანვე სამარცხვინო ყოფილა ხალხში. სადაც სიტყვა „ბატონ-ყმობას" ადგილი არასოდეს არ ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა და პირადი ღირსებით შესძლებია" (მინაშვილი, ქაფიაშვილი, 2004). როგორც ვხედავთ, მისი მშობლიური კუთხე საუკუნეების განმავლობაში თავისუფალ მხარეს წარმოადგენდა და კლასობრივი უთანასწორობის საკითხი არათუ მისაღები, არამედ რუსეთის იმპერიის პირობებში სიახლე და მიუღებელი აღმოჩნდა მისი მსოფლმხედველობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები საკმაოდ შეძლებულ და გავლენიან ოჯახად ითვლებოდა, შვილს საუკეთესო განათლებაც მისცეს და ფუფუნებაში აცხოვრებდნენ, ალექსანდრე ყაზბეგისთვის ნამდვილი ცხოვრება მაინც მთაში მთიელი ხალხის

უბრალო ცხოვრებაში იყო. ამიტომ მან უარი თქვა ოჯახით მიღებულ ფუფუნებაზე და შვიდი წლის განმავლობაში მთაში უბრალო მეცხვარეებთან ცხოვრება არჩია. იგი წერდა, რომ „მე მინდოდა მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევდა მუშა ხალხს და რაღა დამაყენებდა შინ. მივაღწიე ჩემს მიზანს, დავიახლოვდი, გავიცანი ისინი, ვისი გაცნობაც და დაახლოება ასე გულით მსურდა“ (ყაზბეგი, 1947).

მთაში გატარებულმა ცხოვრების წლებმა ალექსანდრე ყაზბეგი გახადა ისეთი ნაწარმოებების ავტორი, როგორიცაა „ნამწყესარის მოგონებები“, „ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“, „ელისო“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“ და სხვ. როგორც აღვნიშნეთ მის ნაწარმოებებზე გავლენა მოახდინა, როგორც მთაში ცხოვრებამ, ასევე იმ დროის რუსული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურამ. მის შემოქმედებაში ღრმად არის აღწერილი ის უსამართლობა, ძალმომრეობა, არაადამიანური მოპყრობა, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, რასაც იმ დროის ცარიზმის მოხელეები სჩადიოდნენ. ასევე იგი აღწერდა თუ რა მავნებლური ზეგავლენა ჰქონდა ადამიანებზე იმ დროის საზოგადოებრივ მმართველობის ფორმებსა და კანონმდებლობას (მინაშვილი, ქაფიაშვილი, 2004).

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ და პუბლიცისტურ წერილებში ის ძირითადი აზრია გატარებული, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით, **საქართველომ დამოუკიდებლობა** დაკარგა, ხოლო მისმა მხარემ თვითმმართველობა. შესაბამისად, მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, პირველ რიგში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა ჩანს. მისი თქმით, რუსი მოხელე ერთდროულად იყო როგორც ეროვნული, ასევე სოციალური თავისუფლების დამრღვევი. მას სწამდა, რომ მთაში შემორჩენილი ქართული ჩვეულებითი სამართალი, რომელზედაც ჩვენ წინა თავებში გვქონდა საუბარი, მომავლის პოლიტიკური განვითარების ბაზისი იყო. ხოლო რუსული მმართველობის პირობებში შეწყდა საქართველოს ბუნებრივი განვითარება დემოკრატიის მიმავალ გზაზე და ბოლო მოუღო რეგიონულ თვითმმართველობას, პიროვნულ თავისუფლებას და პოლიტიკურ თუ სოციალურ სამართლიანობას (მინაშვილი, ქაფიაშვილი, 2004). მისი თქმით, რუსეთის იმპერია „ვერ მოითმენდა ვერანაირ დამოუკიდებლობას. ამიტომ ხალხის ზნე ჩვეულებების შესწავლას კი არ შეუდგნენ, მოინდომეს ადგილობრივი ხალხის თავისებურებებისა და დამოუკიდებლობის გაცამტვერება. მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ხალხის კანონონს, მის სამართალს, მის ზნესა და ჩვეულებას, ...ხელში ხმლითა და ცეცხლით დაიწყეს გავრცელება ახალი წყობილებისა და ახალი სამართლისა“ (ყაზბეგი, 1985). როგორც ვხე-

დავთ, ალექსანდრე ყაზბეგი არ უფრთხოდა იმ დროის ცარისტულ რეჟიმს და ცენზურას. იგი ღიად, დაუფარავად, ალეგორიების გარეშე ილაშქრებდა თავისუფლების მტრების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ იყო, რომ იმ დროის პოლიციამ „ელგჯას" პირველი გამოცემის მთლიანი ტირაჟი დაწვა (mes.gov.ge, 2010).

ალექსანდრე ყაზბეგის მკვლევარი პროფ. კენკებაშვილი მიიჩნევს, რომ ალექსანდრე მთლიანად იზიარებდა დასავლეთ ევროპისა და ქართველ განმანათლებელთა ერთ-ერთ მთავარ პრინციპს იმის თაობაზე, რომ **ადამიანი თავისუფალი** იბადება და ბედნიერებისკენ ბუნებრივად მიისწრაფვის. ხოლო მას ამ თავისუფლებას და ბედნიერებას ართმევს მხოლოდ უსამართლოდ, არასწორად მოწყობილი საზოგადოებრივი წყობილება (კენკებაშვილი, 1999). ასანიშნავია, რომ ადამიანური ღირსების პატივისცემას ალექსანდრე ყაზბეგი თავად მისი და მისი ქვეყნის მტრების მიმართაც კი იჩენდა. იგი რუსი სამხედრო პირების დიდ ნაწილს სწორედ სახელმწიფოს წყობილების ინტერესების ბრმა შემსრულებლებად მიიჩნევდა, რომელთა ცხოვრებაც სხვანაირათაც შეიძლებოდა წარმართულიყო. იგი მათზე წერდა, „ყველას მოაგონდა თავისი სახლ-კარი, მიწა-წყალი, ცოლ-შვილი და იდესმე მოძულებულს, გაყინულს სამშობლოს ეხლა ნათელი შუქი დასდგომოდა... რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება და რისთვის გადმოხვეწილიყვნენ ამ ადგილებში, თვითონაც არ იცოდნენ. მოდიოდნენ თავდახრილნი და თავიანთი მოქმედებისთვის ანგარიში ვერ მიეცათ" (ყაზბეგი, 1985). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ყაზბეგს არ აქვს შოვინუსტური დამოკიდებულება თუნდაც მისი დამყრობლების მიმართ, არამედ იგი პიროვნულ არჩევანს აფასებს ყველაზე მეტად, რომელიც თავად რუს სამხედროებსაც წართმეული ჰქონდათ. ფაქტია, რომ იგი ერთა თანასწორობასა და მეგობრობას ყველასთან დასაშვებად ხედავდა, რაც იმ შემთხვევაში მოხდებოდა თუ ერები მოიპოვებდნენ პიროვნულ თავისუფლებას, იმპერიალისტური და ავტოკრატიული მმართველობისგან.

ალექსანდრე ყაზბეგი მომხრე იყო ბატონ-ყმობის გაუქმების და ადამიანებისათვის **სოციალური თავისუფლების** მოპოვების. რეფორმის ამ პერიოდში კი ყველაფერი ისე არ ხდებოდა, როგორც გლეხებს და მათ მხარდამჭერებს სურდათ. ამიტომ საგლეხო რეფორმაში აქტიურად ჩაერთვნენ თერგდალეულები. თავად ალექსანდრე საგლეხო რეფორმაში პირადად არ იყო ჩართული, მაგრამ თავისი პუბლიკაციებით ის აქტიურად უწერდა მხარს სხვა საზოგადო მოღვაწეებს. იგი მათზე წერდა: „ეს ხალხი ის ხალხია, რომლებიც მზად არიან თავისი შევიწროებული საცხოვრებლითაც ხელი გაუშვირონ ყველა დაბარბაცებულს და საზოგადოების განწირულ კაცს. ესენი

ამბობენ: შველა უნდა ნაქცეულს, დამცირებულს, გაწმენდა უნდა ტალახში ამოსვრილს... ეს პრინციპები ახალი საზოგადოების უმეტესობას. მისი საქმიანობის საფუძველია „პატიოსნება, სიმართლე, თავისუფლება". ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც უკანასკნელი ლახტი დაჰკრეს იმ საზოგადოებას (კონსერვატორებს), რომლებიც ხალხს ნებას არ აძლევდნენ რიგიანად მამულის მსახურებისა" (ყაზბეგი, 1950).

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს თბილისის ეროვნული **თეატრი**. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დამსახურება ქართული ტეატრის მიმართ. იგი აქ მუშაობდა, როგორც მწერალი-დრამატურგი, უცხოენოვანი პიესების მთარგმნელი, და ასევე მსახიობი. ალექსანდრეს თეატრი საერო საქმედ მიაჩნდა და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა მას. მისი პიესები „არსენა" და „ნამება ქეთევან დედოფლისა" სწორედ ეროვნული სულისკვეთების გამძაფრებას ემსახურებოდა. მისი თქმით, „ამ საქმეს (თეატრს) ისე ვუყურებთ, როგორც ერთს საქვეყნო სამსახურს, რომელიც ეჭიდავება ჩვენს ქვეყანას, თეატრს ისე ვუყურებთ, როგორც საზოგადოების შეხედულებებისა და გონების გასახნელს ერთ საშუალებად". ასევე უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა **სწავლა-განათლებას**, ხალხის კულტურული დონის ამაღლებას, რაზეც დამოკიდებულია დრომოჭმული, ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი „ცუდი ჩვეულებების საძირკვლიანად ამოგდება". მისი თქმით, ყველა შეგნებული ქართველი, ვისაც ძალა და გავლენა გააჩნდა ვალდებული იყო დახმარება გაეწია ხალხისათვის უვიცობისა და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი აცხადებდა რომ იგივე დამოკიდებულება გააჩნდა მთელ მთის მოსახლეობას. მათ სურდათ სწავლა-განათლება, მაგრამ სკოლები კი არ გააჩნდათ (კენკებაშვილი, 1999).

ყოველივე აქედან გამომდინარე ალექსანდრე ყაზბეგი ითვლება სოციალური და ეროვნული თავისუფლების ერთ-ერთ იდეოლოგად. მან მოახერხა და წარმოაჩინა სქართველოს მძიმე მდგომარეობა, ქართველი ხალხის გასაჭირი, მისი საბრძოლო განწყობილება. მან შეძლო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და მშრომელი ხალხის სოციალური გათვიცნობიერება.

დიმიტრი ყიფიანი

მას შემდეგ რაც მოვახდინეთ კვლევა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმ პირებისა, რომლებიც მიგვაჩნია ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის ძირითად იდეოლოგებად, კონკრეტულად კი ხაზი გავუსვით მათ ლიბერალურ შეხედულებებს, დროა შევისწავლოთ ის პი-

რები, რომლებიც უფრო თავიანთი პროექტებით გახდნენ ცნობილნი, ვიდრე იდეოლოგიური მოღვაწეობით. ეს ადამიანები ახდენდნენ სწორედ ამ ლიბერალური იდეების გატარებას სხვადასხვა პროექტების მეშვეობით და შესაბამისად თავიანთი საქმიანობით გახდნენ ცნობილნი. პირველ ეტაპზე შევისწავლით დიმიტრი ყიფიანსა და იაკობ გოგებაშვილს, ხოლო შემდეგ თავებში ნიკო ნიკოლაძეს და დავით სარაჯიშვილს თავიანთი პროექტების კონტექსტში.

ყველა ამ მოღვაწეთაგან უხუცესი იყო დიმიტრი ყიფიანი (1814-1887), რომელმაც 1832 წლის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა აღედგინათ. იგი დააკავეს სხვა შეთქმულებთან ერთად და 5 წლით იქნა გადასახლებული ვოლოგდაში, რუსეთში. ხოლო დაბრუნებისთანავე მან ჩამოაყალიბა ეროვნული ხსნის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლით საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-გაძლიერებას და არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებას (ჯოლოგუა, 2002).

პირველი მისი წარმატებული პროექტი ეროვნული თავისუფლების პროგრამის ფარგლებში იყო „თბილისი კერძო **ბიბლიოთეკა**“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ეტაპზე. მან გამოაცოცხლა საგანმანათლებლო ინტერესები და ბიძგი მისცა ევროპეიზაციის პროცესს. აღსანიშნავია დიმიტრი ყიფიანის **მთარგმნელობითი მოღვაწეობა**, რომელმაც მნიშვნელობნად განავითარა ეს დარგი. მაგალითად, მან ორიგინალი ენებიდან თარგმნა შექსპირი, მოლიერი, ბომარშე, მიუსე, ჰიუგო, ფეიე, ჟანლისი, ევალდი, მიტჩელი, მარკოვი და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურის აზროვნების ევროპეიზაციას. დიმიტრი ყიფიანი მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება საქართველოს სამეცნიერო-სალიტერატურო ცხოვრებაშიც. ეს ითქმის მის **სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებზე** საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ენაზე, ლიტერატურაზე და მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. მას მშობლიური ენა მიაჩნდა ნაციონალური თვითმყოფადობის უმთავრეს საშუალებად (ჯოლოგუა, 2002).

დიმიტრი ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში, როგორც **პრესის ორგანიზატორი**. მან ცნობილ ფილოსოფოს, განმანათლებელ სოლომონ დოდაშვილთან ერთად დაარსა ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (თბილისის ამბების სალიტერატურო ნაწილი). იგი იყო ასევე სალიტერატურო კრებული „ალმანახის“ ერთ-ერთი შემდგენელი. ასევე მისი მეცადინეობით და შუამდგომლობით

მოხდა ჟურნალი „ცისკრის" დაარსება. სწორედ მან მოიპოვა დაარსების უფლება მეფისნაცვლისაგან და სწორედ მისი რეკომენდაციით დაინიშნა რედაქტორად გიორგი ერისთავი. ამ ჟურნალმა მნიშველოვანი როლი ითამაშა ეროვნული და ლიბერალური შეხედულებების დანერგვაში და ასპარეზი გაუხსნა იმ დროის ახალგაზრდა მწერლებს, პოეტებს და პუბლიცისტებს (ჯოლოგუა, 2002).

დიმიტრი ყიფიანმა მნიშველოვანი როლი ითამაშა **ქართული თეატრის** განვითარებაშიც. მან მონაწილეობა მიიღო პროფესიული თეატრის დაფუძნებაში. იგი ახალგაზრდობაში მონაწილეობდა დადგმებში, რეჟისორობდა, სცენარისტობდა, თარგმნიდა პიესებს და ეწეოდა თეატრის პოპულარიზაციას. მისმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული თეატრი გამხდარიყო საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების და განმათავისუფლებელი იდეოლოგიის მძლავრი კერა. მაგალითად, 1882 წელს თბილისის თეატრში გაიმართა წარმოდგენა „სამშობლო", სადაც ქართული დროშა იქნა გამოტანილი. წარმოდგენას უამრავი ადამიანი დაესწრო და პატრიოტული სულისკვეთების აღძვრაში დიდი წვლილი ითამაშა (ჯოლოგუა, 2002).

დიმიტრი ყიფიანი საკვანძო ფიგურაა **საქართველოს ისტორიის** კომპლექურად შესწავლის და ისტორიოგრაფიის განვითარების გზაზე. მან სამეცნიერო გზით დაამუშავა საქართველოს ისტორიის ის საკვანძო მომენტები, რომელიც უკავშირდება ქართველთა ეთნიკურ წარმომავლობას, სახელმწიფოს და რელიგიის ისტორიას, გეოგრაფიის ცალკეულ საკითხებს, დამწერლობას, ქართულ ლიტერატურას და ფეოდალურ ეპოქას. იგი რუსულ ენაზეც ბეჭდავდა თავის ნაშრომებს, რათა რუსულენოვანი მკითხველი დაერწმნებია იმ დროის ცრუ სახელმწიფო პროპაგანდაში, რომლის მიხედვითაც ქართველი ხალხი უწარსულო, უკულტურო და გაუნათლებელი იყო (ჯოლოგუა, 2002). ამასთან იგი არ იყო წარსულზე მიჯაჭვული ადამიანი და სხვა თერგდალეულების მსგავსად მუდმივ განვითარებას ქადაგებდა. მაგალითად ჟურნალ „დროებაში" იგი წერდა: „ქვეყანა ისე არის დაფუძნებული, რომ ყოველივე, რაც რამ თვალით სახილველია, ან გონებით გამოკვლეული, სულ წინ მიდის... რაც ჩამორჩება, უძრავადა რჩება, ის ირღვევა, იხრწნება და გადადის არარაობაში... გუშინდელი საზოგადო და სამოქალაქო წყობილება დღეს ასე იცვლება, ხვალ ისე... რაც გუშინ, შარშან ან იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნებ კვალიც აღარსად ჩანდეს მისი" (ჯოლოგუა, 2002). როგორც ვხედავთ, მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მუდმივი განვითარება, მოდერნიზაცია და პროგრესი, რასაც საწინდრად საზოგადოების განათლება უნდა ჰქონოდა.

დიმიტრი ყიფიანი ლიბერალური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე აკრიტიკებდა ქართულ **თავადაზნაურობის სისტემას** და

მოითხოვდა მის ვაჭრობა-მრეწველობაზე დამყარებული ევროპული წყობილების შესაბამისად განახლებას. მას სურდა „ქართველ თავადაზნაურებს გადმოენერგათ მეურნეობის წარმოებაში ის მიღწევები, რომლებიც განახორციელა ევროპის რაციონალურმა მეურნეობამ" და გამხდარიყვნენ „მდიდარი ფაბრიკანტები, მრეწველები და ფერმერები" (გაფრინდაშვილი მ., 1988). დიმიტრი ყიფიანის ეკონომიკურ ხედვებზე საუბრობს კიდევ ერთი მკვლევარი გრიგოლ თოდუა, რომელიც წერს, რომ მისი ხედვები ლიბერალური იყო და კონსერვატორებისგან განსხვავებით, მიმართული იყო შუა საუკუნეობრივი ფეოდალური წყობის დარღვევისკენ და კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლისაკენ, რაც იმ დროის პროგრესულ და პრაქტიკულ იდეათა გამოხატულებას წარმოადგენდა. ყიფიანის აზრით, ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი იყო კერძო საკუთრების პრინციპის დანერგვა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლებოდა მომხდარიყო რაციონალური სოფლის მეურნეობის განვითარება, მემამულეთა ეკონომიკური თვალთახედვის გაფართოება და მეურნეობრივი საქმიანობის ზრდა. ასეთ შემთხვევაში მოხდა პროდუქტის წარმოება არა მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, არამედ ბაზრებისთვის, რაც ერთნაირად ასარგებლებდა და შემოსავალს გაუჩენდა, როგორც მემამულეს, ასევე მუშახელს. ამასთან ყიფიანი იყო „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" წევრი, საიდანაც ცდილობდა სოფლის მეურნეებისათვის ახალი ტექნიკური ბაზა შეექმნა და მომხდარიყო მისი ევროპული ტექნიკით აღჭურვა (თოდუა, 1987). აღსანიშავია, რომ დიმიტრი მხოლოდ სიტყვით არ მოუწოდებდა მეურნეობის რეორგანიზაციას. მან შეძლო ევროპული ყაიდის, სანიმუშო მეურნეობის მოწყობა, რაც სხვებისთვის კარგი მაგალითი აღმოჩნდა. ამასთან ყიფიანი არჩეული იქნა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაუროს წინამღძროლად (მარშლად) 1864 წელს და შემდეგ 1867 წელს. შესაბამისად საგლეხო რეფორმას საწყის ეტაპზე სწორედ ის ხელმძღვანელობდა (უთურაშვილი, 2011). ეს პროცესი საკმაოდ აშინებდა ადგილობრივ მმართველობას. ისინი თავადების აჯანყებასაც ელოდნენ, მაგრამ დიმიტრი ყიფიანმა ორი წლით ადრე მოიარა მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ზოგან ფეხით, ზოგან ცხენით და დააჯერა თავადაზნაურობა, რომ გლეხთა განთავისუფლება ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი საქმე იყო. ამიტომ სწორედ მისი დამსახურებაა გლეხების განთავისუფლების მშვიდობიანი პროცესი, რაც რუსეთის იმპერიის ზოგიერთ რეგიონში სრულიად სხვა ფორმით წარიმართა (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2007).

კიდევ ერთი მნიშველოვანი საქმე, რომელსაც ფაქტიურად თავი შეწირა დიმიტრი ყიფიანმა იყო **ქართული ენის** შენარჩუნება. თავდა-

პირველად, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების საწყის ეტაპზე, საქართველოს სასწავლებლებში არ მიდიოდა ქართული ენის სწავლების შევიწროება. შესაბამისად, დიმიტრი ყიფიანი აქტიურდა თანამშრომლობდა განათლების სფეროში ხელისუფლებსთან. სხვადასხვა დროს ის იყო სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი, ასევე „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის წევრი. მან განახორციელა სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაცია და ხელმძღვანელობდა ქართული ენის განყოფილებას. იგი ზრუნავდა ქართული ენის სწავლების სრულფასოვნად დახვეწა-გაუმჯობესებაზე, ქართული წიგნების ბიბლიოთეკებში მომარაგებაზე და ა.შ. (ჯოლოგუა, 2002). ხოლო მას შემდეგ, რაც იმპერიის მასშტაბით დაიწყო ადგილობრივი ენების შევიწროება და ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო აპირებდა სწავლების მთლიანად რუსულ ენაზე გადასვლას, დიმიტრი ყიფიანი მკაცრად დაუპირისპირდა აღნიშნულ პროექტს, მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს, სემინარიის რექტორს ჩუდეცკის და ეგზარქოს პავლეს, რომლებიც ანტიქართულ ისტერიას აღვივებდნენ. დიმიტრი ყიფიანმა მათ ქმედებების შესახებ ქუთაისში ჩამოსულ იმპერატორის ვაჟს მიხეილ რომანოვს აცნობა, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა არავის უფიქრია. პირიქით, ქართული ენის დამცველი დიმიტრი ყიფიანი 72 წლის ასაკში ჯერ სტავროპოლში, რუსეთში გადაასახლეს, მერე კი დაქირავებული მკვლელით სიცოცხლეს გამოასალმეს (ზოზრაშვილი, 2010).

როგორც ვხედავთ, ფაქტიურად არ იყო საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საქმიანობა, რომელიც დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით და ხელშეწობით არ დაარსებულიყო. იგი ილია ჭავჭავაძის მსგავსად ცდილობდა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო საქმეში თავისი წვლილი შეეტანა. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დიმიტრი ყიფიანის ნაშრომები და წერილობითი შემოქმედება საყოველთაოდ ცნობილი არაა, მაგრამ მის მიერ განხორციელებული კონკრეტული პროექტები სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის გამოხატულებაა.

იაკობ გოგებაშვილი

შემდეგი პიროვნება, რომელმაც თავისი საქმიანობით გამოიჩინა თავი და რომელსაც ჩვენ განვიხილავთ არის იაკობ გოგებაშვილი (1840-1912). **პედაგოგი,** პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე გორში, თბილისში და შემდგომ კიევში სწავლობდა. მის შეხედულებებზე გავლენა იქონიეს ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ დარვინი, ლოკი, რუსო, ფუხტი, ჰუმბოლტი, სპენსერი,

შლოსერი, ბოკლი, კომენსკი, პესტალოცი, პიროგოვი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, უშინსკი და სხვა“ (ზოზრაშვილი, 2010).

სამშობლოში პედაგოგად დაბრუნებულმა კი არსებული სასწავლო რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელიც ფიზიკურ დასჯას და მკაცრ რეჟიმს ითვალისწინებდა. იგი წერდა „სკოლა კაკლის ნაჭუჭად გადაგვიქციეს ქართველობას და ცოდნის მაგივრად გონების დაჩლუნგების ბუდედ შეგვიქმნეს“ (გოგებაშვილი, 1990). შესაბამისად, მას მალევე აუკრძალეს მოღვაწეობა და სხვა თერგდალეულებთან ერთად განაგრძო არასახელმწიფო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა. მისი დამსახურებაა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პროგრამის ფარგლებში ხალხური შემოქმედების შეგროვება და სახალხო სკოლებისა თუ ბიბლიოთეკების შექმნა. მისი ავტორობით გამოვიდა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, „რუსკოე სლოვო“, 130-ზე მეტი საბავშვო ორიგინალური და გადმოკეთებული მოთხრობა, „ბუნების კარი“ და რაც მთავარია „დედა ენა“, რომელიც ისტორიაში დარჩა, როგორც საწყისი განათლების სამაგალითო ნიმუში და მისი სწავლების პრინციპი დღესაც შენარჩუნებულია დაწყებით კლასებში. იაკობ გოგებაშვილის გახმაურებული მოთხრობებია „იავნანამ რა ჰქმნა?“ „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვა. როგორც მისი ერთ-ერთი მკვლევარი ტარიელ ზოზრაშვილი ამბობს, იაკობ გოგებაშვილი წარმატებული სწავლის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ხალხურობას, თანმიმდევრულობას და ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, მოსწავლის შეგნებულობას და აქტიურობას, ნაცნობიდან უცნობისაკენ შეგნებულ სვლას, მშობლიურ ენას და უცხოენების სწავლას. ყოველივე ეს საფუძვლიანად უპირისპირდებოდა რუსულ განათლების სისტემას. იაკობ გოგებაშვილმა, როგორც საქართველოს ერთ-ერთმა პირველმა განმანათლებელმა და პედაგოგმა მთელი თავისი ქონება სიკვდილის შემდეგ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა“ (ზოზრაშვილი, 2010).

იაკობ გოგებაშვილის **სწავლების მეთოდების** უნიკალურობაზე საუბრობს მისი კიდევ ერთი მკვლევარი ზურაბ ბოცვაძე. მისი თქმით, იაკობმა უარყო მანამდე არსებული სწავლის მეთოდი, რომელიც ბავშვებს ასო-ბგერებს აცნობდა და აზეპირებდა. ეს კი ბავშვში არანაირ აზრს არ ბადებდა, სწავლას მოსაბეზრებლად მიიჩნევდა და უარყოფითად განაწყობდა მის მიმართ. იაკობის მეთოდით ბავშვი სწავლას ორ მარცვლიანი, მარტივი სიტყვებით იწყებდა, რაც ბავშვს ამ სიტყვის საგანთან ასოცირებას უქმნიდა და მის გააზრებაში ეხმარებოდა. მაგალითად, „ან, ბან, გან, დონ, ენ“...-ის უაზროდ დაზეპირებას, არჩია ისეთი სიტყვებით ესწავლებინა წერა-კითხვა, როგორიცაა „აი ია“,

„თითი", „თასი", „გემი" და სხვა. იაკობის აზრით, ბავშვების ინტერესები ეხებოდა იმ საგნებს და ბუნებრივ მოვლენებს, რაც მის გარშემო ტრიალებდა. ამიტომ სწორედ ამ საგნების და მოვლენების შესწავლით უნდა დაეწყო სკოლის მოსწავლეს ურიგთან ურთიერთობა, რაც მის მიმართ ინტერესს გააღვივებდა და სახალისოც იქნებოდა. ასევე შემდეგ საფეხურზე ის ბუნებისმეტყველებაში მცენარეების, ფრინველების, ცხოველების და ბუნებრივი მოვლენების დაწვრილებით კლასიფიკაციას კი არ ახდენდა, არამედ ყურადღებას ამახვილებდა მათი არსებობის თავისებურებებზე, როლზე და ადამიანებთან ურთიერთობების ფორმებზე, რაც ასევე საინტერესო უნდა ყოფილიყო ბავშვისთვის (ბოცვაძე, 1991).

აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილის მუდმივი ბრძოლა ქართული ენის დასაცავად და რუსული სწავლების მეთოდების წინააღმდეგ არ ყოფილა რაიმე შოვინისტური იდეებით განწყობული. პირიქით, იგი თანამშრომლობდა პროგრესულად მოაზროვნე რუს განმანათლებლებთან, იზიარებდა ბევრი მათგანის საგანმანათლებლო აზრს, მაგალითად უშინსკის, რომელიც ასევე მიიჩნევდა რომ ბავშვის აზროვნების განსავითარებლად აუცილებელია სწავლა-განათლების დაწყება მშობლიურ ენაზე (ბოცვაძე, 1991).

იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი მიზანი იყო თავისუფლების მოპოვების გზების ძიება. იგი წერდა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა „კოლექტიურ პიროვნების კოლექტიური **თავისუფლებაა** და როგორც კი კერძო პირი ვერ განვითარდება, ვერ გაიფურჩქნება, თუ მის პიროვნებას და თავისებურობას ფართო გზა არ ექნება გახსნილი, ისე ერი დაიჩაგრება თუ მის ეროვნებას არ მიენიჭება სრული თავისუფლება, თუ არ მიენიჭება ეროვნული სამართალი, ეროვნული სკოლა, სრული გამგეობა, ეროვნული თვითმმართველობა" (გოგებაშვილი, 1905)

ამ ბრძოლაში იგი, უპირველეს ამოცანად, მშობლიური **ენის შენარჩუნებას** ხედავდა. სწორედ იმ ისტორიული რეალობიდან გამომდინარეობს, რაც კაცობრიობას ახსოვსმისი სიტყვებით, „ყველაფრის დაბრუნება შეიძლება, გარდა დაკარგული ენისა"[2], (ტოტოჩავა, 2000). ილიას მსგავსად, იაკობიც მყარად ადგა საქართველოს ავტონომიის, თვითმმართველობის და დამოუკიდებლობის დაგეგმილ გზას. ამასთან იგი მიესალმებოდა ეროვნულ მრავალფეროვნებას და მას ერი-სახელმწიფოს სიმდიდრედ მიიჩნევდა. იგი წერდა „დროა

2. მსოფლიო ისტორიაში, ერთადერთი, ვინც მკვდარი ენა გააცოხცლა, არიან ებრაელები, მას შემდეგ რაც 1948 წელს შექმნეს ახალის სახელმწიფო ისრაელი

გავიგოთ, რომ მრავალფეროვნების საწყისი მხოლოდ ავსებს და ანაყოფიერებს ერთიანობის საწყისს... თავისებურება, რომელიც თითოეული ხალხის ცხოვრებასა და მეტყველებას ახასიათებს, შეიძლება მუსიკალური ტონების თავისებურებას შევადაროთ; ყოველი მათგანი საჭირო და თვითმყოფადია, თუმცა იგი სხვა ტონებსაც უკავშირება" (Liberalis, 2010).

იაკობ გოგებაშვილი უარყოფდა ყოველგვარ წოდებრივ დაყოფას. იგი ემხრობოდა დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობის დარღვევას და ახალი, **თანასწორობაზე** დამყარებული საზოგადოების ფორმირებას. მას სურდა მეურნეობის განვითარების, საზოგადოების გარდაქმნის პროცესში ყველა ფენის აქტიური ჩაბმა, ქვეყნის განახლებით და მოდერნიზაციით მეტი დაინტერესება, გლეხებთან მოსალოდნელი კონფლიქტებისა და დაპირისპირების, სოციალური გამწვავების, ერის გათიშვის თავიდან აცილება, წოდებათა შორის ცივილიზებული ურთიერთობების განვითარება. შესაბამისად, იგი არ ემხრობოდა ძალადობას და რევოლუციას, რასაც ადამიანები სჩადიოდნენ სოციალიზმის სახელით. სოციალიზმი მას წარმოედგინა, როგორც ერთაშორის თანასწორობა და სამართლიანობა, მაგრამ არა რომელიმე კლასის უპირატესობა (ტოტოჩავა, 2000).

ერთ-ერთი რასაც იაკობ გოგებაშვილი ასევე აქტიურად ებრძოდა, ეს იყო რუსული შოვინისტური მართლმადიდებლური ეკლესია, რომელმაც ქართულ ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა აკრძალა. ეს კი მოსახლეობის გაუცხოებას იწვევდა, როგორც ეკლესიისადმი, ასევე ადგილობრივი ტრადიციებისადმი. მას ღრმად სწამდა, რომ შესაძლებელი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების გარდაქმნა, ქვეყნის პროგრესი და მოდერნიზაცია, მათ შორის ემხრობოდა საეკლესიო რეფორმას, რომელიც მღვდელმსახურთა თანამდებობების პირთა არჩევნების დამკვიდრებას ითვალისწონებდა (ტოტოჩავა, 2000). იგი მიესალმებოდა სომეხი ხალხის და სხვა თავისუფალი ერების უფლებას, აერჩიათ საკუთარი პირველი მოძღვარი, რასაც საქართველო მოკლებული იყო. მას სურდა მრევლს აერჩია მღვდელი, ეპისკოპოსი და სინოდიც. ყოველივე ეს უნდა დახმარებოდა საზოგადოებას არჩევითობის სისტემის პოლიტიკაში დანერგვაშიც (გოგებაშვილი, 1955). ამასთან იაკობ გოგებაშვილი აკრიტიკებდა ქართულ სამღვდელოებას, რადგან ისინი არ იყვნენ ჩართული მოსახლეობის სწავლა-განათლებაში. მისი თქმით, საერო პირებს განსაკუთრებული პრობლემები ექმნებოდა საჯარო სკოლის გახსნის უფლებისათვის, მაშინ როდესაც, ეკლესია ამისგან გათავისუფლებული იყო. მაგრამ მე-18 საუკუნისგან განსხვავებით, რა დროსაც საქართველო მოფენილი იყო ეკლესიების მიერ დაარსებული სასწავლებლებით, მის დროში ეკლე-

სიას ერთი სკოლაც არ გააჩნდა. განსხვავებით ევროპისაგან, სადაც თითქმის ყველა სასულიერო პირი პროფესორი იყო და უმაღლესი თეოლოგიური განათლება ჰქონდა მირებული. საქართველო ამ კუთხით ძალიან ჩამორჩებოდა დანარჩენ ევროპას (ფარცხალაია, 2001).

1906 წლის „დედა ენის“ გამოცემაში აკაკი წერს: „წინათ ანბანში ერია ელემტი მართლმადიდებლის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს გამაჰმადიანებულ ქართველებს, ქართველ ურიებს და ქართველ კათოლიკეებსაც ეხმარათ ეს ანბანი. უკანასკნელ გამოცემაში ეს ელემენტი გამოვრიცხეთ და ამით შესაძლებელად გავხადეთ ანბანის ხმარება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“. როგორც ვხედავთ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ სახელმძღვანელოთი ყველა სარწმუნოების ბავშვს ესარგებლა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს იყენებდნენ არა მარტო ეთნიკურად ქართველები, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცოვრები სხვა ეთნოსების წარმომადგენლები, რომლებიც ერთიან სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდნენ (ფარცხალაია, 2001).

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებიდან ყველაზე ორიენტირებული იყო სწავლა განათლების ორგანიზებულ ფორმაზე. მან საკუთარ თავს ის ამოცანა დაუსახა, რომლის მიხედვითაც გარდატეხა შეიტანა ქართულ განათლების სისტემაში, განსაკუთრებით კი დაწყებით სკოლებში. სწორედ მისი ღვაწლია განუზომელი, როგორც განმანათლებლის, განათლების სისტემაში შეეტანა ევროპული იდეა და მოეხდინა მისი მოდერნიზაცია.

თითოელი მათგანის დახასიათებისას ჩვენ აქცენტები გავაკეთეთ მათ დადებით მხარეებზე და გამოვყავით ის მომენტები, რომელიც ხაზს უსვამდა მათ ლიბერალიზმს, ევროპულ იდეასა და მოდერნიზაციას. თუმცა, მათი ბიოგრაფიების სრულად შესწავლის შემდეგ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა მათგანი შეუცდომლად ცხოვრობდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ცხოვრობდნენ ცარიზმის ეპოქაში, სადაც ყოველი სიტყვა ან ყოველი მათი მოქმედა შეიძლებოდა მათი სოციცხლის დასასრული ყოფილიყო. ამიტომ იყო მომენტები, როდესაც ისეთი პირებიც კი, რომლებიც დღეს ნმინდანად და გმირებად არიან აღიარებული, ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი ადამიანური ყოფით. ხანდახან უშვებდნენ შეცდომებს, ხანდახან მიმართავდნენ კომფორმიზს, ხანდახან იყვნენ რადიკალურნი ან პირიქით ინერტულები, ხანდახან ერთმანეთსაც არ ეთანხმებოდნენ და მკაცრი კრიტიკით გამოდიოდნენ. მაგრამ ეს ყოველივე არ აკნინებს მათ საერთო გზას და მისწრაფებას მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და შეექმნათ, როგორც მოდერნისტული ევროპული სახელმწიფო, სადაც

მთავარი ღერძი იქნებოდა ადამიანი და მისი თავისუფლება. ყველა მათგანი ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას, ჩართული იყო საქართველოში განვითარებულყველა მოვლენაში და აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას. ყველაზე სამწუხაროა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას და ახლოსაც კი ვერ მივიდნენ იმ დღეებთან, როდესაც ეს ოცნება რეალისტურად გადაიქცეოდა. ზოგიერთი მათგანი კი ამ იდეის მსხვერპლიც გახდა, მაგრამ თავისუფალი საქართველო სწორედ მათი იდეოლოგიური მუშაობის შედეგია და სწორედ მათი აღზრდილი თაობის მიღწევაა საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება.

ევროპის იდეა ლიბერალური მოდერნიზაციის განხორციელების მიზნით

პირველი დემოკრატიული ინსტიტუტები

საქართველოში დემოკრატიული არჩევნების იდეაც სწორედ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში იკიდებს ფეხს. იმ პერიოდის გამოცემები პირველად ალაპარაკდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირებაზე და თუ ვის უნდა აირჩია ის, რისთვის უნდა აერჩიათ და ვინ უნდა აერჩიათ. ამ პერიოდამდე სახელმწიფოს და საზოგადოების ბედს მხოლოდ თავად-აზნაურობა წყვეტდა, ის იყო ერთადერთი ამომრჩეველი ფენა. მაგრამ 1865 წლიდან, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, მათ ეს პრივილეგია ჩამოერთვათ. კენჭის ყრაში მონაწილეობის უფლება მიიღო ასევე ყმა-გლეხობამ, ვაჭრებმა, ხელოსნებმა და სამღვდელოებამ. მათ მიეცათ უფლება მხარი დაეჭირათ არა თავისი ბატონისთვის, ნათესავი არისტოკრატისთვის ან მეგობრისთვის, არამედ საზოგადო ინტერესებით ემოქმედა. ამასთან, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში წოდებები არასოდეს ყოფილან დაპირისპირებულნი, რადგან ყველა ერთნაირად იყო უუფლებო და ხმის მიცემის არ მქონე. საქართველოში ბატონი გლეხის „მამა" ე.ი. უსაფრთხოების გარანტი იყო და არა უფალი, ამიტომ მათი თანამშრომლობა შესაძლებლად მიაჩნდა (კაციტაძე, 2011). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყმა-გლეხებს და თავად-აზნაურებს შორის თანასწორობა სუფევდა. პირიქით, ადგილი ჰქონდა დისტანცირებულ იერარქიას, რომელზეც ილია ჭავჭავაძე მის ნაწარმოებებში „კაკო ყაჩაღი", „ოთარაანთ ქვრივი" და „გლახის ნაამბობი" საუბრობს.

საკითხი იქამდე მივიდა, რომ 1866 წელს უკვე არსებობდა ქ. თბილისის თვითმმართველობაში ამომრჩევლების სიები, რომელიც 100 000-იან მოსახლეობას მოქალაქეების ოთხ კატეგორიად ყოფდა: თავად-აზნაურობა, საპატიო მოქალაქეები, მესამე თანრიგის მოქალაქეები და უძრავი ქონების მეპატრონეები ანუ ვაჭრები და ხელოსნები. აქ შედიოდნენ ყველა კონფესიისა და ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც კი იმ დროს თბილისში ცხოვრობდნენ. სათათბირო 74 კაცისგან შედგებოდა, რომელიც თავის მხრივ 3 მმართველს ირჩევდა. პირველ დემოკრატიულ ინსტიტუტს სრული ტრანსფარანტობა ახასიათებდა. მის სხდომებს თავისუფლად ესწრებოდნენ ჟურნალისტები, რომლებიც პრესის ფურცლებით მიმოიხილავდა განხორციელებულ პროექტებს და ხშირად კრიტიკულ სტატიებსაც აქვეყნებდა (კაციტაძე, 2011).

სეკულარიზმის პირველი ნაბიჯები საქართველოში

საქართველოში ევროპული იდეის დანერგვასთან ერთად დადგა სეკულარიზაციის საკითხიც. ეს მოვლენა, როგორც ღირებულება და აუცილებელი კომპონენტია არა მარტო ევროპული იდეისათვის, არამედ საზოგადოების მოდერნიზაციისთვისაც. სეკულარიზმი ეხება, როგორც სახელმწიფო და ეკლესიურ ინსტიტუტებს, ასევე საზოგადოებრივ ცნობიერებას და აღქმას, როგორც ღირებულება. ეს არა მარტო პოლიტიკურ-რელიგიური შეთანხმებაა, არამედ საზოგადოებრივი აზროვნებისა და განვითარების მონაპოვარი.

აღსანიშნავია, რომ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული ეკლესია ქართული ეროვნულობის იდენტურობას განსაზღვრავდა, მით უფრო, როდესაც აგრესორი სახელმწიფოს სხვა რელიგიის მიმდევრები წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ამ კუთხით სახელმწიფოს სამსახურში იდგა, იგი ავტოკეფალური იყო და საკუთარი დამოუკიდებელი ამბიციებიც ხშირად გააჩნდა. იყო შემთხვევები, როდესაც ეკლესია მეფესაც კი განუდგებოდა. მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსირების შემდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და პირდაპირ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას დაექვემდებარა. რუსეთის იმპერია კი თავს ბიზანტიის მემკვიდრედ ანუ მესამე რომად აცხადებდა და მან საკუთარი ეკლესია ოფიციალურად შეიერთა, ისე რომ მას არანაირი დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება არ მისცა. ეს განპირობებული იყო იდეოლოგიური საფუძვლებით, რომლის მიხედვითაც ერი, ეკლესია და სახელმწიფო განუყოფელი უნდა ყოფილიყო ერთმანეთისგან. ასეთი იდეოლოგია კი წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროპულ იდეასთან და სეკულარიზმთან. უფრო მეტიც სახელმწიფო ბიუროკრატიად გადაქცეული ეკლესია იმპერიალიზმის პირდაპირ სამსახურში იდგა. მან გზა გაუხსა ცრუმორწმუნეობას და რუსულ შოვინიზმს, რომელმაც საპასუხოდ ათეიზმი და ნიჰილიზმი დანერგა (პაპუაშვილი, 2011).

აღსანიშნავია, რომ ერთი პერიოდი მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთის იმპერია ძალადობრივი გზით ცდილობდა არამართლმადიდებელი ქართველების იძულებით მართლმადიდებელი წესით მონათვლას, რაც რელიგიურ შუღლს აღვივებდა ქვეყანაში. ამიტომ სწორედ თერგდალეულები ექომაგებოდნენ და იცავდნენ არამართლმადიდებელი ქართველების - ქართველი გრიგორიანების, ქართველი კათოლიკეების და მაჰმადიანი ქართველების უფლებებს (ბუბულაშვილი, 2003).

ილია ჭავჭავაძის ახალგაზრდობაში გამოთმქულ ფრაზას - „მამული, ენა, სარქმუნოება“ ეროვნულობის განსმსაზღვრელად განმა-

რტავენ. ქვემოთ მოყვანილი ციტირებიდან კი ჩანს, რომ სარწმუნოება არ არის განსმაზღვრელი არც ეროვნულობის და არც ადამიანის ღირსების. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუა საუკუნეებში სარწმუნოება მართლაც იყო ეროვნების იდენტიფიკატორი, მაგრამ ილიას, რომელსაც თანამედროვე ქართველი ერის ფორმირებაში, მოდერნიზაციაში და პროგრესში დიდი წვლილი მიუძღვის შეუძლებელია შუა საუკუნეების აზროვნება დავაბრალოთ. სიტყვა „სარწმუნოება" ილია ჭავჭავაძემ ეს ცნება „ისტორიით" შეცვალა. ამის მიზეზი იყო არა მისი სეკულარული და სკეპტიკური დამოკიდებულება ბერ-მონაზვნობის მიმართ, არამედ 1877-1878 რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აჭარის რეგიონის რუსეთში შეერთებით, რაც ქართველებისთვის ასოცირებული იყო, როგორც აჭარის დედა სამშობლოსთან, საქართველოსთან დაბრუნებასთან. აჭარელი მოსახლეობა იმ დროს ძირითადად მაჰმადიანები იყვნენ, თუმცა ეთნიკურად ქართველები. ილია ჭავჭავაძე იმ ქართველებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა, ვისთვისაც ქრისტიანული სარწმუნოება უფრო წინა პლანზე იდგა, ვიდრე ეროვნული. ან ამ ორ ცნებას ერთმანეთში აიგივებდა. ილია თვლიდა, რომ მნიშველობა არ ჰქონდა სარწმუნოებას, მთავარი იყო „ისტორია" ანუ ამა თუ მოვლენების და წარსულის საკუთარ თავთან ასოცირება და იდენტიფიკაცია. იგულისხმება, თუ რომელიმე ისტორიულ მოვლენას განსხვავებული სარწმუნოების, შეხედულებების ან წარმოშობის ადამიანები ერთნაირად აღიქვამენ და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არანაირი პირდაპირი კავშირი არ ჰქონდეს ამ მოვლენასთან, მაგრამ მაინც საკუთარ წარსულად მიიჩნევს, ესე იგი ერთი ხალხი, ერთი ერია. „შემოგვიერთდნენ თუ არა ბათომის მაზრის მაჰმადიანი ქართველები, ზოგიერთებმა იმთავითვე ქადაგება და დამტკიცება დაიწყეს, რომ ყველაზე პირველად ჩვენ ის მაჰმადიანი ქართველები უნდა მოვნათლოთ, გავაქრისტიანოთო; მხოლოთ როცა მოინათლებიამ მაშინ შეიქმნებიან ისინი ნამდვილ ჩვენ მოძმეებად, მოლოდ მაშინ ქრისტიანობას შეუძლიან ამათი დამშვიდება და ჩვენთან მოთავსებაო... მაჰმადიანი ქართველები გააქრისტიანონ (ბათუმის მაზრაში და საინგილოში - ახლანდელი აზერბაიჯანი) ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს... განა მარტო სარწმუნოებაზე, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთაყვანისმცემელი, მაგრამ კარგი კაცი ან კარგი ხალხი იყოს, კაგს განათკების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმრხივ წარმატებული?.. სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა ვინმე როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც სურს, იმ რჯულზე იყოს, მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და

ქვეყნისთვისაც სასარგებლო... მაჰმადიანი ქართველები გააქრისტიანონ (ბათუმის მაზრაში და საინგილოში - ახლანდელი აზერბაიჯანი) ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს... განა მარტო სარწმუნოებაზე, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთაყვანისმცემელი, მაგრამ კარგი კაცი ან კარგი ხალხი იყოს, კაგს განათცების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმრხივ წარმატებული?.. სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა ვინმე როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც სურს, იმ რჯულზე იყოს, მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისთვისაც სასარგებლო“ (ჭავჭავაძე, 1880).

თეოლოგი პაპუაშვილი მიიჩნევს, რომ ილია მკვეთრად დაუპირისპირდა ერისა და სარწმუნოების აღრევას, რასაც ფილეტალიზმის სახე ექნებოდა, ანუ ეთნოსი საკუთარი რელიგიით გაბატონდებოდა სხვაზე. იგი მას დაუპირისპირდა, როგორც ანტიმართლმადიდებლურ, ანტისაზოგადოებრივ და ანტიეროვნულ მოვლენას, რადგან მიაჩნდა, რომ საეკლესიო ნაციონალიზმი ხელს შეუშლიდა მრავალკულტურული, მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური ერისა და ქვეყნის კონსოლიდაციას. არადა, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მცდარად არის დარწმუნებული იმაში, თითქოს ილია ქართველობასა და მართლმადიდებლობას შორის ტოლობის ნიშანს ხედავდა. სინამდვილეში იგი რელიგიურ პლურალიზმის იდეას ემხრობოდა. ილიას სიტყვებით „იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, სადაც ერთსა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებნენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებს და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნეობისა და ერთობის კავშირის საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის (ჭავჭავაძე, ტ.5, 1955). ასე, რომ რელიგიური მრავალფეროვნება ილია ჭავჭავაძეს კანონზომიერ მოვლენად მიაჩნდა (პაპუაშვილი, 2011).

ილია ჭავჭავაძე მკვეთრად დაუპირისპირდა რუსულ საეკლესიო ნაციონალიზმს. იგი რელიგიური პლურალიზმის იდეას ემხრობოდა, რელიგიური მრავალფეროვნება კი კანონზომიერად მიაჩნდა და აცხადებდა რომ „იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, სადაც ერთსა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებს და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება

სხვადასხვა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირის საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის (ჭავჭავაძე, ტ.5, 1955).

რუსულ რელიგიურ პოლიტიკას ებრძოდა ვაჟა-ფშავალაც, რომელიც თავის პუბლიცისტიკაში სეკულარიზმს ქადაგებდა და რელიგიისა და პოლიტიკის სრულიად გამიჯვნას ითხოვდა. იგი „მღვდების ვინაობაში“ ქართველ სასულიერო პირებს ასე მიმართავდა: „გაიძროთ ანაფორები, შეიციქოთ თმები და გამოეწყოთ „პინჯაკებში“, „შტაცკურად“, მაშინ სულ სხვა მნიშვნელობას მივცემთ თქვენს რევოლუციონერობას. დღეს კი თუმცა ყველაფერს კარგს, უკეთესს, სასარგებლოს ბრძანებთ, მაგრამ ბოლოს ჩვენთვის სამავნებლო იქნება. თქვენს წოდებას პროგრესიული არების ქადაგებით მკვიდრად ბოზებს უდგამთ და მომავალ ცხოვრებას ეგ არ შეჰფერის, არც შეჰშვენის; ახალმა ცხოვრებამ სრულიად სხვა გზა და დანიშნულება უნდა მისცეს თქვენს წოდებას, მშობლიური მამობრივი მზრუნველობა უნდა ჩამოგყაროსთ, თქვენ აღზრდის საქმეში, სკოლებში ადგილი აღარ გექნებათ, რათა უკუღმა არ მომართოთ თქვენი ყოვლათ შემძლებელი ენა. მომავალი ცხოვრება თქვენ პროგრესიულ ელემენტებად ვერ ჩაგთვლისთ. დიაღ, ვერ ჩაგთვლისთ, ვიდრე სამღვთო წერილის მცნებათა თავისებურად გამოყენებაზე ხელს არ აიღებთ და არ მოიშლით მეჭურჭლის ხელობას, რომელიც ქოთანს საითაც ჰნებავს, ყურს იქ მოაბამს...“ (ვაჟა-ფშაველა, 2011).

რუსულ ეკლესიას დაუპირისპირდა ასევე ევროპული იდეის მატარებელი იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც წერდა, რომ „ეკლესიას ჩვენში სული თითქმის ამოხდა. იგი გადაიქცა სხვადასხვა გარეგანი მექანიკური წესების შესასრულებელ ადგილად და სრულიად აიღო ხელი თავის მთავარ დანიშნულებაზე - ჰფენოს ხალხში ცოცხალი, მადლიანი სიტყვით წმინდა სწავლა სახარებისა (გოგებაშვილი, ტ.2, 1990).

როგორც ვხედავთ, სეკულარიზმის იდეის გაჩენა გავლენიანი იდეა იყო ქართულ ეროვნულ მოძრაობაში და მას სწორედ ლიბერალური ფრთა არა ზოგადად რელიგიის, არამედ იმ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართავდა, რომელიც არ ითვალისწინებდა და არ გამოხატავდა მოსახლეობის ინტერესებს. საქართველოს ისტორიაში ეკლესია ხელშეუხებელი არასოდეს ყოფილა და იგი აუცილებლობის შემთხვევაში მკაცრი კრიტიკის ობიექტიც გამხდარა. ამის მიზეზი კი ეკლესიისა და სახელმწიფოს ფუნქციების ერთმანეთში არევა იყო. სეკულარიზმის იდეის გაჩენა, რომელიც ამ ორი ინსტიტუტის მკაცრ გამიჯვნას გულისხმობს, აღმოჩნდა საუკეთესო გამოსავალი დაეცვა ეკლესია პოლიტიკის და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან და ჟამშარიტად რელიგიური ფუნქცია შეესრულებინა. ხოლო სახელმწიფო დაეცვა ეკლესიის წევრების ცდუნებისაგან ჩარეულიყვნენ პოლიტიკისა და

სახელმწიფოებრიობის საქმიანობაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლეოდა. სეკულარიზმის შემთვევაში ეკლესია მაქსიმალურად ინარჩუნებს რელიგიურ სახეს, ხოლო სახელმწიფო საკუთარი ხალხის ინტერესებს.

ფემინიზმის პირველი ნაბიჯები საქართველოში

ევროპული იდეა არა მხოლოდ დემოკრატიულ ინსტიტუტებში აისახა, არამედ საზოგადოებრივ წყობაშიც. მისი ერთ-ერთი მაგალითი იყო ქალთა ემანსიპაციის დაწყება. ეს მოვლენა საქართველოში სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს მე-12 საუკუნის საქართველოს ყველაზე ძლიერი ეპოქის ხანა, რომელიც ქალ მეფე თამარს უკავშირდება და რომელსაც მისი თანამედროვე პოეტი შოთა რუსთაველი გამოეხმაურა თავის ეპიკურ პოემაში „ვეფხისტყაოსანში", სადაც მეფედ ასევე ქალს აკურთხებენ იმ პრინციპით, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია". ამ ფენომენმა და ფრაზამ კი ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე უდაოდ დიდი გავლენა მოახდინა და ქალთა უფლებების დაცვის კუთხით თითით საჩვენებელ მაგალითად იქცა.

მე-19 საუკუნეში დასავლეთ ევროპაში ქალთა მოძრაობას მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მალევე მოჰყვა გამოძახილი ბრძოლა საქართველოშიც. 1861 წელს ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომს „ქალთა დაქვემდებარებულობას" დიდი გამოხმაურება მოჰყვა ევროპაში. მის იდეების პასუხად ფან ლევარდ შტარმა დაწერა ნაშრომი გერმანიაში „გერმანელ ქალთა პრო და კონტრა", რომელიც ქალებს შემოსავლიანი საქმის წამოწყებისკენ მოუწოდებდა. სწორედ ეს ნაშრომი თარგმნა 1871 წელს ანა ღვინიაშვილმა, რომელსაც ქართველ ქალთა გააქტიურება მოჰყვა მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დასაცავად. ქალთა მოძრაობის სათავეებთან იდგნენ ეკატერინე გაბაშვილი, ოლღა გურამიშვილი (ილია ჭავჭავაძის მეუღლე), ანასტასია თუმანიშვილი, ოლღა აღლაძე, ეკატერინე ფურცელაძე და ეკატერინე მელიქიშვილი. მათ გადაწყვიტეს დაექირავებინათ სავაჭრო ადგილები, ხოლო მიღებული შემოსავლისგან ქალთა სასწავლებელი დაარსეს (კაციტაძე, 2011). 1850-იანი წლებიდან ჟურნალმა „ცისკარმა" ხელი შეუწყო ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძეს ჩამოყალიბებულიყო, როგორც პირველი ქართველი პუბლიცისტი ქალი. მის პუბლიცისტურ სტატიებს და პროზაულ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ ასევე იმ დროის წამყვანი გაზეთები „დროება", „კვალი", „ივერია" და „ჯეჯილი". მისი ტექსტები ფემინისტური იდეების გავლენითაა დაწერილი და ქალთა საკითხის შესწავლის ისტორიაში უდაოდ საინტერესო ნიმუშებს წა-

რმოადგენდს. მას ეკუთვნის ლექსი „კაცებს“ და წერილი „ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“ (ნინიძე, 2015).

ეს ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ საქმეში, რაც საყოველთაო, საჯარო განათლების ახალი ფორმის - წიგნიერების განვითარებისკენ იყო მიმართული. ისინი წარმოდგენილნი იყვნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველ ორგანოში და ჩართულნი იყვნენ საბიბლიოთეკო თუ პედაგოგიურ საქმიანობაში, თანამშრომლობდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, როგორც კარგი მწერლები, მთარგმნელები, რედაქტორები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები და სხვ. ანასტასია თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა კრებული „თარგმანნი საამურთა საკითხავთა - თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგან“. სწორედ ეს კრებული იყო ქალ მწერალთა და მთარგმნელთა დამოუკიდებელი ლიტერატურული საქმიანობის პირველი პროდუქტი, რომელიც ასევე ცნობილი გამომცემლის, სტეფანე მელიქიშვილის, დის ეკატერინე მელიქიშვილის საოჯახო, კერძო სტამბაში დაიბეჭდა. ეს კი პირველი ქალი მესტამბე გახდა საქართველოში. ლიტერატურული საქმიანობით გამოირჩეოდნენ ელენე ყიფიანი, დომინიკა ერისთავი, ნატალია აზიანი-დონდაროვა, ანასტასია თუმანიშვილი და სხვა, რომლებიც არა მარტო საკუთარ ნამუშევრებს აქვეყნებდნენ, არამედ თარგმნიდნენ იმ დროის ისეთ ცნობილ მსოფლიო ლიტრერატურულ ნამუშევრებს, როგორიც იყო ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, ალექსანდრე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ვიქტორ ჰიუგოს „პარიზელი ბიჭი“, მოლიერის „პრანჭია ქალები“, ძმები გრიმების ზღაპრები, ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებები და სხვ. (ნინიძე, 2015).

ამასთან ქართველი ქალები მასობრივად მუშაობდნენ სკოლებში მასწავლებლების პოზიციებზე, რაც ბევრ ევროპულ ქვეყნებში იმ დროს აკრძალულიც კი იყო. ეს განპირობებული იყო საქართველოში ინტელექტუალთა დამოკიდებულებით, რომ ქალის ბუნებრივი ისტორიული ფუნქციაა ბავშვის აღზრდა. შედეგად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ვხვდებით მრავალ საყმაწვილო-საბავშვო გამომცემლობებს, რომელთა შედგენაში სწორედ ქალებს მიუძღვით დიდი წვლილი. მაგალითად, პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათი“ გამოსცა იაკობ გოგებაშვილმა, თუმცა მის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ეკატერინე გაბაშვილს. ასევე ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის გამოცემაშიც მონაწილეობა მიიღო, როგორც ეკატერინე გაბაშვილმა, ასევე ანასტასია თუმანიშვილმა. ამ უკანასკნელმა მოგვიანებით გამოსცა კრებულები „თაიგული“, „კონა“ და „ყვავილი“. ხოლო ჟურნალი „ნაკადული“ გამოსცა მარიამ ივანიშვილი-დემურიამ (ნინიძე, 2015).

ქალთა აქტიური სახეები გამოჩნდენ 1870-იანი წლების სტუდენტთა რიგებშიც. არა მარტო მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ შვეიცარიასა და საფრანგეთშიც, რომლებსაც „ურჩ სტუდენტ ქალებად" მოიხსენიებდნენ (ნინიძე, 2015). პირველი ქალთა ჯგუფი განათლების მისაღებად უცხოეთში 1873 წელს გაემგზავრა. მასში შედიოდნენ ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ წერეთელი, ოლღა გურამიშვილი. გამგზავრების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კი ნიკო ნიკოლაძე. ეს მოვლენა საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი არ იყო, პირიქით, ლიბერალური პრესა ამ სიახლეს ერთგვარ ტონს აძლევდა და მკითხველს არწმუნედა ქალთა განათლების საჭიროებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართის აუცილებლობაზე. მაგალითად, გაზეთი „დროება" წერდა ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვებს: „ჩვენში ნელ-ნელა იღვიძებს აქამდე მიუხდომი სწავლის სურვილი, კაცობრული ღირსება, რომლის გამო კი არ უნდა წუხდნენ, რომ ციურიხში ჩვენი ახალგაზრდა ქალები წავიდნენ, უნდა უხაროდეთ და ამაყობდნენ იმათი პატრონები... ჩვენი ბედნიერება ქმარში კი არა, გონებით ცხოვრებაში იქნებოდა, როდესაც ჭირში და ლხინში ჩვენს მოძმეებთან ერთად ვიქნებოდით და ერთნაირი სწავლის საშუალებით, ერთნაირი თვალით შევხედავით ჩვენს ცხოვრებას, ერთი მხედველობა გვექნებოდა მომავალში, ერთ საქმეს ვემსახურებოდით და შევიქმნებოდით ყოვლად ღირსნი ჩვენი ძმებისა და მომავალი ქმრებისა (ყაზბეგი, 1973).

ილია ჭავჭავაძე წერილში "დედათა საქმე" მკაფიოდ გადმოსცემდა საკუთარ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი ხაზს უსვამდა ქალთა როლის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში. „მდედრობითი სქესის წარმომადგენლები თანდათანობით კუთვნილ ადგილს იკავებდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები, რომლებიც უფლებების გაზრდისკენ არის მიმართული, აღარ არის "ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა". ქალებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათაც აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება. დასავლურ სახელმწიფოებში ქალთა საკითხს სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა და ამ პრობლემის მნიშვნელობას ყველა აცნობიერებს, "ბრმათა და თვალახვეულთა" გარდა. ქალებმა სახელმწიფო სამსახურის ზოგიერთ სფეროში დასაქმების უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ, ამ მხრივ, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იმ უსამართლობას, რომელსაც აქამდე "ნახევარი კაცობრიობა" განიცდიდა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო" (ჭავჭავაძე, ტ.1, 1984). ამავე წერილში ილია ეხმაურება ქალთა საარჩევნო უფლების პრობლემას და დაუფარავი სიმპათიით საუბრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე პროცესებზე, სადაც ქალებს არათუ ხმის

მიცემის უფლება აქვთ, არამედ კანდიდატებადაც დგებიან და მათი პრეზიდენტობაც კი არავის უნდა გაკვირვებოდა. ილია აღნიშნული პრეცენდენტების რუსეთის იმპერიაში გაჩენის სურვილსაც დაუფარავად გამოთქვამდა. მას სჯეროდა, რომ ქალები თავად მოახდენენ ზემოქმედებას მათ წინააღმდეგ მიმართულ კანონზე და შეძლებდნენ მის შეცვლას. ხოლო ქალების აქტიურად ჩართვა, ქვეყნის მართვაში თავად ქვეყნისთვის იქნებოდა სასარგებლო (ჭავჭავაძე, ტ.1, 1984). ქალთა სრული ემანსიპაციის საკითხს კი ილია განათლების მიცემის აუცილებლობაში ხედავდა. იგი წერდა: „განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის, გავაგენინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთი აზრებით, რჩმენით და თვალთა მხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა“ (ლობჟანიძე).

ქალთა საზოგადოებრივ აქტიურობასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები ვაჟა-ფშაველამაც ჩამოაყალიბა წერილში “ქალთა შესახებ”. ვაჟა ფრიად ორიგინალურად წარმოგვიდგენდა ქალის როლს საზოგადოებაში. იგი თვლიდა, რომ ქალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში, რადგან თავად კაცობრიობა ცალკეული ერებისგან შედგება, ერები კი – ოჯახებისგან. თუ ოჯახი განვითარებულია, განვითარებულია ერი და, შესაბამისად, ამ ერებისგან შემდგარი კაცობრიობა. ოჯახში ქალს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება და იგი წარმართავს მის საქმიანობას, ზრდის შვილებს და ამიტომ მისი განათლებულობა აუცილებელია. “დედაკაცს უნდა ესმოდეს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და გარედ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდგან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს” (ჩხაიძე, 2009).

საზღვარგარეთ ნასწავლი ერთ-ერთი მათგანი, ეკატერინე მელიქიშვილი, ღრმად გაეცნო ქალთა მოძრაობებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ქალთა ემანსიპაციის საქმეში. იგი ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს ამ თემაზე სახელად „დედაკაცების აზრი დედაკაცებზე“ (ჯანელიძე, 2015). ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე, შრომით ჩაგვრასა და დაუცველობაზე აქვეყნებდა სტატიებს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიაც (ნინიძე, 2015).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა საზოგადოებრივ გააქტიურებას ქართული საზოგადოების ზოგიერთი ის წევრიც ვერ შეხვდა

გაგებით, რომელიც იმ დროს ევროპული იდეების მატარებელი იყო. ისინი უმეტეს წილად ქალებზე საუბარს თავს არიდებდნენ და იგნორირებას უკეთებდნენ მათ უფლებებს. ფაქტია, რომ ქალებს თავად უხდებოდათ საკუთარი უფლებების მოპოვება და მისთვის ბრძოლა და ეს არ იყო იოლი საქმე. ერთ-ერთ გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ, ანონიმური ავტორის, ფსევდონიმით „ქალის" მიერ დაწერილ წერილს: „ვაი თქვენი ბრალი საცოდავო ქალებო, ვაი თქვენი ცოდვა! ვერც ერთს გაზეთის ნომერს ვერ წაიკითხავთ, რომ თქვენზედ საყვედური არ ეწეროს, არც ერთი საათი არ გავა, რომ ყოველი კუთხიდან ქვას არ გვესროდენ ბრალიანიცა და უბრალონიცა... ქალების დამცირება იმის ბრალია, რომ მათ არ მისცეს არც განათლება, არც უფლება, არც რიგიანი მართულება, ისევ იმ კაცებმა, რომელნიც ლაპარაკსაც აღარ კადრულობენ მათზე... განა ქალს შეუძლია გარყვნილი შეიქმნეს, რომ კაცი არ ჰყავდეს მას მოზიარეთ?.. ეს იმიტომ ხდება, რომ საზოგადო აზრს ყოველთვის კაცები შეადგენენ... მოსპეთ ბატონებო ქალების დამცირების მიზეზი და შედეგი თავისით მოისპობა. გვიბოძეთ ჩვენ ის უფლება, ის აღზრდა, რომელიც თქვენ მიგიღიათ და მერე ვნახოთ, თუ უკან ჩამოგიდგებით. მოდით, ამხანაგური ხელი მოგვეცით, ძმურად შემოგვხედეთ, ადამიანად გვიცანით და არა თავის გასართობ ნივთად, და მაშინ, მერწმუნეთ, ქალებიც მოახერხებენ თავიანთი დანიშნულების ასრულებას და აღარც არავის შეეზიზღება მათზე საუბარს" (გაფრინდაშვილი ლ., 2008).

შედეგად, ვხედავთ, რომ ქართველი ქალები მე-19 საუკუნის ბოლოსთვის უკვე აქტიურად ცდილობდნენ საზოგადოებრივ სტრუქტურებში მოეძებნათ ის ორგანული პოზიცია, რაც მათ საჯარო სფეროში თვითგამოხატვისა და დამკვიდრების საშუალებას მისცემდა. ეს კი ევროპული იდეის განუყოფელი და აუცილებელი პირობა იყო, როგორც თანასწორობის უმთავრესი ამოსავალი წერტილი. ქალთა ემანსიპაციის იდეურ მომზადებას მოჰყვა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან თვალშისაცემი ფემინისტური მოძრაობის გამოსვლა აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე, რომელიც ძირითადად სოციალუსტურ მოძრაობებთან იყო კავშირში. ამიტომ მათზე შემდგომ თავებში გვექნება საუბარი.

მოდერნიზაციის პირველი ტალღა საქართველოში

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი საგანია შევისწავლოთ მოდერნიზაცია საქართველოში. მისი პირველი ეტაპი კი სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ეს საუკუნე დასავლეთ ევროპაში არნახული მოდერნიზაციის პერიოდად ხასიათდება. ამ საუკუნეში განხორციელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინდუსტრიული რევო-

ლუცია, რაც კაცობრიობის განვითარებისათვის დიდი ნახტომი იყო. ეს ნიშნავდა სოციალურ პროცესს, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება შეიცვალა სოფლის მეურნეობიდან და ხელოსნობიდან ისეთ ეკონომიკაზე, რომელსაც სჭირდება მექანიზებული ინდუსტრია. ხელნაკეთი საქმნიანობა შეიცვალა ქარხნებითა და ფაბრიკებით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ მოდერნიზაციას განიცდიდნენ. სიახლე იყო ასევე სოციალურ წყობაში. მოდერნიზაცია ადაიანთა ცხოვრებასაც შეეხო და ფეოდალური სისტემიდან, საზოგადოებების ფენებად სეგმენტაცია მოხდა. ყოველივე ამას თან ერთვოდა სწრაფი ურბანიზაცია, რაც სოფლების ხარჯზე ქალაქების სწრაფ განვითარებას და გაფართოებას მოითხოვდა (სეხნიაშვილი, 2000).

ამ ფონზე, რუსეთის იმპერია ძველებურად აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, რომლის მოსახლეობის 76% ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა მიწას ძველებური თოხით და კავით ამუშავებდა და არა მოდერნიზებული ტექნიკით. შესაბამისად, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა რამდენჯერმე ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. მაგალითად, რუსეთის იმპერიის მეტროპოლიები დიდი ბრიტანეთის მოსახლეობას 4-ჯერ, გერმანიისას კი 2-ჯერ ჩამოუვარდებოდა. ხოლო იმპერიის განაპირა პროვინციები გაცილებით რთულ მდგომარეობაში იყვნენ. მათ შორის საქართველოც, რომელიც რუსეთის იმპერიის ორ ავტონომიას წარმოადგენდა და თბილისისა და ქუთაისის (აღმოსავლეთ და დასავლეთი) გუბერნიებად იწოდებოდა, რომელსაც პოლიციური მეთოდებით მართავდა ჟანდარმერია. ხოლო სახელმწიფო ბიუროკრატია ისეთ ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენდა, რომ ხალხისთვის თითქმის სრულიად მიუწვდომელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1865 წელს ბატონ-ყმობა გაუქმდა, მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა მაინც შემორჩა. არ მომხდარა საზოგადოების იმდაგვარი მოდერნიზაცია, რომ ისინი სოციალურ კლასებად დაყოფილიყვნენ. ქართულ არისტოკრატია მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა, მაგრამ მათ მფლობელობაში იყო უძრავი ქონების აბსოლუტური უმრავლეოსობა. ხოლო სოციალური გარდაქმნებისთვის იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა. მხოლოდ ერთეულებმა მოახერხეს მეურნეობის მოდერნიზაცია, ევროპიდან ტექნიკის შემოტანა და წარმოაების გაუმჯობესება (ჯანელიძე, 2015).

მოდერნიზაცია არ ეხებოდა მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს. ეს საზოგადოების ტრანსფორმაციას და განვითარებასაც გულისხმობდა. ამ შემთხვევაში კი მოდერნიზაციის განვითარებამ პატარა სახელმწიფოების კულტურებში ადგილობრივი ტრადიციების დათრგუნვის ხასიათი მიიღო, რაც ადგილობრივი კულტურების თა-

ვისთავადობის დაკარგვის ტოლფასი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოდერნიზაცია ევროპული იდეის მატარებელი ხდებოდა და მოდერნიზაცია დასავლური ცივილიზაციის ტიპის განვითარებას, ევროპეიზაციას გულისხმობდა (წერეთელი, კაკიტელაშვილი, 2006). ლიტერატორი ზაზა აბზიანიძე საკუთარ წიგნში „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაში" 1860-იან წლებამდე არსებულ საქართველოს დასახასიათებლად გერმანელ მეცნიერს ფრიც რიმანს იშველიებს და იმ დროის ქართულ საზოგადოებას მოიხსენიებს, როგორც ცვლილებების წინაშე შიშით შეპყრობილს, რომელიც ოჯახური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, მორალური, მეცნიერული თუ რელიგიური ტრადიციები დოგმატიზმამდე ჰყავდა დაყვანილი. ეს საზოგადოება ყალბი პრინციპულობით, ცრურწმენებითა და ფანატიზმით გამოირჩეოდა და რაც უფრო ჯიუტად იცავენ ადამიანები საკუთარ ტრადიციებს, მით უფრო შეუწყნარებლები ხდებოდნენ მათი მოწინააღმდეგის მიმართ. ასეთი შიშებით დაავადებული ქართული საზოგადოება დახვდათ „თერგდალეულებს" მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ეს უკანასკნელნი კი მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდნენ მოდერნიზაცია მოეხდინათ ასეთი საზოგადოების, რასაც არა მარტო ლიტერატურითა და პრესით ახორციელებდნენ, არამედ კონკრეტული ხელშესახები პროექტებითაც (აბზიანიძე, 2015).

მაგალითად, თბილისში პირველ დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვას უკავშირდება სხვადასხვა მოდერნიზაციული პროექტებიც. პირველ რიგში ეს აისახა განათლებაში. იმის პარალელურად, რომ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით საქართველოში არსებობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", აუცილებელი გახდა პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაც შესაძლებელი ყოფილიყო ადგილზე, საქართველოში. საწყის ეტაპზე, თბილისის მთავრობა ახალგაზრდებს ევროპაში აგზავნიდა. ერთერთმა მათგანმა, ლიდია თამამშევამ, განათლება საფრანგეთში მიიღო, ხოლო თბილისში 1883 წელს დაარსა ჭრა-კერვის სკოლა, რომელიც ფრანგულ განათლების სისტემაზე იყო აგებული. ამავე პერიოდში თბილისში დაიწყო წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის გამართვა, მოეწყო ქალაქის განათება და 1893 წლისთვის ნავთზე მომუშავე ფანრები „ვაშინგტონის" ფირმის ელნათურებით შეიცვალა. ქალაქში გამოჩნდა ელექტრო ტრამვაიც, რომლის მფლობელები ბელგიელები იყვნენ. მოდერნიზაციის ამ ეტაპს უკავშირდება ქიმიური ლაბორატორიის, სხვადასხვა პროფილის საავადმყოფოები, ფსიქიურად დაავადებულთა თავშესაფარის, სამშობიაროს, საქალაქო აფთიაქის მშენებლობა. მოეწყო ბალნეოლოგიური და რეკრეაციული ზონები. გაიხსნა მუზეუმი, უპოვართა სახლი, სასწრაფო დახმარების სამსახური, დაი-

ნერგა მეეზოვეთა ინსტიტუტი. ქალაქის გალამაზების მიზნით, გაიხსნა ვერეს ხიდი, რომელსაც დეკორაციული ფუნქცია უფრო ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული (კაციტაძე, 2011).

მოდერნიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იმ ხანად ინდუსტრიალიზაცია იყო. რაც იმ დროის თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა იყო. საქართველომაც ფეხი აუწყო იდნუსტრიულ გარდაქმნებს. ამ პერიოდში მოხდა შიდამრეწველობის მოდერნიზაცია. შეიქმნა შინამრეწველური ანუ კუსტარული სარეწების 20-მდე სახეობა. მზადდებოდა ნოხ-ფარდაგები, ტყავის, ფეხსაცმლის, თამბაქოს მაუდის სხვადასხვა საქონელი, შალისგან დამზადებული ტანსაცმელი და იარაღი, რომელიც ექსპორტზე გაჰქონდათ. ამ პერიოდში განვითარდა სამთამადნო მრეწველობა. მაგალითად ტყიბულში ქვანახშირის, ალავერდში სპილენძის, ჭიათურაში მარგანეცის, რომელიც მსოფლიო ბაზრის 50%-ს აკმაყოფილებდა. თითოეულ მათგანში ბიზნეს ინტერესები ქჰონდა, როგორც ქართულ კომპანიებს ასევე ინგლისურ, ამერიკულ და ფრანგულ კომპანიებს, რაც საქართველოს დასავლურ ქვეყნებთან კაპიტალისტურ ინდუსტრიულ ფერხულში აბამდა. მოდერნიზაცია განიცადა არყისა და სპირტის წარმოებამ. მან სახლებიდან საწარმოებში გადაინაცვლა. სულ სახელოსნო მოქმედება 2300 ქალაქს და 1700 სოფელს მოიცავდა. მსხვილმა წარმოებამ თანდათან შეავიწროვა და ჩაანაცვლა წვრილი წარმოება. ამის ფონზე მრეწველობამ თანდათან გაიარა კოოპერაციული, მანუფაქტურული და შემდეგ მანქანური ინდუსტრია. ამ მიმართულებით თვალშისაცემი გახდა რკინიგზის მშენებლობა, რომელიც ევროპული მოდერნიზაციის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა. 1872 წელს ინგლისელი კაპიტალისტების აქციონერული საზოგადოების მეშვეობით გაიხსნა თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზი, ხოლო ათ წელში დაემატა ბაქო-თბილისი-ბათუმის ხაზი, რომელიც საქართველოს ტრანზიტულ ქვენად აქცევდა. მალე შიდა დაქსელვაც დაიწყო და გაჩნდა ქუთაისი-ტყიბულის, ხაშური-ბორჯომის, შორაპან-ჭიათურის, თბილისი-თელავის ხაზიც. ხოლო თითქმის 20 წლის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ინგლისელებისგან გამოისყიდა რკინიგზა და ახალი ხაზით რუსეთი საქართველოს გავლით ერევანს დაუკავშირა. ყოველივე ამან განაპირობა რკინიგზის სახელოსნოების განვითარება, რომელიც ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანად გადაიქცა, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო ქართული მოდერნისტული ცხოვრებისთვის. საერთოდ 1880-იანი წლები მანქანური ფაბრიკა-ქარხნების გაბატონების ხანად ითვლება, სადაც 15000-მდე მუშა იყო დასაქმებული (ვახტანგიშვილი, 2014). რკინიგზასთან ერთად აუცილებელი იყო შიდა გადასაადგილებელი გზების მოწესრიგებაც, რომელიც შიდა ტვირთბრუნვას გა-

ამარტივებდა. სოფლის შარა-გზები ცუდ ამინდში ფაქტიურად პროდუქტის გადასატანად გამოუსადეგარი იყო. ამიტომ თანდათანობით გაჩნდა გზატკეცილები, რომელიც ტვირთის გადატანისთვის ფასიანი იყო (თოდუა, 1987).

ერთი შეხედვით ეს ყოველივე მცირე მაგალითია საქართველოს მოდერნიზაციისთვის, მაგრამ ვფიქრობთ საკმარისია მე-19 საუკუნის პატარა ქვეყნისთვის, რომელიც რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. ფაქტია, რომ იმ დროის ქართულ საზოგადოებას დაუოკებელი სწრაფვა გააჩნდა, როგორც მოდერნიზაციის მიმართ ასევე ევროპული იდეისადმი. ამ მხრივ საინტერესო იქნება ჩვენი კვლევის ობიექტების სათითაოდ მიმოხილვა, რომლებიც კონკრეტული მაგალითებით გვაჩვენებენ თუ რა გავლენა ჰქონდათ ქართულ საზოგადოებაზე და როგორ ცდილობდნენ ევროპული იდეის დანერგვასა და მოდერნიზაციას საკუთარ სამშობლოში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

როგორც წინა თავებში ვნახეთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიას წარმოადგენდა და რეალურად იდგა ასიმილიციის საფრთხის წინაშე. სწორედ ამ დროს აქტიურ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის მომზადებისთვის და ევროპული იდეის მატარებელი, მოდერნიზებული სახელმწიფოს შექმნისთვის. უმეტეს წილად ვრცელდებოდა პუბლიკაციები, ნაშრომები, სტატიები, მოთხრობები, რომანები, პოემები, იდგმებოდა სპექტაკლები და ამ მშვიდობიანი გზით ისინი ცდილობდნენ საკუთარი მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ამჟამად განვიხილავთ მათ მიერ ორგანიზებულ და განხორციელებულ ისეთ პროექტებს, რომელმაც დიდი მნიშვნელობა ითამაშა ქართული საზოგადოების მოდერნიზაციაში. თერგდალეულების ლიდერების შესწავლის მაგალითზე ვნახეთ, რომ ყველა მათგანი საზოგადოების მოდერნიზაციის საქმეში განათლებაში ხედავდა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ისევ განათლების საკითხზე" ქართველებს მოუწოდებს მიბაძონ სხვა ევროპულ ერებს, კერძოდ კი გერმანელებს, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა შვილებს მისცენ შესაფერისი განათლება და ამისთვის ბევრ ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე ამბობენ უარს (ჭავჭავაძე, 1985). ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენი განსახილველი პირველი პროექტი სწორედ განათლებას შეეხება.

1879 წელს თერგდალეულების მიერ დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". ამ ორგანიზაციამ გარდამტეხი ნვლილი შეიტანა ქართული საზოგადოების განათლებასა და მოდერნიზაციაში. იგი მხოლოდ საქართველოს საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპაციის პირობებში, 1927 წელს, გაუქმდა (ვარდიაშვილი, 1993). იაკობ გოგებაშვილი იგონებს, რომ 1864 წლის შემდეგ, როდესაც გლეხობა გათავისუფლდა ფეოდალური სისტემისაგან, მრავალი საზოგადო მოღვაწე დარწმუნდა, რომ ნამდვილი გათავისუფლება მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი „გათავისუფლდებოდნენ სიბნელისა და უმეცრებისაგან". ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს რაიმე ორგანიზაციის შექმნა, რომელიც განათლებას მოფენდა ხალხს. ეს უნდა ყოფილიყო ფართო მოძრაობის სახის, რომელსაც ექნებოდა სახელმწიფო ნებართვა და ლეგიტიმაცია. იმ დროს მრავალი წარჩინებული ქართულ ოჯახებში ხდებოდა თავშეყრები

და ბჭობა საქართველოში მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი ოჯახი იყო იოსებ მამაცაშვილის ოჯახი, სადაც არა მარტო ქართველი ინტელიგენცია იკრიბოდბა, არამედ პროგრესულად მოაზროვნე რუსები და საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხები. სწორედ მათ შორის გაჩნდა და ფეხი მოიკიდა აღნიშნული პროექტის იდეამ. ორგანიზაციის დაარსების რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობდა. პირველი, იაკობ გოგებაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, წესდებაში უნდა ჩაწერილიყო, რომ სწავლა განათლება მოხდებოდა მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რუს სახელმწიფო მოხელეებს ექნებოდათ უფლება, ჩაეშალათ სასწავლო პროცესი და მოეთხოვათ სკოლების დახურვა. მეორე, წესდებაზე ხელი უნდა მოეწერათ ისეთ პირებს, ვინც საყოველთაო ავტორიტეტით სარგებლობდნენ, როგორც ქართულ საზოგადოებაში, ასევე გააჩნდათ ნდობა რუსეთის ხელისუფლებასთან და მთავრობის წევრებს არ აღუძრავდა ეჭვებს ორგანიზაციის მიზნებთან დაკავშირებით. ეს საკითხები ასე გადაწყდა: აღმოჩნდა, რომ 1964 წელს იმპერატორის მიერ გამოცემულ რესკრიპტის მიხედვით, სახალხო (და არა საჯარო ან სახელმწიფო) სკოლებს უფლება ჰქონდათ სწავლა-განათლება მიეღოთ მშობლიურ ენაზე. ხოლო წესდებას ხელი მოაწერა არა იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც დათხოვნილი იყო სამსახურიდან მთავრობის პოლიტიკის აქტიური კრიტიკის გამო, არამედ დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც იმ პერიოდში ბატონ-ყმობის გაუქმება მშვიდობიანად განახორციელა და დიდი ნდობით სარგებლობდა მთავრობის წევრებს შორის. ასევე ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ, სხვა მთავრობასთან დაახლოებულმა დიდებულებმა და სომხური წარმოშობის ინტელიგენციამ, ჯამში 126 პირმა (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2007). ორგანიზაციის ფინანსურად უზრუნველყოფაზე ილია ჭავჭავაძემ იზრუნა, რომელმაც სხვა არისტოკრატიის შემწობებით 11,000 მანეთი მოიძია, რაც საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა იმ პერიოდში (უთურაშვილი, 2011).

შედეგად მივიღეთ სახელმწიფო სახელმწიფოში, რადგან რუსული საჯარო სკოლების პარალელურად გაჩნდა ე.წ. სახალხო, მაგრამ ქართული სკოლები, რომელიც სრულად ატარებდა ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის იდეებს. შესაბამისად, ორგანიზაციის წყალობით ხდებოდა არა მარტო სკოლების დაარსება, არამედ არსებული სკოლების დახმარება, ბიბლიოთეკების დაარსება, სახელმძღვანელოების და დამხმარე ნიგნების გამოცემა, ეროვნული მუზეუმის დაარსება, ხელნაწერების შეგროვება და სხვ. კერძოდ, დაარსდა 33 დაწყებითი სკოლა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, წინარეხში, თიანეთში, სენაკში, ხელთუბანში, ვლადიკავკასში, გომარეთში, რეხში,

ყალამშაში, გიორგიწმინდაში, საგურამოში, სტეფანწმინდაში, ბაქოში, ნავთლუღში, გერგეთში, სოხუმში, თელავში, ატენში, სიღნაღში, ფოთში, აკურთაში, ვარიანში, ბორბალოში, წერაქვში, მოდინახეში, გუდაუთაში, ბაისუბანში, არმავირში. ბიბლიოთეკები დაარსდა მარტვილში, ოქუმში, ქუთაისში, თბილისში (6 ბიბლიოთეკა), ახალქალაქში, დიდ ჯიხაიშში, ახალციხეში, ქუთაისში, შილდაში, ხონში, სენაკში, ბაქოში, აბაშაში, ყვირილაში, არგვეთში, ფასანაურში, ზუგდიდში (ვარდიაშვილი, 1993). ილია ჭავჭავაძის ინიციატივით 1881 წელს ბათუმში გაიხსნა ქართული სკოლა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში. ეს მნიშველოვანი იყო, რადგან აჭარა საქართველოს რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგად დაუბრუნდა. ამ დროისათვის ადგილობრივი მცხოვრებლები მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებებით ცხოვრობდა, მათ დაკარგული ჰქონდათ ნაციონალიზმის განცდა და ადამიანების მხოლოდ რწმენით ჰყოფდნენ. მაშინ როდესაც ილია და თერგდალეულები საკუთარი პოლიტიკით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ მათთვის, რომ მათ რჯულსა და საოჯახო წესებს თუ ადათებს არასოდეს არავინ შეეხებოდა, რადგან რჯული ეროვნების განმსაზღვრელი არ არის და ქართველი ყოველთვის ქართველია რა სარწმუნოებასაც არ უნდა ატარებდეს იგი (ბუბულაშვილი, 2003). როგორც ვხედავთ განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობა და ახალი თაობის აღზრდა სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ მოხდა, რომელსაც უნდა ეტვირთა საქართველოს სამომავლო პოლიტიკური და ეკონომიკური მართვა.

პირველი ქართული ბანკი

საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციის გზაზე ალბათ ყველაზე მნიშველოვანი პროექტი, რაც განხორციელდა მე-19 საუკუნის მეოერე ნახევარში იყო ბატონ-ყმობის გაუქმება, კერძო მესაკუთრეობის შემოღება და კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლა. ეს რეფორმა უშუალოდ მოსკოვიდან იმართებოდა და ადგილი ჰქონდა მთელი იმპერიის მასშტაბით. მისი მიხედვით, თავადი თითო გათავისუფლებულ გლეხზე კომპენსაციის სახით, გარკვეულ თანხას იღებდა. ამის მიუხედავად, ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობებს და სისხლიან შეტაკებებსაც კი. მაგრამ საქართველოში, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ ამ პროცესის მშვიდობიანად განხორციელების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით თერგდალეულებს, კერძოდ კი დიმიტრი ყიფიანს. მაგრამ პროცესის სტაბილურად განვითარებისა და სრული მოდერნიზაციისთვის აუცილებელი გახდა კიდევ ერთი მასტაბური პროექტის

განხორციელება, რომელსაც ფინანსური სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება უნდა მოეტანა. ქართული ლიბერალური ფრთის ასეთ პროექტად პირველი ბანკი იქცა, რომელსაც ერქვა „საადგილ-მამულო ბანკი“ და იგი თბილისსა და ქუთაისში გაიხსნა.

აკაკი წერეთელი თავის მოგონებებში იხსენებს, რომ ეს ინიციატივა დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის. მისი განმარტებით, ქართული საზოგადოები ყოველთვის მზად იყო საკუთარი ქვეყნის სამხერდო გზით დაცვისთვის, მაგრამ იგი მოუმზადებელი იყო ფინანსური და ეკონომიკური სახის კონკურენციისთვის. ამის გარდა პრობლემა იყო იმაში, რომ იმპერიის მიერ განხორციელებული რეფორმის პირველ ეტაპზე, თავადაზნაურობას წოდება ჩამოერთვათ, აკრძალათ გლეხებზე ბატონობა, მაგრამ გლეხებს მიწები არ გადასცემიათ. მიწის გამოსასყიდიდან გლეხებს შემოსავლის მეოთხედი უნდა გადაეხადათ ბატონებისთვის და ეს დამატებითი ბიურაკრატიის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. დიმიტრი ყიფიანი ვარაუდობდა, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშული ჩინოვნიკები კერძო ინტერესებიდან გამომიდნარე იმოქმედებდნენ, რასაც მოჰყვებოდა გლეხისა და მემამულის ერთმანეთთან გაუცხოება და კლასობრივი კონფლიქტის წარმოშობა. ყოველივე ამას კი საერთო ეროვნული ინტერესი შეეწირებოდა, რადგან ვიცით, რომ თერგდალეულებისთვის კლასობრივი დაპირისპირება ეროვნულ გათიშულობას ნიშნავდა, რაც შეაფერხებდა დამოუკიდებლობისაკენ გზას. დიმიტრი ყიფიანის აზრით, გამოსავალი იყო იმაში, რომ გლეხებს საკუთრება უნდა მიეღოთ და მიწების მეპატრონეები გამხდარიყვნენ. ამას კი საკუთარი მრავალწლიანი შრომით ვერ შეძლებდნენ. ბატონები კი გლეხებისა და დაქირავებული მუშა-ხელის გარეშე შემოსავალს ვერ მიიღებდნენ და მიწებს გაყიდნენ. ამიტომ უნდა შექმნილიყო ბანკი, სადაც ბატონები მიწებს დააგირავებდნენ, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი ეს მიწები იმ გლეხებს გადაეცემოდათ, ვინც ამ მიწას ამუშავებდნენ. ერთი შეხედვით, ეს იყო ხაფანგი ბატონებისთვის, მაგრამ მეორეს მხრივ, ისედაც საკუთრების დაკარგვისთვის განწირული ბატონების მიწები იმ გლეხებს გადაცემოდათ, რომელმაც იცის შრომისა და საკუთრების ფასი. ამას გარდა დიმიტრი ყიფიანს ბანკისათვის თანხის მოსაძიებლადაც საინტერესო აზრი ჰქონდა. რეფორმის პერიოდში ბატონებს თითო განთავისუფლებულ გლეხზე გარკვეულ თანხას უხდიდა (20-25 მანეთი). ამ თანხის 10% უნდა დაეთმოთ ბატონებს, რაც ბანკის კაპიტალს მოხმარდებოდა. ხოლო ბანკის შემოსავლის ნაწილს ისევ ეს ბატონები მიიღებდნენ, როგორც აქციონერები (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2007). პირველი ქართული ბანკის მკვლევარი ასათიანი კი პირიქით წერს. მისი აზრით დიმიტრი ყიფიანის მიზანი,

სწორედ გაღარიბების გზაზე მყოფი თავად-აზნაურობის გადარჩენა იყო. ამ მოტივით, ბანკში დაგირავებული მიწები თავადებისთვის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკს კი არ უნდა ჩამოერთვა, არამედ დროებით შეენახა, სანამ მემამულე თანხას არ მიიტანდა, რითაც შენარჩუნებული იქნებოდა ძველი მესაკუთრეობა. ჯაკი წერეთელი კი უბრალოდ ვერ ერკვეოდა ბანკისა და საფინანსო საკითხებში, ამიტომ იგი ყველაფერს თავის მცდარ ინტერპრეტაციას აძლევდა (ასათიანი, 1994).

საბოლოოდ, დიმიტრი ყიფიანის ბანკის იდეა მოწონებული იქნა, როგორც სხვა საზოგადო მოღვაწეების მიერ, ასევე მთავრობის მიერ. მაგრამ თავადაზნაურობაში ბანკის შინაარსის და ტექნიკურ მხარეზე შეუთანხმებლობის გამო, ბანკის დაარსება თითქმის 7 წელი გაიწელა. საბოლოოდ, მისი წესდების შემუშავება ილია ჭავჭავაძემ და მისმა მომხრეებმა ითავეს, რასაც შემდგომ მოწინააღმდეგე ფრთაც დაეთანხმა. ამას ისიც დაემატა, რომ სამთავრობო ბიუროკრატიის გამო ილიას პეტერბურგში 1 წელი დასჭირდა ცხოვრება, რათა საბოლოო ნებართვა მიეღო ბანკის ფუნქციონირებისთვის. ამ ხნის განმავლობაში მან შეაღწია პეტერბურგისა და მოსკოვის ბანკებში და საფუძვლიანად გაეცნო მათ ფუნქციენირებას. საბოლოოდ ბანკი 1875 წელს დაარსდა, მის მმართველად კი ილია იქნა არჩეული, რომელიც 30 წელი განაგებდა მას. იგი წერდა „ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენი ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს“ (ასათიანი, 1994).

მიუხედავად იმისა, რომ ბანკი თავად-აზნაურების მიერ იყო დაარსებული და მოგებას ისინი ინაწილებდნენ, ბანკი უნდა მომსახურებოდა არა მხოლოდ თავად-აზნაურობას, არამედ ყველას წოდებრივი განსხვავების მიუხედავად. მისი მიზნები კი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

1. ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის გაზრდას;
2. ხელი შეუწყოს საყოველთაო განათლების გაზრდას;
3. გასცეს კრედიტები, როგორც ფულადი, ასევე გირავნობის ფურცლებით;
3. გრძელვადიანი კრედიტების გაცემა სოფლის მემამულისათვის 43,6 წლიანი, ხოლო ქალაქის მესაკუთრისათვის 18,7 წლიანი, უზრუნველყოფილი არა საკუთრების ფასით, არამედ შემოსავლით;
4. მოკლევადიანი (1-3 წლიანი) კრედიტების გაცემა სახელდა-

ხელო საწინდარით უზრუნველყოფა (ეს ქართულად არ მესმის რა არის, არათუ ინგლისურად);

5. ანაბრების მიღება და მათი ბანკის კაპიტალით უზრნველყოფა, რომელიც რისკების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფილია გირაოებით;
6. პირველად საქართველოს ისტორიაში გლეხებისათვის კრედიტების გაცემა;
7. მყარი კრედიტების გაცემა ვენახებისათვის;
8. ანგარიშების ოპერაციები, თამასუქების დახურდავება და სხვ.

ბანკის მმართველ რგოლს წარმოადგენდა თავადაზნაურთა საგუბერნიო კრება, ზედამხედველი კომიტეტი და ბანკის გამგეობა, რომელიც შედგებოდა სამი წევრისაგან: თავმჯდომარისა და ორი დირექტორისაგან. ბანკის კაპიტალს შეადგენდა 160,000 მანეთი იმპერატორის მიერ ნაბოძები და 80,000 მანეთი თავადაზნაურობის მიერ აკრეფილი. კაპიტალის შემომტანი თავადები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ. პირველი, ისინი ვინც გლეხების გათავისუფლებისთვის კომპესაციდან მირებული თანხის 20% გადაიხადა ბანკის ბიუჯეტში; მეორენი, ვინც მხოლოდ 5% გადაიხადა და მესამენი, ვისაც ყმები არ ჰყავდა, შესაბამისად არ მიუღია კომპენსაცია და თავისი შემოსავლის 10% გადაიხადა. ჯამში სამივე კატეგორიის დამფუძნებელთა რიცხვი 706 იყო, ხოლო საუკუნის ბოლოსათვის მათი რიცხვი 1759-მდე გაიზარდა. გარდა ბანკის აქციონერობისა, მათ სესხების მიღებების პირობებზეც შეღავათები გააჩნდათ. მაგალითად, გრძელვადიან კრედიტებს ისინი წლიური განაკვეთით 0,25%-ში იღებდნენ, ჩვეულებრივი მსესხებლები კი 1%-ში. მოკლევადიან სესხებზე კი 5%-ს, 8%-ის ნაცვლად, რომელიც ჩვეულებრივი კლიენტებისთვის იყო დაწესებული (ასათიანი, 1994).

თავდაპირველად ბანკს მხოლოდ თბილისის გუბერნიის ფარგლებში შეეძლო საქმიანობა, ხოლო მოგვიანებით 1881 წლიდან მისი ფუნქიონირების სფერო გავრცელდა ქუთაისის, ერევნის, ბაქოს და ელიზავეტის გუბერნიებზეც, ანუ მთელს სამხრეთ კავკასიაზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საკრედიტო ოპერაციები (ასათიანი, 1994). ხოლო თუ ბანკის დაფუძნებისას მისი კაპიტალი 240,000 მანეთს შეადგენდა, 25 წლის შემდეგ ეს თანხა მისი ყოველწლიურ შემოსავალს წარმოადგენდა. ბანკის მამინდელი მართველების დამსახურებით, ბანკში შეიქმნა ისეთი საბანკო მომსახურების სისტემა, რომელიც მაშინდელი სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფენისათვის მისაღები აღმოჩნდა. სწორედ მის საფუძვლებზე განვითარდა შემდგომში საქართველოს ეროვნული ბანკი (თელია, 1989).

ბანკის წლიური მოგებისაგან, რაც ყველა ხარჯისა და ზარალის გადახდის შემდეგ დარჩებოდა 45% უნდა გადასულიყო იმ ფო-

ნდში, რომლის მიხედვითაც დაფინანსდებოდა სტიპენდიები, გზები, სარწყავი არხები და სხვ. ბანკი დაარსების დღიდან ეწეოდა საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით თანხების გაცემას. მან ამ კუთხით 2 მილიონი დახარჯა, რაც მოიცავდა სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ ეთნოგრაფიულ და საგანმანათლებლო პროექტებს. მათ შორის იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობა, რომელიც ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაა (თელია, 1989).

თუმცა, ბანკს და მის მართველობას მოწინააღმდეგებიც ყავდნენ. დღევანდელი გადმოსახედიდან მეტად მცირე პროცენტის მიუხედავად, იყვნენ ადამიანები, ვინც მაშინაც პროცენტის დაწევას მოითხოვდნენ. მაგალითად, 1881 წელს კრედიტების გაიაფებასთან დაკავშირებით ბრალდებებით გამოდის დავით ყიფიანი. თუმცა ილია მიიჩნევდა, რომ კრედიტის გაიაფება ბანკის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. მას ფულის ბაზარი განსაზღვრავს, რაც საერთო ეკონომიკური მიმდინარეობის კანონებს ექვემდებარება და ამ კანონებზე კი ბანკს ხელი არ მიუწვდება. იგი თავისი ნებით პროცენტს ვერც დაწევს და ვერც აწევს (ნათმელაძე, 2009).

ილიამ ბანკის მმართველის თანამდებობა სიცვდილამდე 2 წლით ადრე, 1905 წელს პროტესტის ნისნად დატოვა, რადგან მთავრობა და რეაქციული თავად-აზნაურობა აიძულებდა ბანკის სახსრები გამოეყენებინა გლეხების და მუშების მასობრივი გამოსვლების წინააღმდეგ. ეს კი ილიას იმ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, რომელიც დღეს ჩვენი კვლევის საგანია და რომელსაც ფაქტიურად თავი შეწირა.

ნიკო ნიკოლაძის ინფრასტრუქტურული პროექტები - ფოთის პორტი

ნიკო ნიკოლაძე (1943-1928) გამორჩეული ფიგურა იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი თერგდალეულების ახალ თაობას წარმოადგენდა და მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის, როგორც იდეოლოგიური პოპულარიზაცია, ასევე ამ იდეების კონკრეტული პროექტების სახით განხორციელება. იგი ასპარაზზე 1860-იან წლებში გამოჩდა. მან განათლება ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი ციურიხში, შვეიცარიაში მიიღო. რამდენიმე წელი ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც აქვეყნებდა საკუთარ სტატიებს. მას თანამშრომლობა და მიწერ-მოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ემილ ზოლასთან და დასავლეთ ევროპაში გამოჩენილ სხვა საზოგადო მოღვაწეებთან (აბზიანიძე, 2015). მე-19 საკუნის

მეორე ნახევრში კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარებულ ფონზე საქართველოს განვითარებისთვის ნიკო ნიკოლაძეს მხოლოდ თავისუფლება და ეროვნული თვითგამორკვევა საკმარისად არ მიაჩნდა. ამიტომ იგი წერდა კრედიტზე, მიწათმოქმედებაზე, მრეწველობაზე, თვითმმართველობაზე და ყველა სხვა ეკონომიკურ საკითხზე (ელჩიბეგაშვილი, 2006). მისი სიტყვებით, „ხალხში ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა მისი ეკონომიკური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიკურად გათავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა“ (გაფრინდაშვილი მ., 1988). ნიკო ნიკოლაძე საბაზრო ეკონომიკას მიიჩნევდა დემოკრატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინამძღვრად. კერძო საკუთრება და თავისუფალი ბაზარი უნდა ყოფილიყო დემოკრატიის სიმყარის ერთ-ერთი გარანტი (ჯიჯეიშვილი, 1999).

იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და იქ მცხოვრებ ხალხს, როგორც განათლებულებს და მისაბაძებს ისე უყურებდა. მას სჯეროდა, რომ მხოლოდ მათგან შეიძლებოდა იმ ცოდნის მიღება, რაც მოქალაქეების კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. იგი წერდა, რომ „ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ევროპული წესი და ცხორება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოდ უნდა მიგვაჩნდეს... ჩვენთვის მეტის მეტად შესახარბებელია სხვა ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა იმათ თავიანთ აკვანში როდი უპოვიათ. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ თუ რანაირად და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდე, რა და რა წესი და განწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლად და გასაძლიერებლად“ (ჩიქვილაძე, 2016).

მას სჯეროდა, რომ ადამიანის შრომის გარეშე განვითარება ვერ დადგებოდა, ხოლო იქ სადაც ადამიანი იშრომებდა უკაცრიელი ადგილიც კი თანამედროვე ქალაქებად გადაიქცეოდა. მისი თქმით, „ასი ათასი მაგალითი მოხდა ქვეყანაზე იმისა, რომ ხალხი, რომელიც ნოტიო, ჭუჭყიან ადგილებში იდგა და მრავალი საუკუნის განმავლობაში უძლური, ავადმყოფი და ღარიბი იყო, თავისი საკუთარი მოხერხებით და შრომით გამოვიდა ამ უბედურებისგან. ამ სასწაულმოქმედებაში არც ზეგარდმო მოვლინება გარეულა, არც ბუნების კანონები შეცვლილა. მოხდა ეს ცვლილებები მარტო იმის გამო, რომ კაცმა გაიგო რა იყო უბედურების ნამდვილი მიზეზი... და რა კანონების ძალას შეუძლია მისი მოსპობა“ (ელჩიბეგაშვილი, 2006).

ნიკო ნიკოლაძე რამდენიმე წელში გამოეყო ილია ჭავჭავაძის გუნდს და უფრო რადიკალური გზა აირჩია. იგი პირველი ქართული ბანკის ილიას პროექტსაც არ უჭერდა მხარს და უფრო გლეხებზე

ორიენტირებული სისტემის მომხრე იყო. თავისი რევოლუციური შეხედულებების გამო იგი თბილისიდან სტავროპოლში 8 წლით გადაასახლეს კიდეც, მაგრამ არც დაბრუნების შემდეგ აუღია ხელი საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თავისუფლების ბრძოლაზე. იგი არჩეული იქნა თბილისის თვითმმართველობაში, ხოლო ოთხჯერ ზედიზედ იყო ქალაქ ფოთის ხელმძღვანელი 1894-1912 წლებში, რა დროსაც განახორციელა მრავალი მოდერნისტული პროექტი, რომელთაგან აღსანიშნავია ფოთის პორტის მშენებლობა (ჯანელიძე, 2010).

მის სახელს უკავშირდება ჭიათურა-შორაპნის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელმაც ამ რაიონიდან მარგანეცის ტრანსპორტირება გაადვილა, რაც მან ბრიტანეთიდან კრედიტის აღებით მოახერხა. მას უკავშირდება თბილისის წყალსადენის მშეებლობაც, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაც, ფოთი-თბილისისა და ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაც, სკოლების, ამბულატორიების, საფოსტო განყოფილებების, რკინიგზის სადგურების, გვირაბების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (აბზიანიძე, 2015).

ოცი წლის განმავლობაში ნიკო ნიკოლაძემ ორი მთავარი მიზანი დაისახა: ერთი ქალაქი ფოთის ახალი გეგმის მიხედვით მოდერნიზაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ურბანული განვითარება და მეორე ფოთის პორტის მოდერნიზაცია, მისი გამტარუნარიანობის გაზრდა, აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა (შუბითიძე, 2013).

ნიკოლაძის მეთაურობით შედგენილ იქნა ქალაქის ახალი განაშენიანების გენერალური გეგმა. გათვალისწინებულ იქნა ქალაქის გაფართოების შესაძლებლობები. დაიგეგმა განიერი ქუჩები ჭადრაკული წესით, ფართო, წრისებური მოედნები (შუბითიძე, 2013). მან ქალაქის თავად მუშაობის პერიოდში ჩამოაყალიბა თავისი მუშაობის კრედო: „არც ერთ თანამდებობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, სარწმუნოებრივი თუ ნაციონალური მიდრეკილება. ყველასაგან ვთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ (აბზიანიძე, 2015).

მან მოახერხა პატარა დაჭაობებული დაბა გადაექცია თანამედროვე საპორტო ქალაქად. ამ პერიოდში ქალაქის გარშემო აშენდა დამცავი ჯებირი, რომელიც სათანადო სადრენაჟო სისტემასთან ერთად ქალაქს რაიონის ადიდებისას მოვარდნილი წყლისგან იცავდა. ქალაქში აშენდა რამდენიმე ხიდი, ქვით მოიკირწყლა ქალაქის ქუჩები, გაიყვანეს ტელეფონის ქსელი, აშენდა ელექტროსადგური, რომელიც ქალაქს და პორტს ამარაგებდა. თანამედროვე სასწავლო

შენობები, რკინიგზის სადგური და ელევატორიც ამ პერიოდს უკავშირდება. პორტის რეკონსტრუქციისას კი პირველად საქართველოში გამოყენებულ იქნა ბეტონი, რომელმაც ფოთი საერთაშორისო ნავსადგურად აქცია (აბზიანიძე, 2015). ფოთის მმართველობის პერიოდში მან დაარსა ადგილობრივი ბანკი, სადაც საქართველოში პირველმა გამოსცა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ქალაქის კეთილმოწყობასას მოახმარა (შუბითიძე, 2013).

1913 წელს ჟურნალი „კლდის" კორესპონდენტი ადარებს ფოთს ნიკო ნიკოლაძის მერობამდე და მერობის შემდეგ: „ოცი წლის წინ ფოთი მოზრდილ სოფელს ჰგავდა, წუმპე-ტალახიანი ბნელი ქუჩები, ხის პატარა სახლები, ჭუჭყიანი უშნო დუქნები, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, უძალღონო, უფერული ხალხი, ირგვლივ ჭაობები... ოცი წლის თავზე კი მშვენიერი ქალაქი, დამშრალი ჭაობები, ვრცელი და სწორი მოკირწყლული ქუჩები, ხისა და ქვის ორსართულიანი ლამაზი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული ბაზარი და კოხტა დუქნები, პატარა წყალსადენი, ცხენის კონკა და ელექტრონით განათება. ფოთის ნავსადგური სავსეა ოკეანის გემებით და მათი საქონლის გატანა-შემოტანა უდრის წლიურად 100 მილიონ ფუთს". გარდა კორესპონდენტის თვალით დანახულისა, ნიკო ნიკოლაძის სახელს ფოთში სხვა მოდერნისტული პროექტებიც უკავშირდება. ესენია: ქალაქის გარშემო შემოვლებული ჯებირი, რომელიც მას დატბორვისგან იცავდა; სამი ხიდი, რომლიდანაც ორი ძირითად ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს, ხოლო მესამე ფოთელებისთვის მასაზრდოებელ გურიის რეგიონთან; ელექტროსადგური, რომელიც ქალაქის განათებას უზრუნველყოფდა; ტელეფონის ქსელი, რომლებიც ქუჩებს მიუყვებოდა; თანამედროვე კაპიტალური შენობები გიმნაზიისა და სკოლებისათვის; ასევე კაპიტალური შენობები საავადმჰოფოსა და პოლიციისათვის; წყალსაცავი, რომელიც მოსახლეობას სუფთა სასმელ წყალს აწვდიდა; ქალაქის კოშკი და მის გვერდით უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე, რომელსაც მოგვიანებით მეორე აია-სოფია უწოდეს; ასევე სასაქონლე საწყობები და ადგილობრივი კულტურული დანესებულებები (ბაქრაძე, 1996).

ნავსადგურის მშენებლობა ნიკო ნიკოლაძის მერობამდე 25 წელი გრძელდებოდა, 7 მილიონ მანეთზე მეტიც დაიხარჯა, მაგრამ ამოუდ. ნავსადგური გემების წყნარი დგომისათვის სრულიად მოუხერხებელი იყო, ქარიშხალის დროს კი გემების ღუზა იგლიჯებოდა და ისინი ხშირად იმტვრეოდნენ. ნიკო ნიკოლაძემ 3 წელი მოანდომა ფოთის პორტის პროექტის და ბიუჯეტის დამტკიცებას. იგი იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ აფრიკის მნიშვნელოვან საპორტო ქალაქებში. შეისწავლა და გაანალიზა მათი სტრუქტურა და ტვირთბ-

რუნვის მექანიკა. ფოთში კი ეს გამოცდილება ადგილობრივ პირობებს მოარგო. ტვირთბრუნვის გაძლიერების მიზნით პორტში დანერგა ელევატორი და ელექტროსადგური რამაც შეცვალა ტვირთის მამა-პაპაური წესები, ვაგონების ნიჩბებით დაცლა და გემების კალათებით დატვირთვა. შესაბამისად განხორციელდა პორტის ელექტრიფიკაცია და მექანიზაცია (შუბითიძე, 2013).

1912 წელს ნიკო ნიკოლაძე ქალაქის მერობიდან გადააყენეს, რუსეთის მთავრობის ჩარევით. მოგონილი ბრალდებებით სასამართლო 1916 წლამდე გაიწელა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალი ვერ დაუმტკიცეს, მაინც დააჯარიმეს (ჯანელიძე, 2010).

ნიკო ნიკოლაძე იყო „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. იგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ავტორი და ხელისმომწერი. ამის გამო მან ღრმად მოხუცებულობა შიდაპატიმრობაში და საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციაში გაატარა, თუმცა მისი სახელი შემორჩა, როგორც საქართველოს ყველაზე პრაქტიკოსი, საქმიანი და მოდერნისტი სახელმწიფო მოღვაწე (აბზიანიძე, 2015). არავის მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესული და ევროპული აზრი, რამდენიც შემოიტანა ნიკო ნიკოლაძემ, წერდა სიმონ ხუნდაძე (1927, 182). ჟურნალი „კლდე" კი წერდა ნიკო ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკული და საქმიანი (ჯანელიძე, 2015).

დავით სარაჯიშვილი - წარმატებული მეწარმის ქეისი

ევროპეიზაციისა და ქართული პოლიტიკური აზროვნების მკვლევარი ვახტანგ შუბითიძე დავით სარაჯიშვილს (1848-1911) საქართველოში ევროპული ტიპის პირველ ბიზნესმენს უწოდებს (შუბითიძე, 2013). დღესაც კი არსებობს დავით სარაჯიშვილის სახელობის კონიაკი, რომელიც ქართული პროდუქტებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ბრენდია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი მოღვაწეობის ქეისი საუკეთესო მაგალითია ქართული მოდერნიზაციის გზაზე. ჩვენ აღნიშნულ თავში მიმოვიხილავთ მის მიერ პირველი ქართული კონიაკის დაარსების ისტორიას, დაგეგმვიდან მსოფლიო ბრენდად ქცევამდე.

დავით სარაჯიშვილის წინაპრები ცნობილი ქართველი ვაჭრები იყვნენ. მისი მამაც ცნობილი კომერსანტი და ქველმოქმედი იყო. მისი მეშვეობით დავითმა განათლება მიიღო ჯერ თბილისში, შემდეგ პეტერბურგში, შემდეგ მიუნჰენში და შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო ქიმიის დოქტორის ხარისხი. ამის შემდეგ იგი

სწავლას განაგრძობდა ჰოპენჰეიმისა და ჰალეს უნივერსიტეტებში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განრიხ, ხოლო საფრანგეთში შეისწავლა მევენახეობისა და მეღვინეობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები (ჩიმაკაძე, 2003).

შუბითიძის თქმით, სარაჯიშვილი იყო ევროპული მასშტაბის ქართველი მეწარმე და თანამედროვე მარკეტინგული აზროვნების მატარებელი ბიზნეს-ორგანიზატორი. მისი სანიმუშო სამეწარმეო მოღვაწეობა არა თუ იმ ეპოქის დონეზე იდგა, არამედ 20-30 წლით უსწრებდა მე-20 საუკუნის ევროპა-ამერიკის ბიზნესის წარმოების ფილოსოფიას, რომელიც საბოლოო სახით 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა და მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში შევიდა როგორც „მარკეტინგის ეპოქა". შუბითიძე აღნიშნავს, რომ სარაჯიშვილი ფლობდა, როგორც მარკეტინგული ცნების 4P-ის (Product, Price, Place, Promotion) თეორიის ღრმად გააზრებული მეცნიერულ მიდგომას, ასევე ამატებდა მეხუთე ელემენტს, კიდევ ერთ P-ს, რაც აღნიშნავს Patria-ს, იგივე სამშობლოსადმი სიყვარულს და მისთვის სამსახურს (შუბითიძე, 2013).

თავდაპირველად დავითმა საქართველოს გარემო პირობების და ბაზრის დეტალური შესწავლა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მეღვინეობის მრავალათასწლიან გამოცდილებას ინახავდა, ამ ქვეყანაში კონიაკი სრულიად ახალ ხილს წარმოადგენდა. დავითმა დაადგინა, რომ საქართველო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კონიაკის დასამზადებლად. მან შეარჩია კონკრეტული ვაზის ჯიშები, რომლითაც მოხდებოდა ახალი პროდუქტის დამზადება. ამასთან რისკი დიდი იყო, რადგან პროდუქტი უნდა დამზადებულიყო მხოლოდ ძვირადღირებულ მაღალტექნოლოგიურ ბაზაზე, რომელსაც დასავლეთ ევროპიდან შემოიტანდა და პირველი პროდუქტის რეალიზაცია მხოლოდ 8 წლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ეს რა თქმა უნდა, დიდ რისკს წარმოადგენდა, მით უფრო იმ პირობებში, რომ რუსეთის იმპერიის კონიაკის ბაზარი თითქმის მხოლოდ ფრანგულ პროდუქტს ჰქონდა დაკავებული. ამის მიუხედავად, დავითმა ზუსტი და გაბედული მრავალწლიანი გათვლა გააკეთა. დასავლეთ ევროპიდან უზრუნველყო არა მხოლოდ ქარხანა-დანადგარების უახლესი მოდელების იმპორტი, არამედ კონიაკის სპეციალისტების საცხოვრებლად მოწვევა, რითაც ღირსეულად დაიწყო ჯერ კონკურენცია, შემდეგ კონკურენტებზე გამარჯვებაც (შუბითიძე, 2013).

სარაჯიშვილის ფირმა საკუთარი გვარის სახელზე, რომელიც იმ პერიოდში რუსული დაბოლებით ანუ სარაჯევად მოიხსენიებოდა, უშვებდა ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახეობას, მათ შორის ლიქიორებსაც, სულ 60-მდე დასახელების სასმელს. ბრენდის სრული სახელი იყო „სარაჯიშვილი, კავკასიის ნატურალური კონიაკი".

არსებობდა კონიაკის 1, 2, 3, 4, 5 ვარსკვლავიანი კონიაკები. მის პროდუქციაში შედიოდა 14 ნლიანი დაძველების კონიაკიც. სარაჯიშვილმა პირველი ქარხანა თბილისში გახსნა, მაგრამ მალევე მოჰყვა მას ერევანი, კალარანში (დღევანდელი მოლოვა), ბარგუშეთსა და გოგჩაში (ბაქოს გუბერნიაში), კარუმოვში (თერგის ოლქში, დღევანდელი ჩეჩნეთი), ელისავეტპოლში (დღევანდელი აზერბაიჯანი) და ვლადიკავკაზში (შუბითიძე, 2013). ხოლო გასაღების ბაზრებს საქართველოს გარდა წარმოადგენდა მოსკოვი, პეტერბურგი, ვარშავა, რიგა, ნოვგოროდი, ხარკოვი, როსტოვი, კალარა, პეტროვსკა, ყიზლარი, ერევანი, ბაქო, ვლადიკავკაზი (ნანიტაშვილი, 1993) და ევროპის ისეთი ქალაქები, როგორიცაა ლონდონი, ვენა, ჟენევა, პარიზი, ბერლინი, სტამბოლი და სხვა. სარაჯიშვილის კომპანიამ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის გამოფენა-კონკურსებზე აიღო 8 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი ჩიკაგოდან, აშშ. ასევე 1 საპატიო დიპლომი (ვახტანგიშვილი, 2014). ფაქტია, რომ მსგავსი მასშტაბის სადისტრიბუციო ქსელის გამართვა და ბაზრისთვის პროდუქტის შეუფერხებლად მიწოდება იშვიათ კომპანიებს შეეძლოთ, მით უფრო ეს წარმოუდგენელი იყო საქართველოს მსგავსი იმპერიის პროვინციისთვის. სარაჯიშვილმა ააწყო ბაზრის მართვის მთელი სტრუქტურა საწყობების, მაღაზიების, სავაჭრო წარმომადგენლობების და სავაჭრო აგენტების სახით, რომლებიც ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრზე იყვნენ დაშორებულნი. ეს ყველაფერი კი ცენტრალურ ოფისს ტელეგრაფის მეშვეობით უკავშირდებოდა, რითაც ხდებოდა პროდუქტის ოპერატიული გადანაწილება. ასეთმა ორგანიზებულობამ ხელი შეუწყო ფირმის ტრანსნაციონალურ კომპანიად ჩამოყალიბება, პროდუქტის ფასების შემცირება და უმაღლესი ხარისხით რუსეთის იმპერიის ბაზრიდან ფრანგული კონკურენტების თანდათანობით გამოდევნა (შუბითიძე, 2013).

საინტერესოა როგორ ახდენდა დავით სარაჯიშვილი საკუთარი ფირმის პრომოუშენს. რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა იმ პერიოდში ან ჩანასახოვან მდგომარეობაში გვხდებოდა ან საერთოდ არ არსებობდა. ეს ორივე კი სარაჯიშვილის წარმატების გზის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. თავდაპირველად მოხდა სარაჯიშვილის ფირმის ლოგოტიპის დანერგვა. თითქმის ყველა კომპანია იმ პერიოდში მხოლოდ სახელის წარწერით შემოიფარგლებოდა. სარაჯიშვილის გვართან კი ყოველთვის იყო კლდეზე შემდგარი ჯიხვის გამოსახულება, რომელიც კავკასიიდან წარმოშობას მიუთითებდა და დღემდე წარმოადგენს კომპანიის ლოგოს. დავითი ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა ბოთლის ფორმას, ეტიკეტებს და პოსტერებსაც კი. აღსანიშნავია, რომ სარაჯიშვილმა კოკა-კოლამდე 8 ნლით ადრე

გამოიყენა საკუთარ პოსტერზე საზოგადოებისთვის ცნობილი სახე (სელებრითი). ქართულ კონიაკს რეკლამას მაია ბაგრატიონ-დავითაშვილი, კოკა-კოლას კი ჰილდა კლარკი უწევდა (შუბითიძე, 2013).

ამასთან დავით სარაჯიშვილი უდიდეს ფინასებს ახმარდა საკუთარი მუშახელის განათლებას, გადამზადებას და ქველმოქმედებას. იგი წერა-კითხვის მცოდნე მუშებს ხელფასს უმატებდა, გახსნა სამკითხველოები, საკვირაო სკოლები, დაუწესა 8 საათიანი სამუშაო დღე, 14 დღიანი შვებულება, სიცოცხლის დაზვევა, პრემიები და საჩუქრები დღესასწაულებზე. დაარსა სპეციალური კომიტეტი, რომლითაც ავლენდა ნიჭიერ ახალგაზრდებს და აფინანსებდა მათ საზღვარგარეთ სწავლა-განათლებას. მისი სტიპენდიანტები არიან შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი; მხატვრები მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი; მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, საქართველოს მომავალი პატრიარქი კირიონ მეორე და სხვა (შუბითიძე, 2013).

რაც შეეხება დავით სარაჯიშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს, იგი აქტიურად თანამშრომლობდა თერგდალეულებთან, განსაკუთრებით მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან და აფინანსებდა თითქმის ყველა ეროვნული მნიშვნელობის პროექტს (ჩიმაკაძე, 2003). მისი სასახლე, შემდგომში მწერალთა კავშირის ბინა, წარმოადგენდა საზოგადოების ცხოვრების ცენტრს და არ იყო იმ დროისათვის რაიმე კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივი ინტერესების შემცველი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიც მას, მის მეუღლეს და მის ოჯახს მონაწილეობა არ მიეღოს. ამასთან ეს სახლი მუდამ ღია იყო უცხოელი სტუმრებისთვის (ნანიტაშვილი, 1993).

დავით სარაჯიშვილმა მთელი თავისი ქონება ანდერძით ქართველ ხალხს დაუტოვა, მათ შორის 250,000 მანეთი მუშებს და მომსახურე პერსონალს. 300,000 მანეთი კი სხვა თერგდალეულების მსგავსად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. თითქმის მთლიანად მისი თანხებით აშენდა მომავალი თბილისის უნივერსიტეტი, თანხები მოხმარდა ეკლესიებს, თეატრებს, გაზეთებს, საისტორიო საზოგადოებებს და ა.შ. (შუბითიძე, 2013).

სამწუხაროა, რომ ჩვენი კვლევის პირველ ნაწილში ნახსენები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპული იდეის მატარებელი საზოგადო მოღვაწეებიდან საქართველოს დამოუკიდებლობას მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე მოესწრო. ყველა მათგანი, ვინც მთელი თავისი ცხოვრება დაუთმო და სიცოცხლეც კი გაწირა საქართველოს დამოუკი-

დებლობისაკენ სწრაფვას, სახელმწიფო-ერის ჩამოყალიბებას, საზოგადოების განათლებას და მოდერნიზაციას, ვერ იხილა საკუთარი ოცნების რეალიზება. თუმცა ისიც სამწუხაროა, რომ სქართველოს დამოუკიდებლობის მათგან ერთადერთმა თვითმხილველმა ისიც იხილა, რომ ამ მოღვაწეებისგან დანატოვარი ქონება, შრომა და ღვაწლი, რომელიც კვლავ საზოგადოების სწავლა-განათლებას, მოდერნიზაციას, განვითარებას, თავისუფლებასა და ევროპულ იდეას უნდა მოხმარებოდა, როგორ მოექცა ბოლშევიზმის, კომუნიზმის დიქტატისა და ახალი იმპერიის მარწუხებში.

თავი 3.
სოციალ-დემოკრატიული ცვლილებების მომზადება

მოდერნიზაციისა და ევროპული ტიპის ცხოვრების დანერვის მეორე პერიოდი იყო სოციალურ-დემოკრატების ეპოქაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დროს. ეს პერიოდი ძალიან მცირე ხნით გაგრძელდა, მაგრამ ქართველმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ელიტამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, რომლებიც ევროპული იდეებით იყვნენ აღვსილნი მაინც შეძლეს აყოლოდნენ ევროპულ ტენდენციებს და გარკვეულწილად მოეხდინათ საქართველოს მოდერნიზაცია. თუ ლიბერალური იდეების ფართოდ გავრცელება დროში ცოტა ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპაში გავრცელების პერიოდს, სოციალ-დემოკრატიული იდეები იმავე პერიოდში ვრცელდებოდა სქართველოში. მეტიც, ქართველი სოციალ-დემოკრატები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ იდეების ფორმირებასადა იმპლემენტაციაში, არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ რუსეთის იმპერიის. სოციალ-დემოკრატიული მოდერნიზაცია საქართველოში შეეხო ყველას დაწყებული ხელისუფლებიდან დამთავრებული ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრებით. მაგრამ სამწუხაროდ, კიდევ ერთმა რუსულმა ოკუპაციამ, რეპრესიებმა და ათასობით მოაზროვნე ადამიანების დახვრეტამ საქართველო ჩამოაშორა დასავლური ტიპის განვითარებას. ჩვენი კვლევის ამ ნაწილში გვექნება საუბარი მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოზე, უფრო კონკრეტულად კი 1921 წლამდე, როდესაც საქართველომ საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებლობა დაკარგა. კვლევის ფარგლებში ჩვენ მოვიძიეთ თითქმის ყველა არსებული ლიტერატურა, კვლევა და ნაშრომი, რაც კი აღნიშნულ საკითხს ეხება, დავამუშავეთ ათობით წყარო და ვეცდებით ჩვენ მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი. ვინ იყვნენ ის ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ევროპულ იდეასა და მოდერნიზაციას გაუძღვა წინ, ვინ არიან მათი მთავარი იდეოლოგები და რა კონკრეტული პროექტები განახორციელეს საქართველოში ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის დანერგვის მიზნით.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან გამორჩეულნი არიან ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ირაკლი (კაკი) წერეთელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ევგენი გეგეჭკორი და აკაკი ჩხენკელი. თუმცა აღსანიშავია, რომ ლიბერალური ფრთის იმ წარმომადგენლობისგან განსხვავებით, რომლებიც იყვნენ კვლევის პირველ ნაწილში დასახე-

ლებული - ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და დიმიტრი ყიფიანი, სოციალ-დემოკრატებს არ დაუტოვებიათ მსგავსი მასშტაბის ლიტერატურული შრომები. მათი ნაწილი მხოლოდ პუბლიკაციით იყო დაკავებული და ძირითადად აქტიურ სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. შესაბამისად მათი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომ ჩვენ ვეცდებით მათი იდეები, შეხედულებები და ნამოქმედარი ერთნაირად წარმოვაჩინოთ ნინამდებარე კვლევაში, რაც მკითხველს სათანადო ინფორმაციას მიაწვდის მათზე, როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპული იდეის მატარებელ ქართველ ლიდერებზე.

საწყისს ეტაპზე კი აუცილებელია ზოგადად შევისწავლოთ რა სამოქალაქო და პოლიტიკური ძვრები მიმდინარეობდა ამ პერიოდში, როგორ განვითარდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ფრთა, რა საერთო და განსხვავებები ჰქონდა ქართულ სოციალ-დემოკრატიას დასავლეთ ევროპის და რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან და რა ძირითადი განსხვავები ჰქონდათ როგორც ქართველ, ასევე დასავლეთ ევროპის ლიბერალ-დემოკრატებისგან. მკვლევარი ალ. ბენდიანიშვილი წერს, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შედეგად და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ გამოიკვეთა კლასობრივი განსხვავებები, გაჩნდნენ კაპიტალისტები და პროლეტარიატი ანუ მუშათა კლასი. მათ შორის თანდათან გამწვავდა იდეური ბრძოლა და გზა გაეხსნა პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ჩამოყალიბებას. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ცარიზმი მთელ რიგ დათმობებზე წავიდა ბურჟუაზიული საზოგადოებისა და დემოკრატიული მოძრაობების წინაშე, იგი მაინც არისტოკრატიის ინტერესების გამომხატველი იყო, ძირითადი ბიუროკრატია მხოლოდ მათ ხელში დატოვა და მზარდ ბურჟუაზიას უკმაყოფილების განცდა დაუტოვა. ამას ემატებოდა პროლეტარიატის ინტერესები, რაც კლასობრივ დაძაბულობას უფრო ზრდიდა. შედეგად მე-19 საუკუნის ბოლოს გახშირდა სოციალურ ნიადაგზე ყაჩაღობები, ტყეში გახიზვნა და მკაცრ ბატონებზე თავდასხმები. მსგავს დაჯგუფებებს, რომლებიც ღარიბ ადამიანებს არ ერჩოდნენ მოსახლეობაც უჭერდა მხარს. თუმცა ხელისუფლება რეპრესიულ მეთოდებს მიმართავდა და ხშირად სასამართლოს განჩინების გარეშეც ასახლებდნენ მოქალაქეებს ციმბირში. ამავე პერიოდში მოხდა რამდენიმე არაორგანიზებული და სპონტანური მუშათა გაფიცვა, რომელიც ხელისუფლების მიერ ასევე მარტივად იქნა ჩახშობილი. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში გავრცელდა ე.წ. **„ხალხოსნობა“**, რაც გულისხმობდა მუშათა და გლეხთა შორის პროპაგანდის გავრცელებას საკუთარი

უფლებების დასაცავად, სოციალისტური და ანტიცარისტული იდეების გასავრცელებლად. იმ პერიოდის მუშათა მოძრაობის ვეტერანი იყვნენ ძმები ჩოდრიშვილები, რომლებმაც ერთ-ერთი პირველი მუშათა ორგანიზაცია დაარსეს ამიერკავკასიაში. ისინი წევრთა შორის ავრცელებდნენ ისეთ წიგნებს, როგორიცაა „ოთხი ძმის ზღაპარი“, ბეხერის „მუშათა საკითხი“, მილის „პოლიტიკური ეკონომიკა“ და სხვა დასავლეთ ევროპის მუშათა მდგომარეობის შესახებ არსებულ ბროშურებს. გარდა ამისა ისინი აწყობდნენ დისკუსიებს და ცდილობდნენ მუშათა განათლება აემაღლებინათ სამოქალაქო და პოლიტიკურ საკითხებში. ამ პერიოდში გამოიცა ჟურნალები „მუშა“, „განთიადი“ და „სხივი“ (ბენდიანიშვილი, 1999). ხალხოსნური საიდუმლო წრეები ჩამოყალიბდა თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავსა და გურიაში. მათი მიზანი იყო თვითგანვითარება, ისტორიის და სოციალური მეცნიერების შესწავლა და შემდეგ „ხალხში გასვლა მონარქიული წყობის წინააღმდეგ საქადაგებლად“. მათი ორგანიზაციები თითქმის მთლიანად დახურა ჟანდარმერიამ და წევრები დააკავა, რის შემდეგადაც ერთი პერიოდი გაქრა „ხალხოსნობა“, მაგრამ 80-იანი წლებიდან ლეგალური სახე მიიღო და საგანმანათლებლო ფუნქციებით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე ხისტი რევოლუციური გამოსვლებით (ჯანელიძე, 2015).

კლასობრივი დაპირისპირების შემდგომ ეტაპზე, 1892-1893 წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ლიდერები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციას, რომელსაც გიორგი წერეთელმა ე.წ. **“მესამე დასი”** უწოდა. ესენი იყვნენ ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე და მომავალში “ბოლშევიკები” ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, რაჟდენ კალაძე და სხვები. ეს იყო მარქსისტურლი და სოციალ-დემოკრატიული პირველი ქართული ჯგუფი, რომელიც მწერალ ეგნატე ნინოშვილის ირგვლივ შემოიკრიბნენ. მისი შექმნის შესახებ ერთი წლის შემდეგ ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გახდა საქვეყნოდ ცნობილი, სადაც ფიცი დადეს დემოკრატიისა და მუშათა უფლებების დაცვის შესახებ. ხოლო პროგრამა ნოე ჟორდანიამ მოამზადა, სახელად „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება.“ აქ მან ჩამოაყალიბა თავისი შემდეგი პრინციპები: ადამიანის ცხოვრების დედაბოძი ეკონომკური კეთილდღეობაა, ერისა და თითოეული პიროვნების შეკავშირება. მიაჩნდა რომ თუ დასავლეთ ევროპაში მონარქისტული წყობილების შეცვლა ბურჟუაზიამ ითავა, ხოლო ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი იყო, ეს რევოლუცია მუშათა კლასს უნდა უზრუნველეყო (ჯანელიძე, 2015).

ამ დროის სოციალისტები მარქსისტულ იდეებს იღებდნენ როგორც დასავლეთ ევროპიდან, ასევე რუსეთიდან. მეცნიერი ვახტანგ

გურულის დასკვნით „მესამე დასს“ ჰქონდა მოღვაწეობის ორი პერიოდი. ჩვენც ორივე პერიოდს მიმოვიხილავთ. პირველი პერიოდი იყო 1892-1897 წლები, რა დროსაც იგი აღმოცენდა, როგორც საერთო ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია. იგი ცდილობდა შეერწყა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ტრადიციები სოციალისტურ დოქტრინას. შესაბამისად, ამ პერიოდში იგი რუსული სოციალისტური იდეების გავლენას საერთოდ არ განიცდიდა. პირიქით, იგი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამების მსგავსი იყო. მოითხოვდა ბრძოლის პარლამენტურ გზას და ეწინააღმდეგებოდა სოციალურ რევოლუციას. ამავე დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ თვითმყოფადობას (გურული, 1995). იგივეს ამბობს ბედიანიშვილიც. მისი თქმით, ქართველი სოციალისტები თავიდანვე ორ ბანაკად გაიყვნენ. მაგალითად, ნოე რამიშვილი აცხადებდა, რომ უნდა მომხდარიყო მუშათა კლასის ბურჟუაზიასთან გაერთიანება და ამ გზით დემოკრატიის დამყარება. ის და მისი მომხრეები გმობდნენ ერთა ჩაგვრას და მხარს უჭერდნენ საქართველოს თავისუფლებას, თუმცა განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ მესამე დასელთა სხვა ფრთას. ისინი ყოველგვარ კლასთა შერიგებას და ერთა თვითგამორკვევას ნიჰილისტურად უყურებდნენ. საზოგადოებრივ ფენათა მზარდ დაპირისპირებაში პროლეტარიატს უნდა გაემარჯვა და ამ გზით გადაერჩინა სამყარო. საბოლოოდ ქართველი სოციალ-დემოკრატების რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მიერთებამ ეროვნული საკითხი მთლიანად გაწია სამოქმედო გეგმიდან და ადგილი მხოლოდ კლასთა ბრძოლას დაუთმო (ბენდიანიშვილი, 1999). მესამე დასი თავის პროპაგანდას გაზეთ „კვალის“ მეშვეობით ახდენდა და უპირისპირდებოდა გაზეთ „ივერიას“, რომლის გარშემოც იყვნენ შემოკრებილი ზემოთნახსენები ქართველი ლიბერალები. თუმცა როგორც ჩვენი კვლევის პირველ ნაწილში ვნახეთ ეს ფრთა სოციალურ საკითხებს არათუ გაურბოდა, არამედ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად ჰქონდათ, მაგრამ მათი უპირველესი ამოცანა იყო ქართველი ერის დამოუკიდებლობისთვის მომზადება. ხოლო მესამე დასელები მხოლოდ კლასობრივ საკითხებზე მუშაობდნენ. ამ პერიოდში ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურად განეწყვნენ და არ ეწეოდნენ საქართველოს ავტონომიის პროპაგანდას (ვამაკმაძე, 2014). პროფ. გურულის თქმით, ეს მოხდა მესამე დასის მეორე ეტაპზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1898-1903 წლებში. ამ პერიოდში წევრთა შორის გაიზარდა რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეური გავლენა. თუმცა მოახერხეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და რუსულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ხოლო 1903 წლიდან მათ

ვეღარ შეძლეს დამოუკიდებლად არსებობა და მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის რსდმპ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) კავკასიის კავშირის შექმნაში, შემდეგ კი მთლიანი რსდმპ II ყრილობაში, რითაც მესამე დასმა არსებობა შეწყვიტა (გურული, 1995).

ამის მიუხედავად საქართველოში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საკმაოდ აქტიური მუშაობით გამოირჩეოდა. 1900-1905 წლების პოლიციის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია სწრაფად ფართოვდებოდა. მათ ძალზედ ორგანიზებული სამუშაო ჯგუფები ჰყავდათ თბილისის რკინიგზაში, სახელოსნოებში, სტამბებში, ფაბრიკებში. მათ ჰყავდათ ხელმძღვანელები „ოფიცრების" სახით, რომელიც პარტიის წევრების კოორდინაციას, შეხვედრების ორგანიზებას და პროპაგანდის გაწევას ხელმძრვანელობდა. პარტიის წევრები თავად აგროვებდნენ ფულს, რათა დასწრებოდნენ შეხვედრებს და მიეღოთ პარტიულს საქმიანობაში მონაწილეობა. პოლიციის მიერ დაკავებულ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა ქართველი იყო, მათგან უმეტესობა დასავლეთ საქართველოდან, იყვნენ წვრილი არისტორკრატიის წარმომადგენლები, მღვდლის შვილები და გლეხები. ამ პერიოდში დაკავებულთა უმეტესობა 30 წელზე ნაკლები ასაკის იყო (ჯონსი, 2007).

ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო მუშათა საპირველმაისო გამოსვლები. ის გაიმართა 1901-1904 წლებში. ამ პირველი მაისობის დემონსტრაციებზე გამოჩნდა პროკლამაციებზე და ლოზუნგებზე ისეთი წარწერები, როგორიცაა „გაუმარჯოს რვასაათიან სამუშაო დღეს", „ძირს ტირანია". ამასთან მღეროდნენ ფრანგულად „მარსელიოზას" (ჯონსი, 2007), რაც თავისთავად დასავლური სახის რევოლუციის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. თბილისის 1902 წლის გაფიცვები საკმაოდ ხალხმრავალი და ორგანიზებული იყო. მასში მონაწილეობას სავარაუდოდ 2000 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მათ დასაშლელად მისულ კაზაკებს მუშები ხელკეტებით დახვდნენ. მოხდა შეტაკება, რა დროსაც ათეულობით მუშა დაკავეს და დაჭრეს. სამაგიეროდ ამ ამბებმა საერთაშორისო ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით რუსეთში, საიდანაც რუსი სოციალ-დემოკრატები თანადგომას უცხადებდნენ თბილისელ მუშებს, რასაც შემდგომი რეპრესიები და გადასახლებები მოჰყვა არა მარტო თბილისიდან, არამედ ბათუმიდან, გორიდან და სხვა. სოციალისტ მუშებს ითხოვდნენ სამსახურებიდან, რასაც ისევ დათხოვნილი მუშების და მათი კოლეგების მხრიდან ისევ საპროტესტო გაფიცვები მოსდევდა. ამას დაერთო გლეხთა გამოსვლებიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც ისევ მკაცრი რეპრესიებით პასუხობდნენ. ყოველივე ამან საფუძველი მოუმზადა

1905 წლის რევოლუციას, რომელიც მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით მოხდა და საქართველოში არა მარტო მუშა-გლეხები, არამედ ინტელიგენცია და ბურჟუაზიის დიდი ნაწილიც შეუერთდა. ისინი ცარიზმის დამხობას, ეროვნულ-სოციალურ თავისუფლებას და დემოკრატიულ მართვა-გამგეობას მოითხოვდნენ (ბენდიანიშვილი, 1999). იმ დროის პოლიტიკოსი, მენშევიკი ურატაძე აღწერს, რომ ქართული ქალაქები რევოლუციას მეტად გათვიცნობიერებულნი შეხვდნენ. მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იმდენად ძლიერი და გავლენიანი იყო, რომ საჭიროების დროს ქალაქის მთელი ცხოვრება რამდენიმე წუთში ერთბაშად ირღვეოდა. მუშები, ხელოსნები, ნოქრები, მოწაფეები და მათი მშობლები ყველა რევოლუციური და სოციალისტური წითელი დროშებით ქუჩაში სადემონსტრაციოდ გამოდიოდნენ. იმართებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური გაფიცვები, რა დროსაც იკეტებოდა მაღაზიები, ქარხნები, რესტორნები, მეეტლები, სასწავლებლები, ტელეგრაფი, ფოსტა, რკინიგზა, მათ მხარს უჭერდნენ სოფლებიც (ურატაძე, 1939). ლონდონში გამოცემული 1919 წლის ინგლისურენოვანი წიგნიდან, რომელიც ეძღვნება საქართველოს და მის დამოუკიდებლობის აღდგენას, 1905 წლის რევოლუციის მიზეზებზე ვკითხულობთ: „1880-იანი წლებიდან რუსეთის მთავრობამ საქართველოში დაიწყო კოლონიზაციის კამპანია. მკაცრ რეპრესიებში მოყოლილი ქართველი გლეხობა იძულებული იყო მრავალი ადგილი დაეთმო რუსი გლეხებისთვის, რომლებსაც საქართველოს მდიდარ მიწებზე დიდი შეღავათები ჰქონდათ და უამრავ ფინანსურ დახმარებასაც იღებდნენ მთავრობისაგან. საქართველოს ნაყოფიერი მდიდარი შავი ზღვის სანაპიროები ჩამოართვეს შრომისმოყვარე ქართველი გლეხებს და გადასცეს რუს გენერლებსა თუ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებმაც სანაპიროზე უზარმაზარი სახლები და საზაფხულო რეზიდენციები ააშენეს. განათლებულ ქართველებს არ ეძლეოდათ საშუალება დაეკავებინათ მაღალი თანამდებობები საკუთარ ქვეყნის სამსახურშო და მათ ნაცვლად თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ყველაზე კორუმპირებული რუსი ჩინოვნიკები, რათა შეენარჩუნებინათ ორგანიზებული ტირანიის სისტემა. 1905 წლის რევოლუციამ ქართველ ხალხს იმედები გაუჩინა, რა დროსაც მთელი ერი ერთსულოვნად მოითხოვდა ძალაუფლების დაბრუნებას. მაგრამ დიდებული მოძრაობა სისხლში დაახშეს და ათასობით საუკეთესო ქართველი სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში. ასეთ მგომარეობაში იყო საქართველოს XIX საუკუნიდან პირველ მსოფლიო ომამდე (საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 1919). აქციებზე გამოსული ხალხი ითხოვდა ეკონომიკურ კეთილდღეობას, სიტყვის, კრების, კავშირების და ბეჭდვის თავისუფლებას, ბინისა და პიროვნების ხელშეუხებლო-

ბას, სწავლა-განათლებას მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო წყობის დემოკრატიზაციას. ხელისუფლებამ რომ რეპრესიებით ვერაფერი გააწყო, დათმობებზე წავიდა, დაუშვა სიტყვის თავისუფლება და დააფუძნა სათათბირო ორგანო, რომელიც საკანონმდებლო ფუნქციებსაც შეითავსებდა. მაგრამ არც ამას რომ არ ჰქონდა შედეგი, პოლიცია დემონსტრანტების დარბევაზე გადავიდა. მსხვერპლი იყო თბილისშიც და სხვა იმპერიის ქალაქებშიც. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები და გადასახლებები. პოლიციის რაზმები ქალაქებში შენობებს ცეხლს უკიდებდა, ანგრევდა და წინააღმდეგობების გამწვევებს, როგორც აჯანყებულებს ისე ხოცავდნენ. საბოლოოდ, რევოლუცია დამარცხდა. რეაქცია ფაქტიურად რევანშად გადაიქცა, ერთმანეთზე მიყოლებით ხურავდნენ ჟურნალ-გაზეთებს და რეპრესიებს მიმართავდნენ. ასე გაგრძელდა 1917 წლამდე, თუმცა ამ ხნის განმავლობა სოციალ-დემოკრატია მაინც ახერხებდა თავისი იდეების გავრცელებას (ურატაძე, 1939).

სოციალიზმი, როგორც ევროპის იდეა

სოციალიზმი, ისევე როგორც სხვა პოლიტიკური იდეოლოგიები მე-19 საუკუნეში გაჩნდა. მასზე საინტერესოდ საუბრობს პოლიტიკური იდეოლოგიების მკვლევარი ენდრიუ ჰეივუდი თავის წიგნში - „პოლიტიკური იდეოლოგიები". სოციალიზმით წინამორბედად შეგვიძლია მივიჩნიოთ პლატონის „რესპუბლიკა" და თომას მორის „უტოპია", თუმცა როგორც თანამედროვე პოლიტიკური იდეა ლიბერალიზმთან ერთად, დასავლეთ ევროპის განმანათლებლობას ეფუძნება. ძირითადი განსხვავება კი საბაზრო ეკონომიკის მიუღებლობასა და კაპიტალიზმის ალტერნატივის შემოთავაზებაში გამოიხატა. სოციალისტური იდეები განვითარდა ინდუსტრიალიზაციის პარალელურად, როდესაც იგი გამოდიოდა მუშათა კლასის მკაცრი შრომითი და სახცოვრებელი პირობების დასაცავად. თავად ტერმინი ლათინური სიტყვისგან „sociare"-სგან მოდის და „გაერთიანებას" ან „გაზიარებას" ნიშნავს. მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპაში მეწარმეები და ფაბრიკები სრულიად თავისუფალნი იყვნენ ხელფასების დონისა და სამუშაო პირობების დადგენაში, რამაც იმ დროის მუშათა კლასი სამსახურებზე მიაჯაჭვა. ადგილი ჰქონდა ქალებისა და ბავშვების ექსპლოატაციასაც. თუმცა, სოციალური მღელვარების, პროფკავშირების გამოსვლებისა და პოლიტიკური დემოკრატიის განვითარების პარალელურად საშუალო კლასმა დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტ წარმატებას მიაღწია. მათ თანდათანობით საკანონმდებლო ორგანოებში ადგილებიც მოიპოვეს და მშრომელი კლასის დასაცავად ხშირად იყენებდნენ საკანონმდებლო თუ საკო-

ნსტიტუციო ბერკეტებს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის სოციალისტი თეორეტიკოსები, მათ შორის კარლ მარქსი, კაპიტალიზმის სისტემის დამხობის იდეით გამოდიოდნენ, ბევრი სოციალისტისთვის რევოლუციური გზა მაინც უარყოფილი და უპერსპექტივო ჩანდა. განსხვავებული მდგომარეობა იყო ინდუსტრიული განვითარების კუთხით მათზე ჩამორჩენილ ქვეყანა რუსეთში. ამ იმპერიაში ვლადიმერ ლენინმა და მისმა მომხრეებმა რევოლუციური და პროლეტარიატის დიქტატურის გზა აირჩიეს. შესაბამისად ევროპაში განვითარდა სოციალიზმის ორი მიმართულება. ერთნი XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას და „სოციალისტებად" ან „სოციალ-დემოკრატებად" იწოდებოდნენ, მეორენი კი „კომუნისტებად". რუსეთის მსგავსად სოციალიზმმა კიდევ უფრო რადიკალური ფორმები მიიღო ევროპული ქვეყნების კოლონიებში, რომელიც ნაციონალიზმს შეერწყა, ხოლო რუსული „ბოლშევიკური" სტილის სოციალიზმი გავრცელდა ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამში და ლაოსში (ჰეუვუდი, 2005).

მკვლევარი ნ. ვაშაყმაძე განმარტავს, რომ სოციალიზმი, რომლის შინაარსიც „საზოგადოებრივს" ნიშნავს, გამოიყენეს ისეთ ცნებად, რომელიც ლიბერალიზმის და პიროვნების საპირისპირო უნდა ყოფილიყო. სოციალისტების ყველაზე მთავარ ნაშრომად კარლ მარქსის „კაპიტალი" ითვლება, რომელიც შემდგომ დებულებებს აყალიბებს: სოციალიზმი პირველი, ქვედა საფეხურია კომუნიზმისა, რომელმაც უნდა შეცვალოს კაპიტალიზმი და კერძო საკუთრება; დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა, უარყოს პლურალიზმი, რადგან სწორედ მუშათა კლასი გამოხატავს დანარჩენი კლასების და სოციალური ჯგუფების ინტერესებს. შესაბამისად, პიროვნების განვითარებას უზრუნველყოფს სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა (ვაშაყმაძე, 2014). იგივეს ვკითხულობთ ჰეივუდის წიგნშიც, რომლის მიხედვითაც სოციალისტები ადამიანს სოციალურ არსებად განიხილავდნენ, რომელთა ჩამოყალიბებაზე და უნარ-ჩვევებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა მისი აღზრდა, მით უფრო შემოქმედებითი შრომა. სოციალისტებს მიაჩნიათ, რომ ადამიანს ხარბად და მომხვეჭველად მოქმედებას საბაზრო ეკონომიკა უბიძგებს. მათი აზრით, სინამდვილეში ადამიანები მიდრეკილნი არიან თანამშრომლობის, გულღიაობისა და რაციონალობისადმი. ამიტომ შესაძლებელია ადამიანების ისე განვითარება, რომ უფრო თანამშრომლობაზე და სხვებზე ზრუნვაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ამ მოტივით განვითარდა არა მარტო ისეთი უტოპიური იდეები და კონკრეტული პროექტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობის სახით. მათი აზრით, კონკურენცია ადამიანებს ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობს და აიძუ-

ლებს იგნორირება გაუკეთოს საკუთარ სოციალურ ბუნებას. ამასთან, ურთიერთსიმპათია, მზრუნველობა და სიყვარული ერთად მომუშავე ადამიანებს უვითარდებათ (ჰეივუდი, 2005).

სოციალისტებს მიაჩნდათ, რომ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დაძლევა საზოგადოების ერთიან ძალაზე დაყრდნობით უფრო შეიძლება დაიძლიოს, ვიდრე უბრალოდ ინდივიდუალურ მცდელობებზე. თუმცა ეკონომიკურმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ კლასიკური გაგების სოციალიზმის ეკონომიკა, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა, არ მუშაობს. ამიტომ სოციალიზმმა შეიძინა პოლიტიკურ იდეათა ნაკრები. იგი გულისხმობს მშრომელი კლასის უფლებების დაცვას, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების ზრდას, რაც საბოლოოდ „ლეიბორისტულ" მიმდინარეობად გადაიქცა. კონკრეტული კლასის ინტერესების დაცვის გარდა, სოციალიზმი დგას იმ იდეებზე, რაც საზოგადოებას, თანამშრომლობას, თანასწორობას და საზოგადოებრივ საკუთრებას პრიორიტეტად აცხადებს (ჰეივუდი, 2005).

რომ დავუბრუნდეთ XIX-XX საუკუნეების მიჯნას, ამ დროში გავრცელებული სოციალიზმი ძირითადად მარქსის შეხედულებებს ეყდრობოდა. იგი კოსმოპოლიტური იდეური მიმდინარეობა იყო და ისეთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ სისტემას ქადაგებდა, რომელიც უარყოფდა კერძო საკუთრებას და რევოლუციური გზით უკლასო კომუნისტურ საზოგადოებას ამენებას ისახავდა მიზნად (ჯანელიძე, 2015). შესაბამისად მარქსისტული სოციალისტური მოძრაობები და ორგანიზაციები გაჩნდა მთელი ევროპის მასშტაბით. ამიტომ მარქსის ინიციატივით 1864 წელს სხვადასხვა მუშათა პოლიტიკურ მოძრაობათა კოორდინაციის გასაადვილებლად ლონდონში შეიქმნა I ინტერნაციონალი, რომელიც სოციალისტ-ანარქისტებთან აზრთა სხვადასხვაობის გამო დაიშალა და 1889 წელს შეიქმნა II ინტერნაციონალი, დაწესდა 1 მაისობა და გერმანიასა და საფრანგეთში შეძლო პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლობების გაყვანა. ამ გზაზე მათ უარი თქვეს რევოლუციებზე და პარლამენტურ ფორმებზე გააკეთეს აქცენტი (ვაშაყმაძე, 2014).

რუსეთში სოციალიზმის იდეის გაჩენა გ. პლეხანოვს უკავშირდება, რომელმაც ჟენევაში 1883 წელს შექმნა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი. ხოლო სხვადასხვა რუსული მუშათა ორგანიზაციების გაერთიანების პირველი მცდელობა 1898 წელს მოხდა, როდესაც მოწვეულ იქნა პირველი რსდმპ ყრილობა. ხოლო 1903 წელს მეორე ყრილობაზე ლენინის და მარტოვის მომხრეები ერთმანეთს გაემიჯნენ წესდებისა და პროგრამის საკითხებზე, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა „ბოლშევიკური" და „მენშევიკური" ფრთა. ეს სახელები უბრალოდ უმრავლესობას და უმცირესობას აღნიშნავს. ბოლშევიკები მთელი II ინტერნაციონალის მასშტაბით ყველაზე ექსტრემისტულ

ფრთას წარმოადგენდნენ და მარქსისტული იდეების გარდა დაკავშირებულნი იყვნენ რუსეთის მასშტაბით რევოლუციურ, ძალადობით განმსჭვალულ მოძრაობასთან. ეს ორი ფრთა საბოლოოდ 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ გაემიჯნენ. ბოლშევიკებს წარმოადგენდნენ ვ. ლენინი, ი. სტალინი, გ. ზინოვიევი და სხვები, რომლებიც რევოლუციური ბრძოლის განახლების მომხრენი იყვნენ. ხოლო მენშევიკებს წარმოადგენდნენ ლ. მარტოვი, ირ. წერეთელი, ნ. ჩხეიძე და სხვები, რომლებიც რევოლუციას არ გამორიცხავდნენ, მაგრამ ბრძოლის პარლამენტურ ტაქტიკას უჭერდნენ მხარს. მარქსის თეორეტიკოსი კარლ კაუცკი წერდა, რომ ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი და სხვა ქართველი ლიდერები, რუსული მენშევიზმის ელიტურ ნაწილს წარმოადგენდნენ (ვაშაყმაძე, 2014). იგივეს ამბობს ქართული სოციალ-დემოკრატიის მკვლევარი სტივენ ფ. ჯონსი. მისი თქმით, ქართველი მენშევიკები 1905-1913 წლებში იყვნენ რსდმპ ხელმძღვანელი ორგანოების წევრები, დუმის გაერთიანებულ, სოციალ-დემოკრატიული ფრანქციის თავმჯდომარეები. რსდმპ-ს წარმოადგენდნენ II ინტერნაციონალის ყრილობაზე, თავმჯდომარეობდნენ სრულიად რუსეთის საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დროებით მთავრობაშიც შედიოდნენ. ისინი გამოკვეთილად პროევროპელები იყვნენ და განიცდიდნენ ცენტრალური და დასავლეთ ევროპიდან წამოსული იდეების და გამოცდილების ზეგავლენას. მათი განსხვავება რუსეთის ბოლშევიკური და თუნდაც მენშევიკური წრეებისგან იმითაც იყო განპირობებული, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ წვრილ არისტოკრატიას, რომლებიც სოფლად დაიბადნენ და გლეხებთან ერთად იზრდებოდნენ. საქართველოში მათ შორის განსხვავება ისეთი დიდი არ იყო როგორც რუსეთში. ასევე სწავლობდნენ ადგილობრივ სემინარიებში და არა სეგრეგაციულ გიმნაზიებში. შესაბამისად, სოციალური თანასწორობა აისახა კიდეც პარტიულ საქმიანობაში. ამას გარდა საქართველოში მუშათა კლასი მრავალეთნიკური ხასიათის იყო, რის გამოც ქართველ სოციალ-დემოკრატებს მოუწიათ ფართო იდეოლოგიური სახურავის შექმნა მრავალფეროვანი ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თერგდალეულების მუდმივ კრიტიკაში იყვნენ, ისინი მათი პრაქტიკული საქმეების მემკვიდრეებიც აღმოჩნდნენ და ბუნებრივად ჩაერთნენ კულტურულ, სამოქალაქო, საქველმოქმედო საქმიანობებში (ჯონსი, 2007).

სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაყოფის ინფორმაცია საქართველოში რატომღაც დაგვიანებით ჩამოვიდა. შესაძლოა იმიტომ რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ

პარტიას ამ პერიოდში კავკასიის კომიტეტი მართავდა, სადაც ბოლშევიკური მიმართულების მომხრეები იყვნენ თავმოყრილი. თუმცა მათთან დიდი ხნის დაპირისპირებაში იყო თბილისის კომიტეტი. სოციალ-დემოკრატების ორად გაყოფის შესახებ ინფორმაცია ნოე ჟორდანიამ ჩამოიტანა. მისმა საქართველოში დაბრუნებამ ეს დაპირისპრება კიდევ უფრო გამოკვეთა და კატალიზატორის როლი შეასრულა მათ საბოლოო გამიჯვნაში. ჯონსის დასკვნით, 1902-1906 წლების დასავლეთ საქართველოში აჯანყებამაც შეუწყო ხელი რსდმპ-დან ქართული სექტორი მასების ცალკე პარტიად გარდაქმნილიყო, გაეანალიზებინათ რომ ამ ქვეყანაში სხვანაირი პრობლემები და შესაძლებლობები იყო. ასევე ქართული ორგანიზაცია უფრო ეროვნული ერთიანობისკენ მიემართა, ვიდრე საერთაშორისო მუშათა სოლიდარობისკენ (ჯონსი, 2007).

ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში მოვიდა ინფორმაცია სოციალ-დემოკრატების ორ ჯგუფად გაყოფის, კავკასიის საკავშირო კომიტეტმა ბოლშევიკებს დაუჭირა მხარი, ხოლო თბილისის კომიტეტმა მენშევიკებს. ამიტომ კავკასიის კომიტეტმა თბილისის წევრების გადადგომა და ყველა საქმის მისთვის გადაცემა მოითხოვა. თბილისის კომიტეტი მათ არ დაემორჩილა, რის გამოც ისინი დაშლილად გამოაცხადეს და ღია ფრაქციული ბრძოლა საქართველოს ყველა ქვედა ორგანიზაციაში დაიწყო. ეს დაპირისპირებები მოკლე დროში ბოლშევიკების სრული მარცხით და განდევნით დასრულდა. ამის შემდეგ ქართულმა მენშევიკობამ საქართველოში სოციალისტურ იდეებზე სრული მონოპოლია დაამყარა (ურატაძე, 1939). მათი წევრთა რაოდენობამ 80,000-ს მიაღწია, რაც იმ დროის პოლიტიკური კულტურისთვის და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით საკმაოდ მაღალი რიცხვი იყო (შუბითიძე, 2009).

ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ დასავლეთ ევროპაში - ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებში სოციალისტები თანდათან ძლიერდებოდნენ და საპარლამენტო ადგილებსაც იკავებდნენ. მათ რიგებში მილიონობით ადამიანი იყო გაწევრიანებული. საბოლოოდ ერთი იდეით გაერთიანებული სოციალისტები პირველმა მსოფლიო ომმა გაყო. ეს ომი ევროპაში ძალთა ბალანსის დარღვევამ და ნაციონალიზმის აღზევებამ გამოიწვია, შესაბამისად ყველა სოციალისტურმა მოძრაობამ, რუსეთის ბოლშევიკების გარდა, თავისი ქვეყნის ბურჟუაზიულ მთავრობებს დაუჭირა მხარი. ამით ნათელი გახდა, რომ მათ საერთაშორისო სოლიდარობაზე მაღლა საკუთარი ქვეყნის ნაციონალისტური გრძნობები დააყენეს. ხოლო 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკები მისი, როგორც დემოკრატიული მონაპოვრის შენარჩუნებას ცდილობდნენ,

ხოლო ბოლშევიკები სოციალისტური რევოლუციისთვის ემზადებოდნენ (ვაშაყმაძე, 2014). რაც შეეხება ქართველ სოციალისტებს, ისინი 1917 წლის ოქტომბრის რუსეთის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ოფიციალურად გაემიჯნენ როგორც ბოლშევიკებს, ასევე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ფრთას და დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (სსდპ) შექმნეს (შუბითიძე, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბოლშევიკები ორ არჩევნებში დამარცხდნენ, მათ ლენინის მეთაურობით ორჯერ სცადეს რევოლუციის მოხდენა. ჯარის დახმარებით წარმატებული გამოდგა მეორე მცდელობა და 1917 წლის ოქტომბერში შეძლეს დროებითი მთავრობის დამხობა. თუმცა როდესაც მათივე ორგანიზებულ არჩევნებში ისევე დამარცხდნენ და მოწინააღმდეგეები მშვიდობიანი გზით ვერ გაანადგურეს, სამოქალაქო ომი გამოაცხადეს, რომელიც 1917 წლიდან 1923 წლამდე გაგრძელდა და განსხვავებული მონაცემებით 7-დან 15 მილიონ ადამიანამდე ემსხვერპლა. შედეგად მივიღეთ სსრკ-ს შექმნა და თავისუფალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დაკარგვა, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (პაპასქირი, 2011).

ამავე პერიოდში, 1920 წელს ლენინის ორგანიზებით შეიქმნა III კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც მსოფლიო კომუნისტურ პარტიად გამოცხადა და რომელმაც ყველა სხვა მემარცხენე, რეფორმისტ პარტიასთან კავშირი გაწყვიტა, როგორც მუშათა მოძრაობის გამყიდველებთან. ის უარყოფდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, პარლამენტურ რესპუბლიკას და მხოლოდ აჯანყებას, პროლეტარიატის დიქტატურას აღიარებდა, რითაც საბოლოოდ დაშორდა ევროპულ იდეას. დასავლეთ ქვეყნების სოციალისტებმა სცადეს II ინტერნაციონალის აღდგენა, სადაც დაგმეს ბოლშევიკური მეთოდები. მათ კონფერენციებზე გამოდიოდნენ ქართველი სოციალისტების, რომელთაგან იყო ირაკლი წერეთელიც. მისი სიტყვებით, ის ვერ ხედავდა რომ ბოლშევიზმს პროლეტარიატი სოციალიზმისკენ მიჰყავდა, ეს იყო უმცირესობის დიქტატურა, რომელსაც ქვეყანა დანგრევისკენ და გახრწნისკენ მიჰყავდა. II ინტერნაციონალს თანდათან ჩამოსცილდა ჯერ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, შემდეგ საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ესპანეთის პარტიები. II ინტერნაციონალის აღდგენის მცდელობის დროს მათ მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ისინი სოციალიზმის განხორციელებას მხოლოდ საყოველთაო არჩევნების გზით საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში ხედავდნენ, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო დემოკრატიზმის იდეალების განხორციელება (ვაშაყმაძე, 2014).

ქართული სოციალ-დემოკრატიის მკვლევარი სტივენ ფ. ჯონსი წერს, რომ რუსული სოციალისტებისგან განსხვავებით, ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ სოციალიზმის გაერთიანებას ევროპულ ღირებულებებთან, პლურალიზმთან, ადამიანის უფლებებთან და კერძო საკუთრებასთან. რითაც აიხსნება მისი წარმატება არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მენშევიკების ფრთაში. ამ გზაზე ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და სოციალისტური დემოკრატიის დამყარების იდეის პროპაგანდა იმპერიულ, პოლიციურ სახელმწიფოში დაიწყო. მათ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატების მსგავსად სოციალიზმის და ეროვნულობის შეერთება სცადეს, რადგან ისინი სოციალიზმში ხედავდნენ უცხო მმართველობის დამარცხების საშუალებას. სოციალიზმი მათთვის იყო ეროვნული კონსოლიდაციის, მოდერნიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი. ისინი იმედოვნებდნენ რომ სოციალიზმი გააერთიანებდა და ევროპელებად აქცევდა ქართველ ხალხს. უზრუნველყოფდა ქვეყნის უსაფრთხოებას, ბოლოს მოუღებდა სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს და ეთნიკურ დაპირისპირებებს. ვინაიდან საქართველოსთვის უცხო არ იყო არც იმპერიის ძალადობა, არც შიდაეთნიკური უთანხმოება, ახალი ნაციონალისტური იდეოლოგიისგან განსხვავებით, სოციალიზმი ერთიანობას მოიტანდა ძალადობის და სისხლისღვრის გარეშე (ჯონსი, 2007).

სოციალ-დემოკრატიის, როგორც ევროპის იდეის თავისებურებები

ევროპული იდეის ლიბერალური გზა ჩვენ კვლევის პირველ ნაწილში შევისწავლეთ. კვლევის ამ ნაწილში კი ვნახეთ თუ რით იყო განსხვავებული ევროპული იდეის მეორე გზა ანუ სოციალიზმი ლიბერალიზმისგან. საქართველოში სოციალ-დემოკრატების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია იმ მიდგომამ, რომ საწყის ეტაპზე ისინი ვერ ხედავდნენ ნოდებათა გაერთიანების შესაძლებლობას და ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას. ერის და ეროვნულობის საკითხი, ეს ის თემა იყო, რომელსაც სოციალ-დემოკრატები არათუ გვერდს ვერ აუვლიდნენ, არამედ მიიღეს კიდეც და მათი პროგრამის ნაწილიც გახდა, რამაც საბოლოოდ საქართველო მიიყვანა მსოფლიოში პირველ სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფომდე. ვნახოთ როგორ განიცადა ტრანსფორმაცია ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ დისკუსიის ამ გზაზე.

საწყის ეტაპზე ისინი ლიბერალებს გაზეთი „კვალის" მეშვეობით ეკამათებოდნენ გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ ლიბერა-

ლურ პუბლიკაციებს. მათ თავიდან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ სწავლა-განათლებაზე, კაპიტალიზმის განვითარებაზე და კლასთა ბრძოლაზე. სოციალისტები უარყოფდნენ თერგდალეულების შეხედულებას წოდებათა შერიგების შესახებ და ერის გამთლიანების წინაპირობად სწორედ კლასთა ბრძოლა გამოაცხადეს. ისინი ლიბერალების 60-იანების მოღვაწეობას დადებითად აფასებდნენ, მაგრამ იმ დროისათვის ჩამორჩენილებად, პროგრესის მტრებად მიიჩნევდნენ. ნოე ჟორდანის თქმით ისინი ებრძოდნენ „ბნელეთის მოციქულის - ილია ჭავჭავაძის მიმართლებას. განსაკუთრებით აგრესიული იყო ფილიპე მახარაძე, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ფეოდალურ აზროვნებაში ადანაშაულებდა (ჯანელიძე, 2015).

ეროვნული საკითხი იყო ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი საკითხი ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და რუსეთის სოციალისტებს შორის, რითაც ისინი უფრო დასავლეთ ევროპის სოციალისტების იდეების თანხვედრაში მოდიოდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური აზრის მკვლევარი მ. დარჩაშვილი, რომელმაც სრულად შეისწავლა 1900-1917 წლის პრესის ფურცლები, აცხადებს, რომ ქართულ პრესაში მთავარი ადგილი ეროვნულ პრობლემატიკას ეკავა და თითქმის ყოველდღიურ საკითხად იყო გადაქცეულლი. ეროვნული დამოუკიდებლობის აქტიური აგიტატორები იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები, ისინი პარალელურად სოციალიზმსაც აკრიტიკებდნენ. მათ მოსალოდნენ მავნებლობაზე საუბრობდნენ ასევე სოციალისტ-ფედერალისტები, ხოლო სოციალ-დემოკრატები ამ საკითხზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას, რის გამოც მუდმივად პოლემიკაში უწევდათ ყოფნა. ამიტომ მათი რიგებიდან გარკვეულმა ჯგუფმა 1908 წელს დააარსა ჟურნალი „ალიონი“, სადაც დააყენეს ეროვნული ტერიტორიული ავტონომიის საჭიროება და გააკრიტიკეს ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატები მისდევდნენ თავიანთი საერთაშორისო ორგანიზაციის პლათფორმას, რომელზეც აღიარებული იყო **ერთა თვითგამოკვეთის უფლება.** ეს ცნება იმ პერიოდისთვის ახალი იყო და როგორც ჩანს სოციალური პრობლემების წინა პლანზე ყოფნის გამო დანარჩენი პარტიები სოციალ-დემოკრატებისგან უფრო მკაფიო და ხმამაღალ განცხადებებს ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. საკითხი განსაკუთრებით გაამძაფრა პირველმა მსოფლიო ომმა, რაც არამარტო ქართული მოვლენა, არამედ მსოფლიოში აქტუალური განსჯის საგანი იყო (დარჩაშვილი, 2013).

ურატაძე იხსენებს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ 1860-აინი წლებიდან გახდა აქტუალური და პოლიტიკური დღის წესრიგიდან ფაქტიურად არ მოხსნილა

(ურატაძე, 1939). როგორც ჩვენი კვლევის პირველი ნაწილიდან ჩანს ეს სწორედ ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულების დამსახურება იყო. როგორც ურატაძე აღნიშნავს, საკითხის შინაარსი მუდამ იცვლებოდა. თავიდან ეს იყო „ეროვნული ვინაობის დაცვა“, რაც გულისხმობდა „ენის, მამულის და კულტურის დაცვას“, 1880-იანი წლებიდან მან უკვე პოლიტიკური ხასიათი, ხოლო 1890-იანი წლებიდან პროგრამული ხასიათი მიიღო, რის გამოც აქტუალურ დავის საგნად იქცა სოციალ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ კი ეროვნული საკითხი პრობლემათა შორის ნომერ პირველ საკითხად დადგა და მას ყველა პარტია თავისი დოქტრინის მიხედვით საზღვრავდა. ამ კუთხით მნიშველოვანია ნოე ჟორდანიას, ჯერ კიდევ მესამე დასელობის დროს გამოცემული პროგრამა „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“. ურატაძის თქმით ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეს საკითხი ლონდონის ინტერნაციონალის სხდომაზე სურდათ დაეყენებინათ, მაგრამ ადგილზე სხვა უამრავი საჯამათო საკითხის გამო ვერ მოახერხეს. თუმცა მოახერხეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებისგან მიეღოთ თანხმობა ენათა თანასწორობის და საოლქო თვითმმართველობის შესახებ, რასაც უაღრესად დიდი ძალისხმევა დაჭირდა. მალევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება „ერთათვითგამორკვევის“ შესახებ, რომელიც ერთგვარ ბუნდოვან წარმოდგენას ქმნიდა საქართველოში. ამიტომ ნოე ჟორდანიას მოუწია განმარტების გამოქვეყნება, რითაც ხსნიდა, რომ ეს იყო ნაციონალური პროგრამა ერის თვითგამორკვევის შესახებ, რაც ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობამდე მიყვანას მოიტანდა. იგივე დაადასტურა მ. პლეხანოვმა პოლონელ სოციალ-დემოკრატების საყურადღებოდ. ხოლო პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც ოსმალებმა რუსებთან ომის დროს სამხედრო წარმატებებს მიაღწიეს, ქართველი სოციალ-დემოკრატები შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ თუ რუსეთი დაიხევდა კავკასიიდან, რისი ალბათობაც დიდი იყო, მაშინ ქართველი-სოციალ დემოკრატები ხელში აიღებდნენ ძალაუფლებას, გამოაცხადებდნენ დამოუკიდებლობას და შეეცდებოდნენ ქვეყნის დაცვას მოსალოდნელი დარბევისგან, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონოდა, როგორც ოსმალეთისგან, ასევე რუსეთისგან (ურატაძე, 1939).

განსხვავებული და კრიტიკული დამოკიდებულება აქვს პროფ. ვ. გურულს სოციალ-დემოკრატების ეროვნული ცნობიერების შესახებ. მისი თქმით, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ პოლიტიკური ელიტის გარდა, მუშათა და გლეხთა წრეებშიც სოციალისტური იდეები უფრო ჭარბობდა, ვიდრე ეროვნული. ამაზე გავლენა იქონია 1905 წლის რევოლუციამაც, რაც პროფესორის შეფასებით ეროვნული სულისკვე-

თების ჩაკვლის მცდელობა იყო. მუშების დიდი ნაწილი კლასობრივი ცნობიერებით იყო გაჟღენთილი. მათ არ გააჩნდათ პატრიოტული, მოქალაქეობრივი შეგნება. ისინი თავის მისიას კლასობრივი ცნობიერების პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერაში ხედავდნენ. მათგან იყო დაკომპლექტებული ძირითადად „სახალხო გვარდია", რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სამსახურში უფრო იდგა, ვიდრე სამშობლოს. პროფ. გურულის თქმით გლეხებშიც დაბალი იყო სახელმწიფოებრივი აზროვნება. მათი ნაწილი სოციალ-დემოკრატების, ნაწილი სოციალ-რევოლუციონერების იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იყო. ამას დაერთო პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული გლეხი-ჯარისკაცების აგიტაციაც, რომელიც ფრონტზე მარქსისტული იდეოლოგიით იკვებებოდნენ და გლეხობას შეიარაღებული აჯანყების გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ მოუნდებდნენ. შესაბამისად, ეროვნული ცნობიერების ნაკლებობა იგრძნობოდა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში - ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში, დამფუძნებელ კრებაში და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. ამის მიუხედავად, 1918 წლის 26 მაისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღმავლობის მაუწყებელი იყო. თუმცა იგი თავს არ თვლიდა მე-19 საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მემკვიდრედ და რუსეთისგან გამიჯვნის რეალური მიზეზი იყო არა ზოგადად რუსეთისგან გამიჯვნა, არამედ საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთისგან (გურული, 2008).

განსხვავებული აზრი აქვს მარქსიზმის თეორეტიკოს კაუცკის. იგი აღნიშნავდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია იყო თავისებური, **უაღრესად ნაციონალური და ხალხური**. ეს იყო სოციალიზმი ერის სამსახურში (შუბითიძე, 2009). იმავე აზრს იზიარებს მკვლევარი შუბითიძეც, რის დასტურადაც მოჰყავს ნოე ჟორდანიას ნაშრომი „ჩვენი გზა", სადაც იგი წერს, რომ **სოციალიზმი** რა ფერისაც არ უნდა იყოს, ის უეჭველად **ნაციონალურია**, ის უნდა ემსახურებოდეს ერს და არა კლასს. ყველა თანამედროვე ერი საერთოდ მოდის ერთი მხრივ, ერთ ცივილიზაციისკენ, მაგრამ თითოეული აკეთებს ამ გზას თავისებურად, თანახმად მისი წარსულის და აწმყოს მდგომარეობისა. შენახვა საერთო ხაზის და იმავე დროს თითოეულის თავისებურებების, აუცილებელია. მიზანი ერთია, მეთოდი - სხვადასხვა (შუბითიძე, 2009).

ნოე ჟორდანიას ასახელებს ასევე ქართული სოციალ-დემოკრატების ნაციონალისტობის ფაქტორად მკვლევარი სტივენ ფ. ჯონსიც. იგი აცხადებს, რომ თავდაპირველად ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერს ნოე ჟორდანიას სტუდენტობის დროს ევროპის სოციალისტური იდეები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ნაციონალისტური. ამიტომ ის პოლონელ და რუს მარქსისტებს შეუერთდა. კითხულობდა

პლეხანოვს, კაუცკის და მარქს. თუმცა მასზე გავლენა მოახდინა სხვა ევროპული სოციალ-დემოკრატების ნააზრევმა, სწავლობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პარტიის ისტორიას, რა დროსაც რუსული სოციალისტური და უტოპიური ილუზიები დაემსხვრა. ამას დაერთო რუსული შოვინისტური გამოხტომები, რომელსაც ყოფით ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი სხვა ერების წარმომადგენლების მიმართ, ხოლო პოლონელები ჟორდანიას პროტესის ნიშნად რუსულადაც კი არ ელაპარაკებოდნენ. ჯონსი ამბობს რომ ჟორდანიაზე მეტისმეტად იმოქმედა ვარშავაში ცხოვრებამ, დააჯერა კულტურული უფლებებისათვის ბრძოლაში და ეროვნული მოძრაობის ძალაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ (ჯონსი, 2007).

როგორც ვხედავთ, კვლევის ანალიზი გვაძლევს საფუძველს შევაფასოთ ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობა იმ კუთხით, რომ ისინი დაფუძნდნენ კარლ მარქსის სოციალისტურ იდეებზე, თუმცა მათში დიდი იყო დასავლეთ ევროპელების მსგავსად ეროვნული მოტივები, რის გამოც განიცდიდნენ ნაციონალისტური იდეების გავლენას. საბოლოოდ კი უარი თქვეს მარქსისეულ ისეთ ფუნდამენტურ შეხედულებაზე, რომელიც კერძო საკუთრებას საერთოდ უარყოფს. ისინი პრაქტიკული ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია ისეთი სოციალისტური უტოპიური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც არ იქნება კერძო საკუთრებაზე და თავისუფალ ბაზარზე აგებული. ამიტომ ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, ქართველი სოციალ-დემოკრატები იზიარებდნენ დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატების იდეებს და რადიკალურად განსხვავდებოდნენ ბოლშევიკური იდეებისა და მიდგომებისგან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება

თავად სახელი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - უკვე მიუთითებს რომ ეს იყო ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის სრული გამოვლინება, მართალია ძალიან ცოტა ხნით, 1918-1921 წლებში, მაგრამ ამ იდეის სრული რეალიზება. ქართველ სოციალ-დემოკრატებს რომ სულ არანაირი დამსახურება არ ჰქონოდათ საქართველოს წინაში, მათი უმთავრესი მონაპოვარი, ის რაც მომავალ თაობას დაუტოვეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. ამით მათ არა მარტო იმ დროის გამოწვევებს უპასუხეს, არამედ ლეგიტიმური მემკვიდრეობა დაუტოვეს საქართველოს მოეხდინა სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1991 წელს. დღეს რომ საქართველოში

26 მაისი აღინიშნება, როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, ამაში სამართლებრივი და პოლიტიკური წვლილი სწორედ საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას და მსოფლიოში პირველ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას მიუძღვის.

უნდა აღინიშნოს, რომ გზა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და მით უმეტეს მის შენარჩუნებამდე, საკმაოდ რთული და პოლიტიკურად მეტად მღელვარე იყო. 1917 წლის რუსეთის დროებითი მთავრობის დადგენილებით თბილისში ჩატარდა ფარული, საყოველთაო არჩევნები, სადაც 120 ადგილიდან სოციალ-დემოკრატებმა აიღეს 50 ადგილი, დაშნაკცუთიუნმა - 24, სოციალისტ-რევოლუციონერებმა - 20, ხოლო ბოლშევიკებმა - 7 (ვაშაყმაძე, 2014). ქართველ სოციალ-დემოკრატთა ასეთ წარმატებას მკვლევარი ს. ჯონსი ასე ხსნის: „ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ პროგრამაში ჩააქსოვეს თემები, რომლებიც ეროვნულ თვითგამორკვევას ეხებოდა და სოციალ-დემოკრატებს შორის პირველებმა დაამტკიცეს, რომ ნაციონალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ავსებდა. ეროვნული უფლებები დემოკრატიული სოციალიზმისთვის მთავარი იყო. საქართველოში სიციალიზმი განსაკუთრებით მომხიბლავი იყო, რადგან ის იმედს იძლეოდა, რომ ნერტილს დაუსვამდა კოლონიალიზმს, უცხოელი მესაკუთრეების მხრიდან ექსპლოატაციას, სოციალურ და კუთხურ დაყოფას და თან ამას გააკეთებდა გარედამ თავსმოხვეული კონფლიქტების გარეშე. ქართველებს წარსული ომებისა შემოსევების შიშმა ააღებინა ხელი ნაციონალისტურ პარტიებზე“ (ჯონსი, 2007).

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმპერიის რღვევის და კოლონიზებული არარუსი ერების ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალური პერსპექტივა გააჩინა. საკითხი აქტუალური გახდა ქართულ პოლიტიკურ წრეებშიც, რა დროსაც ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფორმას ეძიებდნენ. პოლიტიკურმა აზრმა კი სწრაფად გაიარა ტრანსფორმაცია იმ სწრაფად ცვლილებადი რეალობიდან გამომდინარე, რაც იმ პერიოდში სუფევდა რუსეთის იმპერიის მასშტაბით. ხოლო ოქტომბრის რევოლუციის და ბოლშევიზმის მომასწავებელი საფრთხეების გამო სოციალ-დემოკრატებმა დემოკრატიული მონაპოვრების შენარჩუნება გადაწყვიტეს, ამიტომ დადგა საკითხი საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შესახებ და ამ გზით ამიერკავკასიაში დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნების (ვაშაყმაძე, 2014).

ვადაჭკორიის თქმით, საწყის ეტაპზე ქართველი პოლიტიკოსები ფრთხილობდნენ რადიკალიზმის გამოვლინებისგან, რადგან რუსეთის დროებითი მთავრობისგან შესაძლოა უარყოფითი რეაქცია მიეღოთ. ამიტომ თავდაპირველად საქართველოს ტერიტორიული

ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლენ, რასაც მაშინდელი გადმოსახედიდან მაშინ ექნებოდა განხორციელების შესაძლებლობა, თუ რუსეთი დემოკრატიულ ფედერაციად გადაიქცეოდა. ქართული პოლიტიკური აზროვნება მალე შეიცვალა. სულ რაღაც ერთ თვეში აქტუალური გახდა სამხრეთ კავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი, რომლის რეალურად განხორციელებამ დაანახა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო მოღვაწეები თითოეულის დამოუკიდებლობის შესაძლებლობაზე და ეს საკითხიც რამდენიმე დღეში დაისვა (ვადაჭკორია, 2008). 3. გურულის განმარტებით პოლიტიკური სიფრთხილის ერთ-ერთი მიზეზი იყო რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტზე განლაგება და ოსმალეთის შესაძლო აგრესია. ქართველი პოლიტიკოსები აანალიზებდნენ, რომ საკითხი არა მარტო მათ დამოუკიდებლობის გამოცხადებაში იყო, არამედ მის შენარჩუნებაში, რომელიც საკმაოდ რთულად გამოიყურებოდა. ამ პოზიციას აძლიერებდა ევროპის დიდი ქვეყნების სრული ინერტულობა საქართველოს ბედის მიმართ. ხოლო ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა მართალია პრინციპულად მიუღებელი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის, მაგრამ ისინი ისევე როგორც ბევრი ევროპელი პოლიტიკოსი ვარაუდობდნენ, რომ ეს იყო დროებითი მოვლენა და რუსეთი ისევ დემოკრატიულ ძალებს დაუბრუნდებოდა. გურულის განმარტებით, ამან განაპირობა ის, რომ საქართველომ დროზე არ დაიწყო რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტა, დამოუკიდებლობის აღდგენის პროპაგანდა და მოკავშირის ძიება. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაკარნახევი იყო არა ანტირუსული პროპაგანდის და განწყობების შედეგად, არამედ გეოპოლიტიკური და ტაქტიკური აუცილებლობის შედეგად (გურული, 2008). თუმცა, ჩვენი აზრით მიზანი მაინც ერთი იყო, ეს იყო გზა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და მისი შენარჩუნებისთვის.

გურულის კიდევ ერთ ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ანტირუსული პროპაგანდის გაჩენას ხელი შეუმალა პირველმა მსოფლიო ომმა, რადგან ამ ომში გერმანია და ოსმალეთი მოკავშირეები იყვნენ, ხოლო ეს უკანასკნელი არ მალავდა თავის ამბიციას, მოეხდინა სამხრეთ კავკასიის მიწების ოკუპაცია. ასეთ შემთხვევაში, მისგან დაცვა ისევ რუსეთს თუ შეეძლო. ქართველი პოლიტიკოსების აზრით ოსმალეთი გაცილებით შორს იყო იმ დროის ცივილიზებული სამყაროსგან, ვიდრე რუსეთი, ამიტომ არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უწევდათ. გერმანია მზად იყო დახმარებოდა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ამ საკითხს მხარი არ დაუჭირეს. არადა მსოფლიო ომის დროს ორმა გერმანულმა კრეისერმა შავ ზღვაში შემოაღწია და სანაპირო მოსახლეობაში პანიკა

გამოიწვია, რადგან ისინი რუსეთის მტერს, ისევ თავის მტრად აღიქვამდნენ (გურული, 2011).

ნოე ჟორდანიამ გაზეთ „ახალ აზრში" გამოაქვეყნა, რომ „სოციალიზმის დედა აზრი აგებულია თავის დაცვაზე და არა თავდასხმაზე. ის გმობდა იმ პარტიას, რომელიც ერის ტრაგედიას შორიდან უყურებდა. ამიტომ მისი მკაფიო პოზიცია იყო ქართველ სოციალ-დემოკრატებს ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინათ, რასაც პარტიის ყველა წევრი არ ეთანხმებოდა. იგი 1915 წელს ასევე წერდა, რომ გერმანიის დახმარებით საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნა არარეალური იყო, რადგან არ იყო გარანტია ამის შესაძლებლობა მისცემოდა გერმანიას ომში არსებული მდგომარეობის გამო, ასევე არც იმის გარანტია არ არსებობდა, რომ რუსული ჯარების გასვლის შემდეგ ოსმალეთი არ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. თუმცა ეს პოზიცია თანდათანობით შეიცვალა, რადგან პირველ მსოფლიო ომს თან ახლდა ნაციონალისტური იდეების გავრცელება და იდეა ერთა თვითგამორკვევის შესახებ, რაც ერების თანასწორუფლებიანობას მოიტანდა. ამის მიუხედავად, საწყის ეტაპზე ქართველი სოციალ-დემოკრატები ვერ ბედავდნენ საქართველოს ცალკე ავტონომიის უფლების მოთხოვნას და მიაჩნდათ, რომ შესაძლებელი იყო ამიერკავკასიის ავტონომიის შექმნა რუსეთის შემადგენლობაში (ბენდიანიშვილი, 1999).

ანტი-რუსული პროპაგანდა შეანელა რუსეთის თებერვლის რევოლუციამაც, რა დროსაც გამოცხადდა რუსეთის დემოკრატიზაცია, წარსულს ჩაბარდა რუსული სამხედრო-ბიუროკრატიული მმართველობა საქართველოში, აღდგა ეკლესიის ავტოკეფალია, აღარ იდევნებოდა ქართული ენა, ეროვნული კულტურა, ეროვნული მოძრაობა, რასაც თან ერთვოდა ძლიერი ქართული მენშევიკური ლობი რუსეთის მთავრობაში კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის სახით. შესაბამისად რუსეთის დროებითმა მთავრობამ უმტკივნეულოდ განავრცო თავისი იურისდიქცია ამიერკავკასიაში, ისე რომ საქართველოში დამოუკიდებლობის საკითხი აღარც დამდგარა (გურული, 2011).

გურულის თქმით, სამხრეთ კავკასიული ქვეყნები განსხვავებული საგარეო ორიენტაციის მქონენი იყვნენ. შეუძლებელი იყო ამ სახელმწიფოებს ერთად ემოქმედათ. სომხეთმა გეზი ინგლისისკენ აიღო, აზერბაიჯანმა ოსმალეთისკენ. საქართველომ მჭიდრო კავშირის დამყარება მოასწრო გერმანიასთან და იძულებული გახდა მარტო ემოქმედა. ზემოთნახსენებ გაჭიანურებულ საკითხს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთისა და ოსმალეთის მოსალოდნელი აგრესია უწყობდა ხელს, ისევ ოსმალეთის აგრესიულმა პოლიტიკამ დააჩქარა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით, რომელიც ოსმალეთმა ბოლშევიკურ რუსეთთან

გააფორმა, მიიღო უფლება პირველ მსოფლიო ომში დაკარგული ტერიტორიები ისევ უკან მიეღო. ამას მოჰყვა სომხური ტერიტორიების ანექსირება და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. კერძოდ დაიკავეს აჭარის და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი. საშიშროება ემუქრებოდა ქუთაისს და თბილისსაც. ქართულ ქვედანაყოფებს კი ოსმალეთის არმიის შეჩერება არ შეეძლოთ. ამიტომ საკითხის შემდეგი ტაქტიკური გადაწყვეტილება მიიღეს. საქართველოს უნდა გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, რადგან ოსმალეთის ოკუპაციის შემთხვევაში, ეს უკვე იქნებოდა არა რუსეთის ნაწილის ოკუპაცია, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, რაც მომავალში გაადვილებდა საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას. ამიტომ 1918 წლის თებერვალში მოინვიეს ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც **აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადეს. ბოლშევიკების მიერ ჩრდილო კავკასიის დაკარგვამ, სადაც „თეთრი მოძრაობა" დაიწყო, აშკარა გახდა, რომ რუსეთის ორივე ფრთა ხელს იღებდა სამხრეთ კავკასიაზე, ხოლო ოსმალეთი შეტევაზე გადმოვიდა და ოკუპაცია დაიწყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთში ვითარების გარკვევას აღარ დაელოდნენ და რუსეთსა და დასავლეთს შორის არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ გააკეთეს (გურული, 2008). 1918 წლის 14 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოს ეროვნული საბჭოს ამღასრულებელმა კომიტეტმა დადგენილებაც მიიღო, სადაც გერმანიის მხარდაჭერაზეა საუბარი, მათ შორის თხოვნაზე, გერმანელებს გაეგრძელებინათ სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა დაახლოებოდნენ საქართველოს საზღვრებს და შესაძლებელი გამხდარიყო კონტაქტის დამყარება, რაც უზრუნველყოფდა საქართველოს თავდაცვას მოსალოდნელი გარე საფრთხეებისგან (გურული, 2011). ეს ასეც მოხდა, ბათუმში ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, გერმანია იქნებოდა გარანტი დაეცვა საქართველო სხვა ქვეყნის შემოჭრისგან. ის საქართველოს რამდენიმე ადგილში განალაგებდა თავის საჯარისო ნაწილებს (ურატაძე, 1939).

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო საგარეო ორიენტირად სრული ნეიტრალიტეტი. გამყრელიძე მიიჩნევს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. 1918 წლის „დამოუკიდებლობის აქტი" სწორედ მათი ზეგავლენის შედეგი იყო. ეს იმაშიც გამოიხატა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე მოხდა მისი როგორც დე-იურე აღიარებაც, რამაც ხელი შეუწყო რუსული იმპერიის რღვევას, რის შედეგადაც 1920 წლის 7 მაისს რუსეთიც იძულებული გახდა ეღიარებინა საქართველოს დამოუკი-

დებლობა. ამით ქართველ ხალხს მიენიჭა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და თვითგამორკვევის უფლება (გამყრელიძე, 2013).

მკვლევარი შ. ვადაჭკორია მიიჩნევს, რომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიღებას ბიძგი მისცა და განაპირობა ორმა პოლიტიკურმა გარემოებამ. ერთი სომხებისა და აზერბაიჯანელების სურვილმა უარი ეთქვათ ქართველების მიზნისთვის შექმნილიყო ერთიანი სამხრეთ კავკასიური ფედერაცია. და მეორე, მთლიანად უკავშირდება გერმანიას. ასეთ თამამ ნაბიჯს, როგორც ჩანს ჭირდებოდა ცივილიზებული სახელმწიფოების თანადგომა და მფარველობა, რადგან სუსტი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო სამხედრო აგრესიის საფრთხე ოსმალეთიდან, რომლის განეიტრალებაც სავარაუდოდ გერმანია თუ შეძლებდა. ამიტომ ქვეყანაში საერთო პოლიტიკური კონსესუსი ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატებში, ეროვნული-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებში (ვადაჭკორია, 2008). გერმანია მართლაც იყო დაინტერესებული ამიერკავკასიის ქვეყნებს დახმარებოდა ოსმალეთთან მოლაპარაკებებში, რადგან მისი გავლენები აღმოსავლეთით სუსტი იყო და დასაყრდენი ჭირდებოდა. ამას არ მიიღებდა ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და ოსმალეთზე ორიენტირებული აზრებაიჯანი. ერთადერთი, ვისაც მათი მხარდაჭერა ჭირდებოდა იყო საქართველო. ქართულმა დელეგაციამ სწორედ მათგან შეიტყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის და თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ. გერანიის გენერლის ფონ ლოსოვის რჩევით, ერთადერთი გამოსავალი მართლაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. ამაზე ხაზგასმით წერს აკაკი ჩხენკელი ბათუმიდან თავის თანაპარტიელებს და თხოვდა რისკზე წასულიყვნენ და გამბედაობა გამოეჩინათ. მის პოზიციას იზიარებდა ნოე ჟორდანიაც, რომელმაც უყოყმანოდ დაარწმუნა დანარჩენი პოლიტიკური ელიტა (სილაგაძე და გურული, 1998). გერმანელების ღვაწლზე საუბრობს ქართველი გენერალ-მაიორი შალვა-მაღლაკელიძეც თავის მოგონებებში, რომლის მიხედვითაც გერმანელებს სურდათ „დიდი რუსეთის დაქუცმაცება ეროვნულ ერთეულებად“ (მაღლაკელიძე, 2012). ამას კი ვერ შეძლებდნენ სათანადო ნიადაგის გარეშე, რაც საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა.

თუ წავიკითხავთ, ნოე ჟორდანიას სიტყვას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, მართლაც დავინახავთ, რომ ის სინანულს გამოთქვამს სომხებისა და აზრებაიჯანელების სურვილზე დაიშალოს ამიერკავკასიის ფედერაცია და გამოთქვამს იმედს მომავალში მისი კვლავ აღდგენისა. თუმცა, მისივე სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ იგი ამ პოზიციაზე მხოლოდ იმის გამოა, რომ გრძნობს სა-

ფრთხეს, მარტო ვერ გაუმკლავდება გარეშე მტერს და ეძებს მოკავშირეებს. ვითარებიდან გამომდინარე ის მიესალმება და აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას, როგორც სუვერენული, ნეიტრალური და დემოკატიული რესპუბლიკას, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თანასწორად დაცვას, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობა და სქესისა (გურული, 2011).

როგორც ვხედავთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ყოფილა ერთფეროვნული და ისეთი მარტივი, რომ ამ მოვლენას მხოლოდ ქართველების თავისუფლების სურვილი ყოფნოდა. ამას თან ერთვოდა შესაბამისი გარემოებები, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. რომ არა ეს გარემოებები, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ალბათ კიდევ დიდხანს გადაიწევდა. შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა რამდენიმე მიზეზისა და გარემოების ერთობლიობით.

პირველი, ეს იყო თავად საქართველოს მოსახლეობის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

მეორე, არსებობდა გერმანიის კონკრეტული მიზანი დაეშალა რუსეთი ერების ერთობებად და ამიტომ საქართველოს გამოუცხადა მხარდაჭერა, მათ შორის იხსნა ოსმალეთის აგრესიისგან.

მესამე, ოსმალეთისგან მოსალოდნელი იყო ოკუპაციის რეალური საფრთხე და ამიტომ ტაქტიკურად გამართლებული იყო საქართველო სამხედრო აგრესიას შეხვედროდა როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, რათა სამომავლოდ გაადვილებოდათ დამოუკიდებლობის აღდგენა და დეოკუპაცია საერთაშორისო არენაზე.

მეოთხე, ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა, იგი მას საერთოდ არ ცნობდა, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას.

მეხუთე, მოხდა ქართული პოლიტიკური პარტიების სრული კონსენსუსი ესარგებლად სათანადო გეოპოლიტიკური და შიდა მოვლენებით და გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

სოციალ-დემოკრატიული ცვლილებების იდეოლოგები

მე-20 საუკინის პირველი მეოთხედის საქართველოში პოლიტიკური ატივისტებისა და ელიტის უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ. მათგან ბევრზე შეიძლება საინტერესო კვლევის ჩატარება, თუმცა ამჯერად ჩვენ გამოვყავით მათი ლიდერი პრაქტიკული და ინტელექტუალური ასპექტებით, ყველაზე ძლიერი ორგანიზატორი, ყველაზე კოსმოპოლიტი თეორეტიკოსი, ყველაზე ნაციონა-

ლისტი, ყველაზე უხუცესი აქტივისტი და ყველაზე იდეალისტი პედაგოგი სოციალ დემოკრატი. ესენი არიან ნოე ჟორდანია, ირაკლი (კაკი) წერეთელი, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი. კვლევის გარეშე რჩება, მაგრამ აღნიშვნის ღირსია სოციალ-დემოკრატიული იდეების ბიძგის მიმცემი მწერალი ეგნატე ნინოშვილი, მენშევიკები კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, ნოე ხომერიკი, სეით დევდარიანი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვ.

ნოე ჟორდანია

ქართველი სოციალ-დემოკრატების უდავო ლიდერი ნოე ჟორდანიაა (1868-1953). ის იყო თეორეტიკოსი, ინტელექტუალი, პუბლიცისტი, მწერალი და ამავე დროს პრაქტიკოსი საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსი. ქართველი სოციალ-დემოკრატების შეკავშირება, მმართველ პოლიტიკურ ძალად გადაქცევა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და შემდგომი სამწლიანი მართვა, ისევე როგორც ოკუპაციის დროს მარცხი სწორედ მისი პასუხისმგებლობაა, როგორც ლიდერის. კვლევის მიზანსაც სწორედ მისი მოღვაწეობის და შეხედულებების შესწავლა წარმოადგენს, როგორც სოციალ-დემოკრატიული ტალღის - ევროპული იდეის დამცველის და მოდერნისტის საქართველოში. ქვემოთ ჩვენ გავაანალიზებთ მის პოლიტიკურ შეხედულებებს, განსხვავებებს ქართველი ლიბერალ-დემოკრატებისგან, დამოკიდებულებას ევროპის, დემოკრატიის, სოციალიზმის და სახელმწიფოს მოწყობის მიმართ. ასევე მის კონკრეტულ ნაბიჯებს სახელმწიფოს სამსახურში.

გურული აზნაურის ოჯახში დაბადებული, წინაპრებით იტალიური წარმოშობის ნოე ჯორდანიამ დაწყებითი განათლება ჯერ ლანჩხუთის სკოლაში, შემდეგ თბილისის სასულიერო გიმნაზიაში მიიღო. იმის მიუხედავად მშობლების დიდი იმედი ჰქონდათ შვილი მღვდელი გამოვიდოდა, თავიდანვე ათეისტური განწყობებით მყოფი ნოე სემინარიაში აკრძალულ ქართულ და რუსულ ლიტერატურას კითხულობდა. ეცნობოდა „ხალხოსნურ“ შეხედულებებს რევოლუციის შესახებ, რაც აინტერესებდა, მაგრამ მის განხორციელებაში ეჭვი ეპარებოდა. საბოლოოდ მისი პოლიტიკური შეხედულებები ჩამოყალიბდა ვარშავაში 1892 წლიდან, სადაც სასწავლებლად წასული გაეცნო ერთის მხრივ მარქსის მოძღვრებას, ხოლო მეორეს მხრივ პოლონელი ხალხის მოძრაობას ავტონომიისათვის, რამაც განაპირობა მისი რუსული „ხალხოსნობის“ იდეებიდან სამუდამოდ ევროპულ სოციალ-დემოკრატიაზე გადასვლა, რომელიც სოციალიზმის

გარდა ნაციონალისტურ იდეებს ეფუძნებოდა. მისი თქმით, რუსული ხალხოსნობა რეაქციონური იყო და ხალხს ბარბასობისკენ წაიყვანდა, ხოლო ევროპული სოციალ-დემოკრატია მშრომელი კლასის გათვიცნობიერებას და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანას ისახავდა მიზნად. ყველა სიახლეს რასაც ეცნობოდა ჟორდანია ვარშავაში, მათ შორის ლიტერატურას, აგზავნიდა საქართველოში ეგნატე ნინოშვილთან და სილიბისტრო ჯიბლაძესთან. ხოლო როდესაც 1892 წლის ბოლოს საქართველოში დაბრუნდა, ის უკვე სხვა სოციალისტებთან ერთად ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც ეგნატე ნინოშვილის გარშემო იყრიდა თავს. მათ მოაწყვეს საქართველოში პირველი მარქსისტული შეკრება, სადაც განსხვავებული შეხედულებების და ერთმანეთთან შეუთანხმებლობის გამო, ნოე ჟორდანიას მიანდეს პირველი სამოქმედო პროგრამის შედგენა. ჟორდანიამ თავისი მსოფლმხედველობით და მიღებული განათლებით იხელმძღვანელა, რის გამოც პროგრამა იყო როგორც სოციალისტური, ასევე ნაციონალისტური (ჟორდანია, 1990). პროგრამაში განხილული იყო ერის და სახელმწიფოს ბუნება, გლობალიზაციის ზემოქმედება ეროვნულ კულტურაზე, ომის შედეგები მცირე ერებზე და მათი ურთიერთობები ევროპასთან, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მიაჩნია, რომ ერის ერთიანობას ეკონომიკური განვითარება შეძლებდა. მისი სიტყვებით, „ერი, რომელიც მატერიალურად არის გაერთიანებული, იდეოლოგიურადაც ერთიანია. მერე ყველას ებადება სურვილი, რომ ეროვნულ საქმიანობას და ერს მიხედოს, გააძლიეროს ის... რაც უფრო ინტენსიურად განვითარდება ვაჭრობა, მით მეტი პროდუქცია გავა საერთაშორისო ბაზარზე... ეს გაზრდის მოთხოვნას წარმოებაზე და მუშა ხელზე“. მას მიაჩნდა, რომ კლასებად დაყოფა ერის პროგრესი და ისტორიული გარდაუვალობაა (ჯონსი, 2007).

ამას მოჰყვა ზემოთ ნახსენები მესამე დასის დაარსება და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა, რის გამოც ნოეს როგორც პროგრამის ავტორს დაკავება დაემუქრა და ჟენევაში გაემგზავრა. შვეიცარიაში სოციალისტებთან დაახლოებით მიხვდა, რომ უმრავლესობა „ხალხოსნურ“ იდეებზე იდგა, ხოლო ძალიან ცოტანი იყვნენ მარქსისტები. სწორედ აქ დაუახლოვდა გ. პლეხანოვს და სხვა მეცნიერულ-სოციალისტებს. ხოლო შემდეგ საფრანგეთში და გერმანიაში ცხოვრებისას დაუმეგობრდა კ. კაუცკის. პარალელურად იგი დადიოდა დასავლეთ ევროპის სოფლებში, იკვლევდა გლეხების ცხოვრებას და დარწმუნდა რომ ისინი ძალიან განსხვავდებოდა ქართული სოციალური სტუქტურისგან. დასავლეთ ევროპაში მცხოვრები გლეხი იყო კერძო მესაკუთრე, რომელსაც სახელმწიფო გადასახადები აწუხებდა და არა ფეოდალი, ხოლო რუსეთსა და საქართველოში გლეხი მონარქისტი იყო,

მაგრამ წინააღმდეგობაში მოდიოდა მემამულე ბატონებთან. ეს ყოველივე კი არ იძლეოდა სოციალისტური იდეების ისე გავრცელების საშუალებას, როგორც რუსეთის იმპერიაში (ჟორდანია, 1990).

ნოე ჟორდანიამ ამავე პერიოდში დაიწყო პუბლიკაციების წერა მარქსისტულ-სოციალისტურ იდეებზე. სამშობლოში დაბრუნებამდე, მან ცოტა ხნით ინგლისშიც იცხოვრა, რის შემდეგაც 1897 წელს დაბრუნდა საქართველოში, სადაც გახდა გაზეთი „კვალის" რედაქტორი და დაუპირისპირდა გაზეთ „ივერიას" რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა და რომელსაც ფეოდალიზმში ადანაშაულებდა. პროფ. ვ. გურულმა შეისწავლა ამ ეპოქის პოლემიკა პრესის ფურცლებიდან და დაასკვნა, რომ მათ შორის პიროვნულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. მით უფრო ისინი ერთმანეთს პერსონალურად არც მოიხსენიებდნენ და როგორც იდეებს ან ქმედებებს იმას აკრიტიკებდნენ. გურულის აზრით ეს იყო წინააღმდეგობები ეპოქებს, თაობებს და იდეებს შორის. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა კიდეც, რომ ის აღიარებს და პატივს სცემს 1860-იანი წლების მოძრაობას, რომელსაც პროგრესულად თვლიდა აფასებდა მათ ღვაწლს ქართველი ერის გადარჩენაში, მწერლობის შექმნაში, სალიტერატურო ენის შემუშავებაში, ძველ წესებთან შებრძოლებაში, ჩაგრულთა მომხრედ გამოსვლაში და ეს ბრძოლა პროგრესისთვის იყო სრულიად უანგარო. მაგრამ 1880-1890-იანი წლებიდან ნოე ჟორდანია მიიჩნევს რომ დადგა ახალი ეპოქა, რომელსაც „თერგდალეულები" ჩამორჩნენ. რა თქმა უნდა, ნოე ჟორდანია ამ მოსაზრებაზე იმის გამო იყო, რომ ის გაიტაცა სოციალისტურმა იდეებმა, ხოლო ილია ჭავჭავაძე და მისი გუნდი დარჩა ერთგული როგორც თავისუფალი ბაზრის, კერძო საკუთრების და პირველ რიგში ეროვნული დამოუკიდებლობის. ნოე ჟორდანია წერდა, რომ ის ებრძოდა მცდარ აზრებს და არასოდეს პიროვნებას. მოწინააღმდეგეებს ის პატიოსან, მაგრამ შემცდარ აზრზე მყოფებად თვლიდა. არც ილია ჭავჭავაძე აკლებდა სარკმაზულ ნერილებს „მესამე დასელებს" და სოციალისტურ მოძრაობას (გურული, 1999). ყველასათვის ცნობილია, რომ ის იბრძოდა სოციალური უთანასწორობის და ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მაგრამ სოციალიზმის არ ჯეროდა. მომავალში კი ნოე ჟორდანია თავად გახდა კერძო საკუთრების და ეროვნული თავისუფლების დამცველი, ოღონდ ამ ყველაფერს სოციალ-დემოკრატიული სარჩულით ხსნიდა.

რომ დავუბრუნდეთ გაზეთ „კვალში" მოღვაწეობას, იგი არალეგალურ პრობლამაციებსაც ამზადებდა და ავრცელებდა. ხოლო სა-პირველმაისო გამოსვლების და გურიის გლეხთა მოძრაობის გამო, 1901-1902 წლებში ნოე ორჯერ დააკავეს, შემდეგ დროებით გამოუშვეს, განჯაში გადაასახლეს და ხელმეორედ დაკავების ბრძანების

გამო, ინგლისში მოასწრო გაქცევა. მისი ციხეში ყოფნის დროს მოხდა სწორედ ქართული და ყველა კავკასიური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შეერთება რსდმპ-ში, რასაც იგი უარყოფითად შეხვდა. ასევე მისი ნაციონალისტური ხედვების გამო დაიწუნეს მისი პროგრამა ამიერკავკასიის კომიტეტზე (ჟორდანია, 1990). არადა, როგორც ს. ფ. ჯონსი წერს, როდესაც ჟორდანია დასავლეთ ევროპაში იყო მას თანასწორ კამათში შეეძლო ყოფნა ისეთ თეორეტიკოსებთან, როგორებიც იყვნენ კარლ კაუცკი, ედუარდ ბერნსტაინი, გიორგი პლეხანოვი და ვლადიმერ ლენინი. მის ნაშრომებში გამოთქმული რწმენა საპარლამენტო მონაწილეობაზე, ლეგალურ მუშაობაზე, პლურალიზმსა და პარტიის შიგნით დეცენტრალიზაციაზე მხოლოდ მისი ტაქტიკური საკითხები კი არ იყო, არამედ იდეური კურსი და პოლიტიკური რწმენა, რომლითაც იგი საქართველოს დემოკრატიულ ევროპასთან ერთად არსებობაში ხედავდა. ამას გარდა ჟორდანია წერდა, რომ ქართველი ერის ადგილი ევროპაშია, რადგან ქართველები „ჩავდექით ახალ ხანაში, არა როგორც ეთნოგრაფიული ხალხი, არამედ როგორც ქართველი ხალხი მქონე საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების. აი, ეს არის ეროვნული ნიადაგი, ამაზე ვაშენებთ ევროპიულ ცივილიზაციას. ქართველობა და ევროპიელობა - აი, რა სწერია ამ დროშაზე. ჩვენში გაევროპელების სურვილი ძლიერია, ისე ძლიერი, რომ ხალხში კრიზისს იწვევს. ეს კრიზისი ეხება გაევროპიელების დედა-ძარღვს - ეკონომიკურ განვითარებას“ (ჟორდანია, 2007). ჟორდანია მოგვიანებით საკუთარ ხედვებს ევროპის მიმართ კიდევ უფრო ხისტად აყენებს მის ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი წერს: „საქართველო მუდამ ევროპას ეძებდა, მუდამ მასთან დაკავშირებას ეტრფოდა. მან ის ვერ პოვა სიახლოვეს და გადასწყვიტა რუსეთის საშვალებით დასავლეთში გასვლა. რუსეთი მას მოევლინა როგორც ევროპიული სახელმწიფო და მას ხელი გაუწოდა. ახლა კი იგივ რუსეთი მას მოევლინა როგორც ანტიევროპიული სახელმწიფო და ეზიდება აზიისაკენ. რუსეთთან შემაკავშირებელი ეს ხიდიც ჩატყდა; დეე მოსკოვმა განაგრძოს თავისი გზა აღმოსავლეთით, საქართველო მას ვერ გაყვება, ის განაგრძობს თავის ისტორიულ გზას დასავლეთით... ქართველი ერი უნდა შევიდეს საბოლოოთ ევროპის ოჯახში; ეს კი შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკების ბატონობის დაცემით და თავისუფლების აღდგენით. ამის ნიადაგი უკვე მომზადებულია ჩვენში და ევროპაში. დასავლეთის მთელი დემოკრატია დიდათ დაინტერესებულია ქართველი ხალხით, დიდ თანაგრძნობით მას ეპყრობა და მფარველობას უწევს. მას ის უკვე მიაჩნია თავის ნაჭრათ, თავის ხორცათ და სისხლათ. მეორე მხრით, თვით ქართველი ხალხი არ ურიგდება მოსკოვის ოკუპაციას იბრძვის თავისუფლებისათვის და იხედება

დასავლეთისაკენ. ის იმედიანათ არის და ეს იმედი მას არ გაუცრუვდება". ჟორდანია გეოგრაფიულ საზღვრებს იმიტომ ასახელებს, რომ მიაჩნია, ევროპული კულტურა განვითარდა საბერძნეთის და რომის კულტურაზე, რომელიც იდგა ადამიანის კერძო საკუთრებაზე, ხოლო აზია სახელმწიფო საკუთრებაზე. პირველმა განაპირობა ადამიანის ნიჭის დაფასება და ინდივიდუალური განვითარება, მეორემ პიროვნების ნიჭის და გამჭრიახობის დაჩაგვრა. შესაბამისად, აზიაში მივიღეთ დესპოტური მმართველობა, ხოლო ევროპაში მრავალი პოლიტიკური წყობილება, ესაა რესპუბლიკა, მონარქია, არისტორკრატია, დემოკრატია, კონსტიტუცია და სხვ. საბოლოოდ კი დემოკრატიამ გაიმარჯვა (ჟორდანია, 1923).

1905 წლის რევოლუციის დროს ჟორდანია ყალბი პასპორტით დაბრუნდა საქართველოში. ეს ის პერიოდია, როდესაც ბოლშევიკები და მენშევიკები ერთმანეთს გაემიჯნენ. მან მონაწილეობა მიიღო სოციალისტურ ორგანიზაციებში ბოლშევიკების დამარცხებაში და ითავა რედაქტორობა გაზეთ „სოციალ-დემოკრატი", „სხივი", „განთიადი" და „ელვა". იგი არჩეული იქნა რუსეთის პირველ სათათბიროში, სადაც სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. სათათბირო მალევე დაითხოვეს, მაგრამ ნოე ჟორდანიამ მოახერხა შემდგომ სათათბიროებში თავისი კადრები გაეყვანა. პოლიტიკური მოღვაწეობის გამო იგი მცირე ხნით კიდევ ორჯერ დაპყავეს, ვიდრე 1913 წლის საყოველთაო ამნისტია არ შეეხო. 1917 წლიდან ჟორდანია მომხრე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის, ოღონდ ისე, რომ რუსეთს ღალატად არ ჩაეთვალა და რეპრესიები არ დაეწყო. მისი სიტყვებით, „საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში საჭირო იყო ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურად არაფერი საფრთხე არ დაემუქრებოდა." კიდევ ერთი ტაქტიკური ნაბიჯი რასაც სიფრთხილით ეკიდებოდა ნოე ჟორდანია, იყო ის, რომ თუ რუსეთის ჯარი თავისი შიდა სამოქალაქო ომის გამო დატოვებდა საქართველოს, დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის მიმხრობა ღალატად არ ჩაითვლებოდა, შესაბამისად ხალხი გადარჩებოდა დარბევას, რეპრესიებს და დაპატიმრებებს. ამიტომ მისი პრინციპი იყო მოქმედება გარემოებათა გავლენით და მათთან შეგუებით. საკითხი გაამარტივა რუსეთში ბოლშევიკურმა რევოლუციამ და ოსმალეთის შესაძლო ოკუპაციამ, რამაც პრაქტიკულად გამართლებულად გახადა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ჟორდანია გახდა ჯერ დროებითი პარლამენტის, შემდეგ მთავრობის მეთაური (ჟორდანია, 1990). მენშევიკი ვლადიმირ ვოიტინსკი წერდა, რომ ჟორდანია უეჭვო ბელადი იყო თავისი მცირერიცხოვანი ერისა, გარემოცული სიყვარულითა და აღ-

ტაცებით, ხოლო ქართველი ერის შესაშური ერთიანობა დიდწილად სწორედ მისი გავლენის შედეგი იყო (ჯონსი, 2007).

1919 წელს ჩატარებული საყოველთაო არჩევნების დროს, პროპორციულ სისტემაზე დამყარებულ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მისმა პარტიამ 130 ადგილზე, 102 დეპუტატი გაიყვანა. მოხერხდა რუსეთის და სხვა თავისუფალი ქყვეყნებისგან დამოუკიდებლობის ცნობა. თავად კი მთავრობის მეთაურობა შეინარჩუნა. მის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, როგორც მოდერნისტულ პროექტებს ქვემოთ განვიხილავთ. მანამდე კი უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართულმა არმიამ ორჯერ მოიგერია რუსული არმიის სამხედრო აგრესია 1918 წლის იანვარში და 1920 წლის აპრილში. აწარმოა თავდაცვითი ომი სომხეთთან 1918 წლის დეკემბერში. ბოლშევიკების ნაქეზებით ამბოხსაც გაუმკლავდნენ აფხაზეთში, მაგრამ 1921 წელს საბოლოოდ დამარცხდნენ რუსეთის მეთერთმეტე არმიასთან, რის შემდეგაც ემიგრაციაში წავიდა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად (ჟორდანია, 1990) და პარიზში, სტალინის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა.

მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპების შესწავლის გარდა, საინტერესია ცოტა უფრო დეტალურად გავაანალიზოთ მის **სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს**, რადგან სწორედ ის იყო ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის მეორე ტალღის ლიდერი. საინტერესოა, რომ ის იყო, როგორც მარქსისტი, უფრო ზუსტად კი სოციალ-დემოკრატი, მაგრამ ამავე დროს აღიარებდა ეროვნულ საკითხსაც. მისი დამოკიდებულება **ეროვნულობის** მიმართ ოთხ ეტაპად შეგვიძლია გამოვყოთ.

თავდაპირველად მას არანაირი პასუხი არ ჰქონდა ამ საკითხზე. დასავლეთ ევროპაში ნაციონალისტური სახელმწიფოების ფორმირება მიმდინარეობდა წარმატებით და მას იზიარებდნენ ამ ქვეყნების სოციალ-დემოკრატებიც, მაგრამ ჟორდანიას პასუხი აინტერესებდა იმ ხალხებისთვის, ვინც კოლონიის პირობებში ცხოვრობდა.

ამიტომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მეორე ეტაპზე, მასზე დიდი გავლენა იქონია პოლონეთის ეროვნულმა მოძრაობამ, საყოველთაო ბოიკოტებმა რუსეთის მიმართ, პოლონური ენისა და კულტურისთვის ბრძოლამ და ავტონომიის მოთხოვნამ. ჟორდანიას თქმით, „თუკი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ჰქონდეს თავისი სახელმწიფო“ (ჟორდანია, 1990). ამავე ეტაპზე საქართველოში დაბრუნებული ჟორდანია ადგენს „მესამე დასის“ სამოქმედო პროგრამას, რომელიც იმდენად ნაციონალისტურია, რომ

მომავალმა ბოლშევიკმა ფ. მახარაძემ და სხვა სოციალისტებმა ვერ დამალეს აღშფოთება. ხოლო მეორე ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნდა სახელით „ეკონომიკური წარმატება და ეროვნულობა" იყო როგორც სოციალისტური, ასევე ნაციონალისტური. ამ პერიოდში მასზე გადამწყვეტად იმოქმედა კარლ კაუცკის წერილმა, რომლის მიხედვით დარწმუნდა, რომ მარქსიზმი არ უარყოფდა ნაციონალურ საკითხს, იგი აღიარებდა **ერთა თვითგამორკვევასა და თანასწორობას.**

მესამე ეტაპზე იკვეთება მისი ტაქტიკური დამოკიდებულება ეროვნულობის მიმართ, რასაც ერთი შეხედვით ისე შეიძლება გამოჩნდეს, რომ იგი უარყოფს ამ ცნებას, მით უფრო რომ იგი დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძეს და სოციალ-ფედერალისტებს, რომლებიც პირველ რიგში ეროვნულობის საკითხს აყენებდნენ. ჟორდანიას ხედვა იყო ტაქტიკური და არა მსოფლმხედველობითი. ამას სამი რამ განაპირობებდა. პირველი, მას მიაჩნდა, რომ ერის ჩამოყალიბება ხდებოდა კაპიტალიზმის და არა ფეოდალიზმის პირობებში. ამიტომ იგი ქართულ ეროვნულ შეგნებას მე-19 საუკუნის მოვლენად აღიქვამდა, მით უფრო რომ იგი თავის წიგნში ხშირად ახსენებს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მრავალსაუკუნოვან წყვეტას, რომელიც ერთბაშად აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს. მეორე მიზეზი, რატომაც ეროვნულ საკითხს არ აყენებდა სოციალურ საკითხზე წინ იყო ასევე ტაქტიკური. იგი შიშობდა, რომ ასეთ დროს დაკარგავდა გლეხების მხარდაჭერას, რომლებიც მემამულეებს ებრძოდნენ და ილიასეული კლასთა შერიგება უარყოფითად განაწყობდა გლეხებს სოციალ-დემოკრატების მიმართ. ამიტომ მას ერჩივნა კლასთა დაპირისპირების პროპაგანდით გლეხები სოციალ-დემოკრატიის რიგებში მიეღო. და მესამე, ნოე ჟორდანია ძალიან უფრთხოდა რუსეთს, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო სისხლში ჩაეხშო ნებისმიერო ეროვნული მოძრაობა. თავად სოციალისტებიც მუდმივი რეპრესიების ქვეშ იყვნენ, ხოლო ამას დამატებული ეროვნული მოტივები, საერთოდ გათიშავდა მათ მოძრაობას და უამრავი ადამიანის მსხვერპლს მოიტანდა. ეს იყო წმინდა ტაქტიკური საკითხი და არა იდეოლოგიური, რაც საბოლოოდ გამოჩნდა საქართველოს პირველივე შესაძლებლობის დროს გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და ჟორდანიამ მთელი თავისი კარიერა და ცხოვრება ეროვნულ ერთიანობას მოახმარა. ის გახდა ჩვეულებრივი ნაციონალისტური მთავრობის მეთაური, რომელიც იცავდა ეროვნულ თავისუფლებას და ამ ყველაფერს სოციალისტურ იდეებს უთავსებდა.

რაც შეეხება ჟორდანიას შეხედულებებს **დემოკრატიის** შესახებ, ის ამ საკითხში უდაოდ ქართველი განმანათლებელია. მან მთელი თავისი მოსაზრებები ჩამოაყალიბა ერთ წიგნად, რომელსაც „დე-

მოკრატია" ჰქვია და პარიზში გამოიცა 1933 წელს. მისი შესწავლისას ვხედავთ, რომ იგი აყალიბებს **დემოკრატიის ძირითად პრინციპებს,** ასახელებს დემოკრატიის **ორგანოებს,** განიხილავს **ბურჟუაზიულ, პროლეტარულ და სოციალისტურ დემოკრატიას** და საუბრობს მისი **განხორციელების მეთოდებზე** სახელმწიფო სტრუქტურებში (ჟორდანია, 1933).

ნოე ჟორდანია დემოკრატიის ძირითად პრინციპად მიიჩნევს **ადამიანს და მის სუვერენულობას.** მას მიაჩნია, რომ ადამიანი საზომია ყველა სოციალური მოვლენის, ნივთის და იდეის. ის არის თავისთავის პატრონი, თავისი მოქმედებების მომფიქრებელი, ხელმძღვანელი და გამტარებელი, თავისი კერძო თუ საერთო საქმეების ამწყობი და გამძღოლი. ადამიანი სუვერენულია ინდივიდუალურად და საზოგადო საქმეებშიც. ყველა ვინც მის დაუკითხავად ცდილობს ჩაერიოს მის ცხოვრებაში არის დემოკრატიის მოწინააღმდეგე, ესაა ბატონი, მონარქი თუ რჩეული პირი - „მხსნელი". დემოკრატიის ძირითად პოლიტიკურ პრინციპად ჟორდანია აღიარებს **მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებას** (ჟორდანია, 1933).

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა კრებული ანუ **ხალხი,** რაც გულისხმობს პასუხისმგებელ ადამიანებს საზოგადოების მიმართ. ეს არის სწორედ ძალაუფლების წყარო. ასეთი კოლექტივი შეიძლება იყოს სოფელში, ქალაქსა და სახელწმიფოში. ეს ნიშნავს რომ ყველა ამ თემის ძალაუფლების ბატონია თავად აქ მცხოვრები ხალხი და მისი უმრავლესობის გადაწყვეტილება, რაც გამოიხატება თვითმმართველობებსა და პარლამენტის ინსტიტუტში (ჟორდანია, 1933).

ნოე ჟორდანია დემოკრატიის სისუსტედ მიიჩნევს აზრთა კრიზისს. როდესაც ადამიანები ეკონომიკურად კმაყოფილნი არ არიან დემოკრატიის პირობებში, შეიძლება მათ აზრებს სენი შეეპაროს და აცდეს დემოკრატიულ მისწრაფებებს. ასეთ დროს ხალხმა შეიძლება გზა გაუხსნას დიქტატურას ან მონარქიას. როდესაც დემოკრატიის მეშვეობით ბატონობენ გაბატონებული კლასები - ეს **ბურჟუაზიული დემოკრატიაა,** რაც ოლიგარქიულ მმართველობას წააგავს და საერთო არაფერი აქვს ხალხის სუვერენიტეტთან. ის მართალია ყოველთვის იბრძოდა ფეოდალიზმის, მონარქიის წინააღმდეგ მაგრამ როდესაც დემოკრატია ხალხურობისკენ იხრება იგი ზურგს აქცევს მას და საკუთარ ინტერესებს აყენებს წინ. ჟორდანიას მიაჩნია, რომ დემოკრატიზმი პროლეტარიზმის თანდაყოლილი და განუშორებელი ბუნებაა. **პროლეტარიზმის დემოკრატია** ეკონომიკაში დაყრდნობილია სიღარიბეზე და შრომის პროცესზე. იგი აგებულია არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ შრომასა და ბრძოლაზე. მისი ძალა სწორედ საზოგადოებრივია და არა პიროვნული. მაგრამ პოლიტი-

კაში პროლეტარიზმის დემოკრატია ინდივიდუალისტურია და ეყრდნობა წარმომადგენლობითი სისტემის დასუსტებას ხალხის პირდაპირი ჩარევით. ესაა რეფერენდუმი, საკანონმდებლო ინიციატივა და სხვ. ხოლო **სოციალისტური დემოკრატია** უფრო ფართო გაგებისა და მოიცავს პროლეტარიატს, იგი კლასის გაერთიანებას ახდენს. ის თავისუფლებას და თანასწორობას ქადაგებს არა მხოლოდ თავისი ერისთვის, არამედ ინტერნაციონალური მასშტაბით ყველა გაჭირვებულისთვის, თავისუფლების და თანასწორობის მსურველთათვის და მიისწრაფვის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ (ჟორდანია, 1933).

ნოე ჟორდანიას აზრით დემოკრატიის განხორციელება სხვადასხვა **მეთოდებით** ხდება. ეს არის ტაქტიკის საკითხი და იმაზეა დამოკიდებული როგორი სახისაა დემოკრატია, ბურჟუაზიული თუ პროლეტარიული. პირველი იყენებს პარლამენტარიზმს, რამდენიმე წელიწადში არჩევის შესაძლებლობას და ლეგალიზმს ანუ არსებული დაწერილი კანონების ფარგლებში მოქმედებს. ხოლო მეორე საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იყენებს გაფიცვებს, ბოიკოტს, აქციებს, მუშათა მოძრაობებს, რასაც მრავალჯერ დაუცვია დემოკრატია და შეურყევია რეაქციული ანტიხალხური კონსტიტუციები (ჟორდანია, 1933).

ჟორდანიას აზრით, დემოკრატიის მუდმივი მოთხოვნილებაა იაფი მმართველობა, სადაც ადამიანი უფრო წონიანი ფიგურა უნდა იყოს, ვიდრე სახელმწიფო, მაგრამ როგორც წესი სახელმწიფოები დემოკრტიის პირობებშიც კი მიდრეკილნი არიან გამსხვილებისკენ, გაძლიერებისკენ და სურს მისი გავლენა გაფართოვდეს, გაზარდოს გადასახადები და შეიჭრას ადამიანის ცხოვრებაში. ეს კი ძირს უთხრის ხალხის სუვერენიტეტს და დემოკრატიას. ამიტომ როგორც პიროვნება, ასევე სოციალიზმი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რათა შეზღუდოს მისი მუდმივი ზრდა და ჩარევა სამოქალაქო, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებაში. ეს კი შესაძლებელი იქნება კომუნების დაარსებით, რაც გულისხმობს ყველა სფეროში არჩევითობის უფლების დაშვებას, მათ შორის სასამართლოს, პოლიციის და სწავლა-განათლების ორგანიზებას, მათი ბიუჯეტების კონტროლს და ა.შ. (ჟორდანია, 1933).

ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიის, მისი მოღვაწეობის, პუბლიკაციების, შრომების შესწავლის შემდეგ ვხედავთ, რომ ის მთელი თავისი ცხოვრებით იყო მოდერნიზაციისა და ევროპული იდეის მატარებელი. მისი შეხედულებები დემოკრატიის შესახებ ფაქტობრივად იდენტურია ლიბერალური ფრთის ხედვებისა. იგი ქადაგებდა ინდივიდის, ერთა თავისუფლებას და მათ თანასწორობას. მიისწრაფოდა პროგ-

რესისკენ და ბრძოლას უცხადებდა დრომოჭმულ, რეაქციონერულ და ფსევდო ღირებულებებს, რომელიც მიმართული იყო ადამიანების იდეოლოგიური მართვისკენ. მას ლიბერალებისგან განსხვავებული შეხედლებები ჰქონდა ეკონომიკურ საკითხებზე, მაგრამ იგი აბსოლუტურად თავსებადია ევროპულ სოციალიზმთან. მისი სოციალისტური შეხედულებები გამოწვეული იყო მშრომელი ხალხის უფლებების დაცვის მოტივით, უსამართლო ჩაგვრის წინააღმდეგ და დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით. დღეს უკვე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმი ეკონომიკის განვითარების საშუალება არ არის, მაგრამ ის უდაოდ იცავდა ადამიანებს ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის მანკიერი მხარეებისგან. ჟორდანიამ, როგორც მსოფლიოში პირველმა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მეთაურმა კერძო საკუთრება არათუ დაუშვა, არამედ შექმნა გლეხებისათვის მიწების გადაცემით. ეს განპირობებული იყო მის მიერ რეალობის აღქმით და გაანალიზებით, რომ სოციალიზმი პრაქტიკაში ისე არ ამართლებს, როგორც თეორიებში ჟღერს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მან სოციალიზმზე უარი თქვა. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ისეთი ცნებების ერთგული, რომელიც დღეს უკვე წარსულის მოვლენაა. ესენია კლასობრივ პრინციპებზე დამყარებული იდეები, რომელიც ებრძოდა ბურჟუაზიასა და კაპიტალიზმს, ხოლო იცავდა პროლეტარიატსა და სოციალიზმს.

ირაკლი (კაკი) წერეთელი

ირაკლი, (ყველაზე კოსმოპოლიტი) იგივე კაკი წერეთელი (1881-1953) ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან. იგი იყო სოციალიზმის თეორეტიკოსი და პუბლიცისტი. დაიბადა ცნობილ ოჯახში. მამა მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი იყო, ხოლო დედა ოლიმპიადა - კვლევის პირველ ნაწილში ნახსენები ნიკო ნიკოლაძის და. პეტერბურგში სწავლისას ის ანტიცარისტული სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა, რის გამოც გადაასახლეს ციმბირში 1901-1903 წლებში. მისი გადასახლება ამით არ შემოიფარგლება, იგი 1905 წლიდან რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს - დუმის წევრად აირჩიეს, გახდა სოციალ-დემოკრატების წევრი და აქტიურად ჩაება რევოლუციაში. შედეგად კი 1907-1913 წლებში კვლავ ციმბირში კატორღაში სამუშაოდ გადაასახლეს. კაკი წერეთელი თავიდანვე იდეოლოგიურ წინააღმდეგობაში იყო ლენინთან. განსხვავებული პოზიცია ჰქონდა პირველ მსოფლიო ომთან მიმართებაში. როდესაც ლენინი ე.წ. „დამარცხების“ თეზისებით გამოდიოდა და ომში საკუთარი მთა-

ვრობის წინააღმდეგ მიდიოდა, წერეთელი მშვიდობას ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე ქადაგებდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ის დროებითი მთავრობის წევრი იყო და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პოსტი ეკავა. ის არის პროპაგანდისტური კომუნისტური მხატვრობისა და კინოს ცნობილი ანტიგმირი, სადაც აღბეჭდილია მისი სიტყვით გამოსვლა რუსეთის დროებითი მთავრობის სხდომაზე, სადაც აცხადებს, რომ რუსეთში არ არის ისეთი პარტია, რომელიც ხელისუფლებას აიღებდა. მას მოულოდნელად ლენინი აწყვეტინებს და პასუხობს დარბაზიდან, რომელსაც გვერდით სტალინი უდგას: „არის ასეთი პარტია! ეს არის ბოლშევიკური პარტია!“ არადა, რუსეთის დროებით მთავრობაში უმრავლესობას მენშევიკები და ესერები წარმოადგენდნენ, ხოლო ბოლშევიკები უმცირესობაში იყვნენ. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი კარიერა დემოკრატიული რუსეთის შექმნას მიუძღვნა და რუსეთის დაშლის წინააღმდეგი იყო, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში მიიღეს, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი. ხოლო საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა (საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედია, 1987).

1907 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ირაკლი წერეთელი მკაცრად აკრიტიკებს მემარჯვენე ლიბერალ-დემოკრატების ფრთას და მას პოლიტიკურად არაფრის შემძლე მოძრაობად მიიჩნევს. ხოლო ერთადერთი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც შეეძლო ქვეყანაში დემოკრატიის, სოციალიზმის დამყარება და რევოლუციის მოხდენა, სოციალ-დემოკრატიულ პარტია მიაჩნდა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ქართული ინტელიგენციის 60-90-იანი წლების ნაციონალისტურ მიდგომებს. მიიჩნევდა, რომ გლეხთა გათავისუფლება ბატონ-ყმობის გაუქმებით არ შემოიფარგლებოდა და ბატონ-ყმური, ფეოდალური მიდგომები უნდა შეცვლილიყო. მისი სიტყვებით „ერის შეძლებული ნაწილების, პირველ ყოვლისა თავად-აზნაურობის გამაგრება და სხვა ერებთან, განსაკუთრებით სომხებთან, ეროვნულ ნიადაგზე შუღლის ატეხა“ იყო (წერეთელი, 1907). წერეთელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის შესახებ რომ ინტელიგენციის ხელში იყო ბანკი, სკოლები, ქალაქების თვითმმართველობები და სხვა დაწესებულებები, რითაც ახერხებდა საკუთარი ინტერესების გატარებას, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ, როგორ იბადებოდა ახალი მუშათა და გლეხთა კლასი, რომლის ინტერესებსაც ინტელიგენცია საერთოდ არ ითვალისწინებდა. ყოველივე ამას კი მესამე დასი და სოციალ-დემოკრატია დაუპირისპირდა, რომელმაც კლასთა ბრძოლა და ახალი მოქალაქეობრივი წყობის ჩამოყალიბება გამოაცხადა. ირაკლი წერეთელი აკრიტიკებდა ეროვნული ავტონომიის იდეასაც, რადგან მიაჩ-

ნდა, რომ ეს იდეა იყო იმ ხალხისგან ვისაც წოდებების შენარჩუნება სურდა. ასეთ შემთხვევაში თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ინტელიგენცია, სტუდენტობა, მუშები და გლეხები ერთად უნდა დამდგარიყვნენ, რაც წარმავალი წოდებების გავლენის შენარჩუნების მცდელობა იქნებოდა. მას სწამდა რომ პროლეტარიატი იყო სწორედ ის ძალა, რომელსაც ქვეყნის რეალური გარდაქმნები უნდა მოეხდინა და რომელიც უკვე სოციალ-დემოკრატიის იდეებით უკვე იბრძოდა საკუთარი ინტერესების დასაცავად. იგი ეროვნულ-ტერიტოიულ ავტონომიის იდეას და ქართული ენის ამ ავტონომიაში სახელმწიფო ენად გამოცხადებას აღიქვამდა, როგორც ნაციონალისტური ინტელიგენციის სურვილს, რომლითაც არამარტო გაიმყარებდა საკუთარ გავლენას, არამედ დაემორჩილებდა მოსახლეობის იმ 20%-ს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდა და დაიწყებოდა ამ ერების ჩაგვრა. ეს კი მისი შიშით გახლეჩდა მუშათა და გლეხთა კლასს და საერთო კლასობრივი ინტერესების მაგივრად ნაციონალისტურ მორევში ჩაითრევდა (წერეთელი, 1907).

აღნიშნულ წიგნში ირაკლი წერეთელი აკრიტიკებს რუსეთის იმპერიაში ბატონ-ყმობის გაუქმების რეფორმას, რადგან გლეხები კი გათავისუფლდნენ ბატონებისგან, მაგრამ მათ მიწა არ შეხვედრიათ. მიწები ისევ ბატონების ან კაპიტალისტების ხელში დარჩა. გლეხების დიდი ნაწილი ქალაქებში წავიდა, სადაც ქარხანა-ფაბრიკებში იქცა კაპიტალისტების ექსპლოატაციის მსხვერპლი. ამიტომ უნდა მომხდარიყო დასავლეთ ევროპის გამოცდილების მიღება და გლეხი უნდა გათავისუფლებულიყო არა მარტო იურიდიულად, არამედ ეკონომიკურადაც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გაუქმებულიყო კერძო საკუთრება და წარმოების იარაღი მუშა ხალხის ხელში გადასულიყო. ამის ერთადერთ გზად, როგორც სხვა სოციალ-დემოკრატები, ისევე ირაკლი წერეთელი საწყის ეტაპზე მონარქიის დამხობას ხედავდა და მხოლოდ ამ პირობებში სოციალიზმის აშენებას. ამ გზაზე კი იგი ტერორიზმსაც ამართლებდა, ხოლო სოციალისტური იდეების განხორციელების შესაძლებლობას ხედავდა მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც სოფელში უკიდურესად გამწვავდებოდა ურთიერთობები კაპიტალიზმის მეშვეობით და ქალაქში მათი მოკავშირე იქნებოდა მუშათა კლასი. პროლეტარიატის პოლიტიკური გათვიცნობირება და განვითარება მიაჩნდა ყველა ტერორისტულ აქტზე უფრო ძლიერად. მისი სიტვებით, ეს არის კლდე, რომელზედაც სოციალ-დემოკრატიის ტაძარი უნდა აშენდეს (წერეთელი, 1907).

ირაკლი წერეთელი კაპიტალისტური წყობის მანკიერ მხარეებს შემდეგნაირად ხსნის. მისი აზრით, ასეთ დროს წარმოება მიმართულია არა საკუთარი მოხმარებისთვის, არამედ ბაზრის ინტერესების

დასაკმაყოფილებლად. მწარმოებელი გაყიდული საქონელით მოგებას ნახულობს, წარმოებას აფართოებს და რაც უფრო ბევრს დაამზადებს, მით მეტად იაფი დაუჯდება საცალო დანახარჯები და მეტ მოგებასაც ნახავს. იგივე პრინციპით მოქმედებს მისი კონკურენტი კაპიტალისტი, ანუ სწრაფად და დიდი რაოდენობის პროდუქტის დამზადება მოახერხოს და ბაზარზე გაიტანოს, რათა მეტი მომხმარებელი სწორედ მას შეხვდეს. ყველა კაპიტალისტის იგივე მოქმედება ბაზარზე იწვევს ჭარბი რაოდენობის პროდუქტს, რომელიც აღარ საღდება, იწვევს კრიზისს და წარმოება ჩერდება მანამ, სანამ არ გაიყიდება კაპიტალისტის ყველა პროდუქტი. წარმოების შეჩერება კი იწვევს მუშა-ხელის უმუშევრობას, ხელფასების გაუცემლობას, მათთვის ქირის გადაუხდელობის და ქუჩაში დარჩენის საფრთხეს. შედეგად, რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, მით მეტად მწვავდება ურთიერთობა კლასებს შორის. ეს ყოველივე მოისპობა მაშინ, როდესაც კონკურენციის მაგივრად დამყარდება საზოგადოების მიერ კონტროლირებადი წარმოება და მიწოდებას თავად შეუფარდებს მოთხოვნას. ამის ერთადერთ შესაძლებლობად კი ირაკლი წერეთელი პროლეტარიატის გათავისუფლებას და რევოლუციას ხედავდა. მისი სოციალ-დემოკრატიის პროგრამის მინიმუმი დემოკრატიზაციაა, ხოლო მაქსიმუმი სოციალიზმი. ასეთ პირობებში მისი მიხედვით, უნდა მოხდეს ყოველგვარი მიწების - მსხვილი მემამულეების, ეკლესიების, საუფლისწულო, სამონასტრო და სხვა სახელმწიფო მიწების მუნიციპალიტეტებისთვის ანუ ქალაქის თვითმმართველობებისთვის გადაცემა, რომელიც ხალხის მიერ იქნება საყოველთაო ფარული კენჭის ყრით არჩეული. მიწები უნდა შეუნარჩუნდეს მხოლოდ ღვრილ მესაკუთრეებს, რომლის კლასიფიკაციაც მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი სპეციფიკით უნდა მოახდინოს. ასეთ შემთხვევაში, მართალია, მოხდება კერძო მესაკუთრეობის შენარჩუნებაც, მაგრამ არენდის გადახდის სანაცვლოდ. მათგან აკრეფილი თანხა მოხმარდება სკოლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების, გზების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას (წერეთელი, 1907).

როგორც ვხედავთ, ირაკლი (კაკი) წერეთელი ძირითადად ტრადიციულ მარქსისტულ შეხედულებს წარმოადგენდა. მისი რადიკალური მსოფლმეხდველობითი შეფასებები ქართული ეროვნული მოძრაობის მიმართ გადაჭარბებულია, რის საფუძველსაც ჩვენი კლვევის პირველი ნაწილი გვაძლევს. ხოლო მისი მოღვაწეობა საქართველოსთან მხოლოდ იმითაა დაკავშირებული, რომ წარმოშობით ქართველი იყო და გავლენას ამ კუთხით ახდენდა ქართულ პოლიტიკაზე, ხოლო თავს რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწედ განიხილავდა და მისი სოციალ-დემოკრატიული გარდაქმენიბისთვის უფრო იბრძოდა, ვიდრე დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკისთვის.

აკაკი ჩხენკელი

აკაკი ჩხენკელი (1874-1959) იურისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი. ის იყო სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში და ერთგვარ ნაციონალისტურ ფრთას წარმოადგენდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში ის იყო საგარეო საქმეთა მინისტრი 1918 წელს რამდენიმე თვით. ამ მოკლე პერიოდში მას უკავშირდება პირველ მსოფლიო ომში გერმანიის წარმომადგენლობასთან დიპლომატიური ურთიერთობები, ოსმალეთის აგრესიის დიპლომატიური გზით შეჩერება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის დაყენება და დაჩქარება. იგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან რევოლუციური მოძრაობის გამო გარიცხეს, სწავლა გააგრძელა მოსკოვსში, ლაიფციგსა და ჟენევაში, რის შემდეგაც 1909 წელს დაბრუნდა საქართველოში და შეუერთდა რევოლუციურ მოძრაობას. ამის გამო იგი ერთი წელი იყო გადასახლებაში ხოლო 1912 წელს არჩეულ იქნა რუსეთის დუმის დეპუტადად ბათუმისა და ყარსის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან, სადაც ერთ-ერთი პირველი ქართველი მენშევიკი აღმოჩნდა, ვინც ქართული პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა დააყენა. 1917-1918 წლებში აკაკი საქართველოს ეროვნული საბჭოს და მისი აღმასკომის, აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი იყო. ამასთან ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი 1917-1918 წლებში. ხოლო 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური. არის ავტორი ნაშრომის „ერი თუ კაცობრიობა“, „ერი და ჩვენ“, აქვს გამოცემული წიგნი „სახელმწიფო და ერი“ თავისი სახელის აბრევიატურის ფსევდონიმით „ანჩინი“. გრიგოლ წერეთელი 1971 წელს პარიზში გამოცემულ თავის წიგნში – „ქართული ემიგრაცია და ადამიანები“ შემდეგნაირად ახასიათებს აკაკი ჩხენკელის პიროვნებას: „ადამიანი არაჩვეულებრივი ზრდილობის და სიდარბაისლის. ჩვენ პარტიაში ითვლებოდა დისციპლინის კაცად, მაგრამ იდეოლოგიურად იცავდა ყველა ქართველების ერთობას, ყოველ პირობებში. თუ სოციალიზმის ეკონომიურ პროგრამას იზიარებდა ურეზერვოდ, სამაგიეროდ, ეროვნულ საკითხში მას ჰქონდა სულ სხვა მიდგომა, რომელსაც ნიჭიერათ იცავდა“ (NPLG, 2012).

1912 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ერი თუ კაცობრიობა“ ვკითხულობთ მის **მსოფლმხედველობას ერის ფორმირების შესახებ.** მისი აზრით, “ადამიანი, ერი და კაცობრიობა ერთნაირად ძვირფასი და მისასწრაფავი უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვინც კი წინ იხედება“. იგი განმარტავს, რომ ერი და ხალხი ერთი და იგივე არაა. ხალხი

მასალაა, რომლისგანაც დროთა განმავლობაში ყალიბდება ერი. იგი ცოცხალი ორგანიზმია, მაგრამ არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური. ამავე დროს ერი ისტორიული კატეგორიაა და თანამედროვეობის პირმშო, რომელიც სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირად ყალიბდება. მის ჩამოყალიბებას კი ხელს უწყობს სოციალ-ეკონომიკური ვითარება. ძირითადად კი მისი დამახასიათებელი ნიშნებია საერთო წარმოშობა (მოდგმა), ენა, სარწმუნოება, ზნე-ჩვეები, კულტურა, თვითშეგნება და ფსიქოლოგია. ხოლო 1915 წლის ნაშრომში „ერი და ჩვენ" აშკარად იცვეთება აკაკი ჩხენკელის ნაციონალისტური მისწრაფებები. მისი მიხედვით სოციალისტური პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულს, ამიტომ რსდმპ პროგრამა მიუღებელი გამოდგა ქართველი ერისთვის, რადგან ამ პროგრამაში საერთოდ არ არსებობდა ერის ცნება. მაშინ როდესაც ინტერნაციონალიზმის პრინციპები სოციალ-დემოკრატიას ეროვნული პოლიტიკის გატარებასაც ავალებდა, მას მიაჩნდა, რომ დემოკრატია ეროვნულ საკითხებს ვერ გადაჭრიდა თუ არ მოხდებოდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. აკაკი თვლიდა, რომ მრავალეროვნული იმპერიები უნდა დაიშალიყო და თითოეულ ერს დაეარსებინა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მისმა ასეთმა შეხედულებებმა მნიშველოვნად შეუწყო ხელი ქართული სოციალ-დემოკრატიის მსოფლხედველობის ევოლუციას, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში იქნა რეალიზებული (გერგედავა-ჭელიძე, 2002).

როგორც ვთქვით, 1912 წელს აკაკი ჩხენკელმა თავისი ნაციონალისტური შეხედულებები რუსეთის სათათბიროს სხდომაზე ჩამოაყალიბა და ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია მოითხოვა. სიტყვის გამოსვლისას მან დაგმო რუსეთის პოლიტიკა ჩაგრული ერების მიმართ, რომელთა შორის რუსეთი შუღლს აღვივებდა. ამასთან მან გააკრიტა რუსეთი, რომელმაც თავისუფლებისთვის მებრძოლ საქართველოს წაართვა დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია, კულტური განვითარების შესაძლებლობა და სიტყვა „საქართველოც" კი ამოიღო ლექსიკონიდან. ამიტომ იგი ითხოვდა არარუსი ერების ყველა შემზღუდავი კანონის გაუქმებას და თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას, რაც გამოიხატებოდა მშობლიური ენის თავისუფლად გამოყენებაში და ეროვნული განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუტების შექმნაში. ფაქტია, ყოველივე ეს საკმაოდ თამამი განაცხადი იყო იმ დროის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელსაც აკაკი ჩხენკელმა ღირსეულად გაართვა თავი. ამას გარდა აკაკი ჩხენკელის აქტიური მოღვაწეობის დამსახურებაა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს შედგა. ეს განაპირობა რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან კავშირის გაწყვეტამ, სა-

მოქალო ომის გაჩაღებამ, მსოფლიო ომმა და საშინაო თუ საგარეო გამოწვევებმა, რაზედაც ქართველი სოციალ-დემოკრატები დააფიქრა, რომ საკუთარი ბედი თავად უნდა გადაეწყვიტათ. ამიტომ ყრილობაზე მოიწვიეს პოლიტიკური პარტიების, მუშათა საბჭოების, ქალაქების თვითმმართველობის, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სავაჭრო-საფინანსო დაწესებულებების, ეროვნულ უმცირესობათა და სხვათა წარმომადგენლები. ეროვნული ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. მან შექმნა ეროვნული საბჭო ნოე ჟორდანიას მეთაურობით და აკაკი ჩხენკელის მოადგილეობით. ფაქტობრივად ეს იყო ქართული ხელისუფლება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა განეხორციელებინა, რაც ასეც მოხდა (გერგედავა-ჭელიძე, 2002).

ვინაიდან ვნახეთ აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედველობა, საინტერესოა მისი **როლი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში.** პირველ მსოფლიო ომს ლენინის ხელისუფლებაში მოსვლით რუსეთი გამოეთიშა. მან 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან, მათ შორის ოსმალეთთან დადო ზავი, რომლის მიხედვით ოსმალეთმა მიიღო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები. ამ დროისათვის, ერთი თვით ადრე უკვე ამიერკავკასიის კომისარიატს მოწვეული ჰყავდა ამიერკავკასიის სეიმი. თუმცა მას დამოუკიდებლობა არ ჰქონდა გამოცხადებული, მაგრამ ოსმალეთის მოთხოვნა, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით ითვალისწინებდა მიეღო ტერიტორიები, უარყო. საკითხის გადასაწყვეტად 14 მარტს ქ. ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია-ოსმალეთის კონფერენცია, სადაც დელეგაციას სწორედ აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა და სადაც ამიერკავკასია ბოლშევიკურ რუსეთს არ ცნობდა უფლებამოსილად გადაეცა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები. თავის მხრივ ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით აპელირებდა, რის გამოც მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მეტიც ოსმალეთის არმიამ გადმოკვეთა ამიერკავკასიის საზღვრები და დაიკავა ბათუმი, ოზურგეთი და მესხეთი (სილაგაძე და გურული, 1998).

ამასთან ოსმალეთი მხარს უჭერდა ამიერკავკასიას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ამ მოწოდებაში ნოე ჟორდანია საფრთხეს ხედავდა, რადგან ვიდრე ამიერკავკასია რუსეთის შემადგენლობაში იყო, ოსმალეთს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა იმაზე მეტი ტერიტორია, ვიდრე ეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით იყო გათვალისწინებული. თუმცა მისი აზრი არ გაიზიარეს არც პარტიაში, არც სეიმში და 22 აპრილს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა (ჟორდანია, 1990).

ჟორდანია მართალი აღმოჩნდა, ოსმალეთმა აიღო მთელი ერევნის გუბერნია და აზერბაიჯანი. ამასთან ოსმალეთი საკუთარ თავზე იღებდა ამიერკავკასიაში წესრიგის დაცვას. აკაკი ჩხენკელი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ომში ჩაბმას, რაც მშვიდობიან მოსახლეობას სისხლის ღვრას უქადდა. თუმცა იგი იმასაც ხვდებოდა, რომ აზერბაიჯანელების ინტერესებში არ შედიოდა სომხეთის დაცვა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში ინგლისს უჭერდა მხარს, ხოლო სომხეთის გარეშე ამიერკავკასიის ფედერაცია ვერ იარსებებდა. ვინაიდან საქართველოს არ შეეძლო ოსმალეთის ჯარების შეკავება, მით უფრო გერმანიის, აკაკი ჩხენკელმა ქართველი პოლიტიკოსები დაარწმუნა გერმანიის მხარდაჭერა გამოეცხადებინათ და ამ გზით გერმანიისგან დახმარება მიეღოთ, რაც პირველ რიგში ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას გაანეიტრალებდა. სხვა შემთხვევაში ოსმალეთი აიღებდა ქართულ ტერიტორიებს და ვიდრე ინგლისი მათთან საომრად მოვიდოდა ქართველი მოსახლეობა ფრონტის ხაზზე ოსმალების მიერ განადურდებოდა. ქართველი პოლიტიკოსები აკაკი ჩხენკელს დათანხმდნენ და პროგერმანული კურსი გამოაცხადეს. თუმცა 15 მაისს აკაკი ჩხენკელმა საქართველოს გადასარჩენად ეს საკმარისად არ მიიჩნია და ქართველ პოლიტიკოსებს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოთხოვა. ამ პერიოდში აკაკი ჩხენკელი გერმანელ გენერალ ფონ ლოსოვს დაუახლოვდა. აღმოჩნდა, რომ მისმა პროგერმანულმა კურსმა გაამართლა. იმედი მიეცა რომ გერმანია ოსმალეთის ოკუპაციის შეჩერებას შეეცდებოდა, მაგრამ ამავე დროს ოსმალეთ-რუსეთის საიდუმლო შეთანხმების დეტალებიც გამომჟღავნდა, რაც საქართველოს საზიანოდ დასრულდებოდა. ამიტომ ერთადერთი ხსნის გზა საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებოდა. ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ უყოყმანოდ მიიღო აკაკი ჩხენკელის რჩევა და 16 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მზადება გამოაცხადა (სილაგაძე და გურული, 1998).

ამ ამბავს ნოე ჟორდანია ასე იხსენებს: „დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდი თავსატეხი ამოცანად," თუმცა მთელი მუშათა კლასი ოცდაოთხსაათში გადავიდა ნაციონალურ რელსებზე. ამას ისიც დაემატა, რომ თავად ჟორდანიამ უნებლიედ ილიას კლასთა თანხმობის რიტორიკა წამოიწყო. მისი ნებით თავისუფლების ქარტიიდან ამოღებული იქნა ისეთი მუხლები, რომელიც მამულების კონფისკაციებს ეხებოდა და დარჩა მხოლოდ ყველა ქართველისთვის მისაღები ნაციონალისტური პლათფორმა (ჟორდანია, 1990).

ვინაიდან ოსმალეთის სამხედრო არმია შეჩერებას არ აპირებდა, ქართველების დაჟინებული მოთხოვნით და აკაკი ჩხენკელის 19 მაისს ფონ ლოსოვთან შეთანხმებით, მოლაპარაკებებში გერმანიაც ჩართეს, როგორც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელისმომწერი. გერმანიის წარმომადგენლები მართლაც შეეცადნენ ოსმალების შეჩერებას, მათ მართალია პირდაპირი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში აზრებაიჯანი უკვე ოსმალეთის მხარეს იყო, სომხეთი ოკუპირებული. ერთადერთი, ჯერ-ჯერობით საქართველო არ იყო ოკუპირებული, რომელსაც გადარჩენისათვის დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა და გერმანიისთვის მფარველობა ეთხოვა. ეს არ იყო ადვილად გადასადგმელი ნაბიჯი, რადგან საქართველოზე პრეტენზიას აცხადებდა, როგორც რუსეთი, ასევე ოსმალეთი. თავისუფლებისმოყვარე პოლიტიკოსები კი ოკუპაციის შემთხვევაში აუცილებლად დაისჯებოდნენ, ისევე როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა. ფაქტიურად, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ქართველი პოლიტიკოსები საკუთარ სასიკვდილო განაჩენს აწერდნენ ხელს. ამის მიუხედავად, აკაკი ჩხენკელი რისკზე წასვლის მომხრე იყო და იგი ერთ-ერთ წერილში ასე წერდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“ (სილაგაძე და გურული, 1998).

როდესაც ჩხენკელი დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად, 1918 წლის 28 მაისს ხელი მოაწერა პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებას გერმანელებთან და გაემგზავრა ბერლინში, პროტექტორატის გასაღრმავებლად. აქ ის შეხვდა გერმანიის საგარეო, ფინანსთა მინისტრებსა და სარდლობას. ბერლინიდან მან ყველა ნეიტრალურ ქვეყნებს დაუგზავნა შეტყობინებები და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ითხოვა. არც ანტანტის მოწინააღმდეგე ბანაკი დაივიწყა და მათთან სამუშაოდ ზ. ავალიშვილი გაუშვა ქრისტიანიაში, იგივე ოსლოში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სრული ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული საგარეო პოლიტიკურ კურსად, გერმანიის ომში დამარცხებამ უარყოფითად იმოქმედა. საქართველო ერთგვარად დაისაჯა გერმანიის მხარდაჭერისთვის და ერთა ლიგაში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობაზე უარი ეთქვა. ხოლო ჩხენკელი, როგორც პროგერმანული ორიენტაციის იარლიყით შემკული პოლიტიკოსი, გადადგა, ჩრდილში წავიდა და მთელი 1919 წლის მანძილზე შვეიცარიიდან კურირებდა გერმანიაში, შვეიცარიაში, სკანდინავიაში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში ქართულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მუშაობას. ის შეურიგებლად ებრძოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში პრორუსულ ფრთას. ამ მხრივ საინტერესოა მისი ჰიპერკრიტიკული წერილები ირაკლი (კაკი) წერეთლი-

სადმი: „შენთვის საქართველოს ისტორია იწყება რუსეთთან შეერთებიდან, თავმდაბლობა კეთილი თვისებაა, მაგრამ გადაჭარბება მავნეა. ამას ვამბობ სხვათაშორის, მთავარი კი ისაა, რომ შენ არ აფასებ ეროვნულ თავისუფლებას, როგორც ასეთს, ამიტომ ჭკუაში არ მოგდის ჩამოთვალო რუსეთის ბატონობის ცოდვები: მისი სასკოლო, საეკლესიო, საკოლონიზაციო პოლიტიკა, რომ ამით ნათლად გაიგონ ევროპელმა ამხანაგემბა თუ რას მოასწავებს ჩვენთვის თავისუფლება.“ 1919 წლის დეკემბერში ის საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება დამფუძნებელი კრების მუშაობაში. იგი დადიოდა რეგიონებში და ხალხში საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა. თუმცა კრიტიკისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მისი კორესპონდენცია ხშირად შეიცავს საერთაშორისო პოლიტიკური რეალობის არასწორ აღქმას, რაც მისი ნაკლებინფორმირებულობით იყო გამოწვეული. ამასთანავე, ჩხენკელს უჭირდა ხოლმე ინტერნაციონალისტური სოციალუსტური მოძრაობიდან გამოსვლა და საერთაშორისო კონფერენციებზე „დასავლეთელ იმპერიალისტებსაც“ აკრიტიკებდა: „თუ ჩვენ შეგვწევდა ძალა გვებრძოლა ცარიზმთან, ჩვენ შევებრძოლებით აგრეთვე მთელ მსოფლიოს, იმპერიალიზმს, მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით!“ ასეთი განცხადება იმ ქვეყნის წარმომადგენლისაგან, რომელიც აღიარებასა და დახმარებას სწორედ ამ „იმპერიალისტთაგან“ ელოდა, ბუნებრივია კონტრპროდუქტიული იყო (კობახიძე, 2015). თუმცა აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშველოვანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომზადებასა და გამოცხადების საქმეში.

ნოე რამიშვილი

სოციალ-დემოკრატების (ყველაზე ხისტი) ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო ნოე რამიშვილი (1881-1930), რომელიც იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველი თავმჯდომარე მხოლოდ ერთი თვით, ვიდრე ნოე ჟორდანიამ არ ჩაანაცვლა. დამოუკიდებლობის 3 წლიან პერიოდში იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. ამიტომ მას როგორც ფიგურას და მის ხედვებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული ტალღის პირობებში. მას ეკუთვნის ნაშრომები „ისტორიული მატერიალიზმი“, „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, „საქართველო და რუსეთი“, „დემოკრატიული სოციალიზმი“, რომელიც გადმოსცემს მის ძირითად შეხედულებებს სოციალიზმზე, კაპიტალიზმზე, ნაციონალიზმზე, კლასთა ბრძოლაზე, ინტერნაციონალიზმზე და სოციალურ გარდაქმნებზე. სწორედ

ამ ნაშრომს განვიხილავთ ქვემოთ მისი იდეების გასააანალიზებლად. 1919 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრობასთან ერთად იგი ითავსებდა თავდაცვის და განათლების მინისტრობას. იყო ასევე დამფუძნებელი კრების წევრი და ხელმძღვანელობდა ჯარის რეფორმას, სკოლის რეფორმას, კავშირგაბულობას. იყო აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული გლეხთა გამოსვლების ჩახშობის ორგანიზატორი. მისი ინიციატივით დაუშვეს სიცვდილით დასჯა. იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი 1924 წლის საქართველოს აჯანყების საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელიც დამარცხდა. ხოლო ემიგრაციის დროს ბოლშევიკების დაკვეთით იქნა მოკლული (NPLG, 2012).

ნოე რამიშვილს მკაცრი და მტკიცე ხასიათის გამო ბევრი კრიტიკოსი მას დიქტატორის თვისებების მქონე ადამიანად მოიხსენიებდა. თუმცა მის ასეთ ხასიათში ზოგიერთი ძლიერ ლიდერს ხედავდა. მაგალითად, საქართველოს 1924 წლის აჯანყების მეთაური და ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოს ოკუპაციას ნოე ჟორდანიას დამთმობ პოლიტიკას უკავშირებს და აცხადებდა, რომ მის ნაცვლად ნოე რამიშვილი თუ იქნებოდა 1921 წელს რუსეთის არმიასაც კი დაამარცხებდნენ. იგივე აზრზე იყო იმ დროის პოლიტიკოსი და მწერალი გერონტი ქიქოძე, რომელიც მიიჩნევდა, რომ სწორედ მას შეეძლო რუსეთის სამხედრო ძალების შეჩერება. თავად ნოე ჟორდანიაც მას პასუხისმგებლობის მქონე პირად აცხადებდა და მთავრობის შედგენას იმ პირობით დათანხმდა თუ ნოე რამიშვილი დარჩებოდა მთავრობაში. აქედან ჩანს თუ როგორი გავლენიანი და საპატივცემულო ფიგურა იყო ნოე რამიშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის და იმ დროის ქართული საზოგადოებისთვის (სიდამონიძე, 2013).

როგორ მოიპოვა ავტორიტეტი და გავლენა ქართველ სოციალ-დემოკრატებში ნოე რამიშვილმა, ამაზე ისტორიკოსი ვ. გურული ასე პასუხობს: „1905 წელს ნოე რამიშვილმა შექმნა ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია. ამავე დროს შეძლო ბომბების დამამზადებელი სახელოსნოს ორგანიზება. ნოე რამიშვილის განეიტრალება თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს გადაუჭრელ პრობლემად ექცა. ჟანდარმერიის ანალიტიკოსების მოხსენებებში ნოე რამიშვილი მოხსენებულია, როგორც – „სოციალ-დემოკრატების გენერალი". ნოე რამიშვილის შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაციას შეეძლო, ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება. ამავე პერიოდიდან ნოე რამიშვილი გვევლინება, როგორც რადიკალურ-ექსტრემისტული მიმართულების რევოლუციონერი. თუმცა ის თავს მუდამ ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმდინარეობას მიაკუთვნებდა და არასდროს იზიარებდა ბოლშევიზმის

იდეებს" (გურული, 2016). პროფ. გურული აღნიშნავს, რომ მას ბევრი სხვა სოციალ-დემოკრატებისგან განსხვავებით, საკმაოდ სერიოზული განათლება ჰქონდა მიღებული. რაზეც მეტყველებს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ნაშრომები.

თუ განვიხილავთ მის ერთ-ერთ ნაშრომს „დემოკრატიულ სოციალიზმს", დავინახავთ, რომ იგი კარგად იცნობდა სოციალიზმის ისეთი იდეური ფუძემდებლების აზრებს, როგორებიც იყვნენ პლატონი, კლოდ-ანრი სენ-სიმონი, შარლ ფურიე და რობერტ ოუენი. მისი აზრით, ეს იყო დრო როდესაც ოცნებობდნენ კაპიტალიზმის პირობებში სოციალიზმის შექმნას. მას ნოე უტოპიურ სოციალიზმს უწოდებს, სადაც იდეალური საწარმოო საზოგადოება და კეთილშობილური ადამიანები ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სოციალიზმის პირობებში, სადაც მშრომელებს ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი პირობები ექნებოდათ, ხოლო მოზარდების აღზრდა მეთვალყურეობას დაექვემდებარებოდა. იგი დარწმუნებული იყო სოციალიზმის რეალიზება მხოლოდ მეცნიერულ სოციალიზმს შეეძლო, რაც კლასთა შორის დაპირისპირებაზე იდგა და რომლის ავტორებიც კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყვნენ. მეცნიერული სოციალიზმი საფრანგეთის რევოლუციის იმ ცნებებზე იდგა, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა სრული პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება მიენიჭა. ნოეს აზრით სოციალიზმი წარმოუდგენელია დემოკრატიის გარეშე. სიტყვის, წერის, კრების, სინდისის, კავშირის და გაფიცვის თავისუფლება მშრომელისთვის ისეთ აუცილებლობად მიაჩნდა, როგორც თევზისთვის წყალი. ხოლო მისი აზრით, ყოველივე ამის თავდაყირა დამყენებელი და სოციალიზმის თეორიის დამმახინჯებელი ლენინის თეორიები და ბოლშევიზმია, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას და დემოკრატიის მოსპობას ქადაგებდა. ამიტომ მას ტირანიად მოიხსენიებდა, რომელსაც დემოკრატიის პირობებში პროლეტარიატის მტრების გააქტიურება აშინებს და მის სრულ ლიკვიდაციას ისახავს მიზნად. ბოლშევიზმის პირობებში დემოკრატიული შეზღუდვები ვრცელდება არა მხოლოდ მათ მტრებად გამოცხადებულებზე, არამედ თავად პროლეტარიატზეც, რაც ადამიანებს კვლავ მონურ პირობებში აბრუნებს. ნოე რამიშვილი მკაცრად აკრიტიკებს კულაკთა კლასის განადგურებას და კოლექტივიზაციას. ასეთ პირობებში გლეხის ნაშრომი მთლიანად მთავრობის ხელში გადადის, რაც უსამართლობად მიაჩნდა (რამიშვილი, 1931).

ნოე რამიშვილის შეხედულებები **კაპიტალიზმთან მიმართებაში** იგივეა, რაც კლასიკური სოციალიზმის, იგი იმ დროის რეალობიდან გამომდინარე აკეთებს ანალიზს, რომ კაპიტალიზმი დამოკი-

დებულია მუშათა არამესაფერისს შრომასთან და ამ გზით კაპიტალისტის მიერ ჭარბი პროდუქტის დაგროვებასა და გამდიდრებასთან. იგი კაპიტალისტური წყობის უარყოფით მხარეებად მიიჩნევს ფულზე მოთხოვნის ზრდას, რაც გამოწვეულია მრავალი ახალი პროდუქტის შეძენის მოთხოვნით, მესაბამისად ადამიანი აწარმოებს პროდუქტს არა მისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, არამედ ფულის საშოვნელად, რაც უბიძგებს ღარიბ მოსახლეობას კაპიტალისტების მარწუხებში მოექცნენ. კაპიტალიზმი უმეტესად ქალაქებში ვითარდება, ამიტომ გლეხებს თავიანთი საცხოვრებლის დატოვება და ურბანიზაციის პროცესში ჩართვა უწევთ. კაპიტალისტების მოგების სურვილი კი განაპირობებს პროდუქტების მრავალფეროვნების მოკვლას და სტანდარტიზაციას, რადგან ის იაფ და დიდი რაოდენობის წარმოებას მოითხოვს. კიდევ ერთი მანკიერი თვისება კაპიტალიზმის წყობის, ნოეს აზრით კონკურენციაა. ეს პროცესი დაუნდობელი კანონებით მიმდინარეობს და ერთ შემთხვევაში ერთი კაპიტალისტი ანადგურებს კონკურენტს, ხოლო მეორე შემთხვევაში ქმნიან კავშირებს და ბაზარზე მონოპოლიებს ამყვიდრებენ. ასეთ პირობებში ნოე რამიშვილს კლასთა შორის დაპირისპირება გარდაუვალ გზად ეჩვენება, რამაც უნდა დაასრულოს მცირე რაოდენობის კაპიტალისტთა ბატონობა მთელს დანარჩენ კაცობრიობაზე. ოღონდ ის რევოლუციურ გზას უარყოფს. მიაჩნია, რომ სოციალიზმი დემოკრატიის გარეშე ვერ და არ უნდა შედგეს. მხოლოდ დემოკრატიის პირობებში არის ხალხის მმართველობა გარანტირებული და არა დიქტატურის, მონარქიის, ბელადის ან პარტიის. იგი პიროვნების ხელშეუხებლობას და მოქალაქის საკუთარი უფლებების გარანტიას მიესალმება. ამის მიუხედავად რამიშვილი აღიარებს „წვრილ მესაკუთრეობას". იგი თავის აზრის დაცვას მარქსის სიტყვებით ცდილობს და მიაჩნია, რომ შემოსავალი, რომელიც სხვისი ექსპლოატაციის ხარჯზე არ იზრდება არ არის კაპიტალი. ამიტომ მიაჩნია, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ კერძო საკუთრება და საკუთარი ინტერესებით სარგებლობა, მნიშვნელობა არ აქვს ეს იქნება მიწა, სახელოსნო, მცირე საწარმო თუ სხვა სახის კერძო საკუთრება, რომელიც ადამიანს საკუთარი შრომით შემოსავალს მოუტანს (რამიშვილი, 1931).

საინტერესოა რას ფიქრობდა ნოე რამიშვილი **ეროვნულ თავისუფლებაზე**. მისი ხედვით, უპირველესია ხალხთა თვითგამორკვევა, რაც დემოკრატიის საყრდენია. ეს შეიძლება გამოიხატოს ავტონომიაში, სადაც პოლიტიკური თავისუფლება გარანტირებული იქნება, და სუვერენული სახელმწიფოს დაარსებაში. მას მიაჩნია, რომ თანამედროვე ერები აღარ წარმოადგენენ წმინდა რასას და ისინი სხვადასხვა სისხლის შედეგად ხანგრძლივი პროსესის განმავლობაში წა-

რმოიშვნენ. ასევე აღარაა სარწმუნოება ეროვნების განმსაზღვრელი, რადგან ერთი ერის ფარგლებში თავმოყრილია სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევრები. მას ეროვნების მთავარ განმსაზღვრელად ენა მიაჩნია. „თანამედროვე ეროვნება არის ისტორიულად შექმნილი, პირველ რიგში საერთო ენის ნიადაგზე აღმოცენებული ადამიანთა ფსიქოლოგიური ერთობა, კავშირი". თუმცა ის გამონაკლის შემთხვევებსაც არ უარყოფს და შვეიცარიის სამ ენოვანი მაგალითი მოჰყავს. რამიშვილი მიიჩნევს, რომ იმპერიების მიზანია ხალხების ასიმილირება, მაგრამ ეს შეუძლებელია თუ საქმე აქვს ისეთ ერთან, რომელსაც წარსულში შექმნილი აქვს საკუთარი მწერლობა. ხოლო ის რაც ერს დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებისკენ მიერეკება არის დემოკრატია. რამიშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმპერიალისტურ მიდგომებს, რომელიც პატარა ერებს იმონებს. იგი ერთა თავისუფლებას, თვითგამორკვევას და თანასწორობას ითხოვს. რუსული იმპერიალისტური მიზნებისგან თავის დასაცავად კი ნოე რამიშვილი კავკასიური კონფედერაციის გზით ფიქრობდა თავდაცვას, რადგან მხოლოდ ერთი პატარა სახელმწიფო ვერასოდეს გაუმკლავდებოდა რუსულ საფრთხეს. ამიტომ ის კავკასიის სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში ხედავდა გამოსავალს, რომელიც თავისუფალი ქვეყნების ერთობა იქნებოდა (რამიშვილი, 1931).

აღსანიშნავია, რომ ნოე რამიშვილი ერთგვარად ხედავდა ისეთ ევროპის ეკონომიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებას, როგორიც დღეს ევროკავშირია. ის ისევე, როგორც იმ დროის ბევრი იდეალისტი თეორეტიკოსი თავისუფალ კაცობრიობას, მხოლოდ **თავისუფალ ერთა გაერთიანებაში** ხედავდა. მისი თქმით, ევროპაში ეკონომიკური უთანასწორობა შესაძლებელი იქნება დაიძლიოს პროტექციონიზმზე უარის თქმით, ანუ როდესაც სახელმწიფოები უარს იტყვიან ნაციონალისტურ ეკონომიკაზე, უარს იტყვიან კარჩაკეტილობაზე, შეთანხმდებიან თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპზე და „პანევროპის" დაარსებაზე (რამიშვილი, 1931).

ნოე რამიშვილის ამ წიგნის განხილვა გვაძლევს საშუალებას დავინახოთ ავტორი არა როგორც მხოლოდ პარტიული აქტივისტი, რომელიც საკმაოდ მკაცრი მეთოდებით ცდილობდა ბოლშევიკურ და იმპერიალისტურ მეთოდებთან შებრძოლებას, არამედ როგორც ინტელექტუალი, რომლის იდეები კაპიტალიზმზე, სოციალიზმზე, ნაციონალიზმზე, ერთა თანასწორობაზე უაღრესად საინტერესოა და იგი სოციალ-დემოკრატიის, როგორც ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის ძლიერი ქართველი წარმომადგენელია.

სილიბისტრო ჯიბლაძე

სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძე (1859-1922) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების წევრი, რომლის გახსნა და პირველი სიტყვა სწორედ მას ერგო, როგორც უხუცეს წევრს. სილვა ყველაზე ასაკოვანი სოციალ-დემოკრატი ლიდერი იყო ქართული „მენშევური“ პარტიის რიგებში. მის სახელს უკავშირდება, როგორც პუბლიცისტური მოღვაწეობა გაზეთ „სხივში“, „განთიადში“ და „ელვაში“, ასევე აქტიური რევოლუციური საქმიანობა. იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ცემაში ბრალდებული და რუსი გენერალ გრიაზნოვის მკვლელობის ორგანიზატორობაში დადანაშაულებული. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დააკავეს და დახვრიტეს (საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედია, 1987).

ს. ფ. ჯონსი „მესამე დასის“ სამოქალაქო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას სწორედ სილიბისტრო ჯიბლაძეს გამოჩენას უკავშირებს. მას სამწლიანი სადამსჯელო ბატალიონში ყოფნა ჰქონდა მისჯილი 1884 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ცემისთვის. 1894 წელს კი როგორც ზემოთ ვახსენეთ, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე მესამე დასელებმა საზოგადოებას მათი პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა ამცნეს. სიტყვით გამოვიდა სწორედ სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელმაც განაცხადა: „ჩვენი ახალი ბატონი მატერიალიზმია... ის სწრაფად იზრდება ჩვენს ქვეყანაში... ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორ ახალ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით - ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლები, მეორე მხრით - მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა. მეორეთა კი - დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა... ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა ვითარება.“ ამის შემდეგ წაიკითხა ჩვენთვის ზემოთნახსენები ნოე ჟორდანიას პირველი სოციალისტური პროგრამა. ყოველივე ეს რა თქმა უნდა მოულოდნელი და გამაოცებელი იყო იმ დროის ჭირისუფლებისთვის, მაგრამ ფაქტია, ეს იყო პირველი მარქსისტულ-სოციალისტური დემონსტრაცია, რომელიც სწორედ იმ წუთებში იბადებოდა. გაზეთი „კვალის“ ფურცლებიდან სილიბისტრო ჯიბლაძემ განმარტა, რომ ისინი არ იყვნენ წინა დასელების მემკვიდრეები. შესაძლოა მათ რაღაც საერთო ჰქონდათ თერგდალეულებთან, მაგრამ მათ „რეაქციონერებს“ უწოდებდა, ხოლო საკუთარ მოძრაობას პროგრესულ ძალას, რომელთა შორის „სამკვდრო-სასი-

ცოცხლო ბრძოლა“ უნდა გამართულიყო. თუმცა როგორც ვნახეთ, ქართველ სოციალისტთა მსგავსი დამოკიდებულება დრო და დრო შეიცვალა. ამას სტივენ ჯონსი იმით ხსნით, რომ მათ ჯერ წარმოდგენა არ ჰქონდათ თუ ვინ იყო საქართველოში ბურჟუაზია და ვინ მუშათა კლასი. მათ ახალი დამთავრებული ჰქონდათ საგანმანათლებლო დაწესებულებები, არც ორგანიზაცია ჰქონდათ და არც პროგრამა, მხოლოდ ინსტინქტებით იყვნენ რევოლუციონერები (ჯონსი, 2007).

სასულიერო სემინარიაში სილიბისტრო ჯიბლაძეს აგრესია არ იყო გამოწვეული მისი უწესობით. მაშინდელი სემინარია იმპერიალისტური ჩაგვრის ადგილს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე სწავლა-განათლების. იმის მიუხედავად, რომ მისი მიზანი იყო მღვდლების და ბერ-მონაზვნების აღზრდა, საპირისპირო შედეგს იღებდა. არც ერთ საერო სკოლას არ მოუმზადებია იმდენი ათეისტი და რევოლუციონერი, რამდენიც ამ სემინარიამ. მასწავლებლები საოცარ უპატივცემულობას და აგრესიას იჩენდნენ ქართული კულტურის მიმართ. თავგამოდებული რელიგიური შეგონებებით და მეტისმეტი სიმკაცრით სტუდენტების პროტესტს იწვევდნენ. აკრძალული იყო ქართველი მწერლების და პოეტების ნამუშევრები, ნებისმიერი უცხოელის წიგნი ან ნაშრომი, რომელიც ცარიზმისთვის იყო მიუღებელი. ამის მიუხედავად სილიბისტრო ჯიბლაძემ, ისიდორე რამიშვილთან და მიხა ცხაკაიასთან ერთად საიდუმლო კითხვის წრეები დააარსეს და არალეგალურ „გაზეთებსაც“ გამოსცემდნენ. ჯიბლაძის გარიცხვის მიზეზად დასახელებული იყო, როგორც რექტორის ცემა, ასევე „ხალხოსანი“ ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ“ შენახვა (ჯონსი, 2007).

1897 წელს ის უკვე მესამედასელების ლიდერი იყო. გამოირჩეოდა ორატორობით და საქმის ორგანიზების უნარით, თუმცა თეორიებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა. ასევე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწედ და სოციალისტური იდეების პროპაგანდისტად დარჩა სისცოცხლის ბოლომდე. მართალია იგი არ იყო ნოე ჟორდანიას ან ირაკლი (კაკო) წერეთლის მსგავსი თეორეტიკოსი, მაგრამ მისი როლი განუზომლად დიდია საქართველოში, როგორც სოციალ-დემოკრატიის იდეების გავრცელებაში, ასევე ქართული „მენშევიკური“ პარტიის ფორმირებაში. სიკვდილის წინ მან განაცხადა, „დაეცა საქართველო, დაეცა სოციალ-დემოკრატია, აღდგება საქართველო, აღდგება სოციალ-დემოკრატიაც“, საიდანაც ჩანს რომ მისი სამსახური პარტიაში გაიგივებული ჰქონდა ქვეყნის სამსახურთან, რომლის გამოც დახვრიტეს კიდეც (რამიშვილი, 1931).

ისიდორე რამიშვილი

ისიდორე რამიშვილი (1959-1937) წარმომობით გლეხის ოჯახიდან იყო. იგი პედაგოგი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების წევრი იყო. ისიდორე სილიბისტრო ჯიბლაძეს თანატოლი და მოკავშირე იყო. მასთან ერთად სწავლობა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ერთად ეწეოდნენ საგანმანათლებლო და რევოლუციურ საქმიანობას. მის სახელს უკავშირდება სემინარიის რექტორის მკვლელობის დაფინანსება. 20 წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად იმპერიის სხვადასხვა ქალაქში, ხოლო თავად გურიასა და აჭარაში დააარსა ბიბლიოთეკა და საერო სკოლა. იგი „მესამე დასელთა“ დამფუძნებელთა რიგებში იყო, სადაც მოღვაწეობის ფარგლებში ხელმძღვანელობდა ბათუმში ქარხნის მუშების გაფიცვას. ხოლო 1903-1905 წლებში და შემდეგ 1909-1917 წლებში იყო გადასახლებებში. თავისუფლებაზე ყოფნის დროის მოკლე მონაკვეთში მან მოასწრო ყოფილიყო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში სომეხ-თათართა შეტაკების საწინააღმდეგო კამპანიის ხელმძღვანელი, რსდმპ ყრილობის წევრი, რუსეთის პირველი მოწვევის დუმის დელეგატი და პირველი ქართველი მომხსენებელი და ბაქოს მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში იყო მთავრობის წარმომადგენელი აფხაზეთში, ხოლო მონაწილეობას იღებდა სამხედრო კამპანიაში აჭარაში ოსმალთა ოკუპაციის წინააღმდეგ. საბჭოთა ანექსიის შემდეგ ანტისტალინური გამოსვლის გამო 15 წლით გადაასახლეს, ხოლო საქართველოში საყოველთაო რეპრესიების დროს 78 წლის ასაკში დახვრიტეს (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2014).

იმის მიუხედავად, რომ ისიდორე რამიშვილი სილვა ჯიბლაძეს მსგავსად არ იყო სოციალიზმის თეორეტიკოსი, მისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა მეტად საინტერესოა, რაც დრამატულად აქვს გადმოცემული საკუთარ „მოგონებებში“. მან ავტობიოგრაფიული წიგნი დახვრეტამდე ერთი წლით ადრე დაასრულა, სადაც იხსენებს განვლილ ცხოვრებას ბავშვობიდან მოხუცებულობამდე და დაწერილია, როგორც მის მიერ, ასევე მისი კარნახით. მაგალითად, ამ მემუარებიდან ჩანს, რომ ნოე ჟორდანიასთვის ნაციონალისტური გრძობები თავიდანვე სულ ერთი არ იყო, ხოლო ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე მხოლოდ კლასობრივ ინტერესებს გამოხატავდნენ. ამ წიგნში ვკითხულობთ, როდესაც 1897 წელს ისიდორე რამიშვილთან შეკრებილნი იყვნენ ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ივანე ლუზინი

და ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. გაიმართა საუბარი მუშის და ბურჟუაზიის ეროვნულ კუთვნილებაზე. აღმოჩნდა რომ ამ საკითხს ჟორდანიასთვის და ჩერქეზიშვილისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო დანარჩენებისთვის არა. განაწყენებული კარლო ჩხეიძე ისიდორეს ეუბნებოდა, რომ ასე იცის ევროპამ, იქიდან ყველა განაციონალისტებული ბრუნდებაო. თავის მხრივ ჟორდანიაც ნაწყენი დარჩა მათზე, როგორც გადაჭარბებულ ინტერნაციონალისტებზე. ᲛᲔმდგომ დღეებში კი პარტიულ შეკრებაზე ჟორდანიამ თავისი აზრი უფრო გავრცო. აუხსნა მუშებს, რომ Ჯერ ერთათვითგამორკვევა უნდა მომხდარიყო და შემდეგ ერთა თანასწორი გაერთიანება სოციალისტური იდეით, რასაც მსმენელებმაც დაუჭირეს მხარი (რამიშვილი, 2012).

ისიდორე რამიშვილი ბათუმის გაფიცვების აღწერისას საუბრობს იმაზე, რომ ქალაქი გაყოფილი იყო ნაციონალისტური და ინტერნაციონალისტური შეხედულებების მქონე საზოგადოებებად. სოციალ-დემოკრატები არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდნენ ქართველ მუშებს სხვა ერების მუშებთან შედარებით. პირიქით, გარკვეულ წილად უმცირესობებზე უფრო ზრუნავდნენ, რადგან დაემკვიდრებინათ მუშათა ერთობისა და სოლიდარობის გრძნობა. რამიშვილი იხსნებს, რომ სათათრეთიდან დევნილი მუშები ყველანაირ მძიმე პირობებზე მუშაობას თანხმდებოდნენ, ოღონდ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ამით სარგებლობდნენ ექსპლოატატორები და ჩალის ფასად ქირაობნენ მათ, სანაცვლოდ კი განუსაზღვრელი დროით ამუშავებნენ. მათი უფლებების დაცვა სწორედ ქართველმა მუშებმა მოითხოვეს. ხოლო შემდეგ სომხების მდგომარეობის გაუმჯობესებაც მოითხოვეს, რითაც განვითარდა სოლიდარობის შეგნება (რამიშვილი, 2012).

საინტერესოა კიდევ ერთი ისტორია, სადაც სასწავლო ოლქის მზრუნველთან ისიდორე რამიშვილმა განაცხადა, რომ მას არ სურდა მეფე არც ქართველი, არც სომეხი და არც რუსი. ხოლო როდესაც ოლქის მზუნველმა განუცხადა, რომ ისიც ასეთი შემართებით იყო ახალგაზრდობაში, ისიდორემ უპასუხა, რომ ადამიანმა თმის ფერს კი არ უნდა მიაქციოს ყურადღება, არამედ ლტოლვებს და იდეას (რამიშვილი, 2012).

როგორც ვხედავთ, ისიდორე რამიშვილი თავის დროის საპატივცემულო ფიგურა, თავისი იდეალების ერთგული და გააზრებულად მატარებელი იყო. ის იყო ინტერნაციონალი, დემოკრატი და სოციალისტი და ასეთადაც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

სოციალ-დემოკრატიული მოდერნიზაცია

1918 წლის 24 ივნისს ნოე ჟორდანიამ ეროვნული საბჭო დატოვა, იგი კარლო ჩხეიძემ ჩაანაცვლა, ხოლო თვითონ მთავრობის მეთაური გახდა. 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს პარლამენტი ეწოდა (გურული, 1999). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მსოფლიოში, რომელმაც ამ იდეოლოგიის პრაქტიკულად დამკვიდრება დაიწყო (შუბითიძე, 2009).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების პოლიტიკური ინსტიტუტების მოწყობის პროგრამა ნოე ჟორდანიამ წარადგინა. 1918 წლის აგვისტოს სდმპ კრებაზე მან განაცხადა, რომ ირჩევენ ევროპული ტიპის სოციალიზმის მოდელს და აღიარებდა, რომ კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადაახტებოდნენ. ხოლო ნაადრევი სოციალისტური ექსპერიმენტი მოიტანდა არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მოშლას. ის აღიარებდა, საქართველოს როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, სადაც უნდა მოხმდარიყო კერძო ინიციატივის წახალისება, საწარმოო ძალთა განვითარება. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ მისი პარტიის პროგრამა მინიმუმი იყო დემოკრატიის დამკვიდრება, ხოლო მაქსიმუმი სოციალიზმი. მან გაანალიზა, რომ სოციალიზმის დანერგვა მით უფრო სწრაფი ხისტი მეთოდებით ეკონომიკას გაანადგურებდა. ამიტომ აქცენტი დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებაზე გააკეთა. ამ კუთხით ის იზიარებდა მარქსის თეორეტიკოსი კ. კაუცკის შეხედულებებს იმის შესახებ, რომ გამარჯვებული პროლეტარიატის პირველი ნაბიჯები არა სოციალისტური რეფორმები, არამედ დემოკრატიული ინტიტუტების შექმნა უნდა იყოს (ვაშაყმაძე, 2014).

უფრო მეტიც, ვ. შუბითიძე აღნიშნავს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები კი არ იყვნენ ევროპული სოციალ-დემოკრატიის გზაზე, არამედ პირიქით. მათი გამოცდილება გაიზიარეს ევროპულმა სოციალ-დემოკრატებმა. ვინაიდან ნოე ჟორდანიას მთავრობა იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მსოფლიოში, მან პირველმა გაიაზრა მარქსისტული და მით უმეტეს ლენინური იდეების აბსურდულობა და პრაქტიკაში გაუმართლებლობა. ამიტომ მისმა მთავრობამ შეინარჩუნა კერძო საკუთრება, უარყვეს ასევე მიწის ნაციონალიზაცია. უსისხლოდ და ძალადობის გარეშე ჩატარდა მიწის რეფორმა, რომლის მიხედვითად ყველა გლეხს მიაკუთვნეს განსაზღვრული რაოდენობის მიწა. ამას გარდა შეიქმნა გასაყიდი მიწის ფონდი. ხოლო გერმანიის და ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა XX

საუკუნის შუა პერიოდში აღიარეს რომ მათი მიზანი უკლასო საზოგადოების შექმნაა, სადაც ხელუხლები იქნება კერძო საკუთრება და საბაზრო ეკონომიკა (შუბითიძე, 2009).

უფრო დეტალურად რომ ჩავუღრმავდეთ როგორი რეალიზება ჰპოვა ქართველი სოციალ-დემოკრატების ხედვებმა და რა სახის მოდერნიზაცია განიცადა მათი მეშვეობით საქართველომ, სათითაოდ განვიხილოთ **პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების რეფორმები**.

პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაცია

პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციისთვის ნოე ჟორდანიამ მოამზადა პროგრამა სახელწოდებით „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს ორგანიზაცია". ეს ემყარებოდა დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებათა ანალიზს. ის ამ გამოცდილებიდან საქართველოსთვის შესაფერისს არჩევდა და ქართულ სინამდვილესთან მისაღებს ეძებდა. პოლიტიკური სისტემის ახალ ფორმაზე ნოე ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობამდე დიდი ხნით ადრე ფიქრობდა და ყველაზე მისაღებად დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნდა. სწორედ ასე განისაზღვრა ის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით და შესაბამისად მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შინაარსიც. ქართული სოციალ-დემოკრატია მართალია გარკვეული პერიოდი რუსეთის მენშევიკური ფრთის ერთობას წარმოადგენდა, მაგრამ ქართველი ლიდერების პლატფორმა მთლიანად დასავლეთ ევროპის რელსებზე იდგა. მაგალითად, ნოე ჟორდანიას ინიციატივით მოხდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მომავალი ბედი. იგი ამავე პერიოდში საქართველოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის თავმჯდომარეც იყო და შეეძლო მხოლოდ მათი ყრილობის მოწვევით გამოეცხადება საქართველოს დამოუკიდებლობა ან განესაზღვრა ქვეყნის ბედი. მაგრამ ეს იქნებოდა ბოლშევიკური მეთოდი და ერს კლასებად გახლეჩდა. ამიტომ მან ეროვნულ ყრილობაში მოიწვია ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, ბურჟუაზეა და სხვა პოლიტიკური, მისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების პარტიებიც კი. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელაგატი სათათბირო ხმით. პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენდა 67 დელეგატი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს - 15, ქალაქთა თვითმმართველობებს - 33, საგუბერნიო, სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტს - 89, ქართულ ჯარს - 20, კოოპერატივებს - 8, მასწა-

ვლებელთა კავშირს - 9, პრესას - 9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს - 35, ვაჭრობა-მრეწველობას და ბანკებს - 26, თავადაზნაურობას - 20, ემიგრანტებს - 6, საქართველოს ეკლესიას - 1, კათოლიკეებს და მაჰმადიანებს - 7, ებრაელებს - 3, აფხაზეთის დელეგაციას - 2 და სხვადასხვა დაწესებულებებს - 8. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იკრიბებოდა, როგორც ვხედავთ მუშათა კლასი აშკარა უპირატესობაში არ იმყოფებოდა და მასში მეტნაკლები თანაფარდობით იყო საქართველოს ყველა სოციალური ფენა. ამით ყოველგვარი კლასთა შორისი კონფრონტაცია მოისპო და იგი მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენელი იყო. ყრილობის წევრები ერთხმად იყვნენ შეთანხმებული ქვეყნის მომავალი მმართველობის ფორმაზე - დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რომლის ძირითადი პრინციპი ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობას უნდა დაფუძნებოდა. შესაბამისად, ძალაუფლება უნდა განაწილებულიყო ცენტრსა და პერიფერიებს შორის, სადაც ხალხი აირჩევდა დეპუტატებს, აღმასრულებელ ორგანოებს, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვ. (გურული, 1999).

ყრილობაზე გადაწყდა, რომ თავდაპირველად უნდა შექმნილიყო საკანონმდებლო ორგანო, რომელიც დააკომპლექტებდა მთავრობას. ეს უნდა ყოფილიყო ერთპალატიანი პარლამენტი ეფექტური საკანონმდებლო მუშაობისთვის და ორ წლიანი სამადატო ვადით. ამიტომ განისაზღვრა **საარჩევნო სისტემა,** რომელიც უნდა ყოფილიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა ყველა სრულწლოვანს (20 წლის) მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნების და სარწმუნოებისა (არსენიძე, 2014). ამ კანონით პირველი საპარლამენტო არჩევნები იგივე „დამფუძნებელი კრების" არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა. ეს იყო უპრეცენდენტო მოვლენა საქართველოს ისტორიაში. ქართველ ხალხს პირველად მიეცა შესაძლებლობა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საკანონმდებლო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. წინასაარჩევნო კამპანიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი პარტული სპექტრი მონაწილეობდა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ბოლშევიკურ პარტიასაც კი ჰქონდა, მაგრამ მათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს (ჭუმბურიძე, 2011). სულ 15 პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა, ხოლო ამომრჩევლების რაოდენობა 1,024,682 შეადგენდა. მონაწილეობა 60%-მა მიიღო ანუ 618,675, რაც უდაოდ კარგი შედეგია იმ დროის პოლიტიკური კულტურის გათვალისწინებით. პირველ ადგილზე დიდი უპირატესობით „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია" გავიდა და 130 ადგილიდან 102 მანდატი მოიპოვა. მან 473,638 ხმა მიიღო. მეორეზე „სა-

ქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია" 9 მანდატით და 43,649 ხმით. მესამეზე - „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" 8 მანდატით და 32,475 ხმით. მეოთხეზე „საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია" 6 მანდატით. შემდეგ პარტია „დამნაკცუთიუნ" 3 მანდატით. ხოლო ბოლოს „საქართველოს ეროვნული პარტია" 2 მანდატი (საქართველოს ეროვნული არქივი, 2014). თავისი ორწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ასამბლეამ მიიღო კონსტიტუცია და 126 კანონი, კერძოდ, მოქალაქეობის, ადგილობრივი არჩევნების, ქვეყნის თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, სამართლებრივი სისტემის, ეთნიკური უმცირესობებისათვის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ, საჯარო განათლების ეროვნული სისტემისა და სხვა კანონები ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკის შესახებ, ასევე საქართველოს რკინიგზის, ვაჭრობის, შიდა პროდუქტის შესახებ და სხვა. (ლოსაბერიძე, 1998).

საქართველოს დამფუძნებელი კრების დანატოვარიდან აღსანიშნავია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის **კონსტიტუცია,** რომელიც რუსეთის მიერ ოკუპაციამდე ოთხი დღით ადრე 1921 წლის 21 თებერვალს შევიდა ძალაში. ის გადმოსცემდა იმ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შინაარსს, რომელიც სოციალ-დემოკრატების ფარგლებში ფუნქციონირებდა და გამოხატავდა მის რაობას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფოების სამი ათასწლეულის არსებობებისა ის მუდამ აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა და პირველად დამყარდა რესპუბლიკური მმართველობა, მას ამ კუთხით იდეალურად ჰქონდა განაწილებული ძალაუფლება სამ შტოში. ეს იყო **საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო** (ინასარიძე, 1984). უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენდა ნაზავს ფრანგული ტიპის საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკისა და შვეიცარიული ტიპის პირდაპირი დემოკრატიის პრინციპების (მაცაბერიძე, 2008). კონსტიტუციაზე მუშაობა 1918 წლის ივნისში დაიწყო, იგი რეგულარულად იხილებოდა საკანონმდებლო ორგანოში და საბოლოოდ 1921 წლის 21 თებერვალს იქნა მიღებული. ეს ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირი. ერთი რომ არ არსებობდა არანაირი საბაზისო გარემოება და მეორე არც ქართულ ენაზე შესამაბისი ტერმინოლოგია არ იყო. მასზე მუშაობა ფაქტიურად ცარიელი ფურცლიდან დაიწყეს (ვადაჭკორია, 2001). ნოე ჟორდანიას თქმით, ეს სამი შტო იყო სწორედ რისი მეშვეობითაც ხალხის მმართველობა უნდა განხორციელებულიყო. მას მიაჩნდა, რომ **საკანონმდებლო ორგანო** უნდა ყოფილიყო ხალხის მიერ ისეთი მექანიზმით შეზღუდული, როგორიცაა რეფერენდუმი. ამას ერთი საფრთხე ექნებოდა. შეიძლებოდა ხალხის არჩევანს შეეფერხებინა პარლამენტის მიერ შემუშავე-

ბული პროგრესული კანონპროექტები. ამიტომ რეფერენდუმები უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც უშუალოდ მათ ჯიბეს შეეხებოდა. ესენია გადასახადები, ფულის სისტემა, სავაჭრო ხელშეკრულებები და სხვ. რაც შეეხება **აღმასრულებელ ორგანოს,** ის ნოე ჟორდანიას ადმინისტრატორებად მიაჩნდა. ისინი არა ბატონები, არამედ ხალხის მსახურები უნდა ყოფილიყვნენ და ევალდებულებოდათ ისეთი ბრძანებების შესრულებაც კი, რომელსაც შეიძლება არც დათანხმებულიყვნენ. მათ არ უნდა ჰქონოდათ არანაირი პრეროგატივები და უნდა დამორჩილებულიყვნენ ჩვეულებრივ სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონებს. და ბოლოს, **სასამართლო სისტემა** ერთგვარ ჩაგრულთა ორგანოდ მიაჩნდა ნოე ჟორდანიას. იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამიჯნული აღმასრულებელი ორგანოსგან. ამის ერთერთი გზა იქნებოდა მოსამართლეების არჩევითობის სისტემის დანერგვა ხალხის მიერ და ისიც გარკვეული ვადით. ხალხს უფლება უნდა ჰქონოდა გაეწვია უკან არჩეული მოსამართლე. თუ ადრე სასამართლო საქმეებს ის აწარმოებდა, ვისაც ფული ჰქონდა, ამიერიდან უნდა მომხდარიყო სასამართლოს წარმოების დაფინანსება იმ კუთხით, რომ ღარიბ მოსახლეობასაც შეძლებოდა თამამად საჩივრების შეტანა (ჟორდანია, 1918). შესაბამისად **სასამრთლო სისტემის** რეფორმით პირველად საქართველოს ისტორიაში დაისვა საკითხი სასამართლო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის. ამოსავალი წერტილი ძალაუფლების ცენტრსა და ხალხს შორის განაწილება უნდა ყოფილიყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონის - ბერნის 1893 წლის კონსტუციას დაეყრდნენ, რომლის მიხედვითაც ხალხი რწმუნებულების მეშვეობით გარკვეული ვადით ირჩევდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის მოსამართლეებს, რომლებიც საქმეებს **ნაფიცი მსაჯულების** თანდასწრებით განიხილავდნენ. ამას გარდა უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასამართლო, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ყველა სასამართლოსთვის და განეხილა განსაკუთრებული და საკასაციო საქმეები. რეალურ პრობლემას ქმნიდა ის, რომ საქართველოში კვალიფიციური შესაბამისი კადრები არ არსებობდა და მსგავსი სისტემა ნულიდან უნდა შექმნილიყო, რადგან რუსული იმპერიის სასამართლო სისტემა ძალიან შორს იდგა მოდერნისტული თავისუფალი ქვეყნის სასამართლოებისგან. ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად, 1918 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობები, მისი არჩევის წესი ქალაქებისა და მაზრების მიხედვით და მოსამართლეთა ფუნქციები და მოვალეობები. ხოლო 1919 წელს შეიმუშავეს კანონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ვექილობის (ადვოკატის) უფლება და ნაფიც

ვექილთა საბჭოს არჩევის წესი. ხოლო იმავე წელს შეიქმნა „სენატი“, რომელიც სასამართლოების საქმიანობის მოწესრიგების და კანონიერების დაცვის მარეგულირებელ ინსტანციად იქნა მიჩნეული, რაც შინაარსობრივად უმაღლესი სასამართლოს ანალოგი იყო. მისი პირველ თავმჯდომარედ დამფუძნებელმა კრებამ ნაფიცი ვექილი დავით ხელთუფლიშვილი დაამტკიცა. ხოლო ორგანიზაციული საკითხების მოგვარება იუსტიციის სამინისტროს დაევალა, რომელიც რეფორმის დასრულების შემდეგ სენატისგან უფლება-მოვალეობებით გამიჯნული იქნებოდა (ვადაჭკორია, 2001). რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, ის შედგებოდა ყველა სწრულწლოვანი მოქალაქისგან განურჩევლად მისი განათლებისა და სპეციალობისა, რომლებიც ადგენდნენ ბრალდებული დამნაშავე იყო თუ არა. ხოლო მათი განაჩენის თანახმად, შესაფერის სასჯელს მოსამართლე განსაზღვრავდა. სასამართლოს გარეშე მოქალაქის დაკავება, ციხეში ჩასმა და დაჯარიმება აიკრძალა, როგორც იარაღი ადამიანთა დამონების და დამორჩილების (არსენიძე, 2014). როგორც ვხედავთ, მიუხედავად სასამართლო საკონომდებლო ბაზის არ არსებობის და კადრების სიმწირის მიუხედავად, სოციალ-დემოკრატებმა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის კუთხით მტკიცე ბაბიჯი გადადგეს.

ნოე ჟორდანიას მოხსენება „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“ სწორედ კონსტიტუციაზე მუშაობის და ქვეყნის მართვის შინაარსზე სცემს პასუხს. მისი თქმით, ყველა სახელმწიფო იმ კლასის ინტერესებს გამოხატავს, ვინც ხელისუფლების სათავეშია. ეს შეიძლება ყოფილიყო თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და სხვა. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სოციალ-დემოკრატია, რომელსაც პირველ რიგში ღარიბი ფენის ინტერესები უნდა დაეცვა, მაგრამ არა სხვა ფენების დაპირისპირების ხარჯზე, არამედ მათთან თანაცხოვრებით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საქართველოს ძირითად საძირკველს შეადგედნენ გლეხები, მუშები და ნვრილი ბურჟუაზია. ამიტომ ჟორდანიას თქმით, ერთადერთი სახელმწიფოს ფორმა რომელიც ამ თანაცხოვრებას უმტკივნეულოდ უზრუნველყოფდა, იქნებოდა მხოლოდ რესპუბლიკური მმართველობა. თავის მხრივ იგი რესპუბლიკის სამ სახეობას გამოჰყოფდა. ესაა **პარლამენტარული, სოციალური და დემოკრატიული. პარლამენტარულში იგულისხმება კონსტიტუციური მონარქია,** სადაც მეფეს დეკორაციის ფუნქცია აქვს. ეს წყობა ძირითადად ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს და ხალხის ნება ანუ ადგილობრივი თვითმმართველობები იგნორირებულია. ფაქტიურად, გამოდის, რომ აბსოლუტური მონარქის როლს ძლიერი პარლამენტი და ბიუროკრატია ითავსებს, რითაც უზრუნველყოფილია ბიუროკრატთა ძალაუფლების გახანგრძლივება. სოციალური

რესპუბლიკის ფორმა კი კერძო საკუთრებას გამორიცხავს. ვინაიდან ქართველი დემოკრატები ესეთ რადიკალურ ნაბიჯზე არ წავიდოდნენ, მიაჩნდათ, რომ **დემოკრატიული რესპუბლიკაა** ერთადერთი, რომელიც სოციალიზმთან თავსებადი იქნებოდა, ისე რომ კერძო საკუთრებაც არ იქნებოდა ხელყოფილი. ამ სისტემის პირობებში ძალაუფლება ცენტრსა და პერიფერიებს შორის არის განაწილებული. ხალხი ირჩევს არა მარტო საპარლამენტო დეპუტატებს, არამედ აღმასრულებლებს, ადმინისტრატორებს და მოსამართლეებსაც კი. შესაბამისად, ხალხი პირდაპირაა ჩართული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ასეთ სისტემას კიდევ ერთი პლიუსი აქვს. რადგან სახელმწიფოს რეგიონები ყველაფერში არ არიან დამოკიდებულნი ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ცენტრში - დედაქალაქში სახელმწიფო გადატრიალება ვერ ახდენს გავლენას მთლიანად სახელმწიფო წყობაზე და ის ერთი ქალაქის მოვლენად რჩება. ხოლო კონსტიტუციური მონაქრიის პირობებში ცენტრში გადატრიალება ავტომატურად ახდენს გავლენას პერიფერიებზე, რადგან ისინი ძლიერი ადგილობრივი პოლიტიკური თვითმმართველობებით არ იმართებიან. ნოე ჟორდანიას სიტყვებით „ჩვენ გვინდა ისეთი რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის ბატონობას ისე, რომ ცენტრალური ორგანოები არ გახდნენ ბურჟუაზიის გასაბატონებელ პოლიტიკურ იარაღად და არც ადგილობრივი ორგანოები გახდნენ პროვინციულ რეაქციის ბუდედ“ (ჟორდანია, 1918).

1918 წლის აგვისტოში დამტკიცდა კანონი სახელმწიფოების სტრუქტურების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შექმნას. მაგრამ იმავე წელს გაუქმდა საგუბერნიო დაყოფა და ჩატარდა საერობო კრების არჩევნები და ჩამოყალიბდა **ადგილობრივი თვითმმართველობის** სისტემა სამაზრო და საქალაქო მრავალპარტიული სათათბიროებისა და გამგეობების სახით (ვადაჭკორია, 2014). ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი აღმოჩდა. საქართველოში არსებულ ადგილობრივ თვითმმართველობებზე სოციალისტი და თეორეტიკოსი კ. კაუცკი წერდა: „რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა შეიქმნა ცენტრალისტური ბიუროკრატიული სისტემების ადგილზე“ (ინასარიძე, 1984). ისეთი თვითმმართველი ერთეულები, როგორიცაა მაზრა და თემი, სახელმწიფო მმართველი აპარატის განუყოფელი ნაწილი გახდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივ სტრუქტურებს გარკვეული ფუნქციები გადასცა და ისე, რომ კომპეტენციები ეფექტურად და რაციონალურად გაყოფილი ყოფილიყო. კონსტიტუციით საბოლოოდ განისაზღვრა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის ორგანო ადგილობრივი მმართველობისა, რომელიც განაგებს

ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმეებს; ადგილობრივი თვითმმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც უფლება აქვს შეაჩეროს ადგილობრივი მმართველობის კანონსაწინააღმდეგო განკარგულებანი. მათი გაუქმება კი შეადგენს სასამართლოს ფუნქციას; ადგილობრივ თვითმმართველობას ენიჭება ცალკე კანონით განსაზღვული საბიუჯეტო უფლება (ბენდიანიშვილი, 2008).

პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის კუთხით სოციალ-დემოკრატებმა ადამიანის პოლიტიკური და სამოქალაქო საქმეები უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და იგი კონსტიტუციით გაამყარა. ქვეყნის უმაღლესი კანონი განსაზღვრავდა **მოქალაქის უფლებებს**, რომელიც მესამე თავში იყო განსაზღვრული, როგორც **სიტყვის, ბეჭდვის ანუ პრესის, აზრის გამოხატვის თავისუფლება.** აქ ჩაიწერა: „ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მისი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებათა შეზრუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება.“ ეს რევოლუციური მიღწევა იყო იმ მრავალი ათწლეული ბრძოლის შემდეგ, რომელიც ხალხმა თავისუფლებისთვის და თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გაატარა. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ პერიოდში საქართველოში 15-მდე პოლიტიკური პარტია და მოძრაობა არსებობდა. მათ ჰქონდათ თავისი საკუთარი გაზეთები, ჟურნალები და ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობაზე, ისე რომ პირველად დადგა დრო, როდესაც თავიანთი აზრის გამო არავინ სდევნიდა (ინასარიძე, 1984).

კიდევ ერთი დემოკრატიული უფლება რაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მიანიჭეს საკუთარ მოქალაქეებს იყო **შეკრების თავისუფლება.** კონსტიტუციის 33-ე მუხლი საუბრობს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნება დაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ როგორც ჭერქვეშ ისე გარეთ“ (ინასარიძე, 1984). მსგავსი დებულება დღევანდელი საქართველოს კანონმდებლობითაც არ არის გათვალისწინებული. მართალია დღეს არ იზღუდება თავისუფლად შეკრება, მაგრამ დემონსტაციების გასამართად მოქალაქეებს ევალებათ სახელმწიფოს შესაბამისი დაწესებულებები გააფრთხილონ შეკრების ადგილისა და დროის შესახებ (საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, 2013). ამას გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 37-ე მუხლით ინდივიდუალურ ადამიანსაც მიენიჭა უფლება პირადი ან კოლექტიური პეტიციის სახით მიეწვდინა სახელმწიფოსთვის თავისი საპროტესტო ხედვები. ხოლო 64-ე მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ თუ მოქალაქეები მიიჩნევ-

დნენ ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმას მიუღებლად, მათ ჰქონდათ უფლება 30,000 მოქალაქის ხელმოწერით ეს საკითხი რეფერენდუმზე გაეტანათ (ინასარიძე, 1984).

ამას გარდა მოქალაქის უფლებებში განსაზღვრული იყო თავისუფლად **მიმოსვლის უფლებაც.** კონსტიტუციის 30-ე მუხლში ნათქვამია: „ყოველი მოქალაქე მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება“ (ინასარიძე, 1984). ეს უფლება შესაძლებელია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ჟღერდეს დღეს თამადეროვე თავისუფალი სახელმწიფოებისთვის, მაგრამ ფაქტია ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ ადამიანები მონარქიისა და ფეოდალიზმის პერიოდში, ასევე საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც მოქალაქეების ბინადრობის უფლება ძალზედ შეზღუდული იყო. შესაბამისად მსგავსი მოდერნისტული პოლიტიკა უადაოდ რევოლუციური და დიდი სიახლის მატარებელი იყო იმ დროის საქართველოსთვის, რომელიც საფუძველს უყრიდა თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოს ფუნდამენტს.

ეკონომიკური სისტემის მოდერნიცია

ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში იხსენებს, რომ ქვეყანაში მალე დამყარდა სტაბილურობა. ჩამოყალიბდნენ პოლიციის აპარატები, დამყარდა კანონიერება, მაგრამ მთავარი გამოწვევა ფინანსური მდგომარეობა იყო. ყველა დაწესებულება თუ პირი დაფინანსებას სახელმწიფოსგან ითხოვდა, მაგრამ სახელმწიფოს ბიუჯეტი, რომელიც გადასახადებისგან შედგებოდა ძნელად თუ იკრიფებოდა. მოსაფიქრებელი იყო ეკონომიკური პოლიტიკის გამოსწორება, რომლისთვისაც ისევ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიმართეს (ჟორდანია, 1990). მკვლევარი დ. ჭუმბურიძის აზრით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გამოიწვია იმან, რომ საქართველოს ეკონომიკა მანამდე დამოკიდებული იყო რუსეთზე და მეზობელ სახელმწიფოებზე. ეს კავშირები თავისთავად გაწყდა იმპერიის დაშლის, რევოლუციის და მეზობელ სახელმწიფოებში კონფლიქტების გამო. საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესების მიზნით გადაწყდა დაეშვათ, როგორც სახელწმიფო ასევე კერძო საკუთრება. მოიწვიეს ასავე ექსპერტები და ინსტრუქტორები დასავლეთ ევროპიდან (ჭუმბურიძე, 2008). პროფ. გურული აღნიშნავს, რომ **ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაცია** ეყრდნობოდა მესამე დასის დროს და შემდგომ პერიოდში ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებულ პროგრამებს. ეს კი გულისხმობდა:

1) კერძო საკუთრებას;

2) პიროვნების ეკონომიკური და პოლიტიკურ თავისუფებას;
3) სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესი ბურჟუაზიის მოსპობის გარეშე.

ნოე ჟორდანია წინააღმდეგი იყო სახელმწიფოს სასარგებლოდ მატერიალური რესურსების დიდი ნაწილის კონფისკაციის და ეკონომიკაში სახელმწიფოს მონოპოლიის. უნდა მომხდარიყო სახელმწიფო და კერძო სექტორთა ისეთი თანაფარდობის დაცვა, რომ არც საშუალო ფენა გაღატაკებულიყო და არც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი - კერძო საკუთრება მოსპობილიყო (გურული, 1999).

უფრო კონკრეტულად, საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება; აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. (ათანელიშვილი, 2010). ჩვენი კვლევის მიზანი არაა ყველა ეკონომიკური რეფორმის ანალიზი, არამედ განვიხილავთ მხოლოდ იმ რეფორმებს, რომლებიც მიგვაჩნია, რომ ქვეყნის მოდერნიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო.

თავდაპირველად განვიხილოთ ფისკალური პოლიტიკის დარეგულირება. საქართველოს იმ დროს საკუთარი **ცენტრალური ბანკი** არ გააჩნდა. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. ამიტომ 1919 წელს მიიღეს კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და მისი წესდების შესახებ. მას „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი მოდელი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა. იგი პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე. საქართველოს ბანკის ფუნქციონირების მცირე ხნის მიუხედავად, ბანკმა ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი

გარანტი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში მე-16 საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ შეირჩა. სახელი სავარაუდოდ ვენეციური ფულის „მარჩელოსგან“ მომდინარეობს. თუმცა სამწუხაროდ მისი ეროვნულ ვალუტად შემოღება ვერ მოესწრო (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017).

1918 წელს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი **„საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა“**. აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა ყველა საბაჟო დაწესებულება, რომელიც რუსეთმა დააარსა. 14 საბაჟოს ნაცვლად, საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა 19 საბაჟო. ქართული საბაჟოების მუშაობის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ყველაზე მეტი იმპორტული საქონელი შემოტანილია რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ოსმალეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იტალიიდან, სომხეთიდან და სხვ. საქართველოდან ყველაზე მეტი საქონლის ექსპორტი განხორციელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, იტალიაში, ოსმალეთში, ინგლისში და ა. შ. (ათანელიშვილი, 2010).

იმ პერიოდში სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 80% იყო ჩართული და შემოსავლის 2/3-ს ეს დარგი იძლეოდა. პრობლემას ქმნიდა ის, რომ არსებობდა მიწის სიმწირე. გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს ან ძალიან მცირე მიწა ჰქონდა ან საერთოდ არ გააჩნდა. მიწების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა. მასში შედიოდა ქართველ მეფეთა საგვარეულო მიწები, ეკლესიის მიწები, თავადაზნაურთა ყოფილი მიწები და სხვადასხვა დროს კონფისცირებული მიწები. სულ რუსეთის მთავრობას მიწის 36%-ზე მეტი ეკუთვნოდა, დანარჩენი კი კერძო მემამულეების და მესაკუთრეების ხელში იყო. სადავო საკითხს წარმოადგენდა მემამულეების ის მიწები, რომლებსაც ფაქტობრივად გლეხები ამუშავებდნენ, მაგრამ თავადაზნაურობის შთამომავლებს ეკუთვნოდათ. ეს მიწები სოციალ-დემოკრატიის და რევოლუციის სამიზნეს წარმოადგენდა, რათა გადასულიყო იმ გლეხების საკუთრებაში, რომლებიც ფაქტობრივად ფლობდნენ მათ (ანჩაბაძე, 2009).

ნოე ჟორდანია ასე იხსენებს მიწის რეფორმის საკითხს: „ჩვენი სოციალიზმი უმთავრესათ გამოიხატა **აგრარულ რეფორმებში.** ის რაც ჩვენში მოხდა უფრო ეწოდება რევოლუცია, ნამდვილათ კი ეს იყო რეფორმა, რატომ? იმიტომ რომ ეს ჩატარდა ყოველივე ძალადობის, არეულობის და ბრძოლის გარეშე... ჩვენმა სოციალიზმა ამ სფეროში მიიღო სპეციალური ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სა-

თესი მიწები გადავეცით გლეხობას კერძო საკუთრებით, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას. ... ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას - გლეხობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უაღრესად ნაციონალური რეფორმა ჩვენში" (ჟორდანია, 1990).

შესაბამისად, ქართული სოციალ-დემოკრატიის მიზანი იყო რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული მიწის რეფორმის ხარვეზების აღმოფხვრა და მანკიერი დარჩენილი ელემენტების გამოსწორება. როგორც ვხედავთ ხელისუფლება არ წავიდა ბოლშევიკურ მეთოდებზე და **აგრარული რეფორმების** შედეგად სახელწმიფოს განკარგულებაში გადასული 340,000 ჰექტარი თავად-აზნაურობის მამულებიდან, მიწები გადაუნაწილდა მოსახლეობას, როგორც კერძო ასევე იურიდიულ პირს და საკუთრებაში შეეძლოთ 7-14 დესეტინა მიწის ვარგისიანობის მიხედვით. მიწები დარჩათ თავად-აზნაურობასაც, ხოლო სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ტყის მასივები და საზამთრო და საზაფხულო საძოვრები ჯამში 756,046 დესეტინა. ეს რა თქმა უნდა სამოქალაქო მშვიდობის და ეკონომიკური განვითარების გარანტია იყო (გურული, 1999). ვადაჭკორიას თმით, 1919 წელს გამოცემული მიწის კანონი და ინსტრუქცია მიწის მფლობელობის სამ ფორმას ცნობდა. ეს იყო კერძო საკუთრება, მუნიციპალიზაცია და სახელმწიფო საკუთრება. იგი სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებისა და აგრარული რეფორმის ქართულ სამეურნეო ტრადიციასთან დაახლოების ხელშემწყობის როლში გამოდიოდა (ვადაჭკორია, 2001). ჟორდანიას იხსენებს, „რაკი ქართული სოციალიზმი იყო უაღრესად ნაციონალური, ამიტომ პირველი მისი რეფორმატორული ნაბიჯი შეიცავდა ერის დიდი უმრავლეოსბის - **გლეხობის ინტერესების** დაცვას, მისი დაბალი სოციალური საფეხურებიდან მაღლა ამოყვანას და ერის ფუძეთ გამოცხადებას. ეს კი იქნა შესრულებული აგრარული რეფორმით. მიწათმფლობელთა წოდებას ჩამოერთვა უსასყიდლოთ მამულები და ყველა სახნავ-სათესი მიწები დაურიგდა უმიწაწყლო და მცირე მესაკუთრე გლეხობას, ხოლო დიდი გაშენებული მამულები, ტყეები და საბალახოები გამოცხადდა ნაციონალურ საკუთრებად" (ჟორდანია, 1990).

1918-1921 წლის ეკონომიკური წინსვლის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ საგარეო და საშინაო ვაჭრობაში განხორციელებული რეფორმები, მყარი ვალუტა, სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვა, აბრეშუმის, ჩაის, თამბაქოს, მანგანუმის ექსპორტი. ამ პერიოდის განმავლობაში შეძენილი იქნა თვითმფრინავები, გემები სა-

სოფლო მანქანები. დაარსდა ახალი სანარმოები, ახლდებოდა ძველი მანქანა-დანადგარები. მრენველობაში განვითარებული იყო ქვის, თიხის, მინის, ლითონების დამუშავება, პოლიგრაფიული და ელექტროენერგიის წარმოება. მოიპოვებდნენ მარგანეცს და ქვანახშირს. გაშენდა ჩაის, თამბაქოს და ბამბის ახალი პლანტაციები. სამწუხაროდ, ყოველივე ეს სამწლიანი რეფორმების კვალობაზე საკმარისი არ იყო. საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისით მაინც ღარიბი ქვეყანა იყო, თუმცა განვითარების გზაზე მდგომი, რომელიც აუცილებლად მიაღწევდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავს ეკონომიკურ აღმავლობას, რომ არა საბჭოთა კავშირის მიერ 1921 წლის ოკუპაცია (ჭუმბურიძე, 2008).

სამოქალაქო და კულტურული მოდერნიზაცია

სეკულარიზმი

საზოგადოებრივი მოდერნიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია რა პროცესები ვითარდებოდა ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ. კვლევის პირველ ნაწილში ჩვენ ვნახეთ ქართველი ლიბერალების, კერძოდ კი ილია ჭავჭავაძის შეხედულებები, რომელმაც შეცვალა რელიგიური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება და თუ მანამდე ქართული ეროვნულობის განმსაზღვრელი იყო რელიგია, მის დროს ეს შეიცვალა. რელიგია, ამ შემთხვევაში კი ქრისტიანული რელიგია აღარ წარმოადგენდა ეროვნულობის განმსაზღვრელ აუცილებელ ფაქტორს, რასაც მნიშველოვნად შეუწყო ხელი აჭარის მუსლიმი მოსახლეობის დანარჩენ საქართველოსთან დაბრუნებამ (ოღონდ რუსეთის იმპერიის ფარგლებში), რომლებიც ილიას თქმით ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც დანარჩენები. ის წინა პლანზე ადამიანის ღირსებას აყენებდა, ვიდრე წარმომავლობას ან აღმსარებლობას. ეს საკითხი სოციალ დემოკრატების დროს უკვე საერთოდ აღარ იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ პერიოდში სეკულარიზმი, აღმსარებლობის თავისუფლება და ეროვნული განსხვავებულობა არ უნდა ყოფილიყო ადამიანის დემოკრატიული უფლებების განხორციელების დამაბრკოლებელი.

ჯერ კიდევ 1906 წელს ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ჯავახიშვილი თავის პუბლიცისტურ წერილში „გლეხის წერილები“ წერდა იმ მანკიერ მხარეზე, როდესაც ეკლესია შერწყმულია სახელმწიფო ინსტიტუტებთან და მათი გავლენის ქვეშაა. ის წერდა: „ჩვენ ვთხოულობთ ეკლესიის განშორებას სახელ-

მწიფოსაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და მთავრობა სრულიად არ უნდა ჩაერივნენ ეკლესიისა და სარწმუნოების საქმეში. სამაგიეროდ არც ეკლესია და არც სამღვდელოება უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეში. სამღვდელოება და ეკლესია უნდა შეინახონ იმათ, ვისაც სწამთ ღმერთი და ეკლესია. ვთქვათ, ერთ სოფელში ას კაცს სწამს ღმერთი, ათ კაცს კი არა სწამს. ასმა კაცმა უნდა აირჩიონ მღვდელი და ისე მოაწყონ ეკლესიის საქმე, როგორც მათ უნდათ, ათ ურწმუნო კაცს კი ძალა არ უნდა დაატანონ რწმენაში. ყველამ ის ღმერთი უნდა ილოცოს, რომელიც მას სწამს, ყველამ ისე უნდა ილოცოს, როგორც მისი სურვილი იქნება. მაშ ასე: ჩვენ ვთხოულობთ რწმენის სრულ თავისუფლებას“ (ჯავახიშვილი, 2016).

ზოგიერთი მკვლევარი ქართველი სოციალ-დემოკრატების ასეთ დამოკიდებულებას მათი ლიდერების ათეისტურ შეხედულებებს უკავშირებს. მაგალითად, პროფ. ვ. გურული 1918-1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სეკულარულ პოლიტიკას საერთოდ ათეისტურსაც კი უწოდებს. აცხადებს, იმის მიუხედავად რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის 12 მარტს აღდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, მან მაინც ვერ შეძლო სახელმწიფო ცხოვრებაში ტრადიციული ადგილის დაბრუნება (გურული, 2008). მაგალითად, ჟორდანია თავის რელიგიურ გრძნობებზე ღიად საუბრობს თავის მოგონებებში. როგორც ჩანს ის ბავშვობაში როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი ისე იზრდებოდა, იცავდა მარხვას და ეზიარებოდა. ხოლო პირველად ღმერთის არსებობაში დაეჭვდა სკოლაში იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ წაკითხვის შემდეგ. მისი თქმით, აღმოაჩინა, რომ ბუნებრივ მოვლენებს ჰქონდა მეცნიერული ახსნა და ზებუნებრივი მათში არაფერი იყო. თურმე ჭვიმა არ ყოფილა ღმერთის ცრემლები და ჭექაქუხილი წმ. გიორგის ცხენის ჭენების ხმა. აქედან გამომდინარე ეჭვი შეიტანა მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობაშიც, რადგანაც მაშინდელი გავრცელებული წარმოდგენით მეფის ლეგიტიმურობა მის თითქოსდა ღვთიურ ხელდასმას უკავშირდებოდა. სემინარიაში სწავლის დროს კი ჩამოუყალიბდა მტკიცე აზრი, რომ მეფე ისეთივე გამოგონილი ავტორიტეტი იყო, როგორც ღმერთი. ეს ორივე ცნება ერთ დონეზე დააყენა, ხოლო ათეიზმი და რესპუბლიკანიზმი ერთმანეთს დაუკავშირა. მიხვდა რომ რესპუბლიკა ყველა ადამიანისთვის უნდა ყოფილიყო და არა მხოლოდ მათთვის, ვინც უმრავლესობას წარმოადგენდა. ამიტომ, როდესაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიიღეს საქართველოს სახელმწიფო გერბი და მასზე წმინდა გიორგი გამოსახეს, ჟორდანიას წინადადებით კლერიკალიზმის თავიდან აცილების მიზნით მას ჩამოსცილდა ყველა რელიგიური ნიშანი

(ჟორდანია, 1990). ასევე ისიდორე რამიშვილი იხსენებს, რომ ბათუმის საკვირაო სკოლაში, რომელიც ყოველდღე მუშებით ივსებოდა და წერა-კითხვიდან დაწყებული ლიტერატურის კითხვით, ისტორიით, გეოგრაფიით და ბუნებისმეტყველებით დამთავრებული ისწავლებოდა, კარლო ჩხეიძე ხელმღვანელობდა დარვინის თეორიას, რომელიც ფართოდ იყო გაშუქებული (რამიშვილი, 2012). პროფ. გურულის თქმით, სეკულარიზაციის პოლიტიკა აყვანილი იყო ხელისუფლების პირველი პირების დონეზე. ისინი არ მონაწილეობდნენ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში. უფრო მეტიც, ნოე ჟორდანიამ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მის ლოცვებში მოხსენიების წინააღმდეგიც კი წავიდა და მასთან სადარბაზოდ მისულ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს მხოლოდ კაბინეტიდან გასულს დააწია თანხმობა (გურული, 2008).

ჩვენი აზრით ეს მართლაც სეკულარული პოლიტიკის გათავისების დამსახურებაა და არა რელიგიური გრძნობების გამოხატულება. მით უფრო, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა და ის დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მნიშველოვან ნაბიჯად მიაჩნდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამიტომაც ქართულ ეკლესიას სერიოზულად ეხმარებოდნენ რუსეთში მყოფი ქართველი მენშევიკები კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და ზ. ავალიშვილი (გეგენავა, 2013). ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში კათოლიკოს პატრიარქი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენდა. გურულის დასკვნით, მის აზრს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ ითვალისწინებდნენ. დაკნინდა ეკლესიის როლი მოსწავლე-ახალგაზრდობის და სტუდენტობის აღზრდის საქმეში, ქართულ ჯარში. აიკრძალა ბიბლიის სწავლება საერო სკოლებში, რადგან მას არა მეცნიერული, თეოლოგიური, არამედ რელიგიური დატვირთვის შინაარსი ჰქონდა. ამასთან აიკრძალა საეკლესიო იერარქიის მიერ ჯარის ნაწილებში საეკლესიო ლიტურგიის ჩატარება (გურული, 2008). რვა დღით შემცირდა უქმე დღეების რაოდენობა საეკლესიო დღესასწაულების ხარჯზე (გეგენავა, 2013). ვფიქრობთ, ეს ყველაფერი სწორედ რეალობის რაციონალური გააზრების შედეგია და დემოკრატიული ღირებულებების კუთხით ნახტომისებური წინსვლა. რადგამ ქართული სკოლები, ჯარის ნაწილები და სხვა საერო დაწესებულებები არ წარმოადგენდნენ მხოლოდ მორწმუნე ქრისტიან მართლმადიდებლებს და მათ შორის იყვნენ სხვა ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური თუ სხვა მსოფლმხედველობითი შეხედულებების ადამიანებიც, რომელთა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება დაუშვებელი იქნებოდა. ეს იყო სწორედ გაცნობიერებული ნაციონალიზმის დაბადების შე-

დეგი და არა შუა საუკუნეების ტომობრივი გაერთიანება. ნოე რამიშვილი მიიჩნევდა, რომ ერთა თვითგამორკვევა ხალხის ხელშია, რა დროსაც „ნება და წყალობა ღვთისა“ განდევნილია, ზევიდან ხალხის ბედის გადაჭრა უკუგდებულია და მისი სუვერენობა საქვეყნოდ აღიარებულია (რამიშვილი, 1931).

ქართველ სოციალ-დემოკრატების ცოდნა და ღირებულებულები აისახა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში და მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაში. 1920 წელს შეიმუშავეს კანონპროექტი, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის საკითხი. მისი მიხედვით, სახელმწიფო აღარ დააფინანსებდა ეკლესიას. პირიქით, ეკლესია ვალდებული იყო სპეციალური გადასახადი ეხადა. ხოლო საკონსტიტუციო კომისია სარწმუნოებრივ საკითხებს სწორედ სეკულარიზმის პრინციპების დონეზე განიხილავდა. კონსტიტუციის 31-ე მუხლით, უზრუნველყოფილი იყო სინდისის თავისუფლება და იცრძალებოდა სარწმუნოების გამო მოქალაქეთა დევნა, პოლიტიკურ-სამართლებრივი უფლებების შეზღუდვა. ამავე დროს დაუშვებელი იყო რელიგიური მოტივით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. 143-ე მუხლით აღიარებული იქნა სარწმუნოების თანაბრობა-თანასწორობა და არავის ენიჭებოდა უპირატესობა. ხოლო 144-ე მუხლით სახელწმიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს აეკრძალათ სარწმუნოებრივი საკითხებისთვის თანხის გაცემა.

ამ ყველაფრის ფონზე სოციალ-დემოკრატებს აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ საეკლესიო პირები და მათი მომხრე პოლიტიკოსები. ისინი აპროტესტებდნენ ეკლესიის ფინანსურ და მატერიალურ შევიწროებას, თუმცა მხარს უჭერდნენ სახელმწიფოსგან ეკლესიის გამიჯვნას, აღმსარებლობის თავისუფლებას და აფიქსირებდნენ შემწყნარებლურ პოლიტიკას სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ (გეგენავა, 2013). მათ 1917 წელს ისიც კი გამოაცხადეს, რომ „საღვთო წერილისა და ძველი საეკლესიო თვალსაზრისის თანახმად, მმართველობის საუკეთესო ფორმა არის არა მონარქია და მეფის ინსტიტუტი, არემედ დემოკრატიული რესპუბლიკა“ (პაპუაშვილი ნ, 2011). საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II აცხადებდა „...თაიგული მით უფრო მშვენიერია, რამდენათ ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვაძლევს სხვის რწმენისა და ენის დევნილობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში“ (გამყრელიძე, 2006).

ეროვნული უმცირესობები

ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნული უმცირესობების მიმართ არანაირ განსხვავებულ მიდგომას არ გამოხატავდნენ. ამ საკითხში მათ ქართველი ნაციონალისტური მოძრაობებიც ედგნენ გვერდში. ნოე ჟორდანიას ეროვნული საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც ყოფილიყო, რომ მას კარგად ჰქონდა გააზრებული საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული მრავალფეროვნება. იგი ურა-პატრიოტულ რიტორიკას, პრაგმატულ პოლიტიკას ამჯობინებდა და ყველა მათგანს სოციალურ თანასწორობასა და თავისუფლებას სთავაზობდა. მისმა და მისი პარტიის ასეთმა მიდგომამ გაამართლა. არც ეროვნულ უმცირესობებს უგრძვნიათ თავი განსხვავებულად მათ წინაშე. ამიტომ იყო, რომ მაგალითად ახალქალაქში, რომლის მოსახლეობა ეთნიკურად სომხებს წარმოადგენდნენ არჩევნებში გამარჯვება არა სომხურმა ნაციონალისტურმა დაშნაკმა მიიღო, არამედ სოციალ-დემოკრატიამ. იგივე შედეგი დადგა თბილისშიც, სადაც იმ პერიოდში ეთნიკური ქართველობა უმცირესობაში იყვნენ. ნოე ჟორდანია ამ საკითხს მათი პარტიის მსოფლმეხველობიდან ხსნიდა: „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობის მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან. სოც.-დემოკრატიას იმით ქონდა გავლენა საქართველოში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორათ ვიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებათ ვრაცხდით. მაგრამ ეს თეორია, ეს წარსული შეიძლება დარჩენილიყო მკვდარ სიტყვათ და საქმეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ობიექტურ მდგომარეობას მისი გატარება არ მოეთხოვა. აუცილებელი შეიქნა შინაგანი ზავი, ერთა უმცირესობის დედა-ერთან, ქართველობასთან სოლიდარობა, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, რაიცა შესრულებულ იქნა არა ცარიელი პროპაგანდით, არამედ შესაფერი უფლებების მინიჭებით“ (ჟორდანია, 1990).

ისეთ მნიშვნელოვან დღეს, როგორიც იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, საკუთარ სიტყვაში ნოე ჟორდანიამ ყურადღება სწორედ ეროვნულ უმცირესობებზე გაამახვილა. მისი სიტყვებით, საქართველო ისტორიის განმავლობაში იბრძოდა მხოლოდ საკუთარი თავის დაცვისთვის და არა სხვის წინააღმდეგ. „ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში... არც ერთი ერი _ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენი სახელმწიფოს გარე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე

აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას... მსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეთ და ჩვენს შორის მყოფ ერებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი _ ჩვენს გარეთ. ეს არის სომხობა. ძველ ანდერძს დღევანდელი ქართველობაც გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას პოვებს ჩვენში, რომელსაც პოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის. ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან - მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვბაძონ, დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ... ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობის სხვადასხვა ერის უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა" (გურული, 2011).

ეროვნული უმცირესობების შესახებ დამოკიდებულება საქართველოს პირველ კონსტიტუციამიც აისახა. მას მთლიანად მიეძღვნა მე-4 თავი და 9 მუხლი. მისი მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ეროვნულ უმცირესობას ეძლეოდა თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. განსაკუთრებით მის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა მართვა-გამგეობის უფლება. მათ ასევე კონსტიტუციით მიეცათ უფლება საკუთარ ენაზე ბეჭდვის, წერის და ლაპარაკის (მუხლი 129). უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ 21-ე საუკუნის საქართველოზე, სადაც ეს ყველაფერი თითქოს ბუნებრივი უფლებაა. არამედ საქმე გვაქვს მე-20 საუკუნის დასაწყისთან, რა დროსაც საქართველო სულ რაღაც 2 წლის დახსნილი იყო იმ იმპერიისგან, სადაც ეროვნული უმცირესობები საკუთარი უფლებებისთვის სისხლის ფასად იბრძოდნენ. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციით ეროვნულ უმცირესობებს მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ მათი წარმომადგენლობისგან შემდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები (თემი, ერობა, ქალაქი) და დაეარსებინათ ეროვნული კავშირი, თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად, მათ შორის მათ ვისაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვებოდათ (მუხლი 130). სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებების მინიჭების გარდა საქართველოს კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობდა მათ სწავლა-განათლებას. ეს გულისხმობდა სკოლების დაარსებას ეროვნული შემადგენლობის პროპორციის მიხედვით (მუხლი 134), სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს განათლება უნდა მიეღო მის სალაპარაკო ენაზე (მუხლი 135). ხოლო ადგილობრივი მმართვე-

ლობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატებოდა ყველა მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენასთან ერთად მათ მშობლიურ ენაზეც (მუხლი 136). ეროვნებით არა ქართველ დეპუტატს კი, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცოდა, შესაძლებლობა ეძლეოდა პარლამენტში სიტყვა წარმოეთქვა საკუთარ ენაზე, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ ნარუდგენდა პარლამენტის პრეზიდიუმს (მუხლი 137) (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1921).

როგორც ვხედავთ, ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ქვეყნის ფუნდამენტურ პრინციპად მიიჩნევდნენ ეროვნულ თანასწორობას და უმცირესობების დანარჩენ საზოგადოებაში თავისუფალი ინტეგრაციის ისეთ შესაძლებლობას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მათი კულტურული, ეკონომიკური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზება.

ქალთა მოძრაობა

ჩვენი კვლევის პირველ ნაწილში, როდესაც ვსწავლობდით ქართველი ლიბერალების მოღვაწეობას, ვნახეთ რომ ქალთა ემანსიპაციის მოძრაობას სწორედ მათ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურდა მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, რასაც საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებამ შეუწყო ხელი. ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც სრულად ასახავდა იმ დროის სოციალ-დემოკრატების ხედვებს, სქესს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებში. ისინი ამ კუთხით სრულ თანასწორობას ქადაგებდნენ. საინტერესოა უფრო კონკრეტულად ვნახოთ და შევისწავლოთ რას ფიქრობდნენ ევროპის იდეის და მოდერნიზაციის მეორე ტალღის პერიოდში საზოგადო მოღვაწეები ქალებზე და რა კონკრეტული მოძრაობები ხდებოდა ქალთა სრული ემანსიპაციისათვის.

მაგალითად, საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, ცნობილი მენშევიკი ირაკლი (კაკი) წერეთლის მამა სერიოზულად იყო დაინტერესებული ქალთა მდგომარეობით. იგი ასაბუთებდა, რომ ქალები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულნი და ამას „ქართლის ცხოვრებით" (ისტორია საქართველოს შესახებ) ასაბუთებდა. მას მოჰყავს წმინდა ნინოს მაგალითი, რომელ-

მაც შეძლო ქართლის სამეფო ქრისტიანულ სახელმწიფოდ ექცია. შუშანიკი, რომელმაც თავი გაწირა ქრისტიანობის გამო და თამარ მეფე, რომელიც საქართველოს რენესანსის ეპოქაში მეფობდა. ხოლო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამ ქალს ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობის აუცილებლობა დაუკარგა და მე-19 საუკუნის ქალებს იგი მხოლოდ გარეგნული სახით გაევროპელებაში ხედავდა, რომელსაც იდეური შინაარსი მოკლებული ჰქონდა. იგი თვლიდა, რომ ქალთა ემანსიპაცია უნდა ყოფილიყო საზოგადოებაში მათი ასპარეზის გაფართოების გაჩენაში, რომელიც შეძლებდა საკუთარი შრომით მოეპოვებინა შემოსავალი. ამიტომ იგი მოითხოვდა ქალებისათვის დაწყებითი და სპეციალური განათლების მიღებას. ეს კი მისი თქმით, მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს შეეძლოთ, მაგრამ სოფლად მცხოვრები ღარიბი ოჯახების შვილები ვერ ახერხებდნენ განათლების მიღებას. ამიტომ წერეთელი მიესალმებოდა თბილისში ქალთა სამოხელეო სკოლის დაარსებას და იქ სწავლისკენ მოუწოდებდა სოფლის მცხოვრებლებს, რომლებსაც დაბინავებას და სასწავლებელში მიღებას დაჰპირდა. ქალთა განათლება, მათი საზოგადოებრივად გათვიცნობიერება და კულტურულად ამაღლება ის აუცილებელი წინაპირობაა, რომელიც გ. წერეთლის აზრით ქალს დაიხსნიდა მამაკაცის დამამცირებელი მონობისაგან. საზოგადოების წესები ხელს უშლიდა ქალებს გამხდარიყვნენ სახელმწიფოს მოხელეები, მასწავლებლები, ექიმები, სამოქალაქო თანამდებობის აღმასრულებელი. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ 1870-იან წლებში გ. წერეთელმა მონაწილეობა მიიღო ნ. ნიკოლაძესთან ერთად დაეფინანსებინა ქართველი ქალების ჯგუფის სასწავლებლად დასავლეთ ევროპაში გამგზავრება, რაც იმ დროის საზოგადოებისთვის სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენდა. მან საკუთარი პოზიციის გამყარება თეატრის მეშვეობითაც სცადა. შექმნა დრამატული ნაწარმოები „ოჯახის ასული“ და „დარია“, რომლითაც საზოგადოებას დაანახა ქალთა საკითხისადმი არასწორი დამოკიდებულების სავალალო შედეგები და ხაზი გაუსვა ამ ბარიერების მოსპობის აუცილებლობას, რაც ხელს უშლიდა ქართველ ქალებს შესაფერისი სოციალური სტატუსის მოპოვებაში (სულაბერიძე, 2010).

კიდევ ერთი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო ქალთა მოძრაობას იყო არჩილ ჯორჯაძე. ის სოციალ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელი იყო და ვინაიდან ვერ მოიპოვა პოლიტიკური გავლენა საქართველოზე, მისი იდეები არ იქცა ჩვენი კვლევის საგნად. თუმცა ის საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი, ინტელექტუალი, თეორეტიკოსი და პუბლიცისტი იყო. თუ მისი პოლიტიკური აზრები ისეთ გავლენას ვერ ახდენდნენ საზოგადოებაზე, როგორც სოციალ-დემოკრატების, უდაოდ მნიშველოვანია მისი და-

მოკიდებულება ქალთა ემანსიპაციის მიმართ, რადგან მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის განვითარებაში. ამ მიზნით, ისიც გ. წერეთლის მსგავსად, დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა სწავლა-განათლების საკითხს. ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე მან 1911 წელს დაწერა შრომა „ქალის სევდა". მისი აზრით, კაცსა და ქალს შორის არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს, რადგან იურიდიულად ქალიც იმსახურებს საზოგადოებაში მოიპოვოს მამაკაცის თანაბარი მდგომარეობა. იგი აკრიტიკებდა ქალების იმ მდგომარეობას, რომლითაც ისინი მამაკაცის ჟინის მონები იყვნენ და შვილოსნობის უბრალო იარაღები. მისი ახსნით, ასეთ მდგომარეობა პატრიარქატის გაჩენის შემდეგ დამკვიდრდა, რასაც ხალხური წეს-ჩვეულებები და რელიგიური დოგმები განაპირობებდნენ. იგი გმობდა ანგარების მიზნით დაქორწინებას, როდესაც ოჯახის შექმნა ინდივიდუალურ სიყვარულთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ კერძო საკუთრების, დაგროვების, ანგარიშიანობის და პატრიარქალური ურთიერთობების დამახასიათებელი სხვა ნიშნებით. ამიტომ ერთადერთი სოციალისტურ საზოგადოებას შეეძლო მიენიჭებინა თავისუფლება არა მარტო ქალისთვის, არამედ საერთოდ ადამიანისთვის. ამის მიუხედავად, არჩილ ჯორჯაძე ქალის სრულ ემანსიპაციას მაინც ეჭვის თვალით უყურებდა და ამას სქესობრივი და ტემპერამენტის განსხვავებულობით ხსნიდა (ლობჟანიძე, 1989).

ქალთა ემანსიპაციის მკვლევალი ლ. გაფრინდაშვილი წერს, რომ ქართველი ქალების პოლიტიკურად გააქტიურება სწორედ მე-20 საუკინის დასაწყისიდან იციდებს ფეხს. მისი დასკვნით არსებობდა ქართული ფემინიზმის ფენომენი, რომელიც შემოსული იდეების უბრალო გადმოტანა კი არ იყო, არამედ ორგანულ საჭიროებებთან მორგება. ის არ იყო ნაძალადევი და ხელოვნური. ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებისთვის ბრძოლას კატო მიქელაძე (1878-1942) ედგა სათავეში (გაფრინდაშვილი ლ, 2008). მე-20 საუკუნის დასაწყისში იგი დაუახლოვდა მესამედასელებს და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1903 წელს იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მეშვეობით სასწავლებლად მოსკოვში პედაგოგიურ კურსებზე წავიდა, ხოლო შემდეგ ევროპაში გაემგზავრა. ბრიუსელის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობდა, რისი დამთავრების შემდეგაც პარიზში დასახლდა. აქ იგი საფუძვლიანად გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას და როდესაც 1916 წელს სამშობლოში დაბრუნდა, დაიწყო თანამოაზრეთა შემოკრება და ქალის სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა. 1917-18 წლებში მან უკვე ჩამოაყალიბა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა", რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა

რაიონის წარმომადგენელ ქალს აერთიანებდა. ამავე პერიოდში იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც კონსოლიდირებული იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საჭირო დასავლური გამოცდილება და ქართული პრობლემების მთელი პალიტრა (გაფრინდაშვილი ლ., 2014).

მისი შეხედულებით, ქალის პოლიტიკური სტატუსის გასაუმჯობესებლად აუცილებელი იყო არსებული კულტურის ფუნდამენტური კრიტიკა. იგი დამფუძნებელი კრებისგან ითხოვდა კანონით განმტკიცებულ თანასწორუფლებიანობას. პირველ რიგში სრულ პიროვნულ და პოლიტიკურ თავისუფლებას. ჰქონოდათ არჩევნებში, როგორც ხმის, ასევე მონაწილეობის უფლება. იგი ითხოვდა თანასწორ შრომით უფლებას, სქესთა შორის სასჯელის განსხვავებულობის აღმოფხვრას, მამაკაცის ოჯახში და სამემკვიდრეო სამართალში უპირატესობის მინიჭების მოსპობას (გაფრინდაშვილი ლ., 2008). საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგი პროსტიტუციის აკრძალვასაც მოითხოვდა, ალბათ იმ გარემოებით რომ ქალი არ ყოფილიყო მამაკაცის ექსპლოატაციის საგანი.

მართალია, საქართველოში ქალთა მოძრაობები ისე ფართოდ არ ყოფილან გაშლილნი, როგორც ეს მათი წარმოშობის ადგილებში. თუმცა, ქართული ფემინისტური გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძირითადად პუბლიცისტური წერილებით, უკვალოდ არ ჩაუვლია. მათი ბრძოლის შედეგი აისახა 1918-1921 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებზეც, როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. მეტიც, კრების 130 დეპუტატიდან ხუთი იყო ქალი (ანნა სოლოღაშვილი, ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძე, მინადორა ტოროშელიძემ, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე), რაც საკმაოდ დიდი წარმატება იყო ქალსა და კაცს შორის თანასწორობის საკითხებში (გამთენაძე, 2016).

სოციალ-დემოკრატიის დასასრული

პირველ მსოფლიო ომის დროს საქართველოს პრო-გერმანული კურსის არჩევა ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ ქართველ პოლიტიკოსებს არ აპატია. მათ დამოუკიდებლობის შემდეგ 1919 და 1920 წლებში მიმართეს ერთა ლიგას განევრიანების თხოვნით, მაგრამ უარი მიიღეს. 24 სახელმწიფოდან საქართველოს 16 ხმა ჭირდებოდა და მხოლოდ 10 მიიღო (ცირთაძე, 1997). თუმცა ქართველი დიპლომატების აქტიური მუშაობის შედეგად, რომელსაც ზურგს ასევე სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო მხარდაჭერა და სხვადასხვა ქვეყნების პარტიები უმაგრებდა, მაინც მოხდა საქართვე-

ლოს დე-ფაქტო და დე-იურე აღიარება. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეორე ინტერნაციონალის წევრი სოციალ-დემოკრატების 1920 წელში საქართველოში ვიზიტმაც, რომელსაც კ. კაუცკი ხელმძღვანელობდა (ჟვანია, 1998). მათგან ერთ-ერთი დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი რამხეი მაკდონალდი წერდა, რომ „ქართველმა სოციალისტებმა შეძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფო სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შეძლეს; სახელდობრ, სრული ჰარმონია სოფელსა და ქალაქს შორის. გაატარეს უმტკივნეულოთ, უკონფლიქტოდ მიწის რეფორმა. უმიწაწყლო მიწებს დაურიგეს მიწები. მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა. შრომა დაუდო საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას... თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით... თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურობა და პოლიტიკური სიმწიმე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში (ინასარიძე, 1984). „აქ არ იყო არც პროლეტარიატის დიქტატურა, არც ერთი კლასის მეორე კლასის წინააღმდეგ ნასისინება, არც პრესის, სიტყვის, კრებების თავისუფლების მოსპობა... თავისუფლება, პატიოსნება, უმცირესობათა უფლებების პატივისცემა - აი, საქართველოს მთავრობის პრინციპები. საქართველო როგორც ქვეყანა, მისი ხალხი საუცხოვოა“ (მუბითიძე, 2003).

სამშობლოში დაბრუნებული უცხოელი პოლიტიკოსები საკუთარ მთავრობებს მოუწოდებდნენ ეცნოთ საქართველოს დე-იურე დამოუკიდებლობა. ისინი ფართოდ აშუქებდნენ საკუთარ შთაბეჭდილებებს პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს შესახებ. ამას ხელი შეუწყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე აღიარებამაც 1920 წლის 7 მაისს. დამოუკიდებლობის წლებში საქართველო სულ 25 სახელმწიფომ ცნო. პირველი იყო თურქეთი (1918 წ.), შემდეგ გერმანია, ავსტრია, არგენტინა, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ჩეხოსლოვაკია, ბელგია, პოლონეთი, შვეიცარია, რუმინეთი, ჰაიტი, ლიბერია, მექსიკა, პანამა, სიამი, ლუქსემბურგი და სხვ. (კირთაძე, 1997).

1918-1921 წლის განმავლობაში საქართველო თითქმის მუდამ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1. ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში, ვიდრე გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთის კავკასიის არმიამ სცადა სამხრეთ კავკასიის ოკუპაცია. ისინი თბილისის მიმართულებით დაიძრნენ, მაგრამ ქართული გვარდიისა და რეგულარული ჯარების ნაწილებმა მათი მოგერიება შეძლეს.

2. 1918 წლის ივნისში სამხრეთ საქართველოში ოსმალეთის არმია შემოიჭრა. ამ პერიოდში გერმანიას უკვე ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტობა ნაკისრი, ამიტომ კონფლიქტში ისინიც ჩაერივნენ და თურქები იძულებულნი გახდნენ დაეხიათ უკან. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი გერმანელების ნაცვლად სამხრეთ კავკასიაში ოქტომბერში ბრიტანეთის არმია შემოვიდა, ხოლო მათი ჯარის ერთ-ერთი ნაწილი მმვიდობის დასაცავად ბათუმში დადგა. ისინი განსაკუთრებულ სიმპათიას სომხეთს უცხადებდნენ.

3. 1918 წლის ოქტომბერში, ბრიტანეთის მხარდაჭერით გამხნევებული სომხეთის მთავრობამ სამხედრო კონფლიქტი წამოიწყო. მაგრამ ძლიერი წინააღმდეგობის შეხვედრის გამო სიტუაცია მალევე განიმუხტა და გაუგებრობად შეფასდა. იმ დროის სომხეთის მმართველი წრეები საქართველოსგან ტერიტორიულ გამიჯვნას ეთნიკური და რელიგიური ნიშნით მოითხოვდნენ. მათ მოითხოვეს ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ასევე პრეტენზია ჰქონდათ თბილისზე, გორზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. ქართული მხარე მათ დიალოგს და სართაშორისო არბიტრაჟს თავაზობდა, თუმცა 1918 წლის დეკემერში სომხეთის რეგულარული შენაერთები ბორჩალოში შეიჭრნენ და რამდენიმე დღეში მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს დაეუფლნენ. იერიში მიიტანეს ახალქალაქის მაზრის სოფლებზეც და მოითხოვეს ტერიტორიების დაცლა თბილისის ჩათვლით. საპასუხოდ საქართველოს მთავრობამაც გამოაცხადა მობილიზება, ფრონტზე მალევე გამოიკვეთა ქართული მხარის უპირატესობა და საბოლოოდ სომხურმა ნაწილებმა უკან დაიხიეს. 1919 წლის იანვარში თბილისში გაიმართა სომხეთ-საქართველოს კონფერენცია, სადაც მიღწეული შეთანხმებით, ბორჩალოს მაზრის სადავო ტერიტორია ლორე ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და დადგინდა მისი საზღვრები. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, აქ მორიგეობით უნდა მდგარიყო ქართული და სომხური ჯარი. ხოლო 1919 წლის ნოემბრის ხელშეკრულებით ყველა სადავო საკითხი ურთიერთშეთანხმებით ან არბიტრაჟის მეშვეობით უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს სრული იურისდიქცია ამ სადავო კუთხეში მხოლოდ 1920 წლის ნოემბერში აღდგა.

4. საზღვრების გამიჯვნას აზერბაიჯანის ხელისუფლებაც რელიგიური პრინციპით უდგებოდა. იგი პრეტენზიას აცხადებდა ზაქათა-

ლის ოლქის, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების გამო. მათ ზაქათალის ტერიტორია სამხედრო ძალით დაიკავეს, ხოლო საქართველოს მთავრობა საკითხის დიპლომატიური გზებით გადაჭრას ცდილობდა. მათ 1919 წელს ხელშეკრულებაც კი დადეს, რაც საგარეო საფრთხის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას გულისხმობდა.

5. 1920 წლის აპრილში რუსი ბოლშევიკების არმიამ აზერბაიჯანის ოკუპაცია მოახდინა, ხოლო მაისში საქართველოში შემოიჭრა. ქართველ ჯარისკაცებს ინფორმაცია მიაწოდეს, რომ ეს იყო აზერბაიჯანული ოკუპაცია და საპასუხო შეტევის შემდეგ ქართველებმა ამჯერადაც მოიგერიეს რუსული შენაერთები. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი, დაზავების შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორისაც დაიდო. მისი მიხედვით, საზღვარი ცარიზმის დროინდელ თბილისისა და განჯის გუბერნიების გამყოფ საადმინისტრაციო ხაზზე გაევლო, მაგრამ მხარეები კვლავ ვერ შეთანხმდნენ ზაქათალის ოლქზე, რის გამოც საკითხის გადაწყვეტა საარბიტრაჟო კომისიას მიენდო.

6. 1918–1920 წლებში ლოკალური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა აგრეთვე აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, რასაც ხელს ბოლშევიკები უწყობდნენ ხელს. აღნიშნული პრობლემები სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ სამხედრო გზით გადაჭრა და სტაბილურობა შეინარჩუნა.

7. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები საქართველოში რამდენიმე მხრიდან შემოიჭრნენ. წინააღმდეგობა რამდენიმე დღე გაგრძელდა თუმცა უშედეგოდ. 25 თებერვალს რუსულმა არმიამ თბილისი აიღო, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტს ემიგრაციაში წავიდა. მათ არასოდეს უღიარებიათ საბჭოთა მმართველობა და არც კაპიტულაციაზე მოუწერიათ ხელი. ემიგრაციულმა მთავრობამ 1954 წლამდე, ევგენი გეგეჭკორის, როგორც უკანასკნელი მთავრობის მეთაურის გარდაცვალებამდე იარსება (ანჩაბაძე, 2017).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ფაქტიურად ქართველი პოლიტიკოსები აანალიზებდნენ, რომ ეს დამოუკიდებლობა შესაძლოა ყოფილიყო დროებითი. მეტიც, 1920 წლიდან მათ ჰქონდათ კონკრეტული ინფორმაცია, რომ საბჭოთა რუსეთი ყველა შესაძლებლობით აპირებდა საქართველოს ოკუპაციას. ამის მიუხედავად, ქართველი პოლიტიკოსები შეუჩერებლად ატარებდნენ მოდერნისტულ რეფორმებს. ფაქტიურად კონსტიტუციც ოკუპაციის დაწყების პერიოდში მიიღეს. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ

ისინი იღვწოდნენ არა კონკრეტული დღისთვის, არამედ მომავალი საქართველოსთვის. მათ სურდათ ფუნდამენტი ჩაეყარათ დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, რომელიც მომავალი საქართველოს ლეგიტიმური წინამორბედი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს დე-ოკუპაციას და სახელმწიფოებრიობის აღდგენას გაცილებით ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძვლები ექნებოდა, ვიდრე მე-18 საუკუნეში ფეოდალური დანაწევრებული ქვეყნის შთამომავლებს, მოეთხოვათ დამოუკიდებლობა. მათ შექმნეს ის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც გახდა 21-ე საუკუნის პოლიტიკური და სამართლებრივი ფუძემდებელი. საქართველოში 1920 წელს სტუმრობის შემდეგ კ. კაუცკი წერდა: „საქართველოს წარმომადგენლებს ხელთ ჰქონდათ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ რუსეთის მთავრობა 1920 წლის დეკემბერში იღებდა წინასწარ სამხედრო ზომებს საქართველოზე თავდასხმისათვის, რომელიც მან თებერვალში მოახდინა. ამ თავდასხმის შედეგი იყო ის, რომ ეს ქვეყანა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკის დროშით კვლავ რუსეთის პროვინციად გახადეს. პატარა ქვეყანა შეუბოჭავს 120,000 კაციან რუსის წითელ არმიას, რომელიც მას უმოწყალოდ ძარცვავს. როგორც დაპყობილი ქვეყანა, საქართველო გაცილებით მეტს ითმენს ბოლშევიზმის ბატონობისგან, ვიდრე თვით უბერი რუსეთი. სრული გაპარტახების და შიმშილით სიკვდილამდე მიყვანის პროცესი, რომელიც რუსეთში 4 წლის განმავლობაში მოხდა, საქართველოში რამდენიმე თვის განმავლობაში შესრულდა და იმავე საზარელ შედეგებს მიაღწია“ (კაუცკი, 1921).

ძლიერი სახალხო წინააღმდეგობის თავიდან აცილების და ოკუპაციური რეჟიმის ადვილად განმტკიცების მიზნით, საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ანუ ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შენარჩუნდა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით მას სამოკავშირეო სახელმწიფოდან გასვლის უფლება მიენიჭა, რითი სარგებლობაც 70 წლის განმავლობაში ფიზიკურად ვერ შეძლო, მაგრამ 1990 წელს დამოიკიდებლობის გამოცხადების ლეგიტიმური საფუძველი ნამდვილად შექმნა (თარხან-მოურავი გ., 1997).

როგორც ვხედავთ ქართულ სოციალ-დემოკრატიას რამდენიმე ათწლიანი ბრძოლა დაჭირდა იმისთვის, რომ რეალურად მისცემოდათ თავიანთი იდეების განხორციელების შესაძლებლობა. ამის საშუალება კი მხოლოდ ორი წლითა და რვა თვით მიეცათ, ისიც მუდმივი საომარი მდგომარეობის და მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე.

რუსეთის იმპერიის პერიოდში მძიმე ეკონომიკურ პირობებში და უხეში კაპიტალიზმის ჩარჩოებში სწორედ სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს თავიანთი იდეები ყოფილიყო ყველაზე მეტად გავრცელე-

ბული და პოპულარული. მათი უმთავრესი მიზანი იყო სოციალური თავისუფლება და თანასწორობა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ერების თვითგამორკვევა და თავისუფლება. მაშინ, როდესაც ადამიანებს ყოველდღიურად უწევდათ გადარჩენისთვის ბრძოლა, ოჯახის წევრების შიმშილისგან ხსნა, სოციალიზმი ამ ყოველდღიურობის დასასრულად ევლინებოდათ. მით უფრო, ცხადი იყო რომ მუშა-გლეხები წარმოადგენდნენ ყველა სახელმწიფოს უმრავლესობის ფენას, მართულები კი თავად იყვნენ. თან მართულები ისე, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დადიოდნენ და აზრზაც არავინ ეკითხებოდათ. ამ კუთხით სოციალიზმი ჩაგრულ ფენათა ამბოხი უფრო გამოდგა, ვიდრე გააზრებული ეკონომიკური ხედვები. საქართველოში გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა მოულოდნელად შეცვალა. ჯერ დამოუკიდებლობა გამოცხადდა და მერე დადგა სოციალიზმის საკითხი. თუმცა ხელისუფლების აღებამ დაანახა მმართველი ელიტა, რომ სოციალისტური იდეები პრაქტიკაში ეკონომიკისთვის სასარგებლო ვერ იქნებოდა. მიწების დარიგება, კერძო საკუთრების შენარჩუნება და სხვა ფინანსური პოლიტიკა უფრო ბურჟუაზიულ რევოლუციას წააგავდა, ვიდრე მარქსისტულს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები არ უნდა წასულიყვნენ ისეთი სოციალისტური გზებით, რომელიც ბოლშევიკებმა აირჩიეს და რომელმაც მილიონობით ადამიანის ეკონომიკური გაჭირვება და სიკვდილი გამოიწვია. ხოლო რაც შეეხება დემოკრატიულ რეფორმებს, როგორც ვნახეთ მათი ხედვები გაცილებით შორს იდგა ვიდრე თუნდაც 21-ე საუკუნის ზოგიერთი პოლიტიკოსის. როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატების მკვლევარი რ. კალანდაძე ამბობს, ცნება „დემოკრატია, მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკური წყობისა მოიცავდა ასევე იდეის და პოლიტიკური მსოფლმხედველობის მნიშვნელობასაც. მას გარკვეულ წილად იდეოლოგიური ხასიათიც გააჩნდა, რაც კარგად გამოჩნდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, როდესაც ხელისუფლებამ დემოკრატია იდეოლოგიურ რანგში აიყვანა (კალანდაძე, 2000). ბევრს არც ესმოდა დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობა და ის მხოლოდ უტოპიად, შეუფერებელ მოვლენად მიაჩნდა. მაგალითად, გენერალი მაღლაკელიძე თავის მოგონებებში წერს, რომ ისინი რეალურ პოლიტიკას ვერ ახორციელებდნენ, რადგან ჟორდანიას მთავრობა საუბრობდა ისეთ იდეალებზე, რომელიც მხოლოდ თეორიაში ხორციელდება და არა პრაქტიკულ პოლიტიკურ დონეზე (მაღლაკელიძე, 2012). ფაქტია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების რეფორმები და პოლიტიკური, სამოქალაქო, კულტური მოდერნიზაცია ის მონაპოვარი იყო, რომელმაც ქართველი ხალხი ცივილიზებული თავისუფალი სამყაროს გვერდით დააყენა. დასკვნის

სახით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოდერნიზაცია და ევროპის იდეა სოციალ-დემოკრატების ეპოქაში ფაქტობრივად ერთი და იგივეა და ერთად ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ოკუპაციის გამო ამ გზამ განვითარება ვერ ჰპოვა, მათ დიდი და აუცილებელი მიღწევები დატოვეს მომავალი საქართველოსთვის.

თავი 4.
ევროპის იდეის დაბრუნება თანამედროვე საქართველოში

ჩვენი კვლევის მესამე ნაწილს წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის კვლევა და ანალიზი. უფრო კონკრეტულად, ჩვენ შევისწავლით მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის მესამე ტალღის ეტაპს, დროს 2003 წლიდან ანუ ვარდების რევოლუციიდან 2014 წლამდე, როდესაც საქართველო გახდა ევროპის კავშირის ასოცირებული წევრი. ჩვენ შეგნებულად ვტოვებთ თერგდალეულების და სოციალ-დემოკრატების შემდეგ ისტორიის ორ მნიშვნელოვან ეპოქას. ესაა საქართველოს საბჭოთა კავშირში ყოფნა ანუ 1921-1991 წლებს და დამოუკიდებელი საქართველო პირველ ეტაპი 1991-2003 წლამდე. მიგვაჩნია, რომ ეს პერიოდები უაღრესად საინტერესოა და ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ არა მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის კუთხით. რა თქმა უნდა ორივე ეპოქაში არის ელემენტები, როგორც მოდერნიზაციის ასევე ევროპის იდეის, მაგრამ არა იმ შინაარსით, როგორც ეს იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თერგდალეულების ეპოქაში, მე-20 საუკუნის დასაწყისში და ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც ევროპის იდეა და მოდერნიზაციის პოლიტიკა კვლავ დაბრუნდა. სამწუხარო ის არის, ევროპის იდეის მესამე ტალღა საქართველოში დაგვიანებით გავრცელდა. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპა დაადგა საკუთარი ფასეულობების იმპლემენტაციას, საქრთველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. ხოლო ნახევარი საუკუნით დაგვიანება, ქვეყნისთვის მეტად მტკივნელი აღმოჩნდა.

მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში განხორციელებული ინდუსტრიალიზაცია და მოდერნიზაცია მიმდინარეობდა ცენტრალიზებული პოლიტიკური კურსით და მთლიანად გამორიცხავდა ქართველების მიერ რაიმე სახის დამოუკიდებელი მოდერნისტული თუ ევროპის იდეის მოძრაობებს. აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენა იყო. ტოტალიტარული კონტროლის პირობებში სახეზე იყო მხოლოდ დისიდენტური ერთეული შემთხვევები, რომელსაც გასაქანი 1980-იანი წლების ბოლომდე არ ჰქონია, მანამ სანამ თვითონ საბჭოთა კავშირმა არ დაუშვა სიტყვის თავისუფლება და საჯაროობა (ნოდია, 2003).

რაც შეეხება 1990-იან წლებს ეს იყო ეპოქა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული, სამართლებრივი, ეკონომიკური სისტემების სწრაფი რღვევის და განადგურების პერიოდი. ერთადერთი ევროპის იდეის ნათელი გამოვლინება მოხდა 1999 წელს, როდესაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრად მიიღეს (დოგონაძე, 2000). პოსტ-საბჭოთა საქართველოში რუსეთის ფედერაციის

ხელშეწყობით განხორციელდა სამხედრო გადატრიალება, ორი ეთნიკური ომი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რასაც ამ ტერიტორიებზე რუსეთის მარიონეტული ხელისუფლებების დამყარება მოჰყვა (პიპინაშვილი, 2009). ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე. იგი მის შიდა ოპოზიციასაც არ ცნობდა და ერთგვარი კლანური დიქტატურა დაამყარა რეგიონში (ნოდია, 2003). ქუჩებში სამართალს არა პოლიცია, არამედ კრიმინალური დაჯგუფებები არეგულირებდნენ, რაც ძირითადად გავლენის სფეროების გადანაწილებასა და ერთმანეთში სისხლიანი დაპირისპირებებით მთავრდებოდა. უმეტეს შემთხვევებში პოლიცია და დანაშაულებრივი სამყარო ერთად მოქმედებდნენ მოქალაქეების წინააღმდეგ, შედეგად ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა, ძალადობა, ადამიანთა გატაცება, წამება, რეკეტი, ხულიგნობა ყოველდღიურ რეალობას წარმოადგენდა (ასათიანი, 2014). სახელმწიფოს ყველა აპარატი მანამდე არნახულმა კორუფციამ მოიცვა, რის გამოც არც ერთხელ არ შევსებულა საქართველოს ბიუჯეტი და იგი ყოველ წელს უფრო და უფრო მცირდებოდა. ქრთამებით საზრდოობდნენ მოსამართლეები, სამართალდამცველები, პროკურორები, რომელთა ხელფასები საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალი იყო და ერთადერთი საარსებო წყარო ისევ კორუფცია ჰქონდათ, რასაც ეწირებოდა მოქალაქეების სამართლებრივი უფლებები, ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი (ციხელაშვილი, 2011). გაუსაძლის პირობებში იყო ქართული ჯარი, არანაირი ეპიცირებით, იარაღის გარეშე, საკვები პროდუქტების უქონლობის გამო იყო ფაქტიურად შიმშილი (Materipress Worldpress Theme, 2017). არ არსებობდა ელექტრო-ენერგია და ბუნებრივი აირი. გამონაკლის შემთხვევებში გრაფიკით მიწოდებამ მოსახლეობის ცხოვრება ერთი საუკუნით წინა პერიოდში მოისროლა (ბოქორიშვილი, 2014). კორუფციით საზრდოობდა უმაღლესი განათლების სისტემაც, ხოლო საშუალო განათლების სისტემა ისევ საბჭოთა მეთოდებით მუშაობდა, განსხვავება ის იყო, რომ საბჭოთა კომუნისტური რიტორიკა, ეროვნულმა და რელიგიურმა პათეტიკამ ჩაანაცვლა (როსტიაშვილი, 2004). მძიმე მდგომარეობაში იყვნენ პენსიონერები, რომელთაც პენსია მხოლოდ 14 ლარი ჰქონდათ (პური ღირდა 0,5 ლარი) და თვეების განმავლობაში ისინი მათ აღებასაც ვერ ახერხებდნენ (შანიძე, 2012). მოსახლეობის ერთადერთი რეალური გადარჩენის საშუალება ემიგრაცია ან ვაჭრობა გახდა, რასაც ხელი შეუწყო საზღვრების გახსნამ, განსაკუთრებით თურქეთის ბაზრის, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთისგან ბლოკადაში და ტერორში მოქცეული ქართველების ფიზიკურად გადარჩენაში (economy.ge, 2017). მოდერნიზაცია და ევროპის

იდეის ელემენტები - მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება და კეთილდღეობა საქართველოს მოქალაქეებისთვის მხოლოდ საოცნებო სფეროს წარმოადგენდა.

მკვლევარი ნიჟარაძე წერს, რომ საქართველო ე.წ. „მცირეჯგუფოვან“ კოლექტიურ კულტურებს განეკუთვნება, რომელიც ახლოს არის კლანურ ურთიერთობებთან, რამაც მძაფრად იჩინა თავი სწორედ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მოშლის პერიოდში (ნიჟარაძე, 2001). ამას სხვა ქართველი მეცნიერები საქართველოს დასავლეთ ევროპასთან მოწყვეტით ხსნიან სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ევროპაში ნერესანსი დადგა. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპაში ჩამოყალიბდა ინდივიდუალისტური საზოგადოება. საქართველოს კი მასთან ურთიერთობა უკვე აღარ ჰქონია. ევროპაში რენესანსისა და განმანათლებლობის პერიოდში იგი მოქცეული იყო ოსმალეთის და ირანის იმპერების გავლენის ქვეშ, რომელსაც მალე დაემატა რუსული ასევე კოლექტივისტური კულტურის გავლენა (წერეთელი და კაკიტელაშვილი, 2006). საქართველოში არსებული „მცირეჯგუფოვანი“ კოლექტიურ კულტურა გულისხმობდა ადამიანთა ურთიერთობებს საკუთარი წრის და ამ წრის გადამკვეთი წრის შორის. მაგალითად, ნათესაობა, სამეზობლო, ნაცნობობა, მეგობრობა და ა.შ. იგი მოკლებული იყო ისეთ „დიდჯგუფოვან“ კოლექტიური კულტურის გაგებას, როგორიცაა ერი, სახელმწიფო, რელიგიური ერთობა და სხვ. ეს ფეომენი პერიოდულად იჩენდა თავს, რომელსაც ხანგრძილივი რეალიზება არ ღირსებია. ბოლოს, ამ ფენომენმა 1980-იანი წლების მიწურულს ეროვნული მოძრაობის დროს იჩინა თავი, მაგრამ სახელმწიფოებრიობის განცდა მაინც სუსტად იქნა ასახული ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქ ისევ მცირეჯგუფოვანი კულტურის მახასიათებელი ელემენტები ჭარბობდა, რაც პირდაპირ ნინააღმდეგობაში მოდიოდა სახელმწიფოს, როგორც კანონის უზენაესობაზე დამყარებულ ერთეულთან. დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავდა ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობობა და მსგავსი მცირე სოციალური წრე და ამ ჯგუფებში არსებული ნორმები. საზოგადოების წევრთა ასეთი ნორმები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, როდესაც საქართველო არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები მის ფარგლებს გარეთ წყდებოდა. შედეგად, ცალკეული ინდივიდის აზროვნებისა და პასუხისმგებლობის სივრცე ზემოთ დასახელებული ვიწრო ჯგუფებით შემოიფარგლებოდა და თითქმის არ ვრცელდებოდა უფრო დიდ სოციალურ ერთობაზე - სახელმწიფოზე ან ერზე და, მით უმეტეს, ისეთ აბსტრაქტულ ნორმებზე, როგორიცაა კანონი (ნიჟარაძე, 2001).

ყოველივე ამის უკანა პლანზე გადაწევა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამყარება, სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამძაფრება, მოდერნიზაცია და ევროპის იდეის დაბრუნება განიზრახა 2003 წლის შემდეგ „ვარდების რევოლიციის" გზით ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა. რევოლუცია, რომელიც გამოწვეული იყო საპარლამენტო არჩევნების ტოტალურად გაყალბების გამო, მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლებით უსისხლოდ განხორციელდა (radiotavisupleba.ge, 2013). ხოლო თითქმის ორ თვეში დანიშნულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ამ გუნდს მოსახლეობის 97%-მა დაუჭირა მხარი (cesko.ge, 2004), რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მზად იყო დაეწყოთ სრულიად ახალი ცხოვრება, დაემკვიდრებინათ ევროპული ღირებულებები და მოეხდინათ ქვეყნის სრული მოდერნიზაცია. ეს არ ნიშნავდა, რომ 97%-ვე მუდამ ერთგული იქნებოდა ახალი პრეზიდენტის ან მისი სამთავრობო გუნდის, მაგრამ ფაქტი იყო, რომ წარსულზე ყველამ სამუდამოდ თქვა უარი. ამ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები კი დღესაც პოლიტიკურად სენსიტიური და აქტუალური თემაა. ამიტომ ვეცდებით მეტად ფრთხილად მოვახდინოთ მათი აკადემიური შესწავლა და ავცდეთ ვიწრო-პარტიულ შეფასებებს. ჩვენ მათ შესწავლას მოვახდენთ მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით, და გავაკეთებთ ამ პერიოდში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების აკადემიურ ანალიზს.

ვარდების რევოლუცია და მოდერნიზაცია ევროპის იდეის სახელით

ვარდების რევოლუციის ორგანიზატორები მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია 2001 წლამდე ედუარდ შევარდნაძის პარტიის წევრები იყვნენ, რომელიც საქართველოში პირველი რანგის მმართველი იყო თითქმის 30 წლის განმავლობაში[3]. მეტიც, შევარდნაძის მთავრობის პირობებში ჟვანია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ხოლო სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი. ისინი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირში" ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდს წარმოადგენდნენ, ძირითადად აღმასრულებელ ეკონომიკურ გუნდს აკომპლექტებდნენ და დაპირისპირებაში მოვიდნენ ძალოვან მინისტრებთან და იმ პოლიტიკურ ნომენკლატურასთან, რომლებიც

3. ცეკას პირველი მდივანი 1972-1985, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი 1985-1991, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე 1992-1995, საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003.

ხელს უშლიდნენ ქვეყანაში რეფორმების განხორციელებას. დაპირისპირება 2001 წელს გამწვავდა, როდესაც დამოუკიდებელ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში უშიშროების სამსახურის თანამშრომლები შეიჭრნენ ფინანსური დარღვევების აღმოსაჩენად. ეს მოვლენა საზოგადოებაში დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლად გამოცხადდა, რასაც მასობრივი სტუდენტური და სამოქალაქო გამოსვლები მოჰყვა. ისინი მთავრობის გადადგომას ითხოვდნენ. პრეზიდენტი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო და ძალოვანი მინისტრები გადააყენა. ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა მოსახლეობის მხარი დაიჭირა, მათაც დატოვეს თანამდებობი და ოპოზიციაში გადავიდნენ. ისინი ხელისუფლებას ავტორიტარიზმში, კორუფციაში და ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდნენ. იმ პერიოდში შევარდნაძეს კიდევ ჰყავდა მეტ-ნაკლებად რეიტინგული ოპოზიციური პარტიები. ესენი იყვნენ ლოიალური ოპოზიცია „ახალი მემარჯვნეების" სახით და მემარცხენე-პოპულისტური პარტია „ლეიბორისტების" სახით. თუმცა დასავლელი პარტნიორების აქტიური მხარდაჭერა მხოლოდ ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა შეძლო და შესაბამისად, სწორედ ისინი მოევლინენ საქართველოს ევროპული იდეისა და მოდერნიზაციის ფლაგმანებად (ხუციშვილი, 2008). ამის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს ერთიანი პარტიის შექმნა და 2002 წლის თვითმმართველობების არჩევნებზე სხვადასხვა პარტიით იყარეს კენჭი. სააკაშვილი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ჩაუდგა სათავეში და პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო ჟვანია „დემოკრატიულ პარტიას", რითაც მესამე ადგილზე გავიდა „ლეიბორისტების" შემდეგ, რითაც დააკომპლექტეს თბილისის მთავრობა და დაიწყეს რეფორმების განხორციელება. ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობაში მათი რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა და როდესაც 2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნები გამოცხადდა, პირველ ადგილზე გასულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ცესკომ გამარჯვების ნაცვლად საერთოდ მესამე ადგილი მიანიჭა. პირველი ადგილი მიაკუთვნეს ე. შევარდნაძის პარტიას „საქართველოს მოქალაქეთა კავშირს", ხოლო მეორე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტულად განწყობილი ავტოკრატის ა. აბაშიძის პარტიას „აღორძინებას". გაყალბების მრავალი ფაქტის დადასტურების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეს არჩევნების ფალსიფიცირება იყო, რასაც მოსახლეობის დიდი პროტესტი მოჰყვა. ისინი ხმების დასაცავად ქუჩაში ოცი დღის განმავლობაში გამოდიოდნენ. ხოლო 23 ნოემბერს პრეზიდენტი აიძულეს თანამდებობა დაეთმო. ამის შემდეგ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის იანვარში გაიმართა, სადაც სააკაშვილმა მოსახლეობის 97%-იანი მხარდაჭერა მიიღო (BBC, 2005). ამ რევოლუციის ეიფორიის

ფონზე, საპროტესტო გამოსვლები გაგრძელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, რომელიც ადგილობრივი სეპარატული საგვარეულო კლანი მართავდა რეგიონს რუსული პოლიტიკური მხარდაჭერით. იგი ფაქტობრივად თბილისისგან მოწყვეტილი იყო და გაცილებით სასტიკი მეთოდებით მართავდა რეგიონს, ვიდრე თუნდაც შევარდნაძე. მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე 2004 წლის 6 მაისს რუსეთში გაიქცა. ამით აჭარა გათავისუფლდა სეპარატისტული კლანისგან და საკაშვილის ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ გადავიდა (Timer, 2004). თბილისის იურისდიქციის მიღმა დარჩა ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც განვითარებული მოვლენები ცალკე კვლევის საგანია და ამჯერად ჩვენ მასზე ვერ ვიმსჯელებთ. ფაქტია, საკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, როგორც პროგრესული, მოდერნისტული და ევროპული ძალა და ამ ფონზე დაიწყო არშემდგარი სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიცაზია.

სახელმწიფო სისტემის მოდერნიზაცია

ვინაიდან შევარდნაძის პერიოდში არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ მუშაობდა გამართულად და არ არსებობდა განცდა სახელმწიფოებიობის, საკაშვილის გუნდმა თავდაპირველად სწორედ სახელმწიფო სტრუქტურების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა დაიწყო. შეიცვალა სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნიც. მათგან პირველი ორი შუა საუკუნეების ერთიანი საქართველოს მოტივებზე შიქმნა. 1918 წელს მიღებული სამფეროვანი დროშა, რომელიც მუქ ფერებში იყო, რადგან მოიცავდა ძირითადად შინდისფერს, შავს და თეთრს, შეიცვალა თეთრფონზე წითელი ხუთჯვრიანი დროშით. ხოლო გერბი, ასევე 1918 წელს მიღებული, მუქ ფერებში გადაწყვეტილი ხუთქიმიან ვარსკვლავზე გამოსახული წმინდა გიორგი, შეიცვალა სამეფო გერბის მოტივებზე გამოსახული ოქროსფერი ლომებით, რომლებსაც ხელში წითელი ფარი უჭირავთ და მასზე ასევე წმინდა გიორგია გამოსახული. ხოლო ჰიმნი, რომელიც ასევე 1918 წელს იქნა მიღებული, წარმოადგენდა ისეთ რთულ ტექტს, რომლის დამახსოვრებაც ფაქტიურად ყველა მოქალაქეს უჭირდა, შეიცვალა მარტივი ადვილად დასამახსოვრებელი ტექსტით და მუსიკით (ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, 2014). თითქოს სახელმწიფო სიმბოლიკას ჩვენი კვლევის ნაწილში ნაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს, მაგრამ ეს იყო სწორედ სიმბოლო, რომ იწყებოდა სრულიად ახალი თანამედროვე სახელმწიფოს შენება. საბოლოოდ მართლაც ასე მოხდა, არ დარჩენილა სახელმწიფოში არც ერთი უწყება ან საკითხი, რომელსაც რეფორმა და მოდერნიზაცია არ შეეხო.

ყველაზე ხელისშემშლელი სახელმწიფო სისტემის გამართულად მუშაობისთვის იყო კორუფცია, ძალიან დაბალი ხელფასები და მოქალაქეებისთვის გადაულახავი ბიუროკრატია. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველო 2003 წლამდე კორუფციის აღქმის ინდექსით 133 ქვეყნიდან 124-ე ადგილზე იმყოფებოდა და იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოდ ითვლებოდა (UNDP საქართველო, 2008). ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საქართველოს მთავრობამ 2005 წელს შეიმუშავა ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელმაც ორგანიზება გაუწია კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან მკაცრ ბრძოლას. გარდა ამისა გადაიდგა ნაბიჯები მთავრობის ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალეობისთვის და მოქალაქეთათვის ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრისათვის. გეგმა მოიცავდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროპის საბჭოს „კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის“ (GRECO) მიერ მოზადებულ რეკომენდაციებს, რათა ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. ამ ძალისხმევის შედეგად, კორუფცია მნიშვნელოვნად და თვალშისაცემად შემცირდა. საჯარო მოხელეებისა და სამართალდამცავების წინააღმდეგ განხორციელებული გამოძიებების შედეგად მოხდა კორუფციაში მხილებული პირების დაკავება და უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამორთმევა. ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ საჯარო მოხელეებისათვის მნიშვნელოვნად გაზარდა ხელფასები, რათა არ ჰქონოდათ ქრთამის აღების მიზეზები. ამასთან საჯარო დაწესებულებები დაკომპლექტდა ღია კონკურსის მიერ შერჩეული პერსონალით. კორუფციის წინააღმდეგ წარმატებული კამპანიის შედაგად საქართველოს თანამედროვე ისტორიაში პირველად დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ქვეყანაში მოძრავი ფული უკვე არა კორუმპირებული თანამდებობის პირების ჯიბეში, არამედ პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართებოდა. კორუფციის შემცირების, ადმინისტრაციის გაუმჯობესებისა და ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციის შედეგად მიღწეული პროგრესი ადეკვატურად აისახა 2006 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშში და ბიზნესის მიმზიდველობის (Doing Business) მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ნომერ პირველი რეფორმატორ ქვეყნად გამოცხადდა და რეიტინგში ერთ წლიწადში 75 ადგილით გადაინაცვლა - 112-დან 37-ე ადგილზე (საქართველოს მთავრობა, 2006). „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ (IFC) 2009 წლის კვლევის თანახმად, საქართველოში არსებული კომპანიების მხოლოდ 4%-ს ჰქონდა განცდა, რომ საქმნიანი პრობლემები უნდა გადაეჭრა „არაფორმალური გადასახადების“ გზით, მაშინ

როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 32% იყო. ხოლო 2010 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ მიხედვით, საქართველო პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოში კორუფციის დონენის შემცირებით და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის სამოქალაქო აღქმის თვალსაზრისით. აღნიშნული კვლევის თანახმად მოსახლეობის მხოლოდ 3%-ზე ნაკლებმა განაცხადა, რომ მათ მოუწიათ ქრთამის გადახდა (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010).

საქართველოს მთავრობის მეორე უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იყო მოქალაქეთა შორის ნესრიგის დამყარება. ვარდების რევოლუციამდე საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე **კრიმინალური** სახელმწიფო იყო. ქვეყანაში არსებული საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული ორგანიზებული დანაშაული აკონტროლებდა ქუჩებს, სკოლებს, სოფლებს, ქალაქებს, სასჯელაღსრულების სისტემებს, ეკონომიკურ საქმიანობას, პოლიციასა და მთავრობასაც კი. ციხე არ ითვლებოდა იმ ადგილად, სადაც მათი მარგინალიზაცება ან გამოსწორება მოხდებოდა. პირიქით, პენიტენციალური დაწესებულებები მათთვის კომფორტული ადგილებს წარმოადგენდა, რაც სათაო ოფისების ფუნქციას ასრულებდა და საიდანაც შეეძლოთ დანაშაულებრივი საქმიანობის კონტროლი. ციხეებში მათ გააჩნდათ მობილური ტელეფონებით, ცივი იარაღები და ნებისმიერი სხვა სახის საჭირო საშუალებები, რითაც ციხეებსა და ციხეებს გარეთ შეეძლოთ კონტროლის განხორციელება. ეს იყო იტალიური ტიპის მაფიისა და კამორას ნაზავი, რომლებსაც სათავეში ე.წ. „კანონიერი ქურდები“ ედგნენ. მთელი საქართველოს მასშტაბით ასობით კრიმინალური ავტორიტეტი იყო. ისინი ყველა დასახლებულ უბანსა და პუნქტს აკონტროლებდნენ. საინტერესო ისაა, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს მათი არა მარტო შიში ჰქონდა, არამედ მხარდაჭერა და თანაგრძნობაც კი. მოზარდებიდან დაწყებული ხანდაზმული ადამიანებით დამთავრებული დანაშაულებრივი სამყაროს მენტალიტეტით ცხოვრობდა, რაც კიდევ უფრო ამყარებდა ამ სისტემის ძალაუფლების შენარჩუნებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიმინალური შემთხვევები საქართველოში ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდა, ახალმა მთავრობა კი შეურიგებელი ბრძოლა გამოაცხადა ნებისმიერი სახის დანაშაულის წინააღმდეგ, დაწყებული წვრილმანი ხულიგნობისგან დამთავრებული მძიმე დანაშაულით. შესაბამისად, პარლამენტმა მიიღო კანონი „კანონერი ქურდების“ წინააღმდეგ და მოახდინა პოლიციის სრული რეფორმირება. ახალი კანონის მიხედვით დანაშაულად გამოცხადდა კანონიერი ქურდობა და ამ სისტემის წევრობა, მიუხედავად იმისა, რომ პირი შეიძლება კონკრეტულ სხვა დანაშაუ-

ლის ფაქტზე არ ყოფილიყო დაკავებული (საქართველოს მთავრობა, 2006 წელი). 2004 წელს დაიწყო პოლიციის მუშაკთა გადამზადება და თანამედროვე ეკიპირებით აღჭურვა. ძველ პოლიციელთა უმეტესობა სამსახურიდან გაათავისუფლდა და ჩატარდა ახალი ღია კონკურსის გით მიღება, სადაც მონაწილეობის მიღება ძველ კადრებს შეეძლოთ, იმ შემთხვევაში თუ უარს იტყოდნენ კორუფციულ სისტემაზე. მათი ხელფასები გაიზარდა ათჯერ, გადაეცათ ახალი ტექნიკა, მანქანები, უნიფორმები. გაუქმდა ე.წ. „ტეკები" და საგზაო პოლიცია, რომელიც გამოძალვის საყოველთაოდ მიღებულ წყაროს წარმოადგენდა (UNDP საქართველო, 2008). ძველი პოლიციის შენობები მთლიანად გაიყიდა ან დაინგრა. მათ ნაცვლად აშენდა ახალი, თანამედროვე შუშებიანი შენობები, რომლესაც ის სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, რომ პოლიციის შენობებში აღარ მოხდებოდა ადამიანთა ზეწოლა, წამება და ფიზიკური ზემოქმედება, რადგან ნებისმიერ გამვლელს შეეძლო დაენახა რა ხდებოდა გამჭვირვალე შენობების მიღმა. შედეგად, მალევე გამოჩნდა, რომ 2006 წლის Gallup და IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, პოლიციისადმი ნდობა 5%-დან 80%-მდე გაიზარდა. 2006 წელს დაიწყო ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულებების აშენება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდა და იძლეოდა ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარების საშუალებას, რათა საბოლოოდ დასრულებულიყო ციხეებში ორგანიზებული დანაშაული და პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა. ამ მიზნით ორგანიზებულ დანაშაულთა ლიდერები ერთად, სხვა პატიმრებისგან განცალკევებით განათავსეს, რათა დაეკარგათ დანაშაულებრივ სამყაროზე მართვის ბერკეტები. ყველა კრიმინალური ავტორიტეტი დაკავებული იქნა ან საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა. სწრაფი რეაგირება ხდებოდა ყველა კრიმინალურ ფაქტზე და თბილისი ევროპაში ყველაზე უსაფრთხო დედაქალაქადაც გამოცხადდა. წარმოუდგენელი იყო, მაგრამ რეალობა, როდესაც პოლიციის რეფორმისა და დანაშაულთან ბრძოლის წყალობით თანამედროვე საქართველო ერთ-ერთი ყველაზე საშიში ქვეყნიდან ყველაზე უსაფრთხოდ გადაიქცა (CNN, 2012). ეს რა თქმა უნდა არ იყო ადვილი გზა. პირიქით, ამ რთულ გზაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 40-ზე მეტი პოლიციელი იქნა მოკლული (Reginfo.ge, 2013). ხოლო ციხეში პატიმრებისთვის სათანადო ადამიანური პირობების შექმნა, 2012 წელსაც მწარე რეალობის წინაშე იდგა (ბოკერია, 2014).

შემდეგი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული **სახელმწიფო ბიუროკრატია**, გაბერილი შტატები, უფუნქციო სახელმწიფო მოხელეები და ბარიერები, რომლის გამოც მოქალაქეები ვერ იღებდნენ სახელმწიფო სერვისებს ან იღებდნენ

კორუფციის გზით. სწორედ ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეხდინა სახელმწიფო სტრუქტურების ოპტიმიზაცია, მაქსიმალურად შემცირება, მოქალაქეებისთვის ყოველგვარი ბარიერიერების გარეშე სერვისების მიწოდება. სამინისტროების რაოდენობაც კი 28-დან 13-მდე შემცირდა. სამინისტროების თანაშრომლები 35%-ით შემცირდა. 52 სახელმწიფო დაწესებულებიდან დარჩა 34. საერთო ჯამში კი სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები 50%-ით შემცირდა. ეს რა თქმა უნდა არაპოპულარული ნაბიჯი იყო, მაგრამ სახელმწიფო სისტემის მოდერნიზაციისთვის და ეფექტური სტრუქტურების შექმნისთვის აუცილებელი წინაპირობა (ახალი ეკონომიკური სკოლა, 2007). გაუქმდა რვა სახელმწიფო დეპარტამენტი და თანამშრომელთა დიდი ნაწილი ან გათავისუფლდა ან უფლება მიეცა თავიდან განეცხადებინა სამსახურის შესახებ საკუთარ ძველ პოზიციაზე, ოღონდ ამჯერად ბევრად შემცირებულ უწყებაში. საჯარო სამსახურის ბიუროს ინფორმაციით, 2005 წელს საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა, რომელიც 2003 წელს 120,000 ადამიანს შეადგენდა - განახევრდა. ამავდროულად გაუქმდა ლიცენზიებისა და ნებართვების უმრავლესობა. 909 ლიცენზიისა და ნებართვისაგან დარჩა მხოლოდ 159. მათგან უმეტესობა ეხებოდა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს (UNDP საქართველო, 2008). დაინერგა პრინციპი „დუმილი თანხმობის ნიშანია“, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ ლიცენზიის მოპოვებისთვის განაცხადის პასუხი დათქმულ დროში არ გაიცემოდა, იგი თანხმობად ჩაითვლებოდა (საქართველოს მთავრობის 2010 წლის გამოქვეყნება). დაიგეგმა და განხორციელდა ყველა სახელმწიფო სერვისის რეორგანიზაცია, გაერთიანება და ერთ სივრცეში თავმოყრა. რეფორმის შედეგად ყველა მოქალაქეს შეეძლო ნებისმიერი სერვისის მიღება ერთი ფანჯრის პრინციპით, განსაზღვრულ ვადებში, რომელიც 5 წუთიდან მაქსიმუმ 10 დღემდე განისაზღვრა. ყოველივე ამან საქართველო მსოფლიოში ყველა გამქვირვალე სახელმწიფოებში მეორე ადგილზე დააყენა ახალი ზელანდიის შემდეგ. იუსტიის სახლები, რომელიც 30 ქალაქში აშენდა თანამედროვე კომფორტული დიზაინით დღესაც საქართველოს სავიზიტო ბარათს წარმოადგენს (psh.gov.ge, 2017).

როგორც ზემოთ აღვიშნეთ უბრალო მოქალაქეებისთვის ხელმიუწვდომელი იყო **უმაღლესი განათლების** მიღება კორუფციის გვერდის ავლით, რასაც უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდის მომავალი ეწირებოდა. კორუფცია იყო უნივერსიტეტებში მიღებისთვისაც და ასევე სწავლის პერიოდში ნიშნების მიღებისაც. გარდა ფულადი სახის ქრთამებისა, გავრცელებული იყო მეთოდი, როდესაც სტუდენტები ლექტორების ავტორობით გამოცემულ წიგნებს შეიძენდნენ და მხოლოდ ამ გზით იღებნენ ქულებს. შესაბამისად საქართველოში ყველა

ახერხებდა დიპლომის აღებას, მაგრამ განათლების მიღებას კი ცოტა. ეს კატოსტროფულად იწვევდა არაკვალიფიციური მოქალაქეების რაოდენობის ზრდას, რაც სასიკვდილოდ ურტყამდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე მომავალ განვითარებას. პირველი, რაც ამ პრობლების აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ გაატარა, იყო უმაღლეს განათლების სისტემაში მოსახვედრი გამოცდების უნივერსიტეტებიდან გამოტანა. დაწესდა ერთიანი საყოველთაო მისაღები გაამოცდები, რომელსაც სპეციალურად მომზადებული საგამოცდო ცენტრი ატარებდა და რომელთაც არანაირი შეხება და ინტერესი არ ჰქონდათ უნივერსიტეტბთან. შედეგები აღმოჩნდა სამართლიანი, ობიექტური და ადექვატური. პრესტიჟული უნივერისტებების სტუდენტების აბსულუტური უმრავლესობა გახდნენ არა შეძლებული ოჯახების შვილები, არამედ რეგიონებიდან დაბალი შემოსავლების მქონე ახალგაზრდები. ამან განაპირობა ნიჭიერი ახალგაზრდების მასობრივი მიგრაცია საუნივერსიტეტო ქალაქებში და უმაღლესი განათლების ხელმწისაწვდომობა ნიჭისა და მონდომების შესაბამისად. 2006 წელს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ბოლონიის პროცესს შეუერთდა, რითაც იგი სრულად მოექცა ევროპული სტანდარტების შესაბამისობაში. დაიწყო უნივერსიტეტების აკრედიტაცია, რითაც ხდებოდა უნივერსიტეტების რესურსებისა და პროგრამების შეაფასება. ის უნივერსიტეტები, რომლებიც ევროპულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდნენ დაიხურნენ ან გაერთიანდნენ სხვა უნივერსიტეტბთან. 2004 წლიდან 2007 წლამდე სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა თითქმის ხუთჯერ შემცირდა და მხოლოდ 52 აკრედიტებული უნივერსიტეტი დარჩა (UNDP საქართველო, 2008). კორუფცია ფაქტიურად აღმოიფხვრა უნივერსიტეტების სასწავლო პროცესიდან. ხოლო სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა ფაკულტეტების საბჭოებში ყოფილიყვნენ არჩეულნი და მონაწილეობა მიეღოთ სასწავლო პროცესის მართვაში, სადაც საკუთარი ინტერესების გამოხატვის და დაცვის საშუელება მიეცათ. ერთი შეხედვით პოზიტიურ რეფორმებს იოლად განხორციელება არ ეწადა. ის პროფესურა, რომელსაც მოაკლდა მანამდე არსებული პრივილეგიები აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა მთავრობას იმიტომ, რომ ახალი რეფორმების მიხედვით არც ერთი პროფესორი არ შეიძლებოდა არჩეულიყო ამ აკადემიურ თანამდებობაზე სიცოცხლის ბოლომდე, რაც ფაქტიურად საბჭოთა ეპოქის დამახიათებელი იყო (UNDP საქართველო, 2008). ძირითადად ანტირეფორმისტული მოძრაობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა, რომელიც სამწუხაროდ, ყოველთვის იყო პოლიტიკური ინტერესების ქვეშ. დიდი ხმაურის, შიმშილობების და საპროტესტო აქციების მიუხედავად, რომელიც მიმართული იყო

რეფორმების წინააღმეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაინც გადაიქცა კორუფციის ჭაობიდან გამჭვირვალე განათლებაზე ორიენტირებულ კერად. ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეში მოქცეული საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემამ სტუდენტებს მისცა შესაძლებლობა, აერჩიათ ძირითადი და მეორადი აკადემიური პროგრამები საბაკალავრო კურსებზე და შეექმნათ საკუთარი ინდივიდუალური, საგანმანათლებლო პროგრამა მათი აკადემიური ინტერესების მიხედვით. უფრო მეტიც, მათ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მობილობის პრინციპით და საქართველოდან სწავლა გაეგრძელებინათ სხვა ევროპული უნივერსიტეტებში. ეს კი მათთვის ახალი შესაძლებლობების ფანჯარას წარმოადგენდა (UNDP საქართველო, 2008).

სახელმწიფოს სისტემის მოდერნიზაციის ერთ-ერთი თვალში საცემი რეფორმა განხორციელდა **საქართველოს ჯარში.** უსაფრთხოების სფეროში, საქართველოს ძირითადი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად გამოცხადდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორაგანიზაციის (ნატო) წევრობა. საქართველოს მთავრობამ დაიწყო შეიარაღებული ძალების სრულიად განახლება და შეიმუშავა ახალი სამხედრო სტრატეგია, რომელმაც საქართველოს უსაფრთხოება ნატო-ს სტანდარტებს დაუახლოვა. შეიცვალა თავდაცვის მინისტრისადმი მიდგომაც და იგი ამიერიდან სამოქალაქო პირი უნდა ყოფილიყო, ნაცვლად წინა მთავრობებისა, როდესაც მინისტრი სამხედრო პირი იყო. ამ ტიპის მინისტრების ფუნქცია იყო სამინისტროს ფინანსური, ადმინისტრაციული მენეჯმენტი და საერთაშორისო საქმეების წარმოება. თავდაცვის სამინისტროს მზარდი ბიუჯეტი, რომელსაც ზოგი მზარდი მილიტარიზმის ნიშნებს ხედავდა, იყო მტკიცებულება, რომ საქართველო საბოლოოდ დაადგა თანამედროვე არმიის მშენებლობა. სამხედრო ხარჯები ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში იყო, რაც ითვალისწინებდა მშპ-ს 2%-ს და ეს კი იყო ათჯერ მეტი, ვიდრე 2003 წლამდე (საქართველოს მთავრობა, 2006 წ.). 2004 წელს ნატოსთან შემუშავდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). უფრო მეტიც, თავდაცვის სამინისტრომ იმპორტის ნაცვლად დაიწყო სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების წარმოება. მაგალითად, ჯავშანჟილეტები და ჯავშანჩაფხუტები, სნაიპერული მაშხანები, ყუმბარმტყორცნები, უხმაურო და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები, საარტილერიო დანადგარები, ჯავშანტექნიკა, ქართულმა სამხედრო წარმოებამ მოახერხა შეექმნა ისეთი მძიმე ტექნიკა, როგორიცაა „დიდგორი“ და „ლაზიკა“, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და თვითმავალი ნაღმტყორცნები. ხოლო ჯავშანტრანსპორტიორი “დიდგორი 1” და “დიდგორი 2” 2016 წლიდან ექსპორტ-

ზეც კი გავიდა, იგი საუდის არაბეთმა შეიძინა (Agenda.ge, 2016). ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს შეიარარებული ძალები მომზადებულნი იყვნენ ნატოს ინსტრუქტორების მიერ და მონაწილეობა მიიღეს საბრძოლო ოპერაციებში ტერორიზმის წინააღმდეგ ან მშვიდობის შენარჩუნების მიზნით ბალკანეთში, ავღანეთში, ერაყსა და აფრიკულ კამპანიებში (CSIS, 2009).

საქართველოში **სასამართლო რეფორმა** განხორციელდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით, საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო სპექტრის ჩართვით, ძირითადად კი ევროკავშირის დახმარებით. მთავრობამ მიიჩნია, რომ სასამართლო სისტემაში კორუფციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო მოსამართლეების დაბალი ანაზღაურება, ამიტომ მათ 2006 წლიდან მნიშვნელოვნად გაუზარდათ ხელფასები. საჯარო მოხელეებიდან მოსამართლეები ყველაზე მაღალანაზღაურებნი გახდნენ. ამის მიუხედავად 2004 წლიდან მოყოლებული, ქრთამის აღების ფაქტზე 10 მოსამართლე დააკავეს. ჯამში კი სისხლის სამართლის საქმე 15 მოსამართლეზე აღიძრა. ამის მიუხადავად, რთული იყო საგზაო მილიციის მსგავსად ყველა მოხელის გათავისუფლება და რეფორმის „სუფთა ფურცლიდან" დაწყება. გახდა მთელი რიგი მექანიზმების გამოყენების საჭიროება, რათა მოსამართლეთა ძველი კადრები ჩანაცვლებულიყო ახლებით. დაახლოებით 150 ახალი მოსამართლე დაინიშნა მედიისა და საზოგადოებისთვის გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე, რომელიც შედგებოდა სასამართლო ცოდნის გამოცდისა და პირადი ინტერვიუსგან. ხოლო შერჩევის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ჩაატარა მოსამართლეთა არაერთი გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (UNDP საქართველო, 2008). ამ რეფორმამ გაზარდა სამართლებრივი სისტემის ანგარიშვალდებულება და ეფექტურობა. ქვედა რგოლის სასამართლო ინსტანციებში წინასწარი პატიმრობის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში მტკიცებულებების რაოდენობა შემცირდა. 50%-მდე გაიზარდა საპროცესო პერიოდში გირაოს გამოყენება. 2004 წელს პარლამენტმა წამოაყენა წინადადება საქართველოს კონსტიტუციით გაეთვალისწინებინა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. როგორც ვიცით, ეს ჯერ კიდევ 1919 წელს იქნა შემუშავებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ და იგი ახალი სისხლის სამართლის საქმის არსებითი კომპონენტი უნდა ყოფილიყო. გადაიდგა ასევე კონკრეტული ნაბიჯები სისხლის სამართლის პროცესის ლიბერალიზაციის მიზნით. კერძოდ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებისას, გამოყენებული იქნა ისეთი დასავლური სამართლებრივი პრინციპები, როგორიცაა საჩივრის განხილ-

ვის უფლება და სასამართლოში უკანონოდ მიღებული მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვა. ასევე შემოიღეს საპროცესო შეთანხმების სისტემა, რაც ეფექტური საშუალება აღმოჩნდა კორუფციასთან და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის (საქართველოს მთავრობა, 2006). სასამართლო სისტემის საყოველთაო რეფორმამ მთლიანად გაათავისუფლა იგი კორუფციისაგან. მოქალაქეებს შორის დავა წყდებოდა შეჯიბრობითობის პრინციპით კომპეტენტური მოსამართლეების მიერ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩიოდა, სასამართლო ვერ შედგა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სრულიად თავისუფალი მესამე ხელისფლება. მასზე გავლენა თავად რეფორმის ავტორებმა, კერძოდ კი პროკურატურის მაღალჩინოსნება მოიპოვეს, რაც გახდა კიდეც ხელისფლების ერთ-ერთი სუსტი წერტილი და რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ფაქტია, რომ ხელისუფლების წინააღდეგ მიმართული სასამართლო პროცესებიდან მოქალაქის გამამართლებელი განაჩენი 1% არ აღემატებოდა (ხიდაშელი, 2011).

ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაცია

ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალი მთავრობა რადიკალური და სწრაფი რეფორმებით შეუდგა სახელმწიფოს კოლაფსის თავიდან აცილებას. ამიტომ გეზი ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე აიღო. ეს პირველ რიგში გულისხმობდა სახელმწიფო აპარატის კორუფციისგან გათავისუფლებას და ეფექტური, ოპტიმიზებული დაწესებულებების შექმნას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამას გარდა დღის წესრიგში დადგა პრივატიზაციის, საგადასახადო და საფინანსო სექტორის რეფორმის, თავისუფალი ვაჭრობის, ახალი შრომის კოდექსის და სხვა სახის რეფორმების საკითხი (ახალი ეკონომიკური სკოლა, 2007).

2005 წლიდან გამოცხადდა ფართომასშტაბიანი **პრივატიზება.** უარი ეთქვა ე.წ. „სტრატეგიული ობიექტების" არსებობის კონცეფციას და გასაყიდად ან გრძელვადიანი იჯარით გასაცემად გამოტანილი იქნა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მსხვილი საწარმოები, ტელეკომუნიკაციები, პორტები, აეროპორტები, ჰესები, ტბები, ტყეები და ა.შ. როგორც იმ დროის ეკონომიკის მინისტრმა და რეფორმების ერთ-ერთმა ავტორმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა უნდა გაიყიდოს „ყველაფერი - ნამუსის გარდა". თუმცა არც მართლა ყველაფერი იყო გასაყიდად გამოტანილი. მაგალითად, როდესაც პრივატიზებას დაექვემდებარა იჯარით გაცემული და იჯარით გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 500,000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა სასაზღვრო ზოლის ჩათვლით, სახელმწიფო საკუთრე-

ბაში დარჩა საძოვრები, პირუტყვის გადასარეკი ტრასები, ტყის ფონდის მიწა და ის მიწები, რომლებიც განკუთვნილი იყო ისტორიული, კულტურული, ბუნების და საკულტო-რელიგიური ძეგლებისთვის. ამას გარდა მიწის ყიდვის უფლება მიენიჭა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. აღნიშნული უფლებით ვერ სარგებლობდნენ უცხოელი მოქალაქეები, მაგრამ არ იზღუდებოდა მათ მიერ საქართველოში დაარსებული საწარმოები (ახალი ეკონომიკური სკოლა, 2007). ის, რომ კერძო საკუთრებაში არსებული ობიექტები ეკონომიკის და ქვეყნის განვითარებისთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებაში, ამაზე ამ კვლევაში საუბარს არ დავიწყებთ. ვფიქრობთ, ეს ისედაც აუცილებელი კომპონენტია თავისუფალი და განვითარებული ქვეყნისთვის. მსგავსი პრივატიზების პოლიტიკით 2005-2010 წლებში სახელმწიფოს პირდაპირმა შემოსავალმა 1,6 მილიარდი ლარი შეადგინა რამაც ხელი შეუწყო სოციალური და ინფრანსტრუქტურული პროექტების განხორციელებას (საქართველოს მთავრობის 2010 წლის გამოქვეყნება).

საგადასახადო და საფინანსო სექტორის რეფორმის ფარგლებშიც განხორციელდა ძირეული ცვლილებები. 22 გადასახადიდან მხოლოდ 7 დარჩა. ამასთან შემცირდა საგადასახადო განაკვეთებიც. საშემოსავლო გადასახადი 33-დან 20%-მდე შემცირდა, დღგ 20-დან 18%-მდე, ხოლო იმპორტის საბაჟო გადასახადი საერთოდ გაუქმდა, რამაც საქართველო მსოფლიოს ყველაზე ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმის მქონე ქვეყნების მცირე ჯგუფის წევრად აქცია. ამას გარდა, მოიხსნა ექსპორტსა და რე-ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები და ტარიფები. შიდა ბაზრებზე მიღებული იქნა ევროკავშირის და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) ტექნიკური რეგლამენტი. შედეგად, 2003 და 2009 წლებში სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ 30%-ით გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 3,4-ჯერ (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010). Forbes Business & Financial News-ის გამოცემული „2009 წლის საგადასახადო ტვირთისა და რეფორმის ინდექსის" კვლევით, საქართველო მსოფლიოში მე-4 ადგილზე გავიდა დაბალი გადასახადების მიხედვით, ყატარის, არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და ჰონგ-კონგის შემდეგ (ანდერსონი, 2009). შეიცვალა მიდგომა მონოპოლიებთან ბრძოლის საკითხშიც. „ანტიმონოპოლიური სამსახურის" ნაცვლად, რომელიც კორუფციის ბუდეს წარმოადგენდა შეიქმნა რამდენიმე შტატიანი **„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის საგენტო"**. იგი მოქმედებდა არა მანამდე არსებული ანტიმონოპოლიური კანონით, არამედ ახალი „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის კანონის" მიხედვით. ამ მიდგომით მოხდა

იმის აღიარება, რომ საბაზრო ეკონომიკაში მონოპოლიებს ქმნის მხოლოდ სახელმწიფო სხვადასხვა რეგულაციებით და პრივილეგიების მინიჭებით. მისგან თავის დაღწევის საუკეთესო პირობა კი არის თავისუფალი ბაზარი, კონკურენცია და სხვადასხვა კომპანიების თავისთავად გაჩენა და განვითარება, რომელსაც სახელმწიფომ რეგულაციებით ხელი არ უნდა შეუშალოს. ამას გარდა გამარტივდა **შრომის კოდექსი**, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერეულიყო დაქირავებულისა და დამქირავებლის ურთიერთობებში, გარდა იმ შემთხვევებისა თუ დაქირავებულს წარმოადგენდნენ არასრულწლოვნები, ორსულები და მეძუძური ქალბატონები. გამარტივდა საბანკო სფეროს სექტორის საქმიანობაც. ადგილობრივ და უცხოური ბანკებისთვის გაადვილდა საქართველოში ფილიალების გახსნის პროცედურები, გაუქმდა მოქმედ ბანკებში წილების შესყიდვის ლიმიტები. ბუღალტრული აღრიცხვა დაექვემდებარა საერთაშორისო სტანდარტებს. ხოლო განვითარებული ქვეყნების ბანკების მიერ საქართველოში ოპერირების უფლების ცალმხრივად დერეგულირება მოხდა. თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა რაც 12,000,000 ლარი გახდა, 6,400,000-ის ნაცვლად (ახალი ეკონომიკური სკოლა, 2007). შედეგად წილების შესყიდვით ან პირდაპირ წარმომადგენლობების გახსნით, ბაზარზე შემოვიდნენ ისეთი საერთაშორისო საბანკო კომპანიები, როგორებიცაა KFW, ProCredit Bank, London Stock Exchange, HSBC, Societe Generale, Halyk Bank, JPMorgan, OPIC, LibertyCapital, BankTuranAlem, TaoPrivatBank, BTA Bank, FMO, Rakeen, and VTB. ხოლო სადაზღვევო ბაზარი 2003-2009 წლებში გაიზარდა 10-ჯერ და მოსახლეობის 30% დაზღვია კერძო კომპანიებში (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010).

2010 წლის მონაცემებით, "The Heritage Foundation"-მა „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის" მოხსენებაში საქართველომ მსოფლიოს 26-ე ადგილზე გადაინაცვლა და 1,2%-ით გაუწსრო ევროპის საშუალო მაჩვენებლებს (Heritage Foundation & The Wall Street Journal, 2010). მან საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო შრომის ბაზრის, ბიზნესის, ფისკალური პოლიტიკის თავისუფლებაში. ხოლო "The Doing Business"-ის მიხედვით 2007 წლის საქართველო 112 ქვეყნიდან 12-ე ადგილზე გავიდა და წლის რეფორმატორ ქვეყნად დასახელდა. მსოფლიო ბანკმა 2009 წელს განაცხადა, რომ „2003 წლიდან საქართველოში განახორციელებულმა რეფორმების შთამბეჭდავმა მოდელმა ასახვა ჰპოვა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე. რეფორმების დაწყებიდან აღნიშნული პროცესები შეიძლება მიჩნეული იყოს, როგორც უნიკალური მოვლენა თავისი სიჩქარით, ინოვაციების ხარისხით და ინსტიტუციური რესტრუქტურიზაციის მო-

ცულობით. რეფორმების შედეგად, შესამჩნევად გაუმჯობესდა ინსტიტუციონალური გარემო, რაც უზრუნველყოფს უფრო მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და კაპიტალის დაგროვების საფუძველს, რაც ზრდის მრავალწლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს". კვლევითი ანგარიშების მიხედვით, 2003-2008 წლებში მაკროეკონომიკური შედეგები უკიდურესად დადებითი იყო. ამ წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი 4 მილიარდი აშშ დოლარიდან 12.8 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ერთ სულ მოსახლეზე ბრუნვა 2002 წელს 772 აშშ დოლარი იყო, ხოლო 2008 წელს 2,919 აშშ დოლარი შეადგინა. მშპ-ს ზრდა 5.5%-დან 12.3%-მდე მოხდა. ხოლო სახელმწიფო შემოსავლები 2002 წელს მშპ-ის 10.5%-დან 2008 წელს 25.7%-მდე გაიზარდა. მკვეთრად შემცირდა 2003 წლის მონაცემებით არსებული საგარეო ვალი მთლიანი ეროვნული შემოსავლებთან თანაფარდობით და 54%-დან 22%-მდე დავიდა. ამასთან გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ყოველწლიური 160 მილიონი აშშ დოლარის ნაცვლად 2007 წელს 1.75 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა (მაჟფარლეინი, 2011).

გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) 2008 წლის მონაცემებით, როდესაც ხელისუფლება 2004 წელს ხელისუფლებაში მოვიდა, ქვეყნის ინფრასტრუქტურა მთლიანად განადგურებული იყო. არ ხდებოდა ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების სტაბილური მიწოდება და ზოგიერთ ადგილას საერთოდ არც არსებობდა. გზები იყო ძალიან დაზიანებული და სარწყავი სისტემა მთლიანად მოშლილი. ახალი მთავრობის მიერ დაიწყო გზების, ხიდების, სხვადასხვა **ინფრასტრუქტურული პროექტების** მშენებლობა. გარემონტდა ან მთლიანად აღდგა საქართველოს საგზაო ქსელის 33%-ზე მეტი და 115 ხიდი. დაიწყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მშენებლობა. ასევე გარემონტდა ან მთლიანად აღდგა საქართველოს სარკინიგზო ქსელის 225 კილომეტრზე (დაახლოებით 14%) და 20 სარკინიგზო ხიდი. აშენდა სრულიად ახალი საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ხოლო მესტიაში აშენდა ერთი ადგილობრივი აეროპორტი შიდა ფრენებისთვის. გარემონტდა ან აღადგა ასევე სკოლების 57%. მოხდა **ელექტროენერგიის სექტორის სრული გაუმჯობესება და** მოსახლეობას იგი შეფერხებების გარეშე მიეწოდებოდა, რაც მოსახლეობისთვის წარმოუდგენელი ოცნების საგანი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. უფრო მეტიც, ზაფხულის პერიოდში საქართველო გახდა ელექტროენერგიის ექსპორტიორი, ხოლო ბუნებრივი აირის დივერსიფიცირებული მიწოდება მოახდინა სამი სხვადასხვა წყაროდან. გარდა ამისა, საქართველო გახდა ტრანზიტული ჰაბი, რომლითაც დაიწყო ენერგო რესურსების კასპიისა და ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ მიწოდება. ეს პროექტებია: ბა-

ქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმი, ნაბუკო და თეთრი ნაკადის პროექტები (UNDP Georgia, 2008).

მოხდა სრული რეაბილიტაცია და ისეთი შენობა-ნაგებობების აშენება, რომელიც თანხვედრაში იყო ძველ ქართულ არქიტექტურასთან სიღნაღში, თელავში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, თბილისში. ხოლო ბათუმში განხორციელდა პროექტი „ბათუმის სასწაული", რომლის ფარგლებში რეაბილიტაციასთან ერთად სრულიად განახლდა ქალაქი, აშენდა ახალი ბულვარი და ცათამბრჯენები. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნდა ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა ნავთობი და გაზი, მისი მთავარი მიზიდულობის სფერო გახდა **ტურიზმი**. საქართველოს გააჩნია ოთხ სეზონიანი ტურისტული ზონები, დაწყებული თოვლიანი სათხილამურო მთებით, დამთავრებული ზღვისპირა კურორტებით, სადაც თავმოყრილია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ლამაზი ეკლესიები, უნიკალური სოფლები და უძველესი ვენახები. 2004 წლიდან მთავრობის სხვადასხვა ინიციატივების შედეგად, ვიზიტორთა რაოდენობა ათჯერ გაიზარდა, რასაც მოჰყვა მსოფლიოში ცნობილი ისეთი სასტუმროების ბრენდების წარმატებით ფუნქციონირება, როგორიცაა მარიოტი, რედისონი, შერატონი, ჰილტონი, ჰოლიდეი ინი და სხვ. (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010).

2004-2008 წლებში საქართველოს წლიური ზრდის მაჩვენებელი საშუალოდ 10% იყო, 2007 წელს მან 12%-საც მიაღწია. თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, დაიწყო დემოკრატიულ რეფორმების შენელება და ეკონომიკური ზრდა 2009-2012 წლებში 6,4%-ით დაფიქსირდა, რა მაჩვენებელიც სამწუხაროდ ვერ გაიმეორა მომდევნო მთავრობამ და 2012-2016 წლებში მხოლოდ 3% შეადგინა (Facktcheck, 2016).

აღსანიშნავია, რომ **პენსიები** რომელიც თვეების განმავლობაში არ გაიცემოდა და სულ რაღაც 14 ლარს შეადგენდა, გახდა მზარდი და ათი წლის თავზე 10-ჯერ გაიზარდა. გამოირიცხა პენსიის დაგვიანება და თანხის გაცემა ელექტრონულ დარიცხვებზე გადავიდა. მოდერნიზაცია განიცადა **სახანძრო-სამაშველო სისტემამ, ქალაქის დასუფთავების სამსახურმა,** უფასო **სასწრაფო მომსახურებამ** და დაიწყო ახალი საავადმყოფოების მშენებლობა (NPLG, 2008).

პოლიტიკური და სამოქალაქო გარემოს მოდერნიზაცია

პოლიტიკური კულტურის მკვლევარი გ. აბესაძე წერს, რომ ქართული პოლიტიკური კულტურის მოდერნიზაციის უპირველესი ამოცანაა პოლიტიკურ-ინტელექტუალური დონის ამაღლება და ირა-

ციონალური პროცესის დაძლევა. ირაციონალური პროცესი კი პოლიტიკურ გაუცხოებას გულისხმობს, რომელიც დაიძლევა პოლიტიკური ოპტიმიზმით შეცვალოს თავისი მოქალაქეების თანაცხოვრების წესი, ისე რომ მოწესრიგდეს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება. მისი აზრით, სწორედ პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციაზეა დამოკიდებული თანამედროვე დემოკრატიული მოდერნიზაციის განხორციელება. ეს კი ეპოქალური მნიშვნელობის ცვლილებაა და გულისხმობს პოლიტიკური მენტალობის, აზროვნების და ქცევის წესების არსებით ცვლილებებს, რაც ემყარება ინსტიტუციურ ცვლილებებს და მათ სტაბილურ ფუნქციონირებას (აბესაძე, 2011). სწორედ მსგავსი მიზანი დაისახა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლება, შეცვლილიყო ადამიანთა ცხოვრება, არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ მომხდარიყო მენტალური ცვლილებებიც. ეს მხოლოდ ხელისუფლებაზე არ იყო დამოკიდებული. მასზე დიდი როლი ითამაშა სამოქალაქო საზოგადოებამ, რომელსაც ხელისუფლება უქმნიდა პირობებს ისეთი ინსტიტუციური ცვლილებებით, რომელიც მყარ და სტაბილური ინსტიტუტების განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა. პირველ რიგში ეს ეხებოდა კრიმინალური მენტალიტეტის თანდათანობით გაქრობას და ადამიანთა ცნობიერებაში სახელმწიფო ინსტიტუტების საკუთარ თავთან იდენტიფიცირებას. საქართველოში 2003 წლამდე ისეთი საზოგადოება არსებობდა, სადაც ვაჟ მოსწავლეთა 25%-ს კანონიერი ქურდობა უნდოდა, ხოლო გოგონათა 35%-ს კანონიერი ქურდის ცოლობა (ბურაკოვა, 2012). თუ მოქალაქეებს სახელმწიფოებრიობის განცდა არ ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დროს და ეს იმით აიხსნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი არ იყო მათი სამშობლო, ხოლო 1990-იან წლებში სახელმწიფო ინსტიტუტები ან უბრალოდ მოშლილი იყო ან მხოლოდ ბარიერი და საფრთხე მოქალაქეებისთვის, ამიერიდან მოქალაქეს ეს ინსტიტუტები თავის კუთვნილებად უნდა აღექვა. სამწუხაროდ ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმები ისევ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა არასწორმა პოლიტიკამ გააქარწყლა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნები ბევრად გასცდა სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ პოლიტიკას. ამის მიუხედავად მაინც განხორციელდა ისეთი მნიშველოვანი ცვლილებები, რომელმაც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მოდერნიზაცია განაპირობა. ეს იყო დამოკიდებულება უმცირესობების მიმართ, გენდერული საკითხების, სეკულარიზაციის და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების საკითხი. ვნახოთ და განვიხილოთ თითოეული მათგანი.

სამოქალაქო საზოგადოება

ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ ძირითადად ასოცირდება არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლიობასთან. ეს მისი ყველაზე ვიწრო გაგებაა, რომელიც მსოფლიოში 1990-იანი წლებიდან გავრცელდა. მისი ფართე განსაზღვრებით მას მოიაზრებენ, როგორც სოციალური ურთიერთობის და აქტივობის იმ ფორმებს, რომლებიც არ ხვდება ოჯახის, ბიზნესის და სახელმწიფოს სფეროებში. სამოქალაქო საზოგადოება არ თავსდება ოჯახის სფეროში, რადგან ოჯახი პიროვნულ და ბუნებით კავშირებს ეყრდნობა. სამოქალაქო საზოგადოება საჯარო სივრცეშია, ანუ ის სცდება ახლობლურ-პიროვნული ურთიერთობის საზღვრებს. მისი ცნების შინაარსი მოიცავს არასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მთელს ერთობლიობას - ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს (მათ შორის რელიგიურსაც) (ნოდია, 2005). საქართველოში სამოქალაქო აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა 1980-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირმა დაუშვა სიტყვის თავისუფლება. ამას მოჰყვა ნაციონალიზმის აღზევება და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელიც სამწუხაროდ არ ემყარებოდა გააზრებულ, პრაგმატულ და რეალისტურ ხედვებს. არამედ იყო მითოპოეურ[4] მენტალობაზე, ქვეყნის განვითარების გაიდეალებულ ხედვაზე დაფუძნებული, რამაც სახელმწიფო გადატრიალება, სამხედრო კონფლიქტები, კრიმინალური სამყაროს ანრახული გაძლიერება, ეკონომიკის ნგრევა და საზოგადოების სრული აპათია გამოიწვია. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და განვითარება სწორედ 2000-იანი წლების მიჯნას და დასაწყისს უკავშირდება. მასში მოიაზრება პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მასმედია, რელიგიური ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ან პროფესიული გაერთიანებები. როგორც ვიცით, პოლიტიკური პარტიების განვითარება ძირითადად მე-20 საუკუნის დასასწყისში მოხდა, რა დროსაც ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ საზოგადოების ყოფაზე. მაგრამ საბჭოთა კავშირში ერთპარტიულმა პოლიტიკურმა სისტემამ 70 წლის განმავლობაში მოკლა პოლიტიკური კულტურის განვითარება და იგი მხოლოდ 1990-იანი წლებიდან განვითარდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება სწორედ ამავე პერიოდიდან დაიწყო. ეს განაპირობა ინტელექტუალთა დიდი ნაწილის ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობამ, რა დროსაც საჯარო სამსახური არაპრესტიჟულ სფეროდ და თანამდებობის დაკავება კორუფციულ მექანიზმთან იყო დაკავშირებული. შედეგად საზოგადოების ის ფენა, რომელიც ინტელექტუალური შრომით იყო დაკავშირებული და ამავე დროს არ სურდა მორალურ კომპრომისზე წასვლა, მესამე სექტორში

გადაინაცვალა. დიდი როლი ითამაშა დასავლეთ ფინანსურმა მხარდაჭერამაც. არსებული ეკონომიკის კრიზისის ფონზე **არასამთავრობო ორგანიზაციებში** დასაქმებული პირები საკმაოდ მაღალი შემოსავლებით იყვნენ უზრუნველყოფილები. ამასთან ისინი ფაქტობრივად თავისუფალნი იყვნენ ცენზურისგან და თავისუფლად ახდენდნენ საკუთარი იდეებისა და შესაძლებლობების რეალიზებას. მათი გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე საწყის ეტაპზე ძალიან სუსტი იყო, მაგრამ სწორედ 1999-2003 წლებში მათ მოახერხეს საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედება და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან აქტორად ჩამოყალიბდნენ. ხოლო 2003 წლიდან, ვარდების რევოლუციის შემდეგ, მათი დიდი ნაწილი საერთოდ სახელმწიფო სამსახურში გადავიდა (ნოზაძე, 2007). სამოქალაქო საზოგადოების მკვლევარი გ. ნოდია წერს, რომ ამ პერიოდში სექტორში დაგროვდა კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსები. ჩამოყალიბდნენ ორგანიზაციები, რომლებიც უახლოვდებოდნენ მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტებს და ჰქონდათ შინაგანი რესურსები მდგრადი განვითარებისთვის. მოხდა ასევე სექტორის შიგნით სპეციალიზაცია, უფრო წინ წასულმა ორგანიზაციებმა განივითარეს უნარები მნიშვნელოვანი საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციების შესასრულებლად. ჩამოყალიბდა თანამშრომლობითი და კოალიციური მუშაობის ტრადიციები და კულტურა. მათ დააგროვეს გარკვეული მორალური კაპიტალი საზოგადოების ნაწილში, როგორც დემოკრატიული ღირებულებების და ადამიანის უფლებების თანმიმდევრულმა დამცველებმა. ამიტომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ლიბერალური ღირებულებების გავრცელების და დაცვის დასაყრდენად გადაიქცა. სწორედ მათ წარმოადგინეს უტყუარი საბუთები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების მასობრივი გაყალბების შესახებ, რასაც რევოლუციის ლეგიტიმურობა ეყრდნობოდა (ნოდია, 2005). მკვლევარი მ. წურწუმია წერს, რომ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, დემოკრატიული ღირებულებები გადაიქცევა დამკვიდრებულ და გაზიარებულ წესებად და თითქმის აღარ არსებობს სახელმწიფოს ავტოტორიტარიზმისკენ გადახრის საფრთხე. ამან განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორების ინტერესი ყოფილ სოციალისტურ ბანაკში ხელი შეეწყოთ სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რათა იგი გამხდარიყო დემოკრატიზაციის პროცესის წარმატების ინდიკატორი. დასაწყისისთვის დასავლური დონორები დაინტერესებულნი იყვნენ პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური ორგანიზაციების დაფინანსებით. ამიტომ დახმარება მიმართული იყო გარემოსდაცვით ორგანიზაციებზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „მწვანეთა მოძრაობას“ და ბიძგი მისცა ქვეყანაში გარემოსდაცვითი

და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის მოქმედებებს. ამასთან თანდათანობით საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში მთავარი როლის შესრულება არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს. მათი ჩამოყალიბება ქვეყნის ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლის კონტექსტში მოხდა, ვინაიდან ისინი დასავლური ტრადიციით მოიაზრებიან, როგორც დემოკრატიის აუცილებელი ხელშემწყობი აქტორები. ეს არ არის ზოგადი ფრაზები, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია **ადამიანის უფლებების დაცვა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, არჩევნების მონიტორინგი, სამოქალაქო განათლება, სოციალური კეთილდღეობა, ქალთა პრობლემატიკა, ინფორმაციის მოგროვება და გავრცელება, კვლევების ჩატარება.** ისინი დახმარებას უწევენ გარკვეულ სამიზნე ჯგუფებს, როგორიცაა იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ახალგაზრდები, ქალები, საზოგადოებისგან მარგინალიზებული ჯგუფები და სხვ. (წურწუმია, 2011).

რაც შეეხება **მასმედიას**, მათი როლიც თანდათან გაიზარდა 1990-იანი წლებიდან. ხოლო 2000-იანი წლებიდან ფაქტიურად ოპოზიციურად განწყობილი მედია-საშუალებები ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 70% ინფორმაციას ტელევიზიებიდან იღებდა, გაზეთებიდან კი 10%-მდე, ხოლო რადიოდან 5% (ნოზაძე, 2007). ამ კუთხით, 2004 წლიდან მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა მედიის თავისუფლების, პლურალიზმისა და გამოხატვის თავისუფლების გაფართოებასა კუთხით. 2005 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელი შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კანონით განისაღვრა მაუწყებლის მინიმალური წლიური ბიუჯეტი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 0,12% შეადგენდა. ამას საზოგადოებრივი მაუწყებლის სრულ ფინანსურ დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველეყო. 2009 წელს გაფართოვდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა და მას არასამთავრობო ორგანიაციების, უმრავლესობისა და ოპოზიციური პარტიების მიერ კონსენსუსის გზით შერჩეული წარმომადგენლები აკომპლექტებდნენ. პროგრესულ ნაბიჯად შეაფასა BBC-ის მონიტორინგის ანგარიშმა 2010 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელის საინფორმაციო პროგრამების რეფორმები, რაც უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და სარედაქციო პროფესიონალიზმისკენ იყო მიმართული (საქართველოს მთავრობა, 2006). თუმცა, თუ ჩვენ მაყურებელთა რეიტინგებით ვიმსჯელებთ, აღნიშნულ ტელეარხს არასოდეს ჰყოლია ფართო აუდიტორია და მისი რაოდენობა მხოლოდ 5%-ს შეადგენდა (ტაბულა, 2015). რითაც მთავრობას შეეძლო ემაყა, იყო ის, რომ 2004 წლიდან არ დაფიქსირებულა არანაირი სამართლებრივი დევნა ჟურნალისტების წინააღმდეგ. მათ

იცავდათ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ ახალი კანონი, რომლის თანახმად, ცილისწამება დეკრიმინალიზებული გახდა და ჟურნალისტებს ან რედაქტორებს გათავისუფლდნენ პირადი პასუხისმგებლობისგან თუნდაც ცილისმწამებლური განცხადების გამოქვეყნების გამო. კანონით დაცულებად გამოცხადდნენ თუნდაც ისინი, ვინც სახელმწიფო საიდუმლო მასალებს გაასაჯაროებდა და გამოაქვეყნებდა. ჟურნალისტებს და მედია საშუალებებს არ ევალებოდათ კონფიდენციალური წყაროების გამჟღავნება, მათ შორის არც სასამართლოში.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების გაშუქებას, საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლებისთვისაც კანონით სავალდებულო გახდა უფასო სარეკლამო დროის დათმობა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ასევე ყველა ძირითად საარჩევნო სუბიექტს უნდა დაბალანსებულად უნდა დათმობოდა საეთერო დრო, მათ შორის თოქ-შოუებში. აღნიშნული საეთერო დროების ხანგრძლივობის ფორმულა განისაზღვრა პოლიტიკურ პარტიათა კონსენსუსის გზით. შემცირდა პარლამენტში მოხვედრის ბარიერი და მან 7%-დან 5%-მდე დაიწია. ხოლო 2010 წელს პირველად მოხდა თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა, რა დროსაც წინა არჩევნებთან შედარებით საჩივრების რაოდენობაც მნიშვნელოვნად შემცირდა. ოპოზიციურმა პარტიებს და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს მიეცათ სრული შესაძლებლობა მოეხდინათ არჩევნების მონიტორინგი. იმის მიუხედავად, რომ ოპოზიცია აკრიტიკებდა არჩევნების და წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაშვებულ ხარვეზებს ან შეცდომებს, ყველა არჩევნები მაინც გახდა ხალხის ნების გამომხატველი და ისინი აღიარებულ იქნა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010). და ბოლოს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო პირველი შემთხვევა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა არჩევნების გზით, მშვიდობიანად და არა სამხედრო გადატრიალების თუ რევოლუციის გზით. ამასთან სახელმწიფოს სტრუქტურების და მათში არსებული საქმეების გადაბარება გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლებისთვის მოხდა მშვიდობიანად, დემოკრატიული სტანდარტების დაცვით და ხელისუფლებაში მოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ სრულიად განსხვავებული ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნებისა“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით (ტაბულა, 2012).

სეკულარიზმი

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელია ადამიანები არ იზღუდებოდნენ საკუთარი რელიგიური გრძნობებისა

და შეხედულებების გამო. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ კლერიკალურ სახელმწიფოში ან მის გზაზე მყოფ ქვეყანაში. საქართველო კი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან გამოცხადდა სეკულარულ სახელმწიფოდ, რაც იმას ნიშნავდა, რომ შუა საუკუნეებისგან განსხვავებით არც სახელმწიფო დაიმორჩილებდა ეკლესიას და არც ეკლესია ჩაერეოდა სახელმწიფოს საქმეებში. რწმენა ინდივიდუალური, პირადი საკითხი გახდა და არა სახელმწიფო ან რელიგიური იდეოლოგია. ამას ის რაციონალური მიდგომაც განაპირობებდა, რომ საქართველოს მოსახლეობა არ წარმოადგენდა მხოლოდ ქრისტიან მართლმადიდებლებს. მათგან ბევრი არც იყო ეკლესიის მრევლი, ბევრი კი პირიქით. ადამიანების ეკლესიისადმი და რწმენისადმი დამოკიდებულება არც ერთი სტატისტიკური მონაცემებით არ დადგენილა და არ გაზომილა. პრობლემა ისაა, რომ ამა თუ იმ ეკლესიისადმი კუთვნილება ძირითადად ეთნიკური ნიშნით განისაზღვრა, რაც რეალურ სურათს აცდენილია. რელიგიური კუთვნილება საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა, თუმცა მათი კატეგორიებად დაყოფა სავსებით შესაძლებელია. ასე, რომ უნდა გავმიჯნოთ ეკლესიისადმი კუთვნილება როგორც **კულტურული იდენტობა და რწმენითი იდენტობა**. ჩვენ მათ შემდეგნაირად განვმარტავთ. **კულტურ იდენტობაში** იგულისხმება, როდესაც ადამიანი დაბადებულია ამა თუ იმ რელიგიურ გარემოში, მონათლულია ტრადიციის მიხედვით, მისდევს და იცავს ამ რელიგიისადმი დამახიათებელ ტრადიციებს, რიტუალებს და ჩვეულებს. მაგალითად ნათლობა, აღდგომა, შობის დღესასწაული და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი შეიძლება იყოს ან არც შეიძლება იყოს მორწმუნე. მისი შეხედულებები რელიგიისადმი შეიძლება იყოს აგნოსტიკური, ფილოსოფიური, მატერიალისტური ან სხვ. მაგრამ წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ეკლესიასთან, რადგან ეს მისი კულტურის ნაწილია. ხოლო **რწმენითი იდენტობა** გულისხმობს როდესაც ადამიანს ისე სწამს ამა თუ იმ რელიგიის, როგორც ეკლესიისგან სმენია. იგი საკუთარი არჩევანით არის მრევლის წევრი, საკუთარი სურვილით ლოცულობს და არა მხოლოდ ტრადიციის აუცილებლობით. სწამს და სჯერა იმ გზის, რისკენაც ეკლესია მიუთითებს. რელიგია მისთვის არა მხოლოდ კულტურის ნაწილი, არამედ პირადი, ინდივიდუალური რწმენის საკითხია. სწორედ ეს ორი საკითხი არ გამხდარა არასოდეს კვლევის საკითხი. გაეროს მოსახლეობის აღრიცხვის მონაცემებშიც კი ადამიანებს აღრიცხავდნენ არა მათი რწმენის ან ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებების მიხედვით, არამედ კულტური იდენტობის მხრივ. შედეგად მოსახლეობის 83% ქრისტიან-მართლმადიდებლად ითვლება. მსგავსი სურათი იყო მუსლიმ მოსახლეობაშიც. მაგალითად, ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოში დაბადებული, ავტომატურად ირიცხებოდა მუსლიმად, თუმცა არ მომხდარი მათი რელიგიური დამო-

კიდებულებების დადგენა. ბევრი მათგანი, ისევე როგორც ეთნიკურ ქართველებში, საერთოდ არარელიგიური შეიძლება ყოფილიყო, ბევრი კი მართლაც იცავდა ტრადიციულ ლოცვით წესებს. ასევე განისაზღვრა გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრობა, სადაც ეთნიკურად ყველა სომეხი იქნა მიჩერილი, რაც უფრო კულტურულ იდენტობის ნაწილად მოიაზრებოდა, ვიდრე რწმენის. გარდა ამისა ჩვენთვის ცნობილია რომ არსებობენ ეთნიკურად ქართველები, მაგრამ მუსლიმები ან კათოლიკეები. ასევე სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების მიმდევრები, რომლის რაოდენობა საქართველოში არასოდეს ყოფილა ჯამში 5%-ზე მეტიც კი, მაგრამ მათი უგულვებელყოფა და არცნობა ასევე არ შეიძლება (ნოზაძე, 2007). უფრო კონკრეტულად, რელიგიური კუთვნილების კვლევის თანახმად, მოსახლეობის 83,8% მართლმადიდებელია, 9,9% - მუსლიმი, 3,9% - სომეხი ქრისტიანი, 0,8% კათოლიკე, 0,8% სხვა და 0,7 არარელიგიური (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010).

საქართველოში ეთნიკურმა სიჭრელემ და მასზე ხაზის გასმამ მხოლოდ განსხვავებული ადამიანების ერთმანეთისგან სტიგმატიზება, სტერეოტიპების წარმოქმნა და ურთიერთგაუცხოება გამოიწვია. ფაქტია, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით, მაგრამ მაინც სამხედრო კონფლიქტსაც ეთნიკური ნიადაგი ედო საფუძვლად. ამიტომ **თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში ერთგვარი იარაღი იყო ქართული ეთნოსისა და რელიგიის აპელირება, იმ მოტივით, რომ მომხდარიყო ეროვნული კონსოლიდაცია და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, დამოუკიდებლობის პირობებში იგივე მიდგომა მხოლოდ რელიგიურ-ეთნიკურ დაპირისპირებას გამოიწვევდა.** ეს რაციონალური მიდგომა გახდა ერთ-ერთი საფუძველი საქართველო დადგომოდა სეკულარულ გზას და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა. თუმცა ეს გზა არ იყო იოლი, რადგან ინტერესი საეკლესიო და საერო ხელისუფლების არევის ხშირ შემთხვევაში ორივე მხრიდან მოდიოდა, რამაც ხშირად ხელი შეუწყო ფუნდამენტალისტების მხრიდან არაერთი ანტისაზოგადოებრივი ფაქტის გამოვლინებას. ეს გამოწვეული იყო ქრისტიანული რელიგიის მოძღვრების ძირითადი მორალური პრინციპების და საქართველოს ქრისტიანობის ისტორიის არ ცოდნით. მისი ადგილი დაიკავა ცრუმორწმუნეობამ, ფუნდამენტალიზმმა და ფილეტიზმმა[5] (პაპუაშვილი, 2011). ადგილი ჰქონდა

5. შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ეკლესიაში რომელიმე ეთნოსი ბატონდება და ისეთ გავლენას ახდენს მოცემული ეკლესიის ფორმაზე, შინაარსზე, მის იერარქიასა და დემოგრაფიაზე, რომ ეკლესიის საყოველთაოება და დამოუკიდებლობა იჩრდილება და ითრგუნება. იგი მწვალებლობად არის მიჩნეული, რადგან ეკლესიათა ეროვნებების მიხედვით დაყოფას გულისხმობს.

არატრადიციულ კონფესიათა დარბევას, მათი შეკრებების ძალით ჩაშლას, მრევლის ცემას და რელიგიური ლიტერატურის დაწვას, მათ შორის, წმინდა წიგნებისაც, რომელიც უბრალოდ სხვა კონფესიების მიერ იყო გამოცემული (ფანჯიკიძე და ყანდარელი, 2006). მხოლოდ 1999-2001 წლებში ადგილი ჰქონდა რელიგიური უმცირესობების შევიწროებისა და ძალადობის 700-ზე მეტ ფაქტს. ამასთან მოძალადეები არ უარყოფდნენ დარბევებში მონაწილეობას და ტელეკამერების წინაც კი საუბრობდნენ ამ ფაქტებზე (ზურაბიშვილი, 2003).

სახელმწიფოს მხრიდან პირველი ნაბიჯი ამ კუთხით იყო რწმენის, აღმსარებლობის და რელიგიის თავისუფლების გამოცხადება და მისი დაცვა. მიღებული იქნა სპეციალური კანონი, რომელიც შეეხებოდა არა მარტო პიროვნების რწმენის თავისუფლებას, არამედ, აგრეთვე რელიგიური ორგანიზაციების შექმნის, რეგისტრაციისა და ლიკვიდაციის წესს (ვაშაყმაძე და მეტრეველი, 2013). ასევე კონსტიტუციით განისაზღვრა ყველა ადამიანის თანასწორობა განურჩევლად კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა. თუმცა კანონის მიღება და მისი დაცვა არ ყოფილა იოლი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ისტორულად ყოველთვის იყო რელიგიური შემწყნარებლობის დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე ქვეყანა, 1990-იან წლებში მაინც ფიგურირებდა ექსტრემისტების მხრიდან რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტები, რომლესაც 2003 წლამდე ხელისუფლებისგან არანაირი რეაგირება არ მოსდევდა (ფანჯიკიძე და ყანდარელი, 2006).

მართალია, 1995 წლის კონსტიტუციაში განისაზღვრა რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, მაგრამ ამავე დროს გაფორმდა კონკორდატი, სადაც აღიარებული იქნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში. ხაზს ვუსვამთ, საქართველოს ისტორიაში და მიიღო გარანტია სახელმწიფოს მხრიდან მის საქმეებში ჩაურევლობის. საქართველო საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფო იყო, სადაც ეკლესია, ისევე, როგორც ყველა ინსტიტუტი სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად კონტროლდებოდა. ამას გარდა იგი ფაქტიურად რეპრესიების მსხვერპლი იყო. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კომუნისტური რეჟიმის მახასიათებელი ათეისტური ატმოსფერო ძალიან სწრაფად გაქრა და ჩაანაცვლა რელიგიურმა ტრადიციებმა, რიტუალებმა და რეგლამენტმა. მათ შორის სახელმწიფო მოხელეების პროტოკოლზე, რითაც პოლიტიკოსები ერთგვარად ცდილობდნენ საკუთარი თავი ხალხმრავალ ეკლესიასთან ასოცირებული ყოფილიყო და ამ გზით მრევლის მხარდაჭერა მოეპოვებინა. ამას გარდა, იქიდან გამომომდინარე, რომ ეკლესია საბ-

ჭოთა კავშირის პერიოდში, არამარტო კონტროლის ქვეშ იყო, არამედ განიცდიდა რეპრესიებს, როგორც ადამიანის თავისუფლებისა და სიცოცხლის ხელყოფის კუთხით, ასევე მატერიალური ფასეულობების კონფისკაციის და ხელყოფის მხრივ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გადაწყდა, ამ დანაშაულის მემკვიდრეობა ეკისრა არა საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციას, არამედ თავად მსხვერპლად ქცეულ საქართველოს. შესაბამისად, ზემოთხსენებული კონკორდატის მიხედვით, მოხდა შეთანხმება მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო კონპესაციის სახით, ეკლესიას დაუბრუნებდა მიწებს, შენობა-ნაგებობებს და სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობებს. მაგრამ არ განისაზღვრა რა რაოდენობის კონპესაცია უნდა მიეღო ეკლესიას და რა ვადაში. ამან კი მომავალში პრობლემები შექმნა იმ კუთხით, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის წარმომადგენლები იღებდნენ იმდენ მოძრავ და უძრავ ქონებას, რაც არასოდეს ჰქონიათ ისტორიის განმავლობაში. ეს კი უფრო მათი მხარდაჭერის მოპოვების მცდელობას ჰგავდა, ვიდრე კონპესაციას. ეს ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლის ნიშნებს შეიცავდა, რასაც სხვა ნაბიჯებიც მოჰყვა. როგორც თეოლოგი პაპუაშვილი წერს, მოხდა პოლიტიკური კურსის სეკულარიზმისგან დაშორება, რადგან ერთი სარწმუნოება გამოცხადდა სახელმწიფოს იდეოლოგიად და სხვა რელიგიები მეორეხარისხოვან მდგომარეობაში, დისკრიმინირებულნი აღმოჩნდნენ (პაპუაშვილი, 2011). ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობით მართლმადიდებელი ეკლესია გათავისუფლდა გადასახებისგან (ფანჯიკიძე და ყანდარელი, 2006). მეტიც, იგი ყოველწლიურად გახდა მისი დამფინანსებელი, რაც მაგალითად, წარმოუდენელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში 1918-1921 წლებში. გადასახადებისგან გათავსუფლდა ისეთი ნივთებით ვაჭრობა, როგორიც იყო ჯვარი, სანთელი, ხატი, საეკლესიო წიგნი, კალენდარი და სხვა საღვთისმსახურო საგნები. მათგან შემოსული თანხა მთლიანად მიემართება ეკლესიაში, ისე რომ სრულიად გათავისუფლებულია ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლისა და აღრიცხვისაგან (პაპუაშვილი, 2011).

დისკრიმინაციის ფონის აღმოსაფხვრელად საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრა რელიგიური ორგანიზაციების სტატუსები. მისი მიხედვით დადგინდა შექმნის საკითხი, მიენიჭათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რითაც უნდა გაადვილებოდათ მათ ორგანიზაციული თუ ფინანსური მუშაობა. დადგინდა და განისაზღვრა ორგანიზაციის რელიგიურ გაერთიანებად ჩამოყალიბების პროცედურები იმ კუთხით, რომ ისინი ან უნდა წარმოადგენდნენ საქართველოში არსებულ ისტორიულ რეგილიგიურ

ორგანიზაციებს ან უნდა იყვნენ ევროკავშირში აღიარებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამით ფაქტიურად ახალი რელიგიური ორგანიზაციების გამოგონება, შეთხზვა და შექმნა გამოირიცხა (მეტრეველი, 2012).

ცვლილებები შევიდა განათლების შესახებ კანონშიც. რადგან 1990-იანი წლების რელიგიური ეიფორიის ხანაში, მასობრივად იყო შეთხვევები, როდესაც სკოლებში სპეციალურ გაკვეთილებს ატარებდნენ მართლმადიბელი ეკლესიის სასულიერო პირები, ხდებოდა ამავე რელიგიის ლოცვების კითხვა იმ კლასებში, სადაც არამართლმადიდებელი ეკლესიის მშობლების შვილებიც სწავლობდნენ. მოეწყო სკოლებში სალოცავი ადგილები და სკოლის მიმდებარედ ან ეზოშიც კი, სადაც მანამდე ბავშვების საფეხბურთო მოედანი იყო, აშენდა ეკლესიები. ხდებოდა ორგანიზებულად მოსწავლეების ეკლესიებში გადაყვანა ან მოწოდება ლოცვების წასაკითხად. და ეს იმ ასაკში, როდესაც ბავშვებს შესაძლოა არანაირი რელიგიური აღქმა არ შეიძლება ჰქონოდათ. სამწუხაროდ, პროზელიტიზმი და იდოქტრინაცია მხოლოდ რელიგიური უმცირესობებით დასახლებული რეგიონის სკოლების პრობლემა არ არის (Liberali.ge, 2013). ამიტომ ახალი კანონის მიხედვით, სააღმზრდელო დაწესებულებები დამოუკიდებლებად გამოცხადდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისგან და მსგავსი იძულებითი ლოცვები და ქადაგებებზე დასწრება აიკრძალა. გაუქმდა რელიგიის სწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. აღარ მოხდა მიღება ივ. ჯავახიშვილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიათმცოდნეობის კათედრაზე, სადაც რელიგია არა როგორც მეცნიერება, არამედ მხოლოდ მართლმადიდებლური კუთხით ისწავლებოდა (ფანჯიკიძე და ყანდარელი, 2006).

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავდა, რომ რელიგიური საქმიანობისთვის ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, მაინც ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მართლმადიდებელი ექსტრემისტები თავს ესხმოდნენ რელიგიურ უმცირესეობებს. მსგავს ფაქტებზე არანაირი რეაგირება არ ხდებოდა სამართალდამცავების მხრიდან 2005 წლამდე (თავისუფლების ინსტიტუტი, 2002). ხელისუფლება რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. სახეზე იყო ამჯარა რელიგიური შეუწყნარებლობა, რომელიც არათუ ჭრიდა რელიგიურ უმცირესობათა „პრობლემას", არამედ უფრო ამწვავებდა. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზაზე

მსგავსი რელიგიური ფუნდამენტალიზმი აშკარად დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. ამ მიმართულებით ხელისუფლებას ეკლესიამაც დაუჭირა მხარი, მათ საკუთარი რიგებიდან განდევნეს ფუნდამენტალისტურად განწყობილი რელიგიური ჯგუფები და დაგმეს ქრისტეს სახელით ყოველგვარი ძალადობა. ხელისუფლებამ ამ მომენტით ისარგებლა, აღკვეთა რელიგიური დაპირისპირებები, დარბევები და ყველაზე რადიკალური ჯგუფის ხელმძღვანელები დააკავა (ფანჯიკიძე და ყანდარელი, 2006). ეს ღონისძიება ეკლესიისგან განკვეთილი მრევლის ძლიერი ფიზიკური წინააღმდეგობის ფონზე მოხდა, რასაც სპეცნაზის გამოძახება, განკვეთილი ეკლესიის შენობის იძულებით აღება და წინააღმდეგობის გამწევ მრევლზე, მათ შორის ქალებზე, ფიზიკური ძალადობა მოჰყვა. რელიგიური შუღლის აღმოფხვრა ხელისუფლებას მძიმედ დაუჯდა, რადგან აღნიშნული სპეცოპერაცია მოსახლეობაში ისე გავრცელდა, თითქოს ხელისუფლება ეკლესიის და მმვიდობიანი მრევლის წინააღმდეგ მოქმედებდა (Ambebi.ge, 2016). ფაქტია, რომ ამ მოვლენების შემდეგ ხელისუფლებამ აღკვეთა რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ჩადენილი დანაშაულებები. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა შექმნა „რელიგიათა საბჭო", რომელიც რელიგიური ორგანიზაციების ფართო სპექტრის წარმომადგენლებით შედგებოდა და მონიტორინგს უწევდა საქართველოში რელიგიური თავისუფლების ხარისხს. ასევე კანონიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც რელიგიური ორგანიზაციებს უკრძალავდა არა რელიგიური საქმიანობის განხორციელებას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას (საქართველოს მთავრობა, 2006).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია, საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ მრავალი ნაბიჯი გადადგა სეკულარული სახელმწიფოს შენებისთვის, მაგრამ ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციებს მაინც დიდი გავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, სხვადასხვა რელიგიის სასულიერო პირები ხშირად იყენებდნენ მრევლის ნდობას და ერეოდნენ პოლიტიკურ პროცესებშიც (სიგუა, 2012). ეს კი ვფიქრობთ, მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანია არა მხოლოდ სახელმწიფოსთვის, არამედ თავად რელიგიური ორგანიზაციებისთვისაც.

ეთნიკური უმცირესობები

კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 83,9% ეთნიკურად ქართველია. 6,5% - აზერბაიჯანი, 5,7% - სომეხი, 1,5% რუსი და 2,5% სხვა დანარჩენი, მათ შორის ოსი, ბერძენი, ქურთი, ასურელი, ჩეჩენი (საქართველოში ცნობილი როგორც ქისტი), ებრაელი, უკრა-

ინელი, პოლონელი, და ა.შ. ეთნიკურად აზრებაიჯანელი და სომეხი მოსახლეობის დიდი ნაწილი კონცენტრილებულნი არიან სამხრეთ საქართველოში, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიებზე. თუმცა წარმოდგენილები არიან ასევე კახეთში, შიდა ქართლში, თბილისში და ბათუმში (სორდია, 2012).

ასეთი ეთნიკური მრავალფეროვნების ფონზე, 2008 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება მონო-ეთნიკური ქვეყანა. საქართველო ყველას სამშობლოა მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010). როგორც ჩვენ ვხედავთ, მთავრობამ აცნობიერებდა საქართველოს კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას და გადაწყვიტა ამ საკითხისთვის მნიშველოვანი ყურადღება დაეთმო. შესაბამისად ახალ კონსტიტუციაშიდაც ხაზი გაესვა უმცირესობათა უფლებების გარანტიებს და მკაცრად აიკრძალა ეთნიკური თუ რელიგიური დისკრიმინაცია. ამის მიუხედავად, ყველა ეთნიკური უმცირესობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია მაინც ძირითად გამოწვევად რჩებოდა. განსხვავებული იყო ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის დონე რეგიონების მიხედვით. მაგალითად, იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, მთავარი პრობლემა პირდაპირ უკავშირდებოდა ქართული ენის ცოდნის დონეს. საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგად, ისინი საკუთარი რეგიონის გარეთ კომუნიკაციის დროს ძირითადად რუსულ ენას იყენებდნენ. რუსული ენა ასევე იყო ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის ენა, თუმცა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ცენტრში იგზავნებოდა, ქართულ ენაზე ითარგმნებოდა. სახელმწიფო ენის ფლობის მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო დისპერსულ დასახლებებში, განსაკუთრებით თბილისში, სადაც ეთნიკურ უმცირესობათა უმეტესობისთვის ქართულის ცოდნა მშობლიური ენის ტოლფასი იყო (სორდია, 2012). ამ პოლიტიკის გასააზრებლად, საქართველომ 2005 წელს მოახდინა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის" რატიფიცირება, ხოლო 2009 წელს მიიღო „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა". „უმცირესობათა უფლებების დაცვის საერთაშორისო ჯგუფის" თანახმად, „პროგრესი მიღწეული იქნა ორი მიმართულებით. ერთი, დაიწყო ეროვნულ მედია საშუალებებში უმცირესობათა ენების გამოყენება და მეორე, დაიწყო ქართული საინფორმაციო პროგრამების თარგმნა". პრეზიდენტის ფაქტიურად ყოველთვის ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა რელიგიურ და ტრადიციულ ცერემონიალებს და მუსულმანური დღესასწაული „ნორ-

ვუზ ბაირამი" საჯარო დღესასწაულადაც გამოცხადდა. მთავრობამ დაიწყო უმცირესობების პატივისცემის ხელშეწყობა და იგი ახალი სკოლის სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილად აქცია. ეს კი საზოგადოების მიმართ სრულიად ახალ დამოკიდებულებას გულისხმობდა. შედეგად, გაუმჯობესდა უმცირესობათა განათლების ხელმისაწვდომობა. მოხდა მისაღები გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების შემუშავება უმცირესობათა ენებზე და გამოეყოთ კვოტები ეთნიკურ აზერბაიჯანებს და სომხებს 5-5%, ხოლო აფხაზებსა და ოსებს 1-1%. ამავე დროს, 2006-2010 წლებში რეაბილიტირებული იქნა 28 სომხური, 28 აზერბაიჯანული და 84 სხვა არაქართულენოვანი სკოლა. საერთო ჯამში 2,131 საჯარო სკოლიდან 350 არაქართულენოვანი სკოლას წარმოადგენდა. პარალელურად, მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ყველა საგანმანათლებლო დონეზე. ამ საკითხს დიდი პოლიტიკური მნიშველობა ჰქონად განათლების სამინისტროსთვის და იგი პრიორიტეტად იქცა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო უმცირესობების სრულფასოვანი ჩართვა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (საქართველოს მთავრობის გამოცემა, 2010).

მნიშვნელოვნად გაიზარდა საარჩევნო პროცესში უმცირესობების მონაწილეობაც. სამხრეთ საქართველოში კომპაქტურად დასახლებული სომხური და აზერბაიჯანული თემები ტრადიციულად ითვლებოდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშად დარღვევების ადგილად. პრობლემის მოგვარების მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეუწყობდა ხელს საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობის გაზრდას, როგორც უბანზე, ასევე რაიონულ დონეზე. ამისათვის უმცირესობათა ენებზე გამოიცა საარჩევნო კანონმდებლობის სპეციალური სახელმძღვანელო და ჩატარდა პერსონალის ყოვლისმომცველი გადამზადება. ასევე, ადგილობრივი ტელევიზიების მეშვეობით უმცირესობათა ენებზე მიმდინარეობდა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია. და ბოლოს, უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ამომრჩევლებს მიეცათ შესაძლებლობა ხმა მიეცათ ორენოვანი საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით (საქართველოს მთავრობა, 2006).

მთავრობამ სჯეროდა, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის წარმატება პირდაპირ უკავშირდებოდა მათ ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრირებას. წვრილმანი ეკონომიკური საკითხების გამო სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას სომხეთში და აზერბაიჯანში გადასვლა უფრო უიოლდებოდა, ვიდრე დანარჩენ საქართველოსთან და თბილისთან დაკავშირება, რადგან 1990-იან წლებში

ინფრასტრუქტურა მთლიანად მოიშალა. საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების სპეციალური პროგრამები, ძირითადად, საქართველოს უმცირესობათა ჯგუფების მიერ დასახლებულ რეგიონებში. განხორციელებულმა პროექტებმა მართლაც გაზარდეს მობილობა და წაახალისა ეკონომიკური განვითარება. განხორციელდა თბილისი-ჯავახეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. მოხდა ძირითადი და შიდა გზების სრული რეაბილიტაცია, რაიონულ ცენტრებსა და სოფლების უმეტესობაში გაყვანილ იქნა გაზის მილები და ელექტრომომარაგებაც. 2007 წლიდან ახალქალაქიდან რუსული ბაზის გასვლის შემდეგ, სადაც დასაქმებულნი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი, მთავრობამ დაიწყო სურსათის შესყიდვა ადგილობრივი ფერმერების შემოსავლის დანაკარგის ასანაზღაურებლად. გარდა ამისა, ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენამ დამატებითი სტიმული გახდა საქართველოს უმცირესობათა დასახლებების ეკონომიკური განვითარებისათვის (საქართველოს მთავრობა, 2006). და ბოლოს, ახალციხეში „რაბათის ციხის" რეაბილიტაციამ რეგიონი ტურისტებისთვის ერთ-ერთი დიდ მიზიდულობის ცენტრად აქცია, რამაც ადგილობრივ მოსახლეობის ცხოვრებას ახალი სიცოცხლე შესძინა (იველაშვილი, 2012).

როგორც ვხედავთ, ხელისუფლებას მკაფიოდ განსაზღვრული ჩამოყალიბებული პოლიტიკა გააჩნდა სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით. სახელისუფლებო დონეზე შეიქმნა მთელი რიგი სტრუქტურები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დღესაც ჩართულნი არიან ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებაში. ეს კი მკაფიოდ მიუთითებს საქართველოს მთავრობის ნებაზე გაეუმჯობესებინა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხი (სორდია, 2012).

ქალთა მოძრაობის მესამე ტალღა

ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო ემანსიპაციის პრობლემა საქართველოში ისე მწვავად არ დამდგარა, როგორც სხვა საკითხები. ამას განაპირობებდა ის, რომ ევროპის იდეის შემოსვლასთან ერთად ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ჩვენ მასზე ზემოთ გვქონდა საუბარი. იგი განვითარდა და ხელშესახებ შედეგებსაც მიაღწია მე-20 საუკუნის დასაწყისში, რა დროსაც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდში მიაღწია სახელმწიფოს მხრიდან სრულ პოლიტიკურ და სამოქალაქო თანასწორობის აღიარებას. ამას გარდა, მიუხედავად

იმისა, რომ საქართველოში იმ მასშტაბის ფემინისტურ მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია, რაც იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კომუნისტური მოძრაობისთვისაც თანდმდევი საკითხი ყოვეთვის იყო ქალთა უფლებრივი ბრძოლა. შესაბამისად, თუ საბჭოთა კავშირმა ევროპის იდეას გზა დაუკეტა, ქალთა ემანსიპაციისთვის ხელი არ შეუშლია. ამიტომ 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო თანასწორობის უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა და უკვე როგორც შემდგარი ფაქტი ისე მოგველინა. საკითხი ეხებოდა **ქალთა კულტურულ ემანსიპაციას,** რასაც საქართველოში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის მესამე ტალღა მოჰყვა, განსაკუთრებით კი მოდერნიზაციის და ევროპის იდეის მესამე ტალღის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2003 წლიდან.

საქართველოში საზოგადოებრივი აზრი ტრადიციულად მიიჩნევს, რომ ქართული კულტურა ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩევა და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ამ ქვეყნისთვის უცხოა (ხომერიკი, 2003). თუმცა გენდერული საკითხების მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს გამოწვეულია სწორედ მასკულანური კულტურით, სადაც მამაკაცს ქალზე უპირატესად მიაჩნია თავი და ეს „პატივისცემა“ სწორედ ქალზე მზრუნველობის აუცილებლობით გამომდინარეობს. გენდერულ საკითხთა ქართველ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ნიშნავს ჰქონდეთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობდნენ როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ასევე კულტურული განვითარების პროცესში და თანაბრად სარგებლობდნენ საზოგადოების მიღწევებით, შესაძლებლობებით და რესურსებით. ხაზგასასმელია, რომ გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას. პირიქით, დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, განსხვავებული მოთხოვნილები და ცხოვრების წესი. ამის მიუხედავად, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. შესაბამისად, 2000-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ზოგიერთი ტრადიციული შეხედულებისა და ღირებუების ცვლილება. ამაში იგულისხმება მაგალითად, ის დამოკიდებულება, რომ ოჯახში „ცოლ-ქმარი მუშაობს, მაშინ ოჯახში მოვალეობანი თანაბრად მაინც არ უნდა განაწილდეს“. დამკვიდრებული კულტურული სტერეოტიპების მიხედვით, ორმაგი დატვირთვის გამო

ქალს ჰქონდა სამსახურებრივი კარიერისა და საოჯახო მოვალეობების შეთავსების პრობლემა. ქალის პროფესიულ კარიერას ოჯახის მხრიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უნდა შექმნოდა პრობლემა, თუ ის მეუღლისა და დედის როლის შესრულებას არ უშლის ხელს. ამ პასუხისმგებლობის მამაკაცზე გადანაწილება წარმოუდგენლად ითვლებოდა. შესაბამისად, თავისუფლება, ძალა, წარმატება, შეუზღუდავი არჩევანის უფლება ქართულ ცნობიერებაში მხოლოდ მამაკაცის პრეროგატივად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციაში მოგებული არავინაა, რა თქმა უნდა, არც მამაკაცები. მსგავსი ტრადიციული გენდერული როლი მამაკაცს კი არ ათავისუფლებს, ზღუდავს, რადგან კაცისთვის წარმატების მიღწევა მხოლოდ ძალაუფლებისა და ბევრი ფულის შოვნას გულისხმობს. ეს კი ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის პირობებში მამაკაცთა უმრავლესობისთვის საკმაოდ რთულია. სწორედ ეს ნამდვილი მამაკაცურობის სტერეოტიპი უბიძგებს მამაკაცს იყოს აგრესიული მაშინაც კი, როდესაც მას ამის სურვილი არ აქვს. გარდა ამისა ისინი ნაკლებ დროს ატარებენ ოჯახში და ნაკლები სრულფასოვანი ემოციური კავშირი აქვთ შვილებთან. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში მამაკაცთა ცხოვრების ასაკი თითქმის 10 წლით პატარაა ვიდრე ქალის. თვითმკვლელთა შორის 80% მამაკაცია, ნარკომანთა 97% მამაკაცია, ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულთა 99% მამაკაცია, მსჯავრდებულთა 95% მამაკაცია. სწორედ ამ მძიმე შედეგების მომტანი სტერეოტიპებისა და ნორმების გადაფასება დაიწყო 2000-იანი წლების დასაწყისიდან. დაირღვა მამაკაცისა და ქალის ტრადიციული სტერეოტიპი, შეიცვალა ოჯახისადმი დამოკიდებულებაც და გამოიკვეთა ინდივიდუალობის წინ წამოწევის ტენდენცია. შეიცვალა შვილებისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულება, ქალის როლისა და ფუნქციის შესახებ ტრადიციული შეხედულება (ხომერიკი, 2003). გამკაცრდა დამოკიდებულება საცოლის მოტაცების მიმართ, რაც მანამდე საკმაოდ გავრცელებული და სავსებით მისაღებ დაქორწინების ფორმას წარმოადგენდა ურბანულ დასახლებებშიც კი, მათ შორის თბილისში. ეს ტრადიცია პოლიციის მხრიდან დაუყოვნებლივი რეაგირებისა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის რისკის გამო თანდათაობით დავიწყებას მიეცა. ქალები გააქტიურდნენ, როგორც ეკონომიკურ ასევე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე. 1999 წელს პირველად აირჩიეს ქალი პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც ორჯერ შეასრულა პრეზიდენტის მოვალეობა 2003 და 2007 წლებში. ასევე ასპარეზზე გამოვიდნენ სხვა პოლიტიკური პარტიების ქალი ლიდერები. ამ პერიოდში პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ძლიერი ზემოქმედება იქონია ქალებზე. ბევრ ოჯახში სწორედ ქალი გახდა მთავარი მარჩენალი

მისი ადაპტაციისა და გადარჩენის უნარის წყალობით. მოდერნიზაციის პროცესმა ქალს მეტი შესაძლებობები მისცა თვითრეალიზაციისთვის. ამის მიუხედავად, ქალების სრული ემანსიპაცია და ჩართვა დემოკრატიზაციის პროცესში მაინც არ განხორციელებულა იმ მასშტაბით რაც საჭიროა. ეს იმითაც აიხსნება, რომ ქალთა მოძრაობამ ვერ შეძლო კონსოლიდირება და თავისი ამოცანების ეფექტურად ჩამოყალიბება. გენდერული საკითხების მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ქალებისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია ის მნიშვნელოვანი არხები, რისი საშუალებითაც თავიანთ წვლილს შეიტანდნენ ქვეყნის სრულ მოდერნიზაციაში. მიიჩნევენ, რომ საქართველოში აშკარად შესამჩნევია ფარისევლური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის პრობლემატიკისადმი. ისე ჩანს, რომ ქალის უფლებათა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები დაცულია, მაგრამ რეალურად არ არსებობს ეგენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი ეფექტური სახელმწიფო მექანიზმი, რის გამოც კვლავ აქტუალურია ისეთი თემები, როგორიცაა ქალზე ძალადობა, ფემიციდი და დისკრიმინაცია მხოლოდ იმის გამო განსხვავებული გენდერია (საბედელაშვილი, 2007).

რევოლუციური მოდერნიზაციის კრიტიკული ანალიზი

ზემოთ ნათქვამის მიხედვით, პრეზიდენტი სააკაშვილი რევოლუციის გზით მოვიდა ხელისუფლებაში. ამის აუცილებლობა თავად წინამორბედმა ხელისუფლებამ განაპირობა, რადგან ადგილი ჰქონდა არჩევნების მასობრივ გაყალბებას და პირველ ადგილზე გასული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" გამარჯვების უხეშად ჩამორთმევას. რევოლუციურ ტალღაზე კი ქვეყნის პირველ პირს მოსახლეობამ 97%-ით გამოუცხადა ნდობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აბსოლუტურად ყველა მოქალაქე მზად იყო დაეწყო სრულიად ახალი ცხოვრება. როგორც აღვნიშნეთ რეფორმების ტალღა ყველა სფეროს შეეხო, რაც წარმოუდგენელი იყო არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის გარეშე. ამას ისიც დაერთო, რომ რეფორმებს ზოგიერთ შემთხვევაში თან ახლდა შეცდომები. ყოველივე ამან მოსახლეობის პოლარიზება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ორი საპარლამენტო არჩევნების პერიოდში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" მოიგო ყველა საპრეზიდენტო და თვითმმართველობის არჩევნები და მეორე ადგილზე გასულ პარტიას ყოველთვის თითქმის ორჯერ აღემატებოდა, ქვეყანაში ოპოზიციური მუხტი მაინც ყოველთვის დიდი იყო. ადგილი ჰქონდა ისეთ გამოსვლებსაც, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოებრიობასაც კი. გადატრიალების და არეულობის მცდელობას ხელისუფლებაც ხისტი

მეთოდებით პასუხობდა, რასაც მოსდევდა ადამიანის უფლებების დარღვევა და კრიტიკის კიდევ უფრო დიდი ტალღა. ჩვენ მოდერნიზაციის კრიტიკულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს შევეხებით.

პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის გზაზე ვარდების რევოლუციის ძირითადი კრიტიკა ეხება ისეთ შეცდომებს, რომელიც აფერხებდა დემოკრატიზაციისკენ მიმავალ გზას და იწვევდა ევროპული ღირებულებებისადმი გვერდის ავლას. პრეზიდენტი საკაშვილის მიმართ ძირითადი პრეტენზიები იმაში გამოიხატებოდა, რომ მას დიქტატორული მიდრეკილებები გააჩნდა. ეს კი ძირითადად გამოიხატა 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომელმაც დაარღვია ხელისუფლების მტოებს შორის ბალანსი და წონასწორობის მექანიზმები. ფაქტიურად დაკანონდა პრეზიდენტის განუსაზღვრელი და უკონტროლო ძალაუფლება. მეტიც, სასამართლო ხელისუფლებამ სრულად დაკარგა მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული დამოუკიდებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. სასამართლო პროცესების დიდი ნაწილი ადმინისტრაციული და პროცესუალური კანონების დარღვევით მიმდინარეობდა. პრაქტიკა აჩვენებდა, რომ სასამართლო რეალურად პროკურატურის ბრძანებებს ასრულებდა. ამის შედეგია 2006 წლის Human Rights Watch-ის ანგარიში, სადაც წერია, რომ საქართველოს მთავრობას თითქმის არ გააჩნია არსებითი საფუძველი, იამაყოს კანონის უზენაესობითა და ადამიანის დაცვის სფეროში მიღწეული წარმატებებით (ნოზაძე, 2007).

საქართველოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მიღწეული წარმატებების გასაზომად ოპოზიციონერი თ. ხიდაშელი ამოსავალ წერტილად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოსთან დადებულ ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმას იყენებს. ეს სწორედ ევროპის იდეის ის პრაქტიკული გამოვლინებებია, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ. პირველ რიგში ესაა კანონის უზენაესობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ადამიანის უფლებების პატივისცემა. მისი ნაშრომი დაეყრდნო საქართველოში მოქმედი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების და საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებს და მოხსენებს. ასევე, ევროკომისიის ანგარიშებს, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოში არსებობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უკიდურესად დაბალი ხარისხი. ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და დროებით მოთავსების იზოლატორებში დაფიქსირდა არაადამიანური და ღირსების დამამცირეველი მოპყრობის გახშირებული ფაქტები (ხიდაშელი, 2011), საკნების გადატვირთულობა და პატიმართა მაღალი

სიცვდილიანობა (კობახიძე, 2012). ამასთან კრიტიკის საგანი გახდა ხელისუფლებისგან გამოჩენილი შეუწყნარებლობა მოქალაქეების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებით სარგებლობის დროს, რა დროსაც განხორციელდა მომიტინგეების მიმართ პოლიციელთა მხრიდან ძალადობის და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. ამ შემთხვევებში ხიდაშელი აფიქსირებს იმ ფაქტებსაც, რომ დემონსტრანტების მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ჯოხებით დავდასხმას, პოლიციის შენობის პიკეტირებას და სხვ. თუმცა მისი კრიტიკის ობიექტი პოლიციის არაპროპორციული ძალის გამოყენებაა, რაც სხვა შემთხვევაში ნაკლები აგრესიულობით უნდა გამოხატულიყო (ხიდაშელი, 2011).

კიდევ ერთი კრიტიკის ობიექტი პრესის თავისუფლების ხარისხი იყო. საქართველო ამ კუთხით მსოფლიოში 120-ე ადგილს ვერ აცდა და ნაწილობრივ თავისუფალ კატეგორიაში გადიოდა (ბლუაშვილი, 2010). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობდა უამრავი რადიკალურად ოპოზიციურად განწყობილი პრესა, ჟურნალ-გაზეთები, რადიოები და ტელეარხები, ასევე სრულიად თავისუფალი იყო სოციალური ქსელები და ინტერნეტი ყოველგვარი შეზღუდვებისასგან, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო თავისი სათქმელის მოსახლეობამდე მიტანა, გარკვეული ფაქტები მაინც სასიკვდილოდ ურტყამდნენ პრესის თავისუფლებას. ეს იყო ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და მფლობელების შეცვლა, ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ტელევიზიების დაფინანსების წყაროების გაუმჭვირვალობა, რომლებიც სახელისუფლებო პოლიტიკის აგიტაციას ეწეოდნენ, „მე-9 არხის“ და „მაესტროს“ შეზღუდვა სატელიტური ანტენების გავცელების აკრძალვის გზით (ცქიტიშვილი, 2012).

ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციის გზაზე წარმოჩენელი შეცდომებიდან გამოვარჩევთ იმ ნაწილს, რომელიც მეტნაკლებად ექვემდებარება ხელშესახებ ფაქტებს და შესაძლებელია მათი ზოგადი ანალიზი. ჩვენ არ შევეხებით იმ უამრავ ჭორს ან დაუდასტურებელ ვერსიებს, რომელიც ოპოზიციის მხრიდან ხშირად შავი კამპანიის ნაწილი იყო. ასეთებია, მაგალითად ბენზინის ბიზნესიდან ლარი მთავრობის წილია, საპყრობილემა 9 მილიარდი გადამალა, დენის ტარიფი ხელოვნურადაა გაზრდილი და ა.შ. არცერთი მათგანი ხელისუფლების ცვლილების შემდეგ არათუ არ გამხდარა გამოძიების საგანი, არამედ საერთოდ მივიწყებულ იქნა. ასე, რომ თუ კრიტიკოსთა აზრს განვიხილავთ, დავასკვნით, რომ ეკონომიკის დარგში მათი ძირითადი პრეტენზია ეხება იმას, რომ განხორციელებული რეფორმების და მსოფლიო რეიტინგებში ნახტომისებური მაჩვენებელების მიუხედავად, მაინც მთავარ პრობლემად დარჩა უმუშევრობა და სიღარიბე. ამ

მაჩვენებლებით საქართველო ევროპაში თითქმის ყველაზე ღარიბ ქვეყნად დარჩა სომხეთისა და მოლდოვას გვერდით. „ეკონომიკისა და სოციალური კვლევის კავკასიის ინსტიტუტის“ მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ დასაქმება და უმუშევრობა კვლავაც აქტუალური პრობლემაა, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ძირითადი თემების წინ წამოწევა და მათი დროული გადაჭრა. მთავრობა წლების მანძილზე ახორციელებდა დასაქმებისა და უმუშევრობის დაძლევის პროგრამებს, მაგრამ ფაქტია, მათ რეალური შედეგები არ მოუტანიათ (CIESR, 2013). მართალია, ბიუჯეტი დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ამას კრიტიკოსები კორუფციის აღმოფხვრას და არა ეკონომიკის ზრდას უკავშირებენ. ამასთან მათი თქმით, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბიუჯეტის შევსება ხდებოდა რეკეტის გზით. უფრო კონკრეტულად კი, გადასახების აკრეფის მაჩვენებელების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა საგადასახადო პოლიცია, რომელიც საგანგებო უფლებებით აღიჭურვა. მაგალითად, გადასახადების გადაუხდელობის ექვის შემთხვევაშიც კი, მას უფლება ჰქონდა კომპანიის ან ნებისმიერი გადასახადის გადამხდელის ქონება და ანგარიშები დაეყადაღებინა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ამასთან საგადასახო ორგანოს უფროსის ან მისი მოადგილის გადაწყვეტილებით შესაძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის ანგარიშიდან გადასახადის, საურავის ან ჯარიმის თანხების ჩამოწერა ან თუნდაც სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება. ხოლო ფინანსური საბუთების შემოწმების პერიოდში შეეჩერებინათ საწარმოს საქმიანობა. საგადასახო პოლიციის ასეთი უფლება, რომელსაც პრაქტიკაში ხშირად მიმართავდნენ აფერხებდა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საერთოდ არ აკოტრებდა მას. ამას გარდა მსგავსი მიდგომა საზოგადოებისთვისაც საშიშად გადაიქცა, რადგან ეს სამსახური პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად გადაიქცა (ახალი ეკონომიკური სკოლა, 2007). მაკფარლეინის ანგარიშში ვკითხულობთ: „ანეკდოტური მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა ზრდის კერძო ბიზნესის მკაცრ მეთვალყურეობას და ფინანსური პოლიციის გამოყენებით მათგან დამატებით გადასახადებს იღებს. ეს პრაქტიკა ზრდის შემაშფოთებელ კითხვებს სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე საკუთრების უფლების მიმართ (იხ. ქვემოთ) და ძნელად სავარაუდოა, რომ ეკონომიკური ზრდა მოხდეს ბიზნესმენთა რეინვესტირების გზით“ (მაკფარლენ ს. ნ., 2011). ამას გარდა, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი რეფორმატორი და პრემიერ-მინისტრი 2009-2012 წლებში ნიკა გილაური თავის წიგნში მკაფიოდ წერს, რომ „მთავრობის ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ მან დროულად არ მოახდინო სასამა-

რთლო სისტემის სრული რეფორმა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებები იქნა მიღებული, ტემპი იყო ძალიან ნელი და შედეგები ნაკლებად გამოჩნდა. მაგალითად, 2010 წელს, სასამართლოში წარმოებული საქმეების 98%, როგორც სისხლის ასევე, სამოქალაქო სამართალში, მხოლოდ პროკურორების სასარგებლოდ გადაწყდა. ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა პროკურატურის მხრიდან ძალაუფლების გადამეტება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ადგილობრივ ბიზნესს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიაში ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ბიზნესი გადასახადების გადახდას სწავლობდა, ამიტომ ხანდახან პროკურატურის მოთხოვნა სამართლიანი იყო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იყო შემთხვევები, როდესაც მიდგომა იყო უკიდურესად სასტიკი და არასამართლიანი. შედეგად, ხალხს გაუჩნდა იმედგაცრუება პროკურორის სისტემის მიმართ" (გილაური, 2017). ჟურნალისტებმა 140 კაციანი სიაც გამოაქვეყნეს, სადაც ფიგურირებდნენ ის ბიზნესმენები, ვინც ფინანსური დარღვევების გამო სისხლის სამართლით აგეს პასუხი. შესაძლოა ერთი შეხედვით ეს ის რაოდენობა არაა, რაც განსაზღვრავდა ქვეყნის ბიუჯეტის ბედს, მაგრამ როდესაც მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება, საზოგადოებაში ჩნდება განცდა დაუცველობის, უსამართლობისა და არასტაბილურობის (მაკფარლეინი, 2011). კრიტიკოსთა აზრით, ხელისუფლების პერიოდში გაძლიერდა მონოპოლიები, რომლებიც ძირითადად იმპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი. ოპოზიციის თქმით, მათ ხელისუფლების მაღალჩინოსნები უმაგრებდნენ ზურგს. გაჩნდა ტერმინი „ელიტური კორუფცია", რაც ერთგვარ ბუნდოვან შინაარს ქმნიდა, რადგან რთული იყო მინისტრთა კაბინეტიდან დასახელებულიყო, რომელიმე მთავრობის წევრი, რომლის კორუფციაში დადანაშაულება მოხდებოდა. სამაგიეროდ სახელდებოდნენ ხელისფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები ან ხელისუფლებიდან ბიზნესში წასული პირები (ბურაკოვა, 2012).

ზემოთ ნახსენები 2005 წლის "The Heritage Foundation" და "The Doing Business" მონაცემებით, სადაც საქართველო რეფორმების კუთხით დადებითად იქნა შეფასებული, ასევე აღნიშნული იყო მისი კრიტიკაც. ეს ძირითადად კერძო საკუთრების უფლების დაცვას და შერჩევით მართლმსაჯულებას ეხებოდა (ახალი ეკონომიკური სკოლა, 2007). ეკონომისტი ვ. პაპავა ეკონომიკური რეფორმების შეცდომებიდან სწორედ დეპრივატიზაციას და კერძო საკუთრების ხელყოფას გამოარჩევს. ეს ნიშნავდა, როდესაც დეპრივატიზებული ობიექტები ჩამოერთვა მესაკუთრეებს იმ მოტივით, რომ პრივატიზაციის პროცესში შეცდომები იქნა დაშვებული და ისინი თავიდან იქნა პრივატიზაციაზე გამოტანილი. კერძო საკუთრების ხელყოფა კი საბაზრო ეკონომი-

კის ფორმირებასა და განვითარებაზე მომაკვდინებლად მოქმედებს. არადა კერძო საკუთრების ხელყოფა გამოიხატა არა მხოლოდ მათ ჩამორთმევაში, არამედ შენობა-ნაგებობის ნგრევაშიც. პაპავას თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეებს საკუთრების და მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტებიც გააჩნდათ, მაგრამ ხელისუფლება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მოტივით მას ყურადღებას არ აქცევდა (პაპავა, 2011).

და ბოლოს, საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევები წარმოშვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა. პროცესებზე პოზიტიური გავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნების ფინანსურმა დახმარებამ, რომელმაც ჯამში 4,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. გამოდის საქართველოს თითო მოსახლისთვის საშუალოდ 1,000 აშშ დოლარი გამოიყო. მიუხედავად ამისა, ეკონომიკურმა ზრდამ 2007 წლის 12,3%-დან 2,3%-მდე დაიკლო. ხოლო 2009 წელს მხოლოდ 3,9%-მდე გაიზარდა. მთავრობის შეფასებით, ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 2010 წლიდან დაფიქსირდა. მშპ-ის ზრდის ძირითადი მაჩვენებელი 2007 წლის 1,75 მილიარდი აშშ დოლარიდან 2009 წელში 658 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა (მაყფარლეინი, 2011).

თუ ვარდების რევოლუციამდე სახელმწიფო სისტემა იმდენად მოშლილი და არაფრის მკეთებელი იყო, რომ საზოგადოება ვერც გრძნობდა მათ არსებობას, საკაშვილის პერიოდში ყველა სახელმწიფო სტრუქტურა იმდენად გაძლიერდა, რომ გაჩნდა განცდა მოქალაქის მნიშვნელობის დაკნინების. კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტები; ბიზნესის კონტროლის მცდელობა; ხისტი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც არ გამოიწვია საშუალო ფენის მასშტაბური ზრდა; ოპოზიციური მედიის განვითარების ხელოვნურად შეფერხება; მართული სასამართლო; ოპოზიციონერი აქტივის დაშინება, მუქარა, ზეწოლა; პოლიტიკური კრიზისების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტება; პოლიციის მხრიდან ჩადენილი კრიმინალური შემთხვევების დაფარვის მცდელობა; მასობრივი თვალთვალი და მიყურადება; ციხეში ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა - ეს ის პრეტენზიებია, რომლის განცდაც სამართლიანად თუ უსამართლოდ არსებობდა საქართველოში და სწორედ ამ განცდის გამო შეიძლება ითქვას რომ სახელმწიფომ გადაწონა მოქალაქე და სწორედ აქ აცდა მოდერნიზაცია ევროპის იდეას. ამიტომ უწოდებდა საკაშვილის მართველობის პერიოდს ოპოზიცია „ფასადურ დემოკრატიას“, რადგან მიაჩნდათ, რომ კვლავაც არ იყო ღირებული ადამიანი, მისი სიცოცხლე, ინდივიდუალობა და ბედნიერება (ნოზაძე, 2007).

მოდერნიზაცია და ევროპის იდეა ციფრებში

როგორც ჩვენი კვლევიდან ჩანს საქართველომ გაიარა ევროპის იდეის და მოდერნიზაციის სამი ტალღა. ამ ხნის განმავლობაში ევროპის იდეას ზოგადი იდეოლოგიური ხასიათის გარდა კონკრეტული მაჩვენებლები დაემატა. უკვე შესაძლებელია და გაზომვადია ციფრებით თუ რა სახით არის წარმოდგენილი ჩვენს პირველ თავში ასახული ღირებულებები პრაქტიკაში. დემოკრატია უკვე აღარ არის მხოლოდ ჰაეროვანი ფრაზა და კანონის უზენაესობაც შესაძლებელია ციფრებში აისახოს. ისევე როგორც ყველა სხვა მათგანი. ამიტომ ჩვენ კვლევის ამ ნაწილში ვნახავთ თუ რა შედეგები გამოიღო ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის სამმა ტალღამ, რომელსაც მრავალი ადამიანის ფასდაუდებელი შრომა, ბრძოლა, ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი შეეწირა. განხორციელდა კი მოდერნიზაცია და ევროპის იდეა იმ კუთხით, რისკენაც მიისწრაფოდნენ ამ ფასეულობების შემომტანები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში? და თუ განხორციელდა რა მასშტაბით, რა შედეგები გვაქვს საუკუნე ნახევრის შემდეგ? რა თქმა უნდა, რომ არა საბჭოთა ოკუპაცია და საქართველოს მოდერნიზაცია გაგრძელებულიყო უწყვეტ რეჟიმში, დღეს შესაძლებელია საქართველო თავისუფალი სამყაროს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან ისტორიამ სხვა გზა გვარგუნა, უნდა შევაფასოთ ის რეალობა, რაც დღეს გვაქვს.

საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის განვითარებას შესაბამისი რეაგირება მოსდევდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ამ ღირებულებების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, რაც ასევე საქართველოს მოდერნიზაციისა და ღირებულებების სიმძლავრის ინდიკატორია. პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა. იგი, როგორც დე-იურე აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო 1992 წლის ივლისში გახდა გაეროს წევრი ქვეყანა. ხოლო 1996 წლიდან დაიწყო მისი ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებთან, რა დროსაც დადო შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ ევროკავშირთან. კერძოდ კი მოხდა „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" (Partnership and Cooperation Agreement - PCA), რითაც ხაზი გაესვა, რომ საქართველო უკვე არა დახმარების მიმღები სახელმწიფო, არამედ პარტნიორია (ბერუჩაშვილი, ყარაულაშვილი და მშვიდობაძე, 2006). 1999 წელს კი გახდა ევროპის საბჭოს წევრი. 2004 წლიდან, როდესაც უკვე საქართველომ ღიად განაცხადა პრეტენზია ჩრდილო-ატლანტიკურ და ევროპულ ორგანიზაციებში

ინტეგრაციის შესახებ, ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში (ENP). 2006 წელს იქნა მიღებული ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP), რომელიც გულისხმობდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, კორუფციასთან ბრძოლას, სიღარიბის დაძლევისათვის ზომების მიღებას, სოციალური განვითარების ხახალისებას, გარემოს დაცვას, რეგიონულ თანამშრომლობას უსაფრთხოების, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას (შუბითიძე, 2013).

2008 წელს საქართველოს მთავრობას ჰქონდა მოლოდინი მიეღო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP), რაც რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა სამხრეთ კავკასიაში. მისი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებით, ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ უარი თქვა საქართველო გამოეცხადებინა ნატოს კანდიდატ წევრად და მისი ორგანიზაციაში გაწევრიანება გაურკვეველი დროით გადადო (Civil Georgia, 2008). ამით შესაძლებლობა მიეცა რუსეთის ფედერაციას შეეფერხებინა სამხრეთ კავკასიაში დასავლური მისწრაფებები, შემოიჭრა საქართველოში და ხუთდღიანი ნინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად მოახდინა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაცია. ომმა ვერ შეაფერხა საქართველოს სწრაფვა ევროპული სტრუქტურების მიმართ, მაგრამ ძალიან დააზიანა საქართველოს ეკონომიკა და მოახდინა 30,000 ადამიანის ეთნიკური წმენდა, რომელთა სახლების აბსოლუტური უმრავლესობა მთლიანად დაანგრია (კაკაბაძე და ასათიანი, 2009). ომმა საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანა. ამას გარდა მთავრობას დაეკისრა პასუხისმგებლობა დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებული პირების წინაშე. დასავლეთის ქვეყნების უზარმაზარი თანხებით დახმარებამ უზრუნველყო საქართველოს ომის შემდგომი რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია. 2008-2009 წლებში საქართველოს ეკონომიკური ვარდნის მიუხედავად, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისიც დაერთო, ეკონომიკამ მომდევნო წლიდან ზრდა დაიწყო (მაკფარლეინი, 2011).

ომის მიუხედავად 2009 წლიდან ჩაეყარა საფუძველი ევროკავშირის აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროცესს, რის ფარგლებშიც 2012 წლიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო უნდა გამხდარიყო ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილება. თუმცა ეს გადაწყვეტილება სისრულეში 2014 წლიდან შევიდა. ხოლო 2011 წლი-

დან კი დაიწყო მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ნაწილის თაობაზე, რომელიც 2014 წელს დასრულდა საქართველოს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს ქართული პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე გასვლას (შუბითიძე, 2013). შედეგად, 2017 წლის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებით, ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტმა 65%-ით გადააჭარბა რუსეთის ფედერაციაში შეტანილი ქართული პროდუქციის ჯამურ ღირებულებას. წელიწადში, 2007-2016 წლებში, ევროკავშირის ბაზარზე 4-ჯერ მეტი (3.3 მილიარდი დოლარით მეტი) ღირებულების პროდუქცია გავიდა, ვიდრე რუსეთის ფედერაციაში (Forbes, 2017).

რაც შეეხება საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის მონაცემებს, უნდა გავიხსენოთ თუ როგორ ჩამოვაყალიბეთ ისინი. ევროპის იდეა არის პოლიტიკური იდეა ევროპაში, რომელიც მოიცავს ღირებულებების ერთობლიობას. ამ ღირებულებებს გააჩნია ისტორიული ფესვები, რომლის საწყისია ანტიკური სამყარო, აქვს ქრისტიანული კულტურის გავლენა და დღესდღეობით განსხეულებულია ევროპის კავშირში და მის პარტნიორ ევროპულ სახელმწიფოებში. ეს ფასეულობებია **მშვიდობის მშენებლობა** და მისი შენარჩუნება; **თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა; ხალხის მმართველობა და კანონის უზენაესობა; სეკულარიზმი და გარემოსდაცვა.** და ყველა ეს ღირებულება ტრიალებს იმ ძირითადი ღერძის გარშემო, რომელსაც **ადამიანი და მისი უფლებები ეწოდება.** ევროპის იდეა გააჩნია საკუთარი იდენტობა და იგი ევროპის მასშტაბით ევროპეიზაციის კონტექტსით ვრცელდება. რაც შეეხება მოდერნიზაციას, ის არის მუდმივად განახლებადი პროცესი, რომელიც გარდაქმნის საზოგადოებას მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების შედეგად და ახდენს ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურის მუდმივ განახლებას. მოდერნიზაცია წარმოიშვა დასავლეთ ევროპისაგან და დღეს გლობალიზაციის ნაწილია. შესაბამისად, **არსებობს ორი ტიპის მოდერნიზაცია.** პირველი არის დასავლური სამყაროს მოდერნიზაცია, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ტრანსფორმაციას. იგი დაფუძნებულია მასობრივ განათლებასა და ევროპის იდეის ღირებულებებზე. ხოლო მეორე ტიპის მოდერნიზაცია გამორიცხავს ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების ტრანსფორმაციას და მხოლოდ ტექნიკურ-სამეცნიერო მიღწევებით შემოიფარგლება. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპის იდეა აუცილებლად მოიცავს მოდერნიზაციას, ხოლო მოდერნიზაცია ყოველთვის არ მოიცავს ევროპის იდეას. ვნახოთ ციფრებში როგორ აისახება სა-

ქართველოში არსებული ევროპის იდეა და რომელი მოდერნიზაციის ფორმა გვხვდება აქ. ამის შედეგად დავადგენთ არის თუ არა ერთი და იგივე საქართველოში არსებული ევროპის იდეა და მოდერნიზაცია.

თავისუფლება

2006 წლის შემუშავებულ იქნა მსოფლიოს თავისუფლების ინდექსი, რომელიც ოთხი სხვადასხვა ინდექსის ერთობლიობას წარმოადგენს. ესენია: „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების" ინდექსი (Fraser Institute/Cato Institute), „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" (The Heritage Foundation/Wall Street Journal), „თავისუფლება მსოფლიოში" (Freedom House) და „პრესის თავისუფლების ინდექსი" (რეპორტიორები საზღვრებს გარეშე). ეს ანგარიშები გამოიყენება სახელმწიფოების სამი კატეგორიით შეფასებაში:

1. ინდივიდუალური თავისუფლება;
2. ეკონომიკური თავისუფლება;
3. მთავრობის ზომა და გადასახადები.

ამ სამი მაჩვენებლით გამოიმუშავებენ სახელმწიფოს საშუალო თავისუფლების ხარისხს. სულ 152 ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიხედვით Fraser Institute/Cato Institute-ის მიხედვით საქართველო 42 ადგილზე დასახელდა (ვასკეზი და პორჩნიკი, 2017), ხოლო პატრიკ რამეიმ საქართველო 5 კატეგორიის ქვეყნებიდან, მეორე კატეგორიაში გაიყვანა, რაც 20-დან 40-მდე ადგილს ნიშნავს და ყველაზე სწრაფი ნახტომის ქვეყნებიდან მე-5 ადგილს იკავებს (რამეი, 2017).

დემოკრატია

დემოკრატიის ინდექსი წარმოადგენს 167 ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობის საზომს. ინდექსი 2006 წლიდან 2010 წლამდე ოთხჯერ განახლდა. იგი ემყარება 60 ინდიკატორს, რომლებიც დაჯგუფებულია ხუთ სხვადასხვა კატეგორიაში

1. საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი;
2. სამოქალაქო თავისუფლებები;
3. მთავრობის ფუნქციონირება;
4. პოლიტიკური მონაწილეობა;
5. პოლიტიკური კულტურა.

დემოკრატიის ინდექსი საშუალოდ 60 კითხვისგან დგინდება, რომელსაც ექსპერტებს უსვამენ. თითოეულ კითხვას ორი ან სამი დასაშვები ალტერნატიული პასუხი აქვს. ინდექსი ასევე კატეგორიების მიხედვით ყოფს სახელმწიფოებს. ესენია: **სრულყოფილი დემოკ-**

რატიები, დეფექტური დემოკრატიები, ჰიბრიდული რეჟიმები და ავტორიტარული რეჟიმები.

ამ მაჩვენებლებით, საქართველო 78-ე ადგილზეა და ჰიბრიდული რეჟიმის კატეგორიაში, რაც იმ ქვეყნებს გულისხმობს, სადაც ფიქსირდება არჩევნებში დარღვევი, პოლიტიკურ ოპონენტებსა და დამოუკიდებელ სასამართლოზე ზეწოლა, კორუფციის ფაქტები, მედიის შევიწროება, ანემიური კანონის უზენაესობა, არაგანვითარებული პოლიტიკური კულტურა, მოსახლეობის არასრულფასოვანი ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში. ამ კრიტერიუმებით საქართველოს 10 ქულიდან 5,93 ქულა აქვს და ძალიან ახლოსაა დეფექტური დემოკრატიის კატეგორიასთან, რომელიც 6,0 ქულიდან იწყება. ეს კი გულისხმობს ისეთ სახელმწიფოებს, სადაც არჩევნები ტარდება სამართლიანად, თავისუფალად და ძირითად სამოქალაქო თავისუფლებებს პატივს სცემენ. თუმცა შესაძლოა ფიქსირდებოს მცირე ხარვეზები, მაგალითად, მედიის თავისუფლების კუთხით, პოლიტიკურ კულტურაში და მმართველობის ფუნქციონირებაში (The Economist, 2016).

სეკულარიზმი

სეკულარიზმის ინდექსი, როგორც ასეთი კვლევებში არ გვხვდება, მაგრამ არსებობს რამდენიმე კვლევა რომლითაც შეგვიძლია დავადგინოთ მისი რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ხარისხი. ესაა მაგალითად, „რელიგიის თავისუფლების ინდექსი" და „მორალური თავისუფლების ინდექსი". რელიგიური საკითხების შესახებ რეგულაციების შესაფასებლად მკვლევარებმა გრიმმა და ფინკერმა სცადეს გამოეკვლიათ მთავრობების რეგულაციები, მათი ფავორიტიზმი და რელიგიის სოციალური რეგულაციები. აღნიშნული კვლევები გვაძლევს შესაძლებლობას გავიგოთ არა მარტო მთავრობის მხრიდან რელიგიის ხელშეწყობის და დაფინანსების შესახებ, არამედ მათი შეზღუდვების და რეგუკლაციების შესახებ. ამ კვევების მიხედვით, საზოგადოებრივი რეგულირების კუთხით, საქართველო ევროპის 50 ქვეყნიდან მე-40 ადგილზეა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების მხრივ 30-ე ადგილზე (გრიმი და ფინკერი, 2013). როგორც ვხედავთ, საზოგადოება უფრო მკაცრად არის განწყობილი რელიგიური საკითხების მიმართ, ვიდრე სახელმწიფო. თუმცა არც ეს უკანასკნელია სეკულარული სახელმწიფოს რიგებში, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. თუ ვნახავთ, რელიგიის თავისუფლების ინდექსს და ვნახავთ აქვს თუ არა მნიშვნელობა მოქალაქეებისთვის რელიგიას მათ ცხოვრებაში, დავინახავთ, რომ მოსახლეობის 81% თვლის რომ „კი", ხოლო 16% - „არა". საქართველო ამ მონაცემებით მსოფლი-

ოში 148 ქვეყნიდან 67-ე ადგილზეა, ევროპაში კი ბოლოზე, თუ არ ჩავთვლით გაეროს მიერ არ აღიარებულ კოსოვოს. არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც, რელიგია უფრო ფუნქციურ როლს ასრულებს მსოფლიოს ყველაზე ღარიბ ქვეყნებში, რადგან ის ბევრ ადამიანს ეხმარება ყოველდღიური პრობლემებს გადალახვაში. რელიგიური და ემოციური კეთილდღეობას შორის კავშირი უფრო ძლიერია ღარიბ ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში (Gallup, 2010). ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანების რელიგიურობა და რწმენის თავისუფლება ცუდია. ეს ყველა ადამიანის რწმენის, კულტურის, შეხედულებების და აღზდის საკითხია. მაგრამ პრობლემას ქმნის, როდესაც პოლიტიკოსები ან ეკლესიის წარმომადგენლები იყენებენ ადამიანების რწმენას საკუთარი ან სხვისი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. მით უფრო ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, სადაც რელიგია დიდი ხნის განმავლობაში იყო ეროვნული იდენტობის განსმაზღვრელი და საკუთარი რელიგიური ტრადიციებითა და რიტუალებით ახდენდა საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებას დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. შესაბამისად, რისკი რომ მორწმუნე ხალხის გრძნობებზე მოხდეს მანიპულაცია - დიდია.

გარდა ამისა, როგორც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, არსებობს „მორალური თავისუფლების მსოფლიო ინდექსი", რომელიც აფასებს 160 ქვეყანას ხუთ კატეგორიაში:

1. რელიგიური თავისუფლება (გულისხმობს ნებისმიერი რელიგიის თავისუფლებას, მათ შორის არარელიგიურობას და რელიგიის მიერ სახელმწიფოს კონტროლის მდგომარეობას);
2. ბიოეთიკური თავისუფლება (მოიცავს აბორტის, ევთანაზიის, სუროგაციის, ღეროვანი უჯრედების კვლევასა და ბიოეთიკის სხვა გამოვლინებებს);
3. ნარკოტიკების თავისუფლება (გულისხმობს სახელმწიფოს პოლიტიკას მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკებთან მიმართებაში);
4. სექსუალური თავისუფლება (გულისხმობს სექსუალური მომსახურებისა და პორნოგრაფიის სამართლებრივი მდგომარეობას);
5. ოჯახური და გენდერული თავისუფლება (გულისხმობს ქალთა მოძრაობის თავისუფლებას, დაუქორწინებელი წყვილების თანაცხოვრების მდგომარეობას, ერთი სქესის ადამიანთა ქორწინებას და ტრანსგენდერთა მდგომარეობას).

საქართველო ამ კუთხით 79-ე ადგილზეა და ხასიათდება, როგორც არასაკმარისი მორალური თავისუფლების კატეგორიის სახელმწიფო. ამ მაჩვენებლებში შედარებით დადებითი მაჩვენებლებია ოჯახურ, გენდერულ, ნარკოტიკულ, სქესობრივ სფეროში. ხოლო უარყოფითი ბიოეთიკურ და რელიგიურ საკითხებში (კოჰლი და პინა, 2016).

თანასწორობა

გამოყოფენ გენდერულ და ეკონომიკური თანასწორობის ინდექს. იქიდან გამომდინარე რომ არ არსებობს თანასწორობის ინდექსი ყველა მიმართულებით, მათ შორის ეროვნული, რელიგიური უმცირესობების, შშპ-ის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, ჩვენ გამოვყოფთ გენდერული თანასწორობის ინდექს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გენდერულ უთანასწორობის მასშტაბებს აფასებს და დროთა განმავლობაში ამ სფეროში მიმდინარე პროგრესს აკონტროლებს. ყურადღება მახვილდება ქალებსა და მამაკაცებს შორის ოთხ ძირითად სფეროს შორის: ჯანდაცვა, განათლება, ეკონომიკა და პოლიტიკა. 2016 წლის ანგარიში მოიცავს 144 ქვეყანას. თუ უმაღლესი ქულა იქნება 1, მაშინ საქართველო იღებს 0,681 ქულას და 90-ე ადგილს აზერბაიჯანისა და სენეგალის შემდეგ (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2016).

სოლიდარობა

არსებობს „სოციალური პროგრესის ინდექსი", რომელიც ადგენს რამდენად ახდენს ქვეყნა საკუთარი მოქალაქეების სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას. ინდექსი შედგება 54 ინდიკატორისგან, რომელიც სწავლობს ძირითად ადამიანურ მოთხოვნილებებს, კეთილდღეობის საფუძვლებსა და პროგრესის შესაძლებლობებს. აქ ყურადღება უფრო საზოგადოების კეთილდღეობაზე მახვილდება, ვიდრე ეკონომიკურ ფაქტორებზე. ეს საკითხებია ჯანმრთელობა, თავშესაფრისა და სანიტარული მდგომარეობა, თანასწორობა, ჩართულობა, მდგრადობა, პირადი თავისუფლება და უსაფრთხოება. ინდექსით განსაზღვრულ სოციალურ პროგრესში იგულისხმება საზოგადოების შესაძლებლობების დაკმაყოფილება, რათა შეიქმნას შენობა-ნაგებობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მოქალაქეებს და საზოგადოებებს თავიანთი ცხოვრების ხარისხის გაზარდონ და შექმნან შესაფერისი პირობები. ინდექსი აერთიანებს სამ განზომილებას:

1. ძირითადი ადამიანური საჭიროებები;
2. კეთილდღეობის საფუძვლები;
3. შესაძლებლობა.

ამ შეფასებებით საქართველო შვიდი ჯგუფიდან მესამე ქვეყნების ჯგუფშია და „ზედა შუა" კლასს მიეკუთვნება. იგი 134 სახელმწიფოდან მე-60 ადგილზეა (SPI, 2015).

მშვიდობა

ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი განსაზღვრავს გლობალური მშვიდობის ინდექსს (GPI). ეს არის მცდელობა, გაზომოს სახელმწიფოებისა და რეგიონების მშვიდობიანობა მსოფლიოს მასთაბით. ინსტიტუტმა 162 ქვეყანა გამოიკვლია, რა დროსაც იხელმძღვანელა წამყვანი აკადემიური სფეროების, არასამთავრობო ორგანიზაციების მეცნიერებისა და დამოუკიდებელი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტების მიხედვით. მისი მეთოდოლოგიის მიხედვით ინდექსი დგინდება 23 ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორით, რომელიც მაღალკვალიფიციურ წყაროებს წარმოადგენენ და აფასებენ ქვეყნების შიდა და გარე ფაქტორებს. ინდიკატორები იყოფა სამ ძირითად თემატურ კატეგორიად:

1. მიმდინარე კონფლიქტების 6 ისეთი ინდიკატორი, რომლითაც დგინდება კონფლიქტების რაოდენობა და ორგანიზებული დაპირისპირებების შედეგად გარდაცვლილების რაოდენობა.

2. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების 10 ინდიკატორი, რომლითაც დგინდება იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა, ტერორისტული აქტების პოტენციალი, მკვლელობების რაოდენობა, დაპატიმრებული მოსახლეობის რაოდენობა.

3. მილიტარიზაციის 7 ინდიკატორი, რომლითაც განისაზღვრება სამხედრო დანახარჯები, შეიარაღებული ძალების რაოდენობა, მსუბუქი იარაღისა ხელმისაწვდომობა.

საერთო ჯამში 60%ით იზომება შიდა მშვიდობიანობა და 40% გარე უსაფრთხოება. სამშვიდობო პროცესებზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები. მაგალითად, სახელმწიფოს ეფექტური მმართველობა, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ძალა, პოლიტიკური პროცესები, საერთაშორისო გახსნილობა, დემოგრაფია, რეგიონალური ინტეგრაცია, რელიგია, კულტურა, განათლება და მატერიალური კეთილდღეობა. შედეგად, 2013 წლის მონაცემებით საქართველო 162 ქვეყნიდან 94-ე ადგილზეა. რა თქმა უნდა საქართველო ტურისტული სახელმწიფოა და ამ კუთხით იგი ერთ-ერთი უსაფრთხო ადგილია ევროპაში, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ოკუპირებული ტერიტორიები სწორედ ასეთ სურათს ქმნის (ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი, 2017).

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვის ინდექსი სხვა კვლევებისგან განსხვავებით პირიქითაა. კვლევა ასახავს არა იმ კატეგორიებს, სად

უკეთ არის დაცული ადამიანის უფლებები, არამედ სად დგანან ისინი რისკის ქვეშ. საკითხი იქიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებები არის ფუნდამენტური, საყოველთაო და ბუნებრივი, რაც შეიძლება ადამიანს გააჩნდეს დაბადების დღიდან. ნებისმიერი პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური გარემო, რომელიც ზღუდავს ამ უფლებებს არის სწორედ არაორგანული და არაბუნებრივი. აქედან გამომდინარე, „ადამიანის უფლებათა რისკის“ ინდექსი ფასდება 198 სახელმწიფოში 26 ინდიკატორს შეფასებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და შრომით უფლებებს. ამ მონაცემებით მსოფლიო ქვეყნების 55% ანუ 110 ქვეყანა შეფასებულია როგორც მაღალი რისკის ქვეშ მყოფი. საქართველო თავისი მაჩვენებლებით საშუალო რისკის კატეგორიაში (ვერისკის რუკა, 2016).

კანონის უზენაესობა

მსოფლიო სამართლიანობის პროექტის (WJP) მიერ შემუშავებული „კანონის უზენაესობის ინდექსი“ არის ერთ-ერთი მთავარი ზუსტი მაჩვენებელი, რომელიც მსოფლიოში კანონის უზენაესობას ასახავს. 2016 წლის გამოცემა მოიცავს 113 ქვეყანას და იგი ეყრდნობა 100,000-ზე მეტი მოქალაქისა და ექსპერტის გამოკვლევას იმის შესახებ თუ როგორ მოქმედებს კანონი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინდექსი იზომება 44 ინდიკატორისა და რვა ფაქტორის მიხედვით. ესენია:

1. მთავრობის უფლებამოსილების შეზღუდვა;
2. კორუფციის არარსებობა;
3. ღია მმართველობა;
4. ფუნდამენტური უფლებები;
5. წესრიგი და უსაფრთხოება;
6. მარეგულირებელი სამართალწარმოება;
7. სამოქალაქო სამართალი;
8. სისხლის სამართლი.

საქართველო ამ რანგში 113 ადგილიდან 34-ზეა, რაც ზემოთ აღწერილი რეიტინგებისგან განსხვავებით შედარებით ნორმალური მაჩვენებელია. მას კარგი მაჩვენებელი, მაქსიმალური 1 ქულიდან 0,65 ქულა კორუფციის არარსებობის, ღია მმართველობის, მარეგულირებელ სამართალწარმოებაში და წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებში. თუმცა, საქართველოს შედარებით უარყოფითი მახასიათებლები აქვს ფუნდამენტურ უფლებების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კატეგორიებში (World Justice Project, 2016).

გარემოს დაცვა


„გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი" (EPI) აფასებს სახელმწიფოებს თუ რამდენად პრიორიტეტულად მიიჩნევენ ისინი გარემოსდაცვით საკითხებს. იგი ორ ძირითად სფეროს მოიცავს:


1. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა;
2. ეკოსისტემის დაცვა.


ეს ორი საკითხი გამოითვლება ცხრა სფეროს შესწავლით. ესენია: ადამიანთა ჯანმრთელობა; ჰაერის ხარისხი; წყალი და სანიტარია; წყლის რესურსები; სოფლის მეურნეობა; ტყეები; მეთევზეობა; ბიომრავალფეროვნება და საცხოვრებლების მდგომარეობა; კლიმატი და ენერგიის მოპოვება. ამ მონაცემებზე დაყრდნობით და გაანალიზებით, საქართველო 180 ქვეყნიდან მხოლოდ 111-ზეა. აღნიშნული ცხრა ინდიკატორიდან შედარებით კარგი მაჩვენებელი აქვს ტყესა და სოფლის მეურნეობას (Yale Center, 2016).


ევროკავშირი

ჩვენ ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ, რომ ევროპის იდეის განსხვავებას წარმოადგენს ევროპის კავშირი. სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი, როგორც ევროპული სახელმწიფოების გაერთაინება საქართველოს აღიქვამს, როგორც ევროპულ სახელმწიფოს. ჩვენც ვიზიარებთ ამ პოზიციას და მიგვაჩნია, რომ საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი და თუ არ იყო, მისი პოლიტიკური და რელიგიური ისტებლიშმენტი სწორედ ევროპისკენ მიისწრაფვოდა. საინტერესოა, ჩვენს მსგავსად, აღიქვამს თუ არა საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა თავს ევროპელად და საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ? ამის დასადგენად საჭიროა მოვიძიოთ შესაბამისი კვლევები და ქვემოთ მოცემული საზოგადოებრივი აზრის შედეგები სწორედ ამ კითხვებზე სცემს პასუხს (გამყრელიძე, 2013):


არის თუ არა საქართველო ევროპული სახელმწიფო?
დიახ 57%
არა 39%
არ ვიცი 4%
0
10
20
30
40
50
60


ხართ თუ არა ევროპელი?
დიახ 61%
არა 29%
არ ვიცი 10%
0
10
20
30
40
50
60
70


რა არის ევროკავშირი საქართველოსთვის?
მეგობარი/პარტნიორი 92%
მტერი 1%
არ ვიცი 7%
0
20
40
60
80
100


გსურთ თუ არა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება?
დიახ 92%
არა 5%
არ ვიცი 3%
0
20
40
60
80
100

როგორც ვხედავთ, საქართველოს აბსოლუტურ უმეტესობას დადებითი წარმოდგენა აქვს საქართველოს ევროპის კავშირში განევრიანებაზე. თუმცა მისი და მისი სახელმწიფოს ევროპული იდენტობის შესახებ ასეთი მაღალი წარმოდგენა არ გააჩნია. შედეგი აშკარად პოზიტიურია, მაგრამ ფაქტია საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ ნაწილს არ აქვს შესაბამისი განათლება თუ ინფორმაცია ევროპისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

მოდერნიზაცია

მოდერნიზაციის ინდექსი ამ სახელწოდებით არ არსებობს, მაგრამ ჩვენი კვლევის მიხედვით მიგვაჩნია, რომ ჩვენ აზრს, ყველაზე ახლოს სწორედ „გლობალური ინოვაციების" ინდექსი ასახავს. იგი დეტალურად სწავლობს მსოფლიოს 127 ქვეყნას ეკონომიკური და ინოვაციური საქმიანობის მიხედვით. ინდექსი 81 ინდიკატორს მოიცავს **ინოვაციურ, პოლიტიკურ, განათლების, ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის** გარემოში. კვლევა ეფუძნება სხვადასხვა ინსტიტუტების მიღებულ წყაროებს, მათ შორის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის, მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებს. ინდექსის მიხედვით, 2017 წლის წამყვანი პირველი 30 სახელმწიფო მოიცავს მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს. ამ კუთხით ყველაზე მაღალი შეფასება 67,7 ქულით შვეიცარიას აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი იემენს - 15,6 ქულით. ხოლო საქართველო 68-ე ადგილს იკავებს 34,4 ქულით (GII, 2017).

როგორც ვხედავთ, ზემოთნახსენები შედეგების მიხედვით, საქართველო ყველა მაჩვენებლებით საშუალო რანგის ქვეყნებშია. უფრო კონკრეტულად:
შუა ხაზით ქვემოთაა შემდეგ კატეგორიებში:

გარემოსდაცვა - 180-დან 111 ადგილი;
მორალური თავისუფლება –160-დან 79 ადგილი;
მოდერნიზაცია - 127-დან 68-ე ადგილი.

შუა ხაზით ზემოთაა შემდეგ კატეგორიებში:

მშვიდობა - 162-დან – 94 ადგილი;
თავისუფლება -152-დან – 42 ადგილი;
თანასწორობა - 144-დან – 90 ადგილი;
სოლიდარობა - 134-დან – 60 ადგილი;

დემოკრატია - 167-დან – 78 ადგილი;
კანონის უზენაესობა - 113-დან – 34 ადგილი;
რელიგიის მნიშველობა - 148-დან – 67 ადგილი;
ადამიანის უფლებები - 198-დან დაახლოებით საშუალო მაჩვენებელი.

დასკვნა

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს ანალიტიკურ და აღწერილობით კვლევას. მისი **საგანია** მოდერნიზაციის იდეა და ევროპის იდეა საქართველოში. ზემოთ, თემის შესავალში დავასაბუთეთ კვლევის **აქტუალობა,** დავსახეთ ძირითადი მიზნები და ამოცანები, **ჩამოვაყალიბეთ ძირითადი კითხვა და ქვე-კითხვები,** შევარჩიეთ **თეორიული ჩარჩო** და ჩამოვაყილებეთ **ჰიპოთეზა. შემდეგ განვსაზვრეთ კვლევის მეთოდოლოგია და მიმოვიხილეთ ლიტერატურა.** ნაშრომი განსახილველად დაყოფილ იქნა ოთხ ძირითადად თავად და ამავე დროს მიმოვიხილეთ და ჩამოვაყალიბეთ საგნის ძირითადი ცნებები. კვლევის საგნის შესასწავლად მეთოდოლოგიის სახით გამოვიყენეთ ყველა შესაბამისი წიგნის, პუბლიკაციის, გამოსვლის, განცხადების, სტატიის, ინტერვიუს და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. შესაბამისად, დავამუშავეთ ქართულ და ინგლისურენოვანი თითქმის ყველა არსებული რელევანტური წყარო და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც კი ეხება ზოგადად და საქართველოში არსებულ მოდერნიზაციას, ევროპის იდეასა და ევროკავშირს.

აქედან გამომდინარე, ჩამოვაყალიბებული კვლევის **მთავარი კითხვა** ჟღერდა შემდეგნაირად: **იყო თუ არა ევროპის იდეა საქართველოში (როგორც ისტორიულად, ასევე დღევანდელობაში) სხვადასხვა მოდერნიზაციული გეგმებისა თუ პროექტების დასაბუთების ფორმა?** საკითხის საფუძვლიანი კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ **პასუხი არის დიახ, საქართველოში ევროპის იდეა ყოველთვის წარმოადგენდა მოდერნიზაციული პროექტების დასაბუთების ფორმას.** აქედან გამომდინარე დასტურდება ჩვენი თეორია, რომლის მიხედვითაც მიგვაჩნია, რომ **საქართველოში მოდერნიზაცია დაკავშირებულია ევროპის იდეასთან და ყოველი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სამართლებრივი და სამოქალაქო რეფორმა გამართლებული იყო და არის ევროპის იდეით, იმის მიუხედავად თუ როგორი შედეგი მოიტანეს მათ - სასარგებლო თუ საზიანო ხალხის ცხოვრებისათვის. ევროპის იდეა იმდენად ძლიერია, რომ იგი მოდერნიზაციის სინონიმად გადაიქცა და ნიშნავს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას. თუმცა დადგინდა, რომ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მოდერნიზაციული პროექტები ყოველთვის არ მოიცავდნენ ევროპის იდეას.**

რა თქმა უნდა კვლევის მთავარ კითხვას გაეცა პასუხი, მაგრამ ვფიქრობ საინტერესოა, რომ ჩემ დისერტაციაზე მუშაობის დროს მივედი სხვა ბევრ შესაბამის მიგნებებზე და დასკვნებზე, რომელსაც ამ თავში შევაჯამებ. თავდაპირველად შევაჯამებ იმ კონცეფციებს,

რომლებიც კვლევის დროს ჩამოვაყალიბე, შემდეგ გავაკეთებ იმ სამი ტალღის შეჯამებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპასა და საქართველოში, ხოლო შემდეგ შევაჯამებ საქართველოს სამ ისტორიულ ეპოქას და გამოვყოფ თემატურ მიგნებებს, იმის მიხედვით თუ რა ზეგავლენა ჰქონდა მათზე ევროპის იდეასა და მოდერნიზაციას საქართველოში.

მაშ ასე, პირველი მიგნება, რაც შეიძლება გამოვყო, ეფუძნება ჩვენ კვლევას იმ ავტორების შესახებ, რომლებიც სწავლობდნენ ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის ცნებებს და აღმოჩნდა, რომ აკადემიურ წრეებში არ არსებოდს ერთიანი განმარტება ამ კონცეფციების შესახებ. შედეგად, მოვახდინე მათი ფორმულირება, რამაც მნიშველობა შემატა დისერტაციას და რითაც გარკვეული წვლილი შევიტანეთ აკადემიური სფეროში. შესამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ევროპის იდეა არის პოლიტიკური იდეა ევროპაში, რომელიც მოიცავს ღირებულებების ერთობლიობას. ამ ღირებულებებს გააჩნია ისტორიული ფესვები, რომლის საწყისია ანტიკური სამყარო, აქვს ქრისტიანული კულტურის გავლენა, ეფუძნება ფრანგი განმანათლებლების იდეებს და დღესდღეობით განსხეულებულია ევროპის კავშირში და მის პარტნიორ ევროპულ სახელმწიფოებში. ეს ფასეულობებია მშვიდობის მშენებლობა და მისი შენარჩუნება; თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა; ხალხის მმართველობა და კანონის უზენაესობა; სეკულარიზმი, ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვა. ყველა ეს ღირებულება ტრიალებს იმ ძირითადი ღერძის გარშემო, რომელსაც ადამიანი და მისი უფლებები ეწოდება. ევროპის იდეას გააჩნია საკუთარი იდენტობა და იგი ევროპის მასშტაბით ევროპეიზაციის კონტექსტით ვრცელდება.** ხოლო მეორე ფორმულირებით, **მოდერნიზაცია არის მუდმივად განახლებადი პროცესი, რომელიც გარდაქმნის საზოგადოებას მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების შედეგად და ახდენს ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურის მუდმივ განახლებას. მოდერნიზაცია წარმოიშვა დასავლეთ ევროპისაგან და დღეს გლობალიზაციის ნაწილია. შესაბამისად, არსებობს ორი ტიპის მოდერნიზაცია. პირველი არის დასავლური სამყაროს მოდერნიზაცია, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ტრანსფორმაციას. იგი დაფუძნებულია მასობრივ განათლებასა და ევროპის იდეის ღირებულებებზე. ხოლო მეორე ტიპის მოდერნიზაცია გამორიცხავს ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების ტრანსფორმაციას და მხოლოდ ტექნიკურ-სამეცნიერო მიღწევებით შემოიფარგლება. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპის იდეა აუცილებლად მოიცავს მოდერნიზაციას, ხოლო მოდერნიზაცია ყოველთვის არ მოიცავს ევროპის იდეას.**

მეორე და ზოგადი მიგნება რაც შეიძლება გამოვყოთ კონცეფციების ფორმულირების შემდეგ, არის ის, რომ ევროპის იდეამ და მოდერნიზაციამ გაიარა სამი მნიშვნელოვანი ფაზა. თავდაპირველად მათ ადგილი ჰქონდათ დასავლეთ ევროპაში, რომელსაც მოგვიანებით ან თითქმის პარალელურად ფეხდაფეხ მიჰყვებოდა საქართველო. ეს ფაზები აღმოჩნდა:

1. დასავლეთ ევროპაში მე-18-19 საუკუნეებში გავცელებული განმანათლებლების იდეები, რომლის იმპორტიც საქართველოში მოხდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თერგდალეულების ეპოქაში, რა დროსაც აღმოცენდა ევროპის იდეა, როგორც ლიბერალიზმი და დაიწყო მოდერნიზაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ სფეროში;

2. დასავლეთ ევროპაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავცელება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვა ამავე პერიოდის ქართველი პოლიტიკოსების თანხვედრი შეხედულებები და მოღვაწეობა. მათ შეძლეს კონკრეტული მოდერნიზაციული პროექტების განხორციელება და ევროპის იდეის იმპლემენტაცია საქართველოში 1918-1921 წლებში;

3. 1945 წლიდან ახალი ევროპული წესრიგის დანერგვა და ევროპის იდეის მესამე ტალღა, რომელიც საქართველოში მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისი დაბრუნდა. ამ პერიოდში განხორციელებულმა სწრაფმა მოდერნიზაციულმა პროექტებმა და სუსტად დანერგილმა ევროპის იდეამ მაინც შეძლო საქართველო ევროპის კავშირის ასოცირებულ წევრობამდე მიეყვანა.

როგორც ვხედავთ, პირველ ტალღას საქართველოში გამოძახილი თითქმის საუკუნის დაგვიანებით ჰქონდა, მეორე ტალღა საქართველოში დასავლეთ ევროპასთან თითქმის პარალელურად განვითარდა და მეტიც, საქართველოში მოხდა პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ფორმირება და მესამე, თუ საბჭოთა კავშირის მოდერნიზაციას გამოვტოვებთ, ევროპის იდეის დაბრუნება საქართველოში ნახევარი საუკუნის დაგვიანებით მოხდა.

მესამე მიგნება, დასავლეთ ევროპაში სამი ეპოქის შესწავლის შემდეგ მათ მივუსადაგეთ საქართველოში განვითარებული ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის სამი ეპოქა, რის შედეგადაც მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

1. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი წარმოადგენდა თერგდალეულების ეპოქას, რა დროსაც აღმოცენდა ევროპის იდეა, როგორც ლიბერალიზმი და დაიწყო მოდერნიზაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ სფეროში; დადგინდა, რომ დემოკრატია, ლიბერალიზმი და მოდერნიზაცია, ერთმანეთთან

ასოცირდებოდა და ხშირ შემთხვევაში სინონიმებიც იყო. იმ პერიოდში ლიბერალებს ეძახდნენ თავისუფლების მოყვარე ადამიანებს, მათ შორის თავად-აზნაურობას, რომელსაც ამ სისტემის გაუქმება და გლეხებისათვის თავისუფლების მინიჭება სურდათ. მათთვის ევროპა ერის გათავისუფლების ერთადერთ გზად ისახეოდა და იგი ჰუმანიზმის, თავისუფლებისა და განვითარების სიმბოლოს წარმოადგენდა. ქართველებმა შეძლეს ევროპული იდეის ქართულ ტრადიციებთან შერწყმით ლიბერალიზმის პრინციპების დანერგვა და ერის ფსიქოლოგიური მომზადება თავისუფლებისა და ევროპული ტიპის ერი-სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის. იმ დროის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართული სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, ერის კონსოლიდაცია დამოუკიდებლობის მისაღწევად და ევროპული სტანდარტების განათლების მიცემა მომავალი თაობებისთვის. მე-19 საუკუნის მწერლობა ნასაზრდოებია იმ იდეალებით, რომელიც პიროვნებას, როგორც განუმეორებელ, ინდივიდუალურ, ფუნდამენტურ ფასეულობის წარმოჩენას ემსახურება. აქ ხშირად პიროვნული და ეროვნული თავისუფლება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთმანეთს განსაზღვრავს. მათ ავტორებს თერგდალეულებს ეძახდნენ, რადგან განათლება საზღვარგარეთ (მდინე თერგი საზღვარზე იყო) ჰქონდათ მიღებული. მათ არ შეუქმნიათ რაიმე პოლიტიკური და ეკონომიკური თეორიული ტრაქტატები, მაგრამ ყველა მათი ლიტერატურული თუ პუბლიცისტური ნერილი სწორედ ახალ ევროპული ღირებულებებს და ქართულ სპეციფიკას ეხმიანებოდა. ამ პერიოდიდან დაერქვა დემოკრატიულ ღირებულებებს ის სახელები, რაც დღესდღეობითაა ჩვენთვის ცნობილი - ლიბერალიზმი, ტოლერანტობა, თანასწორობა, ქალთა ემანსიპაცია, სიტყვის თავისუფლება და სხვა. დემოკრატიული ფასეულობების სწორედ მიტანა საზოგადოების ფართო მასებთან, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, პიროვნების აზროვნების, სიტყვისა და არჩევანის თავისუფლება, სიცოცხლის, განათლების, ბედნიერების უფლება, კანონის უზენაესობა სწორედ ამ დროის მწერალთა, პუბლიცისტთა და საზოგადო მოღვაწეთა მისია გახდა. ისინი მკაცრად უპირისპირდებოდნენ სოციალურ, გენდერულ, რელიგიურ და ეთნიკურ უთანასწორობას, პიროვნების ან საზოგადოების უფლებების დარღვევას. ეს ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ იმ დროის დომინანტურ იმპერიალისტურ კონსერვატორულ იდეოლოგიას და ხალხში პროგრესული იდეების დანერგვით, აზროვნების მასშტაბურობით, ჰუმანიზმით და პრინციპებით ამკარად უსწრებდნენ საკუთარ თანამედროვეობას. ეს ადამიანები არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლოძე

და სხვა. ისინი იყვნენ გლობალური განმანათლებლობის ქართული ტალღა. ეს კი ნიშნავდა იდეოლოგიურ ბრძოლას არსებული სისტემის წინააღმდეგ თავისუფლებისა და თანასწორობისათვის, დაფუძნებული ჰუმანისტურ იდეებზე, რომელმაც გზა გაუხსნა ლიბერალურ და სოციალისტურ მოძრაობებს. მათ გაიაზრეს, საქართველო, რომელიც 1801 წლიდან რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, მათ წინააღმდეგ გამუდმებულ აჯანყებებს შედეგი არ მოჰქონდა. ამიტომ მშვიდობიანი ბრძოლის გზა აირჩიეს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობას ეფუძნებოდა, ერის კონსოლიდაცია უნდა მოეხდინა და ეტაპობრივად გასულიყო დამოუკიდებლობის გზაზე, როგორც ერი-სახელმწიფო. მათი იდეები დემოკრატიზმის და ეკონომიკური თავისუფლების ბაზრის პრინციპს ემხრობოდნენ, რომელიც კერძო საკუთრებას ეფუძნება, რასაც არა მხოლოდ მატერიალურ ღირებულებად, არამედ ისეთ ფასეულობებთან ერთად მოიზარებდნენ, როგორიცაა აზროვნება, რწმენა, მათი გამოხატვის საშუალებები და სხვ. ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის პირველი ტალღის პროექტები სწორედ ამ საზოგადო მოღვაწეების ორგანიზებით განხორციელდა. მაგალითად, გაჩნდა არჩევითი დემოკრატიული ინტსიტუტები, მათ პერიოდში დაიწყო ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა და გაჩნდა სეკულარული იდეები.

2. მე-20 საუკუნის დასაწყისი სოციალ-დემოკრატიულ ეპოქას წარმოადგენდა, რაც მოდერნიზაციისა და ევროპული ტიპის ცხოვრების დანერგვის მეორე ტალღა იყო. ამ პერიოდში ქართველმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ელიტამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, შეძლეს აყოლოდნენ ევროპულ ტენდენციებს და გარკვეულწილად მოეხდინათ საქართველოს მოდერნიზაცია. ეს მოდერნიზაცია შეეხო ყველას დაწყებული ხელისუფლებიდან დამთავრებული ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრებით. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან გამორჩეულნი არიან ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ირაკლი (კაკი) წერეთელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ევგენი გეგეჭკორი და აკაკი ჩხენკელი. მათ ლიბერალური ფრთის წარმომადგენლობისგან განსხვავებით, არ დაუტოვებიათ მსგავსი მასშტაბის ლიტერატურული შრომები. მათი ნაწილი მხოლოდ პუბლიკაციით იყო დაკავებული და ძირითადად აქტიურ სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. მათ 1892-1893 წლებში საფუძველი ჩაუყარეს პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციას, რომელსაც ე.წ. "მესამე დასი" ეწოდა, რომელიც მოგვიანებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეერწყა. ამის მიუხედავად იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული მოდელისაგან და ახლოს იდგა

დასავლური ქვეყნების სოციალისტურ მოძრაობებთან. ღირებულებითმა და ტაქტიკურმა განსხვავებებმა რსდმპ 1905-1907 წლებში „ბოლშევიკებად“ და „მენშევიკებად“ გახლიჩა. ქართველი სოციალ-დემოკრატები აბსოლუტურ მხარდაჭერით სარგებლობდნენ საქართველოს სოციალისტურ ორგანიზაციებში და ჩამყვანი პოზიციები ეკავათ რუსეთის მენშევიკურ ორგანიზაციაში. ბოლშევიკებისგან განსხვავებით ისინი მოითხოვდნენ ბრძოლის პარლამენტურ გზას. მათთვის სოციალიზმი იყო ეროვნული კონსოლიდაციის, მოდერნიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი. ისინი იმედოვნებდნენ რომ სოციალიზმი გააერთიანებდა და ქართველ ხალხს ჩამოაყალიბებინებდა ევროპული ეტიპის ერი-სახელმწიფოს. უზრუნველყოფდა ქვეყნის უსაფრთხოებას, ბოლოს მოუღებდა სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს და ეთნიკურ დაპირისპირებებს. ვინაიდან საქართველოსთვის უცხო არ იყო არც იმპერიის ძალადობა, არც შიდაეთნიკური უთანხმოება, ახალი ნაციონალისტური იდეოლოგიისგან განსხვავებით, სოციალიზმი ერთიანობას მოიტანდა ძალადობის და სისხლისღვრის გარეშე. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი საერთოდ უარი თქვეს მარქსისეულ ისეთ ფუნდამენტურ შეხედულებაზე, რომელიც კერძო საკუთრებას უარყოფდა. ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ზემოთნახსენები ქართველი ლიბერალებისაგან იყო ეროვნული საკითხი. როგორც ვიცით, მათი უპირველესი ამოცანა იყო ქართველი ერის დამოუკიდებლობისთვის მომზადება. ხოლო სოციალ-დემოკრატები პრიორიტეტს კლასობრივ საკითხებზე მუშაობას ანიჭებდნენ. ისინი მისდევდნენ თავიანთი საერთაშორისო ორგანიზაციის პლათფორმას, რომელზეც აღიარებული იყო ერთა თვითგამოკვეთის უფლება. რაც გულისხმობდა პირველ ეტაპზე სოციალისტურ გამარჯვებას, რომელსაც უნდა მოეტანა ერთა თავისუფლება და არა პირიქით. ისინი უარყოფდნენ თერგდალეულების შეხედულებას წოდებათა შერიგების შესახებ და ერის გამთლიანების წინაპირობად სწორედ კლასთა ბრძოლას აცხადებდნენ. და ბოლოს, შეიძლია ვთქვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არის ქართველი სოციალ-დემოკრატების უმთავრესი მონაპოვარი, რითაც მათ არა მარტო იმ დროის გამოწვევებს უპასუხეს, არამედ ლეგიტიმური მემკვიდრეობა დაუტოვეს საქართველოს მოეხდინა სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1991 წელს.

3. ჩვენი კვლევის ბოლო ნაწილს წარმოადგენდა თანამედროვე ეპოქის კვლევა და ანალიზს - 2003 წლიდან ანუ ვარდების რევოლუციიდან 2014 წლამდე, როდესაც საქართველო გახდა ევროპის კავშირის ასოცირებული წევრი. 2003 წლის შემდეგ „ვარდების რევოლიციის“ გზით ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა ევროპის იდეის

დაბრუნებით განიზრახა სახელწმიფო ინსტიტუტების გამყარება, სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამძაფრება და მოდერნიზაცია. ამ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები დღესაც კი პოლიტიკურად სენსიტიური და აქტუალური თემაა. ამიტომ ვეცადეთ მოვლენების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების აკადემიურ ანალიზს. მე განვიხილე მოდერნიზაციის დადებითი მხარეები, ასევე მათი ხარვეზები და კრიტიკული ანალიზი. ვარდების რევოლუციის ძირითადი კრიტიკა ეხება ისეთ შეცდომებს, რომელიც აფერხებდა დემოკრატიზაციისკენ მიმავალ გზას და იწვევდა ევროპული ღირებულებებისადმი გვერდის ავლას. პრეზიდენტი საკაშვილის მიმართ ძირითადი პრეტენზიები იმაში გამოიხატებოდა, რომ მას დიქტატორული მიდრეკილებები გააჩნდა. ამ ხნის განმავლობაში ევროპის იდეას ზოგადი იდეოლოგიური ხასიათის გარდა კონკრეტული მაჩვენებლები დაემატა. უკვე შესაძლებელი და გაზომვადი გახდა ციფრებით ღირებულებების ასახვა. როგორც დავინახეთ, საქართველო შუა ხაზით ქვემოთაა შემდეგ კატეგორიებში: გარემოსდაცვა, მორალური თავისუფლება, მოდერნიზაცია. ხოლო შუა ხაზით ზემოთაა შემდეგ კატეგორიებში: მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა; სოლიდარობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, რელიგიის მნიშველობა; ადამიანის უფლებების კუთხით კი საშუალო მაჩვენებელი აქვს. რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს კიდევ ძალიან ბევრია აქვს სამუშაო ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის კუთხით, რათა დაიკავოს მოწინავე რიგები მსოფლიოს წამყვან ქვეყებს შორის.

მას შემდეგ რაც შევაჯამეთ ჩვენ მიერ შერჩეული საქართველოს ისტორიის სამი ეპოქა და ვნახეთ რა სახით იყო წარმოდგენელი ევროპის იდეა ამ პერიოდებში, აუცილებელია შევაჯამოთ თემატური საკითხები და ვნახოთ რა მიგნებებს მივაღწიეთ. ეს ეხება ქალთა ემანსიპაციას, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, რომელსაც შეეხო მოდერნიზაცია და მოახდინა მათზე ის მნიშვნელოვანი გავლენა, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირებას.

ამ კუთხით პირველი მიგნება იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სახელმწიფო სისტემებს. თავდაპირველად, მას ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნეში, როდესაც გაჩნდა დემოკრატიული არჩევნების იდეა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. იმ პერიოდის გამოცემები პირველად ალაპარაკდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირებაზე და თუ ვის უნდა აიერჩია ის, რისთვის უნდა აერჩიათ და ვინ უნდა აერჩიათ. ამ პერიოდამდე სახელმწიფოს და საზოგადოების ბედს მხოლოდ თავად-აზნაუ-

რობა წყევტდა. მაგრამ 1865 წლიდან, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, კენჭის ყრაში მონაწილეობის უფლება მიიღო ასევე ყმა-გლეხობამ, ვაჭრებმა, ხელოსნებმა და ამომრჩევლების სიები 100,000 ადამიანს ითვლიდა. მის სხდომებს თავისუფლად ესწრებოდნენ ჟურნალისტები, რომლებიც პრესის ფურცლებით მიმოიხილავდა განხორციელებულ პროექტებს და ხშირად კრიტიკულ სტატიებსაც აქვეყნებდა.

ამის შემდგომ ადგილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ მოდერნიზაციას. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების პოლიტიკური ინსტიტუტების მოწყობის პროგრამა ნოე ჟორდანიამ წარადგინა. მან განაცხადა, რომ ირჩევენ ევროპული ტიპის სოციალიზმის მოდელს და აღიარებდა, რომ კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადაახტებოდნენ. ხოლო ნაადრევი სოციალისტური ექსპერიმენტი მოიტანდა არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მოშლას. ის აღიარებდა, საქართველოს როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, სადაც უნდა მოხმდარიყო კერძო ინიციატივის წახალისება, საწარმოო ძალთა განვითარება. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ მისი პარტიის პროგრამა მინიმუმი იყო დემოკრატიის დამყვიდრება, ხოლო მაქსიმუმი სოციალიზმი. მან გაანალიზა, რომ სოციალიზმის დანერგვა მით უფრო სწრაფი ხისტი მეთოდებით ეკონომიკას გაანადგურებდა. ამიტომ აქცენტი დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებაზე გააკეთა.

შედეგად, სოციალ-დემოკრატების მიერ განხორციელებული რეფორმები უდიდეს ნახტომს წარმოადგენდა, რათა ფეოდალური სისტემის მემკვიდრე ქვეყნიდან გამხდარიყო ევროპული ტიპის ცივილიზებული სახელმწიფო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს სახელმწიფო მოდელის ყველაზე მისაღებ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნდათ. ძალაუფლება გადანაწილდა სამ შტოში. ეს იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. შეიქმნა საკანონმდებლო ორგანო, რომელიც დააკომპლექტებდა მთავრობას. განისაზღვრა საარჩევნო სისტემა, რომელიც უნდა ყოფილიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა ყველა სრულწლოვანს (20 წლის) მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნების და სარწმუნოებისა. შემუშავდა სასამართლო სისტემის ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი, შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობი, აღიარებულ იქნა მოქალაქის უფლებები, მათ შორის, სიტყვის, ბეჭდვის ანუ პრესის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გადაადგილების თავისუფლება. საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესების მიზნით გადაწყდა დაეშვათ, როგორც სახელწმიფო ასევე კერძო საკუთრება.

მოიწვიეს ასავე ექსპერტები და ინსტრუქტორები დასავლეთ ევროპიდან. ეკონომიკური სისტემის მოდერნიცია ეყრდნობოდა:

1) კერძო საკუთრებას;
2) პიროვნების ეკონომიკური და პოლიტიკურ თავისუფებას;
3) სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრესს ბურჟუაზიის მოსპობის გარეშე.

რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიზაციას თანამედროვე ეპოქაში, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში დაიწყო სახელმწიფო სტრუქტურების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა დაიწყო. კორუფციის შემცირების, ადმინისტრაციის გაუმჯობესებისა და ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციის შედეგად 2006 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშით საქართველო მსოფლიოში ნომერ პირველი რეფორმატორ ქვეყნად გამოცხადდა და რეიტინგში 37-ე ადგილზე გადაინაცვლა. თანამედროვე საქართველოს მეორე უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო, რომ პოლიციის რეფორმის შედეგად, ის გადაიქცა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო სახელმწიფოდ. სახელმწიფოს სისტემის მოდერნიზაციის ერთ-ერთი თვალში საცემი რეფორმა განხორციელდა **საქართველოს ჯარში**, რომელმაც სრულად დააკმაყოფილა ნატო-ს სტანდარტები და იმპორტის ნაცვლად გადავიდა სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების წარმოებაზე. თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა სახანძრო-სამაშველო სისტემა, ქალაქის დასუფთავების სამსახური, უფასო სასწრაფო მომსახურება და სხვ. მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფო **ბიუროკრატია**, რომლის შემცირებამ და მოქნილობამ საქართველო მსოფლიოში ყველა გამჭვირვალე სახელმწიფოებში მეორე ადგილზე დააყენა ახალი ზელანდიის შემდეგ. იუსტიის სახლები, რომელიც 30 ქალაქში აშენდა თანამედროვე კომფორტული დიზაინით დღესაც საქართველოს სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. უმაღლესი განათლების რეფორმა, რომლის მიხედვითაც საქართველო გახდა ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის ნაწილი, გათავისუფლდა მისაღებ გამოცდებზე კორუფციისგან, გახდა ერთ-ერთი საამაყო პროექტი ქვეყნისთვის. 2004-2008 წლებში საქართველოს წლიური ზრდის მაჩვენებელი საშუალოდ 10% იყო, 2007 წელს მან 12%-საც მიაღწია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, 2009-2012 წლებში 6,4%-ით დაფიქსირდა.

ამ წარმატებების მიუხედავად, საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე ევროპის იდეა საკმაოდ დაშორდა მოდერნიზაციულ პროცესებს. ამის შედეგია 2006 წლის Human Rights Watch-ის ანგარიში, სადაც წერია, რომ საქართველოს მთავრობას თითქმის არ გააჩნია

არსებითი საფუძველი, იამაყოს კანონის უზენაესობითა და ადამიანის დაცვის სფეროში მიღწეული წარმატებებით. პროკურატურამ მოიპოვა აბსოლუტური ძალაუფლება სასამართლოზე, რომელსაც დამოუკიდებლობა არც მანამდე გააჩნდა. კრიტიკის საგანი გახდა ხელისუფლებისგან გამოჩენილი შეუწყნარებლობა მოქალაქეების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებით სარგელობის დროს, რა დროსაც განხორციელდა მომიტინგეების მიმართ პოლიციელთა მხრიდან ძალადობის და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. კრიტიკის ერთ-ერთი საფუძველი იყო პრესის თავისუფლება, რომლის მიხედვითაც საქართველო მსოფლიოში 120-ე ადგილს ვერ აცდა და ნაწილობრივ თავისუფალ კატეგორიაში გავიდა. პრობლემა იყო კერძო საკუთრების უფლების განხორციელება და მისი დაცვა. ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციის გზაზე განხორციელებული რეფორმების და მსოფლიო რეიტინგებში ნახტომისებური მაჩვენებელების მიუხედავად, მაინც მთავარ პრობლემად დარჩა უმუშევრობა და სიღარიბე. ამ მაჩვენებლებით საქართველო ევროპაში თითქმის ყველაზე ღარიბ ქვეყნად დარჩა სომხეთისა და მოლდოვას გვერდით. ფაქტია, რომ სახელმწიფო სტრუქტურები იმდენად გაძლიერდნენ, რომ გაჩნდა განცდა მოქალაქის მნიშვნელობის დაკნინების. მიაჩნდათ, რომ კვლავაც არ იყო ღირებული ადამიანი, მისი სიცოცხლე, ინდივიდუალობა და ბედნიერება. შესაბამისად, სწორედ აქ აცდა მოდერნიზაცია ევროპის იდეას.

თემატური მიგნებებიდან გამომდინარე დისერტაციის მეორე მნიშვნელოვანი მიღწევაა სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესის შეჯამება. ამ კუთხით საინტერესოა ქალთა ემანსიპაციის პროცესი, ეთნიკური და რელიგიული უმცირესობების მდგომარეობა, სეკულარიზაცია და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების ფორმირება.

მაგალითად, სეკულარიზაციის პოცესი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო. დისერტაციაზე მუშაობისას დავადგინეთ, რომ სეკულარიზმი ეხება, როგორც სახელმწიფო და ეკლესიურ ინსტიტუტებს, ასევე საზოგადოებრივ ცნობიერებას და აღქმას, როგორც ღირებულება. ეს არა მარტო პოლიტიკურ-რელიგიური შეთანხმებაა, არამედ საზოგადოებრივი აზროვნებისა და განვითარების მონაპოვარი. სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციების გამიჯვნაზე საუბრობდნენ და წერდნენ ზემოთ ნახსენები საზოგადო მოღვაწეები. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა. მნიშველობა არ ჰქონდა სარწმუნოებას თუ ადამიანი კარგ და სასარგებლო საქმეებს აკეთებდა. მას რელიგიური პლურალიზმი და მრავალფეროვნება კანონზომიერად მიაჩნდა. ვაჟა-ფშავალაც თავის პუბლიცისტიკაში სეკულარიზმს ქადაგებდა და რელიგიისა და პოლიტიკის სრულიად გამიჯვნას ითხოვდა.

სეკულარიზმის იდეის გაჩენა, რომელიც ამ ორი ინსტიტუტის მკაცრ გამიჯვნას გულისხმობს, აღმოჩნდა საუკეთესო გამოსავალი დაეცვა ეკლესია პოლიტიკის და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან და ქმედითად რელიგიური ფუნქცია შეესრულებინა. ხოლო სახელმწიფო დაეცვა ეკლესიის წევრების ცდუნებისაგან ჩარეულიყვნენ პოლიტიკისა და სახელმწიფოებრიობის საქმიანობაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლეოდა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში წვლილი სწორედ ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიუძღვით. ამასთან მათ საკანონმდებლო დონეზე განახორციელეს სეკულარული პოლიტიკა. მისი მიხედვით, სახელმწიფო აღარ დააფინანსებდა ეკლესიას. პირიქით, ეკლესია ვალდებული იყო სპეციალური გადასახადი ეხადა. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო სინდისის თავისუფლება და იკრძალებოდა სარწმუნოების გამო მოქალაქეთა დევნა, პოლიტიკურ-სამართლებრივი უფლებების შეზღუდვა. ამავე დროს დაუშვებელი იყო რელიგიური მოტივით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. აღიარებული იქნა სარწმუნოების თანაბრობა-თანასწორობა და არავის ენიჭებოდა უპირატესობა. სახელწმიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს აეკრძალათ სარწმუნოებრივი საკითხებისთვის თანხის გაცემა. პატრიარქი აღარ ერეოდა პოლიტიკურ პროცესებში. აიკრძალა ბიბლიის სწავლება საერო სკოლებში, რადგან მას არა მეცნიერული, თეოლოგიური, არამედ რელიგიური დატვირთვის შინაარსი ჰქონდა. ამასთან აიკრძალა საეკლესიო იერარქიის მიერ ჯარის ნაწილებში საეკლესიო ლიტურგიის ჩატარება. რვა დღით შემცირდა უქმე დღეების რაოდენობა საეკლესიო დღესასწაულების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო პირები და მათი მომხრე პოლიტიკოსები აპროტესტებდნენ ეკლესიის ფინანსურ და მატერიალურ შევიწროებას, თუმცა მხარს უჭერდნენ სახელმწიფოსგან ეკლესიის გამიჯვნას, აღმსარებლობის თავისუფლებას და აფიქსირებდნენ შემწყნარებლურ პოლიტიკას სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ. სეკულარიზაციის პოლიტიკამ გავლენა იქონია ეროვნული უმცირესობების მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაზე. ქართველი სოციალ-დემოკრატები ურა-პატრიოტულ რიტორიკას, პრაგმატულ პოლიტიკას ამჯობინებდნენ და ყველა მათგანს სოციალური თანასწორობასა და თავისუფლებას სთავაზობდნენ. არც ეროვნულ უმცირესობებს უგრძვნიათ თავი განსხვავებულად მათ ნინაშე. ამიტომ იყო, რომ მაგალითად ახალქალაქსა და თბილისში, რომლის მოსახლეობა ეთნიკურად სომხებს წარმოადგენდნენ არჩევნებში გამარჯვება არა სომხურმა ნაციონალისტურმა დაშნაკმა მიიღო, არამედ სოციალ-დემოკრატიამ.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ეროვნულ უმცირესობას ეძლეოდა თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. განსაკუთრებით მის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა მართვა-გამგეობის უფლება. ასევე საკუთარ ენაზე ბეჭდვის, წერის და ლაპარაკის უფლება. მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ მათი წარმომადგენლობისგან შემდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები (თემი, ერობა, ქალაქი) და დაეარსებინათ ეროვნული კავშირი, თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად.

სეკულარიზაციის პროცესი გაგრძელდა ჩვენი დისერტაციისთვის შერჩეულ მესამე ისტორიულ ეპოქაშიც. მაგრამ ამ პერიოდში ვითარება სოციალ-დემოკრატების ეპოქისგან განსხვავებით, ცოტა სხვა გვარი აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები სეკულარული სახელმწიფოს შენებისთვის, მაგრამ ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციებს მაინც დიდი გავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, სხვადასხვა რელიგიის სასულიერო პირები ხშირად იყენებდნენ მრევლის ნდობას და ერეოდნენ პოლიტიკურ პროცესებშიც. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფონის აღმოსაფხვრელად საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრა რელიგიური ორგანიზაციების შექმნის საკითხი, მიენიჭათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რითაც უნდა გაადვილებოდათ მათ ორგანიზაციული თუ ფინანსური მუშაობა. დადგინდა და განისაზღვრა ორგანიზაციის რელიგიურ გაერთიანებად ჩამოყალიბების პროცედურები. ცვლილებები შევიდა განათლების შესახებ კანონშიც, რათა აღმოფხვრილიყო პროზელიტიზმი და იდოქტრინაცია. ხოლო ივ. ჯავახიშვილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიათმცოდნეობის კათედრაზე, სადაც რელიგია არა როგორც მეცნიერება, არამედ მხოლოდ მართლმადიდებლური კუთხით ისწავლებოდა, საერთოდ შეწყდა მიღება.

სამოქალაქო ინტეგრაციისათვის აუცილებელი იყო **ეთნიკური უმცირესობების** მიმართ სწორი პოლიტიკის განხორციელება. მთავრობის წინაშე იდგა ორი ძირითადი გამოწვევა: ენობრივი ბარიერი და ნაკლები ჩართულობა საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამიტომ გაუმჯობესდა უმცირესობათა განათლების ხელმისაწვდომობა. მოხდა მისაღები გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების შემუშავება უმცირესობათა ენებზე და გამოეყოთ კვოტები. ასევე დაიწყო სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ყველა საგანმანათლებლო დონეზე. 2,131 საჯარო სკოლიდან 350 არაქართულენოვანი სკოლას წარმოადგენდა. დაიწყო ქართული საინფორმაციო პროგრამების თა-

რგმნა და გაჩნდა საინფორმაციო გადაცემები უმცირესობათა ენების გამოყენებით. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრირებას, ამ მიზნით განხორციელდა რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების სპეციალური პროგრამები, რამაც გაზარდა ეკონომიკური საქმიანობის მიზნით მობილობა. ამასთან სახელისუფლებო დონეზე შეიქმნა მთელი რიგი სტრუქტურები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დღესაც ჩართულნი არიან ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებაში.

შემდეგი მიგნება, რომელიც მე მინდა დასკვნაში შევაჯამო არის ქალთა მდგომარეობა. ფემინიზმის პირველი ნაბიჯების გადადგმა საქართველოში სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. დასავლეთ ევროპაში ქალთა მოძრაობას მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მალევე მოჰყვა გამოძახილი ბრძოლა საქართველოშიც. ისინი აქტიურად ცდილობდნენ საზოგადოებრივ სტრუქტურებში მოეძებნათ ის ორგანული პოზიცია, რაც მათ საჯარო სფეროში თვითგამოხატვისა და დამკვიდრების საშუალებას მისცემდა. ჩართულნი იყვნენ იმ საქმეში, რაც საყოველთაო, საჯარო განათლების ახალი ფორმის - წიგნიერების განვითარებისკენ იყო მიმართული. ისინი წარმოდგენილნი იყვნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველ ორგანოში და ჩართულნი იყვნენ საბიბლიოთეკო თუ პედაგოგიურ საქმიანობაში, თანამშრომლობდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, როგორც კარგი მწერლები, მთარგმნელები, რედაქტორები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები და სხვ. ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა გააქტიურდა მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, რასაც საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებამ შეუწყო ხელი. საქართველოს კონსტიტუცია სქესს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებში. ისინი ამ კუთხით სრულ თანასწორობას ქადაგებდნენ. ქართული ფემინისტური გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ძირითადად პუბლიცისტური წერილებით. მათი ბრძოლის შედეგი აისახა 1918-1921 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებზეც, როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. მეტიც, კრების 130 დეპუტატიდან ხუთი იყო ქალი. ეს კი საკმაოდ დიდი წარმატება იყო ქალსა და კაცს შორის თანასწორობის საკითხებში. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ქალთა სრულ ემანსიპაციას და ჩართვას დემოკრატიზაციის პროცესში. სამწუხაროდ, საქართველოში აშკარად შესამჩნევია ფარისევლური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის პრობლემატიკისადმი. ქალის უფლებათა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები დაცულია, მაგრამ რეალურად არ არსებობს გე-

ნდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი ეფექტური სახელმწიფო მექანიზმი, რის გამოც კვლავ აქტუალურია ისეთი თემები, როგორიცაა ქალზე ძალადობა, ფემიციდი და დისკრიმინაცია მხოლოდ იმის გამო განსხვავებული გენდერია.

და ბოლო მიგნება, რომელიც ამ კვლევის ფარგლებში მინდა შევაჯამო არის ის კონკრეტული პროექტები ან პროცესები, რომელმაც ხელი შეუწყოს ქართული საზოგადოების მოდერნიზაციას და ერი-სახელმწიფოს ფორმირებას. ეს არა სახელმწიფო პოლიტიკის, არამედ თავად მოქალაქეების მიერ თვითორგანიზებული მოქმედებაა. მაგალითად, ვინაიდან საქართველო მე-19 საუკუნეში არ იყო დამოუკიდებელი, ხოლო 1990-იან წლებში სახელმწიფო ინსტიტუტები ძალიან სუსტი და არაეფექტური იყო, მოქალაქეების მიერ განვითარდა არასახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები. რუსეთის იმპერიის პირობებში გამოსაყოფია და აღსანიშნავი

ქართველთა მორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს მოძრაობა 1879 წელს დაარსდა თერგდალეულების მიერ და გარდამტეხი წვლილი შეიტანა ქართული საზოგადოების განათლებასა და მოდერნიზაციაში. ხდებოდა არა მარტო სკოლების დაარსება, არამედ არსებული სკოლების დახმარება, ბიბლიოთეკების დაარსება, სახელმძღვანელოების და დამხმარე წიგნების გამოცემა, ეროვნული მუზეუმის დაარსება, ხელნაწერების შეგროვება და სხვ. როგორც ვხედავთ, განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობა და ახალი თაობის აღზრდა სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ მოხდა, რომელსაც უნდა ეტვირთა საქართველოს სამომავლო პოლიტიკური და ეკონომიკური მართვა. სწორედ განათლება არის ფუნდამენტი საზოგადოების მოდერნიზაციისა, რომელიც უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა იმ დროის ქართველი საზოგადო მოღვაწეებისთვის და რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ევროპის იდეის გზაზე. ხოლო რაც შეეხება 1990-იან წლებს, ამ პერიოდში ეს პროცესიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად განვითარდა. შეიქმნა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და დამოუკიდებელი მედია საშუალებები. ისინი ფაქტობრივად თავისუფალნი იყვნენ ცენზურისგან და თავისუფლად ახდენდნენ საკუთარი იდეებისა და შესაძლებლობების რეალიზებას. მათი გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე დიდი იყო და საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დაცვა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, არჩევნების მონიტორინგი, სამოქალაქო განათლება, სოციალური კეთილდღეობა, ქალთა პრობლემატიკა, ინფორმაციის მოგროვება და გავრცელება, კვლევების ჩატარება. ისინი დახმარებას უწევენ გარკვეულ სამიზნე ჯგუფებს, როგორიცაა იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ახალგა-

ზრდები, ქალები, საზოგადოებისგან მარგინალიზებული ჯგუფები და სხვ. მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა მასმედია, რადგან მოსახლეობის 70% ინფორმაციას სწორედ ტელევიზიებიდან იღებდა. რეფორმები გატარდა საზოგადოებრივ მაუწყებელში, მაგრამ ძირითადი გავლენა მაინც კერძო ტელევიზიებს ჰქონდათ. თავისუფალი მედიის როლი საქართველოს მოდერნიზაციის და ევროპის იდეის გზაზე დღესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იგი გამოხატავს იმ მისწრაფებს და ამოცანებს, რომელიც ქართველი ერის საუკუნოვანი არჩევანია.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის განვითარებას შესაბამისი რეაგირება მოსდევდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ამ ღირებულებების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, რაც ასევე საქართველოს მოდერნიზაციისა და ღირებულებების სიმძლავრის ინდიკატორია. რაც შეეხება საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპის იდეის მონაცემებს, უნდა გავიხსენოთ თუ როგორ ჩამოვაყალიბეთ ისინი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპის იდეა აუცილებლად მოიცავს მოდერნიზაციას, ხოლო მოდერნიზაცია ყოველთვის არ მოიცავს ევროპის იდეას. საქართველოში პირველ ორ ეპოქაში ევროპის იდეა და მოდერნიზაცია ერთმანეთს მოიცავს, ხოლო მესამე ეტაპზე მოდერნიზაციამ გადაწონა ევროპის იდეა და ისინი ერთმანეთს გაემიჯნენ. ხოლო თუ რამდენად ასოცირდება და ახლოსაა საქართველოს მოსახლეობასთან ევროპის იდეა დადგინდა შესაბამისი კვლევით სადაც მათი 61% თავს ევროპელად მიიჩნევს, 57% თვლის რომ საქართველო ევროპული სახელწიფოა, ხოლო 90%-ზე მეტს მიაჩნია, რომ ევროპის კავშირი საქართველოს პარტნიორი და მეგობარია, ამიტომაც სურს საქართველოს მასში გაწევრიანება. შედეგად ვხედავთ, რომ საქართველოს აბსოლუტურ უმეტესობას დადებითი წარმოდგენა აქვს საქართველოსა ევროპის კავშირის ურთიერთობებზე და პერსპექტივებზე.

ჩვენი კვლევის შედეგად, საბოლოოდ ვასკვნით, რომ ერთი შეხედვით კარგია, საქართველო საშიშ და განუვითარებელი ქვეყნების სიაში არ არის, მაგრამ განვითარების მხივაც არაა სახარბიელოდ საქმე. საქართველოს ამ მაჩვენებლებით მხოლოდ ათეულობით წლები დაჭირდება დაეწიოს ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს. საჭიროა არა მხოლოდ სტაბილური ნელი განვითარება, არამედ ნახტომისებური, სწრაფი განვითარების ნაბიჯები, რეფორმები ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროში. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და მოდერნიზაცია როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში,

ასევე სამართლებრივ და კულტურულ სფეროში. დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე. პოლიტიკური მოტივებით დევნა, თავისუფალი ტელევიზიისთვის ხელისშეშლა, შერჩევითი სამართლის ფაქტები, პროტექციონიზმი, შენელებული საგარეო პოლიტიკა, შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ნაწილი რამდენიმე წლის დაგვიანებით განახლდა, სუსტი ფისკალურ პოლიტიკა და სახელმწიფო ხარჯების მუდმივი ზრდა არის ის საკითხები, რომელიც უნდა დაიძლიოს ევროპის იდეისა და მოდერნიზაციის გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, ვ. (1987). ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფო და სამართლის პრობლემები. თბილისი: განათლება.
2. აბესაძე, გ. (2011). პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული მოდერნიზაცია საქართველოში. თბილისი.
3. აბზიანიძე, ზ. (2015). ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
4. ათანელიშვილი, თ. (15 თებერვალი, 2010). http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/. მოძიებულია www.nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000363/Atanelishvili%20T.pdf
5. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. (2007 წ.) დიდებული მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: ზეკარი.
6. ანდერსონი, ჯ. (4 მარტი, 2009). www.forbes.com/global/2009/. მოძიებულია www.forbes.com: https://www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html
7. ანჩაბაძე, მ. (2017). https://www.militarium.org/1918-1921/. მოძიებულია militarium.org: https://www.militarium.org/1918-1921/
8. ანჩაბაძე, ჯ. (2009). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან. თბილისი: უნივერსალური.
9. არსენიძე, რ. (2014). დემოკრატიული რესპუბლიკა. თბილისი.
10. ასათიანი, ი. (1994). ილია ჭავჭავაძე და თბილისის უძრავი ქონების ბანკი. თბილისი: მეცნიერება.
11. ასათიანი, ს. (3 სექტემბერი, 2014). https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-salome-asatiani-90s/. მოძიებულია, www.radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-salome-asatiani-90s/26565032.html
12. ბაქრაძე, ა. (1996). ნიკო ნიკოლაძე და ქალაქი ფოთი. ი. ჯ. უნივერსიტეტის წიგნი - ნიკო ნიკოლაძის 150 წლის საიუბილეო კოლექცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. ბენდიანიშვილი, ა. (1999). საქართველოს ისტორია 1801-1921. თბილისი: განათლება.
14. ბენდიანიშვილი, ა. (2008). თვითმმართველი ორგანოების როლი საქართველოს პირველ დემოკრატიული, რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურაში. წიგნში - საქართველოს დემოკრატიული, რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი განვითარების გამოცდილება (გვ. 4-18). თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

15. ბერიაშვილი, მ. (2009). სეკულარიზაციის კონცეფციის გაგება. გ. გიგა ზადანიას წიგნში - სეკულარიზაცია: კონცეფცია და შინაარსები (გვ. 17-63). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. ბერუჩაშვილი, თ., ყარაულაშვილი, ა., და მშვიდობაძე, ვ. (2006). საქართველო და ევროკავშირი. თბილისი.
17. ბლუაშვილი, უ. (2010). საქართველო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. თბილისი.
18. ბოერი, პ. დ. (2000). ევროპა 1914 წლამდე: იდეის ჩამოყალიბება. ბ. დ. პიმის და ბ. პეტერის წიგნში, ევროპის იდეის ისტორია (გვ. 13-69). ლონდონი და ნიუ – იორკი: ღია უნივერსიტეტი.
19. ბოცვაძე, ზ. (1991). იაკობ გოგებაშვილი. თბილისი: განათლება.
20. ბოქორიშვილი, თ. (2014). http://www.adami.ge/blogebi/1224-sashineleba-romelic-thbilisma-90-ian-tslebshi-datova. მოძიებულია www.adami.ge: http://www.adami.ge/blogebi/1224-sashineleba-romelic-thbilisma-90-ian-tslebshi-datova-10-photo.html?lang=ka-GE
21. ბუბულაშვილი, ე. (2003). ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
22. გამყრელიძე, გ. (2013). პოლიტიკური კულტურა და ხედვა. თბილისი: ევროპა ჩვენი სახლი.
23. გაფრინდაშვილი, ლ. (2008). ქართული ფემინიზმი თუ ფემინიზმი საქართველოში? ევროპული იდეებისა და ქართული კულტურის ისტორია (გვ. 193-197). თბილისი: უნივერსალი.
24. გაფრინდაშვილი, ლ. (8 მაისი, 2014). მოძიებულია www.feminism-boell.org: http://www.feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken
25. გაფრინდაშვილი, მ. (1988). ქართული საზოგადოების აზრების ისტორიის ნარკვევები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
26. გაფრინდაშვილი, მ. (1989). ქართული განმანათლებლობის ისტორიოგრაფიისათვის. თბილისი: მეცნიერება.
27. გეგენავა, დ. (2013). ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები და საქართველოს პირველი კონსტიტუცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პირველი კონსტიტუცია (გვ. 166-189). თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.
28. გერგედავა-ჭელიძე, ზ. (2002). აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური საქმიანობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
29. გიგინეიშვილი, ლ. (2015, 31 აგვისტო). როგორ ვერ მოკლეს ილია. (ჯ. რეხვიაშვილი, ინტერვიუერი)

30. გოგებაშვილი, ი. (1905). ეროვნული თვითმმართველობა. ქუთაისი: ვ. ი. ბეჟანეიშვილის გამომცემლობა.
31. გოგებაშვილი, ი. (1955). რჩეული თხზულებები. თბილისი: მეცნიერების ინსტიტუტი.
32. გოგებაშვილი, ი. (1990). რჩეული თხზულებები. თბილისი: განათლება.
33. გოგიაშვილი, ო. (2005). ილია ჭავჭავაძე - ქართველი ერის ეროვნული იდეოლოგი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.
34. გოგიაშვილი, ო.; ბატიაშვილი, ე. (2002). საქართველოს იდეოლოგები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
35. გილაური, ნ. (2017). https://link.springer.com/content/pdf/10.1007%2F978-3-319-45769-7.pdf. Retrieved from https://link.springer.com: https://link.springer.com/content/pdf/10.1007%2F978-3-319-45769-7.pdf
36. გურული, ვ. (1995). ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
37. გურული, ვ. (1999). ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი. თბილისი: ინტელექტი.
38. გურული, ვ. (20 იანვარი, 2016). ნოე რამიშვილის პოლიტიკური კურსი. http://www.for.ge/view.php?for_id=43643&cat=14. (Tbiliselebi, Interviewer)
39. გურული, ვ. (2008). ეროვნული თვითმყოფადობა, სახელმწიფოებრიობა და პოლიტიკური ორიენტაცია. თბილისი: უნივერსალი.
40. გურული, ვ. (2008). ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია. თბილისი: უნივერსალი.
41. გურული, ვ. (2011). 1918 წლის 26 მაისი. თბილისი: უნივერსალი.
42. გურული, ვ. (2015, 31 აგვისტო). როგორ ვერ მოკლეს ილია. (ჯ. რეხვიაშვილი, ინტერვიუერი)
43. დავითაშვილი, გ. (2011). დემოკრატიული ელემენტები საქართველოს ჩვეულებით სამართალში. ლ. გაფრინდაშვილის წიგნი - საქართველო დემოკრატიული ფასეულობების გზაზე (გვ. 254-278). თბილისი: დობერა.
44. დარჩაშვილი, მ. (2013). საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მეხედულებები ქართულ დემოკრატიულ პრესაში არსებული ეთნიკური ურთიერთობების შესახებ (1900-1917). თბილისი: უნივერსალი.
45. დემეტრაშვილი, ა. (2005). კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი: ფონდი - ღია საზოგადოება, საქართველო.

46. დობაძიშვილი, კ. (27 თებერვალი, 2015). www.tabula.ge/ge/tablog. მოძიებულია www.tabula.ge: http://www.tabula.ge/ge/tablog/93203-iuristi-ilia-chavchavadze
47. დოღონაძე, ს. (2000). ევროპის საბჭო და საქართველო. თბილისი: მეცნიერება.
48. ევგენიძე, ი. მინაშვილი, ლ. ჭუმბურიძე, ჯ. (2002). ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
49. ელჩიბეგაშვილი, კ. (2006). ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებები. თბილისი: პოლიგრაფიპოსტი.
50. ესიტაშვილი, ს. (1985). მითოლოგია, რელიგია და რეალობა ვაჟა-ფშაველას თხზულებებში. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
51. ვადაჭკორია, ს. (2001). ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში. თბილისი: მეცნიერება.
52. ვადაჭკორია, ს. (2008). ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. თბილისი.
53. ვაჟა-ფშაველა. (15 დეკემბერი, 2011). მღვდლების ვინაობა. მოძიებულია tagi.byethost33.com: http://tagi.byethost33.com/mghvdlebis-vinaoba/
54. ვაჟა-ფშაველა. (1964). ამჟამინდელი წერილი მეგობარს. ვაჟა-ფშაველაში, კორესპონდენციები, პუბლიცისტური სტატიები და სხვადასხვა დამატებები (გვ. 117-118). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
55. ვაჟა-ფშაველა. (1964). გამოსვლა ილია ჭავჭავაძის პანაშვიდზე. ვაჟა-ფშაველაში, პუბლიკაციები და ეთნოგრაფიული სტატიები (გვ. 272-292). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
56. ვაჟა-ფშაველა. (1964). ვაჟა-ფშაველაში, პუბლიკაციები და ეთნოგრაფიული სტატიები (გვ. 467). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
57. ვაჟა-ფშაველა. (1964). რა არის თავისუფლება? პუბლიკაციები და ეთნოგრაფიული სტატიები (გვ. 410). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
58. ვაჟა-ფშაველა. (1964). საუბრები ბავშვებზე. ვაჟა-ფშაველაში, კორესპონდენციები, პუბლიცისტური სტატიები და სხვადასხვა დამატებები (გვ. 108-109). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
59. ვაჟა-ფშაველა. (1964). ფიქრები. ვაჟა-ფშაველაში, პუბლიკაციები და ეთნოგრაფიული სტატიები (გვ. 194-195). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
60. ვაჟა-ფშაველა. (1979). პუბლიკაციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

61. ვაჟა-ფშაველა. (1979). წერილები მეგობარს. ვაჟა-ფშაველაში ახლად აღმოჩენილი ნაწარმოებები (გვ. 180-181). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
62. ვაჟა-ფშაველა. (1990). კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი. რჩეულები (გვ. 397-400). თბილისი: განათლება.
63. ვაჟა-ფშაველა. (2010). ალუდა ქეთელაური. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
64. ვაჟა-ფშაველა. (2014 წ.) სტუმარ-მასპინძელი. თბილისი: წიგნების სამყარო.
65. ვარდიაშვილი, მ. (1993). აკაკი წერეთელი - დიდი განმანათლებელი და მასწავლებელი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
66. ვაშაყმაძე, ზ., & მეტრეველი, ა. (2013). რწმენის თავისუფლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. თბილისი: ნეკერი.
67. ვაშაყმაძე, ნ. (2014). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა. თბილისი: უნივერსალი.
68. ვახტანგიშვილი, თ. (2014). საქართველოს სტრუქტურული სოციალურ-ეკონომიკური ევოლუცია და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობების ძირითადი მიზნები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისი. თბილისი: უნივერსალი.
69. ზოზრაშვილი, თ. (2010). დიდი ქართველები. თბილისი: პალიტრა L.
70. ზურაბიშვილი, დ. (2003). აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობები საქართველოში. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში (გვ. 68-72). თბილისი.
71. თავისუფლების ინსტიტუტი. (2002). აღმსარებლობის თავისუფლება. თბილისი.
72. თარხან-მოურავი, გ.. (19 იანვარი, 1997). საბჭოთა საქართველოს 70 წელი. მოძიებულია http://rolfgross.dreamhosters.com: http://rolfgross.dreamhosters.com/Texts/KandA-Web/Giahistory.htm
73. თევზაძე, გ. (2015, 31 აგვისტო). როგორ ვერ მოკლეს ილია. (ჯ. რეხვიაშვილი, ინტერვიუერი)
74. თელია, ა. (1989). საქართველოს სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბილისი: განათლება.
75. თოდუა, გ. (1987). XIX საუკუნის ქართული სოციალურ-ეკონომიკური აზრის ისტორიული საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
76. იათაშვილი, ს. (2011). ძალიან მნიშვნელოვანი ფასეულობები ქართულ ლიტერატურაში. ლ. გაფრინდაშვილი, საქართველო

დემოკრატიული ფასეულობების გზაზე (გვ. 414-425). თბილისი: დობერა.
77. ინასარიძე, კ. (1984). მოკლე ოქროს ხანა. მიუნხენი.
78. კაკაბაძე, დ. & ასათიანი, ს. (15 აგვისტო, 2009). https://www.radiotavisupleba.ge/a/1800146.html. მოძიებულია www.radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/1800146.html
79. კალანდაძე, რ. (2000). დემოკრატია, როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის იდეოლოგია. თბილისი: მეცნიერება.
80. კაციტაძე, კ. (2011). საქართველო - კულტურა და ისტორია დემოკრატიის წინააღმდეგ. ლ. გაფრინდაშვილი, საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების გზაზე (გვ. 113-164). თბილისი: დობერა.
81. კენკებაშვილი, თ. (1999). ალექსანდრე ყაზბეგის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
82. კვარაცხელია, მ. (2001). ილია და ეროვნული ეკონომიკა. თბილისი: ტობალისი.
83. კვარაცხელია, მ. (2012). ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში. თბილისი: ინტელექტი.
84. კვიტაიშვილი, ნ; მალაზონია, დ; მალაზონია, თ. (2008). საქართველოს ისტორია. თბილისი: საქართველოს ბიოგრაფიული ცენტრი.
85. კირთაძე, ნ. (1997). ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923). თბილისი: ევროპისა და ამერიკული კვლევების ინსტიტუტი.
86. კობახიძე, ბ. (23 ივლისი, 2015). http://pirvelirespublika.blogspot.com. მოძიებულია pirvelirespublika.blogspot.com: http://pirvelirespublika.blogspot.com/2015/07/1874-1959.html
87. კობახიძე, მ. (2012). სასჯელაღსრულების სისტემა. ქართული დემოკრატიის სახელმძღვანელო (გვ. 97-108). თბილისი: ქართუ.
88. კუტალია, რ. (2004). ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი და პოლიტიკური კონცეფცია და სამართლის ფილოსოფია. თბილისი: სამართალი.
89. ლაბუჩიძე, დ. (2003). ვოლტერი. თბილისი: სანი.
90. ლაბუჩიძე, დ. (2003). რუსო. თბილისი: სანი.
91. ლობჟანიძე, გ. (1989). არჩილ ჯორჯაძის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
92. ლომაშვილი, ჯ. (2007). ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძის შესახებ. თბილისი: თბილისის პოლიგრაფი.

93. ლომაშვილი, ჯ. (2008). ვაჟა-ფშაველას შეხედულებები ნარმართობის შესახებ. თბილისი: თბილისის პოლიგრაფი.
94. ლომაშვილი, ჯიბო. (1986). ვაჟა-ფშაველას ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. თბილისი: მეცნიერება.
95. ლოსაბერიძე, დ. (1998, June). The Problem of Nationalism in Georgia. Retrieved from www.nato.int: http://www.nato.int/acad/fellow/96-98/losaberi.pdf
96. მაღლაკელიძე, ს. (2012). მოგონებები. თბილისი: პეგასუსი.
97. მაცაბერიძე, მ. (2008). 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია: დემოკრატიის ქართული მოდელის ძიებაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი განვითარების გამოცდილება (გვ. 20-23). თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.
98. მესხია, რ. (2012). ეკოლოგია. თბილისი: უნივერსალი.
99. მეტრეველი, ა. (2012, May 5). http://www.orthodoxtheology.ge/რელიგიური-გაერთიანებები/. მოძიებულია www.orthodoxtheology.ge: http://www.orthodoxtheology.ge/რელიგიური-გაერთიანებები/
100. მეტრეველი, ვ. დ (1980). აკაკი წერეთლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
101. მიმიტაშვილი, მ. (2016). www.militarium.org/qartuli-ena-da-nacionalizm. Retrieved from www.militarium.org: http://www.militarium.org/qartuli-ena-da-nacionalizmi/
102. მინაშვილი, ლ., & ქაფიაშვილი, ი. (2004). ალექსანდრე ყაზბეგი. თბილისი: მერანი.
103. მონიავა, მ. (2000). აკაკი წერეთლის პუბლიკაციების სტილისტიკური თავისებურებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
104. მოძიებულია http://socasis.ubbcluj.ro/: http://socasis.ubbcluj.ro/seminarii/locuire/Upload/syllabus09/C09b.%20Knobl%20(2003).pdf
105. მჭედლიშვილი, დ. (2012). www.nplg.gov.ge/bios. Retrieved from nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000803/
106. მჭედლიშვილი, ლ. (2011). ქართული ფილოსოფიის ევროპული ორიენტაციის შესახებ. ლ. გაფრინდაშვილში, საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების გზაზე (გვ. 165-168). თბილისი: დობერა.
107. ნათმელაძე, გ. (2009). ბანკის მართვა ილია ჭავჭავაძის მიერ. ზ. აბზიანიძე, მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეები (გვ. 54-57). თბილისი: თვალსაწიერი.

108. ნანიტაშვილი, ლ. (1993). ერის ტკივილი, მისი ტკივილი იყო. თბილისი: მერწყული.
109. ნინიძე, კ. (2015). ქალთა ლიტერატურული საქმიანობა საქართველოში. ზ. აბზიანიძე „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“ (გვ. 165-172). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
110. ნიჟარაძე, გ. (2001). პოლიტიკური ქცევა საქართველოში. ეპოქა, 1-7.
111. ნოდია, გ. (2003). დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობები საქართველოში. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში (გვ. 37-52). თბილისი: დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის ინსტიტუტი.
112. ნოდია, გ. (2005). სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. თბილისი.
113. ნოზაძე, გ. (2007). გარდამავალი პერიოდი დემოკრატიასა და აქტიურ მოქალაქეობაზე. თბილისი: DVV International.
114. პაპავა, ვ. (2011). საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: ინტელექტი.
115. პაპასკირი, თ. (2011). ამერიკელი და ევროპელი ხალხის გვიანდელი ისტორია. თბილისი: მერიდიანი.
116. პაპუაშვილი, ნ. (2011). დემოკრატიული ფასეულობები და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ლ. გაფრინდაშვილი, საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების გზაზე (გვ. 313-338). თბილისი: დობერა.
117. პატარიძე, ე. (1938). დემოკრატია. პარიზი: მითითებული არ არის
118. პიპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიური კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის გამოწვევები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
119. ჟვანია, გ. (1998). ევროპა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა (1917-1925). თბილისი: სამშობლო.
120. ჟორდანია, ნ. (1918). სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია. თბილისი: რუხაძის გამომცემლობა.
121. ჟორდანია, ნ. (1923). ბრძოლის საკითხი. 1923 წ.
122. ჟორდანია, ნ. (1933). დემოკრატია. პარიზი.
123. ჟორდანია, ნ. (1990). რჩეული თხზულებები. თბილისი: საქართველო.
124. ჟორდანია, ნ. (1990). ჩემი წარსული. თბილისი: სარანგი.
125. რამიშვილი, ი. (2012). მოგონებები. თბილისი: არტანუჯი.
126. რამიშვილი, ნ. (1931). დემოკრატიული სოციალიზმი. პარიზი.
127. რატიანი, ი. (2011). დემოკრატიული ფასეულობები ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში. თბილისი: ნეკერი.

128. როსტიაშვილი, ქ. (2004). კორუფცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. თბილისი: პოლიგრაფი.
129. საბედალაშვილი, თ. (2007). გენდერი და დემოკრატიზაცია. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი.
130. საქართველოს მთავრობა. (2006). საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია. თბილისი: საქართველოს მთავრობა.
131. საქართველოს მთავრობის პუბლიკაცია. (2010). 2004-2010 შვიდი წელი, რამაც სამუდამოდ შეცვალა საქართველო. თბილისი.
132. სეხნიაშვილი, თ. (2000). ეკონომიკის ისტორია. თბილისი: პირველი სტამბა.
133. სიგუა, ს. (2012, July 24). http://www.for.ge/view.php?for_id=14732&cat=9. მოძიებულია www.for.ge: http://www.for.ge/view.php?for_id=14732&cat=9
134. სიდამონიძე, თ. (2013, 6 აპრილი). ნოე ჟორდანიას საბედისწერო შეცდომები და ნოე რამიშვილის საბრალო პატიება. ისტორიები, 29.
135. სილაგაძე, ა., და გურული, ვ. (1998). საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი: ინტელექტი.
136. სორდია, გ. (2012). დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია საქართველოში. თბილისი: უნივერსალი.
137. სულაბერიძე, დ. (2010). გიორგი წერეთელი. ქუთაისი: ლამპარი.
138. ტოტოჩავა, კ. (2000). იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებები. თბილისი: პირველი გამომცემლობა.
139. უთურაშვილი, ი. (2011). დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საოჯახო ბიბლიოთეკა.
140. ურატაძე, გ. (1939). სოციალისტური მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წლებში. პარიზი: ნავარე.
141. ფანჯიკიძე, თ., და ყანჩარელი, თ. (2006). რელიგიური ცხოვრება საქართველოში. თბილისი.
142. ფარცხალაია, ნ. (2001). ი. გოგებაშვილი რელიგიის შესახებ. თბილისი: ცის ნამი.
143. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1987). ჯიბლაძე სილიბისტრო. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
144. ქუთელია, ა. (1947). ვაჟა-ფშაველა მოაზროვნე და ჰუმანისტი. თბილისი: სახელგამი.
145. ყაზბეგი, ა (1985). რჩეული თხზულებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
146. ყაზბეგი, ა. (1947). რჩეული თხზულებები. თბილისი: საქართველოს სსრ პოლიგრაფია.

147. ყაზბეგი, ა. (1950). თხზულებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
148. ყაზბეგი, ა. (1973). ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებები 70-იან წლებში. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
149. ყიფიანი, დ. (1876). სპეციალური მუხლი. დროება, 24.
150. შანიძე, ზ. (2012, April 01). http://for.ge/view.php?for_id=9046&cat=1. მოძიებულია http://for.ge: http://for.ge/view.php?for_id=9046&cat=1
151. შუბითიძე, ვ. (2003). ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.
152. შუბითიძე, ვ. (2009). ქართული მენშევიზმი და თანამედროვე სოციალ-დემოკრატია. ისტორიული ვერტიკალები, ბასიანი.
153. შუბითიძე, ვ. (2013). ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზრი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.
154. შუბითიძე, ვ. (2013). ნიკო ნიკოლაძე - კაცი-სახელმწიფო. თბილისი: გავაზი.
155. ჩიკვილაძე, დ. (2016). scribd.com/document. მოძიებულია scribd.com: https://www.scribd.com/document/319778307/ქართული-პუბლიცისტიკა
156. ჩიმაკაძე, გ. (2003). დავით სარაჯიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: საქართველოს მაცნე.
157. ჩხაიძე, ი. (2009). http://kulturiskvlevebi. მოძიებულია http://kulturiskvlevebi.weebly.com: http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/nacionalizmi.pdf
158. ცერცვაძე, ლ. (2005). პიროვნების საკითხი ვაჟა-ფშაველას თხზულებებში. თბილისი: ჯონ პეტრიწი.
159. ცქიტიშვილი, ა. (2012). მედია და გამოხატვის თავისუფლება. ქართული დემოკრატიის სახელმძღვანელო (გვ. 124-133). თბილისი: ქართუ.
160. წერეთელი, ა. (1960). რჩეული თხზულებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
161. წერეთელი, ა. (1961). პუბლიცისტური წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
162. წერეთელი, ა. (2010). რჩეული თხზულებები. ტომი XI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
163. წერეთელი, ა. (2010). რჩეული თხზულებები. ტომი XIV. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
164. წერეთელი, ი. (1907). ისტორიული წერილები. ქუთაისი: ი. კილაძე და ი. ხელაძე გამომცემლობა.
165. წერეთელი, ი., და კაკიტელაშვილი, კ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი: სოციალური მეცნიერებების ცენტრი.

166. წურწუმია, მ. (2011). სამოქალაქო საზოგადოება. თბილისი: უნივერსალი.
167. ჭავჭავაძე, ი. (1880). მაჰმადიანთა ქრისტიანობა. თბილისი: ივერია.
168. ჭავჭავაძე, ი. (1955). თხზულებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
169. ჭავჭავაძე, ი. (1984). ილია ჭავჭავაძის ერთტომეული. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
170. ჭავჭავაძე, ი. (1985). ილია ჭავჭავაძის კვლევები, სტატიები, წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
171. ჭავჭავაძე, ილია (8 ნოემბერი, 2015). artinfo.ge. მოძიებულია artinfo.ge/2015/11/ილია-ჭავჭავაძე-ეს-ანდერძ: http://artinfo.ge/2015/11/ილია-ჭავჭავაძე-ეს-ანდერძ/
172. ჭავჭავაძე, ილია. (1985). ოთარაანთ ქვრივი. ი.ჭავჭავაძის მოთხრობები (გვ. 228-298). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
173. ჭავჭავაძე, ილია. (1986). „ივერიის“ წინასიტყვაობა. ი.ჭავჭავაძის პუბლიკაციები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ (გვ. 234-238). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
174. ჭავჭავაძე, ილია. (1987). განდეგილი. ი.ჭავჭავაძის მოთხრობები, პოეზია (გვ. 255-274). თბილისი: მეცნიერება, საბჭოთა საქართველო.
175. ჭავჭავაძე, ილია. (1987). ოსმალური საქართველო. ი.ჭავჭავაძის პუბლიკაციები (გვ. 7-11). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
176. ჭავჭავაძე, ილია. (1987). რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ი.ჭავჭავაძის პუბლიკაციები (გვ. 173-177). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
177. ჭავჭავაძე, ილია. (1987). საშინაო საქმეთა შესახებ. ი.ჭავჭავაძის პუბლიკაციები (გვ. 296-302). თბილისი.
178. ჭავჭავაძე, ილია. (1987). ცხოვრება და სამართალი. ი.ჭავჭავაძის პუბლიკაციები (გვ. 299-378). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
179. ჭავჭავაძე, ილია. (2011). ჩინოსანთა თანასწორობა. ი.ჭავჭავაძის პუბლიკაციები (გვ. 22-24). თბილისი: წიგნიერება.
180. ჭავჭავაძე, ილია. (2015 წ.) სამართლიანობა და სასჯელი. ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში (გვ. 373-374). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
181. ჭუმბურიძე, დ. (2008). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკა. ჯანელიძე, ო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (გვ. 25-35). თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

182. ჭუმბურიძე, დ. (2011). 1919 წელს წინასაარჩევნო კამპანია და პარტიის აგიტაცია ქართულ პრესაში. საქართველოს დამფუძნებელი ასამბლეა (გვ. 47-54). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
183. ხეცურიანი, მ. (2004). ევროპული ცივილიზაციის ისტორია. თბილისი: მერანი.
184. ხიდაშელი, თ. (2011). საქართველო და აღმოსავლეთ პარტნიორობა - ადამიანის უფლებების პრობლემები და გამოწვევები. მოსაზრებები საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ (გვ. 6-19). თბილისი: ლევან მიქელაძის ფონდი.
185. ხომერიკი, ლ. (2003). გენდერული თანასწორობა პოსტსაბჭოთა საქართველოში. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში (გვ. 73-83). თბილისი.
186. ხუციშვილი, გ. (2008). სამოქალაქო საზოგადოება და ვარდების რევოლუცია საქართველოში. თბილისი.
187. ჯავახიშვილი, მ. (2 ივლისი, 2016). გლეხის წერილები. მოძიებულია http://myreaderclub.com: http://myreaderclub.com/1114/მიხეილ-ჯავახიშვილი-მთა/
188. ჯალიაშვილი, მ. (2015). პირადი თავისუფლება და პასუხისმგებლობა ქართულ პროზაში. ზ. აბზიანიძეში, ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში (გვ. 203-212). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
189. ჯანელიძე, ო. (2010). ბოლო თერგდალეული. თბილისი: უნივერსალი.
190. ჯანელიძე, ო. (2015). ქართველი სტუდენტები და ახალგაზრდები სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე. ზ. აბზიანიძე, ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში (გვ. 142-162). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
191. ჯანელიძე, ოთარი. (17-28). საქართველოს სოციალური და ისტორიული რეალობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ზ. აბზიანიძეში, ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში (გვ. 2015). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
192. ჯანელიძე, ოთარი. (2015 წ.) ლიბერალური იდეალები თერგდალეულებს შორის. ზ. აბზიანიძე, ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში (გვ. 114-122). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
193. ჯიჯეიშვილი, კ. (1999). ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს პრობლემებსა და დემოკრატიაზე. თბილისი: პირველი სტამბა.
194. ჯოლოგუა, ტ. (2002). დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

195. ჯორჯაძე, ა. (1989). არჩილ ჯორჯაძის სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
196. ჯორჯაძე, ა. (1989). სტატიები. თბილისი: მერანი.
197. Abrams, P., & McCulloch, A. (2010). Communes, Sociology and Society. Cambridge: Cambridge University Press.
198. Agenda.ge (2016). http://agenda.ge/news/51342/eng. მოძიებულია http://agenda.ge/news/51342/eng: http://agenda.ge/news/51342/eng
199. Ambebi.ge. (22 იანვარი, 2016). http://www.ambebi.ge/sazogadoeba/. მოძიებულია www.ambebi.ge: http://www.ambebi.ge/sazogadoeba/118332-gldanis-eklesiis-darbevashi-monatsile-specrazmelis-aghsareba.html?reply=1&commentid=1006825&orderBy=1
200. Anton, D. K., & Shelton, D. L. (2011). Environmental Protection and Human Rights. Cambridge: Cambridge University Press.
201. Archer, C. (2008). The European Union. Oxon: Routledge.
202. Aron, R. (2003). Peace and War . Tbilisi: Publishing House 'Mars'.
203. Baker, S. (2006). Environmental Values and Climate Change Policy. In I. M. Sonia Lucarelli, Values and Principles in European Union Foreign Policy (pp. 77-96). Oxon: Routledge.
204. Balfour, R. (2008). Human Rights Promotion. In F. Cerutti, & S. Lucarelli, The Search for a European Identity (pp. 159-178). Oxon: Routledge.
205. BBC. (2005, May 10). http://news.bbc.co.uk/2/hi/4532539.stm. მოძიებულია http://news.bbc.co.uk/: http://news.bbc.co.uk/2/hi/4532539.stm
206. Beck, U. (2005). Inequality and Recognition:. In A. Giddens, & P. Diamond, The New Egalitarianism (pp. 120-142). Cambridge: Polity Press.
207. Blockmans, S. (2010). EU Enlargement as a Peacebuilding Tool. In S. Blockmans, J. Wouters, & T. Ruys, The European Union and Peacebuilding (pp. 77-106). Hague: Asser Press.
208. Boer, P. d. (2000). Europe to 1914: the making of an idea. In B. D. Pim, & B. Peter, History of the Idea of Europe (pp. 13-69). London and New York: The Open University.
209. Brague, R. (1992). Europe - the Romanian Path. Paris.
210. Brems, E. (2013). Diversity and European Human Rights. Cambridge: Cambridge University Press.
211. Burakova, L. (2012). Why Did Georgia Come Out? Tbilisi: House of Europe.

212. Cerutti, F. (2008). Why political identity and legitimacy matter in the European Union. In S. L. Furio Cerutti, The Search for a European Identity (pp. 3-22). Oxon: Routledge.
213. cesko.ge. (2004, January 15). http://cesko.ge/geo/list/show/333-cesko-saprezidento-archevnebis-shedegebs-acxadebs-1985. Retrieved from cesko.ge: http://cesko.ge/geo/list/show/333-cesko-saprezidento-archevnebis-shedegebs-acxadebs-1985
214. Charvet, J., & Kaczynska-Nay, E. (2008). The Liberal Project and Human Rights - The Theory and Practice of a New World Order. Cambridge: Cambridge University Press.
215. CIESR. (2013). Tbilisi.
216. Civicus. (2016, May 16). civicuscela. მოძიებულია civicuscela. wordpress.com: https://civicuscela.wordpress.com/2016/05/12/ილია-ჭავჭავაძის-წინასაარ/
217. Civil Georgia. (2008, April 3). http://civil.ge/geo/article.php?id=17931. მოძიებულია http://civil.ge: http://civil.ge/geo/article.php?id=17931
218. CNN. (2012, January 29). http://ireport.cnn.com/docs/DOC-738525. მოძიებულია http://ireport.cnn.com/: http://ireport.cnn.com/docs/DOC-738525
219. Coase, R. H. (1937). The Nature of the Firm. Economica, 4(16), 386-405.
220. Constitution of the Democratic Republic of Georgia. (1921). http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia.pdf. მოძიებულია http://constitution.parliament.ge: http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia.pdfhttp://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia.pdf
221. CSIS. (2009). https://www.csis.org/analysis/georgian-military-reform. მოძიებულია www.csis.org: https:// www.csis.org/analysis/georgian-military-reform
222. Dahl, R. A. (1971). Polyarchy. New Haven and London: Yale University Press.
223. Dalton, S. (2003). Engendering the Republic of Letters: Reconnecting Public and Private Spheres. Quebec: McGill-Queen's UP.
224. Davies, N. (1996). Europe, History. Oxford: Oxford University Press.
225. Delanty, G., & Rumford, C. (2005). Rethinking Europe - Social theory and the implications of Europeanization. Oxon: TJ International Ltd, Padstow, Cornwall.
226. Dorpalen, A. (2008). The European Polity: Biography of an Idea. Cambridge : Cambridge University Press.

227. Duke, S., & Courtier, A. (2010). EU Peacebuilding: Concepts, players and instruments. In S. Blockmans, J. Wouters, & T. Ruys, The European Union and Peacebuilding (pp. 15-54). Hague: Asser Press.
228. Duran, G. M., & Morgera, E. (2012). Environmental Integration in the EU's External Relations. Oxford: Hart Publishing Ltd.
229. Dworkin, R. (2002). Sovereign Virtue: The Theory and Practice of Equality. Harvard: Harvard University Press.
230. echr. (2016). echr.coe.int/Documents/Stats_violation_1959_2015. მოძიებულია echr.coe.int: http://www.echr.coe.int/Documents/Stats_violation_1959_2015_ENG.pdf
231. economy.ge. (2017). http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf. მოძიებულია economy.ge: http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf
232. eeas.europa.eu. (2014). eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/. მოძიებულია eeas.europa.eu: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/index_en.htm
233. EUR-Lex. (2009). მოძიებულია eur-lex.europa.eu: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV%3Al33020
234. eur-lex.europa.eu. (2017, December 11). https://eur-lex.europa.eu/legal-content/. მოძიებულია eur-lex.europa.eu: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=legissum:xy0022
235. europa.eu. (2009, May 06). europa.eu/rapid/press-release. მოძიებულია europa.eu: http://europa.eu/rapid/press-release_IP-09-700_en.htm
236. europa.eu. (2016). europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/association_agreement. მოძიებულია europa.eu: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/association_agreement/index_en.htm
237. europa.eu/about-eu. (2015, 10 28). მოძიებულია europa.eu: http://europa.eu/about-eu/index_en.htm
238. European Iniatiative - Liberal Academy Tbilisi. (2011). http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf. მოძიებულია www.ei-lat.ge: http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf
239. Facktcheck. (2016). http://factcheck.ge/article/girchi-bolo-samtselitsadshi-saqarthveloshi-ekonomikuri-mdgomareoba-gauaresda/.

მოძიებულია http://factcheck.ge/: http://factcheck.ge/article/girchi-bolo-sam-tselitsadshi-saqarthveloshi-ekonomikuri-mdgomareoba-gauaresda/
240. Featherstone, K., & Radaelli, C. M. (2003). The politics of Europeanization. Oxford: Oxford University Press.
241. Findley, C. V. (2010). Turkey, Islam, Nationalism, and Modernity. Yale: Yale University Press.
242. Follesdal,. A., Peters, B., & Ulfstein, G. (2013). Constituting Europe. Cambridge: Cambridge University Press.
243. Forbes. (2017, September 19). http://forbes.ge/news/. Retrieved from http://forbes.ge/: http://forbes.ge/news/2771/evrokavSirSimeti-produqcia-gagvaqvs
244. Friedman, M. (1962). Capitalism and Freedom. Chicago: The University of Chicago Press.
245. Friedman, M. (2000, Oct 10). (P. Interview, Interviewer)
246. Gallup. (2010, August 31). http://news.gallup.com/poll/142727/religiosity-highest-world-poorest-nations.aspx. Retrieved from http://news.gallup.com/: http://news.gallup.com/poll/142727/religiosity-highest-world-poorest-nations.aspx
247. Galtung, J. (1996). Peace by Peaceful Means. London: SAGE Publications.
248. Gamakharia, J. (2006). The Holy Confessor Ambrose. Retrieved from dspace.nplg.gov.ge: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11528/1/Ambrosi_Xxelaia.pdf
249. Gamtenadze, Z. (2016, March 25). https://civicuscela.wordpress.com/2016/03/25/ქალთა-მოძრაობა-საქართვ/. Retrieved from civicuscela.wordpress.com: https://civicuscela.wordpress.com/2016/03/25/ქალთა-მოძრაობა-საქართვ/
250. Georgian Journal. (2013, December 10). georgianjournal.ge/politics. მოძიებულიაgeorgianjournal.ge: http://www.georgianjournal.ge/politics/25618-i-am-georgian-and-therefore-i-am-european--zurab-zhvanias-historic-speech-at-the-european-council.html
251. Georgian National Committee. (1919). Georgia and the Georgian Race. London: Williams, Lea & Co.
252. GII. (2017). https://www.globalinnovationindex.org/analysis-indicator. მოძიებულია www.globalinnovationindex.org: https://www.globalinnovationindex.org/analysis-indicator
253. Goorha, P. (2017, December). Modernization Theory. მოძიებულია Oxford Research Encyclopedia of International Studies: http://oxfordre.com/internationalstudies/view/10.1093/

acrefore/9780190846626.001.0001/acrefore-9780190846626-e-266#acrefore-9780190846626-e-266-bibItem-55
254. Grabbe, H. (2003). Europeanization Goes East: Power and Uncertainty in the EU Accession Process. In K. Featherstone, & C. M. Radaelli, The Politics of Europeanization (pp. 303-324). Oxford: Oxford University Press.
255. Grim, J. B., & Finker, R. (2013). http://www.pewforum.org/files/2015/02/Restrictions2015_byRegion.pdf. მოძიებულია www.pewforum.org: http://www.pewforum.org/files/2015/02/Restrictions2015_byRegion.pdf
256. Heritage Foundation & The Wall Street Journal. (2010). http://www.heritage.org/index/pdf/2010/index2010_highlights.pdf. Retrieved from www.heritage.org: http://www.heritage.org/index/pdf/2010/index2010_highlights.pdf
257. Heywood, A. (2005). Political Ideologies. Tbilisi: Logos Press.
258. Hobhouse, L. T. (1994). Liberalism and Other Writings. New York: Cambridge University Press.
259. Institute for Economics and Peace. (2017). http://economicsandpeace.org/about/faqs/. Retrieved from http://economicsandpeace.org/: http://economicsandpeace.org/about/faqs/#collapse_4
260. Institute of Philosophy and Social Sciences. (2010). What is the Freedom. (D. L. Tengiz Iremadze, Ed.) Tbilisi: Nekeri.
261. Ivelashvili, M. (2012, July 27). https://www.radiotavisupleba.ge/a/akhaltsikhe-rabati/24658358.html. Retrieved from www.radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/akhaltsikhe-rabati/24658358.html
262. Jones, S. F. (2007). Socialism in Georgian Colors. Tbilisi: Ilia University Press.
263. Jorgensen, K. E. (2006). Theoretical perspectives on the role of Values, Images and Principles in Foreign Policy. In S. Lucarelli, & I. Manners, Values and Principles in European Union Foreign Policy (pp. 42-58). Oxon: Routledge.
264. Kautsky, K. (1921). Kautsky About Georgia. Independent Georgia, 8-9.
265. Kemp, J. (2011). Kemp Foundation. Indianapolis: Kemp Forum.
266. Kohl, A., & Pina, J. (2016). http://www.fundalib.org/wp-content/uploads/2016/04/World-Index-of-Moral-Freedom-web.pdf. მოძიებულია www.fundalib.org: http://www.fundalib.org/wp-content/uploads/2016/04/World-Index-of-Moral-Freedom-web.pdf
267. Kubicek, P. J. (2003). The European Union and Democratization. London and New York: Routledge.

268. Laborde, C. (2013). Justificatory Secularism. In M. E. Gavin D'Costa, Religion in a Liberal State (pp. 164-186). Cambridge: Cambridge University Press.
269. Lampe, K. (2005). Human Rights in the Context of EU Foreign Policy and Enlargement. Baden-Baden: Nomos.
270. Law of Georgia on Assembly and Manifestations. (2013). მოძიებულია www.kharagauli.ge: http://www.kharagauli.ge/img/files/30.pdf
271. Leonard, D. (2000). Guide to the European Union. London: Profile Books Ltd.
272. Liberali.ge. (2013, December 6). http://liberali.ge/news/view/9838/mastsavleblebi-mat-gaqristianebaze-ushualod-mushaoben--prozelitizmis-problema-nigvzianis-sajaro-skol. მოძიებულია http://liberali.ge: http://liberali.ge/news/view/9838/mastsavleblebi-mat-gaqristianebaze-ushualod-mushaoben--prozelitizmis-problema-nigvzianis-sajaro-skol
273. Liberalis. (2010, October 21). geo-demokratia. Retrieved from geo-demokratia.blogspot.com: http://geo-demokratia.blogspot.com/2010_10_01_archive.html
274. Lipset, S. M. (2010, February 2). http://eppam.weebly.com/uploads/. Retrieved from http://eppam.weebly.com: http://eppam.weebly.com/uploads/5/5/6/2/5562069/lipset1959_apsr.pdf
275. lisbon-treaty.org. (2013). http://www.lisbon-treaty.org/wcm/the-lisbon-treaty.html. Retrieved from lisbon-treaty.org: http://www.lisbon-treaty.org/wcm/the-lisbon-treaty.html
276. Locke, J. (1999, July 25). The Second Treatise of Civil Government. Retrieved from https://www.marxists.org/reference/subject/politics/locke/
277. Louka, E. (2004). Conflicting Integration - The Environmental Law of the EU. Oxford: Hart Publishing.
278. Lucareli, S., & Manners, I. (2006). Values and Principles in the European Union Foreign Policy. Oxon: Routledge.
279. Lucarelli, S. (2008). European political identity, foreign policy and Others' image. In F. cerutti, & S. Luarelli, The search for European identity (pp. 23-42). Oxon: Routledge.
280. MacFarlane, S. N. (2011, March). http://www.operationspaix.net/DATA/DOCUMENT/4270~v~Post-Revolutionary_Georgia_on_the_Edge_.pdf. Retrieved from www.operationspaix.net: http://www.operationspaix.net/DATA/DOCUMENT/4270~v~Post-Revolutionary_Georgia_on_the_Edge_.pdf

281. MacFarlane, S. N. (2011, March). Post-Revolutionary Georgia. Retrieved from www.operationspaix.net: http://www.operationspaix.net/DATA/DOCUMENT/4270~v~Post-Revolutionary_Georgia_on_the_Edge_.pdf
282. Magarotto, L. (2008). L'Annessione Della Georgia Alla Russia (1783-1801). Tbilisi: Mtsignobari.
283. Margulis, L. (1998, September 2). independent.co.uk/arts-entertainment/life-on-earth-doesnt-need-us. Retrieved from independent.co.uk: http://www.independent.co.uk/arts-entertainment/life-on-earth-doesnt-need-us-1195424.html
284. Materipress Worldpress Theme. (2017). http://stamp3.com/download/ქართული-ჯარი-ახალ-შეიარაღებაზე-გადადის. Retrieved from http://stamp3.com: http://stamp3.com/download/ქართული-ჯარი-ახალ-შეიარაღებაზე-გადადის
285. Mavelli, L. (2012). Europe's Encounter with Islam. Oxon: Routledge.
286. McCormick, J. (2001). Environmental Policy in the European Union. Hampshire: Palgrave Press.
287. mes.gov.ge. (2010). buki.ge/author. Retrieved from buki.ge: http://buki.ge/author-2109.html
288. Miliband, E. (2005). Does Inequality Matter? In A. Giddens, & P. Diaomond, The New Egalitarianism (pp. 39-51). Cambridge: Polity Press.
289. Morrow, J. (2001). Private Property, Liberal Subjects, and the State. In A. Simhony, & D. Weinstein, The New Liberalism (pp. 94-114). Cambridge: Cambridge University Press.
290. Morth, U. (2003). Europeanization as Interpretation, Translation, and Editing of Public Policies. In K. Featherstone, & C. M. Radaelli, The Politics of Europeanization. Oxford: Oxford University Press.
291. Mouzelis, N. P. (2008). Modern and Postmodern Social Theorizing. Cambridge: Cambridge University Press.
292. National Archievs of Georgia. (2014, June 13). http://www.archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi1. Retrieved from archives.gov.ge: http://www.archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi1
293. National Bank of Georgia. (2017). https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426. Retrieved from www.nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426
294. National Geographic. (2016). nationalgeographic.org/encyclopedia/europe-physical-geography. Retrieved from nationalgeographic.

org: http://nationalgeographic.org/encyclopedia/europe-physical-geography/
295. New Economic School. (2007). Reforms and Freedom. Tbilisi: LTD Book in the Workshop.
296. Noble, V. (2003).
297. http://socasis.ubbcluj.ro/seminarii/locuire/Upload/syllabus09/C09b.%20Knobl%20(2003).pdf.
298. NPLG. (2008). http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9452. Retrieved from www.nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9452
299. NPLG. (2012). http://www.nplg.gov.ge/emigrants/. Retrieved from nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000216/
300. O'Neill, K. (2009). The Environment and International Relations. Cambridge: Cambridge University Press.
301. Pagden, A. (2002). The Idea of Europe - from antiquity to the EU. Cambridge: Cambridge University Press .
302. Pascal, F. (2002). History of the European Integration. Tbilisi.
303. Passerini, L. (2002). From the Ironies of Identity to the Identities of Irony. In A. Pagden, The Idea of Europe - From Antiquity to the EU (pp. 191-208). Cambridge: Cambridge University Press.
304. Perry, M. J. (2007). Toward a Theory of Human Rights. Cambridge: Cambridge University Press.
305. Plant, R. (2013). Religion in a Liberal State. In M. E. Gavin D'Costa, Religion in a Liberal State (pp. 9-38). Cambridge : Cambridge University Press.
306. Prasad, M. (2006). The Politics of Free Markets. Chicago: The University of Chicago Press.
307. psh.gov.ge. (2017). http://psh.gov.ge. Retrieved from http://psh.gov.ge: http://psh.gov.ge
308. Public defender of Georgia. (2011). http://religiebi.info/admin/editor/uploads/files/gamocem-bolo. Retrieved from religiebi.info: http://religiebi.info/admin/editor/uploads/files/gamocem-bolo.pdf
309. radiotavisupleba.ge. (2013, November 21). https://www.radiotavisupleba.ge/a/georgia-rose-revolution/25177090.html. Retrieved from radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/georgia-rose-revolution/25177090.html
310. Rawls, J. B. (1999). A Theory of Justice. Harvard: Harvard University Press.
311. Reginfo.ge. (2013, November 6). http://ick.ge/rubrics/society/16408-i.html. Retrieved from http://ick.ge/: http://ick.ge/rubrics/society/16408-i.html

312. Rhamey, P. (2017). http://patrickrhamey.com/saturday-research/2017/8/15/2017-state-of-world-liberty-index. Retrieved from http://patrickrhamey.com/: http://patrickrhamey.com/saturday-research/2017/8/15/2017-state-of-world-liberty-index
313. Robers, G. (2011). State and the Church in the Member States of the EU. Tbilisi: Konrad Adenauer Stifung.
314. Robinson, M. (2006). A Voice for Human Rights. Pennsylvania: University of Pennsylvania Press.
315. Rose, M. (2016, October 21). Lipsett and the modernization theory of democracy. Retrieved from ourpolitics.net: https://ourpolitics.net/some-social-requisites-of-democracy-response/
316. Shoraka, K. (2010). Human Rights and Minority Rights in the European Union. Oxon: Routledge.
317. Smith, A. (1776). Wealth of Nations. 10th ed. Indianapolis: Hacket Publishing Company.
318. SPI. (2015). https://www.socialprogressindex.com. Retrieved from www.socialprogressindex.com: https://www.socialprogressindex.com
319. Stromseth, J., Wippman, D., & Brooks, R. (2007). Can Might Make Rights? Building the Rule of Law after military interventions. Cambridge: Cambridge University Press.
320. Tabula. (2012, October 8). http://www.tabula.ge/ge/story/62090-xelisuflebisa-da-qartuli-ocnebis-konsultaciebis-meore-raundi. Retrieved from www.tabula.ge: http://www.tabula.ge/ge/story/62090-xelisuflebisa-da-qartuli-ocnebis-konsultaciebis-meore-raundi
321. Tabula. (2015, November 11). http://www.tabula.ge/ge/story/101791-brdzola-reitingebistvis-imedi-2007-vs-rustavi-2-2015. Retrieved from www.tabula.ge: http://www.tabula.ge/ge/story/101791-brdzola-reitingebistvis-imedi-2007-vs-rustavi-2-2015
322. Tbilisi Fabian Society. (2014, July 25). https://fabiansocialists.wordpress.com/2014/07/25/ისიდორე-რამიშვილი. Retrieved from fabiansocialists.wordpress.com: https://fabiansocialists.wordpress.com/2014/07/25/ისიდორე-რამიშვილი-isidore-ramishvili-1859-1937/
323. The Economist. (2016). https://www.eiu.com/public/topical_report.aspx?campaignid=DemocracyIndex2016. Retrieved from www.eiu.com: https://www.eiu.com/public/topical_report.aspx?campaignid=DemocracyIndex2016
324. The State Council of Heraldry. (2014). http://www.heraldika.ge/index.

php?m=26. Retrieved from www.heraldika.ge: http://www.heraldika.ge/index.php?m=26
325. Tillly, C. (2007). Democracy. Cambridge: Cambridge University Press.
326. Timer.ge. (2004, May 6). http://www.timer.ge/2004-tseli-6-maisi-aslani-gaiqca-achara-thavisupalia/. Retrieved from http://www.timer.ge/: http://www.timer.ge/2004-tseli-6-maisi-aslani-gaiqca-achara-thavisupalia/
327. Tocci, N. (2007). The EU and Conflict Resolution. Oxon: Routledge.
328. Tully, J. (2002). The Kantian Idea of Europe: Critical and Cosmopolitan Perspectives. In A. Pagden, The Idea of Europe - From Antiquity to the EU (pp. 331-358). Cambridge: Cambridge University Press.
329. UNDP Georgia. (2008). Georgia Human Development Report 2008. Tbilisi: Calamus Graphics Studio.
330. United Nations. (1948). Universal Decleration of Human Rights. Paris: UN General Assembly.
331. Vasquez, I., & Porcnik, T. (2017). https://object.cato.org/sites/cato.org/files/human-freedom-index-files/. Retrieved from https://object.cato.org/: https://object.cato.org/sites/cato.org/files/human-freedom-index-files/human-freedom-index-2015.pdf
332. Verisk Maplecroft. (2016). https://maplecroft.com/portfolio/new-portal. მოძიებულია https://maplecroft.com/: https://maplecroft.com/portfolio/new-portal
333. Von Mises, L. (1949). Human Action: A Treatise on Economics (4th ed.). Yale: Yale University.
334. Welsh, I. (2006). Values, Science and the European Union. In S. Lucarelli, & I. Manners, Values and Principles in European Union Foreign Policy (pp. 39-76). Oxon: Routledge.
335. Wheeler, B., & Hunt, A. (2016, 05 24). www.bbc.com/news/uk-politics. მოძიებულია bbc.com: http://www.bbc.com/news/uk-politics-32810887
336. Wilson, K., & Dussen, J. v. (2000). The History of the Idea of Europe. London and New York: The Open University.
337. Wilson, K; J, Dussen V. D. (1995). The History of the Idea of Europe. London and New York: The Open University, Walton Hall.
338. Wincott, D. (2003). The Idea of the European Social Model: Limits and Paradoxes of Europeanization. In K. Featherstone, & C. M. Radaelli, The Politics of Europeanization. Oxford: Oxford University Press.
339. World Economic Forum. (2016). http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/rankings/. Retrieved from http://reports.weforum.org/: http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/rankings/

340. World Justice Project. (2016). http://data.worldjusticeproject.org/#groups/GEO. Retrieved from http://data.worldjusticeproject.org/: http://data.worldjusticeproject.org/#groups/GEO
341. Wucherpfennig J., Deutsch F. (2009, September). http://www.cis.ethz.ch/content/. Retrieved from www.cis.ethz.ch: http://www.cis.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/cis-dam/CIS_DAM_2015/WorkingPapers/Living_Reviews_Democracy/Wucherpfennig%20Deutsch.pdf
342. Wurzel, R., & Hayward, J. (2012). European Disunion between Sovereignty and Solidarity. Hampshire: Palgrave Macmillan.
343. Yale Center. (2016). http://epi.yale.edu/sites/default/files/2016EPI_Full_Report_opt.pdf. Retrieved from http://epi.yale.edu/: http://epi.yale.edu/sites/default/files/2016EPI_Full_Report_opt.pdf